

მისეილ ზანდუკელი

# თხზულებანი

V



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1989

მიხეილ ზანდუკელის თხზულებათა V ტომში იბეჭდება მონოგრაფია შიო არაგვისპირელზე, წერილები XIX საუკუნის ქართველ და რუს ლიტერატორებზე.

ტექსტები იბეჭდება შემდეგი გამოცემების მიხედვით: მის. ზანდუკელი, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1. 1957, „შიო არაგვისპირელი“, 1966...

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკვლევარს.

## ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე ბ ი ა :

პროკლე კეკელიძე (მთავარი რედაქტორი), გრიგოლ კიკნაძე,  
ნოდარ ტაბიძე, ჭუმბერ ჭუმბურიძე, სოლომონ ხუციშვილი:

მეხუთე ტომის რედაქტორი

ნ ო დ ა რ ტ ა ბ ი ძ ე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

4603000000

3

M 608(06)-89

ISBN 5—511—00087-6



# შიო არაგვისპირელი (ადებაბრიშვილი)<sup>1</sup>

1867—1925

## I. შიო არაგვისპირელის ცხოვრების გზა

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში შიო არაგვისპირელს თვალსაჩინო და მიმზიდველი ადგილი უჭირავს. მან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ფართო მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. თვით ჩვენი მწერლობის კორიფეები ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი დიდი აღფრთოვანებითა და თანაგრძნობით შეხვდნენ მის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას. აკ. წერეთელი 90-იანი წლების დასაწყისში ეურნ. „კვალში“ კმაყოფილებით აღნიშნავდა ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზე ახალგაზრდა მწერლების გამოჩენას. ის წერდა: „ვიტყვი გულწრფელად, ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავის პატარ-პატარა ფსიქოლოგიური ეტიუდებით, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შიო დედაბრიშვილს“<sup>2</sup>.

ამ გარემოებით ნასიამოვნები აკ. წერეთელი 1896 წელს ახალგაზრდა მწერალს ლექსსაც უძღვნის — „არაგვისპირელს“:

„როდესაც ჩვენში მწერლობა  
თანდათან იზრტებოდა,  
შენ მოგელოდი „ხედ-წმინდად“  
და ნახვა შენატრებოდა.

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მ. ი. ხანდუკელი, შიო არაგვისპირელი (ცხოვრება და შემოქმედება), 1966, თბილისი.

<sup>2</sup> ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, 1961, გვ. 224.

მოხველ თავმდაბლად და ამბობ:  
„გიახველ ახალ-დვრიტადო“.  
და მეც რას გეტყვი მოხუცი,  
თუ არა: კემპარიტადო?!“<sup>1</sup>.

ახალგაზრდა შიო არაგვისპირელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას ასევე თანაგრძნობით შეხვდა ნიჭიერი კრიტიკოსი ა. წულუკიძე. ის წერდა: „ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის სამღურავი ჩვენს მწერლობაზე, მის დაწვრილმანებაზე; მას დაკნინებას, უშინაარსობას სწამებენ... გაკვრით ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ბრალდება სიმართლეს მოკლებულია... მოვიგონოთ უკანასკნელი წლების მოთხრობები ე. ნინოშვილისა. მელანიასი, დ. ერისთავისა, დ. კლდიაშვილისა, შ. არაგვისპირელისა და სხვათა, გავიხსენოთ რა სინამდვილით და ზოგი რა ხელოვნურად ხატავს ცხოვრების სურათებს, რა სიმართლით და ნათლად აღნიშნავს დიდმნიშვნელოვან ფაქტს“<sup>2</sup>. ასეთივე თანაგრძნობით შეხვდნენ შიო არაგვისპირელის სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისს ჩვენი იმდროინდელი სხვა ახალგაზრდა კრიტიკოსებიც: ივ. გომართელი. ილ. ნაკაშიძე, კ. აბაშიძე და ა. შ. „მე არა მგონია, — სიამოვნებითა და თითქოს ახალგაზრდა შიოს გასამხნეებლად წერდა კიტა აბაშიძე. — რომ შიო არაგვისპირელის ურწმუნო და უნდო გონება ამ ქვეყნად მოპოებულს „სახელს“ დიდ ფასსა სდებდეს. ყოველს შემთხვევაში მაინც არ შეიძლება ახალგაზრდა ავტორი მადლიერი არ დარჩეს საზოგადოებისა და ლიტერატურის იმ ყურადღებისათვის რომელიც მან სავსებით დაიმსახურა“<sup>3</sup>.

ფართო მკითხველთა ყურადღება და თანაგრძნობა შიო არაგვისპირელისადმი, უდავოდ, გამოწვეული იყო მწერლის ნიჭისა და შემოქმედების თავისებურებით: შიო არაგვისპირელი ჩვენი ლიტერატურის სარბიელზე დასაბამიდანვე გამოდის თავისი ხმით, შემოქმედების ახალი მოტივებით, იგი გამოირჩევა წერის ახალი მანერით — აზრის გამოხატვის მხატვრული სისადავით, სიზუსტით, სიღრმით, სიმკვეთრით და სიტყვის თუ ფრაზის ლაკონიურობით. ის ბრწყინვალე დამამკვიდრებელია ჩვენს მწერლობაში მცირე ფორმის, მაგრამ რთული და ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური შინაარსის მოთხრობა-ნოველისა.

შიო არაგვისპირელი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

<sup>1</sup> ა. წულუკიძე, თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 346.

<sup>2</sup> ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1943, გვ. 11.

<sup>3</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. II, 1912, გვ. 251.

კრიტიკული რეალიზმის განვითარების, უდავოდ, ბუნებრივი და შესაძლებელი რგოლია. მისი შემოქმედებითი ნიჭი დაიბადა, დავაჟკაცდა და შეივსო (პირველ რიგში) ქართული მწერლობის კორიფეების საბუღარში — იქნება ეს ძველი ქართული მწერლობა, თუ XIX საუკუნის თერგდალეულ მწერალთა სადა, ნათელი, ღრმა აზრებითა და ძარღვიანი სიტყვით დახვეწილი ლექსი თუ პროზა; თუ ხალხოსან მწერალთა მშრომელი, გაწრიოკებული, უფლებააყრილი გლეხობის ცხოვრებისადმი ღრმა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნებით დამოკიდებულება; თუ ვაჟა-ფშაველა-ყაზბეგის მომხიბვლელი განსახიერება ჩვენი ქვეყნის დოვლათიანი ბუნებისა და ფსიქოლოგიური ოსტატობით გაღრმავებული ადამიანის გრძნობიერებისა და მორალის შორს წვდომა. ყველა ამ თავისებურებას თუ ნიშანს, ფსიქოლოგიურად შეთავსებულს შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში, მკითხველი მკაფიოდ, თავისთავად და მიმზიდველად განიცდის.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი წერდა: „თუ არსებობს დროების იდეალები, მაშასადამე არსებობს დროების ფორმებიც“. ცხადია, შიო არაგვისპირელის შემოქმედების თავისებურება თუ სიახლე 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში რეალისტური ხელოვნების ახალი სახის გამოვლინება იყო, რაც ღრმად და გარემოებამ მოითხოვა.

შიო არაგვისპირელის შემოქმედების ახალი თუ განახლებული ჟანრი (ნოველა, ესკიზი, ეტიუდი, სურათი) — რეალური გარემოთა გამოხატვის ახალი, საშუალებაა, რომელიც არა მარტო ობიექტურ სამყაროში არსებული წინააღმდეგობებით გამახვილებული მოვლენების ასახვას იძლეოდა, არამედ თვით ავტორის — შიო არაგვისპირელის წინააღმდეგობით სავსე, მაგრამ ყოველთვის ფაქიზი, პატიოსანი ბუნების, თავისებური მსოფლმხედველობის, მისწრაფებების განსახიერებასაც. შიო არაგვისპირელის მორალური, ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები ზედმიწევნითი დამაჯერებლობით გამოვლინდა მისი წერის ახალ, მხატვრულ მანერაში. შიო არაგვისპირელის შემოქმედება — დახვეწილი პროზაა, მწერლის ნატიფი ლირიზმით გაჟღერებული.

\* \* \*

მეტად საგულისხმოა შიო არაგვისპირელის გულწრფელი თვითდახასიათება. ის მომავალ ცოლს მარიამ ბაქრაძეს სწერდა: „თუ გახსოვს, კოჯორში გითხარი, ბუნება მდევნის-მეთქი. როდესაც კი ვიტყვი: აი, ეხლა კი მეშველა და ცოტათი თუ ბევრად ვიცხოვრებ, სწორედ მაშინ უცნაურად რაიმე გამომიტყვრება და თავს ბრუს დაგვევს. შენ შენ თავზე წინააღმდეგი სთქვი და თანაც მანუგეშე,

რომ იქნება შენთან სიახლოვის დროს აღარა მდევნოს. ეხლა ხომ ღარწმუნდი, რომ მართალი ვიყავი. მე ყოველ წამს მოველი თავბრუ-დამხვევ ამბებს და უეჭველია შენც მონაწილე იქნები შემდეგში. ჯერ არ მახსოვს, ისე დამეწყო ცხოვრება, როგორც მე მინდა. არა. ყოველთვის გარემოებანი წინამიდგებიან. თუ არ გეშინიან, ამგვარ დევნილ კაცთან კავშირი დაიჭირო, მოდი და, ვიმეორებ, ერთად ვჭიმოთ ჭაპანი. ეს კი უნდა გაზომილი გქონდეს, რომ უკანასკნელ ტანჯვას არ ნაკვარებს: იქნება ბევრი უარესი დაგემართოს.

მაშ ეგრე, ჩემო მარო, ეხლა შენ იცი. პირადად მე საშინლად გავუბრბოდი ვინმე მონაწილე გამეხადა ჩემი ტანჯვისა. ამისათვის იყო, რომ გავუბრბოდი სიყვარულს და „მეზარებას“-ს ვიძახოდი. და ძალიანაც ღაფაშავე, რომ შენც ჩაგრიე ტანჯვაში და უკანასკნელი შემთხვევით უნებური ტანჯვა მოგაყენე.

ვიმეორებ. ჩემო მარო, ჩამოდი, თუ არ გეშინიან ჩემთან ცხოვრებისა.

მარად შენი შიო<sup>1</sup>.

ამიტომ, სანამ შიო არაგვისპირელის შემოქმედების განხილვას შევედგებოდეთ, ზედმეტი არ იქნება, ზოგად ხაზებში მაინც გავიცნოთ მისი, მართლაც, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების გზა.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი დაიბადა 1867 წელს. ყოფილი დუშეთის მაზრის. არაგვის ხეობაში, დაბა ანანურის მახლობლად მდებარე სოფ. ქაისხევეში. იქ შიოს მამა ზაქარია დედაბრიშვილი მღვდლად მსახურობდა. ზაქარია დედაბრიშვილს რვა შვილი ჰყავდა — ხუთი ვაჟი და სამი ქალი. ვაჟების სახელებია: ია. გიორგი, შიო, ვანო, კოლა: ქალიშვილებისა: ოლა, მაშო, ანეტა. შიო ზაქარიას მეექვსე შვილი იყო. პატარა შიო 6 წლამდე სოფ. ქაისხევეში მშობლებთან ცხოვრობდა. „დუშეთის მაზრაში, — გადმოგვცემს თავის ავტობიოგრაფიაში შიო არაგვისპირელი, — ანანურის ახლო, ს. ქაისხევი თავისი მთიანი ადგილებით არის ჩემი სამშობლო“. მთის გარემომ, სოფლის ბავშვებთან ურთიერთობამ თავისებური კვალი დააჩნია როგორც შიოს პიროვნებას, ისე მის მხატვრულ შემოქმედებასაც.

1873 წელს ზაქარია გადაიყვანეს სოფლის მღვდლის თანამდებობაზე არაგვის ხეობაშივე — სოფ. წილკანში, ახლანდელი მცხეთის რაიონში. ზაქარიას ცოლი, სოფით ჩილინდრიშვილი, სოფ. წილკნიდან იყო. საბოლოოდ ზაქარიას ოჯახმაც ბუდე ამ სოფელში დაიდო.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელის წერილი მომავალ მეუღლესთან, ლიტ. მუზეუმში, № 15958-ბ.

ზაქარია მღვდელს კარგად ჰქონია გავებული და გათვალისწინებული სწავლის მიღების აუცილებლობა. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ოჯახისა და ეკონომიურად ხელმოკლეობისა, მან შიო და მასზე უფროსი ვაჟიშვილი — გიორგი ღუშეთში წაიყვანა და იქ სამოქალაქო სკოლაში მიაბარა, ბინად კი მამიდაშვილთან მოათავსა. ზაქარია მალე გარდაიცვალა და ოჯახი დედის — სოფიოს ანაბარა დარჩა. მამიდაშვილი ბავშვებს „ზომაზე მეტად სასტიკად ექცეოდა“ და სათანადოდაც არ უვლიდა. შიო და მისი ძმა იძულებული შეიქნენ „ერთ გაზაფხულის დღეს გაპარულიყვნენ“<sup>1</sup>.

გონიერი, ენერგიული და მშრომელი შიოს დედა არ დაიბნა. მან შიო და მისი ძმა იმავე წლის შემოდგომაზე მიაღებინა თბილისის სასულიერო სასწავლებლის პანსიონში, როგორც მღვდლის ობოლი შვილები. ამ სასწავლებელში შიოს უკეთესი პირობები შეექმნა. მალე მან ხალისით დაიწყო სწავლა. ამ პერიოდის ცხოვრების შესახებ მწერალი თავის „ავტობიოგრაფიაში“ აი რა ცნობას გვაძლევს: „თბილისში ისეთი მასწავლებლები მყვანდა, რომელთაც მშობლიურად შემაყვარეს სწავლა. ეს მასწავლებლები გახლდნენ: ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი, შემდეგში ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (იგულისხმება ცნობილი ქართველოლოგი მოსე ჯანაშვილი — მ. ზ.). ამის შემდეგ სწავლაში არ წამიბორძიქნია“<sup>2</sup>.

მალე შიოს დედამ მოინდომა სასულიერო სასწავლებლის პანსიონში შიოს მომდევნო ძმაც მიეღებინებინა. მაგრამ მესამე ძმა პანსიონში არ მიიღეს, რადგან ორი ძმა სახელმწიფო ხარჯზე პანსიონში უკვე ცხოვრობდა. შიოს ძმას სასწავლებელში სიარული გარედან მოუხდა. შიო რამდენიმე წლის მანძილზე თავისი სადილისა და ვახშმის პურსა და ხორცს ძმას უნაწილებდა („ავტობიოგრაფია“). სასულიერო სასწავლებელი შიომ ასეთ პირობებში დაამთავრა.

\* \* \*

მიუხედავად მძიმე პირობებისა, სწავლისა და ცოდნის მიღების სურვილი შიოში ძლიერი იყო სწავლის გაგრძელება მისთვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ სასულიერო სემინარიაში და შიომაც მას მიაშურა. აქ შიო მ'ეცადინებოდა უფრო მეტი შეგნებითა და მონდომებით იწყებს, თუმცა აზრიანი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მას ხელსაყრელი პირობები არც აქ აქვს. აი, სასულიერო სემინარიაში არსებულ პირობებს თვითონ შიო როგორ ახასიათებს: „მამას ძალიან ვუყვარდი, ძალიან ღვთისმოყვარე იყო და მეც გადამედო ეს თვი-

<sup>1</sup> შ. ა რ ა გ ვ ი ს პ ი რ ე ლ ი, ავტობიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, № 16066-ბ.

<sup>2</sup> იქვე.

სება... საშინელი ღვთისმოყვარე ვიყავი, ვოცნებობდი მღვდლობაზე... ღვთისმოყვარეობა ამ სასწავლებლამდის (სასულიერო სემინარია-მდე — მ. ზ.) მომყვა... აქ კი ძირიან-ფესვიანად იმსხვრევა... რალაც ჯოჯოხეთური პირობები იყო მაშინ; მასწავლებლები მხეცებს ჰგვანდნენ. ბერძნული, ლათინური კვირაში ცხრა-ცხრა გაკვეთილი გვქონდა... ამ ენების მასწავლებლები ყოვლად შეუწყნარებელნი, ნამეტნავად ბერძნულისა მტკნარი გიჟი იყო... გაჩაღებული იყო სემინარიაში ყოველი საზიზღრობა: ჯაშუშობა, ფლიდობა, ძალმომრეობა, უსამართლობა, ავსულობა და სხვა მრავალი. ამას ჰქმნიდნენ უფროსები და შიგ მოწაფეები იხრჩობოდნენ“<sup>1</sup>...

სასულიერო სემინარიაში გაბატონებულ სწავლა-აღზრდის ანტიპედაგოგიურ მეთოდებს ცნობილი მწერალი, შიოს სემინარიის ამხანაგი, ია ეკალაძე ასეთსავე მუქ ფერებში ახასიათებს: „ტფილისის სასულიერო სემინარიაში უფროსები — არქიელი, ბერი ინსპექტორები და სუბინსპექტორები სწორედ ანაფორაში გახვეული უანდარმები იყვნენ. ყოველი ქართველური ჭირივით სძულდათ. ყოველი ქართველი და ნამეტნავად შეგნებული მოწაფე პირად მტრად მიაჩნდათ და, მოწაფეთა აღზრდა-განვითარების ნაცვლად, მხოლოდ მათ ერთმანეთისაგან გათიშვას ცდილობდნენ... ვერავითარი თვალთმაქცობა, ვერავითარი რეპრესიები სემინარიელებს ვერ აშინებდა. პირიქით, უფრო აბრაზებდა მათ და საბრძოლველად რაზმავდა“<sup>2</sup>. თბილისის სასულიერო სემინარიაში ასეთი გაბატონებული მავნე, ბნელი რეჟიმი საკმარისი სიმკვეთრითა და სისრულითაა გაშუქებული ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში (მიხ. ასათიანის „მე და ონისიმე“, სოფ. მგალობლიშვილის — „მოგონებანი“, შაქროს (ზაქ. გულისა-შვილი) „განთიადი“ და სხვა). არსებულ ვითარებას მოსწავლეთა ჯანსაღი ელემენტი ვერ ურიგდებოდა, ებრძოდა.

როგორც ბიოგრაფიული მასალიდან ირკვევა, შიოც მებრძოლ, ოპოზიციურად განწყობილ სემინარიელთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ის იმ დროს დაინტერესებული იყო საზოგადოებრივ-სოციალური და პოლიტიკური საკითხებით; ბევრს კითხულობდა, მჭიდრო კავშირში იყო გამოფხიზლებულ, არსებული წყობილებით უკმაყოფილო სემინარიელებთან. ამის შესახებ თვითონ შიოც „ავტობიოგრაფიაში“ გარკვევით გვეუბნება: „სემინარიაში ჩუმი წრეებიც გვქონდა, სადაც ქართულს და აღკვეთილ წიგნებს ვკითხულობდით“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, ავტობიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, № 16066-ხ.

<sup>2</sup> ია ეკალაძე, შიო არაგვისპირელის გვლენა მაშინდელ სემინარიელთა სალიტერატურო წრეებში, ლიტ. მუზეუმი, № 7007-ხ.

<sup>3</sup> შ. არაგვისპირელი, ავტობიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, № 16066-ხ..

მიხეილ ასათიანის რომანი „მე და ონისიმე“ მოწინავე-მოაზროვნე სემინარიელთა შესახებ საგულისხმო ცნობას გვაძლევს: დაინტერესებული სემინარიელები მარტო სიტყვით, კამათით არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი თვითგანვითარებისათვის დიდ მუშაობას ეწეოდნენ, ამ მიზნისათვის მათ არალეგალური ბიბლიოთეკაც ჰქონდათ შექმნილი. ყოველი წლის დასაწყისში კაცზე თითო მანეთს კრეფდნენ და თავიანთ ბიბლიოთეკას ასე ამდიდრებდნენ. „მივადექით, — გადმოგვცემს მიხ. ასათიანი, — ამ წიგნების კითხვას და ისე და ისე დავიხვიპენით მათგან ცოდნით, რომ ზოგიერთ მასწავლებელთაგანს ეშინოდა ჩვენთან პირში შებმა. ცნობილია, 70-იანი წლებიდან ჩვენი სემინარიელები თანამშრომლობდნენ მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში, ზოგი თარგმნებით, ზოგი კორესპონდენციებით და ორიგინალურ ნაწარმოებებითაც (მაგ. ნ. ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ხიზანიშვილი და სხვ.). მიხ. ასათიანი გვიმოწმებს, რომ შიგნით, სემინარიაშიც ხელიდან ხელში გადადიოდა რამდენიმე ხელნაწერი კრებული სემინარიელების ლექსებით. მაგრამ ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ხელნაწერ ეურნალს „ხმა უდაბნოდან“, რომელშიც ავტორის სიტყვით, „გამოხეტქა სემინარიელთა ტვინის ძალამ“.

ცხადია, ასეთი განწყობილების ახალგაზრდობა გატაცებით დაუწყებდა თვალყურის დევნებას იმ აფორიაქებულ, ატეხილი ცხოვრების ნაკადს, რომელიც 60-იანი წლებიდან მძლავრ ქარტეზილსავით იჭრებოდა რუსეთის დახავსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იქიდან ჩვენ ცხოვრებასაც ახალი გზით მიმართვის შესაძლებლობას უხსნიდა.

ამ წრეებში შიო არაგვისპირელიც შეგნებულად მუშაობდა, რითაც მისი თვალი და ყური მახვილდებოდა, გონება ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, გული უფრო მგრძნობიარე ხდებოდა. თპოზიციურად განწყობილ, გათვითცნობიერებულ სემინარიელთა ამ წრეების შესახებ მწერალი ი ა ე კ ა ლ ა ძ ე შემდეგს მოგვითხრობს: „მთელი მოწაფეობა დაყოფილი იყო ჯგუფებად, წრეებად... გარეგნულად შებოჭილ-დამონებულ მოწაფეთა შორის მუდამ ცეცხლი ტრიალებდა, მუდამ დუღდა საერთო გულისწყრომა და არც ერთი თავხედობა არ უპატიებიათ თავისი უფროსებისათვის... აქ ეძლეოდა იგი (სემინარიელი მოწინავე ახალგაზრდობა — მ. ზ.) თვითგანვითარებას და სამოღვაწეოდ მომზადებას. აქ არსებობდა წრეები: საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო-საზოგადო, წრეები სოციალისტებისა, წრეები ეროვნებისა, წრეები თვითგანვითარებისა, წრეები ლიტერატურული და სხვ. ვაგლახად ითვლებოდა ის მოწაფე, ამა თუ იმ წრეს თუ არ ეკუთვნო-

და... მათ შორის შიო არაგვისპირელი ერთი უპირველესი, ერთი რჩეულთაგანი იყო<sup>1</sup>.

შიოს ასეთი ქცევისა და მოქმედების შედეგი იყო 1889 წ. მისი სემინარიიდან გარიცხვა. თვითონ შიო ამ ფაქტს „ავტობიოგრაფიაში“ ასე გადმოგვცემს: „მეექვსე კლასში ვიყავი, როცა რექტორმა პანსიონიდან გარეთ შუა ზამთარში გამომიძახა. ჩვენი კლასი ძალიან გაათხელეს. სულ 22 კაცი დაგვითხოვეს. მე ვასილ ბარნოვმა გადამარჩინა... მაინც გამორიცხვა არ ამცდა“<sup>2</sup>. შიო „ავტობიოგრაფიაში“ მიუთითებს თავისი ბუნების კიდევ ერთ მეტად დამახასიათებელ ხაზზე — ხასიათის სიმტკიცეზე. პრინციპულობაზე, რაც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. „ხუთჯერ მომიგზავნა რექტორმა ხან ამხანაგები, ხან მასწავლებლები, რომ ბოდიში მომეხადნა და ისევ უკან მიღებას მპირდებოდა, მაგრამ ერთსა და იმავე პასუხს ვაძლევდი... „მითხრას, რა დავაშავე და მაშინ მოვიხდი ბოდიშს... ნუთუ დანაშაულად მითვლის, რომ მე ამხანაგების დავალებით მოწიწებით წავდექე წინ და საქმის გარემოება გავუმარტე?“<sup>3</sup>

ეკონომიურად შევიწროებული, სწავლის გაგრძელებას მოწყურებული ქაბუკი შიო დიდი ცდიტა და გაჭირვებით, განსაკუთრებით კი სემინარიის მასწავლებლის, ცნობილი მწერლის ვასილ ბარნოვის ენერგიული დახმარებით, 1890 წელს სემინარიას ამთავრებს.

\* \* \*

სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ შიოს და, საერთოდ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდობის წინაშე ბუნებრივად მეტად სასიცოცხლო პრობლემა დაისვა — დამოუკიდებელ ცხოვრებაში ის რა გზით უნდა წავიდეს? თვითონ მწერალი თავის იმდროინდელ სულიერ განწყობილებას ასე გვამცნობს: „დიდი ვაება განვიცაღე, როცა სემინარია გავათავე და ცხოვრების წინ დავდეგ... არაფრისათვის მომზადებული. თითქოს ღვლად უნდა წავსულიყავი, მაგრამ როგორ, როდესაც სრულიად შიშველი მყევს, მამის გადმონაცემიც კი წამართვეს და ეხლა ღვლად?! რა მღვდელი უნდა ვყოფილიყავი. როდესაც ნატამალი რწმენისა აღარა დამრჩენიყორა. არა, ეს უსინდისობა იქნებოდა ჩემი მხრივ. ისევ სიკვდილი მირჩენია, ვიდრე ასეთი საზიზღრობა ჩამედინა. მეტყუებიანა სხვები და ჩემი

<sup>1</sup> ია ეკალაძე, შიო არაგვისპირელის გავლენა მაშინდელ სემინარიელთა სალიტერატურო წრეზე, ლიტ. მუზეუმი, № 7 007-ბ.

<sup>2</sup> შ. არაგვისპირელი, ავტობიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, № 16066-ბ.

<sup>3</sup> იქვე.



თავიც, თუმცა შინაური გარემოება მიკარნახებდა, რომ უეპველად მღვდლობა მეკისრა“<sup>1</sup>.

შიომ საბოლოოდ უარყო მღვდლის კარიერა. ხალხის ღვიძლ შეიღს, მისი ცხოვრების კარგ მცოდნეს, სწყუროდა ხალხისათვის სასარგებლო კაცი ყოფილიყო; ამისათვის მან გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში, შეიარაღება სპეციალური ცოდნით, რომელიც ხალხს, პირველ რიგში, მდაბიო ხალხს, სარგებლობას მოუტანდა, მისი ცხოვრების წინ წაწევას ხელს შეუწყობდა. მაგრამ როგორ, რა საშუალებით? შიოს ოჯახი მეტად უმწეო მდგომარეობაში იყო (ის მას ვერ დაეხმარებოდა).

შიო ცდილობს რაიმე სამსახური იშოვოს, უმაღლესი ცოდნის მისაღებად ფული შეაგროვოს. მაგრამ საკუთარი ბუნება აბრკოლებდა მას, რასაც მახვილად ახასიათებს შიოს კლასის მეგობარი დ. არონიშიძე. „მან (შიომ — მ. ზ.) არ იცოდა სხვისთვის გუნდრუკის კმევა და მუდამ მთლიანი იყო თავის აზრებსა და საქმიანობაში. წყნარი და ამყვი, როგორც ყოველი მთიელი, როცა საქმე მის ადამიანური ღირსებისა და პატივისცემის დაცვას შეეხებოდა“<sup>2</sup>. ამასთან, როგორც თვითონ შიოც გვიხასიათებს თავის თავს — „ბავშვობიდანვე მოკრძალებული და გაუბედავი“ („ავტობიოგრაფია“) გზას ვერ პოულობდა, ამის შესახებ ერთგვარი გულისტყვივით წერს იგი: „ამავე ჩემმა თვისებამ ვერა მაშოვნინა რა... მასწავლებლობა მინდოდა სამრევლო სკოლაში მაინც, მაგრამ ვერას გავხდი... ჩემზე უფრო ნაკლებად მომზადებულებმა მიიღეს... მე კი გარეშე დავრჩი... სათავადაზნაურო სკოლაში აღმზრდელის ადგილი იყო. იქ მივეპარეთ. მაგრამ იქაც უარი მითხრეს. იმან (ვინც მიიღეს — მ. ზ.) ჩემთან ერთად გაათავა და ნიშნებით მე უკეთეს მოწაფედ ვითვლებოდი... იმან ჩემ შემდეგ ითხოვა. წერილიც მიეტანა ბიძისაგან და მიიღეს“.

ერთი ამხანაგის საშუალებით შიომ ძლიერ იშოვა რკინიგზის კანტორაში პატარა მოხელის ადგილი, მაგრამ ისიც დროებით.

მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი პირობებისა, შიომ მაინც გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. ვინაიდან სემინარიელებს მხოლოდ ვარშაისა და ტომსკის უმაღლეს სასწავლებლებში იღებდნენ, შიომ გადაწყვიტა ვარშაის საბეითლო ინსტიტუტში შესულიყო. ვარშაის საბეითლო ინსტიტუტში მას ჰყავდა მეგობარი გიორგი მრეველიშვილი.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, ავტობიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, № 16066-ბ.

<sup>2</sup> დ. არონიშიძე, შიო არაგვისპირელი, როგორც მოღვაწე, ლიტ. მუზეუმი, № 16091-ბ.

1890 წლის ოქტომბრის ბოლოს შიო ვარშავაში გაემგზავრა. თავის სულიერ განწყობილებას შიო „ავტობიოგრაფიაში“ ასე აგვიწერს: ეს რალაც ოცნება იყო ჩემთვის... დღედაღამ გემის ბაქანს არ ვმორდებოდი. საშინელი ღელვა იყო. ბაქანზე ადამიანი არავინ ჩანდა. ვიდრე მარტოკა, მოაჯირზე მაგრად ხელჩაჭედილი და ვუყუარებდი აგორებულ ტალღებს და ვისმენდი ჯოჯოხეთურ ღრიალს... ამ დროს ვილაცამ კისერში ხელი ჩამავლო და ყურში ჩამყვირა: „გაგიყდი თუ რა არის?!“. მოვიხედე და დავინახე კაპიტანი. სასტიკად მეწეოდა. ძალით შემიყვანა ოთახში და დამჭყვილა: „ეხლავე ვუბრძანებ მეზღვაურებს და ზღვაში გადაგადგებ“... უკაცრავად, არ ვიცოდი, თუ ბაქანზე დგომა აკრძალულია, თორემ არ გავიდოდი!.. „სულელო, რა აკრძალვა გინდოდა?.. თითონ ბუნება გიკრძალავს გარეთ გამოსვლას და შენ რალაც არცოდნას მეუბნები“... თქვენო კეთილშობილებავე, ბუნება, პირიქით, ნებას მაძლევს... მეუბნება, მო, ნახე, რა ძლიერი ვარ შენთან შედარებით“.

ეს ფაქტი ზედმიწევნით ცოცხლად და მკაფიოდ გამოხატავს, ერთი მხრივ, მოვალეობის, პასუხისმგებლობის შემგნებელ-მზრუნველი კაპიტნის სახეს, ხოლო, მეორე მხრივ, ახალგაზრდა შიოს ბუნების შინაგან, იღუმალ, ნაზ, მაგრამ ამასთანავე ბობოქარ განწყობილებას.

\* \* \*

იმავე 1890 წელს შიო ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში შევიდა. შიოს ოჯახი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ეკონომიურად ძლიერ შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მას დახმარებას ვერ უწყევდა. სამაგიეროდ, შიოს თედო სახოკიას სახით (შემდეგში ცნობილი უმწიკვლო საზოგადო მოღვაწე და მწერალი) მეცენატი გამოუჩნდა. მართალია, თვითონ თედო სახოკიაც ფრიად ხელმოკლედ იყო. მხოლოდ თავისი შრომით ცხოვრობდა, მაგრამ შიოს, თურმე, ერთგულად და დროზე, თვეში 30 მანეთს უგზავნიდა, სანამ თვითონ შიომ არ შეძლო თავისი შრომით (მწერლობით) 1893 წლიდან, როგორც გაზ. „ივერიის“ თანამშრომელმა, ცხოვრების სახსრის მოპოვება.

ცნობილი პედაგოგი ალ. მიქაბერიძე, რომელიც ვარშავაში სწავლის პერიოდში შიოსთან ერთად ცხოვრობდა, თავის მოგონებაში შიოს შესახებ საგულისხმო ბიოგრაფიულ ცნობებს გვაძლევს. ის წერს: „შიოს ნივთიერი მდგომარეობა მეტად უნუგეშო იქნებოდა, რომ თედო სახოკიას შიო სტუდენტობის დროს არ უზრუნველყო ნივთიერი. ნათქვამია: „ყვავს რა ჰქონდა, ჩხიკვს გაჰქონდაო“, მაგრამ თედო სახოკიამ, მისდა სასახლოდ უნდა ითქვას, ეს ბრძნული თქმუ-

ლება დასძლია და შიოს სტუდენტობის დროს ძმური ხელი გაუწოდა, რასაც შიო არასოდეს არ იფიქრებდა და კიდევ ვერ დაიფიქრებდა“<sup>1</sup>.

ამავე მოგონებაში მიქაბერიძე გვიხასიათებს შიოს ეკონომიურად მეტად ანგარიშიან, მოთხოვნილებაზეზღუდულ ცხოვრებას. სამაგიეროდ, შიო მუყაითად მუშაობდა როგორც ვეტერინარულ ინსტიტუტში სპეციალობის გაღრმავების, მდიდარი ლიტერატურის საფუძველზე თავის განვითარება-გათვითცნობიერების, ისე საზოგადოებრივი საქმიანობის გაღვივების მიმართულებით.

ამ დროისათვის ქ. ვარშავის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში თავი მოიყარა ქართველმა ახალგაზრდობამ. ცნობილია, სამშობლოს დაშორება ყველა ქვეყნის მოქალაქეს საგრძნობლად უღვიძებს მამულისადმი სიყვარულს, ლტოლვას. ასეთი განწყობილებით, როგორც ირკვევა (შიოს „ავტობიოგრაფია“, ალ. მიქაბერიძის „მოგონება“ და სხვ.), ვარშავაში მყოფი ქართველი ახალგაზრდებიც გამოირჩეოდნენ.

ამის შესახებ შიო აი რას წერს: „სამშობლოს სიყვარული ვარშავაში სიგიჟემდე მივიდა... იქ შეეკმენით ერთგვარი წრე ქართველთა შორის, „ლიგა საქართველოს თავისუფლებისა“, შევიმუშავეთ წესდება და შეუდგენით ამის გავრცელებას“<sup>2</sup>. ამ გარემოების შესახებ ალ. მიქაბერიძე თავის „მოგონებაში“ შემდეგს გადმოგვცემს: „ფილიპე მახარაძემ, ნოე ჟორდანიამ, შიო არაგვისპირელმა და სხვა ახლად ჩამოსულმა სემინარიელებმა პირველყოვლისა, ვარშავაში უმაღლეს სასწავლებელში ქართველ სტუდენტთა წრე, ქართველ სტუდენტთა სათვისტომო ჩამოაყალიბეს. ამ წრეს, თანახმად შემუშავებული წესდებისა, მიზნად ჰქონდა დასახული წრის წევრთა თვითგანვითარება, წრეში სისტემატურად მეცადინეობის სახით“<sup>3</sup>.

ალ. მიქაბერიძის ცნობით, წრემ შეიძინა საინტერესო წიგნები, გაიწერა საქართველოდან ჟურნალ-გაზეთები, შექმნა ბიბლიოთეკა და დასახული მიზნის მიხედვით საინტერესო მუშაობას ეწეოდა მოხსენებისა და დისპუტების სახით. აგრეთვე სისტემატურად იმართებოდა სხდომები, სჯა-ბაასი სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხის შესახებ. როგორც ჩანს, ვარშავაში მყოფი ქართველი ახალგაზრდობის ეს სხდომები და დისპუტები ხელისუფლებისაგან აკრძალული იყო, ამიტომაც ალ. მიქაბერიძე აღნიშნულ მოგონებაში დიდ მადლიერებას გა-

<sup>1</sup> ალ. მიქაბერიძე, შიო არაგვისპირელი (მოგონების სახით), ლიტ. მუზეუმი, № 13147-ბ.

<sup>2</sup> შ. არაგვისპირელი, ავტობიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, № 16066-ბ.

<sup>3</sup> ალ. მიქაბერიძე, შიო არაგვისპირელი (მოგონების სახით), ლიტ. მუზეუმი, № 13147-ბ.

მოსთქვამს პოლონელი დიასახლისის, პანი იაგილსკაიას მიმართ, რომელიც მათ წრეს სხდომებისა და კამათის დროს იცავდა.

აღ. მიქაბერიძის მოსაზრება სიმართლეს არაა მოკლებული, რომ 1892 წელს ვარშაველი ქართველი სტუდენტების მიერ „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო XIX საუკუნის 90-იან წლებში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ქართველ სტუდენტებში დაწყებულმა ეროვნულმა მოძრაობამ. ცნობილია, რომ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ ერთიმეორესთან მკიდრო კავშირის დაქერა მოინდომა. ამ მიზნით გადაწყვეტილი იყო წარმომადგენლების საშუალებით მათი ქ. თბილისში შეხვედრა. მაგრამ ეს შეხვედრა მოხდა 1892 წლის 26 ივნისს ქ. ქუთაისში მიხეილ ხელთუბნიშვილის ბინაზე. ქუთაისის კრებას დაუდგენია — ერთ-ერთი მიზანი ახალგაზრდობისა არის საქართველოს რუსეთის მონარქიის ბრძკვალეებისაგან განთავისუფლება<sup>1</sup>.

იმავე 1892 წელს ვარშავის სათვისტომოს გასაცნობად, როგორც აღ. მიქაბერიძე გვიმოწმებს, ნოე ყორდანიას ფილიპე მახარაძისათვის გაუგზავნია თავისი მოხსენება „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების პროგრამა“. ამ ორი მასალის საფუძველზე — ქუთაისის კრების დადგენილებისა და ნოე ყორდანიას მოხსენებისა — მიხეილ მირიანაშვილის ბინაზე ვარშაველ ქართველ ახალგაზრდებს დისპუტი გაუმართავთ. „კამათში, — გადმოგვცემს აღ. მიქაბერიძე, — თავი იჩინა ორმა მიმართულებამ — ნაციონალურმა და კლასობრივმა“<sup>2</sup>. ასე, 1892 წელს ვარშავის ქართველი ახალგაზრდობის წრეში ჩამოყალიბდა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“. შიო ამ საზოგადოების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და წამყვანი ყოფილა.

შიოს მახლობლებისაგან ცნობილია, რომ მას ხშირად განმარტოვება უყვარდა; ის მუდამ გარეგნულად მშვიდი, მორიდებული კაცი იყო, მაგრამ ამასთან ერთად მას საზოგადოებაში ყოფნაც ძალიან უყვარდა.

შიოს უახლოესი მეგობარი და ქართველ ვარშაველთა საზოგადოების წევრი აღ. მიქაბერიძე ასე ახასიათებს შიოს: „მუდამ ჩუმი, მუდამ წყნარი, მუდამ თავაზიანი შიო, როცა საზოგადოებაში მოხვდებოდა, ერთიანად გამოიცვლებოდა. საზოგადოებაში ყოფნა, საზოგადოებაში ტრიალი შიოს სიამოვნებდა და კიდევაც საჭიროდაც მიაჩნდა. შიოს გონივრული, მოფიქრებული და მუდამ დამშვიდებული ლაპარაკი ყვე-

<sup>1</sup> აღ. მიქაბერიძე, შიო არაგვისპირელი (მოგონების სახით), ლიტ-მუზეუმი, № 13147-ბ.

<sup>2</sup> იქვე.

ლას ხიბლავდა და ატყვევებდა... ყველა მის აზრსა და შეხედულებას ანგარიშს უწყევდა... შიომ საკითხისადმი სწორი და პირუთენელი მიდგომით ამხანაგთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა<sup>1</sup>. ასეთ აქტიურ, შეგნებულ მუშაობაში მიმდინარეობდა შიოს ცხოვრება და საქმიანობა ვარშავის სავეტერინარო ინსტიტუტში სწავლის დროს.

1894 წელს შიომ ვარშავის სავეტერინარო ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ, როცა მას უკანასკნელი საგანი უნდა ჩაებარებინა, ის დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს ვარშაველ ქართველ სტუდენტთა საქმის — „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ — მოქმედების გამო. შიოს გარდა. ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემული იყვნენ: ფილიპე მახარაძე, ნიკო შენგელია, ალექსანდრე მიქაბერიძე, ანტონ გელაზერაშვილი, მიხეილ მირიანაშვილი, სერაპიონ მიქაძე, ნიკო მელიქიშვილი და სხვ. მათ ბრალად ედებოდათ საიდუმლო საზოგადოების შედგენა და ძველი რუსეთის არსებული წეს-წყობილების დანგრევისათვის ბრძოლა.

ამ შემთხვევის გამო შიო ცხრა თვე იჯდა ვარშავის ციხეში საშინელ მძიმე პირობებში. აი როგორ აღმოგვცემს შიოს ნაამბობს ანა გიორგის ასული ხახუტაშვილი, მთარგმნელ ივანე ახალშენიშვილის მეუღლე: „ვარშავაში დაპატიმრებული რომ იყო, იმ დროის ამბები შიომ ასე მომიყვა: „დიდ ტანჯვას განვიცდიდი. ხელმწიფის ობრანკა ციხეში მაწამებდა ფიზიკურად და მორალურად: ხან მცემდნენ, ხან თავს ელექტრონებს მიმადებინებდნენ. მე მეშინოდა, ვაითუ სულის სისუსტე დამემართოს და გავცე ამხანაგები. ამიტომ გადაწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ როგორ და რითი? დიდი გაჭირვებით გავტეხე ძალიან სქელი შუშა და პირაღმა მის წვეტზე დავწყექი, ისე რომ გული გამეხვრიტა. გული წამივიდა და ბევრი სისხლი დავკარგე, სანამ მომესწრო საშველი. იმის მერე დამეწყო ხველა, რომელიც დღესაც არ მშორდება“<sup>2</sup>.

შიო თავის „ავტობიოგრაფიაში“ ამ ფაქტს ასევე მწვავედ იგონებს: „ცხრა თვე ვიყავი მარტოობაში... მაშინ ბევრი ხელნაწერი წაიღეს. აუარებელი ჩონჩხი მქონდა (ნაწარმოებთა — მ. ზ.), ყველა დამეკარგა. 1894 წელმა ჩანთქა 1886 წლიდან განზრახული და ჩონჩხად ჩამოსსმული მოთხრობები“<sup>3</sup>.

გარდა აღნიშნული დანაქლისისა, ამ დაპატიმრების გამო შიომ

<sup>1</sup> ალ. მიქაბერიძე, შიო არაგვისპირელი (მოგონებები, სახით), ლიტ. მუზეუმი, № 13147-ბ.

<sup>2</sup> ანა ხახუტაშვილი, მოგონება, ლიტ. მუზეუმი, № 20554-ბ.

<sup>3</sup> შ. არაგვისპირელი, „ავტობიოგრაფია“, ლიტ. მუზეუმი, № 16 066-ბ.

ეროი წელიწადი დაკარგა და მხოლოდ 1895 წელს მოახერხა ინსტიტუტის დამთავრების დიპლომის მიღება.

\* \* \*

სავეტერინარო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შიომ თავის სამშობლოს მოატანა. აქეთ მოიწვედა მისი გული და გონება. აქ ეძებდა დამშვიდებას, დაკმაყოფილებას მისი მუდამ მაძიებელი, მდიდარი ბუნება, აქ ეძებდა სამოღვაწეო ასპარეზს, გაჭირვებული, ყოველი მხრიდან შევიწროებული მშრომელი მოძმისადმი სასიკეთოდ ამოქრავებული მისი ფაქიზი გული და მისწრაფება.

1895 წლის 1 ივლისს შიო ქ. თბილისის თვითმმართველობის სამსახურში სასაკლავო უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე დაინიშნა. მაგრამ შიოს მართალი, პრინციპული, სიმრუდესა და სიყალბეს შეურჩეველი სპეტაკი ბუნება ვერ ითმენდა დაწესებულებაში არსებულ უმსგავსოებას, ხალხისათვის მავნე მოქმედებას. ცხადია, შიო ასეთს პირობებს ვერა და არ შეეგუებოდა; იქ დიდხანს ვერ გაჩერდებოდა. და აკი: მართლაც, ის მალე აითვალისწუნა სასაკლავო უფროსმა, რომელსაც მხარი მისცეს თბილისის თვითმმართველობის მამებმა. შიო იქულებული შეიქნა სამსახურისათვის თავი მიენებებინა.

აქედან იწყება შიოს სამსახური ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. 1897 წლის 15 იანვარს თბილისის გუბერნატორის მიერ შიო დანიშნული იქნა თბილისის გუბერნიის შტატგარეშე ვეტექიმის თანამდებობაზე. 1902 წელს კი ახალციხის მაზრის ვეტექიმად განაწესეს.

1897—1907 წლებში შიო ჩაბმულია საქონლის კირთან ბრძოლის საქმეში თბილისის გუბერნიაში; სადაც კი ეს სენი გაჩნდებოდა, შიოც იქ იყო და დიდი დაკვირვებით, მონდომებითა და წარმატებით ებრძოდა კირს.

ხალხის შვილს, ხალხის — გლეხკაცობის ძალის, ნიჭისა და უნარის კარგ მცოდნეს და ღირსეულად დამფასებელს, შიოს, გლეხთა ცხოვრებისათვის ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული თავისი მუშაობის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. მას სწამდა და ხედავდა კიდევ, რომ მისი მუშაობა გლეხკაცობას შემწვობასა და დახმარებას უწევდა. ეს გარემოება მას აკმაყოფილებდა, ახალისებდა; ამიტომ შიო არ ზოგავდა არც დროსა და არც ენერგიას. ის ამ საქმეში დაუღალავი და შეუღარებელი იყო. „შიოს მუშაობა ამ ასპარეზზე, — წერს შიოს ანლო მეგობარი, ვეტექიმი მიხეილ მირიანაშვილი, — მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და ამიტომ ის დიდ ზნეობრივ კმაყოფი-

ლებას განიცდიდა. თბილისის გუბერნიის გლეხობაც, სადაც კი მას უმუშავნია, დიდის პატრუისცემით და სიყვარულით იხსენიებს შიოს<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ შიო თავის საქმის იშვიათი მცოდნე იყო, მუშაობაში მუყაითი. კეთილსინდისიერი და უანგარო, მაინც ქალაქის მამები მას არ აწინაურებდნენ. მას გამუდმებით უხდებოდა მუშაობა პროვინციებში, ოჯახისაგან მოშორებით, თავისი მოწოდების — მწერლობისათვის არახელსაყრელ, ხელისშემშლელ პირობებში.

\* \* \*

1902 წელს შიო არაგვისპირელი დაოჯახდა. ცოლად შეირთო ექიმი მ ა რ ი ა მ ბ ა ქ რ ა ძ ე. როგორც ირკვევა, შიო არაგვისპირელი მარიამ ბაქრაძეზე დაქორწინებამდე ადრე გატაცებული ყოფილა ვინმე ელისაბედ (ვეტა) ყიფიანით, რასაც მისთვის სრული იმედის გაცრუებით ჩაუვლია. რომანი დაწყებული და დამთავრებულია 1898 წელს დაბა სურამში. შემონახული წერილები იშვიათი სიმძაფრით გვიხატავენ როგორც შიო არაგვისპირელის ჭეშმარიტად ღრმა გატაცებას, მის შინაგან დუღილს, ისე მისი ხასიათის სიმტკიცესა და ფაქიზ, თავმოყვარე პირდაპირ ბუნებას, რომელიც მიუხედავად დიდი მორიდებულობისა. არ გაუბრბის არც გრძნობის გამოხატვას, ადვილად ხვდება პირად შეცდომასაც და თავისი თავიც ხელში აპყავს.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის შიო არაგვისპირელის ცხოვრების ამ უცნობი ფურცლების გაცნობა. ამიტომ თვით წერილებს ავამეტყველებთ. ეს რომანი არაჩვეულებრივი სისწრაფით გამომეღავენდა და ასევე სწრაფად დასრულდა.

შიო არაგვისპირელი 1898 წლის 9 სექტემბერს ელისაბედ ყიფიანს სწერს შემდეგ წერილს: „იქნება, პატივცემულო ელისაბედ, ბევრი ვინანო ამ წერილის გამოგზავნის შემდეგ, თავბედი ვიწყევლო, მაგრამ უკიდურესობამდის მივიდა ჩემი მოთხოვნა. აი მიზეზი, რატომ ეხლა გავბედე და წერილს მივმართე. პირადად მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, არ ვიცი რად, რისთვის?... პირველ ნახვავზევე მოვიხიბლე და იღუმალი ხმა დღემუდამ ჩამჩურჩულებს მას შემდეგ ერთსა და იგივეს: „ეგ არის, რომელსაც შეუძლიან ჭირი და სიხარული გაგიშალოს“. მრწამს, გეფიცებით, ელისაბედ, მრწამს ამ სიტყვების სინამდვილე, მაგრამ ეს სულ მეტია. მიყვარხართ!..“

აი პირველი და უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც ყოველთვის მოისმენთ ჩემგან. მგონი ეს საქმარისია თქვენთვის, მიჰხედეთ, რის თქმაც ასე მიძნელდებოდა აქნობამდის. მხოლოდ ერთსა გთხოვთ: არავითარ

<sup>1</sup> მიხეილ მირიანაშვილი, შიო არაგვისპირელი, როგორც ვეტერინარი. ლიტ. მუზეუმი, № 16121-ბ.

გარემოებას ყურადღება არ მიაქციოთ და ისე, თქვენი გულისთქმა მიპასუხოთ. ხომ კარგად იცით ცალმხრივობა არავითარ შემთხვევაში არ ვარგა, და მით უმეტესად ამ შემთხვევაში. გაფიცებთ ყოველივე წმინდას, თუ კი წმინდათ მიგაჩნიათ რამ, არ შემობრალთ და პირდაპირ მიპასუხოთ სინამდვილე. დრო არის, მგონი, თქვენც დამეთანხმებით, რომ ოცნებას ფრთები შევაკვეცო და სინამდვილეს დავუბრუნდე... მაშ ეგრე. მოუთმენლად ველი თქვენგან პასუხს.

მარად თქვენი ერთგული შ. ი. დ. და ბ. რ. შ. ვ. ი. ლ. ი.<sup>1</sup>

შოი არაგვისპირელის ასეთ მგრძნობიარე წერილზე, როგორც ჩანს, ელისაბედ ყიფიანს დროზე ვერ მოუფიქრებია თუ ვერ მოუხერხებია პასუხის გაცემა. შოი არაგვისპირელი პირველი წერილის გაგზავნის მეცხრე დღეს, 1898 წლის 18 სექტემბერს, ელისაბედს კვლავ სწერს განმეორებით წერილს:

„არ მოველოდი თქვენგან, ქ-ნო ელისაბედ, პასუხის გაუცემლობას. გთხოვდით, მიპასუხეთ-მეთქი, მაგრამ თქვენ, არ ვიცო, რას მივაწერო, პასუხის ღირსად არ გამხადეთ. იქნება შეურაცხყოფადაც მიიღეთ ჩემი სულელური წერილი?! თუ აგრეა, ვნანობ, მოტყეებას გთხოვ!

ამასაც კი ვფიქრობ: ვაითუ არ მიიღეთ წერილი. ეს თხოვნა მაინც შემისრულეთ: მიიღეთ ჩემ წერილი, თუ არა? მაცნობეთ ერთი სიტყვით: „მივიღე“, რომ გამოვერკვიო. მაშ ამისრულებთ ამ თხოვნას. მაინც. გიგზავნით ამასთანავე ფოსტის ბარათს.

მარად თქვენი ერთგული შ. ი. დ. და ბ. რ. შ. ვ. ი. ლ. ი.

წ. კ. კიდეც და კიდეც პატიებას გთხოვთ. პირველი და უკანასკნელი იქნება ეს წერილი. აღარ შეგაწუხებთ წერილებით კი არა, ჩემის ხილვითაც. იმედია, თუკი პასუხის ღირსად არ გამხადეთ, ჩემი ნახვაც არ გესიამოვნებათ.

მშვიდობით! იყავით ბედნიერი. გისურვებთ ყოველგვარ ბედნიერებას.

შ. დ.“2.

როგორც ჩანს, ელისაბედმა ახლაც დაუგვანა შოის პასუხი. გრძნობამორეული, მდგომარეობის გაურკვეველობით შემუფთოებული, თავმოყვარეობაშელახული, დაეჭვებული შოი მეორე წერილის გაგზავნის მეხუთე დღეს, 1898 წლის 23 სექტემბერს, კვლავ სწერს ელისაბედს უკანასკნელ წერილს:

„მეორე წერილში გეხვეწებოდით: ერთი სიტყვით მიპასუხეთ:“

<sup>1</sup> ლიტ. მუზეუმი, № 16023-ბ.

<sup>2</sup> ლიტ. მუზეუმი, № 13019-ბ.



„მივიღე“ და ამით გაათავეთ ყველაფერი. მეც ამის შემდეგ მეორე წერილს პირველ და უკანასკნელად ჩავთვლიდი. მეტად აღარ შეგაწუხებდით. მაგრამ თქვენ არც ეს უბრალო თხოვნა შეიწყნარეთ; ისე გაამაყებულხართ, რომ... ეჰ! რაღაც გაწუხებთ?!

იცოცხლე, ვეტა, რა ტკბილი, ნეტარი ოცნება შემერყა, შემემუსრა თქვენის სიამაყის წყალობით?.. ვფიქრობდი: „არის ისეთი ქალი, რომელიც შეიძლება სათაყვანებელი იყვეს, რომელიც შეიძლება თითოთ აჩვენო და უთხრა: „აი თუ ქართველობას რიგიანი ქალი არა გვყავს. მაშე ს ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა რ ა რ ი ს? ვის შეეძლო ჩემთან ეთქვა: ჩვენ უცხო ტომის ქალს მეგობრებად ვარჩევთ იმისათვის, რომ ქართველებს სამეგობრო ქალები არა გვყავსო. თქვენით ვამაყობდი, თქვენ მყავდით თითოთ საჩვენებელი და თქვენით ვაჩუმიებდი. მაგრამ ეხლა თქვენი სიამაყის წყალობით უიარაღო ლამის არის შევიქმნე. ლამის არის ვამართლო ის ყმაწვილები, ვინც ზემომოყვანილ სიტყვებს გაიძახის.

ჩემი პირველი წერილი იმას კი არ ნიშნავს, უეჭველად ჩემი ცხოვრების თანაზიარად ჰყოფილიყავით. რასაკვირველია, ეს ჩემთვის სანეტარო არის და იქნება, მაგრამ ძალად ვინ გაკისრებინებთ, ვინ? ეგ თქვენ ხელთაა. ჩემთან იქნებოდით, თუ სხვას აირჩევდით, მაინც სათაყვანებელი იქნებოდით, მაინც თითოთ საჩვენებელი, რომ მაგრე კადნიერად, მაგრე მასხარად არ გაგებხადათ ის, რაც არ არის მასხრობის ღირსი, რაც ყოველ ადამიანში საპატივემულაა. თქვენ წინ მოიტანეს წმინდა მსხვერპლი სამსხვერპლოთი. ეგ თქვენ ხელთაა, შეიწირავთ, თუ არა. მაგის უფლებას ვერავინ წაგართმევთ, მაგრამ სამასხროდ, სანაგვედ არავინ არავის გაახდევინებს. ყველას მოსთხოვენ პატივისცემით მოეპყრას ამ წმინდა გრძნობას. ყველას მოეთხოვება, ვისაც კი ადამიანის სახე აქვს, ვისაც კი ადამიანის გონება აქვს. მხოლოდ უგუნურს, ბრიყვს ეპატივება.

მე არ მინდა თქვენზე აზრი შევიცვალო; არ მინდა ვიფიქრო ის, რაც ამ გარემოების შემდეგ დაებადება კაცს.

ვერ წარმოიმდგენია, ვეტამ ზიზლით შეჰხედოს ამ წმინდა გრძნობას და წამოიძახოს: „ვიღაც უგვარტომოს გაუბედნია სიყვარულის გამოცხადებაო!“ არა, არა და არა!.. ეს ყოვლად შეუძლებელია. ვეტა ამას არ ჩაიდენდა. თუ ეს მართალია, თუ ეს ასეა, მაშინ... არ ვიცი... თუკი, რომელიც საუკეთესო ადამიანად მიგვაჩნია, ის ასეთ უღირსობას გამოიჩინეს, მაშინ დანარჩენებზე რაღა იფიქროს კაცმა, მაშინ დანარჩენებს რაღა თვალთ უნდა უმზიროს, ან კიდევ რაღა გულით ემსახუროს თუნდა სამშობლოს. ჩვენი სამშობლო ჩვენი ძმები და დები არიან... ასეთ დებს და ძმებს?...

რასაკვირველია, ამის საწინააღმდეგოდ ბევრი რამ ითქმის, ბევრი რამ დაიწერება, მაგრამ ეხლა ამისათვის არა მცალიან და არც მინდა

მეტად შეგაწუხო. ესეც საკმარისია, იმნაირი ანბანური ქეშმარიტებაა, რომ თქვენ უკეთ უწყით. მე მხოლოდ მოგაგონეთ...

მე მაინც იმედს არ ვიტებ. მაინც იმას ვფიქრობ, რომ არ მიგიღიათ წერილები. ან თუ მიიღეთ, ჭფიქრობთ, რა მიპასუხოთ. მაგრამ უარს ფიქრი არ უნდა. თქვით უარი. ეს უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე უპასუხოდ დატოვება და ამით გამოწვეული სასოწარკვეთილები.

პირველ ოქტომბერს ქაიხოსრო აპირებს მცხეთაში ჩამოსვლას. მეც მეწევა, მაგრამ არ წამოვალ, რომ თქვენ არ შეგაწუხოთ ჩემის ხილვით. საქმეს მოვიმიზეზებ და ამით მოვიშორებ ქაიხოსროს.

მაშ ველი წერილს. გვედრებით, ნუ ჩაიდნენ იმას, რაც ადამიანს არ ეპატიება.

მარად თქვენი პატივისმცემელი და...

შ. დ.“.

როგორც ჩანს, შიო არაგვისპირელი უხვად მოწოლილ გრძნობებს ვერ ერევა და ერთგვარი თავშეუყავებლობით განაგრძობს მათ გამოაშკარავებას:

„ვაპირებდი ამით დათავებას, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ კიდევ ხელი მოვკიდე კალამს. ვიფიქრე: „რაკი აქნობამდის მივედი, დეე, ვაუწყებ ყველაფერს. იქნება ამით ისარგებლოს თავის ცენზის ასაწევად, გასათართოვებლად“. მე ამით გუნდს არ გაკუთნებდით. ხომ მრავალია ისეთი ქალები, რომელთაც მიზნად გაუხდიათ მეტი თაყვანისმცემელი ჰყავდეთ?... დამეთანხმებით, იქნება თქვენც ეკუთვნოდეთ და აჰა. საბუთს გაძღვეთ, რომ თქვენს ტოლს და ამხანაგს გაუზიაროთ ჩემი სულისკვეთება, სასიქადულოდ გქონდეთ.

მივიღებ თქვენგან წერილს, თუ არა, ეხლა ჩემთვის სულერთია. ეს წერილი უკანასკნელი იქნება. მხოლოდ ერთს გისურვებთ: ოდესმე თქვენც ჩამდგარიყავით ჩემს გარემოებაში და მაშინ, მხოლოდ მაშინ მიჰხვდებით, რა საზიზღრობასაც ეხლა თქვენ სჩადით ჩემს შესახებ... მაგრამ არა... არა... არა!.. მე ამას არ გისურვებთ. იქნება თქვენ ეს გარემოება ვერ აიტანოთ და ხომ ჩემთვის დიდი უბედურება იქნება.

ღავანებოთ ამას თავი.

მსურს ცოტადენი მოგიტხროთ თქვენდა სასიქადულოდ, რომლითაც თქვენ შეგეძლოთ დაკვენხა, როგორც იცის ქალთა წრემ (მე არ მინდა ამ წრეს მიგასაკუთროთ, მაგრამ, რა ვქნა, როდესაც თქვენი საქციელი ძალას მატანს).

ნეტავი არ მენახევით! განახევით და იმ დღიდან თქვენი სახე მოსვენებას აღარ მაქლევდა. თქვენი სახე სულის სიდიდით, გონების მუშაობით იყო აღბეჭდილი და, აი, ამან მომხიბლა. გეხსოვებათ, პირველად დე მ უ რ ი ა ს ქვრივთან რომ გაგიცანიოთ. არ ვიცნობდი მაშოს. მაგრამ უცნობ ოჯახში მივედი, მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენ გამეცა-

ნით, რომ თქვენთვის მეზობრა. ამავე დროს ვგრძნობდი ჩემს თავს დამნაშავედ, ქურდად. ხომ ქურდულად გათვალისწინებდით? ყოველ თქვენს სიტყვას, ნაბიჯს, მიხვრა-მოხვრას ვიპარავდი. ამასვე ვგრძნობდი შემდეგშიაც. ამასვე ვგრძნობდი მცხეთაში და წლეულ ქვიშხეთშიაც. მინდოდა ყოველ წუთს თქვენს სიახლოვეს ვყოფილიყავ, მაგრამ, როდესაც კი დავაპირებდი თქვენს ნახვას, ფეხები უკან მრჩებოდა. ვეიცხავდი ჩემს თავს. ასე ქურდულად გექცეოდით. მინდოდა გადამეხსნა თქვენთვის ჩემი გული, მაგრამ ვერ ვებედავდი. ეხლა გავბედე, და, აი, რა მოჰყვა შედეგად. თითქო ვგრძნობდი ამას, რომ ეს ასე იქნებოდა. ნეტავი ხელი მომტეხოდა და კალმისთვის ხელი არ მომეკიდნა. მაშინ ხომ კიდევ ისე ქურდულად მაინც შემეძლებოდა თქვენი ხილვა. ენით კი, პირადად, დარწმუნებული ვარ, ვერ გაგიბედავდით, რადგანაც ჩემი ენა თქვენს ნახვაზე დამბლავდებოდა და ლაპარაკსაც კი ვეღარ ვახერხებდი, გინდაც სულ სხვა საგანზე მდომნოდეს ბაასი. აი ამისათვის გწერდით პირველ ჩემს წერილში: „იქნება ჩემი თავი ვლანძლო-მეთქი? ვლანძლავ კიდევ, რომ მე თვითონ მოვსპე საშუალება თქვენის ხილვისა. რომ არ მომეწერა, ხომ მექნებოდა კიდევ საშუალება მენახვეით ხანდახან. ეხლა კი... სამუდამოდ უნდა გამოვესალმო ამ ნუგეშს...“

კიდევ მოგწეროთ?

აგერ მეორე ფურცელს ვათავებ და ჯერ შეათასე ნაწილი არ მითქვამს. ჩემს თავს რომ ნება მივცე, მთელი ერთი თვეც რომ ვწერო, არ მომწყინდება. მაგრამ თქვენ?... თქვენ ხომ გეწყინებათ, რომ „ვინაა ცი და ბერი შვილი გიბედავთ ამის მოწერას“.

მაშინ დავდუმდები საუკუნოდ და თქვენ, ვეცდები, აღარ შეგაწუხოთ წერილით.

მე პასუხს აღარა გთხოვთ, ხვეწნა მეტია. ეს კი, თუ გინდათ, თქვენის ცენზის, როგორც ზევით გწერო, ასაწევად გამოიყენეთ.

მშვიდობით, მშვიდობით იყავით, ჩემო(?) ვეტა (გიბედავთ უკანასკნელად).

დ. სურამი. შ. დ.<sup>1</sup>

შიო არაგვისპირელის სამიჯნურო წერილების მოყვანა მთელი სისრულით მოგვიხდა. ვშიშობთ, ხომ არ დაეტვირთეთ მწერლის ცხოვრების გზის გადმოცემა. მაგრამ ეს წერილები იმდენად საგულისხმოა, იმდენად ზედმიწევნით კარგად ამჟღავნებს შიო არაგვისპირელის ჩვეულებრივ, დაფარულ, მიმზიდველ ბუნებას და ამასთან ისეთი დიდი უშუალობით, რომ ისინი მხატვრული შემოქმედების ხასიათს იღებენ. ამიტომ გავგიჟირდა მათი შეკვეცა. ისინი ან მთლიან

<sup>1</sup> ლიტ. მუზეუმი, № 16025-ბ.

ნად უნდა გაგვეცნო მკითხველისათვის, ან მათთვის სრულიად არ უნდა გვეხლო ხელი, პირველი ვამჯობინეთ.

შიო არაგვისპირელის მოტანილი წერილების გაცნობის შემდეგ ბუნებრივად აღვეძრა დიდი სურვილი, გაგვეგო ბოლოს და ბოლოს, ელისაბედ ყიფიანმა საჭიროდ სცნო თუ არა, პასუხი გაეცა მწერლის ასეთ ღრმა გრძნობაზე. გულმოდგინე ძიების შემდეგ მწერალთა მუზეუმის არქივში ამ წერილსაც მივაგენით, რომელმაც, როგორც იტყვიან ხოლმე, ცივი წყალი გადაგვასხა, უფრო მეტიც, დაგვსუსხა არა მარტო თავისი დაუფასებლობით ამ ნიჟიერი, კეთილშობილი კაცისა, არამედ პრიმიტიული შინაარსითა და არასწორი ქართული ენით. ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც არ იქნება ის ინტერესს მოკლებული. ამიტომ ისიც სრულად მოგვაქვს:

„ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო ბატონო შიო, რომ აქამდინ ვერ მოვწერეთ პასუხი და ამით კინალამ გაფიქრებინეთ, რომ განგებ არ მოვიწერე, ვითომ არ გაგხადეთ ღირსი პასუხისა. ეს ჩემი გაჩუმება აქამდინ მოხდა ბევრ მიზეზების გამო და არა უნდომელობით. გიპასუხებთ პირდაპირ იმაზე, რაზედაც მკითხავთ: თქვენთან ვგრძნობ ისეთ სიმპატიას, როგორსაც ყველა ჩემს ნაცნობებთან და ეს მე ვფიქრობ ცოტა არ არის. როგორც თქვენ ბრძანეთ, არ ვარგა, რომ ერთი და იგივე გრძნობა არ სუფევდეს იმათში, ვისაც უნდათ ერთად გასწიონ სიცოცხლის უღელი და არა მეტ-ნაკლები, თქვენ ჩემთვის ბრძანდებით და იქნებით პატივსაცემი და სიმპატიური ნაცნობი.

ვრჩები თქვენი მარად პატივისმცემელი

ე ლ ი ს ა ბ ე დ ყ ი ფ ი ა ნ ი.

„უკაცრავად გახლავართ ამნაირი ქართული ენისათვის, მაგრამ ჩემს პასუხს გაიგებდით და ვარჩიე ამ ენაზე მომეწერა.

ე. ყ. <sup>1</sup>.

\* \* \*

ასეთი სულიერი კატასტროფის შემდეგ აღვილი გასაგებია შიო არაგვისპირელის ჩივილით სავსე წერილი თავის მომავალ მეუღლესთან მარიამ ბაქრაძესთან: „თუ გახსოვს, კოჯორში გითხარი, ბუნება მდევნის-მეთქი, როდესაც-კი ვიტყვი: აი, ეხლა მე-შველა და ცოტად თუ ბევრად ვიცხოვრებ, სწორედ მაშინ უცნაურად რაიმე გამომიტყვრება და თავს ბრუს დაგხვევს... ჭერ არ მახსოვს, ისე დამეწყო ცხოვრება, როგორც მე მინდა... არა. ყოველთვის გარემოებანი წინამიდგებიან... ამისათვის იყო, რომ გავურბოდი სიყვა-

<sup>1</sup> ლიტ. მუზეუმი, № 16040-ბ.

რულს და „მეზარებას“ ვიძახდი... თუ არ გეშინიან ამგვარ დევნილ კაცთან კავშირი დაიჭირო, მოდი და, ვიმეორებ, ერთად ვკიმოთ ჭაპანი“<sup>1</sup>.

შესაძლებელია. ელისაბედ ყიფიანთან რომანის კატასტროფამ შიო არაგვისპირელის ხასიათს სამუდამოდ თავისებური კვალი დაამჩნია. აი, რას გადმოგვცემს მისი ქალიშვილი ნუნუ: „ალბათ, ცხოვრების პირობებმა გამოიმუშავეს მამაში ის საშინელი ეჭვიანობა და უნდობლობა, რაც ახასიათებდა მას. მამას ლაპარაკი არ უყვარდა, გულჩათხრობილი იყო, მაგრამ მისი ჭკუა ყველაფერში და ყოველთვის იგრძნობოდა. ზოგჯერ ისე დააღამებდა, რომ ერთ სიტყვასაც არ იტყოდა. სამაგიეროდ სხვისაგან მოყოლილ ამბავს დიდი სიამოვნებით ისმენდა“<sup>2</sup>.

შიო არაგვისპირელის კერძო წერილებიდან მეუღლისადმი შეიძლება დავასკვნათ, მას დაქორწინების სათანადო ხალისი და აღტყინება არ ჰქონდა. მწერალი ამ მიმართულებით გულგრილი იყო. დაოჯახებას ის გონებით სჯიდა მხოლოდ, მას იღებდა როგორც აუცილებელ და საჭირო მოვალეობას. თუმცა ის მეუღლისადმი ყურადღებასა და პატივისცემას, ხოლო შვილებისადმი დიდ სიყვარულსა და მზრუნველობას იჩენდა. მწერლის ქალიშვილი ნუნუ დედაბრისშვილი გადმოგვცემს: „შვილებისათვის მამა მეტად ზრუნავდა... შვილებისათვის ჩუმი ზრუნვა იცოდა. რაც უნდა ჩაგვედინა, არაფერი არ გამოეპარებოდა, თითქოს არ ვვამჩნევდა, მაგრამ ჩვენი ნამოქმედარი ყველაფერი იცოდა“<sup>3</sup>.

დაქორწინების შემდეგ შიო არაგვისპირელი მალე დაწვრილშვილდა, ზედიზედ მიეცა ოთხი შვილი — ორი ვაჟი — ბიძინა და შოთა, და ორი ქალი — ნათელა და ნუნუ.

სამსახურებრივი მდგომარეობა კი ისევ ისე ძძიმე რჩებოდა. სუსტი აგებულების, ავადმყოფ შიოს 1907—1913 წლებში მოღვაწეობა საქართველოს სხვადასხვა მივარდნილ კუთხეში და მძიმე პირობებში უხდებოდა. შიო მაინც არც მუყაითობასა და არც ინტერესს საქმისადმი არ ანელებდა. 1912—1913 წლებში შიო გაგზავნილი იყო ბათუმის ოლქის სოფლებში ვეტერინარული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. თუ რა პირობებში უხდებოდა მას მუშაობა და როგორი შეგნებით ეკიდებოდა თავის მოვალეობას, მშვენიერად ჩანს მისი წერილებიდან მეუღლისადმი.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელის წერილი მომავალ ცოლთან, ლიტ. მუზეუმი, № 15958-ბ.

<sup>2</sup> ნუნუ დედაბრისშვილი, მოგონება, ლიტ. მუზეუმი, № 13341-ბ.

<sup>3</sup> იქვე.

1912 წელს, ნოემბრის 23-ს შიო ბათუმელად მეუღლეს სწერს: „გუშინ დილით, ექვს საათზე, მიველი ბათუმში და ცხრა საათზე კი ისევ „პუნქტზე“ წავედი დასათვალთვლებლად (14 ვერსზეა ბათუმიდან). მხოლოდ საღამოთი დავბრუნდი და მაშინვე დაქანცული დავწეკი. აი ეხლად ავდექი, 8 საათია, და წერილს გწერ. ჯერ კანცელარიაში არ ვყოფილვარ. ხვალ დილით წავალ და იქ გავიგებ ფულის შესახებ და დაწვრილებით მოგწერ... წერილებს „გოსტ. „ვერსალში“ გამომიგზავნი. თუ აქედან ამბარგეს, მაშინ ისევ კანცელარიაზე, როგორც წინათ. მოგწერ ყველაფერს“<sup>1</sup>.

ხშირად დაუზოგველად, მოუურიდებლად „აპარგავდნენ“ ხოლმე შიოს და ისიც ძალაუხერებლად ნებდებოდა ბედსა თუ ხელისუფლების უსამართლო წარმომადგენლებს, რადგანაც ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბეჩავი ხალხის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას, მის უკეთეს მომავალს ემსახურებოდა.

1913 წლის სექტემბრის 21-ს შიო თავისი მოღვაწეობის ახალ ადგილს მეუღლეს ასე აცნობს: „ჩვიდმეტ ამ თვიდან უკვე შევუდექი მუშაობას, თუმცა ტიმაფევი ჯერაც არ მინახავს. სულ 14 ვერსით ვარ დამორებული ბათუმს. შუა ზღვაა. ნავით შეიძლება მისვლა. არის მეორე გზაც ხმელეთით. მაგრამ, ჯერ ერთი, მხოლოდ რვა ვერსის მანძილია გზატკეცილით, თორმეტი ვერსი კი სულ საზიზღარი საცალფეხო გზაა; მეორე კიდევ, რომ მდინარე ჭოროხი უნდა გაიარო, მხოლოდ ნავით შეიძლება გავლა. ეხლა ის მტკვარზე დიდია“<sup>2</sup>.

ასეთ მძიმე პირობებში უხდებოდა ფიზიკურად სუსტი აგებულების შიოს სამსახური. ცხოვრების ასეთი მძიმე პირობები ლუკმაპურის საშოვნელად დამახასიათებელია თითქმის ყველა ჩვენი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისათვის მე-19 საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვეტქიმი მიხეილ მირიანაშვილი გვიდასტურებს, „შიოს დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული თავისი პროფესიის ამხანაგებში (და ხალხში, ვისაც ის ემსახურებოდა — მ. ზ.), როგორც იშვიათი ხასიათის პიროვნებას: მშვიდს, უწყინარს, პატიოსანს, მცოდნეს და უანგაროს“<sup>3</sup>, ხელისუფლებას იგი მაინც ჩრდილში ჰყავდა.

შიოს მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოუხერხდა ოჯა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელის წერილი ცოლთან, 23. XI, 12 წ., ლიტ. მუზეუმი, № 15976-ბ.

<sup>2</sup> შ. არაგვისპირელის წერილი ცოლთან, 21. IX, 13 წ., ლიტ. მუზეუმი, № 15 980-ბ.

<sup>3</sup> მიხეილ მირიანაშვილი, შიო არაგვისპირელი, როგორც ვეტერინარი, ლიტ. მუზეუმი, № 16 121-ბ.

ხის ახლოს სამსახური, ის თბილისის სადგურის ვეტერინარის თანამდებობაზე დანიშნეს.

შიოს პირადი ღირსებით აიხსნება, რომ 1917 წელს 12 ივლისს რევოლუციური გადატრიალების შემდეგ, როდესაც ხალხს აზრის გამოთქმისა და კაცის დაფასების თავისუფლება მიეცა, შიო პირველი იქნა არჩეული კავკასიის ფრონტისა და ზურგის ვეტექიმთა და ვეტფერშალთა ყრილობის მიერ მთავარი სავეტერინარო საბჭოს წევრად პეტროგრადში, როგორც კავკასიის სავეტერინარო ორგანიზაციების წარმომადგენელი.

შიოს, მიუხედავად მისი მორიდებულობისა, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოება და საზოგადოებრივი საკითხები სემინარიის სკამიდანვე ძალზედ იზიდავდა. ის საზოგადოებრივ მოვლენებს მუდამ მხურვალედ ეხმარებოდა როგორც კალმით — მხატვრული სიტყვით, ისე პრაქტიკული საქმიანობით; როგორც სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებით, აგრეთვე თავისი გონიერი, აზრიანი მოღვაწეობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად ყოფნისას, რომლის გამგეობაში არაერთხელ იყო არჩეული.

ცხოვრების მძიმე სოციალური და პოლიტიკური პირობები შიოში გამუდმებით მწვავე რეაგირებას იწვევდა; ბუნებრივმა კეთილშობილებამ და მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებამ მრავალრიცხოვან ოჯახზე მზრუნველობამ, სამსახურებრივ სარბიელზე მუდმივმა ბრძოლამ და უსამართლობასა და ძალმომრეობასთან შეურიგებლობამ სახელმძღვანელო მწერალი შიო არაგვისპირელი დროზე ადრე დააბერა და დააძაბუნა. „უკანასკნელ ხანებში, — გადმოგვცემს მისი ქალიშვილი ნუნუ, — მამა არსად არ დადიოდა, სულ სახლში იყო ჩუმად. წყნარი სახე ჰქონდა, იშვიათად იცინოდა“<sup>1</sup>.

შიო დასნეულდა და გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა 1926 წლის 2 იანვარს ქ. თბილისში. ისევ თბილისის რკინიგზის სადგურის პუნქტის ვეტექიმის თანამდებობაზე, თვეში 90 მან. ჯამაგირით.

შიო არაგვისპირელი დასაფლავებულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

## II. შიო არაგვისპირელის შემოქმედების იდეურ-თემატური განხილვა

შიო არაგვისპირელი თავის „ავტობიოგრაფიაში“ ერთგვარი გულისტიკვილითა და მორიდებით წერს: „წერა დავიწყე ადრე (1886-

<sup>1</sup> ნუნუ დედაბრძვილი, მოგონება, ლიტ. მუზეუმი, № 20 557-ბ.

წლიდან — მ. ზ.). მაგრამ მოკრძალებული ვიყავი და ვერ ვამელაგნებდი. 1889 წელს ერთ ჩემ ნაცნობს მივეცი, ვთხოვე, მიეტანა რედაქციაში და, თუ ცნობდნენ ღირსად, დაებუქდათ. ფსევდონიმიც მხოლოდ იმისთვის გამოვიგონე, რომ ვინაობის გამოამელაგნება არ მიწოდდა<sup>1</sup>.

ასეთი მოკრძალება და მორიდებულობა შიოს შეიძლება მეტნაკლებად, მაგრამ მაინც მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩა. ამით აიხსნება, რომ მისი ნაწერების ბეჭდვა მოგვიანებით, 1890 წლიდან დაიწყო საბავშვო ჟურნალ „ჭეჭილში“. მისი პირველი დაბეჭდილი ნაწარმოები „ჭეჭილში“ იყო „მოგონება“. 1889 წელს შიოს დაწერილი ჰქონია რამდენიმე ეტიუდი, „ჭეჭილში“ სხვისი ხელით დასაბეჭდად გადაცემული. მაგრამ აქედან ორი დაკარგულა: ერთი — „ესაა ჩვენი ცხოვრება!“.. დაბეჭდილია, ხოლო „ჩემო შეინდაე!“ რედაქციას უკან დაუბრუნებია. როგორც „უვარგისი“.

ფართო სამწერლო გზაზე, ისიც მისთვის დამახასიათებელი კრძალვითა და მორიდებით, შიო 1891 წლიდან გამოდის ეტიუდით „ახალწლის დამეს“. მას ზედიზედ მოჰყვა რამდენიმე ნაწარმოები: „სოფლად“ (სურათი ყმაწვილების ცხოვრებისა), „აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „ჩემო შეინდაე!“ (სურათი), „პარამ-ხანის სურათი“ (ფსიქოლოგიური ეტიუდი) და სხვ.

შიო არაგვისპირელის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ჩვენი წამყვანი მწერლები და მკითხველი საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ.

შიო არაგვისპირელი ქართულ მწერლობაში შემოდის საკუთარი ხმით, შემოქმედების თავისებური სტილით, შემოქმედების ახალი ჟანრით — ნოველით. მას მთელი მოღვაწეობის მანძილზე განუხრებლად ნოველა აქვს გამოყენებული. ის ნოველისტია. შიო არაგვისპირელის მიერ ნოველის ჟანრის გამოყენება-განვითარება შეიძლება აიხსნას ძველი ქართული ლიტერატურის (სულხან-საბა ორბელიანის „სინბრძნე-სიცრუისას“) გავლენით, აგრეთვე ამორიცხული არ არის დიდი რუსი ნოველისტის ანტონ ჩეხოვის გავლენა.

ნოველის ცნება. შიოს გავებით, თავისში ითავსებს სხვადასხვა სახის პატარა მოცულობის ჟანრებს, როგორცაა — ეტიუდი, ესკიზი, სურათი, წერილი. ამბავი, მონოლოგი და აგრეთვე მათი, ნოველის სხვადასხვა ნიუანსის გამოხატველი ქვესათაურებით, როგორცაა წერილის ნაგლეჯები. ფსიქოლოგიური ესკიზი, ფსიქოლოგიური ეტიუდი, საახალწლო ეტიუდი, ნამდვილი ამბავი, გაგონილი ამბავი და ა. შ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პატარა მოცულობის

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, ავტობიოგრაფია, ლიტ. მუზეუმი, № 16 066-ხ.



ამბავში, რასაც ნოველა ადვილად და მოხდენილად გადმოსცემს, შიო არაგვისპირელი მახვილ ინტრიგას ეძებდა და საბოლოო გამოხსნას პოულობდა.

შემოქმედების ეს უნარი ეპოქის მაჯისცემას, განწყობილებას, როგორც ჩანს, პასუხობდა, შეეფერებოდა. 90-იანი წლების ლიტერატურისათვის ნოველა დამახასიათებელი იყო. ამით აიხსნება, რომ შიოს ქართულ მწერლობაში უმალ გაუჩნდნენ მიმდევრები, როგორც იყვნენ: თ. ხუსკივაძე, ა. დეკანოზიშვილი, ილ. ელფთერიძე, ივ. ზურაბიშვილი, ნატო და სხვ.

შიო არაგვისპირელი აღიზარდა ქართველ თერგდალეულთა და ხალხოსან მოღვაწეთა საბუღარში და აგრეთვე რუსეთის 60—80-იანი წლების ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედებაზე. მან ზედმიწევნით კარგად აითვისა ამ მწერლების ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი და მოღვაწეობის დასაბამიდანვე კრიტიკული რეალიზმის პრინციპებზე მტკიცედ დადგა. თავის „უბის წიგნაკში“ შიო მწერლობის დანიშნულებას ასე განმარტავს: „უტყუარი სურათი ცხოვრებისა უნდა აიწეროს, ადამიანის ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრება“<sup>1</sup>.

უტიულში „გრძნეული ციხე“ შიო თავის გმირს ბესოს, „გრძნეული ციხის“ ხილვით განცვიფრებულს, შეხედულებას ხელოვნებაზე და ხელოვანზე ასე გამოახატვინებს: „ახ, უდიდესი ხელოვნის, ესე იგი, გენიის ენა, მჭევრ-მეტყველის ნიჭი უნდა მქონდეს, რომ ისე ნათლად, ისე მკაფიოდ გადმოვცე, როგორც ვნახე. ან კი იყო ასეთი ხელოვანი ოდესმე ქვეყნიერებაზე, რომ ისე ნათლად გადმოეცეს, ისე ხელოვნურად, როგორც უნახავს; ან შექმნას ისეთი სურათი, როგორსაც ჰქმნის ბუნება?! არა მგონია!.. მაშ, ჩემო კარგო, გაკვრით აგიწერ, რაც ჩემმა თვალებმა იხილეს, და შენ კი შენს ფანტაზიას ძალა დაატანე სურათის შესავსებად“<sup>2</sup>.

აქედან, ცხადია, სინამდვილე, გარემო ცხოვრება, შიოს გავებით, ხელოვნების დაუშრეტელი წყაროა. ხელოვანი, მწერალი, მეტ-ნაკლები ნიჭის მიხედვით, მხოლოდ მიახლოებით ახერხებს სინამდვილის განსახიერებას და რომ სინამდვილე უფრო სრულყოფილად განიცადოს, მკითხველმაც ხელოვნის შემოქმედებას თავისი ფანტაზიაც უნდა მიაშველოს, აამოქმედოს. აქ გარკვეულად იგრძნობა ჩვენი და 60—80-იანი წლების მწერლობის, კერძოდ, დიდი რუსი მოაზროვნე-თეორეტიკოსის ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა შიოზე.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, უბის წიგნაკი, ლიტ. მუზეუმი, № 16082-ბ.

<sup>2</sup> შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 11, 1947, გვ. 84.

შიო არაგვისპირელის რეალისტური მიმართულების ძირითადი პრინციპია. გამოხატოს ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენები, ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი ხასიათითა და ქცევით, სადად, მოკლედ, რეალისტურად. მწერალი ამ სინამდვილეს ისე ხატავს, თითქოს მოცემულ სურათში თუ მოვლენაში არაფერი აღირსშესანიშნავი, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად განიცდის ამ ყოველდღიურობის იქით რთულ მდგომარეობას, რთულ აზრს და მისდამი მწერლის ღრმა დამოკიდებულებას. შიო არაგვისპირელმა მოცემულ წვრილმან მოვლენებსა და პატარა, დაბეჩავებულ ადამიანებში მკითხველს თვალსაჩინოდ დაანახვა განზოგადებული სახე ცხოვრების არსებულ პირობებში შექმნილი ადამიანისა, მკვეთრად ავრძნობინა მას არსებობის რთული ფსიქოლოგიური, სოციალური და ფილოსოფიური არსი. ესაა შიო არაგვისპირელის შემოქმედების ძირითადი წამყვანი სტილისტიკური ნიშანი, რაც მის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს.

შიო არაგვისპირელი თავისი შინაგანი განწყობილებით, შინაგანი დულილით მიისწრაფვის გონიერი, აზრიანი საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ. ამისათვის საყრდენს იგი გარემო ცხოვრებასა და უპირველესად ადამიანში ეძებს. მაგრამ მწერალი, ახლოს ეცნობა რა ადამიანს, უყვირდება რა მის ფსიქოლოგიას, რწმუნდება მის დამახინჯებულ ბუნებაში. მწერლის დანახვით, ადამიანი საცოდავი, უბადრუკი, ეგოისტური არსებაა, სავსე ფარისევლობით, ვერაგობით, ორპირობითა და სიყალბით. ხედავს რა სინამდვილეს ამგვარი განასერით თუ გაგებით, მასში საგრძნობლად ვითარდება სკეპტიციზმი, ადამიანის უქნარობის, ხშირად მისი არარაობის რწმენა. სკეპტიციზმიც შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთ-ერთი სტილისტიკური ნიშანია.

მართლაც, ადამიანთა გარკვეული, შეიძლება უდიდესი ნაწილი, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ასეთია. შიო ანგარიშს არ უწევს, სათანადოდ არ ამახვილებს კლასობრივი საზოგადოების ბუნებას, კლასთა შორის გამწვავებულ წინააღმდეგობას სათანადოდ არ ამწვავებს, ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ადამიანთა უარყოფით თვისებებს ის ანზოგადებს.

ამითაა განპირობებული თუ გამოწვეული შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთი არსებითი თვისება.

შიო თავისი ნოველების მასალას ქართული სინამდვილიდან ჰკრებს. მაგრამ თემის გაშლა-განვითარებაში ჩვენი ცხოვრების სპეციფიკა, თითქოს შეუმჩნევლად ადგილს უთმობს მოვლენის თუ საგნის მსოფლიო ასპექტში გაგება-გახსნას. ამიტომაც შიო არაგვისპირელის შემოქმედების მასალად ქართული სინამდვილე რჩება, მაგ-

რამ თემა საერთო-საკაცობრიო პრობლემადაა გადაქცეული: პიროვნებისა და საზოგადოების შეჯახება, წინააღმდეგობა ბედით კმაყოფილთა თუ ბედუკუღმართთა შორის. ადამიანის ბედნიერება თუ უბედურება, მწერლის ჩვენებით, ხშირად უაზრო შემთხვევებით იქსოვება და წყდება („ესაა ჩვენი ცხოვრება!“ „აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „ყველაი დავეარგე!“ და სხვ.).

\* \* \*

შიო არაგვისპირელის გულისყურს და შემოქმედებას ძირითადად იზიდავდა ბედუკუღმართი ცხოვრება, მისი, თითქოს, გამოუცნობი მოძრაობის გაგება-გახსნა და მისი სინამდვილით ასახვა. სამწუხაროდ, შიოს პირველი მწერლობის ნიმუშები, 1886 წლიდან რომ დაწყებულია, ჯერჯერობით ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, ვინაიდან ხელნაწერი, როგორც თვით მწერალი „ავტობიოგრაფიაში“ გვიდასტურებს, ვარშავის ჟანდარმერიას მწერლის დაპატიმრების დროს (1894 წ.). მთლიანად წაუღია. გავიხსენოთ მწერლის სიტყვები: „ცხრა თვე ვიყავი მარტოობაში (ციხეში დაპატიმრებული — მ. ზ.). მაშინ ბევრი ხელნაწერი წაიღეს. აუარებელი ჩონჩხები მქონდა. ყველა დამეკარგა. 1894 წელმა ჩანთქა 1886 წლიდან განზრახული და ჩონჩხებად ჩამოსხმული მოთხრობები“<sup>1</sup>.

შიო არაგვისპირელის პირველი დამთავრებული დაბეჭდილი ნაწარმოებები გლეხთა ცხოვრებას გვისურათებს. ეს სრულიად ბუნებრივია. შიო ხომ გლეხთა წრიდან გამოსული სოფლის ხელმოკლე მღვდლის შვილია. ის გამუდმებით ახლოს იდგა ხალხის ცხოვრებასთან. განსაკუთრებით მამის სიკვდილის შემდეგ მძიმე ოჯახურმა პირობებმა ის უფრო დაახლოვა ხალხთან, მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ნიჭიერმა ბავშვმა — შიომ აღრევე კარგად გაიგო ხალხის ცხოვრების ღუხჭირი მდგომარეობა, მისი ლხენა და ჭირი, მისი მისწრაფებანი. ბავშვის ეს შთაბეჭდილებანი გააღრმავა და გაამახვილა სემინარიაში სწავლამ, მის მოწინავე, გონებაგახსნილ მოწაფეებთან დაახლოვებამ, მათთან გონების ვარჯიშმა. ამასთან ახალი ქართული ლიტერატურის და რუსეთის 60—80-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულმა მიმართულებამ, ექვს გარეშეა, შესამჩნევად შეუწყო ხელი გლეხის მომავალი ცხოვრებისადმი ინტერესის გაღრმავებას. გლეხისა და ინტელიგენციის ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი, აქტუალური, წამყვანი პრობლემა იყო მთელი ეპოქის ლიტერატურისა და

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, ავტობიოგრაფია, ლიტერატურული მუზეუმი, № 16 066-ბ.

საზოგადო აზროვნებისათვის — როგორც თერგდალეული, ისე ხალხოსანი მწერლებისათვის.

შიო არაგვისპირელს თავის „უბის წიგნაკში“ აი როგორი საგულისხმო აზრი ჩაუწერია: „ინტელიგენტი რადაცას ეძებს, რას, თითონაც არ იცის. ამისთვის ის გარემოებას ჰლანძღავს. თავის ძალღონეს ფუქსავატობაში ატარებს, იბნევა; იძახის, მხარი რომ მოეცათ სხვებს, ქვეყანას ვიხსნიდიო. გლეხი?.. გლეხს გარკვეული გზა აქვს, ის მუშაობს. ოჯახის გაძლიერება აქვს მიზნად. მას ყოველი წინ წადგმული ნაბიჯი ამ მიზნისათვის, თუნდაც ორი კოდი პური მეტი მოვიდეს წინა წელიწადთან შედარებით, რა საშინლად ახარებს ეს მცირე წინ წასვლაც. ცოტა უკან ჩამორჩენა საშინლად აღონებს. მაგრამ იცის, რატომ დაღონდა და უფრო მეტი ენერჯით ჰკიდებს. ხელს, მომავალში საქმე გაასწოროს და, თავისი მიზნის მისაღწევად, ნაბიჯი წინ წასდგას. წარსული შეცდომა შეასწოროს. ინტელიგენტი კი პირველსავე შემთხვევაში ფარ-ხმალს ძირს უშვებს და თავს დევნილად აცხადებს“<sup>1</sup>.

რა ზედმიწევნითი სიზუსტით, ჩაწვდომითაა მწერლის მიერ განცდილი, გაგებული და გამოთქმული როგორც გლეხის, ისე წვრილბურჯუაზიული ინტელიგენციის ბუნება და მისი ქმედობის უნარი.

ერთ-ერთ დაუმთავრებელ და დაუბეჭდავ ეტიუდში „ორი სურათი“ შიო არაგვისპირელი ნიშანდობლივი დახასიათებით გვაძლევს გლეხისა და სახელმწიფო მოხელეთა ყოფის სურათს და მათ დიამეტრალურად სხვადასხვა ბუნებას: გლეხის—მშრომელი ბუნება და მისი ზომაზე მეტად შევიწროება; მოხელეთა — დაუდევარი, უაზრო და უპასუხისმგებლო მოქმედება.

მოვიტანთ ორივე სურათს:

პირველი:

„გლეხი ზის, სთვლის წლის ნაშრომს... სულ კაპეიკიანები უყრია პარკში... სწუხს... სახელმწიფო გადასახადებს ვერ აუდგა... კიდევ აკლია...“

ამ დროს მოდიან<sup>2</sup> იასაულები, ბოქაული თავის „სტრატეგიებით“, წართმევენ კაპეიკებით სავსე პარკს და ერთ ხარს. ეს სახელმწიფო გადასახადში!... ემუდარება: „ხარი ნუ მიგყავთ... ვეცდები, ჩქარა შევაგროვო“... პასუხად მათრახნი.

მეორე:

„კაბინეტი რესტორანში, მაზრის უფროსი „პოდატნოი“ ინსპექტო-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, უბის წიგნაკი, ლიტერატურული მუზეუმი. № 16 082-ბ.

რი, ბოქაულები და მათი გულის ნადებნი ქეიფობენ... ეს არის გუბერნატორი გააცილეს...“<sup>1</sup>.

ასეთი იყო მწერლის ეპოქაში. ცოცხალი სურათი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა. ეს სოციალური სხვადასხვაობა შიო არაგვისპირელისათვის მთელი მისი ცხოვრების მანძილზე მძიმე, ზტანჯველი პრობლემა იყო.

შიო არაგვისპირელი კარგად იცნობს ისტორიულად გამუდმებით შეეიწროვებულ პირობებში მყოფი გლეხკაცის გამძლე ბუნებას; კარგად ითვალისწინებს, რომ მიუხედავად მძიმე, აუტანელი პირობებისა, გლეხი ერის ცხოვრებაში მუდამ სალი. საიმედო, გამძლე ძალა იყო. ამისდა მიუხედავად, შიო დიდი გულისტკივილით ხედავდა გლეხის დაუფასებლობას როგორც პრივილეგიური კლასების მიერ, ისე ხელისუფლებისაგან. შიო არაგვისპირელს ღრმად სწამს ხალხის, დაბალი ფენის დიდი როლი და შესაძლებლობა ქვეყნის ახალი, აღორძინებული, თანასწორუფლებიანი, ბედნიერი ცხოვრების გამოქედვის საქმეში.

შიო, როგორც ხალხის ნამდვილი შვილი, ქვეყნის წარმატების სურვილით დაკოდილი (ეს ეპოქისათვისაც იყო დამახასიათებელი), ბრმათა, მიუხევედრელთა, პირადი კეთილდღეობის უანგარიშოდ შეპყრობილთა დანახვისა და გამოფხიზლების მიზნით, მთელ რიგ მოთხრობებსა და ნოველა-ესკიზებში (სოფლისა და მისი მოსახლეობის ყოფის ზედმიწევნითი ცოდნით) დიდი თანაგრძნობითა და ობიექტურად გვიხატავს გლეხს მის ყოველდღიურ გარემოში, მისი საქმიანობა-ინტერესით („ესაა ჩვენი ცხოვრება!..“, „ჩემო შვინდავ!“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!..“, „მამას მიწა მივაყალებო!..“. „მერე, რილათი იცხოვროს?!“, „ადე, ჩამოვიდა!..“ და მრავალი სხვ.).

შიო არაგვისპირელის გაგებითა და ჩვენებით, გლეხი თავისი ბუნებით ძირითადად სალი, ენერგიით სავსე. აზრიანი, ხალისიანი, ალალმართალი, მოძმის მოსიყვარულე და დამხმარეა. და ეს იმიტომ, რომ გლეხკაცი, ბავშვობიდანვე უშუალოდ და ბუნებრივად ეჩვევა, ესისხლხორცება შრომას. მას მძიმე, ფიზიკური შრომაც კი ხალისსა და სიამოვნებას ჰგვრის, განსაკუთრებით, როცა ის აღწევს მიზანს.

შიო არაგვისპირელის მოთხრობაში „ჩემო შვინდავ!“ დიდი დამაგერებლობითაა მოცემული გლეხის პატარა ბიჭის, სოსოს შრომისმოყვარეობა, მოვალეობისა და ოჯახზე ზრუნვის პასუხისმგებლობა. ექვსი წლიდან სოსო ოჯახის სასარგებლო შრომას ეწევა ხალისითა და სიყვარულით. ექვსი წლისა იყო სოსო, ძროხამ რომ ხბო (შვინდა).

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, ორი სურათი, ლიტერატურული მუზეუმი, № 11 073-ბ.

მოიგო და მას შემდეგ ხბოს სულ სოსო უვლის. ყოველ ცისმარე ღღეს სოსო შეინდას ბალახს უზიდავდა და თავისი ხელით აკმევდა.

სოსო ათი წლისა რომ გახდა, გუთანზე დასვეს ღღის მეხრედ. როგორც გუთნისდღეა, ქიტესა ახასიათებდა, სოსო იშვიათი, ბეჯითი და ხალისიანი იყო. „...ჯერ თითის სიგრძე ბალღია-მეთქი, — ამბობს ქიტესა, — და ახლავ ისეთს უნარს იჩენს, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს. ეგ რო არა გვეყვანდეს გუთანზე, სულ უგემური იქნებოდა ჩვენი ხენა. ამ ქალაქია-ღღე ისეთს „ოროველას“ დასძახის და ისე ერეკება წინა ხარებს. რომ კაცსაც და ხარსაც დაღაღვას არ გვამჩნევენებს...“<sup>1</sup>.

ვარდა მეხრეობისა, ათის წლის სოსო, — გვამცნობს მწერალი, — იჩენს განსაცვიფრებელ მზრუნველობას, შრომისუნარს, სიყვარულს ღღისადმი, ეხმარება ოჯახს, ამჟღავნებს გამძლეობასა და გამბედაობას მოვალეობის შესრულებისას (საშინელ ამინდში — წვიმა-ქექა-ქუხილში, შეინდას ეძებს და რა სიხარულს განიცდის მისი პოვნისას!). ხალისიანი შრომა, ბრძოლა დაბრკოლებათა გადასალახავად, მათი დაძლევა და მიზნის მიღწევით გამოწვეული სიხარული-კმაყოფილება, აი ნამდვილი ბრძმედი გლეხის ჯანსაღობის, უნარისა და მოქმედების გამომუშავებისა, რასაც კარგად გვიჩვენებს მწერალი ამ სერიის ყველა ნაწარმოებში.

სოსოს სახით შიო არაგვისპირელი მიმზიდველად გვიხატავს არა მარტო იმ პატარა გლეხი ბიჭის სვე-ბედს, მის გონიერებას, ძალას, არამედ საერთოდ ჩვენი გლეხკაცობისას, რომელიც სინამდვილეში შეუპოვრად ებრძოდა ცხოვრების შევბედით პირობებს და ამგვარი ცხოვრების ბრძმედიდან მტკიცე, გაკაყებული გამოდიოდა.

მოთხრობაში „ჩემო შეინდავ!“ მწერალი დიდი სისადავით და სისწორით გვიჩვენებს გლეხთა შორის ცხოველი თანაგრძნობის არსებობას გაჭირვებული მოძმისადმი — იქნება ეს გუთნისდღეა ქიტესა, თუ ღამისა და ღღის მეხრეები, ან პატარა გლეხის გოგონა, რომელიც ბავშვობიდანვე ჩაბმულია ოჯახზე ზრუნვა-საქმიანობაში (გუთანზე ჯერი მოაქვს, მეხრეებს საჭმელს უნაწილებს), ისიც კი სოსოს დიდს თანაგრძნობას უცხადებს და ნაზ, თბილ ნუგეშს აძლევს. აი ასეთ საქმიან ურთიერთობაში, შიო არაგვისპირელის რწმენით, გლეხი კაყდება ჯანითაც, გონებითაც და სულითაც.

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ გლეხი სახელმწიფოს კეთილდღეობის ბურჯია, მას სახელმწიფოც და ძალაუფლების პატრონიც მეტად და-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 51.

უდევრად, დაუნდობლად და დაუზოგავად ექცევიან. გლახს ავიწროებენ, სრულიად დაუმსახურებლად ჩაგრავენ სახელმწიფოებრივი და სოფლის ადმინისტრაციის, სასამართლოს ყველა რანგის მოხელე, ჩარჩ-ვაჭარი, ყველა ძალაუფლების მქონე; თითქოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყველას უპასუხისმგებლოდ, თვითნებურად გლახის ზურგზე ნავარდობის უფლება აქვს. მშვენიერ, კოლორიტულ ფერებშია მოცემული ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი ეტიუდში „ესაა ჩვენი ცხოვრება!..“ — დაბალი თანამდებობის მოხელეებიც კი როგორ აღმაშფოთებელ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ გლახებისადმი.

„ბედნიერი დღისათვის“ (ახალი წლისთვის) გლახებს ქალაქში ურმით შეშა ჩამოუტანიათ გასაყიდად. შეშის საფასურით ზოგს დანიშნულისათვის „ბუზიკა“ უყიდია, ზოგს ნათლიდღღისათვის — კელეპტარი, „პოლსაპოეკი“ და ა. შ.

ამასობაში შებინდდა. ახალწლის წინადღეა. გლახები ჩქარობენ, დაბრუნდნენ სახლში, რომ საჩუქრები ახალწლის დღეს გადასცენ და გაახარონ თავისიანები. აღარ დააყოვნეს, საჩქაროდ გზას გაუდგნენ. წინ ახალგაზრდა სიმნო წაიმძღვარეს.

შუალამე გადავიდა. სიჩუმეა. დაქანცულ მეხრეებს ჩაეძინათ. სიმნოსაც ძილი მოერია, მანაც ჩასთვლიოა.

ამ დროს მათ პირდაპირ, სამხედრო გზაზე, გამოჩნდა სწრაფად მოძვალადი ეტლი ორი შეიარაღებული ჩაფრით. ჩაფრებმა შენიშნეს გლახების ურმები, ცხენები უფრო გამოაჰენეს და უმალ ურმებთან გაჩნდნენ, გლახებს და მათ კამეჩებს ლანძღვა-გინებით, მათარახის ცემით დასწყვილეს და ჩაიარეს, ვითომც აქ არაფერიყო.

შემკრთალი სიმნო, რომელსაც პირველად მოხვდა ჩაფრების მათარახები, დაფეთებული წამოვარდა, თავი ვერ შეიმაგრა და ურმიდან თავდაყირა მიწაზე დაეცა.

ამ მოულოდნელ ჭყვილსა და ცემაზე დაფეთებული მეურმეები გონს გვიანდა მოვიდნენ. ზოგი საით გარბოდა შეშინებული და ზოგი საით, ზოგის ურემიც გზას გადასცდენოდა, ზოგისაც გზის პირას თხრილში გახიდულიყო. მოულოდნელი მტრის თავდასხმამ რომ გადაიარა, მეურმეები გზაზე გამოლაგდნენ, ყველამ თავ-თავისი ურემი მონახა. სიმნო კი არსად ჩანდა. მხოლოდ მისი ურემი იდგა თხრილში. მოიკითხეს სიმნო... დამწუხრებული მეურმეები გაშრნენ, პირი დააღეს, როცა ურემთან ახლოს გაშხლართული, საფეთქელგახეთქილი სიმნო შენიშნეს. უნუგემოდ, გამშრალი, შეწუხებული გლახები დიდხანს იდგნენ ასე — სიმნოს გვამს გაუნელებელი სევდით დაყურებდნენ.

შოი არაგვისპირელს სურს გააღრმავოს მიღებული შთაბეჭდილება,

შთაავონოს მკითხველს. რომ ეს და ამის მსგავსი უბედურება გლეხის თავზე შემთხვევითი ან იშვიათი მოვლენა კი არ არის, არამედ არსებული პოლიციურ-ბიუროკრატიული, ხოლო თუ ამას კიდევ დავუმატებთ, კოლონიური პოლიტიკის მკაცრი და უხეში გატარების ყოფაში ჩვეულებრივი, მრავალი და დამახასიათებელია.

ამ მიზნით მწერალი მოხდენილად მოიმარჯვებს მთავარის გულგრილ ცურვას ცის კაბადონზე. საიდანაც ის „გულცივად“ დაყურებს ჩაფართა ამგვარი საქციელით შეძრწუნებულ. უილაჯო გლეხებს: „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა!.. რა ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირისთ ცხვირ-პირი?! მაგ ერთი მლილისათვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ, მე რალა უნდა ექნა, როდესაც ჩემ თვალწინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და აწთხევს სისხლს?!. ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!“<sup>1</sup>.

აქ შიო არაგვისპირელი მკითხველის შთაბეჭდილებას არამცთუ აღრმავებს, არამედ საგრძნობლად აფართოვებს. მებრძოლი მწერალი მოხდენილად და აზრიანად ჩააქსოვს არსებულ ყოფაში თუ წყობილებაში როგორ უსამართლოდ, მავნებლურად ნადგურდებოდა, იჩაგრებოდა არა მარტო ცალკეული პიროვნება და საზოგადოება, არამედ მთელი მცირე ეროვნებები, რასაც დამნაშავენი გულგრილად უყურებდნენ. ეს გარემოება ხომ მწერლის ეპოქაში ბრძოლის მწვავე საკითხად იყო გადაქცეული და მწვავედაც მიმდინარეობდა.

შიო არაგვისპირელი ისეთ მწერალთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ყოველი ახალი ნაწარმოებით ბრძოლის ცეცხლში ებმოდა. აღნიშნულ ნაწარმოებშიც ის ნიჭიერად. თვალსაჩინოდ გვაჩვენებს გლეხთა უილაჯო მდგომარეობას. თავი დაიცვან უსამართლო ძალმომრეობისაგან, სამართალი ნახონ. მორალურად განადგურებულ გლეხს მწერალი მკითხველის წინაშე მძიმე. გამოუთქმელ მწუხარებაში ამყოფებს.

ბოლოს, ამგვარ ჩვეულ უსამართლობას თითქოს დამორჩილებულნი ძალაუვნებურად სწევენ თავის უმადური ცხოვრების მძიმე კაპანს (მიცვალებულს ხომ პატრონობა უნდა და სახლშიც დროულად მისვლაა საჭირო). ამ ჩვეული ამბის, როგორც შემზარავ და ბევრის მთქმელ დასასრულს, მწერალი ერთ-ერთ გლეხთაგანს ხელის ჩაქნევით ასე წამოაძახებინებს: „ესაა ჩვენი ცხოვრება!..“ და მას „რამდენიმე ტყვიასავით ცხელი ცრემლი გადმოვარდა და სიმნოს გაყინულ სახეს დაეცა“<sup>2</sup>, — ამთავრებს მწერალი.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 6.

<sup>2</sup> იქვე.



ასე, თითქოს, შეუმჩნეველად იღუპება მშრომელი გლეხი — ეს სასიკოცხლო, მოქმედი, ჭანსალი ძალა სახელმწიფოსი, ხშირად იმათგან, ვინც მოწოდებულია ქვეყნის გაძლიერებისა და სამართლიანობისათვის ზრუნავდეს და მის სადარაჯოზე მტკიცედ იდგეს.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი არსებული ცხოვრების ისედაც უკუღმართი პირობების გაუკუღმართებაში, განსაკუთრებით მშრომელი ხალხის — გლეხობის ცხოვრებაში, ხელისუფლების მიერ ჩვეულებრივ არასწორად შერჩეულ, შეუფერებელ მოხელეებს თვლის — იქნება ეს მაზრის უფროსი, ბოქაული, ჩაფარი თუ სოფლის მამასახლისი, გზირი, მოსამართლე, თუ გამომძიებელი — ყველა გლეხს ავიწროებს, ყველა მას უანგარიშო ექსპლოატაციას უწევს, ისედაც გამწარებულ ცხოვრებას უმწარებს, გზათა უკან აგდებს. მწერალიც მოურიდებლად ყველა მათგანს ნიღაბს გლეჯს და დაუნდობლად ამთრახებს.

ნაწარმოებში „საშინელება“ მოცემულია სურათი ადმინისტრაციის უაზრო, უსამართლო, უკანონო მოქცევისა ხალხისადმი და ამის ბუნებრივი შედეგი — მშრომელი ხალხის განადგურება. მართებულია ამ ნოველის ქვესათაურიც — „ნამდვილი ამბავი“. ასე იყო სინამდვილეში. ხშირად მშრომელ, გონიერ, პატიოსან, პასუხისმგებლობის შემგნებელსა და შემსრულებელ გლეხს, სრულიად უმიზეზოდ, უსამართლოდ (ვინაიდან, ვისაც ჭერ არს, არც სურდა და არც შეეძლო გამოეძია საქმე, გაუგებრობისა და გარკვევის უნარის უქონლობის გამო) ცხოვრების კალაპოტიდან ამოაგდებდნენ, მშვიდ ცხოვრებაზე ხელს ააღებინებდნენ, ძალაუნებურად ბოროტმოქმედების გზაზე აყენებდნენ, როგორც მიხო ყაჩაღს — ნოველის „საშინელება“ გმირს. მიხო ყაჩაღი აქ განზოგადებული სახეა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მრავალთა, უნებლიეთ გაყაჩაღებულთა, რაც, როგორც უსამართლო, ხელოვნურად გამოწვეული მოვლენა, ხშირად იყო აღნიშნული მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში და რასაც აგრეთვე ქართული მხატვრული ლიტერატურა აღმოფოთებით ეხმაურებოდა.

მიხოს — ამ „ვეფხვივით ადამიანს“, გულჩვილ კაცს, ქათამიც რომ არ დაუკლავს — ბოქაულმა სოფლის მიერ მოძულებული მამასახლისის მოკვლა დააბრალა, რადგანაც ღამიანად ქალაქიდან დაბრუნებული მიხო პირველად წააწყდება მოკლულს და, შიშის გამო, მაშინვე ვერ განაცხადებს. მიხო, ეს სათნოებით სავსე გლეხი, მოსალოდნელი, დაუმსახურებელი, მძიმე სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, თავს მიუვალ დიდების ნანგრევებს შეაფარებს. მიხო იძულებით გაყაჩაღდება.

ის აქ, დიდების ნანგრევებში, ბუნებისა და მიუვალი ღამაში ადგ-

ლების მოყვარულ სანდროს შემთხვევით შეხვდება. ორივეს მხრივ წუთიერი შიშის, შემფოთებისა და მცირე გაბაასების შემდეგ, დაწყნარებული ყაჩაღი მიხო სანდროს შთამაგონებლად და მოულოდნელად შეეკითხება: „უთუოდ გეცოდინება, როდის მოეღება ბოლო ამ უსამართლო ქლეტას?!“... გაკვირვებული სანდრო უცნობს მიმართავს, „რა უსამართლო ქლეტაზე“ ეკითხება. ყაჩაღი მიხო უკმაყოფილოდ, მრისხანედ შეუბრუნებს კითხვას: „როგორ თუ რა უსამართლო ქლეტაზე?!.. განა უსამართლობად არ მიგჩანია... ვინც მოხვდებათ, დაიქერენ... წაიყვანენ და გზაში მოკლავენ სხვა და სხვა მიზეზების გამო, ან თუ სამართლის კარამდის მიიყვანეს, სახრჩობელას ვერ ასცდება?!“<sup>1</sup>.

ყაჩაღი მიხოს სიტყვები მკითხველის გულს ტყვიასავით ხვდება; ავტორი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილის ძირითად ზაზს იშვიათი სისწორითა და სიმართლით აშიშვლებს, მისი დბუყოვნებლივ გარდაქმნის აუცილებლობას ძლევაშოსილად აყენებს, რაც მაქსიმალური სიზუსტით გამოხატავდა მთელი ეპოქის სანუკვარ მისწრაფებას.

სანდრო შემთხვევით შეხვდრილს თანაუგრძნობს. იგი მას ეთანხმება, დამშვიდებით არწმუნებს, რომ ეს უსამართლობა წარმავალია, უცნობს ამხნევებს, მალე სამართლიანობა გაიმარჯვებს, ცხოვრება მოეწყობაო. მაგრამ გზააბნეული უცნობი, რომელიც სანდროსათვის აღმოჩნდება ცნობილი სისხლისმსმელი ყაჩაღი მიხო, მოუთმენლად შესძახებს: „— როდის... როდის... და როდის?!.. მეუბნები: წარმავალიაო! კარგი წარმავალია, როდესაც ეს წარმავალი მეც თან მძმართვს!“...<sup>2</sup>.

მიხო ყაჩაღის ეს აღშფოთებული შეკითხვა მთელი ეპოქის შეკითხვაა და, რასაკვირველია, მწერლისაც, შიო არაგვისპირელის, თანამგრძნობი გულისა და მადიებელი გონების აშკარა გამომხატველია. ისიც, უდავოდ, მტანჯველი მოუთმენლობით ელოდა — ძველი, დახვესებული. უსამართლო ყოფის დანგრევას, აბალი, სამართლიანი, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარება-განმტკიცებას.

მიხო ყაჩაღი სანდროს შეკრთომას შეამჩნევს და ლიბერალურ-უხერხემლო მსჯელობისთვის სასტიკი და დამცინავი კილოთი სანდროს ასე მიმართავს: „წადი აბლავე და ღმერთს საყდარში სანთლები აუნთე. რომ სისხლის მსმელ მიხო ყაჩაღს ცოცხალი გადურჩი!...“<sup>3</sup>

ამ მომენტშიც კი მიხო ყაჩაღი, მწერლის წარმოდგენით, „მრისხანე

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 257—258.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ვეფხვი კი არა, დიდი ურქო ხბო იყო, რომლის გამოქნა ძალიან ადვილია...“ იგი გულწრფელი სინანულით განიცდის იძულებითი სისხლიანი გზით სიარულს.

მაშინდელი ადმინისტრაცია და სასამართლოს შეუფერებელი წარმომადგენელი აი ასეთ მშვიდ, ჯანსაღ ადამიანებს ურევდნენ: გზას, ამორებდნენ. სასარგებლო საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელს: ასე ხელოვნურად ამტუტებდნენ და ავიწროებდნენ მოსახლეობის წყნარ, შრომით ცხოვრებას.

მწერლის მიერ მოცემული სურათი შეკუმშულია, რამდენიმე ხაზია გავლებული, მაგრამ ბევრის, ბევრის მთქმელია. მკითხველიც სანდროს, სიკოს, ახალგაზრდა ექიმთან (ამ ეტიუდის მოქმედი პირებია) და თვით მწერალთან ერთად, ამ ამბით აღშფოთებული, სამართლიანად წამოიძახებს — ასეთი მდგომარეობა „საშინელებაა“ და ეცდება ძველის, ამგვარი უსამართლო ცხოვრების დანგრევისა და ახლის. სამართლიანის, ხალხთა საერთო ბედნიერი ცხოვრების დამყარებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაბმას. ამაშია ამ ეტიუდის, გარდა მხატვრულობისა, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირებულება.

\* \* \*

თუ ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი დაწესებულებების მოხელენი ხალხს, გლეხობას, ასე უდიერად ეკიდებოდნენ, რაღა მოეთხოვებოდა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების პროცესში, გამწვავებულ კლასობრივ კონფლიქტში მგლურ მადააშლილ ჩარჩევატრებს. კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ისტორიის ასპარეზზე გამოსულ ჩარჩ-ვაჭარს, კაპიტალიზმის პირმშოს, შიო არაგვისპირელი გლეხის ინტერესების პოზიციებიდან სინჯავდა და აფასებდა. კაპიტალიზმის ისტორიული განვითარების გზა და მისი მნიშვნელობა შიო არაგვისპირელმა სათანადოდ ვერც გაიგო და ვერც შეაფასა. მასში ხედავდა მხოლოდ გლეხის, საერთოდ ღარიბის შემავიწროებელი და შემლახველი ძალის მფლობელს, ადამიანთა ურთიერთობის გამყალბებელს.

ნიმუშისათვის ავიღოთ შიო არაგვისპირელის მოთხრობა „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!..“

პატროსანი, მშრომელი გლეხი დათუა შრომიშვილი დაუზოგავი ენერგიით ჩაკირკიტებს მიწას — თავის მაცხოვრებელ ვენახს; მან იცის მიწის ფასი და მისი მოვლის წესები. მან კარგად იცის, მიწას თუ არ მოუარე, შრომის ოფლი თუ არ აღვარე, იგი სიძუნწეს გამოი-

ჩენს. პირს შეიკრავს, მოსავალსაც აღარ მოგცემს. „მე შენ გაცხოვრებ, შენ მე მაცხოვრე“, როგორც იტყოდა პოეტი ილ. ჭავჭავაძე, დევნიზია გლახისა და მიწის ურთიერთობისა. გლახმა მიწას უნდა მოუაროს და მიწამ კი ის უნდა ასაზრდოვოს. ასეა გლახის ცხოვრება მოწყობილი და ისიც შრომას, ცდას არ აკლებს, ხშირად წელებზე ფეხს იდგამს, ოჟლით რწყავს მიწას. მიწა გლახის მოთხოვნილებას თუ ოდნავ მაინც აკმაყოფილებს, ისიც, ყოველი მხრიდან გამოლტილი, ბედს აღარ ემდურის, კმაყოფილია.

იძროინდელი გლახის უუფლებო მდგომარეობას მაქსიმალურად ზედმიწევნითი ცოდნით შიო არაგვისპირელი ასე აგვიწერს: „... მაზრის უფროსი, ბოქაული, მათი თანაშემწეები და გადამწერლები, გადამწერლების გადამწერლები და მათი თანაშემწენი, ასისტაეები, მათი ჩაფრები და მოჩაფრებები, — ერთი სიტყვით, მაზრის მოხელეების მთელი გუნდი. რომელიც მრავალზე მრავალ-შტოიანია, ხომ მარტო იმისთვის არსებობს და მოდის სოფელში, რომ გლახს თვალები დაუბღვიროს, დასკვივლოს და, თუ მოისურვა, სილა გასტკიცოს ან მათრახი გადუქიროს: თუ რამ გადასახდელი აქვს, წაართვას, გააგდოს ბეგარაზე, მრავენოს გაჭირვება და ყელში წაუჭიროს და არა იმისთვის, რომ გლახის საკეთილდღეოდ იზრუნოს“...<sup>1</sup>.

მაგრამ ამით არ ამოიწურება გლახის გაჭირვებული მდგომარეობა. მას ცხოვრების კაპიტალისტური განვითარების პირობებში ახალი შემავიწროებელი, ახალი ბატონი — ჩარჩ-ვაჭარი უჩნდება ისაკა ჭამიაშვილის სახით. ეს უკანასკნელი უფრო გაუმამდარი და შეუბრალებელი აღმოჩნდა, ვიდრე ძველი ბატონი და ხელისუფლების უსამართლო მოხელენი.

ისაკა ჭამიაშვილი ტიპიური სახეა ახლად ფეხადგმული წვრილი ბურჟუაზიისა, რომელიც ჩვენი ცხოვრების სარბიელზე მაგრად იკიდებდა ფეხს. მან გაიძვერული ჩარჩ-ვაჭრობით ფულს ხელი შეავლო. არაკეთილსინდისიერი გზით ფული დაატრიალა, გაკეთდა. მალე ორსართულიანი სახლი წამოდგა, მომგებიანად დაოჯახდა. ისაკა ჭამიაშვილი. როგორც ფულიანი, პირადი ცხოვრებითაც მეზობლებისაგან შესამჩნევად გამოირჩევა.

პირადი ბედნიერებისათვის მადამილი ისაკა ძალაუფლებისაკენ შეუკავებლად, ყოველგვარი საშუალებით ისწრაფვის. ამ მიზნის მისაღწევად მან მალე და ადვილად შეძლო პირად ზრახვათა და მისწრაფებათა განხორციელების საქმეში არამეტო სოფლის, არამედ მაზრის აღმინისტრაციის გამოყენება.

შიო არაგვისპირელი ვაჭარ ისაკა ჭამიაშვილისადმი სოფლისა და

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I; 1947, გვ. 108—109.

მაზრის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა დამოკიდებულებას შემდეგ ცოცხალ ფერებში გვიხატავს: „ყველა კრძალვით და მოწიწებით ექცევა; მაზრის მმართველები, უფროსები, — თორემ ნაბოლარებს ხომ თითონაც არ იკადრებს, — ჭყვილისა და კივილის მაგივრად პატივისცემით ხელს უწვდიან, იმის სახლში სტუმრად მიდიან, სადაც სოფლის ხარჯით უხვს მასპინძლობას უწევს, და ამით თავბრუდახვეულები ყველგან და ყველასთან, თუ-კი რაიმე მიზეზით იმაზე ბაასი ჩამოვარდებოდა, ამას გაიძახდნენ: „ისაქა პატიოსანი კაციაო“<sup>1</sup>.

ასეთი გარემოებით გადიდგაცებულ და გადიდგულეებულ ისაქას დოვლათის მოხვეჭის მადა თანდათან უძლიერდებოდა, „წართმევის სურვილი თითქმის სენად გადაექცა“. დუქანში ვაჭრობით და გასესხებულნი ფულის დიდი სარგებელის აღებით აღარ კმაყოფილდებან. მას უნდა სოფლის გლეხთა გამოსავლიანი საუკეთესო მიწები, ნებაყოფლობით იქნება თუ ძალით, ზელთ იგდოს. მან კარგად იცის, რომ ღარიბი და გაღარიბების გზაზე დამდგარი გლეხის დამორჩილება უფრო ადვილია. ამ მიზნის განხორციელებისათვის ისაქა ვერაგულად იყენებს თავის მდგომარეობას, თავის გავლენას, თავის მძლავრ ოჯახს.

ისაქა ჭამიაშვილი დიდი ხანია დაუოკებელი შურის თვალთ უყურებს დათუა შრომიშვილის შემოსავლიან ვენახს. ისაქა ბევრს ეცადა, ეს ვენახი ნებაყოფლობით შეეძინა, მაგრამ დათუა შრომიშვილმა ვერ დათმო იგი. ეს ხომ მისი ოჯახის ცხოვრების ერთადერთი წყაროა. ისაქა ჭამიაშვილის ჩარჩ-ვაჭრული ბუნება ვერ ითმენს მიზნის განუხორციელებლობას. ის მიზნის მიღწევისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდება. გადასწყვეტს, მიმართოს ავაზაკურ გზას: უნდა იშოვოს ცრუ მოწმეები, ვითომცდა დათუა შრომიშვილს მისი სამოცი თუმანი მართებს; შეადგინოს ქალაღი, წერა-კითხვის უცოდინარი მამასახლისის ბეჭდის დასმით, სამართალში წარადგინოს და ამ საშუალებით დათუას სანუკვარი ვენახი დაინარჩუნოს.

მაშინდელი ჩვენი სოფლის ცხოვრების კარგი მცოდნე შიო არაგვისპირელი ზღვრულ დამახასიათებელ, შეხამებულ ფორმებში გვაძლევს ჭამიაშვილის, ამ სოფლის ბურჟუის უსამართლო, უმსგავსი წამოწყების შესრულების პროცესს — ყალბი მოწმეების — დეგრადაციის გზაზე დაქანებული დამშეული აზნაურების გიგოს და ლევანის ადვილად გადაბირება-გამოყენებითა და წერა-კითხვის უცოდინარი მამასახლისის გაბრიყვებით თუ მოსყიდვით.

გლეხის დაბრიყვების, შევიწროების, არაფრად ჩაგდების ნამდვილი სურათი რომ დახატოს, შიო არაგვისპირელის ჩვენებით, დათუა შრომიშვილი, ეს ალალ-მართალი, მშრომელი გლეხი, შეძრწუნებულნი

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 109.

ჰამიაშვილის საჩივრით—თავს დატეხილი უსამართლობით. მაინც დარწმუნებულია, რომ მოსამართლე გაარკვევს ამ საქმის სიყალბეს და მას გამართლებს.

დათუას, როგორც წესი, იმედი აქაც გაუტრუვდა. მოსამართლემ ის არც კი ალაპარაკა. ძალმომრეობის, უსამართლო, უკანონო სასამართლო პროცესი მთავრდება იმით, რომ მოსამართლე უსინდისო. ყალბ მოწმეებს, ყალბ ცნობას ჯვარზე და სახარებაზე მღვდლის თანდასწრებით ფიცით დაადასტურებინებს და საქმეც ამით სრულდება — ისაკა ჰამიაშვილი დათუა შრომიშვილის ვენახის სრული ბატონ-პატრონი ხდება.

დიახაც, შიო არაგვისპირელი მეტად ძლიერად, თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად ხდის სინამდვილეს ნიღაბს; დაუოკებელ ბურჯუას და მის თარეშს სოფლად, მოუწესრიგებელ, ხალხის ჯალათ სახელმწიფოებრივ წყობილებას, მის სასამართლოს — ყალბს, პატიოსან მშრომელთა გზის ამბნევსა და მჩაგვრელს, ამასთან დეგრადაციის გზაზე მყოფი პრივილეგიური კლასის — დარღვეული თავადაზნაურობის ამორალურ, ხორცმეტ ნაშთებს მოურიდებლად აშიშვლებს.

მკითხველში დათუა შრომიშვილისადმი (საერთოდ გლეხობისა და ყველა შევიწროებულისადმი) თანაგრძნობა რომ გააძლიეროს, მწერალი მიმართავს ლირიკულ გადახვევას.

დათუა შრომიშვილს ვერ გაუგია და ვერც შერიგებია, ასე უსინდისოდ, ასე უსამართლოდ რომ ჩამოართვა სასამართლომ ვენახი და გადასცა ისაკა ჰამიაშვილს. დათუას ასეთი გაუგებარ-გაურკვეველი მდგომარეობის თითქოს გარკვევისათვის მწერალი ჩაურთავს შემდეგს: „მთვარე კი (მთვარე შიო არაგვისპირელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სტილისტიკური ნიშანია: ხშირად მთვარის სახით თვით ავტორი გადმოგვცემს თავის მტანჯველ აზრს თუ დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი — მ. ზ.) შემოსციცინებდა დათუას და თითქოს ამას ეუბნებოდა: „საწყალო, შრომიშვილო, როგორც ვხედავ, შენ ბედი არ გაგიღიმებს!.. რამდენი საუკუნეა, რაც შენ მონადა ხარ და შენი სარჩო-საბადებელი სხვას მიაქვს... წინად თუ ლუარსაბები, რევანზები და არჩილები გაცლიდნენ ხელიდან შენ საცხოვრებელს, ეხლა ისაკები გიხდებიან ბატონად და... ეჰ, საწყალო, როდემდის უნდა ითმინო?!“<sup>1</sup>.

ეს ლირიკული გადახვევა აშკარად გვიჩვენებს მწერლის უარყოფით დამოკიდებულებას როგორც ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული ყოფისადმი. თუ წინათ (მწერლის აზრი ასე უნდა გავიგოთ) გლეხს „ხელიდან აცლიდნენ საცხოვრებელს“ ლუარსაბები — ე. ი. თავად-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 120—121.

აზნაურობა, ახლა კი ისაკები — ე. ი. ბურჟუა-ვაჭარი უხდება მას ბატონად. აშკარაა, შიო არაგვისპირელი თავისი სიმპათიით, განწყობილებითა და სურვილებით შრომიშვილებთანაა და მათთან ერთად, არსებული წყობილებით უკმაყოფილოს, მოსწყინდა ამდენი მოთმენა და ისიც მტანჯველი, თუმცა ჯერ გაურკვეველი, მაგრამ ღრმა, წრფელი მისწრაფებით მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად გამოსავალს ეძებს. აქ და სხვა შემთხვევებშიც აშკარად იგრძნობა შიო არაგვისპირელის შემოქმედების მხატვრულ-პოლიტიკური ბუნება და მეთოდი.

დათუა შრომიშვილმა სამართალი ვერ ნახა. ისაკა ქამიაშვილს კი ყველა ზურგს უმაგრებს. დათუას მტანჯველი კითხვა „როდემდის“ არ ასვენებს, მას მოთმინება ელევა და გადაწყვეტს, თვითონ მონახოს სამართალი. სევდამორეული დათუა თავის თავის უკმაყოფილოა. მას ვერ უპატივებია თავისთვის, რომ მამული წაართვეს, სული შეუხუთეს, ცხოვრების ერთად-ერთი წყარო ვერაგულად ხელიდან გამოსტაცეს და მას „ცხვარივით თავი ჩაულუნავს და ხმას კი არ იღებს“.

მწერალმა ეს შეურაცხყოფილის, შევიწროებულის გულისტკივილი რომ გააძლიეროს და მასთან მკითხველსაც დამაჯერებლად აჩვენოს, რომ ეს განწყობილება შარტო დათუას კი არ ეუფლება, არამედ საერთოა ყველა დაჩაგრულისათვის, მათი მუდმივი თანამგზავრია, ნენეს (დათუას ცოლს) ძილში ამოაკენესებს: „მე მაინც გამიშვიკაცო, თუ შენ არას ეუბნები!..“ აქ ისმის საყვედური ქმრისადმი უმოქმედობის გამო.

ცხადია, შიო არაგვისპირელი შთამაგონებლად იძლევა, რა დიდი და დაუოკებელია ჩაგრულთა მისწრაფება სამართლიანი ცხოვრების დამყარებისათვის. ნენეს ეს კვნესა ჩაგრულთა საერთო კვნესაა. ნენეს ტკივილის გადატანა სიზმარში — ძილში, საკითხის სიმწვავესა და აქტუალობას სრულიადაც არ ანელებს, პირიქით, უფრო აძლიერებს. ღარიბს თავისი უკუღმართი ცხოვრება ძილშიაც არ აძლევს მოსვენებას.

მწერალიც, ვფიქრობთ, ამ მიზნით ხმარობს ამ ხერხს. შიო არაგვისპირელი, მიუხედავად იმისა, რომ ხალხოსანთა გავლენის ქვეშ აღიზარდა და მის შემოქმედებაშიც იგრძნობა ეს გავლენა, მაინც უფრო შორდება მათ, მათზე საგრძნობლად შორს მიდის. გლახთან, მშრომელ ხალხთან მისი მისვლის გზები ახლებურია, უფრო რევოლუციურია; ნენეს ამოძახილმა, მწერლის გადმოცემით, დათუას ტკივილი და ქენჯნა უფრო გაამწვავა.

შიო არაგვისპირელს ასევე მოხერხებულად აქვს გამოყენებული მისი მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელი კონტრასტის ხერხი: მაშინ, როდესაც შრომიშვილების ოჯახში ასეთი ურვა და წა-

მებაა მაცხოვრებელი ვენახის დაკარგვით გამოწვეული, ისაკა ჭამია-შვილის სახლიდან მხიარული ყოვინა და სუფრული მოისმის. ისაკა სასამართლოს შემდეგ თავის გამარჯვებას, სანატრელი სურვილის სისრულეში მოყვანას თავის დამხმარებთან ერთად ზეიმობს. ამ ხმაზე დათუა სწრაფად წამოხტა, სმენად გადაიქცა; თითქოს ტკივილის კვანძი გაეხსნა, აღელვებულმა ნენეს ჩურჩულით ჩასძახა: „მაგრე ლაჩარი არა ვარ, ნუ ნანობ... ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ და თვითონ მონახა სამართალი. დათუამ ლხინის დროს ისაკა მისივე სახლში თოფით განგმირა.

მწერლის თანაგრძობაც მთლიანად დათუა შრომიშვილისადმი. აღნიშნული ნაწარმოებით, და შეიძლება ითქვას მთელი თავისი შემოქმედებით, შიო არაგვისპირელი, მართალია, „ჩურჩულით“, მაგრამ დიდი დამაჯერებლობით შთააგონებდა გაწბილებულ გლეხობას (საერთოდ ყველა დაჩაგრულს), რომ არსებული ცხოვრება საზიზღარია, მიუღებელია, რომ სამართალი, ადამიანური ცხოვრების პირობები თვითონ მათ, შევიწროებულებმა, დაჩაგრულებმა უნდა დაამყარონ, რისთვისაც საჭიროა შემავიწროებელი წყობილებისა და მისი დამქაშათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი კარგად გრძნობს და კარგადაც ხედავს, რომ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეულ მნიშვნელოვან სოციალურ ძვრებთან შეფარდებით სოციალური დაჯგუფებაც მოხდა. ცნებები ბატონი და ყმა თითქოს წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დარღვეული, ნიადაგამოცლილი ფეოდალური კლასი და მისი კოყნდარნი მაინც განაგრძობდნენ ცხოვრების ასპარეზზე უფლებების შენარჩუნებას, გლეხთა მიმართ უპასუხისმგებლო, საზიზღარ თარეშს კვლავ დაუსჯელად აწარმოებდნენ.

გლეხის მდგომარეობით დაინტერესებულ შიო არაგვისპირელს სოფლის ეს ბნელი მხარეც მწვავედ აქვს შეცნობილი. ფეოდალური ყოფისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას შიო არაგვისპირელი მთელ რიგ ნაწარმოებში მძლავრი რეალური ფერებითა და სახეებით გვაძლევს.

ნიმუშისათვის ავიღოთ მისი ნოველა „მერე, რიღათი იცხოვროს? ...“

„ქნიაზ“ რეზიკოსა და მისი მეუღლის ვერიჩკას სახით შიო არაგვისპირელი ნიჭიერად გვიხატავს დეგრადაციის გზაზე დამდგარი ჩვენი თავადაზნაურობის ფსიქოლოგიასა და შესაბამე ყოფას — მათთვის დამახასიათებელი დაუდევრობით, უზრუნველობით, უაზრო დროსტარებით, უმიზნო და უიალქნო, ზღაზნია ზოოლოგიური ცხოვ-



რებით. მათ ყველაფერზე მზრუნველობა დაავალეს გლეხთა წრიდან გამოსულ, სახედაკარგულ, ცბიერ, მოხერხებულ მოურავ ზალიკოს, რომელიც თავისი მოძმე გლეხებისადმი უფრო მკაცრი და დაუნდობელია, ვიდრე ნამდვილი ბატონი. ზალიკოს სახით შიო არაგვისპირელი იძლევა მოურავის განზოგადებულ ტიპს, როგორც ის ვლინდებოდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

ნოველაში „მერე, რიდათი იცხოვროს?!“ მოცემულია ერთი ეპიზოდი „კნიაზ“ რეზიკოს ცხოვრებიდან, მაგრამ ეს ეპიზოდი ძალზედ მკვეთრი, ძალზედ ტიპიურია არა მარტო რეზიკოსა და მისი მეუღლის — ვერიჩკას ზუსტი გაცნობისათვის, არამედ დეგრადაციის გზაზე დამდგარი მთელი ქართველი თავადაზნაურობის დასახასიათებლად.

რეზიკო და მისი მეუღლე ვერიჩკა „სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია“ ქართველი თავადაზნაურობის გარკვეული წრისა, ხოლო მოურავი ზალიკა — გაცულაკების გზაზე დამდგარი სოფლის ბურჟუაზიისა, მე-19 საუკუნეში, განსაკუთრებით, მეორე ნახევარში, ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს ხორცმეტად რომ აწვა.

რეზიკო და მისი ახალგაზრდა მეუღლე ვერიჩკა საშინლად მოწყენილები არიან. საქმე მათ არა აქვთ, საქმის გაკეთება არც შეუძლიათ, არც იციან, რა უნდა გააკეთონ. საქმისთვის მათ ხომ მოურავი ზალიკო და შინამოსამსახურე ჰყავთ. მათი საქმე სტუმრიანობა, დროსტარება, სიამოვნებაა. ამიტომ ჩვეულებრივ, თუ სტუმარი მათთან დაავიანებდა, არ მოვიდოდა, ისინი თვითონ ესტუმრებოდნენ ხოლმე სხვებს.

„კნიაზ“ რეზოსთან ამჯერად სტუმარი არ ჩანდა. მოწყენილმა რეზიკომ და ვერიჩკამ გადაწყვიტეს, რომელიმე ნაცნობს ან ნათესავს სწვეოდნენ. მოინდომეს თელავში წასვლა. ცოლქმარს გაახსენდა, რომ ამ სიამოვნებას ფული სჭირდება. მაგრამ საიდან? — ისმება მწარე კითხვა. თუმცა რეზიკოს არც ეს შეაწუხებს. ამგვარი საკითხების მოგვარება ხომ ზალიკოს აკისრია და კარგადაც ახერხებს.

რეზიკო დაუყოვნებლივ იხმობს თავისთან ზალიკოს და დამახასიათებელი კილოთი მიმართავს: „... თელავს მინდა წასვლა და... აბა, ეცადე, ჩემო ზალიკო, და, რაც შეიძლო... ბლომად; აი, ვერიჩკაც აპირობს წამოსვლას“<sup>1</sup>. იშვიათი სიმახვილითა და ტიპიურობითაა გამონახული ამ ლაკონიური, რიტმული ფრაზებით ფეოდალური კლასის ნაბოლარას მთელი ბუნება: მისი სურვილი გადაუღებელია, სურვილი უნდა შესრულდეს მაქსიმალური, ფართო შესაძლებლობით, ხოლო, საიდან უნდა მიიღოს ეს შესაძლებლობა, ის ამაზე არც ფიქრობს და არც უნდა იფიქროს.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 140.

მოურავი ზალიკო ამ მიმართულებით ფრიად მიხვედრილი კაცია. მას კარგად აქვს შესწავლილი ბატონების გემოვნება და ხასიათი და მათ „ერთგულად“ ემსახურება. ზალიკო ასეთი ოპერაციების წარმოებაში უნგარო არ არის. ამგვარი დავალების შესრულება მისთვის დაუდევარი ბატონის ხელში მეტად ხელსაყრელი და მომგებიანია. გასაოცარია, თუმცა აღმაშფოთებელი და მასთან ტიპიურიც, როგორ ახერხებს ზალიკო ამგვარი დავალების შესრულებას სოფლის დარღვეული მეურნეობის პირობებში, როცა მემამულეები ცდილობენ გლეხებს „სული ამოხუთონ“.

ზალიკო დავალების მიღებისთანავე, ბატონების გასაგონად, მოჯამაგირე გიოს გადასძახებს: „წადი ეხლავე და ჭალია და გელა შეიარაღებულიები აქ მომიყვანე. უთხარი: „იალადს მივდივარ-თქო“. იმათ რომ დაუძახებ, შენ და პოლესოვჩიკი წახვალთ და ნამკალშიაც რომ მოასწროთ საქონელს, დაუშინეთ კეტები და აქ მომირეკეთ. გეყურება თუ არა?“<sup>1</sup>. ზალიკოს ეს ბრძანებაც ბევრის მთქმელია. იგი მკაფიოდ გამოხატავს გლეხებისადმი დამოკიდებულებას და ნათლად გვიჩვენებს დაჩივებული ფეოდალის — მებატონის შემცველს, გლეხების შემავიწროებელ უფრო მკაცრ ძალას. ზალიკო ბატონების გასაგონად გიოსადმი ასეთი განკარგულების მიცემით თავის საქმესაც აკეთებს, ამ გზით ის რეზიკოსა და მისი მეუღლის თვალში მეტ ნდობასა და პატივისცემას იმსახურებს. ზალიკო მიზანში ნამდვილად ახვედრებს.

განსაკვიფრებელია და მასთან ტიპიურიც, ჭალიას და გელას მიერ ზალიკოს დავალების შესრულება. მოურავის მეთაურობით ჭალია და გელა „... მუცლით ჩაცურდნენ მწვერვალიდან, რომელიც რეზიკოს და სოსიკოს იალალებს ჰყოფს და, რაც-კი ბინიდან კარგა მოშორებით საქონელი ეყარა, სულ ერთიანად დაირეკეს იმ დროს, როდესაც მწყემსები ოდნავ მბუტბავ ცეცხლს ფარაჯებში გახვეულები გარს შემოსწოლოდნენ და ხვრინავდნენ. ძაღლებიც იქვე მორკალებულიყვნენ და მაშინ გაიგეს, როდესაც ზალიკოს ნახევარი საქონელი მიჯნას გადაცილებული ჰყავდა. ისინი გაცოფებულები ყეფით დაედევნენ; მათ ყეფაზე მწყემსები წამოცვივდნენ და მაშინვე თოფები დაახალეს, მაგრამ გვიან-ლა იყო. ზალიკომ გადაასწრო და თოფის სროლითვე გასცა პასუხი“<sup>2</sup>.

აი, ფეოდალთა ჩვეულებრივი, უსინდისო ძალმომრეობის გზა, რომლითაც ისინი ხშირად ეძებდნენ საშუალებებს თავიანთი უინიანი სურვილებისა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს ფსიქო-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 141.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 145—146.

ლოგია ისტორიულად ფეოდალთა ყოფაშია გამომუშავებული, რაც დაწერილმანებულ, მადააშლილ მოურავს — ზალიკოს კარგად აუთვისებია და ამიტომაც მისი სამსახური ძალაგამოცლილ ფეოდალ რეზიკოს სავსებით აკმაყოფილებს.

სისრულისათვის დაუვებრუნდეთ ზალიკოს „იალალზე“ თარეშს.

მეორე დღეს გლეხები დამწყვდეული, მშვიერი საქონლის დასახსნელად ზალიკოსთან გამოცხადდნენ. ზალიკომ საქონლის დახსნაში გლეხებს სულზე მანეთნახევარი მოსთხოვა. საქონელი იყო ორმოცი სული; სულ ექვსი თუმანი შეუყენა. გლეხები ზალიკოს ემუდარებოდნენ, სულზე მანეთს დასჯერებოდა. ათ-ათი შაური სულზე აპატიოს, ექვსი თუმანი მათ არ აქვთ. მაგრამ ზალიკო მათ კატეგორიულად მოუქრის: „არავინ მოგცემთ და ეგრე იყავით! სანამ არ გადმოძითვლით, აქეთ თქვენ საქონელს, რო სულეებიც დასცივდეთ, ერთსაც არ მოგცემთ... რას ამბობთ, უი, რეზიკომ რო ენგრე ათ-ათი შაური აპატიოს, მერე რითლა იცხოვროს?!“<sup>1</sup>. ასეთია ტიპიური დამოკიდებულება მოურავისა დაბრიყვებული გლეხებისადმი.

თავიანთი სამარცხვინო სიცოცხლის გაგრძელებას დარღვეული თავადაზნაურობის ნაბოლარები ამგვარი ძალმომრეობით, უმსგავსი საშუალებებით აპირებდნენ, ხოლო გაკულაკების გზაზე დამდგარი გლეხები სხვადასხვა არაკეთილსინდისიერი, კერძოდ, მოურავის თანამდებობის შესრულებით, უსინდისო ჩარჩ-ვაპურის ხრიკებით და სხვ. ფართო ისტორიის სარბიელისაქენ — გაბურჯუებისაქენ გაბედულად იკვლევდნენ გზას.

ნოველაში „მერე, რიდათი იცხოვროს?!“, აგრეთვე მრავალ სხვა ნაწარმოებში, მძიმე და ტიპიური, ცხოველი სურათია ჩვენი და, შეიძლება ითქვას, საერთოდ გლეხთა ცხოვრების სინამდვილიდან, მართალია, მუჭ, მაგრამ უღარესად რეალურ ფერებში გადმოღებული. მკითხველი ღრმა მწუხარებით განიცდიდა სოფლისა და გლეხობის როგორც ფეოდალურ, ისე ბურჯუაზიულ პირობებში დაწინაღულ, აუტანელ, მძიმე მდგომარეობას. შველა უნდა სოფელს, გლეხობას! ხალხის — ერის მდგომარეობა სახიფათოა! ძალუმაღ ესმოდა მკითხველს ამ და შიო არაგვისპირელის მიერ მოცემული სხვა სურათებიდან. მკითხველიც სათანადო განწყობილებით ივსებოდა, იმსჯელებოდა.

\* \* \*

მე-19 საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, 60-იანი წლებიდან, კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით, ხალხის მასებმაც იწყეს გამოღვიძება. ყოველი მოაზროვნე კაცი, რო-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 146.

მელსაც ქვეყნის გარდაქმნის, მისი წინსვლის აუცილებლობა ესმოდა, აშკარად ხედავდა ქვეყნის უსიხარულო მდგომარეობას, დაძაბულობას, განსაკუთრებით კი სოფლისა და გლეხობის ყოფის საშინლად ჩამორჩენას, ხალხის ყოფნას სიბნელესა და გაუნათლებლობაში. დრო და სინამდვილე დაჟინებით მოითხოვდა სწავლას, ხალხში ცოდნის ფართოდ დანერგვა-გავრცელებას, სოფლად სკოლების დაარსებას, გამრავლებას. მაგრამ ცნობილია, რომ სახელმწიფო ცხოვრება გაბატონებული კლასების მიერ მაგრად იყო დამუხრუჭებული, ხალხში ცოდნის გატანას, მის გავლიერება-გათვითცნობიერებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ. ხალხთან მისვლა, მასთან ცხოვრების უკეთეს პირობებზე საუბარი არამც თუ სასტიკად იყო აკრძალული, არამედ მომკაცდინებელ დანაშაულადაც კი ითვლებოდა. ამ მიმართულებით სახელმწიფო ხელისუფლების სისასტიკეს ხომ ასეული და ათასეული კეთილი ზრახვის ადამიანი შეეწირა.

ასეთ პირობებში, მართლაც, დიდი საქვეყნო სამსახურის გაწევა შეეძლო სოფლის სკოლას და მასში გონებაგახსნილ მასწავლებელს. მაგრამ არც არსებული სამრევლო და სამინისტრო სკოლები და არც მათში მომუშავე მასწავლებლები ხალხისა თუ ცხოვრების მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდნენ.

ამ სკოლების დანიშნულებას შეადგენდა: წერა-კითხვის სწავლება და ისიც ცხოვრებისაგან მოწყვეტით. ასეთი სკოლადამთავრებული მალე ივიწყებდა იმასაც კი, რასაც ორი-სამი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, მახინჯი მეთოდების მეოხებით, ტანჯვითა და წვალებით ითვისებდა. ამას მშვენივრად გვიჩვენებს შიო არაგვისპირელი ნოველაში „განი“ ლექსო ბუდუკაძის სახით, რომელსაც თავისი გვარისა და სახელის დაწერაც კი ეძნელება; რომლის ხელწერა, მწერლის გადმოცემით, „რალაც ლურსმულს ემსგავსებოდა“.

არსებული სამრევლო და სამინისტრო სკოლები თავისი მიზანდასახულობით, სასწავლო მეთოდებითა და პროგრამებით შეუფერებელი იყო — სრულიად სცილდებოდა ხალხის ინტერესებსაც და ეპოქის მოთხოვნილებებსაც.

ასეთ მძიმე პოლიტიკურ და კულტურულ პირობებში, მართლაც, სოფლის სკოლას და იქ მომუშავე მასწავლებლებს შეეძლოთ სოფლისა და ხალხისათვის დიდი სამსახური გაეწიათ. მაგრამ სოფლის მასწავლებლის თანამდებობაზე შემთხვევით თუ ინიშნებოდა მომზადებითა და განწყობილებით შესაფერი პირი.

იშვიათად მოიძებნებოდა სოფლის მასწავლებელი, რომელიც ნამდვილად ახერხებდა სასარგებლო მუშაობა ეწარმოებინა სოფლად. ხელისუფლება ავიწროებდა ასეთ, თავისი საქმისთვის თავდადებულ, მომზადებულ მასწავლებელს და დაუყოვნებლივ ათავისუფლებდა.

სამსახურიდან, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ერთ სოფელში ერთ წელზე მეტ ხანს არ აჩერებდა, ერთი სოფლიდან მეორეში გადაყავდა, სანამ არ მოდრეკდა და მისთვის მისაღებ გზაზე არ დააყენებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სდევნიდა კანონის მესამე მუხლით, ე. ი. უსპობდა მასწავლებლობის უფლებას. ამიტომ ზშირად სოფლის სკოლაში ჩვეულებრივ როგორც ცოდნით, ისე ყოფაქცევით შეუფერებელი მასწავლებელი ინიშნებოდა.

ამით აიხსნება, რომ ხალხში, გლეხობაში, მასწავლებელს არც ავტორიტეტი გააჩნდა და არც ნდობა. ხალხი განზე რჩებოდა, 'ძველ, დრომოქმულ ტრადიციებში, სიბნელესა და სივიწროვეში იღუპებოდა.

ამას გარდა, ზშირად ხელსუფლების წარმომადგენელნი ამა თუ იმ სოფელში სკოლას ხსნიდნენ არა გლეხთა ინტერესებისა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, არამედ პირადი სარგებლობისათვის: ან მაზრის უფროსი ცდილობდა, ზემდგომ უფროსებს ყურადღება მიექციათ მისთვის და დაეწინაურებინათ სამსახურში, ან რომელიმე მოუშზადებელი, უქნარა მახლობლისათვის სამსახური — არსებობის წყარო გაეჩინა. ამ მიმართულებითაც ღვთის ამარა იყო დარჩენილი სოფელი და მისი სკოლაც.

როგორც სოფლის, ისე მისი სკოლისა და გლეხობის ამგვარი მდგომარეობა მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში საჭირბოროტო საკითხი იყო. ამას მწვევედ გრძნობდნენ ამ პერიოდის ჩვენი კალმოსნები, განსაკუთრებით ხალხოსანი მწერლები, და დიდი მონდომებით, შეგნებითა და გაბედულებით ააშკარავებდნენ ვითარებას. ამ მოვლენას მწვევედ განიცდიდა შიო არაგვისპირელიც და ნიჭიერად აღწერა თავის ნოველებში, როგორცაა „განი“, „არ გვინდა, არა!“ და სხვ...

ცნობილია, გაღვიძებული გლეხკაცობა რწმუნდებოდა, რომ ასეთ სკოლებს და იქ მომუშავე მასწავლებლებს, გარდა გამონაკლისისა, მათი ცხოვრებისათვის ვნების მეტი არაფერი მოჰქონდათ. ისინი, რა თქმა უნდა, არ თანაუგრძნობდნენ არც ასეთ სკოლებს და არც მასწავლებლებს. მრავალ შემთხვევაში გლეხობა მათ ჩუმ ბოიკოტს უცხადებდა, ბავშვებს სკოლაში არ გზავნიდა და მასწავლებლებსაც უნდობლად უყურებდა. ეს კი აიხსნება არა იმით, რომ გლეხობას თითქოს არ ესმოდა სკოლისა და სწავლის სარგებლობა, როგორც ამას ზოგიერთი არაკეთილგონიერი ხსნიდა, არამედ იმით, რომ გლეხობა, როგორც მშრომელი, აფასებდა დროსა და ენერგიას. ის თხოულობდა ისეთ სკოლას, რომელიც მას დაეხმარებოდა დუხჭირი ცხოვრების გაუმჯობესებაში და სკოლაში მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენებდა.

სურათში „არ გვინდა, არა!“ შიო არაგვისპირელი ნიშან-

დობლივ სწორედ ამგვარ მოვლენას გვიხატავს, რითაც სახალხო განათლების მაშინდელ სისტემას მწვევედ ამათრახებს.

ასეთია ფაქტი. მაზრის უფროსის დავლებით, თუ პირადი სურვილით ბოქაული სოფელში სკოლის გახსნას დიდი გულმოდგინებით შეუდგა მას „გამოჩენილი“ მასწავლებელი — ვლადიმერ სერგევიჩიც თან მოჰყავს. სოფლის მღვდელი, თავისი გამოცდილებით, შეიძლება პირადი ინტერესით ამოძრავებულნი, ბოქაულს აფრთხილებს, რომ გლახობა არ მოინდომებს სკოლის გახსნას. ამის დასადასტურებლად მღვდელმა უამბო ბოქაულს, რომ ოთხი წლის წინათ უსამღვდელოების „უკაზის“ თანახმად ამ სოფელში მისი ხელმძღვანელობით სამრევლო სკოლა გაიხსნა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში სკოლა მოსწავლეებით გაივსო, მეორე წლის დამლევისათვის თანდათან სრულიად დაცარიელდა, ისე რომ ერთი რა არის, ერთი ბავშვიც კი აღარ დაიარებოდა. ახლა მისი კვალიც კი აღარ არისო.

ბოქაულის ქედმაღლური განცხადებით; სამრევლო სკოლა სულ სხვაა, ხოლო სამინისტრო სკოლის წინააღმდეგ შეუძლებელია სოფელი წავიდეს, განსაკუთრებით ახალგაზრდა განათლებული მასწავლებლის შთამაგონებელი სიტყვის შემდეგ. ბოქაულმა მამასახლისის დააძახებინა გლახობა. შეკრებილთ სკოლის საჭიროების შესახებ მიმართა ჯერ თვითონ, ხოლო შემდეგ სიტყვა მისცა ახალგაზრდა მასწავლებელს. იმანაც გლახებს დაუხატა მომავალი სკოლის სარგებლობა, რომ მათი შვილები შეიძლება პოლკოვნიკები და გენერლებიც კი გამოვიდნენ და ა. შ.

გლახობა ჩუმად, გულგრილად უსმენდა მასწავლებელს. ვერც მასწავლებელმა მოახდინა მათზე ვერავითარი შთაბეჭდილება.

ბოქაულის მიმართვაზე, რას იტყვის ხალხი, შეადგინოს თუ არა „პროტოკოლი“ სკოლის გახსნის შესახებ, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ერთმა გლახმა, სესემ, დაარღვია სიჩუმე და მოკრძალებით წამოიძახა: „მე მაქვს სათქმელი, შენი ჭირიმე, ბატონო, და ვიტყვი კიდევცა, თუ არ გამიწყრები... ეს სამინისტრო სკოლა, ღვდელს რო სკოლა ჰქონდა, იმასა ჰგვანებია“<sup>1</sup>.

ბოქაულს არ მოეწონა გლახის ასეთი წამოძახილი და უკმაყოფილოდ შენიშნა, რომ მღვდლის სკოლას სამინისტრო სკოლა სრულიადაც არა ჰგავს. სესემ მაინც განაგრძო თავისი შეხედულების გამოთქმა: „სამრევლო იყო თუ რომელი, ისე-კი ასწავლიდა მღვდლის შვილი, როგორც ენდე ე ყმაწვილმა ილაპარაკა... მე იმას როდი ვიძახი, ბატონო, რო არ უნდა დავეხმართ-მეთქი. ჯანი და სული წავიდეს, დეე, ყველამ ვიხადოთ, მაგრამ რად უნდა ვიხადოთ, როცა ბალ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 87.

ღები ტყუილად სცდებიან, როცა სკოლაში არაფერს აკეთებენ... „ანაბანას“ ძლივას დაასწავლიან, მერე ისიც ავიწყდებათ“<sup>1</sup>.

გლებში, მისი ცხოვრების პირობების გამო, მტკიცედ და მკაფიოდაა გამომუშავებული მოვლენის დაკვირვების, გაგების უნარი. ის ადვილად და სწორად ხედება, რაა კარგი და რაა ცუდი; კარგად ხედება, რისი გაკეთებაა მისთვის ძნელი, შესაძლებელი თუ მოსახერხებელი, რაა მისთვის დაუძლეველი, რასაც მწერალი მშვენივრად გამოხატავს სესეს პირით: „ტყუილად იძახდა ენდე ე ყმაწვილი, — ჯიუტად განაგრძობს სესე, — რო თქვენი შვილები იარანალ-პოლპონიკები დახედებიანო. იარანალ-პოლპონიკებად მაგრე ადვილად რო დახდებოდნენ, რატო თითონ არ გახდა, მაგას უფრო დიდ სკოლაში არ უსწავლია?“<sup>2</sup>.

მწერლის ჩვენებით, გლებს შესანიშნავად ესმის საიდან და როგორ უნდა დაიწყოს მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, რას უნდა ემსახურებოდეს სოფლის სახალხო სკოლა; მან კარგად იცის, რომ პირველ რიგში მას უნდა მიეცეს ცოდნა, როგორ და რა საშუალებით გააუმჯობესოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობა.

სესე ამას თავის სიტყვაში ასე გამოხატავს: „არა, ჩემო მამავ და ძმაო, ჩვენ, აი, ე მიწის შვილები ვართ... ჩვენ უნდა ვხნათ და ვთესოთ, ღვინო და პური მოვიყვანოთ, აი, თუ-კი იმისთანა სკოლას გაგვიმართავთ, რომ კარგა ხვნა-დათესვა და პურისა და ღვინის მოყვანა ვისწავლოთ, მაშინ ვინ თავ-მკვდარი ხარჯს გაეჭევა და ფულს დაინანებს, აი, გვიწინამძღვრეთ და ისეთი სკოლა გაგვიმართეთ, როგორიც წინამძღვრიანთკარის სკოლაა. ეე. თქვენი ჭირიმეთ, ხალხო, რეებს არ ასწავლიან!.. თვალი ზედ დამრჩა იმათ მუშაობაზე... საკვირველება რამ იყო. ი თითი სიგრძე ბალები ისე ლამაზად ბარამდნენ, რომ მეც-კი ვერ დავბარავ ისე. მასწავლებელიც თავს ედგა და, როცა შესცდებოდათ, ასწავლიდა. მერე იმან წამიყვანა და ბალების ნამუშევარი მაჩვენა. რეები არა ვნახე, ხალხო, ვინ ჩამოთვლის. ვუცქეროდი ი ბალებისაგან გაკეთებულ სკამებსა, გუთნებსა და ვკვირდებოდი. არა მჯეროდა, თუ იმათი გაკეთებული იყო. ახლა ეზოს გარეთ გამიყვანა და მინდორზე გამახედა: „აი, ე ჭეჯილებს ხო ხედავო“. „ჰო-მეთქი“. „ჰოდა, ეგენი სუ ი ბალების მოხნულ-დაფარცხულიაო“... ვუცქეროდი იმ მშვენიერ ჭეჯილს და ვნატობდი: ნეტავი ჩემი. შაქრიკა ერთი რვა-ცხრა წლისად მიქცია ღმერთმა, რო წამამეყვანა და იქ მიმბარებინა-მეთქი“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 88.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 88—89.

ამონაწერი ვრძელი მოგვივიდა, მაგრამ წინამძღვრიანთკარის სკოლისაგან მიღებული შთაბეჭდილება, ამ სკოლის მიმართულების გაგება იმდენად სწორი, სასარგებლო და სანუკვარი იყო არა მარტო სესეს-თვის, არამედ მთელი ჩვენი გლენობისთვის, აგრეთვე თვით მწერლისთვისაც, რომელიც გამოხატავს თავისი ეპოქის არა მარტო გლენობის, არამედ მოწინავე ინტელიგენციის მისწრაფებას — მიეცეს სოფლის სკოლას ნამდვილი სწორი მიმართულება და სახე, ისეთი, როგორც სინამდვილეში წინამძღვრიანთკარის სკოლა იყო.

შიო არაგვისპირელი სესეს სახით მკითხველს დამარწმუნებლად აჩვენებს, თუ რამდენად სწორი, რენტაბელური გაგება აქვს გლენს თავისი და, საერთოდ, ქვეყნის აღორძინების საქმეში. ხელისუფლება კი არამც თუ გლენის ამ ნიჭს, ამგვარ გაგებას ფართო გზასა და გასაქანს არ აძლევდა, არამედ ყოველმხრივ ცდილობდა შთ ხელოვნურ შებორკვას, ჩახშობას.

ერთ-ერთი დამსახურება შიო არაგვისპირელისა ისიც არის, რომ, მიუხედავად ასეთი შევიწროებისა, მან გვიჩვენა გლენობის გამოღვიძება, გააქტივება. მიუხედავად ხელისუფლების ერთგული მოხელეების ბრძანების, დაშინების, ძალადობისა: გამოფხიზლებულმა გლენობამ ნათლად და კარგად იცის, რაა მისთვის უფრო საჭირო და მისაღები; ამით აიხსნება, რომ გლენობა არ იღებს უსიცოცხლო, შეუფერებელ, სამრევლო იქნება თუ სამინისტრო სკოლას და ბოქაულის წინადადებაზე, შეადგინონ თანხმობის ოქმი, შეთანხმებულად უარყოფს. — „არ გვინდა, არაო!“

შიო არაგვისპირელს „არ გვინდა, არა!“ დაწერილი აქვს 1892 წელს, წინამძღვრიანთკარის სკოლის<sup>1</sup> დაარსების მეექვსე წელს. 80—90-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და პრესაში მწვავედ იყო დასმული სკოლის ტიპის პრობლემა. ამის გარშემო ჩვენს პრესაში ცხარე კამათი იყო გაშლილი. „არ გვინდა, არათი“ შიო არაგვისპირელმაც ამ საკითხის გარკვევაში თავისი სიტყვა თქვა. მისი შეხედულებით, ქვეყნის აღორძინების საქმეში უპირატესობა სამეურნეო-ტექნიკურ განათლებას უნდა მიეცეს.

---

<sup>1</sup> წინამძღვრიანთკარის სკოლა 1887 წელს დაარსდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნოტარიუსის ილ. წინამძღვრიშვილის (ილ. ჰავეკაძის ახლო მეგობრის) ინიციატივით. ამ სკოლას დაარსებიდანვე ილ. წინამძღვრიშვილმა გადასცა მთელი თავისი მამული, სოფ. წინამძღვრიანთ-კარში მდებარე. სკოლის კეთილადვე წარმართვას ახარჯებდა მთელ თავის შემოსავალსაც. ამ სასწავლებლის დაარსებისას ელ. ჰავეკაძემ წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა, ცოდნისა და შრომის მნიშვნელობაზე. სასწავლებელი კარგი, სპატიო სახელით სარგებლობდა.



აღნიშნული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა 90-იან წლებში გამოწვეული იყო საქართველოში კაპიტალიზმის საგრძნობი განვითარებით. დაირღვა ნატურალური მეურნეობა. სოფელი ეკონომიურად წრიო-კლებოდა. გლეხის ცხოვრება აუტანელი ხდებოდა. „კნიაზი“ რეზიკოები და მოურავი ზალიკოები გლეხებს უკანასკნელ ძალას სწურავდნენ, სტაცებდნენ. გლეხი იძულებულია, არსებობის წყარო გარეთ ეძებოს. ერთადერთი ადგილია გაბურჟუებული ქალაქი, რომლის ყოფაც, შიო არაგვისპირელის შეხედულებით, მშრომელისათვის მიუღებელია, არაფრის მომცემია, გარდა ტანჯვისა და შეურაცხყოფისა, საერთოდ, ცხოვრების გაყალბებისა.

აი, ქალაქში მიდის ყოველი მხრიდან შევიწროებული, დიდი ჯალაბის პატრონი გლეხი გიგლა („რა ზიზლით მიცქერის!“). იგი ფიქრობს დღიური ხელფასით ოჯახი როგორმე გამოკვებოს. გიგლა ქალაქში სამი დღე დადის სამუშაოსათვის, ვის არ მიმართა, მაგრამ ვერა და ვერ იშოვა სამუშაო.

გაბურჟუაზებული ქალაქისა და მის მცხოვრებთა არაჯანსაღი, ყალბი, ცბიერი ბუნება რომ გაამკვეთროს, მწერალი გიგლას შეახვედრებს ჩასუქებულ მოქალაქეს, ის აღშფოთებით გამოექომაგება მეჩაგვის ცხენს, რომელიც უზომო ტვირთის ქვეშ, ძალაგამოცლილი ქუჩაში წაქცეულა. ჩასუქებული მოქალაქე აღმოჩნდა „პირუტყვთა დამცველი საზოგადოების“ წევრი. მან დაუყოვნებლივ მოუწოდა „გოროდოვოის“, შეაყენებინა ოქმი, მეჩაგვის ტვირთი გაანახევრებინა, რის შემდეგ უფლება მისცა ცხენი ჯაგვაში შეაბას და თავისი გზით წავიდეს.

ამის დამნახველ მშიერ-მწყურვალ გიგლას იმედი მიეცა. ჩასუქებულ მოქალაქეს კრძალვით მიმართა: „მე... სამუშაოდ ჩამოვედი, ვერა ვიშოვე რა... არაფერი მაქვს... მჭვალცი...“<sup>1</sup>. და პირუტყვთა ასეთი შემბრალებელი და დამცველი მოქალაქე, ადამიანისადმი საშინლად უგულო, უხეში აღმოჩნდება. „პოოო!.. ჩაიარე!..“ გულცივად და ზიზლით წაიბუტბუტებს ჩასუქებული მოქალაქე და გიგლას მხარს აუქცევს.

მწერლის მიერ რა იშვიათი მიწვდომითა და შთაბაგონებლადაა მოქალაქის ამ განზოგადებულ სახეში ბურჟუაზიული ბუნება გაგებული და გამოხატული!

სასოწარკვეთილებაში მყოფი გიგლა ასეთმა დამოკიდებულებამ ფიზიკურადაც და მორალურადაც სრულიად გაანადგურა. „...მუხლები

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 333.

დაუდამპლავდა, მუხლების თახთახით იქვე ჩაჯდა და შუბლზე კირის ოფლი მოიწმინდა...“<sup>1</sup>. გიგლას თავისი თავისაც შერცხვა, რომ ასეთ კაცს სჯობდა. გაბრუებულ, მშიერ, შეურაცხყოფილ გიგლას ერთმა ფეხზე მოვაჭრემ შეუბრალებლად წაკრა ფეხი, ზედ გადააღაჯა და თან შეუტია: „ვა, რა გზაში ჩაგდებულხარ?!“.. და ვითომც არაფერი, გაიარა ასეთი გაუგებარი, გაუტანელი და არაადამიანური დამოკიდებულება ადამიანთა შორის გაბურჯუაზებულ ქალაქში, ასკვნის მწერალთან ერთად შეძრწუნებული მკითხველიც.

იმედგაცრუებული, სასომიხილი გიგლა გადაწყვეტს, სოფელს დაუბრუნდეს. მშიერ-მწყურვალს სიარულის თავიც აღარ აქვს. საცოდავად ხის ძირში ჩამოჯდება. უცებ გაიელვა, თან საშინელი შემადრწუნებელი ხმაური მოყვა. ამ დროს თბილისისაკენ მიმავალი ბაყალიც ახლოს აღმოჩნდა. მან მუხით შუაზე გაპობილი ვეებერთელა ხე შენიშნა. მუხის ნატეხის ასაღებად ხესთან მივიდა. ხის ქვეშ მჯდარი გლეხი დაინახა. ვაჭარს ეგონა, მუხის ნატეხის პოვნა გიგლამ დაასწრო. შეშურდა — „შე ცინგლიანო, შენ კიდევაც გიპოვია მუხის ნატეხი!“ — წყენით მიიძახა. მაგრამ გიგლა ქანდაკებასავით გაშეშებულიყო.

განცვიფრებულმა ბაყალმა გიგლას ერთი კიდევ შეხედა, შიშმა აიტანა, გიგლას სახის გამომეტყველებას ველარ გაუჭლო — „მხოლოდ ზიზღი, ზიზღი და ზიზღი შეგეძლოთ ამოგეკითხათ გლეხის თვალბეში“, — წერს ავტორი. და ეს ზიზღი არსებული ფეოდალური და ბურჟუაზიული ყოფისა და წყობილებისადმი არა მარტო უფლება-აყრილი გლეხობისა და მშრომელთა ზიზღი იყო, არამედ თვით ხალხის მეგობრის — შიო არაგვისპირელისაც.

„ვა, რა ზიზღით მიცქერის?“ — წამოიძახა ბაყალმა კანკალით და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თბილისისკენ გაჰკურცხლა“. ბაყლის ეს შიში და კანკალი, ვფიქრობთ; მწერლის სიმბოლიური განჭკვეტაა: ასეთ არაფრისმქონე გალატაკებულ მასებში ბაყალი — ბურჟუაზია, ინსტინქტურად შეშინებული, თავის მოწინააღმდეგეს, თავის მესაფლავეს ხედავდა და მისდამი მტრულად იმსჯვალეობდა.

შიო არაგვისპირელის გაგებითა და ჩვენებით, სამართლიანად ემხობა, ნადგურდება ფეოდალურ ყოფაში ბატონსა და ყმას შორის მიუღებელი, კაცის დამამცირებელი ურთიერთობა, უხეში ძალმომრეობა. მაგრამ მის ნაცვლად ბურჟუაზიული წყობილება რომ იმარჯვებს, მწერლის აზრით, არც ეს არის მშრომელი ხალხისათვის ბედნიერების მომტანი.

შიო არაგვისპირელის ჩვენებით, არათანასწორი მდგომარეობა ფულიანსა და უფულოს, მდიდარსა და ღარიბს შორის ბურჟუაზიულ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 333.

ყოფაში რომ ღრმავდება, კაცის ისეთსავე, თუ უარესს არა, ჩაგვრასა და დაუფასებლობას იწვევს.

ბურჟუაზიული განვითარების პირობებში, შიო არაგვისპირელის რწმენით, ადამიანი უფრო იხრწნება, მასში მგლური, დაუნდობელი, ცბიერი თვისებები თუ ბუნება მკლავდება და უფრო ღრმავდება. ბურჟუაზიულ სამყაროში ყველაფერი წმინდა, წრფელი, ფაქიზი, იდეური, კაცთმოყვრული — იბღალბება. იქ ყველა და ყველაფერი მხოლოდ ფულით იზომება და ფასდება. პირადი კეთილდღეობისათვის კაცი არავითარ საშუალებას არ ერიდება, ყველაფერს კადრულობს; ადამიანი ადვილად იწირება. და ყოველივე ამის ბუდე ქალაქია, სადაც მდიდართა და ღარიბთა უბნები იქმნება. ღარიბ, მიყრუებულ უბნებში ფულიანსა და უფულოს შორის ჭიდილი უფრო სასტიკ ფორმებში ელინდება. აქ ხშირად მშობლიური გრძნობაც კი გაყალბებულ-გახრწნილია.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი აღმოფოთებული უყურებს კაცთა ჭიდილის ამ ბაქქანალიას და თავის მთელ რიგ ნოველებში რეალურ ფერებში, საქვეყნოდ ააშკარავებს.

უპატრონო ბავშვი თამრო („აბრეშუმის ცხვირსახოცი“) იშვილა ვიღაც დედაბერმა არა კაცთმოყვარეობის, არამედ ბავშვის უსინდისო, არაადამიანური, დაუშვებელი ექსპლოატაციის მიზნით. თექვსმეტ წლამდის უპატრონო თამროს დედაბერი სახლში ყოველივე მძიმე და ბინძურ საქმეს აკეთებინებდა. საშინლად, უხეშად ეპყრობოდა. ამ ხნის განმავლობაში თამროს „დედობილისაგან“ არამცთუ ალერსი, თბილი სიტყვაც არ მოუსმენია. დედაბრის ხასიათს და თამროსადმი დამოკიდებულებას მწერალი მშვენივრად გვაჩვენებს კოკის გატეხის ეპიზოდითაც. „დედობილმა“ თამრო უკანასკნელი სიტყვებით გათათხა, არაფერი სიავე არ დააკლო, ხოლო თედოს ფული რომ დაინახა, დაუყვავა, მოლბა. ასეთია ბუნება ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისა.

„დედობილმა“ თამროს აღარც ეს აკმარა. როცა თამრო გახდა თექვსმეტი წლის, „დედობილმა“ მას, ამ უმწეო, სათნო, ფაქიზ გოგონას გარყვნილებისაკენ, საკუთარი ხორციით ვაჭრობისაკენ უბიძგა.

უკანასკნელად ნახვისას, განკითხვის დღეს თვითონ თამრო თედოს ასე მოუთხრობს ამის შესახებ: „... თექვსმეტი წლისა რომ შევესრულდი, სულ სხვანაირად შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ტარტაროზი („დედობილი“ — მ. ზ.) ალერსით მექცეოდა. წყალზედაც აღარ მგზავნიდა, მიკვირდა, ვერ მივმხვდარიყავ, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ასეთის

დატკობისა. შემდეგ-კი მიხვდები. ერთ დღეს მომიჯდა გვერდით და კოცნა დამიწყო. მეზიზღებოდა ასეთი ალერსი იმისი, მაგრამ ვერა მოვახერხე-რა. „შვილო, — მითხრა ბოლოს: — არ იცი, ჩვენი წუთი-სოფელი როგორია და ქალმა როგორ უნდა იცხოვროს!“ — რას მეუბნები, ვერ მიმხვდარვარ-მეთქი, — დავეკითხე მე... ასე და ასე უნდა მოიქცე, თუ გინდა, რომ რიგიანათ იცხოვრო, კარგი გეცვას, კარგი გეხუროსო. ამ ლაპარაკის გაგონებაზე სულ ცეცხლი მომეკიდა, სირცხვილმა დამწვა, გონდაკარგული წამოვხტი და გარეთ გამოვვარდი“<sup>1</sup>. თამრომ თავისი თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და „დედობილისად-მი“ გარკვეული დაუმორჩილებლობის გეზი აიღო.

ამგვარ საქმეებში კარგად გამოცდილი და დახელოვნებული „დედობილი“ თამროსადმი მეთოდს ცვლის — დატკობას ამჯობინებს. მან ჯაიგო, რომ თამრო ოჯახში მოსამსახურის ადგილს ეძებს, მაგრამ ვერ შოულობს. კარგად იცის, რომ თამროს მის გარეშე გზა არა აქვს. დედაბერმა დააცადა. მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ თამრომ მოსამსახურის ადგილი ვერ იშოვა, თავისი ბოროტი ზრახვის განხორციელებისათვის ხელსაყრელი მომენტი დაინახა და სხვა, უფრო ვერა-გული გზა აირჩია.

თამრო ამ მომენტს თედოს ასე გაანდობს: „ერთ დამეს ძილში ტუტტუნი შემომესმა. გავახილე თვალები და რა დავინახე?.. ჩემ ლოგინთან იდგნენ ტარტაროზი და ვილაც ორი კაცი. „ვინა ხართ, რა გინდათ-მეთქი?“ წამოვიყვირე მაშინვე“. „ვინ უნდა ვიყვნეთ, ადამიანები ვართ“, მიპასუხა ერთმა კაცმა უსირცხვილოდ. „ადამიანები კი არა, ეშმაკები ხართ! აქედან დაიღუპებით, თორემ!“ წამოვხტი ლოგინიდან და ყელში წავუტვირე ტარტაროზს, მაგრამ ჩქარა გამაგდებინეს ხელიდან. ახლა ამ კაცებს დავუწყე კბენა, ფხაჭვნა, კაწვრა სახისა, დავიწყე ღრიალი. მაგრამ... მერე? ამიხვიეს პირი, რომ აღარ შეყვირნა, გამიკრეს ხელები, შემკრეს მაგრა და... ხომ ხედავ, მე სიცოცხლის ღირსი აღარა ვარ... აქნობამდისაც მოვიკლავდი თავს... მაგრამ შენის ნახვის სურვილმა გადამარჩინა ცოცხალი“<sup>2</sup>.

ასეთი იყო ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში ღარიბი, უფულო ადამიანის მდგომარეობა და ფასი. ასეთ წარმოუდგენელ, არაადამიანურ ძალმომრეობას ახდენდნენ ფულიანები უფულოებზე; უფულო ადამიანი ხშირად გაცილებით ადვილად ნადგურდება, ვიდრე ჩვეულებრივი მოსახმარი საქონელი; ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიული გაგებით, მათ შორის დიდი განსხვავება არ იყო. ასეთია შიო არაგვისპირელის გაგება და ჩვენება.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 40.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41.

შიო არაგვისპირელს, როგორც დიდ ფსიქოლოგს, კარგად აქვს გაგებული თამროს უმწიკვლო, კდემამოსილი ბუნება. თამროს თქმა: „აქნობამდისაც მოვიკლავდი თავს... მაგრამ შენის ნახვის სურვილმა გადამარჩინა ცოცხალი“ — ყალბი, საკეკლუტო სიტყვები როდია, არც დაჩაგრული, შეურაცხყოფილი ადამიანის სურვილია საყუარელი ადამიანის სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ ნახვისა, არა, აქ თამროს უფრო დიდი, უფრო ღრმა აზრი ამოძრავებს.

შიო არაგვისპირელი დიდი გულთამხილებით წევს წინ თამროს უმანკოებას, ნატიფობას, მის ადამიანურ გრძნობას. მას თედო ისეთი უზნალო გრძნობით უყვარს, რომ არ უნდა თედოს დარჩენოდა გაურკვეველი, გაუგებარი, ჩრდილმიყენებული წარმოდგენა მის თვითმკვლელობაზე, მას უნდოდა, თედოსთვის გაენდო თავისი ამბავი, როგორც წმინდა საიდუმლოება, რომ თედოს გაეგო მისი უბიწობა, მასაც თამროზე ისეთი ფაქიზი გრძნობა და წარმოდგენა ჰქონოდა, როგორც თამროს — თედოზე. ცხოვრება გამოუცდელი, სუსტი არსებისათვის უკვე ფასდაკარგული იყო. ეს მან გააკეთა არა პირადი სიმშვიდისათვის, არამედ თედოსთვის. ამას ადასტურებს მისი წინასწარ გამზადებული საწამლავი თავის მოსაკლავად.

თამროს ცხოვრებაში თედო ერთადერთი კაცი იყო, რომელიც მას კეთილად, პატიოსნად, ნამდვილი ადამიანური გულით, თანაგრძნობით შეხვდა. თამრომ მისდამი, ვეფქრობთ, პირველად და უკანასკნელად ნამდვილი გრძნობა განიცადა და მთელი თავისი უშუალო ბუნებით მიენდო. ნიშნად ამ გრძნობის სიღიადისა, თამრო თავის დიდ უბედურებას მხოლოდ თედოს გაანდობს, მხოლოდ მას, ერთადერთს მისთვის სათაყვანებელ ადამიანს. ამ განდობის შემდეგ თამრო წინასწარ მომზადებული საწამლავით თავს იკლავს. თედოს მიერ სასწრაფოდ მოყვანილი ექიმის დახმარება უშედეგოა, თამრო იღუპება.

შიო არაგვისპირელის დანახვითა და განსჯით, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ყოფაში, სადაც ფულია ყველაფერი, ადამიანთა უმრავლესობა — ქალი თუ კაცი, სულ ერთია, ან გაათახსირების გზას უნდა დაადგეს, ან თუ ის ნამდვილი, კაცური გრძნობა-მისწრაფების შენახვას მოინდომებს, უნდა დაიღუპოს; ბურჟუაზიულ ორომტრიალში — ადამიანთა მგლური გრძნობების დაგეშის პროცესში — არა ერთი და ორი თამრო და მისთანა იღუპება, არამედ მრავალი. შიო არაგვისპირელს სძულს ბურჟუაზიული ყოფა, სადაც გამეფებულია უსამართლობა, ძალმომრეობა, დაუნდობლობა, პირადი, დაბალი ეგოისტური გრძნობების ბაქჟანალია, სადაც ნებისთ თუ უნებლიეთ ყველაფერი ფულით იზომება და იყიდება. ამიტომ გულისხმიერი მკითხველის ლო-

ვიკური დასკვნა მწერალთან ერთად ასეთია: ბურჟუაზიული ყოფის ისეთივე დაუნდობელი უარყოფაა საჭირო, როგორც ფეოდალურისა. ამ ნაწარმოების ქვეტიქსტში გარკვეულად იკითხება თუ ინატება ეს აზრი. ასეთია ამ ნოველის მიზანდასახულება და მნიშვნელობა.

\* \* \*

ბურჟუაზიული ქალაქის ყოფით აღმფოთებული შიო არაგვისპირელი ვერ მშვიდდება, უნდა უფრო ღრმად შეიჭრას მის ცხოვრებაში, მეტი სისრულით დაანახოს მკითხველს მისი უმსგავსი, მიუღებელი, ადამიანის გამხრწნელ-გამანადგურებელი პირობები.

თავის ფსიქოლოგიურ ეტიუდში „მომილოცნია ახალი წელი!“ შიო არაგვისპირელი იძლევა ბურჟუაზიულ ყოფაში შექმნილთა გულქვაობისა და დაუოკებელი პირადი სიამოვნების თარეშის უტყუარ, შემზარავ, დამახასიათებელ რეალურ სურათს. ამ ეტიუდში მწერალი ბურჟუაზიული ყოფის ტიპური მსხვერპლის ცხოვრებიდან გვისურათებს ერთ მომენტს, მაგრამ ზედმიწევნით დამახასიათებელს, რომელშიც მკითხველი ამგვარი მსხვერპლის არა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას, არამედ მთელი ვაივაგლახით, დამცირებით განვლილი ცხოვრების გზას მწვავედ და ნათლად ხედავს.

ბნელი, ნესტიანი სარდაფის კუნჭულში დროზე ადრე დაბერებული, ჩამომხმარი, წელში ორად მოხრილი, ჩულის ნაგლეჯებზე მიგდებული და ზევიდან ასეთივე ჩულის ნაგლეჯებით წახურული დედაბერი ცხოვრობს. ყველასაგან მიტოვებული, უპატრონო, მშვირ-მწყურვალი, სნეული, დაუძღურებული „დედაბერი“ მწარე ფიქრებს მისცემია. „დედაბერს, — ავეიწერს მწერალი, — ტანჯვისაგან მთლად ჩანაოჭებული სახე ხან გაეშლებოდა, და ხან უფრო ჩაუნაოჭდებოდა“<sup>1</sup>. უბედურს ძილიც კი დაკარგვია. საცოდავად მბეუტავი, გამურული ლამფის შუქზე მოგონებები მის ავბედით განვლილი წუთისოფლის გზას, როგორც კინემატოგრაფის ლენტას, გაატარებს.

„ხვალ ახალი წელიწადია“, კვნესით, უკმაყოფილოდ, მწუხარებით წაპოიძახებს მწარე ფიქრშემოსეული დედაბერი. ის კი ასე უნუგემოდაა, დაცლილია ხორცითა და სულით. უილაჯო, გაწბილებული, განადგურებული დედაბერი გაკვირვებითა და ღრმა გულისწყრომით მემართავს ღმერთს, უთხრას მას, ისეთი რა დააშავა, რომ ასეთ უნუგემო მდგომარეობაში ჩავარდა. ის აღელვებით მიუთითებს, რომ ამ ბოლო დროს მცირედით კმაყოფილდებოდა: ნაგავში კონკებსა და ჩვრებს აგროვებდა, შემდეგ მათ ყიდდა და იმის საფასურით ირჩენდა.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 45.

თავს. ახლა მოძრაობაც აღარ შეუძლიან, მას ესეც მოესპო. „ნუ თუ ესეც ჩვეულებრივი ადამიანისთვის აკრძალულია?“ ბოლმითა და აღშფოთებით ფიქრობს გამწარებული დედაბერი.

დედაბრის გამოუთქმელი ტანჯვა რომ უფრო მეკეთრად აგრძნობინოს მკითხველს, გაამახვილოს მისი ყურადღება გმირისადმი, დახვეწილი ფსიქოლოგი-მწერალი მის გაწამებულ სულში იჭრება და, ასეთი მსხვერპლისადმი დიდი თანაგრძნობით გამსქვალული, მკითხველს აშენობს, რომ ამ უძღურს, გაუბედურებულს, ღვთისადმიც კი უბედურთა ამ უკანასკნელი სასოებისადმი, ნდობაც დაუკარგავს და მას ასე ამოაკენესებს: „ღმერთო... უაღრესი ტანჯვაც რომ მომერგოს, რასაც აუცილებლივ მოველი, მაინც აღარ მოგმართავ... ბევრჯელ მოგპართე გულწრფელად, ბევრჯელ მოგაპყარ ცრემლიანი თვალები, მაგრამ შენგან ნუგეში ვერ მივიღე“<sup>1</sup>.

ღვთისადმი რწმენა ხომ თვით შიო არაგვისპირელმა ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაკარგა, როდესაც ღუხჭირი, ფლიდი გარემო გაიციწო.

ცხოვრების გზაზე უხამსი სინამდვილის ნახვამ დედაბერი ისე შეავიწროვა, რომ ის არამცთუ ღმერთზე ხელს იღებს და მას კანდიერად უარყოფს, არამედ სიკვდილსაც კი ნატრობს. სევდამორეული, სასოწარკვეთილებაში მყოფი დედაბერი განწირულის თვალთ გადახედავს თავის განვლილ ცხოვრებას და ეკითხება თავის თავს, ღმერთს, ხალხს: „ჩემის წარსული ცხოვრებისათვის მარგუნე ეს დღე?.. ჩემი წარსული ცოდვად მიგაჩნია და იმისთვის მსჯი?.. მერე შე ვარ დამნაშავე?.. უმანკო, გამოუცდელ, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის უთვისტომო ქალს რა უნდა მომეგვარებინა?.. ყველას ენდობი, ყოველივე სიმართლედ მიგაჩნია, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ყოველივე შხამი ყოფილა და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს. ჩემი გულწრფელი გრძნობა, ჩემი წმინდათაწმინდა უსინდისოდ შემილახეს, მიწასთან გამისწორეს, ტალახით შემითხუპნეს და, ვაი, სათქმელადაც კი ძნელია, ქამდე მიმიყვანეს, რომ ჩემ ხორცს, ხორცს ყიდვა დაუწყე... დახელოვნებულ ვაჰარსავით, ვფლიდობდა, ვთვალთამაქობდი: ვეხვეოდი. იმას, ვინც მძაგდა, ვიციწოდი, ვხარხარებდი, დაეხტოდი და დაეფუნდრუკებდი მაშინ, როდესაც მეტირებოდა... ვანა ის ტანჯვა არ კმაროდა, რომ ეხლა ესეც არ დაგემატებინა?.. აჰა, შემომხედე, ორმოცდაათი წლის დედაკაცი რასა ვგვევარ?.. ოთხმოცდაათის წლის დედაკაცივით დაუძღურებულვარ და მშვიერ-მწყურვალს სული მერთმევა“<sup>2</sup>.

რა დიდი გულთამხილობით და მძლავრი, შთამბეჭდავი, რეალური

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 45—46.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 47.

ფერებიათა მოცემული ბურჟუაზიულ ცხოვრებაში გამეფებული ბაკ-  
ქანალია — კაცის მიერ კაცისავე დაუნდობელი, შემადრწუნებელი ექს-  
პლოატაცია! აი სადამდის და რა საშინელი დამამცირებელი საშუალებით  
ნადგურდება ადამიანის წმინდა გრძნობები!

მაგრამ ყველაზე მძიმე და ტრაგიკული, რაც ჩვენს დიდ ფსიქო-  
ლოგ-მწერალსაც გულისა და ტვინის სიღრმეებში ჩამწვდომად შეუნი-  
შნავს. ისაა, რომ ამ განადგურებულ ადამიანში რჩება შეგნება ასეთი  
გზის სიმახინჯისა, ძალმომრეობისა და მის წინააღმდეგ ამბოხებულ  
სული — როგორც ამ დედაბერშია.

ნოველსინთ ავტორს, ეს წამებული დედაბერი როგორი მღელ-  
ვარებით ლამობს წინააღმდეგობის გაწევას: „ნუ თუ გგონია, — მი-  
მართავს ღმერთს დედაბერი, — ქუჩაში გავტურდები და ლუკმა პური-  
სათვის ხელს ვისმე გავუწვდი? არა, არა... მეყოფა ამდენი დამცირება!  
ხა, ხა, ხა... გავუწოდო ხელი იმათ, ვინც ამ დღემდე მიმიყვანა, გავუ-  
წოდო ხელი, რომ მოწყალება მოიღონ ჩემზე... კმარა, მე იმათ ხელს  
არ გავუწვდი, რომელთაც მსრისეს, მტანჯეს, ვიდრემდის ჩემი სახე  
ხიბლავდა, და ეხლა-კი, როგორც უხმარი ნივთი, ამ სოროში ჩამომი-  
ძახეს... არა, არა!“...! — დედაბერი შეძრწუნებით წამოიყვირებს  
და უეცრივ თითქოს საიდანდაც ძალა იგრძნო, ფეხზე წამოდგება.  
მას დაუძლეველი სურვილი აღეძრა — დამცირებისათვის ყველას,  
ყველას სამაგიერო გადაუხადოს. მზადაა, ყველა დამნაშავე კბილით  
დაგლიჯოს, დაფლითოს და იმათი ტანჯვით დატკბეს, იმათ გაებაზე  
იკისკისოს.

მწერლის მიერ იშვიათი წვდომითაა მოცემული ყველაფერდაკარ-  
გული, შეგინებული ადამიანის შეგნებაში ადამიანური ღირსების გა-  
ლციება, აფეთქება, უნუგეშოს სასოწარკვეთილება — ყველას, ვინც  
ის ამ მდგომარეობამდე მიიყვანა, დაუნდობლად გაუსწორდეს. დედა-  
ბრის ეს განწყობილება სრულიად ბუნებრივი მდგომარეობისათვის  
შესაფერ გამოსავალს პოულობს.

ამ დროს ზედა სართულიდან დედაბერს ხმაური, როიალის გრი-  
ალი მოესმა. „ააა!... კიდევ დაიღრიალა... კბილებით თავის გამხმარ  
ხელს დასწვდა და ერთი ლუკმა ხორცი ამოგლიჯა“. ეს დეტალი რა  
მშვენიერად, მკვეთრად ააშკარავენს გაწამებული დედაბრის აფორია-  
ქებულ. ამბოხებულ სულიერ ტანჯვას. სისხლით შეთხუპნული, გამ-  
ძვინჯვარებული მხეცივით გარეთ გამოვარდა და შეძრწუნებული ხმით  
წამოიყვირა: „ახალი წელიწადი უკვე დადგა!.. ახალ წელს ეგებებიან!  
ერთმანეთს სიხარულით ულოცავენ!.. ჩემი მტანჯველნი მხიარულო-



ბენ!“<sup>1</sup> დედაკაცი გიევიით შევარდა ქოხში, საჩქაროდ ნავთი მისხსა კარებს და ფანჯრებს, საიდანაც მხიარულება ისმოდა და ცეცხლი წაუქიდა. ცეცხლში გახვეულთ შესძახა: „ხა, ხა, ხა... მომილოცნია ახალი წელი!“ და თვითონაც ცეცხლს მისცა თავი. დედაბრის მოქმედების ასეთი აქტიურობა, სისწრაფე, რაღაც თავბრუდამხვევი შთაბეჭდილებით აძლიერებს მკითხველში მის სულიერ ტანჯვას და მისდამი დიდ თანაგრძნობას იწვევს. ასეთია ტანჯვის გოლგოთა ბურჯუაზიულ ყოფაში ღარიბი, „დაბალი ღობის“ ადამიანისათვის, რაც მწერალს მიუღებლად, დასათრგუნად მიაჩნია. და მკითხველშიაც ამგვარსავე განწყობილებას ძალუძმადვე ჰკირავს.

ეტიუდი „მომილოცნია ახალი წელი!..“, როგორც შიო არაგვისპირელის სხვა მრავალი ნოველა, არა მარტო მძლავრი ფსიქოლოგიური ნაწარმოებია, არამედ აგრეთვე მძლავრი სოციალური სატირაცაა კაპიტალისტურ ყოფაში შექმნილი ბაკქანალიისა.

\* \* \*

განა უმსგავსად არ იქცეოდნენ ფეოდალური ყოფის გადმონაშთები, ჯერ კიდევ მძლავრად რომ ამტუტებდნენ ადამიანთა გულსა და ტვინს და მრავალთ გზას უწეწავდნენ? განა ასეთივე სხეულით ვაჭრობა არაა მოცემული, შეიძლება უფრო ნაკლებ გაუმართლებელიც, შიო არაგვისპირელის ეტიუდში „... სულ ერთია!..“.

თეკლე მაღალი წრის თავადის ქალის ტიპური სახეა. კიკო ხეველს — განათლებულ, პატიოსან, ხელმოკლე. არაბრწყინვალე წოდებიდან გამოსულს, წრფელის გრძნობით უყვარს ბრწყინვალე თავადის ქალი. მათი პაემანი ააშკარავებს, რომ ისინი ახალგაზრდათა ჩვეულებრივ მეგობრულ დამოკიდებულებას საკმარისად გასცილებიან. ორივე ხელით მიზიდულ თეკლეს კიკო გულში იკრავდა და სიყვარულით აღტაცებული ხმის კანკალით ჩასძახოდა: „მამ გიყვარვარ, გიყვარვარ, ჩემო, ჩემო?! ჩვენ სამუდამოდ ერთმანეთისა ვიქნებით!.. და თავდავიწყებით შეუერთა თავისი ტუჩები თეკლეს მხურვალე, ფუნჩულა მარწყვისფერ ტუჩებს“<sup>2</sup>. თეკლეც კიკოს გრძნობას სიამოვნებით ნებდებოდა — „თითქოს ვაჟის მთლად სულში ჩაძვრენა უნდაო“. კიკო, მთელი თავისი არსებით სიყვარულის გრძნობას მიცემული, აღფრთოვანებული, ალერსიანი კილოთი თეკლეს ჩაეკითხება: „ჩემო თეკლე!.. ჩემო კარგო ხომ სამუდამოდ ასე ბედნიერები ვიქნებით!..“<sup>3</sup>.

კიკოს ამგვარ ვნებიან-ალერსიან სიტყვებზე თეკლე, თითქოს, ახლა

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 47.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 288.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 289.

გამოფხიზლდაო. შეკრთება, კიკოს ხელიდან გაუსხლტება, არეულად უპასუხებს: „მე შენი?!. არა... წავიდეთ შინ!.. მერე... მერე!“ და სახლისაკენ იბრუნებს პირს. კიკოც დაღვრემილი, თავმოყვარეობაშეღახული თეკლეს ჩუმად მიყვება.

თეკლესა და კიკოს ურთიერთდამოკიდებულებაში მკითხველი კარგად ხედავს. რომ არა მარტო კიკოს უყვარს ძლიერ თეკლე, არამედ თეკლეს გატაცებულია კიკოთი, თეკლეს სავსებით დარწმუნებულია, რომ კიკო მას გაგაყვებით უყვარს. მიუხედავად ამისა, თეკლე სიყვარულის ექსტაზშიც კი კიკოს აღერსიან შეკითხვაზე — „ხომ სამუდამოდ ასე ბედნიერები ვიქნებით!“ — მაინც გაურკვეველ პასუხს აძლევს.

ადამიანთა კლასობრივი ფსიქოლოგიის ბრწყინვალე მცოდნე მწერალი თვით გაურკვეველ თეკლეს თავის საქციელს აახსენებინებს, როდესაც ის თავის გულში ღრმად იხედება, რათა გაარკვიოს, რატომ არ უნდა იყოს ბედნიერი კიკო ხეველის ხელში, იმ კაცისა, „რომელიც უყვარს, თითქმის თავყანსა სცემს“.

კიკოსადმი ეს დიდი გრძნობა თეკლეს არსების ერთი მხარეა — უშუალო, ბუნებრივი. მისი არსების მეორე მხარე, რომელიც ფეოდალური წოდების ქედმაღლური, დრომოკმეული ტრადიციების ზეგავლენის ტყვეობაშია, არ ეთანხმება პირველს, მერყეობს, შებოჭილია. კიკოს ძვირფას პიროვნულ ღირსებებს თეკლეს ბუნების მეორე მხარე უპირისპირებს სხვის გვარიშვილობასა და სიმდიდრეს; ფეოდალურ ყოფაში აღმოცენებული და გამტკიცებული სწრაფვა დიდებისაკენ, შექმნილი გვარიშვილობითა და მატერიალური სიმდიდრით, თეკლეს სხვა მიმართულებით ძალუმად მიეზიდება. თეკლე მონაა თავადური სიამაყისა და პატივმოყვარეობისა.

აი, ავტორი როგორ მძლავრად, ღრმა ცოდნითა და რეალურ ფერებში ავლენს თეკლეს შინაგან სამყაროს.

თეკლე ჩაუკვირდება თავის გრძნობას — სიყვარულის კარნახს. იგი წარმოიდგენს, რომ ხეველის ცოლია და უცბად მასში ასეთი აზრები თუ განცდები აიშლება: „ოჰ, რა უცნაური გვარია!.. ხეველი... ხეველი... ახ, რატომ ეს გვარიც ისე ბრწყინვალეობით არ არის შემოსილი, როგორც მისი მამისაა!.. რანაირი პატივით ექცეოდნენ, როდესაც თეკლე ხეველის მეუღლე. არ იყო!.. ახლა?! ახლა-კი, ღმერთო, ზედაც არავინ უცქერის. ყველა ტუჩის აშვერით ყურში აგონებს: თავადიშვილის ქალი ვიღაც ხეველს, უბრალო მასწავლებელს, გაპყვა ცოლადაო! ესეც იმალება, აღარავის უნდა ეჩვენოს. რცხვენიან თავის

გვარისა. მდიდარი მაინც იყვეს, რომ თავის სიმდიდრით ჩააჩუმოს, ყველანი ალაგმოს... მაგრამ, ოხ, სიმდიდრეც არა აქვს!..<sup>1</sup>.

მშვენიერი, ნიშანდობლივი დახასიათებაა თავადთა წრის შეხედულებათა და ინტერესთა ზეგავლენით გამომუშავებული თავადის ქალის ფსიქოლოგიისა — ოჯახური კმაყოფილებისათვის საჭიროა გვარიშვილობა, დიდი მამული, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, ახალი ცხოვრების პირობებში გვარიშვილობის ექვივალენტი — სიმდიდრე, ფული. მწერლის გაგებით, თეკლეს ფსიქოლოგია შექმნილია ორი უარყოფითი მსოფლმხედველობის — ფეოდალურისა და ბურჟუაზიულის ზეგავლენით.

მწერალი ჯიუტია თავისი აზრის სრულად გამოხატვაში; ამ შემთხვევაში თეკლეს ყალბი ბუნების გამოხატვაში, და განაგრძობს: აი, თეკლემ წარმოიდგინა, რომ კიკო მასთანაა. ის კიკოს კისერზე ჩამოეკიდა და მღუღარე ცრემლის ფრქვევით ემუდარება დაიხსნას იგი მტანჯველი, გამოურკვეველი მდგომარეობიდან; კიკო კი ჩვეულებრივი გატაცებით ეფიცება წრფელ გრძნობებს და მზადაა დაუმტკიცოს თავისი სიყვარული, თეკლე კი, თითქოს, ბურანშიაო, უპასუხებს: „სიყვარული! მარტო სიყვ...“ თეკლე უცებ გამოერკვევა და გაიხარებს, რომ ის ისევ თავის ოთახშია და არა კიკო ხეველის პატარა, სულის შემხუთავ ოთახში... ისევ თავის გვარი აქვს და არა კიკო ხეველისა, რომ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ამ რამდენიმე წუთის წინ. რომ ყველაფერი მხოლოდ ბურანში იყო.

ასეთი გამორკვევის შემდეგ თეკლე გადაწყვეტს, კიკოს მხურვალე, წრფელ სიყვარულზე გარკვეული პასუხი გასცეს — უარი უთხრას. და ასეთ წერილს წერს: „დაივიწყე, ჩემო კიკო, ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა და ჩვენ ისევ ისე კარგი მეგობრები ვიყუნეთ“<sup>2</sup>...

თეკლეს უარმა, მართალია, კიკო დაამწუხრა, მაგრამ ის თეკლეს მაინც არ ამტყუნებს. ის, როგორც გონიერი, განათლებული, კარგად გრძნობს, რომ თეკლესთან ბედნიერება არ უწერია. იცის გარემოს ზეგავლენა მაღალი წრის შვილებზე. და თეკლეს უარი ბუნებრივად მიაჩნია, რადგანაც კარგად იცნობს ბრწყინვალე წოდებაში გამეფებულ შეხედულებებს. „სად მე და სად შენ! მე...“ — სწერს თეკლეს კიკო და ფრაზას არ ამთავრებს. უეჭველად ის უნდა ეთქვა კიკოს, რაც თეკლემ უკვე უთხრა თავის თავს: სად კიკო და სად დიდებული თავადის ქალი თეკლე. თეკლესა და მისთანების შეგნებამდე ჯერ არ დასულიყო ბრძნული, ჰკუთის სასწავლებელი ქართული ანდაზა: „ათა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თბ., სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 290.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 292.

სად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“. კიკო რწმუნდება, რომ თეკლე ჩვეულებრივი მსხვერპლია ბრწყინვალე, პრივილეგიური წოდებისა თუ კლასის ყოფაში შექმნილი ეთიკისა და ეტიკეტისა.

კიკო ხვეული თეკლეს უკანასკნელ თხოვნასაც ასრულებს, წერილს უკანვე უბრუნებს შემდეგი მინაწერით: „მშვიდობით, მშვიდობით!.. შენს ნაცივრად წერილს ვემშვიდობები... მაგრად, მაგრად აჯოცა წერილს, — გადმოგვცემს მწერალი, — კოცნის დროს რამდენიმე ცრემლი ზედ დააგდო და შემდეგ, თითქოს საყვარელ არსებას მარხავდესო, ცრემლის ფრქვევით ჩადვა კონვერტში“<sup>1</sup>...

ამ ეტიუდის დაწერა შიო არაგვისპირელს შესაძლებელია შთააგონა მისმა პირადმა გატაცებამ ელისაბედ (ვეტა) ყიფიანით. მოვიგონოთ ზემოთ მოტანილი შიო არაგვისპირელის წერილები ელისაბედ ყიფიანისადმი, განსაკუთრებით მესამე წერილი. ვფიქრობთ, ნოველის შინაარსის მრავალი ხაზი, განწყობა და დაწერის თარიღი უდავოდ ბიოგრაფიულია (რა თქმა უნდა, ეტიუდის პირველი ნაწილი). მართალია, ეტიუდის დაწერის თარიღი აღნიშნულია—9, მე-5, — 97 წ. ეს ან ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომა უნდა იყოს, ან თვითონ მწერალმა დროს ზუსტი აღნიშვნა განზრახ შეცვალა. ნაწარმოების დაწერის თარიღი, შესაძლებელია, რომანის დასაწყისის მაჩვენებელია. მწერლობაში ასეთი მანერა არც ისე უცხოა. ცნობილია, ამგვარ შემთხვევებში სავალდებულო არ არის, მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფერი ისე იყოს გადმოცემული, როგორც ეს სინამდვილეში ხდება.

თეკლეს მამა სულ სხვა რამეს უმიზნებდა. მას უნდოდა, ქალი მიეთხოვებინა დიდგვაროვანი, შეძლებული არჩილისათვის. მამის წინადადებაზე თეკლემ დაუფარავად უთხრა: „მართალს ამბობ, მამი, კარგი ცხოვრება აქვს, კარგი გვარიც... თავადიშვილობით, ჩამომავლობით საქართველოს თავადებში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ, რა ვქნა, თითონ არჩილი სულელია, უშნო, ულამაზო...“<sup>2</sup>.

ამ დროს მოსამსახურეს კიკოს წერილი შემოაქვს. თეკლემ წერილი მამას გადასცა. მამას შეკითხვაზე, იქნება თეკლეს კიკო უყვარს? თეკლე არა მალავს: „მიყვარს და მაგრე?! არ ვიცი, ესე შეეძლება ვისმე კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარს!“<sup>3</sup>. განცვიფრებულ მამას ვერ გაუგია თეკლეს პასუხი, ვერც თეკლეს კიკოსადმი წერილი, ვერც მისი უარი და უფრო მეტად, რად ატყუებს კიკოს „არ მიყვარხარო“.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 292.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 294.

აი აქ ბრწყინვალედ, ზედმიწევნით შიშვლდება შთამომავლობისა და სიმდიდრის კულტით გაყალბებული თავადის ქალის ბუნება! მეტად ბევრისა და ნიშანდობლივი თვისებების გამომხატველია თეკლეს პირდაპირი, დაუფარავი თვითგამიშვლება: „როგორც გატყობ, მამაჩემო, შენ ბავშვი ყოფილხარ, ჩემზე გამოუცდელი. „არ მიყვარხარ“, იმისთვის მივწერე, რომ უარის თქმა მინდოდა. რომ მიმეწერა: „მიყვარხარ, მაგრამ მაინც ცოლად ვერ გამოგყვები“, მაშინ კიკო ხომ შემეზინებდა, შემეძულებდა?... რას იფიქრებდა?... ის-კი არ მინდოდა, რომ კიკოს შეგძულებოდი და ჩემზე ცუდი აზრი შეეყენებინა... ცოლად-კი, თუმცა მიყვარს კიკო, რატომ არ მინდა გავყვე... იქნება იმიტომ, რომ შენი ქალი ვარ“ — ეუბნება თეკლე მამას. და ჭეშმარიტად, სწორედ თავადურმა გაამაყებულმა, გაამპარტავებულმა ყოფამ თავისებურად გარდაქმნა, გააყალბა თეკლეს ბუნება. თეკლეს ეს კარგად ესმის, მაგრამ თავის თავის გარდაქმნა არ შეუძლია.

უდავოდ, ეტიუდი „სულ ერთია!..“ მშვენიერი და მწვავე სატირაა წოდებრივი და კლასობრივი პრივილეგიებითა და ეტიკეტით დაავადებული ადამიანების მიმართ. სატირაც ხომ შიო არაგვისპირელის შემოქმედებისათვის ერთ-ერთი დამაზანაძეთებელი სტილია. მაგრამ შიო არაგვისპირელი აღნიშნული სიმახინჯის ჩვენებით არ კმაყოფილდება. მას უნდა თეკლესთან ადამიანების შეხედულების უნიადგობა, მავნებლობა, პირველ რიგში მათთვის მთელი სიცხადით, ყველასათვის დასანახად, თვალის ასახილველად და დამარწმუნებლად ბოლომდის გააშიშვლოს.

არჩილი აღმოჩნდა სულელიც, უხეშიც, უზნეოცა და ლოთიც. თეკლემ მალე იგრძნო თავისი შეცდომა — ყალბი, უშინაარსო, ხშირად დამცირებული მდგომარეობა.

გავიდა ხანი. ერთ ოჯახში, სადაც საქველმოქმედო საქმე უნდა გადაწყვეტილიყო, კიკო თეკლეს ხვდება. კიკო დისახლის ეთხოვება და წასვლას აპირებს. თეკლემ გარემოებით სარგებლობს და კიკოს გაცილებას სთხოვს.

სიჩუმეს თეკლე არღვევს. კიკოს საყვედურით მიმართავს, ნუთუ არ უნდა დაივიწყოს მისი ამბავი. კიკო დამშვიდებით უპასუხებს, რომ მან მისი თხოვნა წმინდად შეასრულა — დაივიწყა ყველაფერი, რაც მათ შორის იყო. თეკლემ უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა. მოიგონა თავიანთი პაემანი და ვნებიანად სთხოვა კიკოს, კიდევ ერთხელ მაინც გაიგონოს ის ნაზი, გრძნობით სავსე სიტყვები და უთხრას „სამუდამოდ“... მაგრამ კიკო თეკლეს გადაჭრით უპასუხებს: „რაც იყო. ის აღარ დაბრუნდება“.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 294—295.

კიკო არ მალავს, რომ მას თეკლე უყვარდა, მისდამი დიდი გრძნობა იჩინებდა. თეკლეს უარის წერილი რომ მიიღო, ის თავის თავს ტუქსავდა. როგორ გაკადნიერდა და მოინდომა თეკლეს შერთვა. კიკო რამდენადაც თავის თავს ამცირებდა, იმდენად თეკლეს ამაღლებდა, მაკრამ, როდესაც კიკომ გაიგო, რომ თეკლე ცოლად გაჰყვა სულელსა და პრაცე არჩილს, მაშინ მის შეგნებაში თეკლემ მისი — კიკოს აღვილი დაიკავა და კიკომ კი — თეკლესი. თეკლე მის თვალში დაეცა, ფასი დაკარგა. კიკო მიხვდა, რომ თეკლე არჩილს თავისი სურვილით გაჰყვა.

კიკოს სამართლიანმა სიტყვებმა, რაც ავტორის თავადაზნაურთა ეთიკისა და ეტიკეტისადმი დამოკიდებულებასაც მშვენიერად გამოხატავს, თეკლე ააცრემლა. თეკლემ თავისი მდგომარეობის მოთქმა დაიწყო. მან აღიარა, რომ პატივმოყვარეობამ, დიდი გვარის მიღების სურვილმა და სიმდიდრისადმი ლტოლვამ რა აუტანელ. დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააგდო. თეკლე კიკოს თხოვს. შეიბრალოს, ძველებურად უყვარდეს იგი. ახლა თეკლე იზიდავდა კიკოს და დაჟინებით თხოვდა ეთქვა, რომ ის სამუდამოდ მისი იქნება. კიკო გატაცებას თავს ართმევს, თეკლეს ვნებიან გრძნობაზე უარით უპასუხებს და შორდება.

თეკლეს იმედი აქვს, რომ კიკო მას ყველაფერს აპატიებს, დაუბრუნდება. მაგრამ მგორე დღესვე თეკლე კიკოსაგან ასეთი შინაარსის წერილს იღებს: „ჩემო თეკლე... მე ჩავუკვირდი ჩემ თავს, ჩემ გრძნობას... სულ ჩემ გულს ვუკვირდებოდი, მინდოდა წამიერი გულისთქმა ძლიერ გრძნობად გარდამექმნა. რომ შენს უკანასკნელ კითხვაზე „ჰო, შენი ვარ სამუდამოდ“ მეთქვა, მაგრამ...“

დავიწყე, ჩემო თეკლე, ყველაფერი, რაც ჩვენ შორის“.... თეკლემ იგრძნო, რომ მათი როლები შეიცვალა. მდგომარეობა საბოლოოდ გამუქდა. თეკლე, მართლაც, არაა ღირსი კიკოსი, კიკო თეკლესი სამუდამოდ ვერ იქნება.

კიკოს წერილის წაკითხვის შემდეგ მთელი ღამის ნაქეიფარი, გაღვიძილი არჩილი დუღუკითა და ძმობიჭებით სახლში ბრუნდება. ამ ბრწყინვალე წოდების ნაშიერის უხეში, ბრიყვული, მხეცური მოპყრობის შემდეგ. თეკლე მწარედ ამოიკვნესებს — „სულ ერთია!“ და შუბლიდან ქირის ოფლს გადაიწმენდს. თეკლე რწმუნდება, თუმცა გვიან, რომ მისი ცხოვრება წაგებულა.

შიო არაგვისპირელმა დიდი ცოდნითა და გულთამხილებით გააშინებულა ბრწყინვალე წოდების, განსაკუთრებით მის ნაშიერთა გაფუჭებული გულისა და ტვინის შოძრაობა, მკითხველს მომხიბვლელად აჩ-

ვენა მათი დროისათვის შეუფერებელი. კალაპოტიდან ამოვარდნილი, დამპალი. ყალბი, წაგებული ცხოვრება. მწერალი მკითხველს არწმუნებს, რომ ეს ცხოვრება თუ უკვე დათრგუნვილი არ არის, კატასტროფულად ითრგუნება, წარსულს ბარდება. ასეთია შიო არაგვისპირელის მძაფრი სატირა დარღვეული ქართველი ფეოდალური კლასის მიმართ, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რომ კაცი მხოლოდ პირადი ნიჭით, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმით უნდა ფასდებოდეს.

\* \* \*

შიო არაგვისპირელის მრავალ ნაწარმოებში დაყინებით დასმულია საკითხი: რას წარმოადგენს ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში? როგორია მისი ბუნება? როგორია პიროვნებისა და საზოგადოების, საერთოდ, ადამიანთა შორის ურთიერთობა, რაც ქმნის საზოგადოებას, საზოგადოებრივ ცხოვრებას? როგორია თვით შიო არაგვისპირელის დამოკიდებულება ადამიანისა და საზოგადოებისადმი?

კიტა აბაშიძე, იხილავდა რა შიო არაგვისპირელის შემოქმედებას, წერდა: „ბ. შიო არაგვისპირელი რაღაც დემონიურ სიამოვნებას ჰპოვებს იმაში, რომ ყოველ ჰოვლენას რაღაც დემონიური ნაკლი, ყოველივე კაცის მისწრაფებისა და „ლტოლვის ძირში სიმწარე და შაქარი აღმოაჩინოს“<sup>1</sup>. დაახლოებით ასეთივე აზრს გამოთქვამს კრიტიკოსი ს. ჭილაია. ის წერს: „საზოგადოდ უიმედობის, გულგატეხილობის, მოღლილობისა და სევდის მოტივები მკაფიოდ გამოჟღერდნა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში“<sup>2</sup>.

შიო არაგვისპირელის შემოქმედების ამგვარი დახასიათება თუ შეფასება, ვფიქრობთ, ცალმხრივია. ამ რთულ პრობლემას შიო არაგვისპირელი საერთო-საკაცობრიო ასპექტში იხილავს. მას საერთოდ ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, ჰყავს მხედველობაში. ის ადამიანს იძლევა მისი დროის არსებული ყოფის პირობებში. შიო არაგვისპირელი მკაცრი ოსტატია ობიექტური სკოლისა, ადამიანს რომ მისი ქცევით სწავლობს. მისი გმირები ყოველთვის მოქმედებაში, ქცევაში ან მოქმედებით გამოწვეულ აზრსა და გრძნობებში ვლინდებიან.

80—90-იანი წლების ლიტერატურა, კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით, ძალიან რთული და მრავალფეროვანი ხდებოდა. ეს იყო მძიმე რეაქციის ხანა ალექსანდრე III მმართველო-

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. II, 1912, გვ. 236.

<sup>2</sup> ს. ჭილაია, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ტ. I, 1956, გვ. 146.

ბისა, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობის შეზღუდვა ძალუმად დაიწყო, საზოგადოებაში ერთგვარმა იმედგაცრუებამ დაისა-დგურა. მრავალი კნინდებოდა, ხიავდებოდა, ყალბდებოდა, ადრიკე-ბოდა. თვით დაბალი ფენიდან გამოსულ უაზრო ინტელგენციაშიც კი საგრძნობლად ვლინდებოდა პარაზიტობა. საზოგადოებრივი, იდე-ური მუშაობისაგან გაქცევის, მხარის აცდენის სურვილი. თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გამხრწნელი გავლენა, მასში ანვითარებდა აპოლიტიკურობას, აშორებდა რევოლუციურ გზას და ლიბერალურ-ჰუმანიურ განყენებულ იდეათა გავლენის ქსელში ბრმად ახვევდა.

შოი არაგვისპირელის შემოქმედების ყოველ სტრიქონში. ყოველ სიტყვაში მისი შეკავებული და ობიექტური სტილის ქვეშ მკითხველი ადვილად გრძნობს ავტორის სიყვარულს ადამიანისადმი და შეტრი-გებლობას, სიძულვილს მუქთახორებისა და მუქთამკამელებისადმი. მწერლის სიყვარული და სიძულვილი ხშირად ნაწარმოებში პირდა-პირ და უშუალოდ კი არაა გამოხატული, არამედ ისინი არიან თიჯქოს ტექსტის მიღმა, ნაწარმოების ქვეტექსტში, ამბავის ღრმა მდინარებაში.

მართალია, შოი არაგვისპირელის შემოქმედებაში საკმარისი სიძლი-ერით იგრძნობა ცხოვრებისა და ადამიანის უარყოფითი მხარეებით გამოწვეული სევდა-აღშფოთება, სიძულვილი, უნდობლობა, იმედგა-ცრუება, მაგრამ ყველაფერ ამას მწერალი აბათილებს, ასუსტებს თა-ვისი მაღალი მხატვრული შემოქმედებით, თავისი ღრმა სატრიით.

მწერალი დაუნდობლად ააშკარავებს ადამიანის გონებისა და ზნე-ობის სიბილწეს, სილატაკეს, ცბიერებას, ფუქსავატობას, უპირობას, გაუტანლობას, მრავალ სიმახინჯეს, რაც მისი ნაწარმოებებში მოქმედ პირთა ყოველდღიურ ცხოვრებაში მეღავნდება.

მაგრამ შოი არაგვისპირელი ადამიანთა მართო ამ მხარეებს კი არ გვიჩვენებს. ის თითქოს ფარულად, თუმცა დაკვირვებული მკითხ-ველისათვის ადვილად გასაგებად, გვიხატავს აგრეთვე ცხოვრებაში არ-სებულ, შეიძლება იშვიათად, მაგრამ მკაფიოდ და მიმზიდველ სა-ხეებში საღს, ლამაზს, მაღალშინაარსიანი მისწრაფებებით ამოქმედე-ბულ ადამიანებსაც. თუ არაგვისპირელი ცხოვრების უარყოფით. ავად-მყოფურ მოვლენებსა და ადამიანებს შავი ფერებითა და ზიზღით გვიხატავს, სამაგეროდ ჭანსალი განწყობ-ლების ადამიანებსა და მათ შინაარსიან ცხოვრებას ღია, მიმზიდველ ფერებში გვაძლევს. მწერლის შემოქმედების ეს მეორე მხარე იზიდავდა (და დღესაც იზი-დავს) მკითხველს, აგებინებდა მწერლის შემოქმედებისა და მიმარ-



თულების ნამდვილ არსს, მის მხატვრულ მანერას, წინააღმდეგობის პათოსს და მას (მკითხველს) გარემო უხამსობასა და ფილისტერობასთან საბრძოლოდ იწვევდა.

არაგვისპირელის მიერ დახატულ ადამიანთა სამყარო ძირითადად ყალბია, უფერული, რუხი. ადამიანი დაჩიავებულია, ცხოვრება თითქოს დაგუბებულია და შიგ სახემიმჭრალი, მჩატე, ვერაგი ბუნების ადამიანები დაფარფატებენ. ისინი მეტად დახელოვნებულად მალავენ თავიანთ როგორც სისუსტეს, უილაჯობას, უქნარობას, ისე დაბალ ზრახვებს, მისწრაფებებს; მათ პირადი ინტერესებისათვის შეუძლიათ ყველა და ყველაფერი გათელონ, გაანადგურონ, გაწირონ. შიო არაგვისპირელის „გმირები“ მეტად ჩვეულებრივი, მეტად ვიწროდ შემოფარგლულნი არიან. ისინი, რა თქმა უნდა, ვერ გაკადნიერდებიან ახლის ძიებას შეეჭიდონ, ამის მათ არც შესაძლებლობა, არც უნარი, არც სურვილი აქვთ. ისინი ვერც კი გრძნობენ, რა სიმყაყეში იძირებიან, მით უმეტეს, მის უარყოფამდე მაინც ვერ ამაღლდებიან.

შიო არაგვისპირელი სკეპტიკურად უყურებს ადამიანს (უფრო კი მაღალი, პრივილეგიური ფენიდან გამოსულს), მის ყოფას. მას გავრცელებული თქმა: „ადამიანისთანა ამ ქვეყნად არა არის რა, ადამიანი მეფეა ბუნებისა“, თითქოს დაცინვადაც კი მიაჩნია. სკეპტიციზმით შეპყრობილი მწერალი ძალას არ ზოგავს ადამიანთა სიმუხთლე; სიყალბე მოუხრიდებლად, მუქ, რეალურ ფერებში დაგვიხატოს.

ნიმუშისათვის ავიღოთ ეტიუდი „ღირსი ვარ ამისა. ღირსი“...

მწერალი განთადისას გემის ბაქანზე ღვას. მას უნდა ნახოს მზის ამოსვლა ზღვაზე. ზღვის მძლავრ ტალღებს გემი გაბედულად მიარღვევს. ის გაკვირვებული ეკითხება თავის თავს: რა არის ადამიანი, რომ ამისთანა უფსკრულს ებრძვის? თავის მიერვე გამოგონილ გემს უშიშრად ენდობა? თუ, ერთი მხრივ, საკვირველია ადამიანის გონების ძალის გამჭირახობა, მეორე მხრივ, რა შესაბრალისია ადამიანის ეს მედიდური გონება, ბუნების სიდიადესთან შედარებით: საკმარისია ერთი წამი, რომ ადამიანის ეს საოცარი ქმნილება, ასე მედიდურად რომ მიარღვევს ზღვის ტალღებს, მიღწეოს, გაანადგუროს, ნამსხვრევებად აქციოს. მწერლის თვალში ამაყი და მედიდური ადამიანი საცოდავ მდილად გამოიყურება.

ამ შემთხვევაშიც მწერალი მისთვის დამახასიათებელი მძლავრი კონტრასტის გარემოში ხედავს და სხნის თავის აზრს. მწერლის ამ ფიქრში მზეც დიდებულად ასხივოსნდა, აპერწყალდა, ცეცხლად აენტო. დიდებული სანახაობა იყო. უცებ მწერალს მოესმა იქვე აწლო ბაქანზე მდგომი ახალგაზრდის გაურკვეველი ამოძახილი: — „აააა!“...

და რას ხედავს: ახალგაზრდა „თვალებს აკვესებდა, თითებს იკვნეტდა, და ფეხებს აბრაუუნებდა“. მას შესაზარი სახე ჰქონდა.

მწერალი ახალგაზრდას მიუახლოვდა, ხელი წაავლო, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ჭკითინს და გაიძახოდა: „მაფურთხონ, მაფურთხონ. ღირსი ვარ, ამის!“ მწერლის თანაგრძნობით შეკითხვაზე — რა სტანჯავს? ცოტა ხნის შემდეგ დამშვიდებული ახალგაზრდა მწერალს გაანდობს, რომ ის მართლაც იტანჯება და სულ რამდენიმე წამის წინ უნდოდა ამ ტანჯვისათვის ბოლო მოეღო. მან თავის მოკვლა განიზრახა, თუმცა კარგად იცის, რომ ეს სიმბდალეა.

დაინტერესებული მწერალი ახალგაზრდას სთხოვს, გაარკვიოს ყველაფერში, რათა მან სწორად გამოიტანოს თავისი მსჯავრი.

სევდიანი ახალგაზრდა უიმედოდ ჩაიქნევს ხელს და გაშორდება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მწერლისკენ მოტრიალდება, სთხოვს, ნუ კითხავს მას ვინაობას და, მწერლის თანხმობა რომ მიიღო, თავის ტანჯვის მიზეზი ასე გაანდო: ... „რა მხეციც გინდა აილოთ, რა ცხოველიც უნდა იყოს, რა სულდგმულიც უნდა დაასახელოთ, ყველა თავის თავს ემსგავსება ყოველთვის. მგელიკრავობას ვერ გასწევს, დათვი ძაღლობას, ღორი კიდევ მტრედობას. ადამიანი — კი წარმომადგენელია ყოველგვარის ცხოველისა. მასში ყოველგვარი მხეცია მოთავსებული და შეუძლიან ყოველგვარი სიმხეცე, სისაძაგლე ჩაიდინოს. რა მხეცს დამისახელებთ, რომ ადამიანი, თუ-კი გარემოება ნებას აძლევს, არ დაემსგავსოს?! არა?! ჰა!...ჰოდა მაშ რა არის ადამიანი?.. მხეცთა მხეცი... მაგრამ ამ მხეცთა მხეცობას, თავის სისაძაგლეს მალავს, ჰმუჭნის და უფრთხილდება ამის გამომჟღავნებას, როგორც თვალის სინათლეს, თვალის ჩინს... თვალის ჩინს კი არა... რა გითხრათ?.. რას დავადარო?.. თითქო წმიდათა-წმიდას შეადგენდესო, ისე უფრთხილდება ამ საიდუმლოთა საიდუმლოებას... ბევრ სისაძაგლეს, ბევრ საზიზღრობას ჩაიდენს, მოიმოქმედებს კაცის, რომლის მოწამეც მხოლოდ თითონ არის და სხვა არავინ... შეიძლება, თავის ცხოვრებაში არავითარი სისაძაგლე ჩაედინოს, მაგრამ განზრახვით-კი, მერწმუნე, ბევრი სისაძაგლე განუზრახავს, და ეს ხომ სულ ერთია აბა ერთ წამს ჩახედეთ თქვენს გულს და... მგონი, შეგემინდეთ კიდევაც!“<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაშიც შიო არაგვისპირელს მხედველობაში აქვს ადამიანის ბუნება საერთოდ, ადამიანი ღროის, ადგილისა და ეროვნების გარეშე. ამ ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ საკითხს შიო არაგვისპირელი საერთო-საკაცობრიო მასშტაბით ხედავს და

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 285.

აფასებს. ახალგაზრდის შეხედულება, ვფიქრობთ, თვით სკეპტიკოსი მწერლის შეხედულებაა. ახალგაზრდის პირით მშვენივრადაა მოცემული ბურჟუაზიულ ყოფაში გაყალბებული ადამიანის დაუოკებელი მადამლილობა, მზაკვრობა, ანგარიანობა და ამ ნიადაგზე მისი მორალური გახრწნილება.

მწერლის ახალგაზრდისადმი საყვედურმა — „შეურაცხყოფის ნება არა გაქვთ“ — ახალგაზრდა აიძულა განეცხადებინა, რომ მისი ნათქვამი, მას სრულებით არ შეეხებოდა. თუმცა მის სახეზე აღბეჭდილი უსიამოვნება კი ახალგაზრდას არწმუნებდა, რომ ადამიანი საშინლად უფროთხის იმის გამომჟღავნებას, რის მოწმეც თვითონ არის. ამიტომ თავის უნდობელი, უდროოდ გაციებული გონების დაკვირვებებსა და სამწუხარო შენიშვნებს, რათა ადამიანის უარყოფითი გაყალბებული ბუნება თვალსაჩინო გახადოს, თავისი აზრის დასაბუთებას ასე განაგრძობს: კაცი „... კარგს ისე არას მოიმოქმედებს, რომ სხვა მოწმედ არ დაისწროს. ან კიდევ არას განიზრახავს, რომ ქვეყანა არ შეჰყაროს. არა. მხოლოდ სისაძაგლეს უფროთხილდება, მხოლოდ თავის მხეცობის გამომჟღავნებას უფროთხის და არა სხვა რასმე... აბა, ახლა თქვენ აიღეთ და რომელიმე ადამიანი გადმოაბრუნეთ, ფქვილის ტომარასავით გამობერტყეთ, ყოველი მისი საიდუმლო გამოამჟღავნეთ და მაშინ, მერწმუნეთ, არასასიამოვნო სურათს დაინახავთ... არასასიამოვნოს; არა, საზიზღარს, შესაზარს!..“.

მართალია, საერთოდ, საზოგადოების, ყოველ შემთხვევაში, მისი უმრავლესობის დასახასიათებლად ახალგაზრდის ეს სიტყვები შეიძლება სწორია და სამართლიანი, გამონაკლისები ამგვარ განზოგადებულ შემთხვევაში ანგარიშში მისაღები არ არის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სასტიკია, განსაკუთრებით კი დამნაშავეისათვის, როგორც არაიშვიათად ყოველი სამართლიანი განაჩენი.

საგულისხმოა მიეყვეთ მაღალი ზნეობრივი მოთხოვნილების ახალგაზრდის (რა თქმა უნდა, თვით სკეპტიკოსი მწერლის) მტკიცებას. ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი გულანდილობით და კონკრეტული მაგალითების აღნიშვნით ის ცდილობს (თავისი თავის დაუზოგავადაც) თავისი დაფარული შეხედულებისა და გულის მოძრაობის გახსნას და განაგრძობს: „მე საზოგადოება პატიოსან კაცად მიცნობდა. მეც ვაფასებდი ამას და ვცდილობდი, რომ ეს სახელი შემრჩენოდა. თუ-კი რაიმე მხეცობა ჩემში არსებობდა, ვმაღავდი; მეშინოდა, რომ არ გამომჟღავნებულიყო და პატიოსანი ადამიანის სახელი არ შემეზღოვებოდა, მაგრამ ფეხი გადამიბრუნდა; სულ უბრალო შემთხვევამ გადმომაბრუნა, და ყოველივე ჩემი დაფარული გამომჟღავნდა, რაც-კი მხოლოდ მე უნდა მცოდნოდა, ყველამ შეიტყო და, რასაკვირველია,

ზიზლი დამიწყო ცქერა; თითით საჩვენებელი გაეხდი... ხა, ხა, ხა.. აღარც ერთი ხელს არ მაწვდიდა და იმანაც-კი, გეყურებათ, იმანაც-კი, რომელსაც თაყვანს ვსცემდი, ვალმერთებდი, რომელიც მარწმუნებდა, მიყვარხარო. აღარ მიმილო! ხა, ხა, ხა, გეყურებათ, აღარ მიმილო!.. სულ უმნიშვნელო ჩემი მოქმედება და განზრახვა-კი გადიდდა. მთად გარდიქმნა, და საზოგადოებამ ყიჟინი დამცა“..1.

აღმწოთებული ახალგაზრდა იშვიათი გაბედულებით ამხელს არა რომელიმე ცალკეული პიროვნების დაფარულ გულის ბილწ მოძრაობას. პნელ ზრახვებს. არამედ განზოგადებულად ადამიანისას და თავის გულისწყრომას გაციებული გონებით ასე განაგრძობს: „იყიჟინე!.. მაფურახე!... ჩამქოლე!... მაგრამ ერთ წამს შენი ზიზლი შეაჩერე და ოდნავ თვალი გადაავლე შენს ჭურღმულს! შენც, უმანკოების ღვთაება, აგრე მოიქეცი და მხოლოდ მაშინ, თუ უცოდველი ხარ, ჩამქოლე... ხა, ხა, ხა!.. განა მაგას გაკბედავ?!. არა მგონია!..“2 ახალგაზრდა, თვითონ ღრმად დარწმუნებული თავისი აზრის სიმართლეში, გაბედულად და მოურიდებლად ესერის საზოგადოებას ასეთ მწვავე გამოწვევას.

ახალგაზრდა (თვით მწერალი) მაღალი მორალური პოზიციებიდან სინჯავს და სჯის საერთოდ ადამიანს თავისი თავის ჩათვლით, დაუფარავად ამხელს გაუტანელი, უსამართლო, ლაჩარი, დაუოკებელი ადამიანის ბუნებას და ასე ამთავრებს თავის აზრს — ადამიანის საერთო კრიტიკასთან ერთად თვითკრიტიკასაც: „არა, საზოგადოება მართალია. ღირსეულად მაფურთხებს, მიყიჟინებს და ზიზლით მექცევა. სხვას რომ ჩემი საქმე დამართოდა, პირველად მე ვესროდი ქვეს და ყიჟინას დავცემდი, თუმცა-კი, შეიძლება, იმაზე უარესი ვყოფილიყავი“3. ახალგაზრდას (თვით მწერალს) სამართლიანად მიაჩნია, ყველას უგვანო საქციელი გაკიცხული იქნას, ყველა დამნაშავემ ღირსეული სასჯელი მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კაცი კაცის სახეს ვეღარ იპოვის და ცხოვრების წუმპე უფრო გარმავდება.

შით არაგვისპირელი თითქოს შემთხვევით სარგებლობს; უნდა საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ადამიანის მოქალაქეობრივი უფლების, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების შეგნება გაამახვილოს, მკითხველს დაბეჯითებით შთააგონოს, რომ თვითმკვლელობა იქნება, თუ ცხოვრებიდან განდგომა, გაქცევა — მიუღებელია, გაუმართლებე-

1 შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 286.

2 იქვე.

3 იქვე.

ლსა; მწერალი ადამიანის თვითმკვლელობასა თუ ცხოვრებიდან განდგომაში მის სილაჩრეს. საზოგადოებრივი ვალდებულების არგაგებას თუ მახინჯად გაგებას, ცხოვრების არსის მიუგნებლობას, პირადი ცხოვრების მაინანდაუსახველობას, ცხოვრების სარბიელზე უაზროდ, უი-ალქნოდ ფარფატს ხედავს.

ახალგაზრდა თავის აზრს ასე შემოაბრუნებს: „ახლა ვმოგზაურობ, იმ საზოგადოებას მოვშორდი, რომელმაც გამკიცხა სამართლიანად. თავის მოკვლაც განვიზრახე. მინდოდა სამუდამოთ მოვშორებოდი, გა-ექცეოდა ტანჯვას, მაგრამ ამ მშვენიერმა დილამ გონს მომიყვანა და დამანახვა ჩემი სიმხდალე. დამნაშავე ვარ და ამისთვის, რა სასტიკი სასჯელიც უნდა იყოს, მოვალე ვარ ავითანო და არა ვცდილობდე იმის თავიდან აცილებას“. აქაც მწერალს კონტრასტი აქვს მომარჯვებული.

მწერალმა ახალგაზრდის პირით თავისი პირადი შეხედულება ამც-ნო მკითხველს. სექპტიკოსი შიო არაგვისპირელი გულის სიღრმეში ცნოვლად გრძნობს სიცოცხლის სილამაზეს, ესმის სიცოცხლის მიშზი-დველობის *raison d'être* და თვითმკვლელობისა და ცხოვრებიდან გა-ნდგომის მიმართ თავის საბოლოო სოციალურ-ფილოსოფიურ მსჯავრს ახალგაზრდის პირით ასე გამოხატავს: „განა გამამართლებს თავის მოკ-ვლა?! არა. ეგ უფრო გამამტყუნებს, ჩემს სიმხდალეს დაამტკიცებს. და-მნაშავედ ვცნობ ჩემ თავს და ამისთვის სასჯელის ატანაც უნდა შევსძ-ლო... დეე, მაფურთხოს საზოგადოებამ, მიყიყინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უკანვე დავბრუნდები!.. უკანვე დავუბრუნდები იმავე საზოგადოებას, აი, ამ ნავთსადგურში მოვუტდი მეორე გემს და უკანვე დავბრუნდები, რომ ყოველ ნაბიჯზე მაფურთხოს, მიყიყინოს ამ საზო-ვადოებამ. ღირსი ვარ ამისა, ღირსი!...“<sup>1</sup>

აქედან ამკარაა, რომ შიო არაგვისპირელს ცხოვრებიდან გაქცევა მიუღებელ ბოროტებად მიაჩნია. მწერლის გაგებით, ყოველი მოქალა-ქე თავისი გონებისა და გრძნობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, თავისი არსებობის მიზანდასახულობას ცხოვრებაშივე უნდა პოულობ-დეს. თვით ცხოვრების წიაღში, მოქმედებაში უნდა სრულდებოდეს, იწრთობოდეს მისი ბუნება; თვით მისი მსოფლმხედველობა, მისი ეთი-კა, ესთეტიკა, ცხოვრების ორომტრიალში უნდა იხვეწებოდეს. ყოველი მოქალაქე მტკიცედ უნდა გაიმსკვალოს იმ რწმენით, რომ კაცი ცხოვ-რების გარეშე უაზრო, უსაგნო, უშინაარსოა; ცხოვრების გარეშე კა-ცა ეერ ნახავს კმაყოფილებას, სიხარულს, სულიერ სიმშვიდეს.

ამ ნაწარმოებითაც შიო არაგვისპირელი კარგად ეხმაურება თავის წი-ნამორბედ დიდ ქართველ კლასიკოსებს — ილ. ჭავჭავაძეს, ნიკ. ბარა-

<sup>1</sup> შ. არაგვის პირელი, თხ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 287.

თაშვილს. შიო არაგვისპირელისათვის ურყევად მისაღები და სახელმძღვანელოა ნიკ. ბარათაშვილისეული შეხედულება ადამიანის დანიშნულებაზე. რაც პოეტმა ასე გენიალურად ჩამოაყალიბა თავის ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“.

„მაგრამ რადგანაც კაცი გქვიან — შეიღნი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა. რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნეოს!“<sup>1</sup>

შიო არაგვისპირელისათვის აგრეთვე სახელმძღვანელოა ილ. ჭავჭავაძის პოემა „განდევილში“ მწყემსი ქალის მიერ მწირის ცხოვრებიდან განდგომის შეფასება:

„აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
აქ ჭირია და იქ კი ლხინია“.<sup>2</sup>

ამით აიხსნება, რომ შიო არაგვისპირელის მოთხრობის „ღირსი ვარ ამისა, ღირსი!“ საზოგადოების მიერ გაკიცხული ახალგაზრდა ცხოვრებას მაინც უბრუნდება, გმობს თვითმკვლელობას, ცხოვრებისაგან განზე განდგომას, რასაც 80—90-იან წლებში საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, რომელიც უიმედოდ უყურებდა მომავალს, ჰქონდა ადგილი.

შიო არაგვისპირელის ღრმა რწმენით, ყოველი მოქალაქისთვის პირველ რიგში საჭიროა და სავალდებულოც, გაერკვეს თავის პირად საზოგადოებრივ ღირებულებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც თავისი გზა და ადგილი მონახოს. არსებულ სინამდვილეში (მწერალს მხედველობაში აქვს ფეოდალურ-ბურჟუაზიული ყოფა) მოქალაქე, სამწუხაროდ, ხშირად თავისი პირადი ცხოვრების ნამდვილ გზასა და ადგილს ვერ პოულობს, „ვერ ჰხვდება (თავის) ხვედრს“, როგორც იტყოდა ჩვენი პოეტ: ნიკ. ბარათაშვილი, თავის საზოგადოებრივ ღირებულებას ვერ ავლენს, „მით კაეშანს ვერღა იშორებს“, რაც დიდ ვნებას აყენებს როგორც ცალკეულ პიროვნებას, აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრებასაც.

\* \* \*

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა შიო არაგვისპირელისათვის, თუმცა ჩუმი, მაგრამ დიდი საზოგადო მოღვაწისათვის, მტანჯველი იყო, ვინაიდან, გარემო ცხოვრების პირობები ადამიანს მძიმედ ბორკავდა და გასაქანს არ აძლევდა. ის ამ საკითხს თავის არაერთ ნაწარმოებში პირდაპირი თუ ირიბი გზით უბრუნდებოდა.

ნიმუშისათვის ავიღოთ ეტიუდი „გულ-ცივობამ!...“

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1938, გვ. 10.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1, გვ. 218.

გაბრო საზოგადოების წევრია. მას ცხოვრებაში მტკიცე დასაყრდენი ვერ მოუნახავს, ის თითქოს წყვდიადში დახეტილობს, ხელებს აფათურებს, თვითონაც არ ესმის ვისთვის, რისთვის? იღუმალი ხმა კი გაკვირვებითა და ყვედრებით ეკითხება — „ვისთვის ან რისთვის?“ გაბრო სიხარულით შესთხოვს იღუმალ ხმას, უთხრას, ურჩიოს „ვისთვის ან რისთვის“ და მაშინ ის მას გააღმერთებს.

იღუმალი ხმა ამის საპასუხოდ დარწმუნებით და დაბეჭითებით ჩაძახებს გაბროს: „ვისთვის და საზოგადოებისათვის!.. ვინც დაგბადა აღგზარდა!..“ გაბრო მწარე ღიმილით იღუმალი ხმის რჩევას სკეპტიკურად უარყოფს: „საზოგადოებამ დაგბადაო, მეუბნები, ეგ ტყუილია. მე. არ ვიცი კია რა განზრახვით, ბუნებამ გამზარდა. ხოლო საზოგადოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანიჭა, ან კიდევ, თუ არ წამართვა, დამიმახინჯა, გამირყვნა და შემიღახა“<sup>1</sup>. აქ შიო არაგვისპირელი თითქოს უ. უ. რუსოს შორეულ გავლენასაც განიცდის — ცივილიზაცია (ჩვენი მწერლის გაგებით), არსებული ბურჟუაზიული ყოფა, კაცს აენიებს, აჩიავებს, რყვნის და ა. შ.

იმ მიზნით რომ თავისი აზრი უფრო დამაჯერებელი გახადოს, მწერალი ადამიანის მდგომარეობას განიხილავს ბუნების მოვლენებთან დაპირისპირებით და ამით თვალსაჩინოებას მატებს მას. იგი განაგრძნობს: „აგერ, არ გეყურება, როგორ გატაცებით გალობს ბულბული?! ეგალობება და გალობს, როდესაც გეტირება, უნდა იცინო, და იტირო, როდესაც გეცინება! საზოგადოებას რომ ის მივუწყო, რაც მე იმან, მაშინ ის, აი, წინ უნდა გავიმძღვარო და ჯერ ის მივანდო არავც და მერე მე მივეცე. გულქვა, გულცივი, თავის წვერის ფეხის დამჭირებელი საზოგადოება მოდის და გეუბნება: „შენ ჩვენი მოძმე ხარ, ესა და ეს ჩვენთვის უნდა გააკეთო... გვანაცვალე ჩვენ, ვინც კი გყავს, ან გაქვს რამე. შენ მოვალე ხარ...“ კარგი, პატიოსანი. თუ მე ვარ მოვალე, პატივემულო საზოგადოებავ, შენც მოვალე ხარ; თუ მე შენ გეკუთნი, შენ კიდევ მე უნდა მეკუთნოდე... როდის გაუწყვდია თავის წვერისთვის ძმურად ხელი, გაუმხნევებია სასოწარკვეთილი, აღუდგენია სულთ დაცემული?“<sup>2</sup>.

შიო არაგვისპირელი ამგვარი მსჯელობით ხაზს უსვამს, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს — შეძლებულთ, რომელთაც ხელთ უდნიათ საზოგადოებრივი ცხოვრება და ეჩოსავით სულ თავისკენ მიიხილან, არ ესმით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება თავისებურ ბუნებრივ აღებმცემობის საფუძველზე უნდა ვითარდებოდეს — როგორც სა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 328.

<sup>2</sup> იქვე.

ზოგადოებრივი ცხოვრების მონაპოვრებით, ყოველი მისი წევრი უვლდება მოსილი უნდა იყოს ისარგებლოს, ისევე ყოველი წევრი ვალდებულია თითონაც დაეხმაროს საზოგადოებას და თავისი წვლილი შეიტანოს მასში. ადამიანთა ურთიერთდახმარება უნდა ავსებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების საღაროს. რომლითაც შეძლებისა და მოთხოვნილების მიხედვით თავისუფლად უნდა სარგებლობდეს ყოველი წევრი. მაგრამ აგრეთვე თითოეული მათგანი თავის მხრივ უნდა ავსებდეს მას. ამის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრება და ადამიანთა ურთიერთობა მოკლებულია ჯანსაღ საფუძველს. ის გონჯია.

შოი არაგვისპირელი დიდი სიმკვეთრით გამოხატავს და აღშფოთებითაც ჰკიცხავს კლასობრივი საზოგადოების ცხოვრების არსს, სადაც საკვე ცხოვრებისა ხელში უპყრია გაბატონებულ კლასს, ცხოვრება თავის საკუთრებად უქცევია. მასების, დაბალი ფენების წარმომადგენელთა ინტერესებს არავითარ ანგარიშს არ უწევს; გასაქანს არ აძლევს მათ. უხეშად, ვერაგულად სტაცებს უფლებებს, უსპობს თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის გამოვლინებას. შოი არაგვისპირელს მიუღებლად მიაჩნია წყობილება, სადაც საზოგადოებრივი მხოლოდ გაბატონებულ კლასის ინტერესთა აღსრულება იგულისხმება.

ამიტომ იღუმალი ხმის შენიშვნას — „სტყუი“, საზოგადოება ყოველთვის გლოვობს, როდესაც მის წევრს უბედურება რამ ეწვევაო“, — გაბრო სამართლიან ახსნას აძლევს. მართალია, საზოგადოება გლოვობს, ცრემლს ღვრის, მაგრამ არა დაკარგული წევრისათვის, არამედ თავისთვის. როცა ამა თუ იმ წევრის დაკარგვით მისი (გაბატონებული ფენის) ინტერესები ილახება, როდესაც მას რაღაც აკლდება.

მწერალი, თავისი შეხედულება რომ დამაჯერებელი გახადოს, საზოგადოების პრივილეგიური ნაწილის გულგრილობის, ანგარიანობის ჩვენების შესახებ მსჯელობას ასეთი სატირული ტონით განაგრძობს: „თუ მასხარა ხარ, საზოგადოება გიგლოვს... რადგანაც მოაკლდება შენი მასხარაობა, ვეღარ იმხიარულებს შენის მასხარაობით. შენ გიგლოვს, როგორც მასხარას და არა როგორც წევრს — ადამიანს. მწერალი ხარ ან სხვა რაიმე ხარ, რითაც შენ საზოგადოებას ამხიარულებ, ასარგებლებ, გიგლოვს, რადგანაც შენის უბედურებით აკლდება მას სიამოვნება, სარგებლობა. შეიგნე, რომ თავის სიამოვნების შემცირებას გლოვობს და არა დაკარგულ წევრს!“<sup>1</sup> აქაც მწერლის მიერ საზოგადოებრივი ურთიერთობის დახასიათება სატირულია და ამასთანავე სამარ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 329.



თლიანიც. აღშფოთებული მწერალი მოუწყობელ საზოგადოებას სისხლსა და ცრემლში გამოწრთობილ სიტყვას აგებებს.

სამართლიანად ჩამოგლიჯა რა საზოგადოებას ცბიერების ნილაბი, გაბრო (თვით მწერალი) მეტად თვალსაჩინო, ჩვეულებრივ და დამარწმუნებელ ცხოვრებისეულ მაგალითებზე მიუთითებს. მაგრამ გაბატონებული ფენების გულგრილობა, განურჩევლობა და დაბალი გრძნობები რომ უფრო შემადრწუნებელი გახადოს, გაბრო კიდევ ერთ უცნაურ, საზოგადოებრივი ყოფის მაჩინჯი არსის გამოვლინებაზე ჩერდება. გულამღვრეული, ცხოვრების კარგი მცოდნე გაბრო (თვით მწერალი) მხილებას განაგრძობს: „თვით მონა, ყურმოჭრილი მონა ძლიერისა ცდილობს დავიმონოს, გაგანადგუროს, სისხლი გაგიშროს, და ამ საზოგადოებისათვის მირჩევ, კიდევ ვიცოცხლო, ვალი გადავუხადო?

ახ, რომ შემეძლოს მისი ვალის გადახდა?! მაგრამ არა!.. არა!.. არ მინდა მეც ის საძაგლობა ჩავიდინო, მოლაღატობა, სუსტის განადგურება, ძალმომრეობა და ფეხ-ქვეშ დაგება მე არ შემეძლიან. და თუ ასე არ მოიმოქმედე, მაშინ ადგილი არა გაქვს საზოგადოებაში“<sup>1</sup>. შეიძლება ცოტა მუქ ფერებში, მაგრამ სინამდვილე მაქსიმალური სიმართლით, სწორადაა გაგებული და დახასიათებული. მწერალი იშვიათი უშუალობით იჭრება ფეოდალურ-ბურჟუაზიული ყოფის ადამიანთა სულში. ზედმიწევნით კარგად ხედავს მათი დაფარული გულის მოძრაობას, მახვილად აანალიზებს მათი სულის მოძრაობის ყოველ ხაზს, რის შედეგად ადამიანთა ნილაბი მოუჩრდილებლად, გაბედულადაა ჩამოგლეჯილი, კლასობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩინჯი, აუტანელი, მიუღებელი მხარეები მთლიანადაა გაშიშვლებული და სააშკარაოზე გამოტანილი.

იდუმალი ხმა გაბროს თითქოს ყველაფერში ეთანხმება და ეკითხება: მაგრე რამ გამოგაშტერაო?.. შეძრწუნებული გაბრო მღელვარებით და საყვედურით უპასუხებს: „ადამიანი უკიდურეს მდგომარეობამდე მისულა და შენ გულგრილად მასხარად იგდებ!.. აი, მაგ გულცივობამ გამიტეხა გული, გულცივობამ!..“.

შიო არაგვისპირელის ეტიუდი „გულ-ცივობამ!..“ მძლავრი, ნიჭიერი სატირა იყო არსებული საზოგადოებრივი წყობილების მიმართ. ამ ნაწარმოებშიც შიო არაგვისპირელის სატირული ნიჭი, როგორც მისი შემოქმედების დამახასიათებელი არსებითი ნიშანი, ძალუმაღ ჩქეფს. ამ ეტიუდიდანაც აშკარა ხდება შიო არაგვისპირელის უარყოფითი შეხედულება არსებულ კლასობრივ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

მწერლის მართალი ჩვენებით, არსებული ყოფა ცბიერია, ანგარე-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 329.

ბიანია, ძალმომრეობაზეა აგებული, რაც „ამაღლელებელია, მიუღებელია, რის მოთმენაც დაუშვებელია“. ის უნდა დაინგრეს — გაისმოდა მწერლის სამართლიანი მოწოდება და მკითხველიც ამ ნაწარმოებს ასე იღებდა. ამაშია მისი დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი ღირებულება.

\* \* \*

შიო არაგვისპირელმა საზოგადოების, საერთოდ ადამიანის გაყალბებული, დაბალი ზრახვებით ამოძრავებული სულისკვეთება და არსებული ყოფა მუქ ფერებში დაგვიხატა ეტიუდებში „ღირსი ვარ ამისა, ღირსი“... და „გულ-ცივობამ!“..

სკეპტიციზმით შეპყრობილი მწერალი ამით არ კმაყოფილდება. მას უნდა თავის შეხედულებაში მკითხველიც ღრმად დაარწმუნოს. ამიტომ ის თავის სხვა ნაწარმოებებში ამ ზოგად შეხედულებას ანალიზებს, მოხდენილად ახერხებს საზოგადოების ცალკეული ფენების ცხოვრებაშიც ჩაახედოს მკითხველი და საერთო ცხოვრების ანარეკლი ყოველ მათგანში დამაჭკრებლად დაანახოს. ამ მიზნით, შიო არაგვისპირელი გვიხატავს უფრო იმ ფენებს, რომელთა საქმიანობაში ყველაზე მეტად უნდა იყოს მაღალი მორალი — ნამდვილი საზოგადოებრივი ურთიერთობის დასაბამი.

შიო არაგვისპირელი პირველ რიგში გვაძლევს რელიგიის მსახურთა, როგორც ადამიანთა რწმენის, სულიერი მიმართულების მაჩვენებელთა შეუფერებელ, მავნე მოღვაწეობას. რელიგიის მსახურნი მწერალს განსახიერებელი ჰყავს, როგორც ცბიერი, ხალხის ინტერესების მოწინააღმდეგე, დაუოკებელი, ანგარებით შებოჭილი სოციალური ფენა.

ნიმუშისათვის ავიღოთ მისი „... და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“, რომელიც მთლიანად ალეგორიული ნაწარმოებია, რაც, ცხადია, გამოწვეულია იმ დროს არსებული მკაცრი ცენზურული პირობებით.

ამ ნაწარმოებში სინამდვილის კარგი ცოდნითა და გაგებითაა მოცემული შევიწროებული, უფლებადაყრილი მშრომელი ხალხი, რომელიც წელში ორად მოხრილი, თავის შესაძლებლობაზე მეტს მუშაობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გაჭირვებული, მონური ცხოვრების პირობებისათვის ვერა და ვერ დაუღწევია თავი. ის მაინც იმედიანად შეპყურებს ძლიდარ, ძლიერ, მიწიერ მეფეს, რომლის უმშვენიერესი თვალუწვდენელი სასახლე, აშენებული მშრომელი ხალხის ძალებით, თავისი ბრწყინვალეობით მზეს რომ ეცილება, ადამიანს თვალს სტაცებს.

ამ ძლევაშისილი მეფის წინაშე ძრწოდნენ ქვეშევრდომნი, მეფის ფეხის ნაკვალევს ლოკავდნენ. კულტის მსახურნი — ქურუმნი დღე და ღამ გუნდრუქს უკმევდნენ და ადიდებდნენ მას. მეფის მარადიული ძა-

ლის რწმენას ხალხსაც უღვივებდნენ: „ესე არს უფლისგან მირონცხე-  
ბული და მადლი მისი ამაზე გადმოსული“. „ცაში — უფალი და დედა-  
მიწაზე — მეფე... იდიდოს მათი სახელი!..“<sup>1</sup> მართლაც ასე ლაღადებდ-  
ნენ გაბატონებული კლასის ქურუმნი არაშორეულ თვითმპყრობელო-  
ბის ეპოქაში.

სიბნელესა და ეკონომიურ სივიწროვეში მყოფი ხალხი ქურუმთა  
შუამავლობით უფალს ევედრებოდა, ლმობიერი ყოფილიყო მისდამი  
და მონობას აღუთქვამდა. ისინი პირიდან ლუკმას იღებდნენ და ქუ-  
რუმთ ასაზრდოებდნენ. ხალხი მორჩილად ემსახურებოდა უფალსაც,  
მეფესაც და ქურუმთაც. მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში მეფის  
მეთაურობით გაბატონებული კლასის ძალა-უფლება უსაზღვრო იყო.  
დაუოკებელმა მეფემ მსახურთ უბრძანა, ხალხისთვის სულიც კი ამოე-  
ხადათ, თუ კი ის ურჩობას გაბედავდა. ქურუმნი დახმარების, დაცვის  
მაგიერ, ხალხს უყვიროდნენ, სჯიდნენ. მწერლის ჩვენებით, ასეთი ვე-  
რაგია ქურუმი, ის მხოლოდ ანგარების მიზნით ემსახურება ღმერთსაც,  
მეფესაც და ხალხსაც. ქურუმი სინამდვილეში ხალხის მტერია. ის უსი-  
ნდისოდ და უსაზღვროდ სარგებლობს ხალხის ჩამორჩენილი და ბნე-  
ლი მდგომარეობით.

მკითხველს რომ თვალნათლივ დაანახოს ქვეყნის აუტანელი მდგო-  
მარეობა, მწერალი გვიხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვი-  
ლეში კაცისაგან კაცის საშინელ ექსპლოატაციას, ხალხის გალატაკე-  
ბას, მასში სხვადასხვა სენის გავრცელებას.

რადგან ავადმყოფობამ გარჩევა არ იცის, სენი მოედო მეფესა უა  
მის მსახურთაც. ისინი ჰკვირობდნენ (ასეთ ბრწყინვალე სასახლესა და  
ნებიერ ცხოვრებაში მყოფი მეფისა და მისი ერთგულთა ოჯახი), როგორ  
მოხდა, რომ მათაც დაემართათ ეს სენი. მეფემ გააჭერა მთელი დასა-  
ვლეთი (ალბათ იგულისხმება დასავლეთის განათლებული ქვეყნები),  
ცნობილნი მეცნიერნი და ფილოსოფოსნი თავის სასახლეში მიიწვია,  
რომ ოჯახი ეხსნა ამ სენისაგან.

დასავლეთით მოსულ მეცნიერთ და ფილოსოფოსთ ამ ქვეყნის  
ცხოვრების შესახებ ვერაფერი გაუგიათ და გაკვირვებულნი ამბობდ-  
ნენ: „გაბრწყინებული სასახლე და ასეთი სიბნელე — ბნედა!.. ღეთის-  
გან არის უთუოდ მოვლენილიო!..“ და მიდიოდნენ ისევ დასავლეთს,  
რათა საკვირველებანი ეუწყებინათ თავისიანებისათვის“<sup>2</sup>.

ამ დროს ქურუმნი კი ჩვეულებრივ საშუალებას მიმართავდნენ: მო-  
წიწებით „ავედრებდნენ ღმერთს მეფეს და მის ოჯახს, რათა მისგან მი-  
რონცხებულს, მის ოჯახს და მის მხლებელთ ძალა და განკურნება მიე-  
ნიჭებინა“...<sup>3</sup>

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 196.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 197.

<sup>3</sup> იქვე.

მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა, ძლიერისაგან სუსტის. დაბალი ფენის განუკითხავად ჩაგვრა გრძელდებოდა, ხალხი და მასთან ქვეყანა წრიოვდებოდა.

აღნიშნულის ჩვენებით შიო არაგვისპირელი ნიშანდობლივ ფარდას ჰდიდა თვითმპყრობელური რუსეთის (საერთოდ, ყველა თვითმპყრობელური ქვეყნის) რელიგიის მსახურთა არა მარტო ცბიერ მოქმედებას. არამედ ძველი ყოფის, თვითმპყრობელობის, ძალმომრეობის, უკანონო-უსამართლო წყობილებას. ეს გარემოება ხალხის მძიმე მდგომარეობით შეძრწუნებულთ, ეპოქის მოწინავე მოაზროვნეთ და მათ შორის შიო არაგვისპირელსაც, ამოძრავებულთ ხალხის უკეთესი ცხოვრების მოპოვების სურვილით, ძალზედ აღელვებდათ. მძიმე ცენზორულ პირობებში შიო არაგვისპირელი მოხდენილად და გაბედულად ახერხებს მკითხველს — ფართო მასებს არა მარტო სინამდვილე აჩვენოს, არამედ ცდილობს განკურნების გზაც დაანახოს.

მწერალი მკითხველის შთაგონებას ასე განაგრძობს: ასეთს მდგომარეობაში მყოფ დაბეჩავებულ-დამონებულ ხალხს მოველინა აღმოსავლეთით მოსული მოგვი. მან მიმოიარა სოფლები, მოისმინა ხალხის კვნესა-ვედრება უფლისა და მეფისადმი; ნახული გაითვალისწინა და ხალხს განკურნების წამალიც ასწავლა: „უგუნურო, სოფელო... — ხსნა შენ ხელთ არის... გაანებე თავი ვედრებას და მუხლ-მოდრეკით სიარულს... გაანძრე ხელი, ფეხი და ამოქოლე ჭაობი იგი, რომელიც ტყლირპს გისიებს, გაძინებს და სისხლს გიშხამავს...“<sup>1</sup>

მოგვის რჩევა-დარიგება ხალხს — სოფელს ჭკუაში დაუჭდა. თავის კეთილმსურველს გაუგონა; ჭაობები ამოქოლა, ამოაშრო, სოფელი უცებ აყვავდა. ხალხს სუფთა ჰაერის შედეგად ტყლირპი დაუცხრა, ძალა იგრძნო, ამოძრავდა. მაგრამ ჭაობიდან გამომძვრალი გველ-ბაყაყები (ხალხის მტრები, თვითმპყრობელი მეფის ძალა-უფლების დამცველნი) ასისინდნენ: — „ქვეყანა ილუპება, ქვეყანაო!“<sup>2</sup>.

ახვედრდნენ მოგვის წინააღმდეგ; ჭურუმებმაც მათ კვერი დაუქარეს. მოგვი შეაჩვენეს და მეფეს წარუდგინეს, როგორც ეშმაკეული გრძნეული. აქ მოგვის პირით, ქარაგმებით იწყება მწერლის მიერ თვითმპყრობელური წყობილების და მისი აუცილებელი განწირულობის მხილება.

აღმოსავლეთით მოსულმა მოგვმა მეფეს მშვიდად უთხრა: „მთელ შენ საქმეთს ჩრჩილი გაჰჩენია. დაუღალავად დღე და ღამ ღრღნის მის ძალას... — შენი სასახლე ბრწყინავს... მზეს ეცილება, მაგრამ მაინც... იგუე ჩრჩილი ღრღნის შენი სასახლის ბოძებსაც!.. ბოძები ჩქარა დაი-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 197.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 198.

ღრღნება ჩრჩილისაგან და თავს დაგაწვება შენი ბრწყინვალე სასახლე...  
ეკადე, ქვეშ არ მოგიტანოს!“<sup>1</sup>

მეფის დაჯერებულ პასუხზე, რომ ბოძების გადასარჩენად ის წაძლებს ხმარობს, მოგვი მშვიდად განაგრძობს: „...დღეს მოსპობ შენი ბოძების სენს... ხვალ ერთი-ორად სოფლიდან გამონაგზავნი მიესევამაგავე ბოძებს და ადრე თუ გვიან“... ალბათ, მოგვს უნდოდა ეთქვა: დაინგრევა შენი სასახლე და შენც ქვეშ მოჰყვებიო. შიო არაგვისპირელის მიერ რა წინასწარმეტყველური შორსმჭვრეტელობითაა გადმოცემული რუსეთის თვითმპყრობელობის ბედი!

მეფის მსახურთ და ქურუმთ მოგვს აზრის დამთავრების საშუალება არ მისცეს, მოითხოვეს მისი დაუყოვნებლივ შებოძვა. მიესივნენ მას ვითა აფთარნი, მაგრამ მოგვი ვეღარ იხილეს. „ეშმაკეულია იგი, — ამბობდნენ ქურუმნი, — ...გაგვისხლტა ხელიდან, მაგრამ უნდა ვიპოვოთ“... მეფეს ჰპირდებიან, რომ მისთვის ისინი ილოცებენ, შეავედრებენ უფალს, ხოლო მან თავისი ხალხი მიუსიოს სოფელსა და ამომშრალი ჭაობები სოფლის ცრემლით აავსოს. ქურუმებს მეფის მსახურთ კვერი დაუკრეს: „მაგრე უნდა მოხდეს, ...თქვენ ჩვენთვის ილოცეთ და ჩვენ კიდევ გაჩვენებთ, როგორ ავატირებთ სოფელს... აღმოსავლეთით შოსულ შოგვისგან ჩვენ გაწბილებას ძვირად დავუვსვამთ სოფელს, რომელიც იმის ხმას აჰყვა და ჭაობები ამოქოლა, და ამოდენა გველ-ბაყაყს ბინადრობა მოუშალა“...<sup>2</sup>

გაფთრებული მსახურნი, მართლაც, სოფელს შეესიენ. ყველგან ცეცხლის ალი ზეცას სწვდებოდა. სოფელი მოიცივა უდანაშაულო ხალხის წივილ-კივილმა, რისხვა-კრულვამ... ხალხის ცრემლმა და სისხლმა მორწყო დედამიწა. ამოქოლილ ჭაობში ჩანაყადდა ერის სისხლი და ცრემლი; გველ-ბაყაყებს გაეხარდათ სინოტივით ავსება... ჩაყურყუმალავდნენ შიგ... ეძებდნენ თავიანთ ბუდეებს; მაგრამ ხალხის ცრემლმა და სისხლმა მათი ბუდეები „ძლიერის ტალღით შორსა სტყორცნაო“, — ამბობს მწერალი.

ზღაპარში „...და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით!“ იგავეური, კარავული სახით, დიდი გამჭირახობითა და სინამდვილის აღლოს აღზებით შიო არაგვისპირელმა მოგვცა 1905 წლის რევოლუციის წინ ჩვენში გამოვლინებული მუშათა პირველი დემონსტრაციები და მუშათა მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. მოგვი სიმბოლური სახეა მშრომელთა მასების შეგნებაში მძლავრად გამჭდარი თავისუფლების იდეისა. რომლის დაქვრა, შებოძვა ვერ შესძლეს მეფის მსახურთ.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 199.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 199.

შიო არაგვისპირელის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მისი ეს ნაწარმოები წინასწარი განკვეთით გვაძლევს ცოცხალ სურათს, რაც მოჰყვა 1905 წლის რევოლუციას თვითმპყრობელობის მმართველობაში: ძველის მოხელეთა დაუნდობელი შესევა, სოფლების აწიოკება, მათი ცეცხლს მიცემა, დარბევა, ხალხის მასიური დაპატიმრება და გაცემბირება, უდანაშაულოთა ტირილი და ცრემლი, რაც სინამდვილედ იქცა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რეაქციის ხანაში, როდესაც ალიხანოვ-აფარსკები, გრიანოვები და სხვა ამათი მსგავსნი თარეშობდნენ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში.

შიო არაგვისპირელის ეს ნაწარმოებიც მკაფიოდ ააშკარავებს ავტორის რადიკალურ-რევოლუციურ განწყობილებასა და მისი შემოქმედების დიდ საზოგადოებრივ-შემეცნებით მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ შიო არაგვისპირელი, შეზღუდულობის გამო, ვერ დადგა სრულ რევოლუციურ პოზიციაზე.<sup>1</sup>

\* \* \*

ნოველაში „...და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით!“ შიო არაგვისპირელმა საკმაოდ მახვილად გამოააშკარავა ქურუმთა — სამღვდელოების, ამ „სულიერ მამათა“ მლიქვნელი, ანგარებიანი, ხალხისა და თავისი დანიშნულებისადმი მოღალატე ბუნება და მოქმედება. მაგრამ სინამდვილეში კარგად ჩახედული, ნახულით აღშფოთებული მწერალი მათი ასეთი მხილებით აღარ კმაყოფილდება. მას უნდა რელიგიის მსახურთა სიყალბე შიგნიდან ააფეთქოს, მკითხველში საბოლოოდ მოსპოს მათდამი პატივისცემა. ამ მიზნით შიო არაგვისპირელი ბერ მახარეს („მაცდური“), რომლის ყოფაქცევა ბერობაში ყველასათვის სამაგალითო იყო, რომელმაც „სიწმინდით ბერებს გადააჰარბა“, სახელი გაითქვა თავისი სათნოებით, თავმდაბლობით, სადღესასწაულო ქადაგებაში რელიგიის კულტის სიყალბეს გამოააშკარავებინებს, რელიგიას ხალხთა გონების მოღუნების, დახშობის იარაღად დაახასიათებინებს.

ბერი მახარე შეკრებილთ წინაშე ამეტყველდა: „მახარე-ბერი ქვესკნელიდან ამონატყორცნ ცეცხლის ნაგლეჯს უფრო გვანდა, ვიდრე ერის წარმოდგენაში გაქნილ სათნოიან მახარე-ბერს“, — გადმოგვეცემს მწერალი. მახარე-ბერმა თითქოს სრულიად შეცვლილმა, გასხივონებულიმა, მოურიდებლად მქექარე ხმით სასოებით მოლოდინე ხალხს ასე მიმართა: „ხალხო... გაიგეთ, რა სასტიკად ვებრძოდი ჩემ გონებას ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, მას აქეთ, რაც მე თავი შევაფარე ამ საპყრობილეს, გონების საპყრობილეს... და ხელი ტაძრისაკენ გაიშვირა... ვქეჯნიდი, ჯვარს ათი ათასჯერ ვაცვი, მაგრამ ყოველ წამს ხელიდან გამისხლტებოდა და დაცინვით მეუბნებოდა: „სულელო, არ გესმის, რას შერებო!“... და მართლაც არ მესმოდა, ვერ შევიგნე, თუ რა

მკვლელობა შემეძლო ჩამედინა... ვიდრე ვსდევნიდი ჩემ საღ გონებას, ვგრძნობდი ლაჩრობას, მონობას, უძლურებას და რაღაც ბურტყუნით, ავალების ბლატუნით ვლამობდი სიმშვიდის მოპოვებას... უსაქმურად, უმოქმედოდ გდება მეგონა — სულის სიმშვიდე...“<sup>1</sup>

ხალხი შიშითა და გაოცებით ისმენდა და გონს ვერ მოდიოდა, მახარე-ბერი კი გრგვინავდა: „მხოლოდ მაშინ ვიგრძენი ძალა, როდესაც გარდავსწყვიტე, გამელო ჩემი გონებისათვის საპყრობილის კარი და გამენთავისუფლებინა... და აჰა თქვენ წინ სდგას გონება-განთავისუფლებული. აჰა, ეს უკანასკნელი ფარდაც მონობისა ფეხით გასრისეთ, გათელეთ!..“<sup>2</sup>

ამასთანავე მახარე-ბერმა ძაძას კალთა მოახია და ხალხისაკენ გასტყორცნა.

ხალხი განცვიფრებული იყო; პირველად კათალიკოსი მოვიდა გონს და დაიყვირა: „ეგ მაცდურია!.. ჩაქოლეთ!.. სარწმუნოებას ებრძვის“<sup>3</sup> ...ბერებიც კათალიკოსის სიტყვებს გმინვით შეუერთდნენ: „მაცდურია!.. მაცდურია!“

არც მახარემ დაიხია უკან. ბერთა რისხვას ისიც მტკიცედ შეხვდა. მათი ღრიალი მან თავის ხმით დაფარა: „რაც უნდა ეცადოთ, გონებას ვერ ჩაქოლავთ!! რაც ჩქარა გაანთავისუფლებთ, მით ჩქარა მიადწევთ კეთილდღეობას“<sup>4</sup>. მაგრამ ბერებიც არა ცხრებოდნენ; გააფთრებული ყვირილით მახარე-ბერს ქვეებს უშენდნენ. ჩქარა ქვა-ყორე მუხის ტოტებს ასწვდა.

აღამიანზე თავისუფლების ზეგავლენის დიდ ძალაში ღრმად დარწმუნებულ მწერალს უნდა მკითხველს შთააგონოს, რომ ასეთი საშინელი ძალმომრეობის საშუალებითაც კი თავისუფლებისაკენ სწრაფვის მოკვლა, მასთან ბრძოლა შეუძლებელია, ამ ბრძოლისათვის დამარცხება გარდუვალია და მახარე-ბერის შებრძოლებას მწერალი ასე ამთავრებს: „რაც ქვა მალლა იწეოდა, ისიც (მახარე-ბერი — მ. ზ.) უფრო ზევით იწევდა. ჯერ მუხის დაბალ ტოტებიდან და მერე კი მუხის წვეროდან გადმოჰქუხდა: „მონებო, რაც უნდა ეცადოთ, გონებას ვერ ჩაქოლავთ!“<sup>5</sup>

მახარე-ბერის მხილებისა და მისი ჩაქოლვის შემდეგ იმ ადგილიდან ყველა ზარდაცემული გაიქცა. ამ მიდამოს ბერებიც კი ველარ ეკარებოდნენ. მაცდურს ეძახდნენ, ყველა შიშით გაურბოდა ამ მიდამოებს.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 220.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 220—221.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 221.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

ასე გაბედულად ანგრევს მწერალი ხალხის დამონების, მის სიბნელეში დამტოვებელ ერთ-ერთ ძირითად ციხე-სიმაგრეს — რელიგიას და მის მსახურთა ზეგავლენის ძალას.

შიო არაგვისპირელის ეტიუდი „მაცდური“ უფრო ვრცლად ეხება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს: მარტო რელიგიასა და მის ყალბ დამცველ-მოსამსახურეთა მავნე საქმიანობას კი არ ააშკარავებს და კიცხავს, არამედ საერთოდ, ძველ დრომოქმულ პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებსა და ტრადიციებს და მათი დამცველების ბოროტ, მტრულ საქმიანობას, რომლებიც ხალხის მასებს წინსვლის გზას უხშობდნენ, დრომოქმულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა ტყვეობაში ტოვებდნენ და მათგან განთავისუფლების შესაძლებლობას არ აძლევდნენ, ზღუდავდნენ.

ბერი მახარეს პირით, აშკარაა, თვით მწერალი შიო არაგვისპირელი ლაპარაკობს ასე შთამაგონებლად.

\* \* \*

ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვების ნიჟმად და ამასთან შიო არაგვისპირელის შემოქმედებითი აპერცეპციის დამახასიათებელმა თავისებურმა ბუნებამ (მწერალი ცხოვრებაში უფრო ადვილად ამჩნევდა უარყოფით მოვლენებს და მკაფიოდ ასახავდა მათ) მასში სკეპტიციზმი უფრო გააღრმავა. შიო არაგვისპირელის დაკვირვებით, გაბატონებულ ადამიანთა შორის, რომელნიც წარმართავენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, არაფერია წმინდა, მათ შორის მეფობს ცბიერება, სიყალბე, ლალატი, უნდობლობა, გაუტანლობა; ცბიერება თვით ისეთ წმინდა, ყველაფრის შემძლე გრძობაშიც კი, როგორც სიყვარულია. დაკვირვების შედეგად მწერალი იმ დასკვნამდე მიდის, რომ არსებულ ბურჟუაზიულ-ფეოდალურ ყოფაში ეს მდგომარეობა ყველასათვის საერთოა, თუკი ადამიანი თავის რწმენას, ზრახვებსა და ქცევას გულწრფელად აღიარებს.

ასეთი შეხედულება შიო არაგვისპირელს მთელ რიგ ნაწარმოებებში დიდი უშუალობითა და ადამიანის გულის საიდუმლო მოძრაობის დიდი გულთამხილობით აქვს ასახული („წერილის ნაგლეჯი“, „მხრები-და ავიჩეჩე“... „...სულ ერთია!..“, „...ხითხითებს და ხითხითებს...“, „ქარი კი ამ დროს ზმუოდა, კვნესოდა და გმინავდა“ და სხვ.). ამასთან ისიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ შიო არაგვისპირელი მწერალი-ფსიქოლოგია, რომელსაც უყვარს და ეხერხება კიდევ ადამიანის გულში ჩახედვა, მასში არსებული ექვისა თუ ტყვეობის გამომწვევი მიზეზისა და ხასიათის სწორად მიგნება და დამაკერებლად ჩვენება.

ნიმუშისათვის ავიღოთ ეტიუდი „წერილის ნაგლეჯი“. გულწრფელი, გაურყვნელი ახალგაზრდა შეყვარებულია. ის ცდილობს



თავისი გრძნობის სიმტკიცეში გაერკვეს, ამისათვის, მიუხედავად შეყვარებულისადმი დიდი, თავდავიწყებამდე მისული გრძნობისა, ვადასწყევტს, რადაც არ უნდა დაუჭდეს, თავისი გრძნობის შესამოწმებლად, სატრფოს ერთი წლით დასცილდეს. ამ ხნის განმავლობაში თავისი გრძნობა აწონ-დაწონოს და ამის შედეგად სათანადო დასკვნა გამოიტანოს.

გავიდა ერთი წელი. ახალგაზრდა სატრფოს თავისი გრძნობის შესახებ გულწრფელად შემდეგს სწერს: „რასაც იმ წამს ვგრძნობდი, როდესაც პირველად გითხარ: „მიყვარხარ“, ახლაც იმასვე ვგრძნობ. მართლაც მიყვარხარ, მიყვარხარ, თავდავიწყებამდის მიყვარხარ... მინდა ახლა გულში ჩაგიკრა, სულში ჩაგიძვრინო, რომ განუშორებელნი ვიყვნეთ და საფლავშიაც ასე, ერთ არსებად გარდაქმნილი, ჩავიდეთ... ხომ შორსა ხარ, ხომ მართო წერილით გესაუბრები ამ წამს, მაგრამ შენ ცხადლივ თვალწინ მიდგეხარ და გეამბობები, გეხვევი და უკიდურეს ნეტარებას ვგრძნობ... შენს მეტი ამ ქვეყნად არავინ არის ჩემთვის, შენა ხარ ჩემი ყველაი“<sup>1</sup>.

ასეთი აღიარების შემდეგ თითქოს არავითარ ეჭვს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. თითქოს, ყველა პირობა შესრულებულია, მთელი ერთი წლის განმავლობაში განშორება, შორიდან დამშვიდებული განსჯის შემდეგ მიწერილი წერილი — დასტური, რომ ახალგაზრდაში კვამპარტი სიყვარულის გრძნობა კვლავ შეუწელებლად ღვივის, მეტიც, თითქოს უფრო ძლიერადაც.

მიუხედავად ამისა, მწერლის გაგებით, ახალგაზრდის გული მაინც არაა მთლად კმაყოფილი, განწმენდილი, ის არა თუ ვერ დგას ურყეოდ ერთგულების პოზიციაზე. სიყვარულის გრძნობის ასეთ, თითქოს ურყევ, დამაჯერებელ აღიარებასთან ერთად ახალგაზრდა ყოყმანობს და შეყვარებულს ასეთ კომპრომისს სთავაზობს: „მაგრამ“ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ ან მაგონდები, როდესაც-კი შენს მაგიერად სხვას ვხედავ, ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს-რა, მაშინ... მაპატიე, ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარ ხარ ჩემი ყველაი. ჩემი ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემს წინ დგას იმ ჟამად. ის მიყვარს იმ ჟამად... გაგიყვებით მიყვარს ის, და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორც შენდამი, იმაზედაც ისევ იმას ვფიქრობ იმ ჟამად, იმასვე ვნატრობ... იმ ჟამად „ის“ „შენ“ არის და ახლა-კი, როდესაც შენ გესაუბრები, „შენ“ „ის“ ხარ... შენ იმასთან არ მახსოვხარ და მივიწყებული მყევხარ, როგორც შარშანდელი თრე-

<sup>1</sup> შ. არაბეგის პირველი კვანძი. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 279.

ლი, და შენთან კიდევ ის, „ის“, ვინც უნდა იყვეს, მხოლოდ მშენებ-რი-კი“<sup>1</sup>.

ახალგაზრდა შეყვარებული ამგვარი გაურკვეველი მდგომარეობით საგონებელშია ჩავარდნილი, მისთვის სხვანაირი მოქცევა თუ განცდა შეუძლებელიცაა. მან ყოველ მხრივ შეამოწმა თავისი გრძნობა, მაგ-რამ ყველაფერი მაინც ერთი გზით მიდის — ის ასკვნის, რომ ი დ ე ა - ლ უ რ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი მხოლოდ პოეტის ოცნების ნაყოფია. ცსა-დია, ახალგაზრდა სიყვარულის გრძნობის სიმტკიცეს უარყოფს. ასე-თი დასკვნის მიღებაში მას სხვებზე დაკვირვებაც არწმუნებს.

ახალგაზრდა თითქოს შეწუხებული თავის თავს ეკითხება: „იქნება მე ვარ ამგვარი ბუნებისა, და სხვები კი არა!..“ მას უნდა ასეთი საქ-ციელის თუ გრძნობის არაბუნებრიობისა და არამართებულობის ეჭვი გაფანტოს, თავის გრძნობას გამართლება თუ შემსუბუქება მოუნახოს და უმატებს: „ყველამ რომ ასე გულწრფელად ილაპარაკოს, როგორც მე შენ გელაპარაკები, მაშინ, მგონია, ყველა ამას იტყოდა... აბა ჩაუ-კვირდი შენს თავს, გულს და ისე მომწერე... ნუ იმტყუნებ, გეთაყვა...“<sup>2</sup> ალბათ, ახალგაზრდას უნდა თქვას — შენც ასეთ მდგომარეობაში ჩა-ვარდები, ასევე მოიქცევიო.

ასეთი მერყევი გრძნობა თუ შეხედულება, რა თქმა უნდა, შიო არაგვისპირელისეული არ არის (ამას ზემოთქმულიც ადასტურებს და ქვევითაც დავინახავთ). ასეთი მერყევი ქცევა და გრძნობა, მწერლის ღრმა რწმენით, ჩასახულია და უსაზღვროდ განვითარებული არსებუ-ლი საზოგადოების ვაჭრულ, ცრუ პატივმოყვარეობის, ვნებააშლილ, პირადი სიამოვნების ყოფაში; ეს, ექვს გარეშეა, დამახასიათებელია ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის, რომლისთვისაც სიყვარულის გრძნობა მხოლოდ სისხლის — ვნების აღელვება, აჩქროლება თუ აშ-ლაა, რომლისთვისაც ბიოლოგიური გრძნობებია წინ წამოწეული, წამ-ყვანი; მას არ ესმის, რომ ნამდვილი სიყვარული, გარდა სისხლის — ვნების აშლა-მღელვარებისა, ბიოლოგიური მოთხოვნილებისა, კიდევ სხვა მრავალ ელემენტს შეიცავს: ოჯახის, საზოგადოებრივი ურთიერ-ობის, ნდობის, ცხოვრების გაგრძელების და მრავალ სხვას, რასაც, მწერლის გაგებით, ცხოვრების წუმპეში ჩაწოლილი ბურკუაზიულ-ფეოდალური საზოგადოების უმრავლესობა არც ანგარიშს უწევს, არც მხედველობაში იღებს და არც საჭიროდ მიიჩნევს.

სიყვარულის ამგვარი გაგება-განურჩევლობა, გულგრილობა, უპა-სუხისმგებლობა შიო არაგვისპირელს ერის, ხალხის ცხოვრებაში დიდ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 279—280.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 280—281.

უბედურებად მიაჩნია. მწერალი, მართლაც, დაუნდობლად კიცხავს ადამიანთა შორის გავრცელებულ მორალურ დაუდგრომლობას, გაუტანლობას, უფრო მეტიც, ვერაგობას, თვალთმაქცობას, მატყუარობას, რითაც ბევრი თავსაც იქებდა და რასაც მრავალი, სიამოვნებით თუ არა, გულგრილად უყურებდა და ადვილად იტანდა. ამგვარი მოვლენა, მწერლის აზრით, ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ ცხოვრებაში მრავალია, ტიპიურია. ამგვარ მოვლენებს შიო არაგვისპირელი მრავალ ნაწარმოებში რეალური, ცოცხალი მაგალითების მხატვრული ჩვენებით ასახავს.

სინამდვილის ახლო გაცნობით, როცა მწერალი „გულთამხილავი შეიქნა“, ადამიანის გული მისთვის დაფარული და უჩინარი აღარ არის; მისი გონების თვალი სწრაფად იჭრება ადამიანის გულის „უფსკრულ ადგილებში“ და ყოველსავე საიდუმლოებას, საიდუმლოთა საიდუმლოებას ხედავს, ესმის; ნახულის გამო სკეპტიციზმით შეპყრობილ მწერალს ადამიანთა ურთიერთობის შესახებ შემდეგი დასკვნა გამოაქვს: „მაგრამ გეპატივება, ადამიანი ხარ, მოგატყუეს და შენც...“<sup>1</sup> მოატყუე, ალბათ, უნდა თქვას მწერალმა. მოტყუება, სიყალბე, მწერლის გამოცდილებით, არსებული (იგულისხმება ბურჟუაზიულ-ფეოდალური) ცხოვრების პირობებში ურყევ კანონადაა გადაქცეული.

თავის ამ შეხედულებას შიო არაგვისპირელი დიდი დამაჩერებლობით გვიხატავს ეტიუდში „გმადლობ, უფალო, გმადლობ!..“ თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში, რაც შიო არაგვისპირელისათვის აგრეთვე ერთ-ერთი დამახასიათებელი სტილისტიკური ნიშანია. ამ ნაწარმოებში საზოგადოების ყველა ასაკის და სოციალური (მაღალი თუ დაბალი, მდიდარი თუ ღარიბი) ფენის წარმომადგენელია მოცემული: მოტყუებული, მატყუარა, გაწბილებული თუ გამწბილებელი, შეგინებული თუ მაგინებელი, ცილწამებული თუ ცილისმწამებელი, შეურაცხყოფილი თუ შეურაცხყოფელი.

„აგერ, აგერ მიეშურება ყველა მანდი!.. — ამბობს მწერალი — თან მოაქვს გულწრფელობის გარდა, ყველაფერი. რა გვარი სისაძაგლე არ არსებულა ადამიანის გულში!..“<sup>2</sup> მწერალი ამ შეხედულების გაშლას შემდეგნაირად იძლევა. აი, იგი ხედავს „წმინდა ტაძარს“, ფაქიზ, ნამდვილ ცხოვრებას, როგორც მას წარმოუდგენია, მისკენ ყველა თავალებულად, თამამად მიდის, მაგრამ ხედავს, ყველა ცბიერია, თვალთმაქცი, მოღალატე, ანგარებით აღჭურვილი; ყველა ხელოვნურად თვალს უხვევს საზოგადოებას, ყველა ხელოვნურად ფარავს თავის ნამდვილ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 270.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 272.

ვულისცემას — მეგობარიც, საზოგადო მოღვაწეც, დიდი პატრიოტიც, შეყვარებულიც — ყველა ცრუობს, ყველა ფლიდობს, ყველა ცდილობს შეიკრე მოატყუოს, თვალი აუხვიოს. „თუ ეს აქ იტყუებს, იქ არც ის დააკლებს“; „ორივეს ერთმანეთისა სწამს, ორივემ კი იცის, რომ ერთმანეთს ატყუებენ“. ნახულით შეძრწუნებული მწერალი სასოწარკვეთილებით წამოიძახებს: „უფალო, ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელიც გულწრფელად მოქმედებდეს..“ შიო არაგვისპირელისათვის ხომ დამახასიათებელია, ადამიანის განცდას, მით უმეტეს, თუ ის მერყეეა, ბოლომდის მიჰყვეს, უკიდურესობამდის მისდიოს, მთლიანად გამოამყვანოს.

მწერალს უნდა ადამიანის გულწრფელობა შეინარჩუნოს; უნდა დედის. შეილის გულის სიწმინდეში მაინც იყოს დარწმუნებული. ამიტომ არ უნდა ისინიც „წმინდა ტაძარში“ მიმავალთ შორის იხილოს. უნდა, დედური, მშობლიური სიყვარულის სიწმინდე მაინც შეუბღალაკად დაიცვას. მაგრამ ხედავს, რომ ისინიც იქით მიილტვიან. რწმენა თუ ამედდაკარგული მწერალი მათ სასოწარკვეთილებით თხოვს: „გულა მაინც დამალეთ!.. არ მინდა, თქვენ გულს შევხედო... თქვენი საიდუმლო გავიგო... მინდა ეგ ორი გული არ ვიცოდეთ!.. ეგ ორი გული მაინც მაკავშირებდეს ადამიანთან... მინდა, ადამიანის გულწრფელობა მწამდეს...“ მაგრამ შემფოთებულ მწერალს მათი გულიც თვალწინ კსნება. შეძრწუნებულს, ადამიანის გულწრფელობის შენარჩუნებას დაუძლეველი სურვილით, არ უნდა ეს მისი „წმინდათა წმინდა“ დასაძმოს, ვერ ურიგდება, მზადაა დამბაჩას მოკიდოს ხელი, ბორგავს, ამ დროს დედა გააღვიძებს და მწერალიც სისხარულის ცრემლებს აფრქვევს. იგი რწმუნდება, რომ „სიზმარში ყოფილა გულთამხილავე და არა ცხადად“.

მართალია, ადამიანისა და არსებული ყოფისადმი მწერლის ასეთი შეხედულება თუ დახასიათება სიზმარშია გადატანილი, მაგრამ ეს გარკვევით არ ასუსტებს შიო არაგვისპირელის უარყოფით დამოკიდებულებას. მის მძაფრ კრიტიკას თანამედროვე წყობილებასა და ადამიანის მორალურად გაღატაკებული ბუნებისადმი. ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ამ ეტიუდისა გამსჭვალულია ღრმა სევდით არსებული ცხოვრებას გამო და ეს მაშინ, როდესაც მოქალაქე — მწერალი ზეშთაგონებული ნათელჩენით, გრძნობს საღდაც, სულ ახლოს, მის გვერდით, სიცოცხლის სრულიად სხვა მაღალ სახეს. შიო არაგვისპირელი თანადროულობას მომავლის თვალთ უტკერის და აფასებს, ხოლო, მისი რწმენათ, არსებული ყოფა და ადამიანის გაყალბებული ბუნება უნდა დაემხოს, განადგურდეს. ყოველი სიტყვა, ყოველი სახე ეტიუდისა ასეთი ამაფეთქებელი ძალითაა გამსჭვალული. ყველაფერი სხვანაირად,

ახლებურად, კარგად, ლამაზად უნდა შეიქმნას. მწერალი ასეთს ხვალის-  
ნდელს. ლამაზ ცხოვრებას ელტვის. შიო არაგვისპირელის მიერ არსე-  
ბულის ასეთ მკაცრ უარყოფაში, სინამდვილის მუქი ფერებით მოცე-  
მამო, აგრეთვე აშკარად იგრძნობა მწერლის დიდი, დაუძლე-  
ველი სწრაფვა უკეთესი, მაღალი ჰუმანური  
ცხოვრებისაკენ. ამაშია შიო არაგვისპირელის თავისებურება.

• • •

შეეჩერდებით მწერლის მიერ ადამიანთა გადაგვარებული, დაკნა-  
ნებული ბუნების, ზნე-ჩვეულების, ურთიერთობის ჩვენების კონკრე-  
ტულ მაგალითებზე.

ავილოთ ეტიუდი „... ხით ხითებს და ხით ხითებს“...  
დიმიტრო რკინიგზის სადგურზე ხედება ნაცნობ ქალს ანა მახათელს თა-  
ვის ქმრით ქაიხოსროთი. უკანასკნელნი მიემგზავრებიან თავის სო-  
ფელში. გამომშვიდობებისას ანამ დიმიტრის მრავალმნიშვნელოვნად  
უთხრა: „ხომ გაიგონეთ, რასაც ქაიხოსრო გეუბნებათ?! არ დაგვივიწყ-  
ოთ, გვეწვიეთ ამ ზაფხულს!“<sup>1</sup>

დიმიტრი მზად იყო, არამც თუ ზაფხულში, არამედ მაშინვე სწვე-  
ოდა მათ, მაგრამ მორიდებულმა, გაუბედავმა ბუნებამ შეაკავა. თვით  
ანამ მოაგონა თავისი თავი, ერთგვარი, გამომწვევი საყვედურიც კი  
უთხრა, რომ დიმიტრის ის დაივიწყა. დიმიტრის განმეორებული მიწვე-  
ვა სიამოვნებით მიიღო და მოუთმენლად გაემგზავრა ანასკენ. მას მატა-  
რებლის მოძრაობა წამებადაც კი ეჩვენებოდა. თავის მოკრძალებას,  
მორცხვობას, გაუბედაობას ლანძღავდა, თავის თავს უსაყვედურებდა:  
„ამისთანა დროს გაბედულება, ურცხვობა უნდა და არა მორიდება და  
მსილოდ ოცნება“. მაგრამ ყოველივე ამას დიმიტრი თავის ახალგაზრ-  
დობას აბრალებდა.

ამ შემთხვევაშიც შიო არაგვისპირელი იყენებს კონტრასტის ხერხს —  
ერთმანეთს უპირისპირებს თამამ, თავხედობამდე მისულ ანა მახათელს  
და მორცხვ, მოკრძალებულ დიმიტრის.

ამგვარი განწყობილებით დიმიტრი ანას ქმრის სახლში მივიდა. ანა  
გამოეგება, დიმიტრის გაწვდილ ხელს მაგრად მოუჭირა ხელი, რამაც  
დიმიტრი შეაქართო. მხოლოდ ანას ქმრის, ქაიხოსრო მახათელის, ზრდი-  
ლობიანმა მისალმებამ მოიყვანა ის გონს. დიმიტრი ნამგზავრი იყო. მას  
დასასვენებლად და თავისი თავის წესრიგში მოსაყვანად ოთახი მიუ-  
ჩინეს.

ანასთან იმ დღეს სხვა სტუმრებიც იყვნენ. ისინი დილიდანვე სა-  
სიგინოდ წავიდნენ. დასვენების შემდეგ, დიმიტრი რომ გამოვიდა თა-  
ვის ოთახიდან, აივანზე ქაიხოსრო დახვდა და სტუმარს ტყეში გასიერ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 218.

ღება სთხოვა. დიმიტრის ანაც გაჰყვა. გზაში ანამ მაღალ წრეში მიღებული კეკლუცობით დიმიტრი აიძულა თავისი გრძნობა მისადმი მოქმედებითაც გამოემქდავებინა, რაზეც დიმიტრიმაც არ დააყოვნა, რის გამოც ანამ მოულოდნელად შესძახა „მხეცო“ და მაგარი სილაც უთავაზა, „ძალასაც ხმარობ?! მიშველეთ!..“ დაიწვილა მან და ისტერიული კეთილი აუვარდა. იმწამსვე ქაიხოსრო იქ გაჩნდა, დიმიტრის შეუტია, ანას კი დამშვიდება და ალერსი დაუწყო. შიო არაგვისპირელი დიდი ოსტატობით ხატავს გამოუცდელი, გაურყვნიელი ახალგაზრდის ფსიქოლოგიას: კეკლუცობასა და ცბიერებაში გამობრძმედილი თავადის ცოლის ანას სატრფიალო ბადეში მის მარჯვედ გახვევას.

დიმიტრი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა, ვინ დაედანაშაულებინა — ისინი თუ საკუთარი თავი. თავის თავს უფრო მეტად საყვედურობდა, რომ ცუდად მოიქცა, ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენა. დიმიტრიმ მახათელების სახლი მაშინვე დატოვა. ამას მოითხოვდა დიმიტრის პატიოსანი ბუნება და მახათელების ოჯახის „ღირსება.“

დიმიტრი ოთხი დღე ასე უკმაყოფილო, სინდისის ქენჯნაში იყო, თავისი უტაქტო საქციელისა სცხვენოდა. მაგრამ მეხუთე დღეს მას ანასა და მისი მეუღლისაგან ორი ბარათი მოსდის. დიმიტრი კონვერტის შტემპელის მიხედვით მიხვდა, ვისგანაც იყო წერილი და თავისუფლად ამოისუნთქა. ის დარწმუნებული იყო, რომ ქაიხოსრო მისგან პასუხს თხოულობდა და მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა, გული მიეშვირა ქაიხოსროს ტყვეისათვის, ხოლო თვითონ ხელი არ გამოეღო. ამგვარად მოინანიებდა ის თავის დანაშაულს.

მაგრამ დიმიტრი გააოცა წერილის შინაარსმა. ქაიხოსრო ბოდიშსაც კი ითხოვდა წყენისათვის; სთხოვდა, დაევიწყებინა სიყმაწვილით ჩადენილი საქციელი და მათთან ძველი ურთიერთობა აღედგინა. ნიშნად იმისა, რომ დიმიტრის პატარა ინციდენტი დავიწყებული აქვს, კვრას მათ ეწვიოს; სხვა სტუმრებიც ეყოლებათ და დროს კარგად გაატარებენ.

დიმიტრის ვერ გაუგია, მახათელი დასცინის თუ რა? მას ერთგვარი უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, ქაიხოსროს წერილი დაქმუქნა და მოისროლა.

ანას წერილიც წაუკითხავად უნდოდა გადაეგდო, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ დაძლია, გახსნა და... გაშრა! განცვიფრებულმა დიმიტრიმ შემდეგი ჩაიკითხა: „ჩემო მიტრო! უთუოდ მიწყრები, რომ ისე კადნიერად მოგეპყარ. ჩემი ბრალი არ იყო. იძულებული ვიყავი ისე მემოქმედნა. ეს-კი იცოდე, ყველაფერი შენის გულისთვისვე ჩავიდინე“.

გაოგნებული დიმიტრი თვალებს არ უჯერებდა და კითხვას განაგრძობდა: „შენ ვერც-კი წარმოიდგენ რანაირად მიყვარხარ... კოცნის გულისთვის მიგაყენე შეურაცხყოფა. კოცნა-კი არა, მზადა ვარ მთლად წოგეცე, დღე-მუდამ შენთან ვიყვე. ჩემი სურვილი ესაა და ესავე იყო კოცნამდისაც. სურვილი რომ სურვილადვე არ დამჩენოდა და ოდესმე გამხორციელებოდა, შეურაცხყოფა მოგაყენე პირველივე კოცნის დროსვე“<sup>1</sup>. ანას აღვირახსნილობა და მზაკვრული საქციელი ამით არ ამოწურულა. ის თავისი სურვილის მიღწევას ცინიკური ტონით დიმიტრის ასე გაანდობს:

„ჩემი ბებრუტუნა საშინლად იჭვნეულობდა, თუმცა-კი პირდაპირ გამოთქმას ვერ მიბედავდა. ვატყობდი, თვალყურს ადევნებდა ყოველ ჩემ ნაბიჯს და უზოპოდ იტანჯებოდა. გეფიცები, შენს მეტი მე არავინ შემყვარებია და, ხომ იცი, რანაირად შორს ვიჭერდი თავს. რა ჰქვალავდა, რა სტანჯავდა?!“

შენ რომ შეგხვდი მთისკენ მიმავალ ბილიკთან და ლაპარაკი დავიწყე, ხომ გახსოვს, უეცრად როგორ სახე შემეცვალა? აი, სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ ქაიხოსრო მოიპარებოდა ჩვენსკენ და ჩუმად ხეს ამოეფარა. საშინლად მეწყინა. ავირიე. მაგრამ იმავე დროს უეცრად გამიელვა აზრმა, რომ იმისთვის თვალი ამეხვია და იჭვნეულობა მომეშორებინა. მერწმუნე, იმ დღეს შენ იმდენად ნებას არ მოგცემდი, რომ საკოცნელად მომტანებოდი. ქაიხოსროს უმადლოდე, რომ ისე ჩქარა დავუახლოვდი ჩვენ ერთმანეთს. განა, მე გაგაბედვინე?!..

საუცხოვოდ დაბოლოვდა ჩემი განზრახვა“<sup>2</sup>...

ანა აშკარად ვერაგი, მატყუარა, ცბიერი დედაკაცია. ის ადვილად და მოხერხებულად თვალთმაქცობს ორ ფრონტზე (თუ დასჭირდა, ის სამსა და მეტზეც ასეთივე წარმატებით ითამაშებს). ის ერთდროულად არა მარტო ქმარს ატყუებს, აბრიყვებს, არამედ დიმიტრისაც, მასაც ავალდებულებს მისი მადლიერი იყოს. მაგრამ განა მარტო ამ გამარჯვებით დაკმაყოფილდა ეს ცბიერი, გაუტანელი დედაკაცი?! „გამარჯვებული“, დაუოკებელი ანა უფრო მეტს მოითხოვს. მას უნდა თავისი შეძლებული „ბებრუტუნა“ ქმარი თავისი უწყესო, მზაკვრული საქციელის შირმად გადააქციოს; ურცხვი დიმიტრი უფროს ასე განაგრძობს: „ვერ წარმოიდგენ, ხელ-ფეხს რანაირად მიკოცინდა, როდესაც შენ ფეხ-აქრეთით გაიპარე და მე კიდევ განგებ ისევა ვქვითინებდი!.. „მპატივე, ჩემო ანავ!.. ნუ გამიწყრები!.. მე, სულელს, ექვი შემომქონდა!.. უსინდისოდ გზვერავდი... ვიჭვნეულობდი. განა არ ვიცოდი, რომ ერთგული ხარ, გიყვარვარ და მე-კი... გეფიცები, სიყვარულით. მომდიო-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თბ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 224.

<sup>2</sup> იქვე.

და... ახლა-კი... უგონოდ ხან რას გაიძახდა და ხან კიდევ რას... ძალიან ეწყინა, როდესაც შეიტყო, რომ წამოსულიყავ. საწყალ ბიჭს, როგორ შერცხვებოდა თავისი მოუფიქრებელი საქციელისაო, — გაიძახოდა და ბ-ჰის დადევნება უნდოდა... მე განგებ ძალს ვატანდი, უნდა საბრძოლველად გამოიწვიო და სამაგიერო გადაუხადო-მეთქი. „ახლა ვეღარ, ახლა ვეღარ... ახლა ისე ბედნიერი ვარ, რომ მინდა ყველამ იცოცხლოს, ყველანი მიყვარან, ჩემო სულო, და შენც გთხოვ, აპატიო“... — დაჟინებით მეუბნებოდა და ძალად (ეს ჩვენს შორის იყვეს: „ძალად“) წერილი მომაწერინა... პატიების ნიშნად...

ეხლა, ჩემო კარგო, ქაიხოსრო ისეა დარწმუნებული, რომ ერთ საბან ქვეშაც რომ გვნახოს, სიამოვნებით გაიცინებს და სრულებით ეჭვს არ შემოიტანს ჩემზე...

...ასე არა სჯობია!? საწყალი ქაიხოსრო, რად უნდა იტანჯებოდეს?!  
საფლავამდის შენი ანა“.

..7. კ. სტუმრებს ასე ვუთხარით: მიტრო ტელეგრამით დაიბარეს და იმ კვირია ისევ ამოვაო. ეს ქაიხოსრომ მოახერხა. შენი აქ ყოფნა ძალიან უნდა და მე ხომ — გეცოდინება... უეჭველად გვეწვევი. შენი ანა“.

ამონაწერი, მართალია, დიდი გამოგვივიდა, მაგრამ ანას ეს ინტიმური წერილი, თუმცა მუქი ფერებით, მაინც ისე მაქსიმალურად, რეალურად გვიხატავს სინამდვილეს, ადამიანთა ყალბ ურთიერთობას, მათა მაცდური ცხოვრების ეტიკეტს ისე სწორად და მოურიდებლად ხუის ფარდას, რომ შეუძლებელია მისი შეკვეცა. ამ წერილის ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა იშვიათი რელიეფურობით გამოხატავს ამგვარი საზოგადოების ყოფის ცბიერ, რთულ ქსელს.

წერილის მრღებამ დიმიტრიზე ძალზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. გააბრაზა, დიმიტრი ანას ლანძღავდა, მის საქციელს კილავდა, გმობდა, ხოლო ქაიხოსრო უტვიწოდ მიაჩნდა. ის ახლა კარგად მიხვდა, რომ ანამ თვითონ დიმიტრიც კი მოატყუა, შეაცდინა, გააბრკიყვა. განცვიფრებულმა გიჟივით გაღიხარხარა და გადაწყვიტა ანას სამუდამოდ ჩამოშორება.

მაგრამ დიმიტრი ანამ მალე ისევ მიიზიდა. მწერალი ანასა და დიმიტრის ურთიერთობას ასე ამთავრებს: „შინაური გავხდი. ანა უჩემოდ ვეღარა სძლებს, სულ ჩემთან არის და მე კიდევ იმასთან... ქაიხოსრო?

ქაიხოსრო-კი, როდესაც ანასთან ერთად მნახავს, კმაყოფილებით ხიბნივებს და ხითხითებს“<sup>2</sup>.

მართლაც. ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ყოფაში ადამიანთა ურთიერთობა, მათი ცხოვრება უმსგავსო, აშშორებული წუმპეა. აქ მარტო მრუ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 224—225.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 225.



ში, უძღვები ანა კი არ არის, როგორც თამამი, გაბედული, ლაგამაწყვეტილი. ინიციატივიანი მატყუარა, თვალთმაქცი, ვერაგი დედაკაცი — ცოლი, ამ წუმბის შემქმნელი, არამედ მისი ქმარი — ქაიხოსროც — დაბერებული, გამოფიტული, სიმდიდრით რომ ყიდულობს ცოლად მასთვის შეუფერებელ ახალგაზრდა ქალს, მხოლოდ თავის სიამოვნებაზე რომ ფიქრობს, არც ახალგაზრდა, გამოუცდელი დიმიტრია უდანაშაულო. ასაკ ადვილად და სიამოვნებით ეხვევა სიყალბის, უზნეობის, ამორალობის ბადეში და სრულიადაც აღარა გრძნობს უხერხულობას. სხვა მხატვრულ ხერხებთან ერთად ამ ნაწარმოებში მშვენიერადაა გამოვლიანებული შიო არაგვისპირელის შემოქმედების კიდევ ერთი თავისებურება: მეტად ბუნებრივად, თითქოს შეუძმნევლად, ყოველივე განაზღვის გარეშე, ამ სამთა ურთიერთობაში იუმორი ტრაგიკულს ბუნებრივად ერწყმის.

\* \* \*

შიო არაგვისპირელის დაკვირვებით, დანახვითა და ჩვენებით, მართო ასეთი შემთხვევებით და მართო მაღალ წრეში არ ამოიწურება აღმოიანთა შორის თვალთმაქცი, გაუტანელი და ვერაგული ურთიერთდამოკიდებულება.

აგილოთ სხვა შემთხვევაც. როდესაც თანასწორნი თითქოს დიდი სიყვარულითა და თავდავიწყებით შეუღლდებიან და ურთიერთ აღერსსა და ზრუნვაში ატარებენ ცხოვრებას. მაგრამ ყველა ეს თურმე მოჩვენებათია, მხოლოდ მრუშობისა და მხოლოდ თვალთმაქცობის ფარდაა.

გავეცნოთ შიო არაგვისპირელის ეტიუდს „ქარი კი ამ დროს ზმუოდა. კენესოდა და გმინავდა“.

ტიტიკოს სიყრმიდანვე აღერსიანი სიტყვაც კი არ ახსოვდა. მთელი მისი ცხოვრება ტანჯვის, შევიწროების, ჩაგვრის, დამცირების, შეურაცხყოფის ბუდედ იყო გადაქცეული. ის მუდამ სხვის ხელში იყო და სხვის რისხვას, ცემას იტანდა. იგი დიდი გაჭირვებით განთავისუფლდა ამ ტანჯვისაგან. კანცელარიაში გადამწერად მოეწყო. მაგრამ იქაც მისთვის მძიმე მდგომარეობა გრძელდებოდა. აქაც ისევ შეტევა, წყრომა, ბღვერა, თანამშრომელთა დაცინვა, ისევ გულცივობა დახვდა. სამსახურში თავაუღებლივ წერა, ოც რიცხვში ჯამაგირის აღება — ამაში გამოიხატებოდა ტიტკოს მთელი ცხოვრება. მას „კანცელარიაში“ დაცინვა და კილვა, შინ კიდევ მართობა აწუხებდა. არ არსებობდა ქვეყანაზე კაცი, რომელსაც მისდამი ყურადღება გამოეჩინა. ის გულჩათხრობილი, ეული, ცხოვრების გარეთ დაფარფატებდა. ასეთმა უნუგეშო მართობამ ტიტკოს თვითმკვლელობა გადააწყვეტინა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მტკვრისკენ გაემართა.

სწორედ ამ დროს მას მეზობლის მოსამსახურე ქალი, ბათო შეხვ-

და. მან ტიტის იხეთი თანაგრძობით შეხედა, რომ აღეღებელი, სასოწარკვეთილი ტიტის ადგილიდან ვერ დაიძრა, გაშტერდა. ტიტის ამ მდგომარეობაში კარგა ხანს იყო. „ტიტის, რა დაგემართა?! — ალერსით დაეკითხა ტიტის ბათო და მისი ხელი ტიტისას შეეხო“. აქ იწყება შიო არაგვისპირელის მიერ ტიტის შებორკილი სულისა და გულის უჩინარი, დაფარული მოძრაობის ვირტუოზული გახსნა-გაშლა.

ტიტის რაღაც უჩვეულო გრძობით ბათოს ხელს მაგრად მოუჭირა ხელი. „რად გედო, ტიტის, ასეთი მკვდრის ფერი, რა მოგივიდა? — უფრო ალერსით გაუმეორა ბათომ კითხვა. და ხელის განთავისუფლება მოინდომა“<sup>1</sup>. ტიტისში, თითქოს, აქამდე დაგუბებულმა სიცოცხლის წყურვილმა გაიღვიძაო, ბათოს ხელს უფრო მაგრა სრესდა და ვედრებით ეუბნებოდა: „ბათო, ნუ მაშვებინებ ხელს, ნუ!.. თვით განგებამ მოგავლინა ჩემ გამოსახსნელად!“<sup>2</sup> და ტიტის თითქოს თავის მხსნელთან ერთად თავისი თავიც იპოვაო. მართალია, გაუბედავად, მაგრამ უთუოდ თავის სიცოცხლეში პირველად გარკვევით გამოხატა საკუთარი ფიქრი, გრძობა და სურვილი: „შენ... პო, შენ ხომ, ვიცის გასათხოვარი ხარ და მაშ, ნუ გამაწბილებ, გამომყე ცოლად!“<sup>3</sup>... ბათომ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ თანხმობა გამოუცხადა.

ორი კვირის შემდეგ ტიტის და ბათომ ჯვარი დაიწერეს. ქალაქის განაპირას ერთი ოთახი იქირავეს და განმარტობით, ტკბილად, შეუშფოთებლად იწყეს ცხოვრება. დიდი ფსიქოლოგი მწერალი, ადამიანის სულის სიღრმეში ჩამწვდომი, შიო არაგვისპირელი, ტიტის გარდაქმნას მხატვრული ოსტატობით აგვიწერს. ტიტის გაუჩინდა და საყვარელი არსება, რომლის გულისთვის ის სიამოვნებით ზრუნავს და მუშაობს. ბათოც აგრეთვე თავის ალერსს, მზრუნველობას არ აკლებს მას, ამხნეებს. ტიტის გარდაიქმნა. მას ამ ბედნიერებასთან შევიწროებანი აღარაფრად მიაჩნია. სამსახურშიც ხალისიანად დადიოდა, შინ მხიარული ბრუნდებოდა, ერთი სიტყვით, ბედნიერი იყო, ვერ გარკვეულიყო, ცხადში იყო თუ სიხმარში (განსაკუთრებით შინ დაბრუნებულს ბათო რომ მიეგებებოდა ხოლმე და ალერსით ეტყოდა „გენაცვა, პური ხომ არ მოგშივდაო“).

ტიტის ახლა სამსახურში სიარული საღამოობითაც დაიწყო, რისთვისაც თვეში ერთი თუმანი ემატებოდა. ყველაფერს სიამოვნებით აკე-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 200.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

თებდა. ტიტო გრძნობდა, რომ იგი ბათოს გულისთვის შრომობდა და ბათოს გულისთვის „ლუკმა-ლუკმად რომ აეკუწათ, მაშინაც ნეტარებას იგრძნობდა“<sup>1</sup>.

ტიტოს ბედნიერება ორ წელიწადს გაგრძელდა. ბათო მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა. დასრულდა ტიტოს ბედნიერებაც. მას ცრემლიც აღარ ჰქონდა. ის დაჩოქილი ხელგადახვეული, გამტარებული დასცქეროდა ბათოს მიმქრალ, უსიცოცხლო სახეს.

ტიტომ კარგად იცის, რომ მის სიხარულს, მის ბათოს, მიწას მიაბარებენ, სამუდამოდ დააშორებენ, ის უთვისტომოდ დარჩება, როგორც წინათ, ვიდრე ბათოს შეხვდებოდა. მაგრამ ტიტოს სწამს, რომ ეს არ მოხდება, ბათო განუყრელად მასთან იქნება, რადგან ისა და ბათო სიყვარულით ისე არიან „შეხორცძვალელები და გაერთიანებული“, რომ ყველგან და ყოველთვის ის ბათოსთან იქნება და ბათო მასთან.

მართლაც, ტიტოს სიყვარული რაღაც მაღალი, გასხივოსნებული, ბედნიერების მწვერვალზეა აყვანილი. ასეთი გრძნობა, მწერლის გაგებით (და მკითხველიც ასევე იღებს), ყველას უნდა ხიბლავდეს, იმორჩილებდეს, იზიდავდეს, იერთგულებდეს, მაგრამ სინამდვილის კარგ მცოდნეს. სკეპტიციზმით შეპყრობილ მწერალს, შიო არაგვისპირელს, არა სჯერა კაცთა შორის ჭეშმარიტი ბედნიერება, ურთიერთგაგება და დაფასება, და ტიტოს ამ მაღალ, წრფელ გრძნობებშიც ბალამს ანთხეს.

გამაწამებელ ფიქრებსა და განცდებში მყოფ ტიტოს კარის კაკუნი მოესმა. ტიტოს უცნობი პიროვნება ბათოსადმი წერილს გადასცემს. ტიტოს ჰგონია, წერილი ბათოსადმი ამხანაგისგანაა. გაახსენდა, რომ ბათოს ამხანაგისაგან ხშირად მოსდიოდა წერილი, თუმცა ამხანაგი მათთან არ უნახავს და წერილებიც თვითონ მას არასოდეს არ წაუკითხავს. რა საჭირო იყო, როცა ბათო თვითონ უამბობდა ხოლმე ამ წერილის შინაარსს! მართლაც, რა კეთილშობილება! რა ჭეშმარიტი სიყვარული, რომელსაც თან სდევს განუსაზღვრელი ნდობა!

დასევდიანებული ტიტო ღრმა მწუხარებით აღმოსთქვამს, რომ ამ წერილს ბათო ვეღარ წაიკითხავს. აქამდე მას ბათო უკითხავდა წერილებს, ახლა ის თვითონ წაუკითხავს მიცვალებულს — ბათოს, და წერილი გახსნა.

ტიტოს თავზარდამცემი სინამდვილე გადაეშალა. წერილმა ტიტო ააღელვა, ააშფოთა, კითხვისას ის თითქოს ებრძვის, ეკამათება ვილაცას, აღნიშნული ფაქტები არა სჯერა, არც უნდა დაიჯეროს. აი, ადამიანის გულუმტკიცობის, მზაკერობის, დაუნდობელი ბუნების გა-

<sup>1</sup>შ. არ ა გ ვ ი ს პ ი რ ე ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 201.

მომხატველი წერს: „ჩემო ბათო!.. მინდა ყოველ დღე შენს გვერდით ვიყო. ყოველ წამს შენ გეხვეოდე და შენს მკერდზე ამომდიოდე სული და შენ-კი კვირაში ორი დღე დამინიშნე და ამ ორ დღესაც აღარ მოსდინარ... ხომ იცი, ჩემო კარგო, ამ თვის გასულს სოფელში წავალ, სადაც ორი თვე მეტი მომიგვიანდება და მაშინ მარტო შენი წერილებით-ღა უნდა დავსტკბე. არა, ჩემო ბათო, სანამ აქა ვარ, დამატკბე შენის ალერსით. წარსულ კვირას რა კარგი დრო გავატარეთ, ხომ ვახსოვს?!

მართლა, ჩემო გვრიტო, ხომ არ გაცივდი? საშინელი ქარიშხალი იყო, როცა შინ დაბრუნდი და იქნება ავად გახდი და ამის მიზეზით დანიშნულ დროს ვეღარ მოხვედი! ღმერთმა ნუ ქნას!.. მინდოდა დღეს წამოვსულიყავ შენთან და შემეტყო შენი გარემოება, მაგრამ ვეღარ გავბედე. იქნება შენი ქმარი შინ იყოს-მეთქი, ვიფიქრე და ამის მიზეზით, ისევ წერილის მოწერა ვარჩიე. როგორც შენ მითხარ, წერილებს შენი ქმარი არ კითხულობს და ამ წერილის მიღების დროს, რომ შინ იყვეს შენი ქმარი, მგონი არა დაშავდება-რა... ხვალ უსათუოდ მოგვლი...

მარად შენი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი<sup>1</sup>.

ამ წერილმა თავისი ნიშანდობლივობით ტიტოკო შეაძრწუნა. თავბრუ დაახვია. მან საშინელი ხმით წამოიძახა თუ წამოიბღავლა — „ახს!“... ფეხზე წამოვარდა და გულზე ხელი იტაცა. მაგრამ ტიტოკოს ეს მტანჯველი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. „დაჭიმული ძარღვები, — აგვიწერს ფსიქოლოგი მწერალი, — მოუდუნდა, მოეღეშა, ღრმად, ძალიან ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და ჩულივით იქვე ტანტის გვერდით ჩახვია. თითქოს ამოსუნთქვას ამოაყოლოა ის, რაც-კი წმინდათა-წმინდას შეადგენდა, რაც რწმენა ჰქონდა და სააქაოსთან აკავშირებდა. ახლა მხოლოდ სიფუღუროვეს, სიცარიელეს-ღა გრძნობდა. აღარც თავში და აღარც გულში აღარა დარჩენია-რა, და სააქაოსი, როგორც ბათოს, აღარა ეყურებოდა-რა“<sup>2</sup>.

შიო არაგვისპირელი ამ შემთხვევაშიც მოვლენის თუ გარემოების ნათელი და დამაჯერებელი გახსნისათვის მისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხს — კონტრასტს ნიჭიერად იყენებს — ბათოს თვალთმაქცური, ცბიერი სიყვარული ტიტოკოსადმი, ხოლო ტიტოკოს ესოდენ წრფელი, უხინჯო გრძნობა ბათოსადმი.

ეს პატარა ამბავი თუ მოთხრობა მკითხველს თავზარს სცემს ისე, თითქოს მას მთელი ეს ტრაგედია პირადად ენახოს, უშუალოდ განიცადოს. მასთან შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ერთ-ერთი მეტად

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 203.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 204.

საგულისხმო თავისებურება ისიცაა, რომ მასში მშვენიერადაა მოცემული გადახლართვა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სრულა შერწყმა იუმორისა ტრაგედიასთან ისე შეუმჩნევლად, ისე ბუნებრივად, რომ არ ვიცით ვიტყვით თუ ვიცინოთ.

შოი არაგვისპირელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ეს-თეტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც ტრაგიკული და კომიკური სინამდვილეში არ არის გამოყოფილი; ეს ორი მხარეა ცხოვრების მოვლენისა, რომელსაც თავისი ტრაგიკული და კომიკური სახე აქვს; ერთი მხრივ, ტიტყო, გულუბრყვილოდ მინდობილი, ბათოსადმი სიყვარულით გახალისებული, ხარივით კისერი უღელში რომ გაუყვია, რათა ბათოს სიამოვნება, კმაყოფილება მოუპოვოს, მეორე მხრივ, ბათო შოახლე, რომელიც თავისი სურვილით გაყვება ტიტყოს, იპუვის დამოუკიდებელ ბუდეს და ასეთ ვერაგობას, გაუტანლობას გამოიჩენს! ამბავში „ქარი კი ამ დროს ზმუნდა, კვნესოდა და გმინავდა“ მშვენიერადაა გადახლართული ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და მხატვრულ განასერში ტრაგიკული კომიკურთან, რაც მკითხველს ძალუმად აფიქრებს ცხოვრებაზე, საერთოდ ადამიანზე, თავის თავზე, ტიტყოს იმედის ასეთმა გაცრუებამ შეიძლება მკითხველში სიცილი გამოიწვიოს, მაგრამ სიცილი ტუჩებზევე შეეყინება, რადგან ბათოს საქციელში ის ყოვლად ზნედაცემულს დაინახავს, რაც ცხოვრებაში, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია, და მწერალთან ერთად ამოიკვნესებს: „ოხ რა საშინელია სინამდვილე!! რა ვერაგი გაუტანელია კაცი!“ ზურგს შეაქცევს არსებულ გაუტანელ „უთავბოლო მოუწყობელ“ ცხოვრებას და სიცოცხლემოწყურებული ისიც შეეცდება ცხოვრების, ადამიანის გაჭანსალების, გარდაქმნის სასარგებლო საქმიანობაში გულმოდგინედ ჩაბმას.

აი ასეთი განწყობილებაა შოი არაგვისპირელის შემოქმედებისათვის წამყვანი და ფართო მკითხველისათვის მიმზიდველი.

\* \* \*

მრავალგვარია ადამიანი, მისი ცხოვრება და მისი ბუნება, მეტად სხვადასხვანაირად ვლინდება მისი დაფარული გულის მოძრაობაც, რაც, ჩვეულებრივ, ხშირად წყვედიადითაა მოცული. კაცთა გულთამხრლავი მწერალი, შოი არაგვისპირელი, დიდი ოსტატობით ხსნის ადამიანის ბუნების მალულ სხვადასხვა კუნჭულსა და ხაზს.

ნიშუშისათვის ავიღოთ ეტიუდი „მხრებ-ი-ღ-ა ავიჩეჩე“.

გაიოზ კერაშვილი ახალგაზრდა, აზრიანი, მრხვედრილი, ნასწავლი, პატიოსანი კაცია, მაგრამ გამოუცდელი, გულუბრყვილო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სამსახურს იწყებს ქ. ქ-ში, რომლის წარმტაცმა ბუნებამ, მოსახლეობის ზრდილობამ, მათმა საუბარმა-გაიოზი მძლავრად მოხიბლა. ის მზად იყო, რაც შეიძლება მალე

სულათა და ხორცით დაახლოებოდა ამ „ზრდილ საზოგადოებას“, მაგრამ რატომღაც ვერ ახერხებდა.

გაიოზმა სულ მალე მიანება თავი საზოგადოებას და მხოლოდ თავის ოთახსა და ბუნებას შეეთვისა. შესაძლებელია იმ-ტომაც, რომ ბავშვობიდანვე განმარტოება უყვარდა. მაგრამ აღამიანის ბუნების ზედმიწევნით მცოდნემ, შიო არაგვისპირელმა, კარგად იცის, რომ მარტობაც მოსაწყენი, ძნელი ასატანია, მით უმეტეს გამოუცდელი, გულუბრყვილო აღამიანისათვის, რომელიც ეძებს მეგობარს, თავის შთაბეჭდილებათა მესაიდუმლეს. ამგვარი პიროვნებისათვის ბუნება ხშირად ნავთსაყუდარია. მას ხშირად ბუნების დაუსრულებლობაში უიალქნო ცურვა ერთგვარ, თუმცა გაურკვეველ, კმაყოფილებას ანიჭებს, გაიოზიც რიონის ნაპირებზე სეირნობასა და ღამისთევას შეეჩვია.

ერთ მშვენიერ დაისის ქაშს რიონის პირას წამოწოლილი გაიოზი თავის ფიქრებს მჩქეფარე ტალღებს აყოლებდა. იგი შეუშინველად ტალღებისაკენ იწვედა, თითქოს, აი ესაა მდინარეში გადავარდებო. მოულოდნელად მას ამ ფიქრებიდან გამოარკვევს ქალის ხმა — „არ გადავარდეთ!“... გაიოზმა აიხედა და მშვენიერი არსება, მზის დასაგლის უხვ სხივებში გახვეული და მომხიბვლელად მზირალი, გულჩინა დაინახა. გულჩინას გაიოზი რამდენჯერმე შეხვედროდა ქუჩაში, მისი ბინა კიდეც იცოდა, რადგანაც მან თავის სიმშვენიერით გაიოზის მთელი არსება მიიპყრო.

გულჩინას მოხერხებული, ანგარებით გააზრებული კეკლუცობით ისინი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. გულჩინას მიერ ეშმაკურად გაბმულ ქსელში გაიოზი ადვილად გაება. გაიოზი რწმუნდება, რომ მან გულჩინაში აღმოაჩინა სწორედ ის ქალი, რომელზედაც ის ოცნებობდა, გტრფოდა, უყვარდა. ის თითქოს რწმუნდება, რომ განიცდის იმ მდგომარეობას, როდესაც ერთს ჰგონია შეუერთდა მეორეს და ორნი ერთ არსებად გადაიქცნენ... გაიოზმა ეს ნეტარება მძლავრად განიცადა, სწამდა, გულჩინაც იმასვე გრძნობდა და განიცდიდა, რასაც თვითონ. გულჩინას ქცევამ გაიოზს მალე გადააწყვეტინა გრძნობები აშკარად გამოეთქვა.

საკმარისი იყო, გაიოზს გულჩინასათვის ეთქვა, „მიყვარხარ!..“, რომ გულჩინას სწრაფად შეეცვალა იერი. გულჩინამ ეჭვის, ყვედრების, უნდობლობის გამოთქმა დაიწყო საერთოდ მამაკაცებისადმი. მალე საქმეზე გადავიდა: „ჩემო გაიოზ, ჯვარს როდის დავიწერთ: — მოთხოვნის კილოთი შეეკითხა იგი. ცხადია, გულჩინა აჩქარდა, ყველაფერი სათანადოდ ვერ გაზომა, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო.

გულჩინას ამ შეკითხვამ, მისმა ტონმა გაიოზი გამოაფხიზლა. აქამდე გაიოზი დარწმუნებული იყო, გულჩინაც მას ისეთივე წრფელ, უა-

ნვარო გულს უხსნიდა, როგორც ის მას. ჯვარისწერა და ყველა მასთან დაკავშირებული ჩვეულება სიყვარულს თავისთავად, შეუმჩნევლად მოყვებოდა.

გულჩინას ეს კითხვა გაიოზს შეუხამებლად მოეჩვენა, გულჩინაზე წარმოდგენა გაიოზში შეუმჩნევლად გაიზარა, გამკრთალდა.

შიო არაგვისპირელი კონტრასტის ხერხს აქაც დიდი ოსტატობით იყენებს. ორი ადამიანის საწინააღმდეგო ბუნებას ურთიერთს უპირისპირებს: გულჩინა — ფლიდი, თვალთმაქცი, ანგარებიან-ანგარიშიანი, გაიოზი — გულუბრყვილო, მართალი, პირდაპირი, უანგარო.

გულჩინა თავისი სურვილის შესრულებას დაჟინებით მოითხოვდა: მან მოხერხებულად აიძულა გაიოზი დაეთანხმებინა, რომ ის მასზე ჯვარს დაიწერდა. გაიოზმა ამასთანავე სთხოვა გულჩინას ეს ამბავი არ ვაემხილა, იქნებ რა მოხდეს, — გულწრფელად უთხრა გაიოზმა გულჩინას, — „შეიძლება ცუდი მხრით გავიცნოთ ერთმანეთი, შეიძლება საძაგელი კაცი აღმოვჩნდე და მოისურვო თავიდან მოშორება. ეს უფრო ადვილი იქნება მაშინ, როდესაც არავის ეცოდინება. ხომ იცი, ეხლავე რომ გამოვაცხადოთ დანიშვნა, უფრო ძნელი იქნება ჩვენი განშორება, საზოგადოებისა მოგვევრიდება“<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობაზე შეთანხმდნენ, მეორე დღეს მთელმა ქ-მა ეს ამბავი იცოდა.

გაიოზი მტანჯველ ფიქრებში ჩავარდა. მას უკვირს, ასე რად მოხდა. გაიოზში ორი ფიქრი თუ გრძნობა იბრძვის: ერთი — გულჩინამ, ალბათ, მას ცვლილება შეამჩნია და ისიც გაითვალისწინა, რომ მას საზოგადოების მოერიდება და ამით განშორების საშუალებას უსპობს; მეორე კი — გულჩინა ლამაზია, მოხდენილია, მასზე ცუდი არაფერი სმენია, მას ცოლად ყველა სიამოვნებით წაიყვანს, გაიოზის შებორკვა მას რად სპირდება! კიდევ ერთია — იქნება გულჩინას გაიოზი გულწრფელად უყვარს, ველარ მოერია თავის გრძნობას, მეგობარს გაანდო, იმან კიდევ გულჩინას ბედნიერება სცევენს ახარა?! მაგრამ, თითქოს იღუმალი ხმა გაიოზს დამაჯერებლად ჩასძახის: არა, არა და არა, გულჩინას გაიოზი არ უყვარს.

ვირტუოზულადაა გახსნილი გონიერი, პატიოსანი, გამოუცდელი და მასთან გულუბრყვილო ახალგაზრდის — გაიოზის აფორიაქებული ბუნება.

შიო არაგვისპირელი, როგორც დიდი ფსიქოლოგი, თითქმის ყოველ ნაწარმოებში ადამიანის ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი გაგებისა და გამოხატვის უნარს იჩენს.

ასეთ მერყეობაში მყოფი, გულჩინას მზაკვრული საქციელით დაეჭვებული, გაწვალებული გაიოზი თავის განცდებს, თავის ახლო მეგო-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 236.

ბარს, ვარლამს სწერს. გაიოზი ვარლამს ატყობინებს თავის გრძნობას გულჩინასადმი, რომ გულჩინას ქცევაში, სიტყვებში, წერილებში ბევრი ალერსია, დაპირება, ერთი სიტყვით. ყველაფერია, გარდა იმისა, რასაც ის ეძებს, სახელდობრ, მათში გაიოზმა ვერ ამოკითხა, გულჩინას ის „გულწრფელად უყვარს თუ არა“. აი ამაში არაა გაიოზი დარწმუნებული და სწორედ ეს სტანჯავს. „რად მინდა, — სწერს ის ვარლამს, — რომ მარტო მე მიყვარდეს და იმას კი არა?! ჩემი კოლქმრობის იდეალი ეგ არ არის, რომ მე მიყვარდეს და იმას კი არა, ან იმას ვუყვარდე და მე არა“<sup>1</sup>. მშვენივრადაა გამოვლინებული ადამიანის გულში ჩაპქდარი იდუმალი გაურკვეველობა როგორ ღრღნის, ტანჯავს, რა თქმა უნდა, ისეთ პატიოსან კაცს, როგორცაა გაიოზი. გაიოზი ვარლამს სთხოვს დაეხმაროს: „წყვილია ჩემთვის იმისი (გულჩინას — მ. ზ.) ბუნება! იოტის ოდენაც ვერა შემიტყვიან-რა!.. ვარლამ, ვენაცვა ვარლამ, დავიბენი, თავბრუ მესხმის, ველარა გამიგია-რა, დამისხენი“<sup>2</sup>. მშვენივრად, უზადოდაა გახსნილი გაიოზის ფაქიზი, შეუბღალავი, ახალგაზრდული ბუნება.

მწერალი არ კმაყოფილდება გაიოზის ბუნებისა და მტანჯველი გრძნობა-ფიქრების ამგვარი ჩვენებით. მას უნდა. გაიოზი, მისი ბუნება სისრულით გვაჩვენოს, ღრმად შედის მისი გულის მოძრაობაში და უჩინარ ხაზებსა და ნიუანსებს, გაიოზის ბუნებისათვის ფრიად დამასახიანებელს, ცხოვლად ააშკარავებს, რათა მკითხველი განცვიფრებაში მოიყვანოს და მაღალი ესთეტიკური განცდა მიანიჭოს.

გაიოზი ვარლამის პასუხს არ უცდის. მან, თითქმის, თვითონვე გამოიხატა საშუალება და, უნდა ითქვას, მეტად სწორი, მართებული — თვითონვე უნდა გაერკვეს თავის გრძნობებში. ამისთვის გაიოზმა გადაწყვიტა, რამდენიმე ხნით, ერთი თვით მაინც, გულჩინას გამოარდეს, არ ჰვდებოდეს, მიწერ-მოწერაც არ ჰქონდეს. შედარებით დამშვიდებულ მდგომარეობაში ასწონ-დასწონოს თავისი გრძნობა. ამიტომ მისი თბილისში მეგობარ ვარლამთან. გულჩინას მისაპართსაც კი აოცნობებს.

გაიოზმა უამბო ვარლამს მოულოდნელად მისვლის მიზეზი, თანაც განუცხადა, რომ ახლა მისთვის უმნიშვნელოა გულჩინასთან დამოკიდებულება, რაც უნდა შეიტყოს გულჩინას შესახებ, მაინც „სულ ერთი იქნება“, „წერილი, — დაუშატა, — არ მინდა მიეწერო და არც იმისგან მინდა მივიღო, ამისთვის ადრესიც არ დაუტოვე“.

ძიუხედავად გაიოზის ასეთი გადაწყვეტილებისა, ვარლამმა შეამჩნია, რომ გაიოზს მეორე დღესვე წერილი სადღაც გაეგზავნა და პასუ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 239.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 240.



ხსაც მოუთმენლად ელოდა. გაიოზი სახლში დაბრუნდებოდა თუ არა, მოსამსახურეს ეკითხებოდა: „წერილი ხომ არა მოსულა რა... ხომ კარგად იცი ჩემი გვარი და სახელი? უკან არ გააბრუნო, თუ აქ მოიტანეს. წერილების დამტარებელსაც უთხარი: „გაიოზ კერაშვილის სახელზე წერილი აქ მოიტანოს...“ უდავოდ, ნიჭიერად, სწორ ხაზებშია მოცემული გაიოზის სულიერი მღელვარება.

გაიოზის წერილმაც არ დაიგვიანა. წერილი ფოსტალიონს ვარლამმა გამოართვა. გაიოზი რომ დაბრუნდა, ვარლამმა მას წერილი გადასცა და თვალყურის დევნება დაუწყო. გაიოზმა წერილი ვარლამს სიხარულით გამოსტაცა და გაბრწყინებული თვალებით კითხვა დაიწყო. ნახევრამდის არ წაეკითხა წერილი, რომ გაიოზმა ხარხართა და ხვევნით წერილი ვარლამს გადასცა წასაკითხად. გაკვირვებულმა ვარლამმა გამოართვა წერილი, რომელიც მთლიანად ააშკარაებდა გულჩინას მიუღწერ ბუნებასა და გაიოზისადმი მის მზაკვრულ დამოკიდებულებას.

გულჩინას წერილში, გარდა აღნიშნულისა, ბუნებრივად, სადად, უშუალოდაა შერწყმული ტრაგიკულთან კომიკური, რაც შიო არაგვისპირელის შემოქმედებას ასე ახასიათებს. გულჩინას მიერ გაიოზისადმი შეცდომით გამოგზავნილი წერილი იმდენად კარგად ააშკარაებს მის ფლიდობას, რომ იძულებული ვართ, მისი უდიდესი ნაწილი მოვიტანოთ: „ჩემი გონებიდან განუშორებელი პოლიევეტ, ნეტავი ეხლა აქ იყო... ამ ზაფხულს ხომ შეგეძლო მოსვლა?! შარშან ზაფხულს რა ცუდად გაგატარებინე დრო, რომ წლეულ აღარ მოისურვე მოსვლა! წელს უფრო უკეთესად, უკეთესად კი არა, ნეტარებით გვატარებდით დროს... მაგრამ ისწავლე, ისწავლე და ყველაზე უმჯობესი კაცი გამოდი. ეს ერთი ზამთარი-ლა იქნები მანდ. არა უშავს-რა. როგორც იქნება უშენოდ გაეძლებ, გავიკვირებ თავს, მხოლოდ იმ პირობით. რომ სამუდამოდ ჩემი იყვე, ჩემს გვერდით დარჩე... მე მაშინ უკვე ქმრიანი ვიქნები. შენ ქუთაისში იშოვი ადგილს და... ახ, რა ნეტარებაში ვიქნებით!.. ნეტავი ჩქარა დადგეს ის ნეტარი წუთი... ჩემი ტეტია ისევ ისე ბურტყუნებს, იჩმუჩნება საცოდავად, მაგრამ რას იზამს? ისე მყავს გაბმული, რომ თავს ვერ დაიხსნის. გუშინ მივიღე წერილი. ის ეხლა თბილისშია. აი რასა მწერს: „... ეხლა ხომ ჩვენ ერთმანეთისა ვიქნებით; ხომ კარგად იცი, ამ მოკლე ხანში ჯვარს დავიწერთ?! მაშ ეხლა მაინც მოთხარი შენი წარსული, იქნება იმისი გაგებით მაინც დავრწმუნდე. გულწრფელად გიყვარვარ თუ არა... გულჩინავ, შენ ყოველთვის მარწმუნებ, ყოველთვის მეუბნები, რომ გიყვარვარ, მე მიზეზიც არა მაქვს, რომ არა გერწმუნო, მაგრამ, რა ვიცი, რატომ არ ვრწმუნდები?... გენაცვა, გულჩინო, ამისრულე ეს მცირედი თხოვნა...“ აი, სულ ამას ჩივის, ეს გახდომია სატირლად. ბეჩა, რომელი თავხედი ქალწული გადაუხსნის თავის საქმროს გულს და ყველაფერს უამბობს? ეს როგორ

არ უნდა იცოდნენ ყმაწვილებმა, რომ ამგვარ კითხვებს იძლევიან. მეტიხეტი გულუბრყვილობაა, არა, პოლიევკტ?... ისეთ აბდა-უბდას ვწერ იმის კითხვაზე პასუხად, რომ, მგონი, ვერც თავი გაუგოს და ვერც ბოლო... „ნეტავი შენ ცოლქმრობის წინააღმდეგი არ იყვე, რომ იმისთვის ხელი შეკრა და თავიდან მომეშორებინა?! სწორე გთხრა, მოიწყინდა კიდევაც იმისი ბურტყუნი. ან კიდევ მე გეთანხმებოდე და ეგეთი რწმენა მქონდეს. შენ რომ ქალი იყო, მაშინ დამეთანხმებოდი, რომ ჩვენ დროში კანონიერი ქმარი ქალისათვის აუცილებელია. ქმარი ქალისთვის ფარია, ფარდაა და მეც ამ ფარდას ვეძებ, რომ იმის იქით ნე და შენ უშიშრად, მოურიდებლად ვისიყვარულოთ“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, გულჩინას წერილები გაიოზისა და პოლიევკტოსადმი ერთდროულად დაუწერია, ხოლო კონვერტები შესცვლია. აქაც კონიკური ტრაგიკულთან იშვიათი ბუნებრიობითაა შერწყმული. მართლაც, საზღვარი არ უჩანს გულჩინას ცბიერებას, ვერაგობას, ზნედაცემულობას!

მაგრამ აქ სააშკარაოზე მარტო გულჩინა კი არაა გამოყვანილი, არამედ, მისი სახით, არსებული ცხოვრების პირობებში გარყვნილი, ზნედაცემული ქალი, რომელიც ამგვარ ფარს, ფარდას ეძებს, დამშვიდებული თავს აფარებს და გაშმაგებული ბიოლოგიურ ცხოვრებას თავდავიწყებით ეძლევა. მაგრამ აქ არა მარტო ქალია ნიღბაგლეჯილი, არამედ ნაწაკაციც პოლიევკტოს სახით, რომელიც კადრულობს თავისი საქციელით ხელი შეუწყოს, გამოიწვიოს ქალის ასეთი ვერაგობა. ამასთანავე, მწერლის შეხედულებით, უარსაყოფია თვით საზოგადოება, რომელიც ითმენს ასეთ მდგომარეობას.

ვარლამმა ვედარ აიტანა გულჩინას ასეთი ზნეობრივი გახრწნა, თავის ხორცილ ვაჭრობა, აღელვებულმა მისი წერილი გადაადგო და გაიოზის ხარხარით განცვიფრებული შეეკითხა, ახლა ის რადას აპირებს. გაიოზიც არ დაუყოვნებს ვარლამს, დამშვიდებული უპასუხებს და თავის პასუხს გულჩინას წერილსაც ასე მიაწერს: „ეს წერილი შეცდომით ჩემთან განოგიგზავნია. მე გავუგზავნიდი პოლიევკტს, მაგრამ სჯობია, შენვე გაუგზავნო... გაიოზი“<sup>2</sup>.

თითქოს ყველაფერი გაირკვა, ნათელი გახდა, საეჭვო-საჭოჭმანო აღარაფერი დარჩა. გაიოზიც თითქოს მტანჯველი ეპვისგან განიტვირთა, განთავისუფლდა. ყველაფერი დამთავრდა.

მაგრამ არა. ვარლამი ამჩნევს, გაიოზი მიჩუმდა, მოდუნდა. შეკითხვაზე დაბნეულად, უაზროდ თავს უქნევდა. აღარც სმა-ჭამა იყო მისთვის. საითაც ვარლამი ხელს გაუშვერდა, ისიც იქით ხმაამოუღებლივ მიჰყვებოდა. გაიოზს ერთგვარი სულიერი დეპრესია დაეტყო. პატიო-

<sup>1</sup> შ. ა. რ ა გ ე ს პ ი რ ე ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 244—245.

<sup>2</sup> იქვე.

სანი, სუსტი ნებისყოფის კაცის მდგომარეობა ბუნებრივადა მოცემული.

ამ გარემოებამ ვარლამი დააფიქრა. მან გაიოზის გართობა მოინდომა. ერთ საღამოს წაიყვანა მუშტაიდის ბაღში, სადაც აუარებელი ხალხი წყვილ-წყვილად თუ შეკრებით სეირნობდა — იყო საერთო მხიარულება. გარინდებულმა გაიოზმა უცებ ხმა ამოიღო. ვარლამს შიშით: „ვარლამ, წავიდეთ იქით, აგერ აი, იმ ბნელი ხეივნისაკენ!“... ალბათ, მასში განცდილი შთაბეჭდილებები აფუტფუტდნენ, მისი გულიც მძლავრად ამოძრავდა.

ვარლამი და გაიოზი მტკვრის პირას ხეივნისაკენ წავიდნენ. გაიოზმა ენა ამოიღვა. მოიგონა, რომ ქუთაისში არის ამგვარი ბნელი ხეივანი, სადაც ისა და გულჩინა დადიოდნენ. აშკარაა მსგავსი გარემოების ხილვამ გაიოზში ამოტივტივა, ააშოქმედა ტკბილი და თან მწარე განცდანი. აშლილმა მოგონებებმა გაიოზს სახე საშინლად შეუცვალა, ტონი შეურყია. მტკვრის პირას, პატარა ფანჩატურიდან გამოსული ქალვაჟისკენ თითი გაიშვირა და ბედნიერებადაკარგულის გრძნობით ალაპარაკდა: „აგერ ისე, როგორც ეგენი, მკლავებგაყრილნი, ერთმანეთზე მიყრდნობით გაჩუმებული ვისხედით... ჩვენც ეგრე ფეხის ხმას ვუსხლტოდით... გვინდოდა მარტოკანი ვყოფილიყავით... არა, არა და არა!... იმას არ სდომებია, მარტო მე მინდოდა. მე... მეგონა-კი რა კარგი იყო, ვარლამ, რომ ვცდებოდი, ვსტყუვდებოდი. ნეტავი იმას, ვინც სცდება და ვისაც ჰგონია, რომ ერთხორცად და ერთსულად არიან!.. აგერ ისინიც, რომ მიდიან, ბედნიერები არიან. ბედნიერები არიან, რომ სტყუვდებიან და ჰგონიან, მარტო ჰგონიან“<sup>1</sup>...

აქ მწერალი რა იშვიათი მიმზიდველობით გვიხატავს სიცოცხლე-სიყვარულის ხარბადმოწყურებული გულუბრყვილო ანაღგაზრდის რომანტიულ, ფაქიზ ბუნებას. მაგრამ მწერალი უმაღლე განცდას მიმართულელებას უცვლის, სინამდვილეში გადმოინაცვლებს და ამ მოსიერ-ნეთა ურთიერთობას გაციებულებს, გამოცდილი გულითა და ტვინით, წმინდა სკეპტიკური თვალსაზრისით აფასებს. „არა, არა და არა!.. იმას არ სდომებია, მარტო მე მინდოდა მე... მეგონა-კი...“ და გაიოზს ასე გააგრძელებინებს: „იმათ გულში რომ ჩაიხედო, ხომ შეგეშინდება, ხომ დაინახავ იმათ ცბიერებას!.. ხომ სულ ტყუილი თვალების ტრილია, ხომ ატყუებენ ერთმანეთს?! არა? ჰა!.. კაცი თუ ქალი, ორნივე დალატობენ, საქმით თუ არა, განზრახვით მაინც. განზრახვით დალატი და საქმით ორივე ერთია, ორივე დალატია და არაფრით განსხვავდება... საცა დალატია, იქ ერთობას ადგილი არა აქვს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 239.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 247.

გაიოზის (ალბათ, თვით შიო არაგვისპირელის) ამგვარი განცდისა თუ მსჯელობის შედეგია მისი განზოგადებული სკეპტიკური აზრი: არსებული ბურჟუაზიული ყოფის პირობებში საერთოდ კაცი როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივში გულწრფელი არ არის. გაიოზი თავის უკიდურესობამდე მისულ განზოგადებულ შეხედულებას ასე გამოთქვამს: „რა ვიცი, ეხლა თითქოს გულმოდგინედ მისმენ, თითქოს მეთანხმები კიდევ, მაგრამ, რა საბუთი მაქვს, რომ გერწმუნო?! იქნება იცინი კიდევ, სულელადაც მსახავ. რა ვიცი, მოქმედებდა როდისღე ადამიანი გულწრფელად?! არ ვიცი. ეხლა-კი ჩვენ დროს, არა, არ მოქმედებს, თუმცა-კი ყოველთვის ამას ამტკიცებს სიტყვით. ახ! რა სამწუხაროა ხოლმე, როდესაც ხედავ, რომ კაცი თავსა და პირს იმტვრევს, გულსა და მკერდს იბრაგუნებს და გარწმუნებს, რომ გულწრფელია!.. რა ვიფიქრო?! გულწრფელები არიან?! ჰა?! მითხარი!“... ასეთაა. გაიოზის გაგებითა და გახედით, არსებულ პირობებში ანგარე-თიანაა, ცბიერია, ცლიდი, დაფარული ბუნება საერთოდ კაცისა, მახლობლისაც კი, რამაც გაიოზი ურწმუნო, უნდობელი გახადა. გაიოზის უნდობლობაზე ვარლამმა გაურკვეველობის ნიშნად „მხრებილა აიჩიჩა“<sup>1</sup>. დიახ. ვარლამმაც ვერ მოახერხა, მასაც გაუჭირდა გაიოზის უნდობლობა, სკეპტიციზმი დაერღვია, გარკვეული აზრი გამოეთქვა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მწერალი ასეთ მდგომარეობას ურიგდება, სრულიადაც არა! ის აღფშო-თებულა ასეთი მდგომარეობით, მოითხოვს ადამიანი გარდაიქმნას — სიკეთის, სიმართლის, ურთიერთგაბატანის, დანდობის, დახმარების, განმტკიცების გზაზე დადგეს, ეს კი, მისი შეხედულებით, შესაძლებელი იქნება, როდესაც თვით ადამიანთა ცხოვრება აღნიშნულ საფუძველზე გარდაიქმნება და კაცსაც ამ მიმართულებით აღზრდის, განავითარებს. ესაა ძირითადი წამყვანი ხაზი შიო არაგვისპირელის შემოქმედებისა. ესაა მისი შემოქმედების ნამდვილი ქვეტექსტი, რომელშიც მხოლოდ უნდა ვეძებდეთ შიო არაგვისპირელის ნამდვილ ზრახვას. მისწრაფე-ბას, რასაც მკითხველსაც ძალუმაღ აწვეთებს, აგრძნობინებს, აგებინებს,

\* \* \*

ადამიანის, მახლობელი მეგობრისადმიც კი, გაუტანლობას, და-ლატს, დაუნდობლობას, მისი ინტერესებისა და მდგომარეობისადმი დაუნდობელ, დაუდევარ მოპყრობას არსებულ ყოფაში შიო არაგვის-პირელი მრავალ თავის ნაწარმოებში ანსახიერებს. ნიმუშისათვის ავი-ლოთ ეტიუდი „ბაღლი ყოფილ ხარ!“...

გ ლ ი ზ ბ ა რ ი ა რ ჩ ი ლ თ ა ნ ე რ თ ა დ მი დ ის თ ა ვ ის დ ი დ ი ხ ნ ის

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 247—248.

უნახავ სკოლის ამხანაგ გივისთან. გივი ამხანაგებს გულლიად მიიღებს. არჩილი გივისთან ხშირად არის ნამყოფი, ელიზბარი კი — პირველად. კლიზბარი კმაყოფილებით აკვირდება მეგობრის ახალ ოჯახს, მისი შინაური დიასახლისის მოხდენილ მიხვრა-მოხვრას, კოპწიად გაწყობილ ბინას და აგრეთვე სუფრას. ყველაფერში იგრძნობა დიასახლისის ხელი.

გივის ცოლმა, ელომ, სტუმრები არ დააგვიანა; კოპწია ღიმილით ბოლიში მოიხადა მცირე სუფრისათვის და მაგიდასთან მიიწვია. ელიზბარი ნასიამოვნებია გივის ბედნიერი ცხოვრებით და უხარია, რომ მას ასეთი კარგი მეუღლე ჰყავს. დიასახლისმა ყველას თავის ადგილი მიუჩინა სუფრასთან. თამადა მასპინძელია. თითქმის ყველას სადღეგრძელო შეისვა. გივი სტუმრებს ღვინოს აძალებდა. შეზარხოშდნენ. „მრავალყამიერ“ წამოიწყეს. გივიმ ჩვენი მოღვაწეების სადღეგრძელო წარმოსთქვა. გივიმ და არჩილმა ერთმანეთს ხელი გადახვიეს და ხმა-შეწყობილად განაგრძეს მრავალყამიერი.

გივი და არჩილი არ ისვენებდნენ. არჩილი ხმას უმატებდა, გივის ეხვეოდა და თითქმის ნახევრამდე მაგიდის ქვეშ ჩაძვრა. ელიზბარმა დიასახლისსაც უცნაურობა შეამჩნია: ჯერ ის ნიდაყვზე დაყრდნობილი დაბლა იცქირებოდა, ხანდახან სახე ვნებით უთრთოდა, მთელი ტანი უხტოდა. ისიც თანდათან ძირს მიდიოდა. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ასე ხანგრძლივად.

ელიზბარმა სკამი ცოტა გასწია, ხელსახოცი იატაკზე დააგდო და მის ასაღებად დაიხარა, თან გახედა, რა ხდებოდა მაგიდის ქვეშ, ისე, რომ იქ მყოფთ არ შეენიშნათ და რას ხედავს: „თვალწინ მხოლოდ ორი წყვილი, ერთმანეთში ჩაკლავილი, არჩილისა და დიასახლისის ფეხი მითამაშებდა... არჩილს მეგობრულად გივისთვის ხელი გადაეხვია და ამავე დროს-კი იმის მეუღლეს ფეხებით ეარშიყებოდა!“<sup>1</sup> აი როგორია ჩვენი „განათლებული“ ვაუკაცების მეგობრობა, აი, სადამდის მიდის მეგობრის მუხანათობა, მიგვითითებს აღშფოთებული მწერალი. მაგრამ ამით არ თავდება მეგობართა თვალთმაქცობა.

შოა არაგვისპირელის სტილისათვის ხომ დამახასიათებელია, მოვლენა თუ სახე თავისი ლოგიკური ფინალით ბოლომდე გამოაამჟაფროს. იგი ამ შემთხვევაშიც ასე იქცევა. მწერალი ელიზბარის შთაბეჭდილების სრულყოფას განაგრძობს.

მაგიდის ქვეშ ნანახმა ელიზბარი შეაძრწუნა. უნდოდა ამღვარიყო, არჩილისთვის მიეფურთხებია და მასპინძლის სახლი დაეტოვებინა, მაგრამ ვერ გაბედა. გივი კი სიმღერას განაგრძობდა. შემდეგ იგი წამოდგა, ჰიქა ღვინით აივსო და ჩვენი ქალების, დედების სადღეგრძელო.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 5.

დალია. უსურვა მათ „მოიგონონ ჩვენი წარსული დედები და იმათსავით პატიოსნურად ემსახურონ სამშობლოს და თავიანთ ოჯახს“<sup>1</sup>. ამასთანავე გვიმ ერთგვარი ამხანაგური საყვედურით მიმართა მეგობრებს, რომ დაცოლშვილიანებული არ არიან. გულმოდგინებითა და დაბეჯითობით არწმუნებდა, რომ ცოლის შერთვა ბედნიერებაა და რომ ამას ის გამოცდილებით ურჩევდა. მართლაც, ეს ცოცხალი „მრუდე სარკეა“. აქაც შიო არაგვისპირელის დამახასიათებელი სტილი — იუმორი — ტრაგიკულთან ერთად ჟღერს.

ელიზბარმა თავი დახარა. შეებრაღა თუ შეზარდა მოტყუებული ქმარი, ხოლო არჩილმა დიასახლისის ცინიკურად გადახედა, — „ქალებიი!.. ოოო!.. მაინც ვსვამ მათ სადღეგრძელოს! კარგები არიან!..“ და ჭიქა სწრაფად გამოცალა. სტუმრებიც წამოიშალნენ.

არჩილი და ელიზბარი წამოვიდნენ. გზაში ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, როდესაც ისინი სხვადასხვა გზით უნდა წასულიყვნენ, ელიზბარმა არჩილს წყრომით უთხრა: „უნდა გრცხვენოდეს, რომ იმ კაცს მეგობარს ეძახი, მეგობრულად ხელს ჰხვევ და ამავე დროს კი იმის ცოლს ფეხებს ფეხებში უხლართავ და ვნებით თრთი!..“<sup>2</sup> ელიზბარის ასეთ საყვედურზე არჩილმა გულიანად გადაიხარხარა და გაკვირვებითა და დაცინვით ურცხვად უთხრა: „ეჰ, ჩემო ელიზბარ, ბალღი ყოფილხარ!“

აი ასეთია მწერლის ჩვენებით (ელიზბარი აქ მწერლის შეხედულებისა და ბუნების გამომხატველია) ქალიცა და კაციც: ქალი ქმარსაც და საზოგადოებასაც ეჩვენება როგორც ერთგული ცოლი, ოჯახის მორალური ბურჯი, სინამდვილეში კი ორივეს უარყოფს, შეურაცხყოფს, ანადგურებს. კაციც — მეგობრად, კეთილმსურველად ეჩვენება, სინამდვილეში კი მეგობარს ვერაგულად, ქურდულად სტაცებს, უგინებს, რაც მისთვის წმინდათა წმინდაა. თითქოს ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ სიმართლის, ადამიანობის გზა დაიკარგა, ზედმეტი შეიქნა. ადამიანში აღარაა არც გულწრფელობა, არც სიწმინდე, არც პატიოსნება, თითქოს ყველა ეს თვისება ცხოვრებაში ადამიანისათვის ზედმეტ ბარგად იქცა. ასეთი არიან როგორც ამ ეტიუდის გმირები, არჩილი და ელო, ისე ეტიუდის „...ხითხითებს და ხითხითებს!“ პერსონაჟები დიმიტრი და ანა მახათელი, აგრეთვე მრავალი სხვა, ეპოქისათვის დამახასიათებელი და შიო არაგვისპირელის მიერ ნიჭიერად განქიქებული, განსახიერებული.

შიო არაგვისპირელის სატირული სახეები სრულიადაც არ არიან ჰიპერბოლიზირებული, ისინი თითქოს ადამიანის ხასიათის თუ მოვ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 6.

ლენის სიღრმეში შექრილი მწერლის მიერ რენტგენით ზედმიწევნით განათებული, ცოცხალ ქანდაკებასავით დგანან მკითხველის წინაშე და სინამდვილეს უტყუარად გამოხატავენ.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი საზოგადოებრივ ცხოვრებას გულმოდგინედ ჩაიკრიკიტებს, ცდილობს ადამიანში გამოიხატოს დადებითი, მყარი, გულწრფელი გრძნობა, სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, სამშობლოსადმი. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე ცხოველი, მოქმედი გრძნობა და მისწრაფებაა თავისი დამონებული, დაბეჩავებული ხალხისა და სამშობლოსადმი სიყვარული, მისი აღორძინებისა და წინმსვლელობისათვის „პირადის საზოგადოებრივისადმი დამორჩილება“, რასაც ასე შთამაგონებლად გაჰკიოდნენ და პირადი საქმიანობითაც აჩვენებდნენ იქენი მე-19 საუკუნის განმანათლებლები, რომელთაც დიდი გატაცებით გაშალეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი და ერის ყოველი ცოცხალი ძალაც მიიზიდეს. სინამდვილეში ამ ფრონტზე მომუშავეებმა ღრმა კვალი დაამჩნიეს ქართველი ხალხის ცხოვრებას, ბევრი რამ დადებითი, არსებითი, სასიცოცხლო — სასარგებლო გააკეთეს. „ავადმყოფი“, „ცხრაკლიტულში მჯდომარე“, „შეურაცხყოფილი“, „ლეჩაქმონხილი“, „ფეხშიშველი“ მშობლიური ხალხი საღათას ძილიდან გამოაფხიზლეს, გამოარკვიეს, მძლავრი ბიძგი მისცეს ქვეყნის ახალი გზით სიარულს, გამობრუნებას, წინსვლას.

სკეპტიციზმით შეპყრობილი, ეჭვისა და უნდობლობის ქსელში გახვეული ბელეტრისტი ამ ფრონტზე მომუშავეთა შორისაც ბევრში ხედავს სიბეცეს, სიყალბეს, ცბიერებას, თვალთმაქცობას, რასაც ჩვენი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერლებიც, მათ შორის, შიო არაგვისპირელიც, დიდი გულისტკივილით აღნიშნავენ („ეჰ, მეტივე!..“, „პარამხანის სურათი“, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!“ და სხვ.).

ნიმუშისათვის ავიღოთ ეტიუდი „პარამხანის სურათი“. მასში დამახასიათებლად მოცემული სოლომონ ბერიკაშვილის სახით 90-იან წლებში აღექსანდრე III-ის მეფობის რეაქციის ხანაში, განელებული, უფრო მართებული იქნება, გაცივებული, პირად წვრილ ინტერესებს მიცემული ინტელიგენცია, რომელმაც ადვილად მიივიწყა ახალგაზრდობაში, უმაღლეს სასწავლებლებში პროგრესულ-რევოლუციურ ამხანაგებთან ერთად აღიარებული მაღალი საზოგადოებრივი მისწრაფებანი — მდაბიო ხალხის, ქვეყნის წინ წაწვევისათვის იმოღვაწეონ, სინამდვილეში კი თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში სრულიად შეცვალეს საქმიანობის გეზი; ხშირად საწინააღმდეგო მიმართულებითაც წავიდნენ და ამგვარ საქციელში უხერხულობასაც აღარ გრძნობდნენ. სოლომონ ბერიკაშვილისაც, ერთ ღროს მოწინავე სტუდენტს, ახალ-

ვაზრდობის მისწრაფებანი, ამხანაგებისადმი მიცემული სიტყვა — იმ-რომოს ქვეყნის სასარგებლოდ, როგორც ჩანს, ისე აქვს მიეწეებულნი, ისეა შემწანურ, ფილისტერულ, ეგოისტურ. ბიოლოგიურ ცხოვრებაში ჩაყურყუმალაებულნი, რომ არამც თუ მაღალი იდეების მიხედვით გარკვეულ მოვლენებისადმი მართებულ რეაგირებას ახდენს, არამედ მათი მოვლენაჲც კი მისთვის შესაძლებელია მხოლოდ სიხმარში და ისიც კოშქარულ სიხმარშიდა.

განვიწილოთ მწერლის ჩვენება. ღამის ორი საათია. სოლომონ ბერაკაშვილი უსიამოვნო გრძნობით უტბად ლოგინზე წამოჯდება, სიხმარი უნახავს, ვითომ მრავალი ხალხი მას ყიყინით მისდგრძოდა, უსი-რცხვილოს, უსინდისოს ეძახდა, არცხვენდა, პირობას რატომ უღალატა. მშვენიერი შტრინია მწერლის მიერ ოსტატურად დაჭერილი გადა-ვეარებული სოლომონის ქვეცნობიერ ფსიქოლოგიაში მთვლემარე სინ-ღასის ქვეყნა-ფუთფუთისა.

სოლომონ ბერაკაშვილს ძილი გაუფრთხა. წამოდგა. ოთახში ბოლ-თას ცემა დაიწყო. მალე დაწყნარდა. საწოლზე გულაღმა გადაწვა. ოც-ნებასა და წარსულის მოგონებას მიეცა. გონების თვალი თავის სტუ-დენტობისდროინდელ ცხოვრებაზე შეაჩერა. ამ ცხოვრებიდან ბევრი რამ კარგი და სასიამოვნო მოაგონდა.

მოაგონდა უნივერსიტეტის დამთავრებისას ამხანაგთა გამოსათხო-ვარი საღამო-შეყრილობა. ხედავს ამხანაგის პატარა ოთახს, შეკრებილ ამხანაგებს. ხედავს მაგიდაზე ლუდითა და არყით სავსე ჭიქებს. აი ყველანი შეიკრიბნენ; მხიარულებამაც იმატა. მაგიდას შემოუსხდნენ. აჲ, სოლომონი ნათლად ხედავს, ერთი მათგანი როგორ წამოდგა ხელ-ში სავსე ჭიქით და შეკრებილ მიმართა: „ამხანაგებო... დღეს, ხვალ, ზევ სათითაოდ გავეშურებით ჩვენის ბუდეებისაკენ, ჩვენის ქალაქე-ბისაკენ. ჩვენის სამშობლოსაკენ, სადაც სიხარულით და გულის ფანც-ქალით მიგველიან ჩვენი მშობლები, ჩვენი ძმები და ერი. ვინ წარმოი-ღვენს იმათს სიხარულსა და აღტაცებას, როდესაც თვალს მოგვეკრავენ?.. მართო ჩვენი ხილვა არა კმარა იმათთვის. ისინი უფრო სხვა რასმე მო-ელიან ჩვენგან, უფრო სხვა დიდ მოვალეობას გვდებენ კისერზე, რომ-ლის პირნათლად აღსრულებაც ჩვენის მხრით საჭიროა. აბა, ყოველმა ჩვენგანმა მიიხედოს უკან, რას დაინახავს? დაინახავს ერთ უზარმაზარ წთას. კაცკასიონის მთებზე უმაღლესს... იმ ნივთიერებისაგან შემდგარს, რომელიც ჩვენს გამოზრდაზე ჩვენმა ტანჯულმა ერმა, ჩვენმა მშობელ-მა ერმა, ცრემლითა და ოფლით შეაღულა. განა ამას შემეცირება, ამას საპაგიეროს გადახდა არ უნდა? განა ეს ამოდენა მთა ვალად უნდა გვედოს კისერზე? არა, თუ კაცნი ვართ და გვსურს კაცის სახელის ტა-რება, უნდა ვეცადნეთ, რომ ერთი-ორად მივეუწყოთ ჩვენ ტანჯულთ.



ვიცი. ყველანი დამეთანხმებით, მაგრამ აი საქმე ის არის, რა გზით, რა საშუალებით“<sup>1</sup>.

მოწინავე ახალგაზრდობის ეს ტკივილები, საზოგადოებრივი ვალდებულების ასეთი მწვავე და ნათელი შეგნება, უდავოდ თვით დიდი მოქალაქე-მწერლის, შიო არაგვისპირელის—საზოგადოებრივი ვალდებულების შეგნება და ტკივილებია.

შიო არაგვისპირელი მიეკუთვნება ქართველი მოწინავე საზოგადოების იმ რჩეულთა წრეს, რომელსაც ქვეყნის წინაშე ამოძრავებდა და აღატრთოვანებდა მისწრაფება. ამგვარი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება ერის ყოველი წევრისათვის სავალდებულო და წამყვანი ყოფილიყო, ყოველ მათგანს — სამშობლოს აღორძინება-წინაწევის საქმე კარგად გაეთვალისწინებინა და თავის პირად საქმედ ექცია.

შიო არაგვისპირელი ამ ახალგაზრდების მისწრაფების დეტალებსაც გვაცნობს; სოლომონ ბერიკაშვილს მოაგონდა, ამხანაგმა როგორ ილაპარაკა. მოაგონდა, როგორ გააფრთხილა მან ამხანაგები, სახელმწიფო დაწესებულებებში არ ემსახურათ, რადგანაც ცნობილი იყო, სახელმწიფო დაწესებულებებში საქმე ისე იყო მიმართული და წარმოებული, რომ ვიდრე კაცს არ გამოაჩერჩეტებდნენ, არ გამოატვინებდნენ, „ვიდრე თავიანთებურად არ მოაწყობდნენ და არ მორთავდნენ“, დაწინაურებას არ მისცემდნენ. ცხადია, „საქაჯავში“ გამოტარებული, გამოფიტული კაცი ველარაფერს სასარგებლოს ვერ გააკეთებდა ქვეყნისათვის. მოაგონდა ამხანაგის რჩევა; თუ როგორ ურჩევდა იგი და დარწმუნებული იყო, რომ ამგვარი პირების დასში ჩაწერას არც ერთი იმათგანი არ მოისურვებდა.

ბერიკაშვილს აგონდება ამხანაგის მოწოდება, ხალხში გავიდნენ, მასთან იმუშაონ, მასზე იზრუნონ. „ჩვენ, — აგონდება ამხანაგის სიტყვა ბერიკაშვილს, — ამ ეკლით სავსე გზაზე ბევრი გაჭირვება, ბევრი უსამართლობა დაგვატყდება, მაგრამ, რაც ძალა და ღონე შეგვეწვეს, უნდა წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ უსამართლობას, ამ გაჭირვებას. ეკლიანი გზაა, მაგრამ ფხიზელია და სიფხიზლე ხომ ადამიანის ერთი საუკეთესო განძთაგანია; მაშ, ნუ შევეუშინდებით ამ ეკლიან გზას, ზედვიართ, თუ რამ უბედურება შეგვემთხვა, რაც ხშირად მოსალოდნელია, ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც მთავარანგელოზი ურჩევს თავის ქვეშევრდომთ „ფაუსტში“:

„რაც არ მოგწონთ, უარპყავით,  
რაც გაშფოთებთ უცნაურად,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თბ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 61.

მოაგონდა ბერიკაშვილს, რომ ყველა იქ დამსწრემ, თვით მან, ამხანაგის მოწოდებაზე ფიცი დასდო.

აშკარაა, აქ მოცემულია ეპოქის მოწინავე იდეა — მდაბიო, მშრომელ ხალხზე ზრუნვის აუცილებლობა. ცხადია, შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში საგრძნობლად შეღავნდება ეპოქის რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლების მოძღვრების გავლენა. თვითონ ბელეტრისტი ამ მისწრაფებებს, ცხადია, იზიარებს და მკითხველსაც მათ სამართლიანობას შთააგონებს.

შიო არაგვისპირელს და მკითხველსაც ფრიად აინტერესებთ, თუ რამდენად გაამართლა სოლომონ ბერიკაშვილმა თავისი ფიცი. სოლომონ ბერიკაშვილმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ხალხში გასვლის, მასზე ზრუნვის მაგიერ, თბილისს მიაშურა; სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახურის უარყოფის ნაცვლად, პირიქით, მონახა სილამაზით განთქმული დეიდა მარიამი, მისი შემწეობით ადვილად შევიდა სახაზინო სამსახურში, სადაც მალევე კარგი თანამდებობაც მიიღო. მან სავსებით დაივიწყა მიცემული ფიცი — სამშობლოსათვის, ხალხის საკეთილდღეოდ ემოღვაწნა, პირნათლად შეესრულებინა წმინდა ვალი. იგი მიეცა პირად სიამოვნებასა და კეთილდღეობას.

ამხანაგების ფიციც ბერიკაშვილს მხოლოდ სიზმარმა მოაგონა. ის ერთგვარი თვითგამართლების მიზნით, ან შეიძლება მის მიერ არჩეული გზის სისწორეში დარწმუნებული, თავის თავს ეკითხება: „მაგრამ იმ აზრების, იმ ფიცის აღსრულება ყოვლად შეუძლებელია?!“ და თვითონვე ასე პასუხობს: „...ოცნებაა და არა სინამდვილე; ... შესაძლებელია იმ პირობის აღსრულება, რომელიც ძალას გვატანს, რომ ჩვენის მოქმედების ასპარეზად სოფელი გავიხადოთ, აღვადგინოთ დაცემული ხალხი, გავანათლოთ, ამოვუდგეთ მხარში, იმათთან ერთად ვიტანჯოთ და ამ ტანჯვით და შრომით, როგორც მაშინ, ოცნების დროს, გავიძახდით, ვისიამოვნოთ?!... ეჰ, ბევრი იმისთანა სისულელე წარმოგვითქვამს და გვიყვირნია, მაგრამ იმათი შესრულება ყოვლად შეუძლებელია!.. სულელები! სულელები! სხვასაც არცხვენენ, პირში აფურთხებენ გამოფხიზლებისათვის, ოცნებიდან გამორკვევისათვის“<sup>2</sup>.

ცხადია, სოლომონ ბერიკაშვილი ადვილად და მთლად ჩაეფლო თავისსა და მისი მეგობრების მიერ უნივერსიტეტის დამთავრებისას დახატული ცხოვრების გზის საწინააღმდეგო, მეშინაური ცხოვრების წუმეში და არავითარ უხერხულობასაც კი არა გრძნობს.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 63.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 59—60.

თავისი და საერთო მდგომარეობის ასეთი ანალიზის შემდეგ თვითგამართლებული სოლომონ ბერიკაშვილი წყნარდება. მათ, ვინც, ახალგაზრდობაში მიღებული წმინდა ფიცის მიხედვით მოღვაწეობდა, ან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამ გზას განუხრელად დასდგომოდა, ბერიკაშვილმა შებრალების თვალთაც კი გადახედა. თვითგანსჯით ნასიამოვნები რბილ ლოგინზე გადაწვა, ტკბილად დაამთქნარა, თვალები მილულა, ბოლოს გაახილა თვალკები, მძიმედ მიატრიალ-მოატრიალა და პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მიაჩერდა. სურათზე სამი მშვენიერი ხოლოდშობილი ქალი ამალეღვებლად იყვნენ გამოსახულნი. „რა კარგი იქნება, რომ გაცოცხლდნენ!“ — გაიფიქრა სოლომონმა და თანდათან უფრო ვნებიანად დაუწყო ცქერა. ის ათასწანიერ ოცნებას მიეცა. აი, თითქოს სოლომონის ნატერა ხორცს ისხამს. ქალები დაიძრნენ, დაბლა ჩამოვიდნენ, ამოძრავდნენ. გაიმართა — ყიჟინი, ყვირილი, სიცილ-კისკისი, ხვევნა-კოცნა! ნებივრობასა და სიამოვნებას თავმიცემული სოლომონი ხედავს ამ სურათს, უნდა წამოდგეს, გაერიოს ამ ხოლოდშობილთა გუნდში, მაგრამ ვერ მოუხერხებია. ამ დროს სოლომონს ერთი ხოლოდშობილი მიუახლოვდა, მის პირდაპირ ღიმილით, მკერდის შეთამაშებით დადგა. სოლომონი ალტაცებით წამოუარდა ლოგინიდან, ხელები მოსახვევად გაშალა, მაგრამ იატაკზე პირქვე გაიშლართა. „ჰა! — შეღრიალა სოლომონმა, წამოდგა, დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მარტო საათის კაქუნი და ლამფის შრიალი-ლა მოესმა“.

აი ასეთია ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დროზე ადრე დაბერებული, დაკლილი, გაყალბებული, მართლაც და ფულუროდ ქცეული სოლომონი, არამც თუ საზოგადოების, ხალხის, არამედ მახლობელთა და თავის თავის ურგები, ხორცმეტი ადამიანი!

შოთ არაგვისპირელი სოლომონ ბერიკაშვილის სახით მსატკრული ოსტატობით აჩვენებს მკითხველს 80—90-იანი წლების შავბნელი რეაქციის ხანაში რუსი და ქართველი ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს, იდეური მოღვაწეობის აუცილებლობის შეგნებასა და მისწრაფებას ადვილად რომ კარგავდა; ქვეყნის რევოლუციურ-დემოკრატიული განვითარების გზიდან რომ უხვევდა, სცილდებოდა. თანდათან ნაკლები წინააღმდეგობის და ხშირად მიუღებელი, სამარცხვინო გზისა თუ საშუალებათა გამოყენებით პირადი კმაყოფილების ნაჭუჭში იკეტებოდა — ბიოლოგიურ სიამოვნებას ეძლეოდა, საზოგადოებრივზე აღარ ფიქრობდა, ცხოვრების ასპარეზიდანაც ადვილად და სამარცხვინოდ იხსნებოდა.

ასეთი იყო უტყუარი, ცოცხალი, შეუფერავი სახე ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილისა, სამწუხაროდ, არც მკირედისა, მე-19 საუკუნის 80—90-იან წლებში.

შოი არაგვისპირელის შემოქმედების მიხედვით ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ასეთი ზერეღე, ფუქსავატი, პირადი ინტერესების გზით მიდიოდა და ასე უკვალოდ, შეიძლება ითქვას. სამარცხკინოდ იღუპებოდა. მწერლისავე ჩვენებით, არსებული საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში ქართველი ინტელიგენციის მეორე ნაწილი — აღმაავალი, მზარდი, უკეთესი მომავლის მოტრფიალე, უნარიანი, ცოდნას მოწყურებული, შეგნებული, საზოგადოებრივი, პატიოსანი მოღვაწეობის, მუშაობის სარბიელის სერიოზული მაძიებელია; როგორც არის ღარიბი და სნეული სტუდენტი თელო გელაშვილი და მისი ამხანაგები — გაბრო, გიგილო და ფილო („აღამიანი“). ეს ახალგაზრდები შიმშილით, სიცივით, უპატრონოდ იქვე. რუსეთის უნივერსიტეტში სწავლის დროსვე იღუპებიან.

თელო გელაშვილი და მისი მეგობრები ჩვენი ხალხის დაბალი ფენის წარმომადგენლები არიან, უფრო გარკვევით რომ ითქვას, ახალი ცხოვრების პირობებში გაღვიძებული გლეხობაა. ეს ახალგაზრდები გაჭირვებული, ცხოვრებამოუწყობელი გლეხის ღვიძლი შვილები არიან. მკირე სწავლა მიუღიათ, ზოგი ცხოვრების ახალი ქროლვით, ზოგიც წიგნების საშუალებით. „გონების თვალთ ხედავდნენ შორს, ძალიან შორს რაღაც ბრწყინვალეს, რომელსაც უნდა ემსახურონ, რაც იდეალად უნდა ჰქონოდათ“<sup>1</sup>. ასეთმა განწყობილებამ მათ გადაწყვეტინა, ისწავლონ, ცოდნით შეიარაღდნენ, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ უშუალოდ ჩაებნენ უკეთესი ცხოვრების მოპოვება-დამყარების საქმეში. ესენი არიან ჩვენი უაზნო ინტელიგენციის პირველი, თაობის ახალგაზრდობის წარმომადგენელი; ძლიერი იდეური გატაცებით. დიდი ნებისყოფითა და ენერგიული ბრძოლის ურყევი სურვილით აღჭურვილნი, რომელნიც, სამშობლოში უმაღლესი სასწავლებლის უქონლობის გამო, ახალგაზრდული ხალისითა და იმედით მიემგზავრებიან შილა რუსეთში.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილის მაქსიმალურად კარგი მცოდნე შოი არაგვისპირელი საუცხოოდ ხედავდა და აფასებდა, თუ როგორ მძიმე ეკონომიურ პირობებში უხდებოდა ამ ახალ თაობას, უაზნო ინტელიგენციას, სამოღვაწეო სარბიელზე გზის გაკვლევა (ეს ხომ მას და მის ამხანაგებს ვარშავის საბავთლო ინსტიტუტში სწავლის დროსაც კარგად ჰქონდათ გამოცდილი). ჯერ აქვე, სამშობლოში მათი მშობლების უკიდურესი სიღატაკე მზარდ ახალგაზრდობას არ აწინებდა და ურყევი გადაწყვეტლებით, მიამურებდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თს. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 73.

სათანადო ცოდნის შექმნისა და ცხოვრების სარბიელზე გამოსვლისათვის გასაღების მოპოვება-დასაუფლებლად.

ამ ახალგაზრდების უფრო გაჭირვებულ მდგომარეობას რუსეთში ყოფნის დროს და მათ მოუდრეკელ სულიერ განწყობილებას, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, საჭირო ცოდნა შეიძინონ, სათანადოდ მომზადდნენ ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისათვის ბრძოლაში, შიო არაგვისპირელი ეტიუდში „ადამიანი“ რელიეფურად გვიჩვენებს.

საკმარისია გავეცნოთ მათ საცხოვრებელ ოთახს: „ორი დაძველებული, თავებით ერთმანეთზე მიდებული ტახტი, ორი დანჯღრეული მაგიდა და აგრეთვე ტაბლა, რომელზედაც დახროვებული იყო წიგნები და სხვადასხვა საგნები... ნემსი და ძაფი, გამხმარი პურის ნამტვრევი და სხვა ამისთანები... აი, — გადმოგვცემს მწერალი, — მთლად ოთახის სამკაული, თუ-კი მხედველობაში არ მივიღებთ... ერთი თიხის ბათრათს, რომელშიაც თედო და იმისი ამხანაგი გაბო აბურაშვილი პირს იბანდნენ, და თუნუქის ჩაიდანს, თუნუქისავე ნავთის ჭურჭელს და ნავთის სამზარეულოს, რომელზედაც ჩაისთვის წყალს ადუღებდნენ“<sup>1</sup>. ამასთან ოთახში, გაუთბობლობის გამო (რადგანაც თედო და გაბო ჭირას დროზე ვერ იხდიდნენ) საშინელი სიცივეა, თედო ლოგინში წოლას ამჯობინებს.

მათი ყოფისთვის მეტად დამახასიათებელია დეტალი: ასეთ სიღარიბეში მაგიდაზე ბლომად აწყვია წიგნები; წიგნები იმდენად მრავლად შეუქმნიათ, რომ „დანჯღრეული“ ტახტის შუა წელის გასამაგრებლად სხვადასხვა სერიოზული მეცნიერებისა და საკითხავი წიგნები გამოუყენებიათ, თვითონ კი მშვიერ-ტიტვლები არიან. ხშირად, თუ რაინე ტანისამოსი მოეპოვებათ, აგირავეცენ, ერთი პალტოთი იოლად გამოდიან. თუკი შეხვდებათ, ზედმეტად იტვირთავენ თავს, კერძო გაკვეთილები იქნება თუ სხვა რაიმე სამუშაო, რასაც აგრეთვე პირნათლად ასრულებენ. ასეთს პირობებში, ბუნებრივია, მრავალი მათგანი სნეულდებარდა და იღუპებოდა კიდევ. ისინი უვიდურეს, გამოუვალ შემთხვევაში ფულისთვის მშობლებს მამართავდნენ ხოლმე.

უახნოთა შევიწროებულ ცხოვრებასა და სულისკვეთებას მშვენივრად ხდის ფარდას დასნეულებული თედოს მშობლებისადმი მიმართვა: „საყვარელო მშობელო!.. დასმარების ზაგიერ, მინდა კიდევ თქვენ გამოგართოთ. გწერთ ჩემის უკიდურესი მდგომარეობის ამბავს, ვთხოვთ ფულს და მით გიორკეცებთ თქვენს ტანჯვას... ეჰ! საყვარელო მშობელო, მაპატივე, დამნაშავე ვარ შენს წინაშე... მე უსინდისოთ მოკეპაით... კიდევ ეს მტანჯავს... ისეც დაწყულულებულს წყლულს მიმატებს... მაძი, მაძი, შენს თეთრ წვერს პატივი არ ვეცი, შენი ცრემლი-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, ოსტ. სტელი კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 66.

ბი შეურაცხვევად და არ გაგიგონე. ესლა ვკრძნობ, რომ შენი სიტყვე-  
ბა: — „იქმარე, შეილო, ნუ მიდიხარ... შენ გარემოებას დახედე და ისე  
მოიქცე“ — მე არ გაგიგონე. მეგონა ჩემი გზა ია და ვარდით იქნება  
დაფანილი და მოვიკლავ სწავლის წყურვილს-მეთქი. მაგრამ რას ვხე-  
დავ?... სწავლის წყურვილის მაგივრად, უმნიშვნელოდ, ლუკმა-პუ-  
რის მოპოვების ბრძოლაში მიზნის ცხოვრება!.. რომელს მივდიო?...  
ლუკმა-პურს თუ სწავლას? ორსავეს ჩავექიდე და აი შედეგი: ორად  
მოხრილი რისლა მაქნისი ვარ?“<sup>1</sup>

ესაა ნამდვილი, ცოცხალი სურათი უაზნოთა ცხოვრებისა. მათ  
შორის ვინც ცხოვრების ასეთ მკაცრ პირობებს უძლებდა, მართლაც,  
ვმარი იყო და ცხოვრებაშიც შესამჩნევ კვალსა სტოვებდა; ხოლო ვინც  
ფიზიკურად სუსტი ორგანიზმის და არა სულიერი სისუსტის გამო ვერ  
უძლებდა, ის კი არ იღუპებოდა, არამედ იმტკრეოდა, იღუპებოდა,  
ოკოვრც თედო გელაშვილი და მრავალი მისთანანი.

შიო არაგვისპირელი მართებულად უსვამს ხაზს იმას, თუ რაოდენ  
ძნელი იყო უაზნო ინტელიგენციისათვის ფართო საზოგადოებრივი  
ცხოვრების გზაზე გამოსვლა.

შიო არაგვისპირელს მხედველობიდან არ გამორჩა უაზნო ინტელი-  
გენციის ფსიქოლოგიის ერთი მეტად საგულისხმო ხაზის აღნიშვნა. ეს  
ახალგაზრდები მაინც გარკვეულად, სათანადოდ ნათლად ვერ ხედავდ-  
ნენ მომავალი ცხოვრების გზას, მის შინაარსს. მართალია, ბევრს საუბ-  
რობენ, კარგად იცნობენ და აფასებენ წარსულს, საღად მსჯელობენ  
აწმყოზედაც, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ნათლად ვერ ერკვევა რის-  
თვის ითმენდა წარსულში, ან რად ითმენს ახლა ამ სიდუხჭირეს. რა  
იქნება და რას გააკეთებს ის მომავალში, როცა ცხოვრების მორევში  
ჩაებმის.

ინტელიგენციის ამ ფენისათვის მეტად დამახასიათებელია ამ საკი-  
თხის თედო გელაშვილისეული გაგება: „მეგობრებო, — მისუსტებუ-  
ლი ხმით განაგრძობს თედო, — ჩვენ ახლა გალიაში ახლად გამომწყყ-  
დებულ ლომს ვემსგავსებით, რომელიც ხან ერთს კედელს ეცემა და  
ხან მეორეს; უნდა გასვლა, მაგრამ ვერ გაუხგრევია მისი კედლები.  
ჩვენც ხან იქით ვეცემით და ხან აქეთ, ხან ერთს საგანს ჩავეჭიდებთ  
ხელს, ხან მეორეს... გვინდა, ამასაც მოვკიდოთ მაგრად ხელი და იმა-  
საც, და ვერც ერთს-კი მივწვდომივართ, არა გვაქვს გამორკვეული  
საგანი ცხოვრებისა, იდეალი... ძნელია ამნაირი უკიდურესი მდგომარ-  
ეობა. ძნელი, და როდის მოედება ბოლო ამისთანა ყოფას, ამის გამო-  
ცნობაც ძნელია. ვინ იცის, იქნება სულ მოკლე ხანში მოელოს ბოლო,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 68.

რადგანაც ცოტაოდენ ნიშნებსა ვხედავ, და ეს, ცოტა არ იყოს, იმედის ნაპერწკალს გვიღვივებს!“<sup>1</sup>

აქაც მწერალი პირადი თვალსაზრისით გვიხატავს უაზრო ინტელიგენციის მსოფლმხედველობას არსებული ყოფის, სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი მის უარყოფით დამოკიდებულებას და ძალუმ ლტოლვას მომავალში ადამიანური ცხოვრების დანერგვისაკენ. თავის თავში ის, მართლაც, გრძნობდა „ლომის ძალას“ მომავალში ბედნიერი ცხოვრების დასამყარებლად. მაგრამ, რადგან მომავლის გზა მას ნათლად არა ჰქონდა გარკვეული, ხალხის მასების რევოლუციური მოძრაობა 90-იანი წლების რეაქციის პერიოდში მან სათანადოდ ვერ შეაფასა, მის გზას განუდგა თუ დასცილდა, თავის მოღვაწეობაში გარკვეულად მერყეობას, ნიადაგის უმტკიცობასა და დაცემულობას განიცდიდა.

\* \* \*

ქართველი საზოგადოების, მისი ინტელიგენციის, რა თქმა უნდა გარკვეული ნაწილის, უფრო კი დარღვეული თავადაზნაურობის წიაღიდან გამოსულის, გაუტანლობას, უპასუხისმგებლობას, ცხოვრებაში უიალქნოდ ყოფნას შიო არაგვისპირელი დიდი სიმკვეთრით იძლევა ნოველაში „ჩ ე მ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ჩ ე მ ი გ უ ლ ი ა“: „... ეს ნაწარმოები შხამიანზე შხამიანი სატირაა, სისხლის ცრემლით დაწერილი და აღშფოთებით ნასროლი ქართველი „განათლებული“ საზოგადოებისადმი, უფრო კი ქართველი ქალისადმი. სატირა-იუმორი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში, როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, თვალსაჩინოდ იგრძნობა.

შიო არაგვისპირელის დაცინვის ნიჭისა და უნარის შესახებ საგულისხმო აზრსა და ცნობას გვაწვდის ვარშავაში სწავლის დროს მწერლის მეგობარი, ცნობილი პედაგოგი ალექსანდრე მიქაბერიძე. „მიუხედავად ასეთი (მეტად მორიდებული — მ. ზ.) თავაზიანობისა, შიომ მწარე გესლიანი და თან მოსწრებული სიტყვის გადმოსროლაც იცოდა. მაგრამ ისე მოხერხებულად და ისეთ ხელსაყრელ პირობებში, რომ მოსაუბრეს მთლიანად გაანადგურებდა, საწინააღმდეგო პასუხის გაცემის შესაძლებლობას უსპობდა. მოსაუბრე, შესაძლებელია, გულნატკენიც რჩებოდა ზოგჯერ იუმორით შეზავებული სარკაზმით, მაგრამ მოსაუბრე, უდავოდ, ანგარიშს უწევდა და თავის კეთილგანწყობილებას მაინც არ აკლებდა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ.1, 1947, გვ. 74.

<sup>2</sup> ალ. მიქაბერიძე, შიო არაგვისპირელი (მოგონების სახით), ლიტ. მუზეუმი, №13247-ბ.

შიო არაგვისპირელი შემოქმედებაშიც ასეთია. იგი, რა თქმა უნდა, უფრო ხშირად მწარე, აღმფთვებულ, შეურიგებელ სარკაზმს იყენებს, ვიდრე მსუბუქ იუმორს. მისი წერის თავისებურების — შენიღბული, თავშეკავებული, ხელოვნური მშვიდი გადმოცემის გამო მისი სატირა წინ არ იწევა, არ ყვირის, არ ბღღენს. არსებულის მიმართ შეურიგებლობას, დაცინვას, უარყოფას შიო არაგვისპირელი თითქოს, სკეპტიციზმით შებოჭილი ადამიანის გაციებული გულითა და გონებით, მეტ-ნაკლები „დამშვიდებით“ ქექავს და ქარგავს. ასეთია მრავალი მისი ნაწარმოები; მათ შორის „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“;

ეტიუდი „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“ ეხება ფრიად მტკივნეულსა და სასიცოცხლო მოვლენას როგორც მთლიანად ქართველი საზოგადოებისათვის, ისე, კერძოდ, თვით ჩვენი მწერლისათვის, როგორც თავისი ერის ერთგული და ფხიზელი მოქალაქისათვის. ესაა შემდეგი საკითხი — ქართველისათვის რამდენად ძლიერია, მყარია, წამყვანია, პატრიოტული შეგნება.

ცნობილია, მთელი XIX საუკუნის მანძილზე მეფის რუსეთის ბიუროკრატიულმა მმართველობამ, მისმა უხეშმა კოლონიალურმა პოლიტიკამ დამორჩილებული ერების ასიმილაციის — გარუსების სურვილით, უარყოფითი დადი დაამჩნია ქართველ საზოგადოებას (განსაკუთრებით მის პრივილეგიურ ფენას). სკოლა, თეატრი, სახელმწიფო დაწესებულებები, პრესა და გამომცემლობაც, თითქმის მთლიანად რუსული განმტკიცდა. მრავალმა „განათლებულმა“ ქართველმა ზურგი შეაქცია ნაციონალურ, ძველ, საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ ქართულ კულტურას, ქართულ ენას, ქართულ ზნე-ჩვეულებას; ხშირად ვარდებოდა აკ. წერეთლის მიერ გაკიცხულ „ლამურას“ მდგომარეობაში. ამით ის ადვილად კარგავდა თავის ეროვნულ-მოქალაქეობრივ ნიდაგას.

ცნობილია, რა მწვავედ, ხშირად რა მოურიდებლად, გაბედულად იბრძოდა ქართული მწერლობა, ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით კი 60-იანი წლებიდან (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი) ქართველი ხალხის ცხოვრებისათვის ჯანსაღი ტონისა და მიმართულების მიცემისათვის, არა მარტო მხატვრული მწერლობით, არამედ აგრეთვე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით. მათ გაბედულად და ფართოდ გაშალეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი და ქართველი ხალხის ჯანსაღი ძალები წარმატებით მიიზიდეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე მუშაობა საპატიო საქმედ გადააქციეს. ამ ფრონტზე მოღვაწენი ფართო საზოგადოების თანაგრძნობითა და პატივისცემით სარგებლობდნენ.



ამავე ფრონტის ერთ-ერთი ერთგული, მედგარი მებრძოლი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე როგორც თავისი მხატვრული შემოქმედებით, ისე პრაქტიკული საქმიანობით შიო არაგვისპირელიც იყო. ამ ფრონტის გაღვივების, ქართველი ხალხის გათვითცნობიერება-აღორძინების საქმეს სკეპტიკოსი მწერალი შიო არაგვისპირელი ძალუმაღ ეხმაურებოდა და ამ ფრონტზე არაღირსეულთა ნაკლიც საქვეყნოდ, მოურიდებლად, მძლავრ მხატვრულ სახეებში ღვარძლიანად გამოქონდა. თავისდა სამწუხაროდ, გულდაკოდილი მწერალი კარგად ხედავდა, რომ დიდი გრძნობა ქვეყნის სიყვარულისა, მისდამი ვალდებულებისა, თუ ბევრს არა, ზოგიერთს მაინც, მომგებიან თამაშად გაუხსნია, ან სათანადო სიმტკიცითა და შეგნებით არ ესმოდა. ამ დიდი გრძნობისადმი აღნიშნულ პირთა დამოკიდებულებაში მწერალი სიყალბეს, ანგარიანობას, უპატივეცემულობას, საერთო ქვეყნის წინსვლის საქმის შებორკვას, ერის აღორძინების მაგიერ უკან დახევას, მისი დაშლა-დარღვევის აშკარა ნიშნებს ხედავდა.

ამ მეტად მტკივნეულ მოვლენას მთელი თავისი გულწრფელი, დიდი საზოგადოებრივი შეგნებითა და დამსახურებული აღშფოთებით შიო არაგვისპირელი გვიხატავს სატირაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“

ცნობილია, რომ მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე 1917 წლის დიდ რევოლუციამდე წარმოებული ბიუროკრატიულ-კოლონიალური პოლიტიკა მცირე ერთა წარმომადგენლებს, და მათ შორის ქართველებს, მეტად ავიწროებდა, სდევნიდა, სამსახურში არ იღებდა. შიგნით რუსეთში კი, ყოველ შემთხვევაში, დაბალ თანამდებობაზე მათ შედარებით ადვილად ნიშნავდა.

საგრძნობი რიცხვი ქართველებისა, უფრო დაწყნარებული ადგილისა და სამსახურში წინ წაწევის მოტრფიალენი, ხშირად თავიანთ ბედს რუსეთში ექებდნენ, იქ იხვეწებოდნენ და მართლაც კარგავდნენ კავშირს თავის მოძმეებსა და სამშობლოსთან. ეს გარემოება მამულს, მის საზოგადოებას ცოცხალი ძალებისაგან დაცლას, დასუსტებას, გაწრიოკებას უქადდა. ამ გარემოებას ქართველი განმანათლებელნი, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე მომუშავენი მედგრად შეებრძოლენ მხატვრული შემოქმედებითაც და კრიტიკულ-პუბლიცისტური მოღვაწეობითაც.

მეორე მხრივ, ამავე ბიუროკრატიულ-კოლონიალური პოლიტიკის ასეთმა ძალმომრეობამ ქართველობის ნაწილში საწინააღმდეგო განწყობილება გამოიწვია. გაცხოველდა პატრიოტული გრძნობა. ცნობილია, ასეთ აღამიანებში სამშობლოსაგან დაშორება მისადმი მძლავრ

ღტოლვას. სიყვარულს აძლიერებს. შიო არაგვისპირელს ამის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა.

ამ მეტად საგულისხმო საზოგადოებრივ მოვლენას შიო არაგვისპირელი თვალსაჩინოდ ხდის მისი შემოქმედების სტილისათვის დამახასიათებელი კონტრასტის ხერხისა და სატირის მომარჯვებით, ეტილუში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია...“ — ქართველის პოლონელთან დაპირისპირებით.

გარშევაში სწავლობს სტუდენტი პატრიოტი გაბრო. როცა კი სტუდენტი მოიტანს, გაბრო აღტაცებით ესაუბრება თავის პოლონელ ამხანაგებს, უფრო ხშირად კი თავის მეგობარს, პოლონელ სტუდენტს ზღისლავ პშივალსკის, საქართველოზე, ქართველ ხალხზე, მის ისტორიაზე, განსაკუთრებით მის წარსულზე, მის ბუნებაზე, საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ზნე-ჩვეულებაზე. უნდა ვიფიქროთ, უცხოეთში მყოფი ქართველი ახალგაზრდა ქართველი საზოგადოების წევრს უგულვებელყოფდა. თავის სამშობლოს ცხოვრების აღწერისას უხვად სარგებლობდა მიმზიდველი ფერებით.

საქართველოთი განსაკუთრებით დაინტერესდა ზდისლავ პშივალსკი. ის კურსის დამთავრების შემდეგ მალე საქართველოში გამოემგზავრა. ძველი მეგობრები ერთმანეთს სიამოვნებით შეხვდნენ, მათ შორის კვლავ მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, ერთმანეთს ყოველდღე ხვდებოდნენ, ერთად დადიოდნენ. თბილისში, რაც კი საყურადღებო რამ იყო, ერთად ნახულობდნენ. რა თქმა უნდა, გაბროს წინამძღოლობით. მან აქ მრავალი ქართველი გაიცნო.

ზდისი მოხდენილი ახალგაზრდა იყო. ამასთან სასიამოვნო მოსაუბრე, ზრდილი, ტემპერამენტიანი. მან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მახსინა, განსაკუთრებით კი ქალებზე. „როგორც ქინქლა, — აგვიწერს შიო არაგვისპირელი, — ზაფხულის დამეს სანთლის შუქს, ისე ეხვეოდნენ ქალები“. მწერალი ირონიულად თან კლანჭს გაკრავს, სამწუხაროდ, დამახასიათებელ ჩვეულებასა თუ მოვლენას, რომ „ჩვენმა ქალებმა რომელიმე ყმაწვილისა „მოდაში“ იციან შემოღება, ყველანაირად უდილობენ იმასთან იბასონ, იმასთან ერთად დრო გაატარონ და“!...

ამით მწერალი, ექვეგარეშეა, თითქოს მსუბუქი, არსებითად კი მწარე, გადაკრული, დამცინავი შენიშვნით ქართველი ქალების (რა თქნა უნდა, გარკვეული მაღალი ფენის) ზერელე, ფუქსავატურ ბუნებას და ყოფას ააშკარავებს. ამიტომაც ზდისიც, ბუნებრივია, მთელი ეს ერთი წელი „მოდაში“ იყო. ზდისმა თბილისში ყოფნისას დრო გაბროსთან მჭიდრო ურთიერთობაში გაატარა.

1 შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 66—67.

ერთ მშვენიერ საღამოს ზღისი გაბროსთან მივიდა და დაუფარავაჟ უთხრა: „უბედური აღამიანი ხარ!“ გაბროს განცვიფრებაზე და წყნ ნახეც, რომ ის სრულიადაც არა სთვლის თავს უბედურად, ზღისსა და გაბროს შორის ეროვნული მდგომარეობის მწვავე და სასიცოცხლო საკითხების შესახებ ფრიად საგულისხმო დიალოგი იმართება.

„ბედნიერად გთვლიდი იქ (იგულისხმება ვარშავაში სწავლის პერიოდი — მ. ზ.), როდეს შენს ალტაცებულ სიტყვებს შენი ერის შესახებ ვისმენდი და ვუმზერდი იმავე დროს შენს თვალებს. ვთვლიდი ბედნიერად იმ ერსაც, რომელსაც შენ ეკუთნოდი. დღეს-კი, სამწუხაროდ, ძალაუნებურად წინააღმდეგი უნდა გითხრა. რა უნდა გარიგოს აღამიანმა იმ ერში, რომელსაც ჯერაც არ შეუგნია ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ თავის დედა ენით უნდა ილაპარაკოს, უნდა...

— ეგ შეუგნებლობით სრულებითაც არ ემართება! — შეგნება — კი აქვთ, მაგრამ გარემოების ბრალია, არ ეხერხებათ, რადგანაც სასწავლებლებიდან თითქმის განდევნილია ჩვენი ენა... სკოლები — კი...

— ვიცი, ვიცი, რაც გინდა სთქვა!.. ოჯახები ვიღას ხელშია?!.. იქიდან ვიღამ გასდევნა?

— არავის გაუდევნია და ლაპარაკობენ კიდევაც.

— გაბრო, რას მოასწავებს შენგნით განგებ თვალებისა და ყურთა დახშობა?! ან რა გაიძულებს ჩემთან სიტყვის გადაბრუნებას?! ვინ ეცმის ხოლმე ჯვარზე თითქმის ყოველი ნაცნობის ოჯახში ენის შესახებ?! მე თუ შენ და რამდენიმე შენი მეგობარი? ენა ვის გაჰხდომია ერთად-ერთ სალაპარაკო საგნად ნაცნობებთან? და ახლა კი იძახი: ლაპარაკობენ, რომ ლაპარაკობდნენ, მაშ, რაღა ტყუილად თავს იხეთქავთ ენის შესახებ ბაასით?

— ეგ სულ მცირედი ნაწილია ჩვენი ერისა და, მაშასადამე, ერზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

— ეგ მცირე ნაწილი, ჩემო გაბრო, განათლებული ნაწილია, თუ ყველა უმაღლეს სასწავლებელში არ ყოფილა, საშუალოში, დაბალში მაინც ყოფილა. ერთი სიტყვით, ვისაც — კი ცოტა რამ სწავლა მიუღია და ნასწავლ საზოგადოებაში გარეულა, ყველას დედა ენაზე ხელი აუღია. შენი ერი ახლა სწავლა-განათლებას ძალიან ეტანება. მოსალოდნელია, უმრავლესობა შენი ერისა ისწავლის და სწავლა — კი, როგორც ხედავ, უკუღმა მოქმედებს შენს მოძმეებზე. მაშინ მცირედი ნაწილი-ღა დაგრჩება დედა ენაზე მოსაუბრე...

— ის ერი, რომელსაც წარსული დიდებული აქვს, რომელსაც თავისი ლიტერატურა აქვს, არ მოისპობა.

— თუ წამკითხველი არა ჰყავს, თუ ხელისშემწყობი არა ჰყავს ლიტერატურას, მალე მოისპობა. ორ მილიონამდის ხართ და ორი მილიონი რვაასიდან ათას ხუთასამდის მკითხველს იძლევა. ნუთუ წერა-

კიოხვის მცოდნე ათას ხუთასზე მეტი არა გყავთ? არა, ბევრია მცოდნე. მაგრამ სულ მცირედი-ლა ეტანება თქვენ უურნალ-გაზეთობას: ისიც. მგონი, მომეტებული ნაწილი ამათგან ძალდატანებითი ხელის მოპწერია. მე დარწმუნებული ვარ, რადგანაც ბევრჯერ მქონია შემთხვევა თვალყური მედევნებინა, ვინც იწერს, არა კითხულობს და არც სურვილი აქვს წაიკითხოს, რაა ამისი მიზეზი? თუ შენ გეძნელება ამისი თქმა, მევე გიპასუხებ: თქვენ ჯერ ეროვნული თვითშეგნება არა კაქვთ...!

ამონაწერი ფრიად დიდი მოგვივიდა, მაგრამ აღნიშნული დიალოგი იმდენად საგულისხმოა, მასში ჩვენი ქვეყნისა თუ საზოგადოების იმდენი მტკივნეული, საკირბორტო და მეტად მნიშვნელოვანი სასიკოცხლო მოვლენებია დიდი ნიშანდობლობითა და მართებული სიმართლით მოცემული და დახასიათებული, რომ მისი შეკვეცა გაგვიძნელდა. აქ ყოველი სიტყვა საკითხის გადაწყვეტის ამა თუ იმ არსებითი ნიუანსის გამომხატველია. ამასთან, აქ პოლონელი ზღისის პირათ თვითონ მწერალი შ. არაგვისპირელი ლაპარაკობს, ის სინამდვილის ხილვით გულის სიღრმეში დაგუბებულ ბოღმა-ნადველს ანთხევს. აქ მწერალი ქართველი ერის არსებობის გარშემო იძლევა პირად «*ума холодных наблюдений и сердца горестных замет*», როგორც ამბობდა დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი.

გაბროს პოზიცია კი — პოზიციაა იმ უპრინციპო, გზაკვალ აბნეულთა, რომელნიც სერიოზულად არ უკვირდებოდნენ თავისი ქვეყნის აწმყოსა და მომავალს, სათანადოდ ვერ თუ არ აფასებდნენ ქართველი საზოგადოების უარყოფით მხარეებს — ქართველი საზოგადოების საგრძნობი ნაწილი, ადვილად რომ წიხლავდა საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის ნაამაგდარს: მის მდიდარ ენას, ლიტერატურას, ხელოვნების ძეგლებს; ჰყიდდა სამშობლოს ნაწილ-ნაწილად, ბითუმადაც. საქართველო მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა, თუ თვითონ დასჭირდებოდა იგი, ან მაშინ, როდესაც აკ. წერეთლის „ლაპურას“ მღვთმარეობაში აღმოჩნდებოდა. მას არ ენადვლებოდა ეროვნული თვითშეგნების სავალალო ყოფა და მისგან გამომდინარე საშიშროება დედა-ენის დაკარგვისა, ეროვნული კულტურის მივიწყება და მისი დაუფასებლობა — აი ეს იყო არსებობის გადამწყვეტი საკითხები ყოველი შეგნებული ქართველი პატრიოტის წინაშე, ასე მწვავედ და საბედისწეროდ რომ იდგა.

ასეთი მოურიდებელი, სამართლიანი მხილება ქართველი საზოგადოებისა, მისი ინტელიგენციის დაუღვეარი, უპრინციპო, ერის გამანადგურებელი ქცევისა, დროული, აქტუალური და აუცილებელი იყო.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1947, გვ. 67—68.

ამას ითხოვდა ქართველი ხალხის ინტერესები და მისწრაფება მისი ერთგული მესვეურებისა. რომელთა შორის შიო არაგვისპირელს დამსახურებულად უკავია საპატიო ადგილი.

მწერალი არ კმაყოფილდება აღნიშნულის ჩვენებით. მას ჩვეულებისამებრ უნდა ბოლომდე მიიყვანოს მხილება. იგი ზდისის სიტყვებითა და კონკრეტულ მაგალითებზე მითითებით კიდევ უფრო ამწვავებს მხილებას.

ზდისი საუბრის კილოს უეცრად შეცვლის. გაბროს ეუბნება, რომ ქართველ საზოგადოებაში მისი აზრების თანამგრძობელია მარო. გაბროც კმაყოფილებით უდასტურებს, რომ მარო, მართლაც, ჩინებული ადამიანია, „ნამდვილი ქართველი ქალის ტიპია“. მაგრამ ზდისი გაბროს აღფრთოვანებას დაუყოვნებლივ შეაკვეცს ფრთებს ამჯერადაც. ის მოურიდეblად ეუბნება გაბროს, რომ მაროც მოკლებულია ეროვნულ შეგნებასო. გაბროს პროტესტზე, რომ ეს ცილისწამებაა მაროს მიმართ, ზდისი თავის ექვს შემდეგნაირად ასაბუთებს: „მარო მხურვალე მიმდევარია ეროვნული საქმეებისა მხოლოდ იმისთვის, რომ შენ ხარ მიმდევარი. შენ-კი როგორღაც ვატყობ, მოსწონხარ მაროს“<sup>1</sup>.

აქ წყდება პაექრობა ზდისსა და გაბროს შორის.

ამის შემდეგ ზდისი გადაიკარგა. გაბროსთან აღარ გამოჩენილა. ზდისის რამდენჯერმე მიაკითხა გაბრომ, მაგრამ ის სახლში არ დაუხვდა. გავიდა ერთი წელიწადი.

მოულოდნელად ზდისი გამოჩნდა გაბროსთან. იგი დელავდა, ბორგავდა, არაფერს ამბობდა. საუბრის დაწყება უჭირდა. ბოლოს გაბრომ ჰკითხა, რამ ააღელვა იგი ასე და რად უჭირს საუბარი. ზდისიმ გაბროს განუცხადა, რომ ის „ხვალ სამშობლოში მიემგზავრება“, ერთი წელიწადია ერთმანეთთან რატომღაც კავშირი გაწყვიტეს, ახლა გაუჭირდა და მასთან მოვიდა. გაბროს კითხვაზე, თუ რა გაუჭირდა, ზდისი დაბნეულად პასუხობს: „საგზაო“.

გაბრო ზდისს მისცემს საგზაოს და თან ეტყვის: „ხელს მოგიმართავ, მაგრამ სცრუობ-კი...“

გავიდა ერთი თვე, გაბრომ ზდისისაგან გასესხებული ფული და ვრცელი წერილი მიიღო, რომელშიც იგი უკანასკნელი ნახვისას თავისი დელვისა და დაბნეულობის მიზეზს უხსნის. ზდისი სწერდა, რომ მას საგზაო ფული სრულიადაც არა სჭირდებოდა. ნამდვილი მიზეზის თქმა ვერ მოახერხა და ესლა მოიგონა.

ნამდვილი მიზეზი კი თურმე შემდეგი იყო: ზდისიმ მაროს ეროვ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 69.

ნული თვითშეგნების გამორკვევა მოინდომა. დაუახლოვდა მას. მაროს მისდამი გატაცება მალე იგრძნო. თვითონაც მისადმი გულგრილი არ ყოფილა. „ვერ წარმოიდგენ, ჩემო მეგობარო, — წერდა ზდისი გაბროსს, — რანაირად მიზიდავდა მისი (მაროს — მ. ზ.) კვაშკვა, დიდრონი, საიდუმლოებით სავსე თვალები! ბევრს ვიცნობ და მაგგვარი თვალები მხოლოდ ქართველებში შემხვედრია... მე ყოველთვის ცნობისმოყვარეობას მიძრავდა მისი საიდუმლოებით მოცული თვალები... მინდოდა შემეტყო, რა იმარხებოდა იმის თვალების სიღრმეში“<sup>1</sup>. ზდისი გაბროსს გაუმხელს, რომ ის მას ერიდებოდა, ეგონა, რომ მაროს გაბროსს მოსწონდა. ამიტომაც ცდილობდა, რომ არც თვითონ შეხვედროდა გაბროსს და არც მაროს.

ზდისი მალე დარწმუნდა, რომ მაროს გაბროსს არ მოსწონდა. ამის დასამტკიცებლად ზდისი მოაგონებს, რომ გაბროსს მაროსთან მხოლოდ ხუთშაბათობით დადიოდა, დანარჩენი დღეები კი სულ ზდისთან იყო. შემდეგ ხუთშაბათობითაც მიღებაზე გაბროსს უარს ეუბნებოდნენ — მაშინაც მაროსთან ზდისი იყო. ამის შემდეგ ზდისი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მაროს, მართლაც, გაბროსს არ უყვარდა. ზდისიმაც თავის გრძნობას მაროსადმი ბუნებრივი გზა მისცა. ისიც მართთა გატაცებული. მან მოინდომა თავისი მდგომარეობის გარკვევა.

გაბროსთან მისვლის წინა დამით, სწერდა ზდისი გაბროსს, ის მაროსს აცილებდა. ზდისიმ მაროსს წინადადება მისცა, ხომ არ მოისურვებდა ეტლით გასეირნებას. მაროსს სიამოვნებით დათანხმდა. საბურთალოს რომ გასცდნენ, ზდისიმ მაროსს ხმის კანკალით ხელი მაგრად მოუჭირა. ეს მაროსს ზდისისადმი დამოკიდებულების გამოაშკარავებისათვის საკმარისი შეიქმნა. „მარომ, — სწერდა ზდისი გაბროსს, — თავი ჩემსკენ მოიღო და ისეთი თვალით შემომხედა, რომ მეტი აღარა მინდოდა-რა. მისი თვალები სიღრმე-სიგანით დავინახე. რასაც ვეძებდი, ვპოვე. აღარ იყო ჩემთვის დაკარგული მისი საიდუმლოებით მოცული თვალები... მხოლოდ გულისთქმას აეცხო მისი არსება და სხვას ადგილი აღარასა ჰქონდა. ყოველისფერს დაგმობდა, ოღონდ გულისთქმისათვის გზა მიეცა. მის თვალებში პირუტყვი დაცურავდა... საკვირველია, იმ წამსვე, რა წამსაც მაროსს ჩემთვის ცხადი შეიქნა, უეცრად ცივი წყალი გადამესხა და გამოვფხიზლდი, გამოვერკვიე. სად გაქრა ჩემი აღტაცება, აღფრთოვანება ასე უეცრად?!.. ასე უეცრად მჩქეფარე გულმა წყნარად ცემა რად დამიწყო?! ისე გულცივი ჩემ დღეში არა ვყოფილვარ, როგორადაც იმ წამს გარდვიქმენ... მაროსს ისევ შევხვდე... მის თვალებში ისევ პირუტყვი დაცურავდა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 73.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 74—75.

ჩანს, მარომაც მოხერხებულ მომენტად ჩათვალა თავისი მდგომარეობის გამოსარკვევად და ზღისის ალერსიანად ხელი მხარზე დაადო, რამაც ზღისი გამოიწვია მაროსადმი თავისი დამოკიდებულება გარკვევით გამოეთქვა. ზღისიმ მოინდომა მაროსთან კავშირი ზრდილობიანად გაეწყვიტა, მაგრამ ახლა გვიანდა იყო და ზღისიმ მაინც ხელოვნურ საშუალებას მიმართა.

„მარო, — განავრძობს ზღისი, — ცოტა დარცხვენით დავიწყე და ხელი წელზე შემოვუტყალე: მთლად გადარეული ვარ სიყვარულით, მაგრამ ვერა ვბედავდი აქნობამდის ცოტა ოდნავ მაინც შეგარძობინებინა თქვენთვის ჩემი სულისკვეთება, დღეს-კი სრულიად დავრწმუნდი, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი შეუღლება...“

„მერე რამ დაგარწმუნა? — ლმობიერად დამეკითხა მარო და უფრო ძლიერად მომეკრა..“ „მარო მევე გამოვიწვიე გრძობის გამოსატყველად და ეხლა ჩემი მხრით უკან დახევა ძნელი იყო. კიდევ ჩავაშტერდა თვალებში, იქნება პირუტყვი სადმე განქრა-მეთქი, მაგრამ ამაოდ. პირუტყვი ისევ დაცურავდა...“ „რამა და სულ უბრალო გარემოებამ: მე ამ დღეებში იძულებული ვარ წავიდე სამშობლოში. თუ გითხოვთ, მაშინ მე იმედი უნდა მქონდეს, მოგაშორით თქვენს სამშობლოს. ეს-კი თქვენთვის, რამდენადაც გიცნობთ, ძნელი იქნება, მართალიც ხართ...“<sup>1</sup>

აი, აქაა ამ ამბის კულმინაცია. ახლა უნდა საკითხი აუცილებლად საბოლოოდ გადაიჭრას, გამომკლავდეს და მაროც არ აყოვნებს, თავის ბუნებასა და ზრახვას სრული უშუალობით ასე ააშკარავებს: „ზღის, უთუოდ კარგად ვერ მიცნობთ, რომ მაგას მეუბნებით... ნუთუ გგონიათ, მე გაბროს დამყავებული აზრების მიმდევარი ვიყო?! თუ ასე ფიქრობთ, სცდებით“.

„დამყავებულ აზრებზე არ მოგახსენებთ, მე მწამს, რომ სამშობლო ყოველისფერზე უძვირფასესია და ამისათვის მოგახსენებთ“...

„ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნება! — აღგზნებით წამოიძახა და თავისი მთრთოლვარე ტუჩები ჩემს ტუჩებს შეახო, — სადაც გინდა წამოვალ!.. ყველაფერს დავივიწყებ!“.. შმაგივით მეხვეოდა და თან ამას გაიძახოდა.

„მარო, ხვალ მოვალ და ყველაფერზე მოვილაპარაკოთ!.. მკვახეთ უთხარი და შევაყენე ეტლი იმათ კარებზე. თან-კი მის თვალებს თვალს არ ვაშორებდი. მეგობარო, ერთ წამსაც არ მოშორებია მის თვალებს პირუტყვი! დავაღწიე თუ არა თავი, მაშინვე გადავწყვიტე,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 75.

თვალთ აღარ დავნახვოდი და მეორე დღეს შენთან წამოვედი ამის საამბობლად, მაგრამ ვეღარ მოვახერხე და საგზაო მოვიგონე.

შენი ზ დ ი ს ი<sup>1</sup>.

იშვიათი გამკვრიახი გონების თვალთა და მგრძნობიარე მღელვარე გულითაა მწერლის მიერ დანახული და განცდილი სინამდვილე ჩვენი საზოგადოების (რა თქმა უნდა, პრივილეგიური ფენების) გადაგვარებისა, ყოველ შემთხვევაში, გადაგვარების აშკარა ტენდენციის გამოვლინებისა. მწერალი ზედმიწევნითი სისწორით შენიშნავს ჩვენი ცხოვრების ყველაზე სუსტ ადგილს (ქალის გადაგვარებას, eo ipso ოჯახის, კერის ნგრევას, მომავალი თაობის საღი აღზრდის საფუძვლის რყევას, მოშლას, გამოცლას), განქიქების დიდ ნიჭს და უნარს მას უმიზნებს და ძალუმადაც ახვედრებს გულში.

მაგრამ შიო არაგვისპირელი არც აქ ამთავრებს მაროსა და ზდისის ურთიერთობას, მაროს, ქართველი ქალის დახასიათებას, თუმცა ყველაფერი ცხადია. მას სურს კონკრეტული და შთამაგონებელი დასკვნა მკითხველს თვითონვე მისცეს. თითქოს მწერალი შიშობს, ვაი თუ მკითხველი ნათქვამს, აქ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, ბოლომდე არ დაუფიქრდეს სათანადოდ, ან ვერ გაიგოს მწერლის მიზანდასახულება და ზდისის წერილის დასასრულს წ. კ. მინაწერს გააკეთებინებს, რაც აგრეთვე ზდისისა და გაბროს შორის შეკამათების საბოლოო პასუხიცაა და ამით მწერლის მიზანდასახულობაშიც მკითხველს საბოლოოდ არკვევს: „მე აღარას გწერ, — ამთავრებს ზდისი წერილს, — მხოლოდ ამას გეტყვი, რომ ჩვენი (პოლონელი — მ. ზ.) ქალები სულ სხვას იძახიან ამ შემთხვევაში: „ჩემი გული ჩემი სამშობლოსია და თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ნურც ჩემი გული იქნება“... აი ჩვენი ქალების წმინდათა წმინდა და თავიანთ გულს კიდევ ანაცვალებენ სამშობლოს“...<sup>2</sup>

მწერალმა ჩვენი ცხოვრების ეს მწარე სინამდვილე მკითხველს სრულად რომ დაანახოს, ზდისს შემდეგ სიტყვებსაც ათქმევინებს: „მგონი თქვენი ვაჟკაცებიც ეთანხმებიან მაროს აზრს!“

ღიახაც, მწარე სინამდვილის ნახვით, მისი სწორი გაგებით შექმნილი ბოღმა, შხამი, მწერლის გულში მრავლად დაგროვილი, ზდისის ამ სიტყვებით გამოხატული, ქართველი საზოგადოებისადმი შეუპოვრად, მძლავრად ნასროლი ისარი იყო. „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!“ მწერლის მიერ სისხლის ცრემლით დაწერილი სატირაა. ფართო მკითხველიც მას სწორედ ასე იღებდა და იღებს კიდევ. შიო არაგვისპირელის ეტიუდმა „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“ საგრძნობი, იმ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თბ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 76.

<sup>2</sup> იქვე.



დროს არაჩვეული გამოხმაურება გამოიწვია. შიო არაგვისპირელის ამ სატირას, როგორც ბევრ სხვას, თავისი ძალა და ცხოველყოფილობა დღესაც არ დაუკარგავს.

\* \* \*

შიო არაგვისპირელმა, როგორც ზემონათქვამიდანაც ნათლად ჩანს, მთელ რიგ ნაწარმოებში გაბედულად დაგვიხატა ქართველი ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის გაყალბებული, გაფუჭსავატებული, უმიზნო ცხოვრება. მას არც ურთიერთსიყვარული, არც ნდობა, არც გაფრთხილება, არც მტკიცე სიტყვა, არც მყარი ეროვნული გრძნობა არ ამოძრავებდა. ის გაწრიოკების, გადაგვარების გზაზე იდგა, რასაც მწერალი დიდი გულისტკივილით აგვიწერდა.

მაგრამ შიო არაგვისპირელი, მიუხედავად მისი სკეპტიციზმისა, უიმედობის, პესიმიზმის ქსელში არ ეხვევა. ის ერის ცოცხალ, მამოძრავებელ საღ ძალას ხედავს ქართველი ხალხის დაბალ ფენაში, რომელიც ისტორიულად ერის მასაზრდოებელი და ბურჯი იყო; რომელმაც სიყვარულიც იცის, სიძულვილიც, დიდი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის მქონეაა, დიდი ეროვნული და მალალადამიანური გრძნობების მატარებელიცაა და საღი ურთიერთობის დამყარებელიც.

ნიმუშისათვის ავიღოთ შიო არაგვისპირელის ესკიზი „ყველაი დაეკარგე“...

ახალგაზრდა მთიელებს მ ა რ ო ს ა და ნ ი ნ ი ა ს ერთმანეთი უყვართ. მათი სიყვარული ურყევეია და გაუბზარავი. მაგრამ ნინიას „საღდათად“ წაიყვანენ, მარო კი სოფელში რჩება და ელის მის დაბრუნებას, ნატრობს მასთან ყოფნას.

მაროს სიყვარული უანგაროა. ის ნინიასთან მომავალ, სიყვარულით აღსავსე ცხოვრებაზე ოცნებობს. მართალია, ზოგჯერ მაროს აფიქრებს შიში, ვაითუ მათი ქორწინების წინააღმდეგი იყოს მამა, რადგანაც ნინია უთვისტომო და უქონელია, მაგრამ მარო გადაწყვეტით ამბობდა ხოლმე: „ნინიავე, ნინიავე... მე თავს არ დაგანებებ, გამოვიქცევი... რა ვუყო, რომ არავინა გყავს და არაი გაქვს! მე-კი მიყორხარ და“...<sup>1</sup> მწერლის გაგებით, აქაა ნამდვილი, წრფელი სიყვარული, რომელსაც არამცთუ ღალატი, ცბიერება, თვალთმაქცობა, ორპირობა თუ ორგულობა — გრძნობის ოდნავი კომპრომისიც კი, გრძნობის ოდნავი შენელებაც კი მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია. მკითხველიც ერწმუნება მწერალს მთიელთა ამგვარ შეფასებაში.

ასეთი ფიქრებით შეპყრობილ მაროს მოულოდნელად შეხვდება ნინიასთან ერთად „საღდათშივე“ გაწვეული მეზობელი ბ ა რ ა მი, რომელიც ერთი კვირით შვებულებაშია. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 95.

ერთმანეთის ამბავი იკითხეს. ბარამს ღუშეთში მიეჩქარება, დროზე უნდა დაბრუნდეს სამსახურში.

მაროს გულმა ველარ გაუძლო. მთიელმა ქალწულმა კდემამოსი-ლება გადალახა (იმდენად ძლიერია მაროს სიყვარული ნინიასადმი), ის მიმავალ ბარამს გამოუდგა და შემკრთალი შეეკითხა, თუ როგორ არის ნინია. ბარამიც ახალგაზრდული სილაღით, დაუდევრობით (ბარის იერის მიღებით) მაროს გულის დასამშვიდებლად, ხუმრობით ეუბნება, რომ სულ ერთად არიან, ნინიას „ქამა და სმა არ აკლია და ქალებთან ქეიფი“.

ბარამის ეს ხუმრობით ნათქვამი სიტყვები მაროს გულს ტყვიასავით მოხვდა. მაროს ნინია უყვარს მთელი თავისი ფაქიზი არსებით, ამ სიყვარულს იგი ინახავს ფარულად და გატაცებით, როგორც წმინდა გაუქრობელ ლამპარს. მარო ნინიასგანაც ამასვე თხოულობს. მარო მთლიანი, ურყევი პიროვნებაა, მისი სიყვარულიც ასევე ურყევი, შეუვალი და შეუღახავია. ბარამის ნათქვამი მაროს მთელ არსებას ეკალივით ჩაესო. იგი ველარ ისვენებს. მაროს არა სჯერა, რომ ნინია მას უღალატებს, მაგრამ გულის მღრღნელი ეჭვი კი გაუჩნდა, არ ასვენებს. ამ ეჭვს მარო გულმოდგინედ ებრძვის. არა სჯერა და ვერც დაიჯერებს, ვიდრე საკუთარი თვალით არ ნახავს ყოველივეს. აქ მშვენივრადაა მოცემული არა მარტო მთიელი ქალის სიმტკიცე, არამედ საერთოდ ნამდვილი, საღი ურთიერთობა-დამოკიდებულების მქონე კაცისა, რომელიც ჭირს, აუგ ნათქვამს არ დაიჯერებს, სანამ თვითონ პირადად არ დარწმუნდება სიმართლეში.

ცნობილია, საღი, მართალი ბუნების კაცი მერყეობას ვერ ეგუება. მარო გადაწყვეტს, ღუშეთში წავიდეს, ნინია დაზვეროს, რათა სიმართლეში დარწმუნდეს. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი გრძნობა ამოძრავებს მაროს, როცა ის მშობლების დაუკითხავად, ასეთი მკაცრი ზეგავლენის მქონე ჩვეულების დარღვევით, ამგვარ ნაბიჯს დგამს.

ვაჟურად გადაცმული მარო ღუშეთში სწორედ იმ დროს მიდის, როცა ღუშეთის სადგურის ეზოში მაგიდას უზის სამი „სალდათი“ — ბარამი, ნიკოლა და ნინია და ღვინოს სვამენ. ამავე დროს კავკავიდან (ახლანდელი ორჯონიკიძე) მომავალი ფურგონებიც ქღრიალით შემოგრილდნენ. იქიდან ჭრელკაბიანი, „ლოყებდაბრაწული ქალები“ გადმოვიდნენ. მათ მალე გააჩადეს სამოვრები და გარს შემოუსხდნენ.

ერთმა მოქეიფე ჯარისკაცმა, როცა ისინი შეზარხოშდნენ, ქალებს შესძახა: „ეი, მათუშკა, ჩემთან წამოდი, აი ფულები!“ ორმა მათგანმა არ დააყოვნა, მათთან მივიდა. გამხიარულებულმა ნინიამ გრძელი სკამი მიიტანა და ქალების პირდაპირ დაჯდა. ქალებმა სიამოვნებით შეხედეს და რაღაც წასჩურჩულეს. ლაზღანდარობითა და სიცილით ღვინო ბლომად დალიეს. ქალებიც დათვრნენ. უშვერი სიტყვებით ილან-

ძღებოდნენ. შემდეგ სიმღერა წამოიწყეს. „შენ გენაცვალე მა ტუჩებში!“ — წამოიძახა შეზარხოშებულმა ბარამმა, როცა ერთმა ქალთაგანმა მისკენ თავი გადაიღო. მაგრამ ქალმა ტუჩებზე ხელი მიიღო და უთხრა: „— არა, შენ არ გაკოცინებ! ავერ, ის მოვიდეს... იმას ვუყუან თვალეები აქვს“<sup>1</sup> და ნინიაზე მიუთითა. ნინია ქალს მიუჭდა. ქალმა ყელი მიუშვია და ნინიამაც გატაცებით დაუწყო კოცნა. აი ცოცხალი, რეალური სურათი ბარის ახალი ცხოვრებისა, რაც მთისათვის უცხო, მიუღებელი იყო. შიო არაგვისპირელმა კარგად იცის მთის ზნე-ჩვეულება და ნინიას „მათუშკას“ ანკესზე ადვილად წამოგება რომ შეუძლოს, მას მრუშობას სიმთვრალეში ჩაადენინებს.

ვაჟურად გადაცმული მარო ამ სურათს თავიდან ბოლომდე მწუხარებითა და ზიზღით უყურებდა. „უნამუსო“, — წამოიძახა მარომ და ხანჯალამოღებული ფოცხვერივით ნინიასაკენ გადახტა. ჭარისკაცებმა ვერ იცნეს გადაცმული მარო. მაროს უნდოდა ქალისათვის ხანჯალი ჩაეცა, მაგრამ ბარამმა არ მიუშვა, შეუტია და განზე გაიყვანა. გაჯავრებული ნინია გადაცმულ მაროს მიუბრუნდა, ხელი დაუჭირა და გაჯავრებით ჩაეკითხა, რატომ უნდოდა მას ქალის მოკვლა. მარომ ნინიას ამაყად შეუტია — „ხელი უშვი!.. შენ წადი, აი, ის უნამუსო ლოშნე...“ და ხელი გააშვებინა... „უნამუსოებო“<sup>2</sup> — სამივე ჭარისკაცის მიმართ ზიზღით წარმოსთქვა მარომ და გაბრუნება დააპირა. ნინიამ მაროს ამაზნადაც შეუტია: „ბალო, ბედის-წერამ ხომ არ აგიტანა-მეთქი?! მე ცოტა მეყოფის, მთიული ვარ!“, მაგრამ მარომ წყრომითა და დაცინვით მიიძახა: „მთიულია!.. შენ მთიული არა ხარ, არა!.. მთიული მაგას არ იზამს, რასაც შენ ჩადიხარ! წადი, ლოშნე აი, ის უნამუსო!“<sup>3</sup>

ღვინითა და ვნებით გაფიცებულმა ნინიამ შეჰყვირა: „იყუჩე ბალო, თორემ ეხლავ თავს გაგადებინებ!“ და ხანჯალი ამოიღო. მარო მოტრიალდა და ლმობიერად უთხრა: „ნინიავ, ნინიავ! მამკალ, ამ სიცოცხლეს სიკვდილი მიჩვენია!“

შიო არაგვისპირელის ჩვენებით, ასეთია წმინდა გრძნობის შებღალავით შექრწუნებული, თავგამეტებული მთიელი ქალი, ასეთია გულუბრყვილო, ვნებააშლილი, ნინიას სახით მოცემული, შეზარხოშებული ახალგაზრდა მთიელი, რომელიც ბარში ნახულის შემდეგ ასეთ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 100.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>3</sup> იქვე.

უკულო საქციელს დიდ ცოდვად აღარ მიიჩნევს, მაგრამ გამოფხიზ-  
ლებისას კი ნანობს.

მაროს ხმა ნინიას ეცნო. შეშფოთებული ჩაეკითხა — ვინ არის?  
მაშინ მარომ ველარ მოითმინა, საყვედურითა და გაჯავრებით უთხრა:  
„ველარ სცან შენი მარო?“ ნინიამ ახლა კი იცნო მარო, მოსახვევად  
მიეტანა, მაგრამ მარომ ნინიას აპაყად ჰკრა ხელი: „არა, შენი მარო  
აღარა ვარ!.. აგერ, შენ ისა ლომნე!“ მიუთითა ქალზე, თვითონ კი  
გაიქცა. მარო ისე გარბოდა, თითქოს მტერი მისდევსო. მას ეშინოდა,  
ნინია არ დასდევნებოდა... გაირბინა მთები, ტყეები, არ კი იცოდა სად  
მიდიოდა. უეცრად ერთი მთის წვერზე გაჩნდა. იმის ძირში არაგვი მო-  
ქშუოდა. „სადლა წავიდე, რისთვის-ღა ვიცოცხლო?“ — დაიწყო ქვი-  
თინი მან. ტიროდა თავის გაუშლელ ქალობას, სიცოცხლეს ესალმე-  
ბოდა. „ნინიავე, ნინიავე, რისთვის მომკალი! დაიწვი ჩემის ცოდვით...“  
წამოიძახა ქალმა, მაგრამ, თითქოს, უცებ გამოფხიზლდაო, ინანა ნი-  
ნიას წყევლა: „არა!.. არა!.. ლომისავე. ნუ მისმენ!.. ნუ დასწომ ნინიას,  
აცოცხლე დიდხანს და ბედნიერად ამყოფე!.. ნინიავე, ჩემო ყველავე!..“  
მაგრამ გულთამხილავი მწერალი მაროს შინაგან ჰიდილს, ბედნიერე-  
ბის გაბზარვას და დაკარგვის ტკივილს დიდი სიცხადით გვიხატავს —  
„არა, ყველაი აღარა მყავს!.. ყველაი დავკარგე!..“ წამოიძახა მარომ  
და არაგვი გადაეშვა.

შიო არაგვისპირელი იშვიათი ცოდნითა და გაგებით, ნაწარმოების  
მოქმედ პირთა გულის ყოველ საიდუმლო მოძრაობას ნათლად ხედავს,  
გრძნობს და კოლორიტულად გვისურათებს. მკითხველს შთამბეჭდა-  
ვად ესმის მაროს ღრმა, წრფელი სიყვარულით გამოწვეული მომა-  
ჯადოებელი ალერსი ნინიასა და მასთან მომავალი ბედნიერი ცხოვრე-  
ბისადმი; მაროსთან ერთად მძიმედ განიცდის ბარამის ნათქვამით მა-  
როში ჩაწვეთებულ ექვსს და მისი გაბათილების თავგამეტებულ სურ-  
ვილს. ასეთივე სიმძაფრით განიცდის მაროს კვნესას, იმედის გაცრუე-  
ბით გამოწვეულსა, და მის სიცოცხლესთან უკანასკნელი გამოთხოვე-  
ბის ზარს. მაროს ღრმა, მწვავე განცდათა სიფაქიზით, სანატიფით და-  
ტყვევებული მკითხველი მწერალთან ერთად დიდი უშუალოებით  
გრძნობს და რწმუნდება, რომ ნამდვილი, წრფელი, უანგარო სიყვა-  
რული, აღამიანთა შორის კეთილშობილი დამოკიდებულება ხალხში,  
მის დაბალ ფენაში ღვივდება, მიმზიდველად იქსოვება, ივსება, იხვე-  
წება. ხალხის დაბალ ფენაში სიყვარული, მართლაც, ნამდვილი სი-  
ხარულია; აღმაფრთოვანებელი და ამამაღლებელი დიდი ძალაა; იქ  
დაბალი ფენის სიყვარულს ბუნებრივად და განუყრელად ექსოვება  
სრული ნდობა, ნიჭისა და ძალების გაფურჩქვნა, გაშლა. განა დიდი  
დაკვირვების, ნიჭისა და უნარის მქონე შიო არაგვისპირელმა ასეთი-

უანგარო, ყველაფრის გამწირავი, წრფელი, ყოვლისშემძლე სიყვარული ხალხის დაბალი ფენის შვილში — მახარეში არ დაინახა და არ განასახიერა თავის რომანში „გაბზარული გული“?

შიო არაგვისპირელს როგორც ეტიუდში „ყველაი დავკარგე“, ისე რომანში „გაბზარული გული“ მომარჯვებული აქვს მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი კონტრასტის ხერხი და ფსიქოლოგიური ანალიზი.

\* \* \*

რომანი „გაბზარული გული“ ჰიმნია ნამდვილი სიყვარულისა, მაღალი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის გაღვიძების, გაფურჩქვნისა, მაღალ მორალურ ტკივილებში ძიებისა და აღმოჩენისა, წინააღმდეგობის დაძლევისა, გამარჯვებისა და სიხარულისა.

რომანში ძირითადად ორი მოქმედი პირია: მახარე და ეთერი. მახარე — უპატრონო, დაბალი ფენის შვილი, მამიასა — ოქრომკედლისა და მისი ცოლის ნარგიზას მიერ შეხიზნული და შემდეგ მათგანვე ნაშვილები; ეთერი კი — ზვიადი თავადი ქაციას ქალიშვილი, არაჩვეულებრივი სილამაზისა და მოხდენილობისა, მზეთუნახავი, ამასთან განებიერებული, ამაყი, დედოფლობის მაძიებელი. ეთერს მრავალი თავყანისმცემელი ჰყავს, მის ხელს ბევრი წარჩინებული ვაჟკაცი ეძებს, მაგრამ იგი ყველას უარით ისტუმრებს, მხოლოდ და მხოლოდ მეფის ვაჟს მოელის.

ერთხელ ღამით, მთვარის შუქზე, სარკმელში „მოლადღადე“ ეთერს, ჩვეულებისამებრ თავის სარკმლიდან გადმომდგარს, წკრიალა ხმით ამეტყველებულ-ამღერებულს, ოქრომკედლის შეგირდი მახარე დაინახავს. ეთერის ხმა თავისი მგრძნობელობითა და სინაზით მახარეს ძვალსა და რბილში უჯდება. ეთერი მასზედ არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას მოახდენს. მახარე მოჯადოვდება როგორც ეთერის ხმით, ისე მისი „ხელთუქმნელი ბროლისაგან“ ნაკვეთი გარეგნობით.

მახარემ იცის, რომ ეთერი მდიდარი, ამაყი თავადის ასულია, ის კი ოქრომკედლის უპატრონო შეგირდი. მათ შორის გარდუვალი უფსკრულია. ეთერის საპასუხო სიყვარულზე მას ოცნებაც კი არ შეუძლია. მან გულჩაწყვეტით ხელი ჩაიქნია და მწარედ გაიფიქრა: „მიუწვდომელია ვიღაც ხელოსნისთვის ეს სიმშვენიერე, თუმცა, ვინც უნდა იყოს, მახარეზე ძლიერად არავის ეყვარება ის“<sup>1</sup>. მიუხედავად ასეთი ფიქრისა თუ მდგომარეობისა. ეთერისადმი მიზიდულობა მა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 294.

ბარქსათვის დაუძლეველი შეიქმნა. „ის თავის ხმით, გავარვარებული კტორის აღში ელმასნებოდა“<sup>1</sup>...

ეთერის ახლო ყოფნა მახარეს დაუძლეველ მოთხოვნილებად გადაექცა.

ამ დიდმა გრძობამ მახარეს ნიჭი არაჩვეულებრივად აამოქმედა და ეთერის ხმის ლითონში ჩაქედვა მოინდომა. მან თითქოს ახლა პირველად იგრძნო, რომ ლითონსაც ხმა ჰქონია. მახარე დინჯად განაგრძობდა მუშაობას. მას რწმენა შეექმნა, რომ თუ ეთერის დამორჩილება უნდა, ჯერ ეთერის ხმა უნდა დაიმორჩილოს და ლითონში ჩააქსოვოს და შემდეგ კი თავისთავად თვითონ ეთერიც მის ხელთ იქნება.

მახარე, როგორც თავის სიყვარულს, ამ მიზნის სისრულეში მოყვანასაც მალავს. მას მთელი დამეები არა სძინავს; ფიქრობს, ხშირად ანტიუციით, ლითონზე მრავალგზის ცდებს აწარმოებს.

დიდი დაკვირვებით, ჩაწვდომით, მაქსიმალური ზედმიწევნითაა ნწერლის მიერ გაშლილი მახარეს შემოქმედებითი საქმიანობა. მისი სახით მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორი ძნელი და მწველი, რთული, თავსაპტურევი და დიდი შრომითი გზა უნდა გაიაროს ყველა ახლის ნაჩაებელმა — შემოქმედმა.

ჩვენ დაკმაყოფილებით მხოლოდ რამდენიმე ხაზის აღნიშვნით: მახარე ჩაფიქრებული, სხვა და სხვა ლითონებზე მუშაობის დროს ეთერის ხმას ეძებდა, რომელიც ასე მკაფიოდ, განუწყვეტილად, თითქოს იღუმალად უმღერდა. ლითონის ყოველ ხმაურობას ადარებდა იღუმალ ხმას, კიდევ სცდიდა მეტ-ნაკლებრივი ხელის მოძრაობით და ღრმად უკვირდებოდა იმის ხმის კრინვას... თუ კი ეთერის ხმას რაიმე ლითონის კრინვა მოაგონებდა, ის მეტის და მეტის გულმოდგინებით სცდიდა სხვა და სხვა ხელის ძალით და სისწრაფის მოძრაობით მახარემ სწრაფად მოკიდა ხელი ლითონებს და დაუწყო ცდა. ხან ცალცალკე; ხან შეერთებულად სცდიდა. გულმოდგინედ მუშაობდა, მაგრამ მიზნის მიღწევა შორს იყო. სრულ მსგავსებას ვერ პოულობდა.

მახარემ გადაწყვიტა, მთვარის ამოსვლისას ეთერის სიმღერა-ვედრება კვლავ გულმოდგინედ მოისმინოს. მთვარეც ამოვიდა. მახარე საჩქაროდ დერეფანში გაიჭრა. ბოძს ამოეთარა და იქიდან უსმენდა ეთერს და თვალყურს ადევნებდა „ნეტარ ქანდაკების ხმის და სხეულის რხევას“. მახარე თვალის დაუხამხამებლად უმზერდა ეთერის ბაგეს და ამოძრავებდა თავის ბაგესაც ისე, როგორც ეთერი, თან მარჯვენა ხელსაც აყოლებდა.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 294.

გულმოდგინე დაკვირვების შემდეგ მასარე მიხვდა, რომ „თუ უნდა ლითონმაც ისეთი ხმა გამოიღოს, როგორც ადამიანს აქვს, ადამიანის გაღებული ბაგის სახე უნდა მისცეს და შიგ ენასავით ლითონზე უნდა დასრიალებდეს...“<sup>1</sup> მახარემ უმთავრესს მიაგნო და დამშვიდდა. უფრო გატაცებით განაგრძო კირკიტი. დღედაღამ წვრილმანებს ირკვევდა, როგორ ჩაექსოვა ეთერის ხმა ლითონში. წვრილმანების დაძლევა-დამუშავება უფრო ძნელი გამოდგა, „რადგანაც ლითონი კვერსა და ცეცხლს ემორჩილებოდა, მაგრამ ყველას ცალკე თავისი ხმა ჰქონდა“. მართალია, მახარეს დიდი, რთული და თავსამტკრევეი შრომა დასჭირდა, მაგრამ სიყვარულით გამთბარმა, დაუღალავემა გონების მუშაობამ და მუდმივმა ლითონების წრთობამ ესეც სძლია — მახარემ მიზანს მიაღწია. ის ქმნის ეთერის ბაგეს — ზარს, ან როგორც შემდეგში თავადი კაცია ეძახის „შიშის ზარს“. ზარმა ეთერის ხმის არაჩვეულებრივი მისმგავსებით დაიწყო მეტყველება, მღერა.

ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს, როცა ეთერი ჩვეულებრივ თავის საკმელთან მღეროდა და მეტყველებდა, მახარემ გამოიტანა მის მიერ შექმნილი ზარი და ეთერის ხმას ააყოლა. ეთერი განცვიფრდა. გააპყებულმა, ლაღმა, მამისერთა თავადის ქალმა ამ უცნაური ზარის ხელში ჩაგდება განიზარახა. ძიების შემდეგ მიაგნეს, რომ საოცარი ზარი სამკედლოშია, ხოლო მისი შემოქმედი მახარეა, — ოქრომკედლის შეგირდი. მიუხედავად თვით თავადი კაციას მრავალგზის თხოვნისა, რომ ზარი მიეყიდა მისთვის, მახარე გადაჭრით უარს ამბობდა. იგი ურყევად პასუხობდა: „ზარი ფასდაუდებელია“. ვერავითარმა თხოვნამ თუ ფასის მომატებამ ვერ გასჭრა, მახარე შეუვალი იყო.

მაშინ თვითონ ეთერმა ითავა ზარის ხელში ჩაგდება. მახარესთან საიდუმლო შეხვედრა მოახერხა. სიყვარულით მთვრალმა მახარემ უსასყიდლოდ დაუთმო ზარი ეთერს. ეს მოხდა სწორედ იმ დღეს. როდესაც მეფის შვილი ნადირა, რომელსაც წუნიას ეძახდნენ, ფარულად, ვითომ მეფის კარისკაცია, ეთერის სანახავად მივიდა. ნადირა ალტაცებაში მოიყვანა ეთერის სილამაზემ. ის მზად იყო იმავე დღეს ცოლად შეერთო იგი. მან მეფის სახელით თავადი კაცია ქალიშვილითურთ სასახლეში მიიბატიყა. კაცია ეთერთან ერთად მეფის სასახლისაკენ გაემგზავრა. ეთერის გადია მეორე დღეს ზარის სამაგიეროდ ოქრომკედელ მამიას ერთ ქისა თვალ-მარგალიტს გადასცემს და თან სთხოვს, ამის შესახებ მახარეს არაფერი უთხრას, რადგანაც მახარე ფულს არ აიღებდა. ეს ოქრომკედელს ზარის გამოგონებაში დახარჯულ ლითონს აუნაზღაურებდა.

კაციასა და ეთერის სასახლეში მისვლისთანავე ნადირას. ვინაობა

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 297.

გამოაშვარავდა. მეფეც შვილსა და რძალს დალოცავს და ტახტსაც შვილს გადასცემს. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ეთერიმ თავის გრძნობებში გარკვევაც ვერ მოასწრო. მასში რაღაც მტანჯველი, შეუცნობელი სულიერი მდგომარეობა დაისადგურებს. მახარემ გაიგო რა ეთერის სახლიდან წასვლის ამბავი, თვითონაც ოქრომკედლის სახლიდან მიდის, თუმცა ოსტატი და მისი ცოლი გულით თხოვდნენ, არ წასულიყო, მათთან დარჩენილიყო. სახელოსნოში ლითონიც აღარ იყო, ოსტატისაც რცხვენოდა. მახარე ველად გაიქრა, თან ეთერისადმი გაუნელბელი სიყვარული წაიღო.

მახარეს ნიჭი და უნარი, ეთერის სიყვარულით ამოძრავებულნი, არა მარტო მის ხელობაში, არამედ საგმირო საქმიანობაშიც ვლინდება: მართალია, „უგულო“ შეარქვეს, მაგრამ აღამიანური გრძნობა, დაჩაგრულის დახმარება მასში შესამჩნევად რჩება. ის გაჭირვებაში ჩავარდნილ ნადირასაც კი ეხმარება, ცდილობს დაღუპვისაგან მის გადარჩენას, თუმცა ეთერისადმი სიყვარული მასში არ ნელდება.

ეთერიც, მახარესადმი თანაგრძნობით, თუ მისი ნიჭით მოხიბლული. ისეა დატყვევებული, რომ დედოფლობაც, ბრწყინვალე ვაჟკაცი და ჰუმანური მეფე ნადირა მისთვის არაფერია. მასაც უყვარს მახარე და მასთან დაბრუნება სურს. ეთერი ამ იმედით ცხოვრობს. მწერალი ისე ავითარებს რომანის სიუჟეტს, რომ მახარესა და ეთერს კვლავ ერთმანეთს შეახვედრებს და შეაერთებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანში „გაბზარული გული“ ბევრია ზღაპრული, ფანტასტიკური, ავანტიურისტული ელემენტი. მწერლის თვალსაზრისით თუ ჩვენებით, ყველა მათ ერთი საერთო გამართლება აქვთ — როდესაც სიყვარულის გრძნობა ნამდვილი, უანგარო და წმინდაა, მაშინ ის შეყვარებულებს ყოველგვარ დაბრკოლებას ადვილად გადააღახვინებს, მაშინ შეყვარებულის ბუნება მთელი შესაძლებლობით ავლენს თავისში არსებულ ფარულ ნიჭს, ძალას, უნარს. რომანში „გაბზარული გული“ შიო არაგვისპირელის ჩვენებით, ნამდვილ უანგარო სიყვარულს, რომელიც დაბალი ფენების წარმომადგენელში უფრო ბუნებრივად და მძლავრად ჩნდება, შეუძლია გადააღახოს სიღარიბე-სიმდიდრის, კლასობრივი ყოფის პირობითობის, დიდების მიუკარებლობის დაბრკოლებები, რაც კლასობრივ საზოგადოებაში ასე მძლავრია.

შიო არაგვისპირელის რომანი „გაბზარული გული“ გაშლილია ნამდვილი, ცხოველმყოფელი სიყვარულის საფუძველზე. მწერლის ჩვენებით, ნამდვილი სიყვარული ხილია აღამიანთა გაერთიანება-გათანასწორებისაკენ გადებული; ხილია ბედნიერი, თანასწორუფლებიანი ცხოვრების მყარი საფუძვლის ჩაყრისა და განმტკიცებისა, საითკენაც ჩვენი დიდი ჰუმანისტი მწერალი სასოებით მიისწრაფოდა. სიყვარუ-



ლი დათრგუნავს ძველი წყობილების უარყოფით მხარეებს, ძველი ყოფის მცდარ, პიროვნების შემლახველ შეხედულებას, რასაც შიო არაგვისპირელი ვერ ეგუებოდა და რაც მას ცხოვრებაში მრავალი მიმართულებით მწვავედ ჰქონდა განცდილი.

ამასვე თხოულობდა და მისი განხორციელებისათვის მოღვაწეობდა, იბრძოდა ეპოქის გაღვიძებული და დარაზმული საზოგადოების მოწინავე ნაწილი. მათ მოძრაობას შიო არაგვისპირელი ამ რომანით და, საერთოდ, მთელი თავისი შემოქმედებით, თავის ავტორიტეტულ ხმას უერთებს. ხოლო ასეთი საღი გრძნობა, ჩვენი მწერლის რწმენით, შენახულია ხალხის — დაბალი ფენის — ცხოვრების წიაღში, მის წარმომადგენლებში. ეს ფენაა ერის ცხოვრების გამაჯანსაღებელი, მისი „ალექსის ქვეყნის“ წინ წამწევი ძალა.

\* \* \*

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის მაღალ ფენაში — მის ინტელიგენციაშიც კი დაკარგული, უკეთეს შემთხვევაში, ფრიად შესუსტებული, მოღუნებული იყო საღი პატრიოტული გრძნობაც. ეროვნული, ხალხის მასების ფართო აღორძინება, თავისი ქვეყნისადმი სიყვარული, მიზიდულობა, მასზე ზრუნვა არამც თუ მათთვის მამოძრავებელი, წამყვანი იყო, არამედ, პირიქით, ყველა ამ ფრიად საჭირო მოთხოვნილებისადმი მრავალი ქართველი, ე. წ. ინტელიგენტი, შეუწყნარებელ დაუდევრობას, გულგრილობას იჩენდა. ცხოვრება კი წინ მიდიოდა, მოთხოვნილებები იზრდებოდა, საზოგადოების მოწინავე ნაწილი აშკარად ხედავდა, რომ ხალხი ცხოვრებას უკან რჩებოდა, სიბნელეში, სიღატაკეში კნინდებოდა, ქვეყანაც წრიოკდებოდა, ერი გადაშენების გზით მიექანებოდა. საღი პატრიოტული გრძნობა, საღი შემოქმედებითი უნარი, გამძლეობა, დიდი შესაძლებლობის პოტენციით ისევ ხალხში — მღაბიო ხალხში ინახებოდა. ცნობილია, მღაბიო ხალხი ისტორიულად ძირითადი ბურჯი, მასახრდობელი წყარო იყო ერის ცხოვრებისა, მისი ძალისა, დოვლათისა, გენიისა და აგრეთვე მათი შენახვისა და გამრავლებისა. ამ გარემოებას შიო არაგვისპირელიც ასევე უყურებს და აფასებს; ამ რწმენაში პოულობს მისი სკეპტიციზმი გამოსავალს, ცხოვრებასთან მჭიდროდ მისვლის აუცილებლობას.

ამის დამამტკიცებელია მისი იშვიათი, უშუალო ემოციურობით დაწერილი ეტიუდი „მიწა!..“ მასში სიმართლითაა მოცემული მე-19 საუკუნეში რუსეთის ბიუროკრატიულ-კოლონიალური პოლიტიკის ბატონობის პერიოდი, ქართველი ხალხის ძირითადად პოლიტიკური, უფლებბრივი, ხოლო ნაწილობრივ სოციალური მდგომარეობა.

მთიელი ბერა ობლაიძე დააპატიმრეს, თვითონაც არ იცის, რისთვის. ბერამ ციხეში შესვლისთანავე გამურულ, მკრთალად განათებულ ქუჩყიან ოთახში კურახებივით დაბორკილი ტუსალები დაინახა. დამწუხრებულ ბერას გულზე მწარედ მოხვდა მათი კენესა-ღრენა, ბორკილთ ჩხარუნი. ლანძღვა-გინება.

ბერამ დაპატიმრებისთანავე კარგად გაითვალისწინა, რომ ციხიდან ცოცხალი ვეღარ გამოვიდოდა. ალბათ, ეს მან სხვათა ბედის გამოცდილებიდან იცოდა. ამიტომ, როცა ის დაატუსაღეს, ანანურთან გავლასას მოახერხა თავის ქვეყნის ერთი მუჟა მიწის აღება, ხელსახოცში გამოხვევა და სასოებით შენახვა.

ბერას საქმის გარჩევამ ერთ წელიწადს გასტანა. მისი დამცველი ან გამკითხავი არავინ იყო. ციხეში ბერა დასნეულდა. ხველებამ შეაწუხა. წლის თავზე გამოუცხადეს, ციმბირის მალაროებში მუშაობა მოგესაჯაო.

ბერა შეურიგდა თავის ბედს. იცის, რომ სიმართლის პოვნა შეუძლებელია. გადასახლებაში ჰაერზე მაინც იქნებოდა, ამ ჯურღმულს, სულის შემხუთავ ციხეს მაინც მოშორდებოდა. ასეთი იყო მოსახლეობის უფულებო, გაურკვეველ შემთხვევაზე ან რომელიმე მოხელის განწყობილებაზე დამოკიდებული ადამიანის ბედი მონარქიულ რუსეთში: განსაკუთრებით კი ხშირი იყო ასეთი უსულგულო დამოკიდებულება განაპირა კოლონიალური ქვეყნების მცხოვრებთა, ე. წ. „ინოროდცების“ მიმართ, როგორც ქართველი ხალხი იყო.

ყველა უბედურებასთან ერთად ბერას მძიმე წინათგრძნობა არ სცილდებოდა, აწვალებდა. ეს გრძნობა მასში, გარდა საერთო მდგომარეობისა, განსაკუთრებით ავადმყოფობით (ტუბერკულოზით) და მძიმე სულიერი განწყობილებით იყო გამოწვეული. დახვეწილი ფსიქოლოგი მწერალი დიდი ოსტატობით ხსნის მთიელი ბერას სულიერ ტანჯვას. უძილობით, ღელვით და აკვიატებული მოგონებებით შეწუხებულ ბერა მეზობელ პატიმარს, მთიელ გივარგის, შესჩივის, რომ უცნობი ხმა მას სიკვდილს უკივის, მაგრამ მას სიკვდილისა არ ეშინია. სიკვდილი მისთვის ხსნა იქნება. ბერას წინაგრძნობა სხვა უბედურებას უქადის. ის სიკვდილზე უარესს რაღაცას მოელის. ისეთი დამატყვევებელი, უშუალო ლირიზმითაა გამსჭვალული ბერას ეს კენესა, რომ მკითხველიც მთიელ გივარგისთან ერთად შეშფოთებული კითხულობს, რა უნდა იყოს ბერასთვის სიკვდილზე უარესი, რასაც მისი გული ასე მწვავედ გრძნობს?! რა თქმა უნდა, მკითხველს კარგად ესმის, რომ ბერას ეს საშინელი ტრაგედია შედეგია მის გარშემო შექმნილი მდგომარეობისა და მეფის რუსეთის საშინელი, სულის შემხუთველი, არაადამიანური პირობებისა, რომელთაღმე ბერა სხვებთან ერთად სიძულვილით იმსკვალება.

მწერალი ამ გარემოებას ასე აღრმავებს: ერთ დილას, როცა ავად-  
მყოფობით, მტანჯველი განცდებითა და უძილობით გაწამებულ ბერას  
ჩაეძინა, შეშფოთებული გივარგი მას აღვიძებს და ატყობინებს, რომ  
ტუსალებს ეტაპით საციმბიროდ ამზადებენ. ყოველ მათგანს სასტი-  
კად ჩხრეკდნენ.

ჯერი ბერაზეც მიდგა. იგი გაჩხრიკეს. ვერაფერი აღმოუჩინეს,  
გარდა ხელსახოცისა, რომელშიც მიწა ჰქონდა. გაკვირვებულმა უფ-  
როსმა ბერას ხელსახოცი შენიშნა და ჰკითხა, თუ რა იყო მასში.  
ცრემლმორეულმა ბერამ უპასუხა, რომ მისი ქვეყნის მიწაა; მან იცის,  
რომ თავის ქვეყანაში ის ველარ დაბრუნდება და უნდა, სიკვდილის  
წინ გულზე დაიყაროს, მისი ქვეყნის მიწა მას საფლავში ჩაყვეს. ასე-  
თია მთიელთა მყარი, დაურღვეველი ჩვეულება.

გულქვა უფროსმა ბრძანა, ბერას მიწა გადაეყარა. ბერა ეხვეწება,  
არწმუნებს, რომ მასში მხოლოდ მიწაა. მაგრამ უფროსი უღმრთეა.  
მცველები ბერას მისცვივდნენ. მაგრამ ბერას ცხვირსახოცი მაგრად  
ჩაებლუჯა, არ თმობდა. უფროსმა ბრძანა, ბერა წაეჭკიათ და იმდენი  
ერტყათ, სანამ თვითონვე არ შეეხვეწება მიწის გადაყრას. მწერალი  
დასჯის პროცესს რეალურ ფერებში აღწერს. მცველებმა წააქციეს  
ბერა, წკეპლით ცემა დაუწყეს. წკეპლებს ხორცი თან ჰყვებოდა,  
სისხლი სჩქედდა. ტუსაღთა ბრბო გუგუნებდა, წინ იწევდა, მაგრამ  
შეიარაღებული დარაჯები ტუსაღთა ტალღას მკაცრად ეწინააღმდეგე-  
ბოდნენ.

ბერას ხმა შეწყდა. უგონოდღა ეგდო. ხელსახოცს მანაც არ თმობ-  
და. მთიელმა გივარგიმ ველარ მოითმინა. „ამისთვის რასა ჰქლავთ?!“—  
შესძახა, საჩქაროდ ხელსახოცი გახია და მიწა სულ ერთიანად გულზე  
დააყარა ბერას. უფროსმა გივარგის საქციელი მოუწონა. მისი სურ-  
ვილი შესრულდა. ასეთია ბიუროკრატიული ქვეყნის მოხელის ბუნე-  
ბა!

უფროსმა გაჩხრეკა გადადო. უბრძანა, ბერა ცალკე ოთახში გაეყ-  
ვანათ. გივარგიმ უფროსს სთხოვა, ისიც ბერასთან მოეთავსებინათ.  
უფროსმა ნება დართო — კაცთმოყვარეობა გამოიჩინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ უფროსი მივიდა საკანთან ბერას მდგომა-  
რეობის გასაგებად. გივარგი გაკვირდა და მწარე ფიქრმა გაურბინა:  
„ამ ერთი საათის წინად გააწყვეპლინა... და ახლა კი კითხულობს!.. თუ  
შეინანა?!“ არა, კი არ შეინანა, არამედ შეეშინდა: ბერა ცემისაგან  
რომ მომკვდარიყო, შეიძლებოდა უფროსს სამსახურში უსიამოვნება  
შეხვედროდა.

ბერამ ამ დროს უეცრად წამოიკვნესა და ქვითინი დაიწყო. გივარგი

მამინვე მიუჯდა ბერას, ჩაეკითხა, თუ რა აწუხებდა მას და დამშვიდება დაუწყო.

— „წაიღეს, წაიღეს!“ — ქვითინებდა ბერა და თან ცარიელა ცხვარსახოცს ფლეთდა. „...გივარგი, რად მიეცი, რადა?“ — თითქმის ყვედრებით. სინანულით შეკვნესა გივარგის და ხელი მაგრად დაუჭირა. გივარგის პასუხზე, რომ მიწა არ დაუნებებია და მას გულზე აყრია, ბერამ ხელი გულზე მოისვა, მიწა შეაგროვა და მადლიერი, აღტაცებული გივარგის ხელს დაეკონა.

აქ მართლაც დიდი შთაგონებითაა მოცემული პატრიოტული გრძნობის სიღიადე, მისი ყველაფრის შემწირველი ძალა, მთიელი ბერას ბუნების მთლიანობა და მიმზიდველობა.

უფროსმა ბერას ტანჯვა რომ გაიგო, მოინდომა ექიმის მოყვანა, მაგრამ გივარგიმ სთხოვა, ბერასთვის თავი დაენებებინათ, რადგანაც ის უკვე ამ ქვეყნისა აღარ იყო, „ექიმი მას ტყუილად აწვალეფსო“. ამ დროს ბერამ ნახველს სისხლი ამოაყოლა. უფროსმა საკნის კარი გაიხურა და დაპირდა, ბერას რძეს გამოვუგზავნიო, მაგრამ გვიანდა იყო, ბერა საშინელ ფიზიკურსა და სულიერ ტანჯვაში უკვე სულს ლევდა.

რა მწარე, ადამიანის გამანადგურებელ და აღმამფოთებელ დაცინვად ისმის უფროსის დაპირება! მაგრამ ეს დაცინვა უმიზეზოდ და უაზროდ გათელილი ხალხისადმი კი არ არის მიმართული, არამედ მეფის მოხელეების, უფროსების, მათი დამქაშების, მთელი სახელმწიფო წყობილებისადმი, რომელიც არამც თუ ითმენს (რაც, მწერლის რწმენით, დაუშვებელია), არამედ ასეთ გულქვა, გულგაფუჭებულ, უტყინო მოხელეებს ნიშნავს და აწინაურებს კიდევ.

შოო არაგვისპირელის ეტიუდში „მიწა!“ მეფის რუსეთის ძველი ყაფას წამყვანი მიმართულება დამახასიათებელ ხაზებში იშვიათი ნიჭიერებითაა ასახული; იგი მძლავრი სატირაა, რომელიც ტიპური მოვლენის მაგალითზე მკითხველს გულის სიღრმემდე ჩაწვდომით აჩვენებს, რომ მეფის რუსეთი და მასში მომუშავე უგულო, ხეპრე მოხელეები მართო ბერასა და გივარგის მიმართ კი არ არიან უსამართლონი. უკანონონი, უხეშნი, აუტანელნი, არაადამიანურნი, არამედ მთელი სახელმწიფოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისადმი, განსაკუთრებით კი მასში შემავალ მცირე ერებისა და კერძოდ, ქართველი ხალხისადმი. ამაშია, ვიმეორებთ, შოო არაგვისპირელის ნაწარმოებთა, გარდა მაღალი მხატვრულობისა, დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი ღირებულება და მნიშვნელობა.

შოო არაგვისპირელი, როგორც ვნახეთ, მთელი თავისი არსებით გარემო სინამდვილეს გულმოდგინედ აკვირდებოდა; მის თვალს არაფერი გამოუპარებოდა. მწერალს ხომ მასალას თვით სინამდვილე, ცხოვრება აძლევს. მწერლისათვის მთავარია, მკითხველს აჩვენოს,

როგორი ფსიქოლოგიური და ეკონომიური მონაცემების საფუძველზე გაიშალა ესა თუ ის მოვლენა, პიროვნების ხასიათი და რატომ სწორედ ამკვარად და არა სხვანაირად. შიო არაგვისპირელი სინამდვილეზე ღრმა დაკვირვების ანალიზით, თანდათან, 90-იანი წლებისათვის გარემო ცხოვრების აღმავლობის გათვალისწინებულ-გაგების საფუძველზე უფრო ღრმად რწმუნდება, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არსებული, მოუწყობელი, „უთავბოლო“ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს ავიწროებს, აკნინებს, სწორ გზას აკლდნის, არამედ მთლიანად საზოგადოებრივსა და თვით სახელმწიფოებრივ ცხოვრებას აჩივებს, უკან სწევს, სიბნელისა და ძალმომრეობის ქაოსში ამწყვედევს და სტოვებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიო არაგვისპირელის მხატვრული აპერცეპცია ცხოვრების ყოველ სფეროში უარყოფით, მიუღებელ, უმსგავსო, მახინჯ მხარეებს უფრო ადვილად და ზუსტად ხედავდა და ასახავდა, ვიდრე დადებითს. მის მხატვრულ შემოქმედებაში, როგორც მკითხველი ზემონათქვამიდანაც დაინახავდა, მწერლის თანამედროვე ცხოვრების უხამსი, უსამართლო, მუხთალი, მოუწყვრივებელი, გაუტანელი სახე თვალსაჩინოდ აისახა.

ამ გარემოებამ ზოგიერთ ლიტერატორს საფუძველი მისცა შიო არაგვისპირელი პესიმისტ მწერლად ელიარებინა. მათი შეხედულებით, შიო არაგვისპირელი ცხოვრებაში, ადამიანში მხოლოდ უარყოფითს ხედავს, იგი იმედგაცრუებული უპერსპექტივაა.

შიო არაგვისპირელისა და მისი შემოქმედების ასეთი შეფასება უდავოდ ცალმხრივია. საკმარისია, მწერლის შემოქმედება გულისყურით გავარჩიოთ, რომ მასში სევდასა, იმედგაცრუებულობასა და ერთგვარ სკეპტიკურ განწყობილებასთან ერთად, აგრეთვე კარგად დავინახოთ და გავიგოთ კიდევ ხალხში არსებული დადებითი თვისებებიც და ხალხის მასების უკეთესი, სამართლიანი ურთიერთობისა და წყობილების დამყარების სურვილით გამოწვეული განახლების, გღვიძების ამოძრავებელი მოქმედებაც.

მწერალი ჩვეულებრივ უსათუოდ მთლიანობაში, შინაგანი წინააღმდეგობებით უნდა იქნეს განხილული და შესწავლილი, რომელი ხაზიც, რომელი მიმართულებაც მის ცხოვრება-შემოქმედებაში წამყვანი აღმოჩნდება, იმისდა მიხედვით მწერლის შესახებ უნდა იქნეს საბოლოო მსჯავრისა და შეხედულებების დადგენა.

შიო არაგვისპირელის მიერ ცხოვრების უარყოფით დახატვაში მკითხველი ცხოვლად გრძნობს მწერლის დიდ წყურვილს სიცოცხლისადმი. შიო არაგვისპირელი უარყოფითად აფასებდა მისი თანამედროვე ცხოვრების არსებულ შეუფერებელ პირობებსა და მოვლენ-

ნებს და არა საერთოდ საცოცხლესა თუ ცხოვრებას. ეს, სხვათა შორის, კარგად აქვს შენიშნული კიტა აბაშიძესაც. თავისი „ეტიუდების“ II ნაწილში შიო არაგვისპირელის შესახებ ის წერს: „ის, ვინც ძირს უთხრის დღევანდელობის გარყვნილებასა და გათახსირებას, გზას უკაფავს კაცობრიობის ძლევაშისილ მომავალს“<sup>1</sup>.

შიო არაგვისპირელის სიმართლის, სიკეთისა და სილამაზის მაძიებელი ჰუმანური ბუნება არსებულს ვერ ეგუებოდა, ვერ ურიგდებოდა. მას კარგად ესმოდა და ამიტომაც უფრო მწვავედ განიცდიდა, რომ ცხოვრება, ადამიანის სიცოცხლე თავისთავად არ არის ყალბი, ბინძური, ულამაზო, მას ასეთად ქმნის ადამიანი, რომელიც ცხოვრების ამგვარ მოუწყობლობაში თვითონ არის ასეთი გადაგვარების ობიექტი და თვითონ ხდება მიზეზი ამ უმსგავსოებისა. თვითონ გაირყვნა, წახდა და ცხოვრებაც წახდინა, წაბილწა. მზაკვრობის ბუდედ გადააქცია. არსებულ პირობებში ხალხის ყოფის წინმსვლელობის შეუძლებლობა, საზოგადოებრივი ცხოვრების სიდუხჭირე, მის მიერ ყოველივე ცოცხალის ჩახრჩობა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში უტყუარადაა ნაჩვენები.

მიუხედავად შიო არაგვისპირელის ასეთი სკეპტიციზმისა, მას მაინც ღრმად სწამს, რომ ცხოვრების ამგვარი ატმოსფერო უნდა განიტვირთოს, დაიწმინდოს; სწამს, რომ კაცთა შორის არიან ისეთნიც, რომელნიც უკეთესი, ბრწყინვალე მომავლისაკენ მიისწრაფვიან, თითქოს მის მოახლოვებასაც გრძნობენ, თუმცა მომავალი მათთვის ჯერ კიდევ გაურკვეველია („ადამიანი!..“). ეს გაურკვეველობა და იმედიც, უთუოდ, თვით შიო არაგვისპირელისათვისაცაა დამახასიათებელი.

შიო არაგვისპირელი ეტიუდში „ადამიანი!..“ ნათლად გვიჩვენებს ქართველი განათლებული ახალგაზრდობის ერთ ფენას — სტუდენტობას, რომელიც გრძნობს ახალი ცხოვრების მოახლოვებას, მის კარიბჭეში ყოფნას; გვაჩვენებს, რომ ეს ფენა ახალი ცხოვრების მოახლოვებას ყნოსავდა და სიხარულის ტყვილებსაც განიცდიდა. ახალგაზრდობის ამ განწყობილებას შიო არაგვისპირელი მშვენივრად ამჟღავნებს თედო გელაშვილის ამხანაგებისადმი მიმართვაში: „ნეტავი თქვენ!.. იქნება მოესწროთ ამ უკიდურესი მდგომარეობის მოსპობას. ვინ იცის, იქნება სულ მოკლე ხანში მოეღოს ბოლო, რადგანაც ცოტაოდენ ნიშნებსა ვხედავ, და ეს, ცოტა არ იყოს, იმედის ნაპერწკალს გვიღვივებს!..“<sup>2</sup>.

შიო არაგვისპირელი საზოგადოების ამ ნაწილის ამგვარ და უფრო გარკვეულ მისწრაფებებში ეძებდა და პოულობდა ცხოვრებასთან

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. II, 1912, გვ. 262.

<sup>2</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 74.

დამოკიდებულების შემარიგებელ გზას. ის გონების თვალთ გადახედვას აწმყოს, წარსულს, კაცობრიობის ცხოვრებას ძველი რომისა და საბერძნეთისას, თუ ახალი საუკუნეების, ეგრეთწოდებული მოწინავე ქვეყნებისას და კაცთა შორის სამართლიან ურთიერთობას მოწყურებული მწერალი რწმუნდება. რომ ცხოვრებაში გაბატონებულია უსამართლობა, გაუტანლობა, ძალმომრეობა, რაც ხალხში იწვევს საშინელ გმინვას, კვნესას, სისხლის ღვრას, და ამასთანავე არსებულის შეუსაბამო გალობა ისმის: „ღიღება მალალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“<sup>1</sup>. ამ წინააღმდეგობით შეძრწუნებული მწერალი მწუხარებით წამოიძახებს: „ნუთუ მშვიდობა და სათნობა კაცთა შორის ვერ გაიმარჯვებს?“<sup>2</sup>.

აი ამ მშვიდობისა და კაცთა შორის სათნობის გამარჯვების დაუძლეველმა ლტოლვამ შიო არაგვისპირელს, ერთი მხრივ, ცუდად მოწყობილ გარემო ცხოვრებაზე დაკვირვებამ სინამდვილე მკვეთრ და მუქ ფერებში აასახვინა, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხის ცხოვრების სიღრმეში დაანახვა აგრეთვე საღი, მძლავრი თესლი, მართალია, ჯერ გაუნაყოფიერებელი, გაუშლელი, მაგრამ უკეთესი მომავლის მომცემი.

შიო არაგვისპირელი კარგად გრძნობს, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი მისწრაფება ადამიანის ბუნებაში ღრმად ზის, ეს მისი გარდუვალი მოთხოვნილებაა. ეს შეხედულება მის ლეგენდაში „პ ი რ ვ ე ლ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“ დამაჯერებლადაა ასახული. მართალია, ამ ლეგენდას მწერალი სქოლიოში ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ეს ლეგენდა არაგვის ხეობაში ერთმა მთიულის მოხუცებულმა ღედაკაცმა მიაშმო და სიტყვა-სიტყვით გადმომცა, არას ვუმატებ“<sup>3</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი შენიშვნები შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთ-ერთი სტილიური ნიშანია. რა თქმა უნდა, ეს ლეგენდაც მისი პირადი — ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია.

ამ ლეგენდის თემა აღებულია ბიბლიიდან — პირველ ადამიანთა — ადამისა და ევას ცხოვრებიდან. ამით შიო არაგვისპირელს უნდა ხაზი გაუსვას ამ თემისა თუ იდეის მარადიულობას.

ასეთია ქარგა ლეგენდისა: ღმერთმა შექმნა რა პირველი კაცი — ადამი, ცხოვრების სისრულისათვის შექმნა ქალიც, რომელიც ადამს ცოლად მისცა. ისინი დაასახლა სამოთხეში, რომელსაც ზურმუხტიცა, მნათობნი, უმშვენიერესი არე-მარე, უმშვენიერესი ხმები ავსებდა. „პირუტყვეები, — გადმოგვცემს მწერალი, — ხომ სულ გადაირივნენ... დარბოდნენ, დახტოდნენ, ყირამალა გადადიოდნენ... უხაროდათ...“

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 54.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 189.

სახარულიც კი ვერ შეეგნოთ... ადამიც ჰბაძავდა ხოლმე და თავის უნებურად ფუნდრუკაობდა... და ხავერდისებურ მცენარეულობაში გორაობდა... იყვნენ ორნივე შიშველ, ადამ და ცოლი მისი და არა რცხვეწროდთ“<sup>1</sup>. ღმერთმა იფიქრა, რადგანაც „ადამი მამას გამოეყო და ევას შეუერთდა და ერთხორცად შეიქმნენ“, შესაძლებელია, კაცმა მამა მისი მიატოვოს, ე. ი. აღარ დაემორჩილოს ღმერთს. ამიტომ ღმერთმა ისინი შეზღუდა: ადამ და ევას სამოთხეში ყველაფრის გამოყენების უფლება მისცა, გარდა ერთი ხის — ცნობადის ნაყოფის ჰამისა. მაგრამ ევა შეაცდინა ეშმაკმა, გველის სახით, ხოლო ევამ ადამი. შეცოდებისთანავე ადამმა და ევამ მყის სიტყვლე იგრძნეს. მწერალმა რომ ხაზი გაუსვას ადამისა და ევას „ცოდვის“ სიღიადეს, ბუნებას მოიშველიებს: „არე-მარე მთლად შეიცვალა; ცას შავი ღრუბელი გადაეტარა... ჭეყენიერობამ ხმა გაკმინდა. სასტიკმა ქარმა დაქოლოლა და იქაურობა მრისხანედ აახმაურა“...<sup>2</sup>

გულთამხილავემა ღმერთმა მაშინვე შეატყო ადამის და ევას შეცოდება — მისი ბრძანების დარღვევა. სამოთხეში მრისხანედ შევიდა. ადამი და ევა ღმერთს ერიდებოდნენ. ღმერთმა ხმამალა დაუძახა: „ადამ, ადამ, სად ხარ?“ რაზედაც შეშინებული ადამი ხმის კანკალით უპასუხებს: „ხმისა შენისა მესმა სამოთხესა შინა და შემეშინა, რამეთუ შიშველ ვარ და დავიმაღე“. ღმერთი ადამს მრისხანედ შეეკითხა: „ვინ გითხრა, რამეთუ შიშველ ხარ... უკეთუ არა ხისაგან, რომლისა გაკცენ შენ, მისგან მხოლოდ არ ჰამაი, მისგან სჰამე?“<sup>3</sup>

აქ იწყება ღმერთის მხრივ წინააღმდეგთა დამორჩილების სურვილი, ხოლო ადამისა და ევას მხრივ სრული თავისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების გადაწყვეტილება.

ადამი თითქოს თავის მართლებით ბრალს სდებს ევას და ამით თვით ღმერთს, რომელმაც მას ევა მისცა: „შენ რომ ევა არ მოგეცა, არ შევეცდებოდიო“. ადამის ამ სიტყვებზე ევას სასწრაფოდ გველი წარმოუდგა. ევაჰაც, ადამისვე კილოთი, ბრალი გველს დასდო: „გველმა წაცლუნა მე და ვჰამე... შენ რომ გველი არ გაგეჩინა, არ შევეცოდავდიო“. ამგვარად, ადამმა ევას დააბრალა, ევამ გველს, რომელიც ღმერთმა მათზე აღრე გააჩინა. დამნაშავედ მათ ღმერთი გამოიყვანეს. ამ დიალოგით მწერალი დიდი სიმკვეთრით გვიჩვენებს, თავისუფლებისადმი ლტოლვა ადამიანში თუ რაოდენ დიდია.

ღმერთმა იგრძნო რა ადამისა და ევას თავისუფლებისადმი ასეთი ლტოლვა, უბრძანა სამოთხიდან გასვლა. მაგრამ ისინი ამანაც არ შეა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 192.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 193.



ძრწუნა. პირიქით თითქოს სამოთხესაც კი შეუნანებლივ სტოვებენ. ღვთის შეკითხვაზე: არ ენანებათ მათ სამოთხის დატოვება? ევა ღმერთს მოურიდებლად შესძახებს: „ჩვენი სამოთხე ჩვენშია!.. წელან.. წელან სამოთხის არსებობა აღარც გვეგონა, როდესაც ჩვენ სამოთხეში გავინავარდეთ. მხოლოდ შენმა მოსვლამ, ისევე შენ სამოთხეს დაგვაბრუნა და... აი ვიძალვით, გეცხვენთან“. და რომ გააძლიეროს კაცის თავისუფლების მოპოვების დაუძლეველი სურვილი, მწერალი იქვე ჩაურთავს: „აღამიც გატაცებით უმზერდა და უსმენდა ევას და მასთან თავის თანხმობას გამოჰხატავდა“. ამით მწერალმა უფრო გააძლიერა კაცის თავისუფლების მოპოვების ძიება.

ღმერთი ამ გარემოებამ ღრმად ჩააფიქრა. ის ფიქრობდა, რომ ადამსა და ევას მამობრივი სიყვარულით უფრო ათამამებდა. ამიტომ სასარგებლოდ მიიჩნია მათი დასჯა. მან სამივე — ევა, ადამი და გველი სასტიკად დასაჯა, თუ დასწყევლა. გველს უთხრა: „მკერდსა ზედა და მუცელსა ხეიდოდე და მიწასა სკამდე ყოველთა ღღეთა ცხოვრებისა შენისათა. და მტერობა დაედვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა, და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა; იგი უმზირდეს თავსა შენსა, და შენ უმზირდე ბრკყალსა მისსა“<sup>1</sup>.

ადამიანის თავისუფლებისადმი ლტოლვა რომ უფრო გაამძაფროს, მწერალი ამ დაფარულ ბრძოლას შემდეგნაირად აშუქებს:

ღმერთს, იმედი ჰქონდა, ამბობს მწერალი, რომ ადამი და ევა გველის ამგვარ დასჯას გაითვალისწინებდნენ და გონს მოვიდოდნენ, მოინანიებდნენ თავის შეცოდებას და ღმერთს შეევედრებოდნენ. მაგრამ ადამი და ევა ასეთ სურვილს არ იჩენდნენ. ისინი, პირიქით, თითქოს დამშვიდებით მოელოდნენ ღვთის განაჩენს — რისხვასაც კი.

მცირე ლოდინის შემდეგ ღმერთი ევას შემდეგ განაჩენს გამოუტანს: „განმრავლებით, განვამრავლენ მწუხარებანი შენი და სულთქმანი შენნი; მწუხარებით შეენ შვილნი შენნი. და ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი და იგი გეუფლებოდეს შენ...“<sup>2</sup> ევამ ღვთის ეს წყევლა თუ სასჯელი სიამოვნებითაც კი მიიღო და უფალს შემდეგი სიტყვები კმაყოფილებითაც კი შესძახა: „მწუხარებით თუ ვშვენ შვილნი, უფრო ნეტარი იქნებიან ჩემთვის...“ მიუხედავად სასჯელის ასეთი სიმძიმისა, არც გველი და არც ევა არ შეუშინდნენ. ადამიც ჩუმად იდგა და სასჯელს ელოდა, მონანიებაზე არც ის ფიქრობდა. ადამისა და ევას დაყოვნებული, გაგრძელებული გამოცდა შიო არაგვისპირელს შთამაგონებლად აქვს გამოყენებული, რათა ადამიანის თავისუფლებისადმი შეგნებული და დაუძლეველი ლტოლვა გაამახვილოს.

<sup>1</sup> შ არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 194.

<sup>2</sup> იქვე.

ღმერთმა გაითვალისწინა, რომ ადამი შეცდენილი იყო გველისა და ევას მიერ და ადამს შედარებით უფრო მსუბუქი განაჩენი გამოუტანა: „რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა და სკამე ხისაგან, რომელისა გამცენ შენ მისი ხოლო არაჯამა და მისგან ჰამე, ოფლითა პირისა შენისათა სკამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქნენ, რამეთუ მიწა ხარ, და მიწადაც მიიქცე...“<sup>1</sup>

ადამმაც სიამოვნებით იღო კისრად ეს სასჯელი შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, ჩემთვის ეს ნეტარება იქნება, რადგანაც ოფლით მოპოვებულ ლუკმა გემრიელი იქნება...“

ღმერთისთვის აშკარა შეიქნა, რომ ადამისა და ევასათვის აკრძალული ნაყოფის, ე. ი. თავისუფლების, თავის მისწრაფების მიხედვით ცხოვრების, სიტკბოება ყველაფერს ადვილად და სიამოვნებით ათმობინებს. ამის შემდეგ ღმერთმა ადამსა და ევას უბრძანა, სამოთხე დაეტოვებინათ. მათ ეს სასჯელიც სიამოვნებით მიიღეს და უფალს გულწრფელად განუცხადეს: „ღმერთო, შენი გვერიდებოდა, თორემ აქნობამდე დავტოვებდით“ და ხელჩაიკიდებულნი სიხარულით გამოვიდნენ სამოთხიდან.

ადამიანის თავისუფლებისადმი მისწრაფება რომ უფრო გამძაფროს, მწერალი განაგრძობს: განრისხებულმა ღმერთმა სამოთხის კარში მცველად ქერობიმი დააყენა, რომ გამოდევნილები უკან აღარ შეეშვა. მაგრამ მწერალი იქვე გვამცნობს, რომ „ადამ და ევას სამოთხეში უკან დაბრუნება აზრადაც არ მოსვლიათ... გავიდნენ თუ არა, მაშინვე სირბილით შორს, შორს წავიდნენ... ვიდრე მათს არ მოეფარნენ. იქ მაშინვე თავიანთი სამოთხე შექმნეს. უფლის სამოთხისაჲკენ მიხედვაც კი ჟრუანტელს ჰგვრიდათ. მხოლოდ პირვანდელი სამოთხის, სადაც სხვის უფლებით უნდა ეცხოვრათ, მოგონება-და ჰჩრდილავდა მათს სამოთხეს... მათს ნეტარებას“<sup>2</sup>...

შიო არაგვისპირელის ლეგენდის „პირველი სიყვარულის“ იდეა და მიზანდასახულობა აშკარაა და მკითხველისთვისაც მკაფიო, გასაგებია ხდება, თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოპოვება ადამიანისათვის დასაბამიდან დაუოკებელი, სანატრელი და სიხარულის მომნიჭებელი მისწრაფებაა. მისი გავლენა და ძალა ადამიანზე დასაბამიდან ისეთი ძლიერია, რომ კაცი ამჯობინებს, იცხოვროს ისეთ მძიმე პირობებშიც კი, როგორც ღმერთმა მიუსაჯა და კაცი მას სინამდვილეშიც ატარებს, ვიდრე შეზღუდული, მაგრამ ყოველი კმაყოფილების შემცველ სამოთხეში დარჩეს. კაცის ბუნება და მისწრაფება, მწერლის

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ., სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 195.

<sup>2</sup> იქვე.

ჩვენებით, დასაბამიდან თავისუფალი ცხოვრების მონატრულია და მ.ს. მოსაპოვებლად იბრძვის, ეს ბუნებრივიცაა და სწორიც; ის, როგორც პირველი სიყვარული, კაცისთვის სიამოვნების, სიხარულის, ბედნიერების მომცემია.

შიო არაგვისპირელის ეს ლეგენდა, დაწერილი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ხანაში, ზედმიწევნით შეესატყვისებოდა მშრომელი მასების ანაკადებულ განწყობილებას, რაც მშრომელთა მასებს თავისუფალი, დამოუკიდებელი მოქმედების, ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის თავდავიწყებით აბრძოლებდა.

ამგვარი განწყობილება თუ სინამდვილის გაგება შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში თავიდანვე შეიმჩნევა. მაგრამ 900-იან წლებში საერთო-საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობამ შიო არაგვისპირელში უფრო ძალუმად გააღვიძა და აამოქმედა უსამართლობისა და ძალმომრეობის მხილების სურვილი, ხალხის მასების თანდათანობით დარაზმვა, მისი თავგანწირული ბრძოლა ქვეყნად სიმართლის დამყარებისათვის, რაც შიო არაგვისპირელს ძალას და ენთუზიაზმს მატებდა, იმედის ნაპერწკალს უღვივებდა.

შიო არაგვისპირელს იდეური შეზღუდულობა, მართალია, შესაძლებლობას არ აძლევდა რევოლუციურ-დემოკრატიების მსგავსად მისულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნამდე, მაგრამ სინამდვილის ღრმა და სწორ მხატვრულ ანალიზს, მის შემოქმედებაში რომაა მოცემული, მკითხველი მართებულ დასკვნამდე ობიექტურად მიჰყავდა. სწორედ შიო არაგვისპირელის იდეურმა პოზიციამ, მისმა მხურვალე თანაგრძნობამ ხალხის მასებისადმი, მისი შემოქმედების როგორც ანტიფეოდალურმა, ისე ანტიბურჟუაზიულმა პათოსმა ჩამოაყალიბეს მისი ესთეტიკური პრინციპები, როგორც მე-19 საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისა. შიო არაგვისპირელის შემოქმედება — ფართო სოციალ-ეკონომიური მხატვრული ტილოა, პუბლიცისტური მსჯელობების ჩაქსოვით, რაც მისი რეალიზმის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს.

\* \* \*

აი, დადგა 1905 წლის რევოლუციის ხანა. რევოლუციამაც ძალუმად იფეთქა. ხალხმა თავისუფლების ძალა და მიმზიდველობაც კარგად შეიგრძნო, ენთუზიაზმით ამოქმედდა. ეს გარემოება ხელისუფლებასაც შიშის ზარსა სცემდა.

მაგრამ რევოლუციას მალე საშინელი რეაქცია მოჰყვა. მძიმე, თვითნებური ხასიათი მიიღო მშრომელთა მასების დაპატიმრებამ, ელექტამ, მოხელეთა უსამართლობამ, გულქვაობამ. ხშირად, ძალიან ხშირად, უკანონოდ, უსაფუძვლოდ შევიწროებული, აფორიაქებული,

დევნილი მშრომელი, რევოლუციურად განწყობილი მასა იძულებული ხდებოდა იარაღისათვის მოეკიდა ხელი; უხეში, თვითნებური ძალმომარეობისათვის ფიზიკური ძალავე დაეპირისპირებინა, ხშირად ტყე-სა და მთა-კლდისათვის თავი შეეფარებინა და არსებულ წყობილებასთან შეურიგებელი ბრძოლა განეგრძო, „ყაჩაღად“ გაკარდნილიყო, როგორც ამას სათნოებით სავსე მშრომელი გლეხი მიხო („საშინელება“) მოიმოქმედებს.

დიდების ნანგრევებზე სანდროს (ახალგაზრდა ექიმს) შემთხვევით შეხვდება მშვიდ, ადამიანურ ცხოვრებას მოკლებული, ახლა იძულებითი ყაჩაღი მიხო. მცირე საუბრის შემდეგ მიხო, შეატყობს რა სანდროს, რომ ის განათლებული კაცია, შეეკითხება: „უთუოდ გეცოდინება, როდის მოელება ბოლო ამ უსამართლო ქლეტას?!“<sup>1</sup> ხოლო სანდროს პირუკუ შეკითხვაზე, რომელ უსამართლო ქლეტაზე ეკითხება ყაჩაღი მიხო, „განრისხებულ ვეფხვს რომ ემსგავსებოდა“, აღშფოთებული კილოთი ასე განაგრძობს თავის შეკითხვის გახსნას: „როგორ თუ რა უსამართლო ქლეტაზე?!.. — განა უსამართლობად არ მიგაჩნია... ვინც მოხვდებათ, დაიჭერენ... წაიყვანენ და გზაში მოკლავენ სხვა და სხვა მიზეზების (რა თქმა უნდა, მოგონილის, — მ. ზ.) გამო, ან თუ სამართლის კარამდის მიიყვანეს, სახრჩობელას ვერ ასცდება?!“<sup>2</sup>

ყაჩაღი მიხოს აღშფოთება თვით მწერლის, შიო არაგვისპირელის, აღშფოთებაა. ეს აღშფოთება მკითხველსაც იბურობს.

აქ დამაჯერებლადაა გამოვლენილი 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მშრომელი მასების სულიერი განწყობილება: მშრომელი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, ცხოვრება აუტანელი შეიქმნა, მას გადაწყვეტილი აქვს, იბრძოლოს არსებული, მშრომელთა შემაჯიწროებელი, დრომოქმული ყოფის დასანგრევად, ვინაიდან ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.

შიო არაგვისპირელს კარგად ესმის, რომ ის თავისი საქმიანობით საზოგადოებას დიდ სარგებლობას უწევს; შიო კალმით, გონებითა და გულით მჭიდროდაა დაკავშირებული თავის ხალხსა და დროსთან; ის საზოგადოებრივი კაცია და თანადროულობის საშინელ, კოშმარულ მდგომარეობას ებრძვის ესთეტიკური დაძლევიტ, სინამდვილის ხელოვნების მარგალიტად გარდაქმნით — თავის შემოქმედების საშუალებით; სინამდვილის უხამსობას ფარავს თავისი ხელოვნების ოსტატობით. შიო არაგვისპირელი იმდენად რეალისტი და საზოგადოებრი-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 257.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 257—258.

ვი კაცი იყო, რომ სინამდვილეს არ გაექცა, მისტიკას, უმოქმედობას არ მიეცა. ის, როგორც რეალისტი, თავის გამჭრიახი თვალით გარემოცხოვრებაში ღრმად იხედება და ამ შიშველ ცხოვრებისეულ დაკვირვებას თავის შემოქმედებაში დიდი მხატვრული ოსტატობით ასახავს.

შიო არაგვისპირელი რეაქციის ხანაშიც რჩება თავისთავადი. ის, მართალია, შეზღუდულია, რევოლუციონერებთან პრაქტიკულად ვერა-თუ არ მიდის, მაგრამ მისი სიმპათიები მაინც მშრომელი, გაღვიძებული, მეტრძოლი ხალხის მასებისკენაა. ის ხაზგასმით გვიჩვენებს, რომ არსებულ-გაბატონებულთან წინააღმდეგობა მშრომელ ხალხში რეაქციის ხანაში კი არა ქრება, არამედ უფრო ღრმავდება, იხვეწება. მწერალი რეაქციის ხანაში ამ თემაზე წერს საგულისხმო მოთხრობების სერიას. ჩვენ მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმე მათგანზე.

შიო არაგვისპირელი თავისი ბუნებითა და პრაქტიკული საქმიანობით საზოგადოებრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მქონე დიდი მოქალაქე იყო; ამავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი მოყვარული. შიო არაგვისპირელის ამ თვისების შესახებ მისი ახლო მეგობრები: თ. სახოკია, მ. შირიანაშვილი, ალ. მიქაბერიძე და სხვებიც აღნიშნავდნენ. მისი ახლო მეგობარი ალ. მიქაბერიძე შიო არაგვისპირელს ჯერ კიდევ ვარშავაში სწავლის დროს ასე გვაცნობს: „შიოს საზოგადოებაში ყოფნა ძალიან უყვარდა. მუდამ ჩუმი, მუდამ წყნარი, მუდამ თავაზიანი შიო, როცა კი საზოგადოებაში ჩავარდებოდა, ერთნაირად გამოიცივლებოდა. საზოგადოებაში ყოფნა, საზოგადოებაში ტრიალი შიოს სიამოვნებდა და კიდევ საჭიროდ მიაჩნდა. შიოს გონივრული, მოფიქრებული, და მუდამ დამშვიდებული ლაპარაკი ყველას ჰხიბლავდა და ატყუებდა... ყველა მის აზრსა და შეხედულებას ანგარიშს უწყევდა“<sup>1</sup>.

ალ. მიქაბერიძე თავის მოგონებაში შიო არაგვისპირელის აღნიშნული განწყობილებისა თუ მიმართულების დახასიათებისას თვით მწერლის თვითდახასიათებით სარგებლობს: „მე ყველგან, — გადმოგვცემს ალ. მიქაბერიძე შიო არაგვისპირელის სიტყვებს, — საცა კი მიხდება ყოფნა, ახლოს ვდგევარ საზოგადოებასთან და თვითოეული მისი შემადგენლობის გულის სიღრმეში დავეძებ იმ კუნჭულებს, რომლებიც საშუალებას მაძლევენ სინამდვილით ავსახო ადამიანის რთული ფსიქოლოგიის რთული ელემენტები, თანამედროვე ცხოვრების პირობებში. მე სრულიად კმაყოფილი ვარ იმ გარემოებით, რომ საზოგადოების ახლო გაცნობის საშუალებით სინამდვილეს არ ვშორდები, ძნელად გასაგებ ფსიქოლოგიურ მომენტებში ასე თუ ისე ვერ-

<sup>1</sup> ალ. მიქაბერიძე, შიო არაგვისპირელი (მოგონების სახით), ლიტ. მუხეუნი, № 13 147-ბ.

კვება და შეძლებისდა გვარად ეს ფსიქოლოგიური მომენტები მხატვრული სახით ქალაქზე გადამაქვს და ვცდილობ ჩემი ნაწერების ეს მომენტები შეიგრძნონ და შეითვისონ. დიახ, მე საზოგადოებას სრულად არ გავეუბრებარ, პირიქით, სულ იმას ვცდილობ, უფრო მჭიდროდ დავუახლოვდე და შევიძინო მისგან. რის შეძენაც კი შესაძლებელია და ამრიგად ჩემს შემოქმედებას სალიტერატურო უფრო მეტი საფუძვლიანობა მოვეუბნოვ<sup>1</sup>.

თავის ამგვარ განწყობილებას, საზოგადოებისადმი გამუდმებულ ლტოლვას შიო არაგვისპირელი მხატვრულ შემოქმედებაშიც სხვადასხვა მოქმედი პირის საშუალებით მკვეთრად გამოხატავს.

ნიკუშისათვის ავიღოთ ეტიუდი „ნინიკას მთაზე“.

შვიდი ამხანაგი გადაწყვეტს, „ნინიკას მთის“ მწვერვალზე ავიდეს. გზა ცნელი და დილია. ოთხი ამხანაგი შუა გზიდან ჩამოშორდა. დანარჩენი სამიდანაც ორი ბოლომდე ვერ მიჰყვა. მთის წვერზე ასვლა მხოლოდ მწერალმა შესძლო. ბუნების სიუხვით მოხიბლული მიზანმიმართული მწერალი ცის შუა გულს მიკრულ მზეს ნაწყენი მიმართავს, როგორც ამხანაგებთან მისი მოგზაურობის ყველაფრის მხილველმა, უთხრას, მისი ჩამორჩენილი ამხანაგები მას ავად რატომ მოექცნენ. მზის პასუხის ნაცვლად, მას ქვესკნელიდან „ჯოჯოხეთური ხარხარი მოესმა“. შემკრთალმა მწერალმა ცას თვალი მოაშორა და თრთოლვით ქვევით ჩაიხედა და „შემზარავი სურათი“ იხილა: „მთელ არე-მარეს, — აკვიწერს მწერალი, — შავი სუდარა გადაფაროდა... მმოძრავი, აბობოქრებული... უზარმაზარი ტალღა ტალღას ეჯახებოდა... საშინელი ხარხარ-კისკისი, გმინვა-გრგვინვა ყურს მიჭედავდა და ამასთან ცეცხლის ალი, წყვდიადიდან ამონატყორცნი, თვალს მიბლანდავდა“<sup>2</sup>. თუ ძირს მიწაზე ეს საშინელება ხდებოდა, „ნინიკას მთაზე“ სიმშვიდე იყო — „ცა მოწმენდილი და ზედ უდარდელად მზე ნავარდობდა“.

მწერალი, მთის მწვერვალზე მდგომი, განცვიფრდა ასეთი საწინააღმდეგო სურათის ხილვით. ის შებოჭილი, გაშტერებული, ადგილიდან ვეღარ იძვროდა, სული ეხუთებოდა, მარტოობის საშინელ შიშს განიცდიდა. გარინდებული ველარაფერს ახერხებდა. ვედრება უნდოდა — ცრემლი თვალთაგან სდიოდა. სასოწარკვეთილი ვედრებას მიეცა: „ძალნო ცისანო, კიდევ მაჩვენე ჩემი მოძმენი და ასე მარტოს ნუ იშმატოვებ“<sup>3</sup>...

სასოწარკვეთილი და ძალამიხდილი მწერალი კარგა ხანს იყო პირველ დამბობილი, შემდეგ წამოჯდა, გაიხედა და მთის მწვერვალიდან

<sup>1</sup> აღ. ნიკუშისათვის, შიო არაგვისპირელი (მოგონების სახით), ლიტ. მუზეუმი, № 13 147-ბ.

<sup>2</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 208.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 209.

ოქროსფერი ნამკალები გაარჩია. გახარებულმა, სიცოცხლის ხიშნები რომ კვლავ იხილა, ბედნიერების განცდით წამოიძახა: „ოხ, ნეტარებავ, მაშ, კიდევ ვიხილავ ჩემს მოძმეებს, ჩემს ქვეყანას!“ და თავდავიწყებით ხალხისკენ დაეშვა.

შიო არაგვისპირელის ამ ნაწარმოების მიზანდასახულება ნათელი და გარკვეულია. ცხოვრების, ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე კაცი ვერ შეძლებს მშვიდობა და კმაყოფილება მოიპოვოს. ცხოვრების პირობები ადამიანთა შორის რაც უნდა მძიმე, საშიში იყოს, ის მაინც მიმზიდველი, ლამაზია, მხოლოდ რეალური ცხოვრების პირობებში, თავის მოძმეებთან საქმიანობა-ბრძოლაში შეიძლება მიეცეს შინაარსი, დაიხვეწოს და ამასთან დამშვიდება და კმაყოფილებაც განიცადოს.

ამ ნაწარმოებითაც შიო არაგვისპირელი საკმაო სიმძაფრით ეხმაურება ამ მეტად რთული, აქტუალური, ფილოსოფიური საკითხის გადაწყვეტაში თავის წინამორბედ-მასწავლებელთ — მე-19 საუკუნის პოეტ-განმანათლებლებს — ილ. ჭავჭავაძესა და ნიკ. ბარათაშვილს; ცხოვრებიდან გაქცევა, განდგომა კი არა. არამედ მასთან ყოფნა, მისი ავისა და კარგის მართებული, საღი გაგება, მისი განვითარება-გაუმჯობესებისათვის გამუდმებული შრომა და ბრძოლა ყოველი მოქალაქის პირდაპირი მოვალეობა და დანიშნულებაა. თვითული მოქალაქისათვის სახელმძღვანელოდ უნდა იყოს ნიკ. ბარათაშვილის გაწამებული გულისა და გონების წმინდა ნაეური:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“<sup>1</sup>

\* \* \*

შიო არაგვისპირელი მთელი თავისი არსებით მკვიდროდაა დაკავშირებული ხალხთან, მის ინტერესებთან, მის განწყობილებასთან. ის ღრმად იხედება ხალხის გულში, კარგად ხედავს, რომ საშინელი რეაქციის ხანაში, მართალია, ხალხი უხეში რეპრესიების ქვეშ ფრიად, შევიწროებულია, საგრძნობლადაც იჭეკება, მაგრამ ის გაუტეხელი, დაუმორჩილებელია, ის იბრძვის თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის და ამის იმედიც მას მხნედ ამოქმედებს. შიო არაგვისპირელიც, მიუხედავად მისი იდეური შეზღუდულობისა, მაინც მთლიანად ხალხის ამ განწყობილების თანამგრძობი-თანაზიარია. მწერლის ასეთი გან-

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1938, გვ. 30.

წყობილება მშვენივრად მეღვენდება მის ნაწარმოებში „ნიჯაკუ-ლი ამირანი“<sup>1</sup>.

ამბავში „მიჯაკული ამირანი“ შიო არაგვისპირელი სარგებლობს XIX და ნაწილობრივ XX საუკუნეების ქართველი მწერლებს მიერ გამოყენებული სიმბოლოთი — მიჯაკული ამირანის სახით, როგელიც ქართველი დამონებული ხალხის სიმბოლო იყო; იგი გათავისუფლების დაუშრეტელი, მძლავრი მისწრაფებით იყო აღჭურვილი. საგულესპმო ისიც, რომ შიო არაგვისპირელი მიჯაკული ამირანის სიმბოლოს 1905 წლის შემდეგ დაწყებულ მიმე რეაქციის ხანაშიც მიმართავს. სასტიკმა, მძვინვარე რეაქციამ ჩვენს დიდ ჰუმანისტ-დემოკრატ მწერალს ვერც ფიქრი და ვერც მიმართულება ვერ შეუცვალა. პირიქით, მისი მისწრაფებანი სინამდვილეკ თითქოს უფრო ვაამახვილა, გააძლიერა. მისი თანაგრძნობა ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი წამყვანი ძალებისადმი უფრო გარკვევით და აქტუალურად მიმართა. ამასთან მწერალი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ არა მარტო თვითონ მწერალია ასეთი მებრძოლი განწყობილებით, არამედ ხალხიც. რასაც მწერალი პაპა ფოცხვერას სახით მშვენივრად ააშკარავებს. პაპა ფოცხვერას სახით აქ განზოგადებულად წარმოდგენილია პროგრესულად მოაზროვნე, გაუტეხელი მშრომელი ხალხის მოკეთე, რომელსაც გამარჯვების იმედი არ დაუკარგავს. როგორიც თვით მწერალი, შიო არაგვისპირელი იყო.

ამირანი ავმა სულმა მარჯვენა ფეხითა და მარცხენა ხელით რკინის კლდეს მიაჯაჭვა, მარჯვენა ხელში კი რკინის ურო მიიბა. ყველა ეს შემბორკავი იარაღი ავმა სულმა ამირანის მოწაფეს, კოქლ ყარბის გამოაჭედვინა. მიჯაკული ამირანი ჯავრობს, შფოთავს, ბორგავს. განსაკუთრებით გაბოროტებულთა კოქლ ყარბისზე. მაგრამ მწერალი ჩაურთავს პაპა ფოცხვერას პირით. „...ამირანს ახლა სხვა ხსნა არა აქვს, გარდა თავის თავის მეცადინეობისა“<sup>2</sup>.

პაპა ფოცხვერას თქმაში, ექვევარეშეა. შიო არაგვისპირელი თავის პირად შეხედულებებსაც ააშკარავებს — ხალხმა გათავისუფლების, უკეთესი ცხოვრების პირობების მოპოვების საქმე თავის თავზე უნდა აიღოს. ამირანიც თავის დასახსნელად თავგამეტებით იბრძვის. არ ისვენებს, მთელი ძალით ანჯღრევს პალოს.

<sup>1</sup> შიო არაგვისპირელის შენიშვნა თე გვესათუერი — „მხოლოდ ერთი კარი პაპა ფოცხვერას ნაამობრძან“ სტილიური ნიშანთა მისი მხატვრული შემოქმედებისა. სინამდვილეში ეს ამბავიც თვით მწერლის ინდივიდუალურა შემოქმედების, მისი მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია, მისი დაკვირვებისა და განწყობილების ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია.

<sup>2</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 210.



მწერალი, ამირანის მდგომარეობის ჩვენებით, იძლევა 90-იან წლებში თავისუფლებისათვის ამხედრებული ხალხის რევოლუციურ მსვლელობას. პალო ოდნავ შეარყია კიდევ. ამ გარემოებამ ამირანი სინარულით ალაგსო, აიტაცა. რაც დრო გადის, ამირანი უფრო მეტად იბრძვის გათავისუფლებისათვის, პალოც თანდათან უფრო მეტად ირყევა, თითქმის მოძრობაზეა. ამირანს გათავისუფლების იმედი უძლიერდება. „მაშინ განთავისუფლებული ამირანი ააყვავებს ქვეყანას... მაშინ დადგება დაუსრულებელი ბედნიერება“<sup>1</sup>, — ამბობს პავა ფოცხვერა, ანუ ავტორი.

ამირანი არყევს პალოს, რკინის უროს ურტყამს. ამ ბრძოლაში არე-მარეც ახმაურდა. გაზაფხულის ჰაერი. (განახლების, გამარჯვების სიმბოლო) ამირანის გამოქვაბულშიც შეიჭრა. ამირანს „გული აუფანცქალდა და მოდუნდა“. ის სხვადასხვა სურნელებითა და ხმებით გაიჟლინთა, გაზაფხულის ჰაერით დაითრო.

ამირანის ერთგული ფინია (ხალხის იდეური მისწრაფება) წკავ-წკავით ცდილობს ამირანი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს, გამოაფხიზლოს. ამირანი, მართლაც, გამოფხიზლდება, პალოზე მკდომ უცხო ფრინველს დაინახავს. ამასთან ხედავს რა საცოდავად აწკმუტუნებულ ფინიას, ის იმედიანად შესძახებს: „ჩემო ფინიავ, ნუთუ გგონია, მაგ რალაც ფრინველმა თავის სიმძიმით პალო ჩაამაგროს?... ახლავე ჰნახავ, რა დღეს დავაყენებ“<sup>2</sup>... თქვა ეს თუ არა, ამირანმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ურო მოიქნია. პალოს ურო ზევიდან მოხვდა და უფრო ღრმად ჩაერჭო, ვიდრე პირველად იყო.

მწერალი ასე გვანიშნებს 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას — მძიმე რეაქციის დასაწყისს. „ჯერ, — განმარტავს მწერალი, — განთიადი არ გათავებულებო, რო უკვე შემოღამდა და გაზაფხულის მაგიერად ზამთრის სუნით გაიჟლინთა ჰაერი... ამირანი გაქვავდა... ფინია კი ატირდა და ამირანის მკერდზე ცრემლს აფრქვევდა... ამირანი, — განაგრძობს მწერალი, — ისევ აპირებს მხნედ შეუდგეს თავის განთავისუფლებას და მგონი, ისეთი შეუწყნარებელი შეცდომა კვლავ აღარ ჩაიდინოს!..“<sup>3</sup>.

ასეთია ამირანი, ე. ი. ამბოხებული, რევოლუციურად განწყობილი ხალხი — გაუტეხელი და გათავისუფლებისაკენ ენერგიულად მსწრაფი, რასაც მწერალი დიდი თანაგრძობითა და იმედით უყურებდა და მკითხველშიც ასეთ განწყობას ქმნიდა.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 210—211.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 211.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 212.



1905 წლის შემდეგ, რეაქციის ხანაში, თუ საზოგადოების ერთი ნაწილი მოუღუწდა, დაშინდა, რევოლუციური მოძრაობისადმი ინდიფერენტული გახდა, რეაქციის წისქვილზე წყალს ასხამდა, სამაგიეროდ მეორე ნაწილი, რა თქმა უნდა, მშრომელთა, უფრო კი მუშათა წრეები არ შედრკნენ, გათავისუფლების სურვილი და რევოლუციური განწყობილება უფრო გაიღრმავეს, იმედი უკეთესი, ბედნიერი მომავლისა განიმტკიცეს. ეს ის ნაწილია, რომელიც შესტრფის ქვეყანას, მის მიმზიდველობას, მისი ბუნების სილამაზეს და უნდა, რომ ამით ყველა ტკებოდეს. მაგრამ მას აღშფოთებენ და სიამოვნებას უშხამავენ ისინი. „რომლებიც არც ხნავენ, არც თესავენ და მაძლარნი კი არიან“. შიო არაგვისპირელის გაგებით, სწორედ ესენი არიან, ცხოვრებას რომ ამტუტებენ, სიცოცხლეს უმწარებენ მათ, „ვინც ხნავს და სთესავს“, ვინც შრომობს და ქმნის მატერიალურ დოვლათს და თვითონ კი ვერ სარგებლობს, ვისაც დაუნდობლად, უსამართლოდ, განურჩევლად ატუსაღებენ, აციმბირებენ და ჟღეტენ კიდეც.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში მკაფიოაა ნაჩვენები, რომ მშრომელმა ხალხმა გამოიღვიძა, განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან, როგორც აზვირთებული სტიქიური ძალა, ყოველივე კომპრომისის გარეშე ანგრევს დრომოქმულ, დახავსებულ წყობილებას, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების დასაძყარებლად.

მწერლის ასეთ შეხედულებას ადასტურებს მისი ეტიუდი „სამარცხვინო ბოძთან“, რომელშიც ნიჭიერადაა განსახიერებული კონკრეტული ტიპიური შემთხვევა ჩვენი ცხოვრებისა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ.

შიო არაგვისპირელის „სამარცხვინო ბოძთან“ დაიბეჭდა 1908 წელს გაზეთ „მზეში“, № 6; თედო სახოკია ამ ეტიუდს შიო არაგვისპირელის შემოქმედების II ტომში (გვ. 213) ასეთ შენიშვნას უკეთებს: „შიო არაგვისპირელს თავისი ხელით აქვს მიწერილი გაზეთიდან ამონაბეჭდზე: „ეს დაწერილია ჯორჯიაშვილის დახვრეტის დროს. ამის გამო გაზეთი დახურეს“. არსენ ჯორჯიაშვილმა რეაქციონერი გენერალი გრიაზნოვი მოკლა 1906 წელს მარტში. ჯორჯიაშვილიც იმავე წელს დახვრიტეს. ცხადია, ეტიუდიც იმავე, 1906 წელს არის დაწერილი, მისი დაბეჭდვა კი მხოლოდ 1908 წელს მოხერხდა.

შიო არაგვისპირელი ნათლად ხედავდა, რომ მშრომელი ხალხი, რომელიც გატაცებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, მომავლის აღამიანები იყვნენ, რომ ეს ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები ბედავდნენ ჩავკრის, ძალმომრეობის, უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას, ბრძოლას.

შიო არაგვისპირელს არსენა ჯორჯიაშვილი განსახიერებელი ჰყავს ეტიუდში „სამარცხვინო ბოძთან“ ჩიტა გუთნიაშვილის სახით, რომელიც ამართულ სამარცხვინო ბოძს მიყრდნობილი აღგზნებით და დაუოკებელი სიყვარულით შესცქეროდა გარემო მშვენიერ ბუნებას და „დაუშრეტელ სიცოცხლის წყურვილს გამოჰხატავდა“. რა თქმა უნდა, იგულისხმება ის, რომ „დაუშრეტელი სიცოცხლის წყურვილი“ საერთო იყო რევოლუციურად განწყობილი მშრომელი ხალხისთვისაც. იქ კი, სამარცხვინო ბოძთან (ე. ი. სახრჩობელასთან) ჩიტა გუთნიაშვილის წინ რამდენიმე თოფიანი სალდათი, სალდათების უფროსი, ბრალმდებელი, ექიმი და მღვდელი იდგნენ სამარცხვინო განაჩენის მოლოდინში.

შიო არაგვისპირელი ნოველაში „სამარცხვინო ბოძთან“ გვიხატავს ყველა იმ ძალას, სალდათებს უფროსით (სახელმწიფოს სამხედრო ძალა), ბრალმდებელს (სახელმწიფოს კანონიერების — სამართლის წარმომადგენელს), ექიმს (სახელმწიფოს ჯანმრთელობის მზრუნველს), მღვდელს (სულიერ აღმზრდელს) — რომელთაც ძველი წყობილება მთლიანად ეყრდნობოდა და სინამდვილეში გაყალბებული, არაჯანსაღი, უმართებულო ძალა იყო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ყველა ამ ძალას, ე. ი. სახელმწიფო წყობილებას შიო არაგვისპირელი მოუხრიდებლად ამხილებს.

აი, ბრალმდებელმა ჩიტა გუთნიაშვილს განაჩენი წაუკითხა, ექიმმა თავისი დასტური მისცა — განაჩენის სისრულეში მოყვანას არაფერი უშლის ხელს. ამის შემდეგ „სულიერი მამა“ — „მოძღვარი“ ჩიტასთან ჯვრით მიდის, პირჯვარს გადასწერს და შესთავაზებს ჯვარს ემთხვიოს. რა საშინლად, დამცინავად, ამაღლეველად გამოიყურება მთელი ეს ყალბი, არაადამიანური, უსულგულო, ფორმალური ცერემონია, რომელსაც ხელისუფლება ატარებდა ხალხის თვალის ასახვევად.

ბევრის მთქმელია მოძღვარსა და ჩიტა გუთნიაშვილს შორის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დიალოგი:

— „ვეილო, შეინანიე შენი ცოდვანი და გაგიაღვილდება უფლისა ჩვენისა წინაშე წარდგომა!..

— მამაო, — ლმობიერად უპასუხა ჩიტამ: — თუ რამ ჩავიდინე, მხოლოდ ამათ ჩამადენინეს... მე კი...

— ემთხვიე, შეილო, ჯვარს!.. — ლმობიერადვე მიმართა მოძღვარმა ჩიტას.

— ოჰ, მამაო... ოდესღაც ეგ ჯვარი, რომელსაც ასე მოწიწებით

და თაყვანისცემით მსურს ვემთხვიო, სამარცხვინოდ ითვლებოდა, როგორც ახლა ეს ბოძი... იქნება ოდესმე ეს ბოძიც...“<sup>1</sup>.

მოძღვარი აღარ აცლის ჩიტას დაამთავროს თავისი აზრი, — რომ ეს პაპიც, რომელზედაც აკრავენ ჩიტა გუთნიაშვილს, ოდესმე, და შეიძლება სულ ახლო მომავალში, სადიდებელი და სათაყვანებელი იქნეს, — და წინადადებას აძლევს, ჩიტამ თავისი უკანასკნელი სურვილი თქვას, თანაც პირდება, რომ აუსრულებენ.

ჩიტა გუთნიაშვილმა კარგად იცის, რა ფასიცა აქვს ხელისუფლების დაპირებას, საერთოდ, და კერძოდ, ამ დაპირებას; მაგრამ მაინც ჰურს მოცემული უფლება გამოიყენოს და ხმამაღლა, მართლაც თავის სანუჯავარ უკანასკნელ სურვილს იქ მდგომთ ასე შესძახებს: „მაშ, ძმებო... მოდიეთ და ერთად წავიდეთ, მეც თქვენ გვერდით ამოგიდგებით და იარაღით ხელში ხალხის მტერს დავეცნეთ...“<sup>2</sup>

მაგრამ ჩიტა გუთნიაშვილს სიტყვა შეაწყვეტინეს, ჩიტა გუთნიაშვილს ამ სურვილს თუ მოწოდებას, ცხადია, შიო არაგვისპირელიც თანაუგრძნობს. ჩანს, ეს მოწოდება მწერალსაც დროულად მიაჩნია. 900-იან წლებში, როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, შიო არაგვისპირელიც განმათავისუფლებელ-რევოლუციურ მოძრაობასთან შედარებით ახლოს მიდის. ის არა მარტო იდეურად თანაუგრძნობს რევოლუციურ მოძრაობას, ამ მიმართულებით ამოქმედებულ მშრომელ ხალხს, არამედ მათში ხედავს მომავლის მოქალაქეებს, ხეალის ადამიანებს და მათ თავის ხმასაც უერთებს, თუმცა აქაც იდეოლოგიური შეზღუდულობა მწერალს ხელს უშლის აქტუალური მოვლენა სათანადოდ გააღრმავოს.

შიო არაგვისპირელის „სამარცხვინო ბოძთან“... მძლავრი პოლიტიკური პამფლეტი იყო თავის დროზე და მკითხველიც მას ასე იღებდა.

მწერალს სურს, არსებული სახელმწიფოებრივი წყობილება დაამციროს, გაამსხარაოს, მისადმი ნდობა მკითხველს სრულიად დაუკარგოს, ხოლო ამასთან რევოლუციონერის — მებრძოლის სახე, მისი რწმენისა და გზის სიმტკიცე, მისი გაბედულება, ძლიერი ნებისყოფა, თავშეკავება მკვეთრად და მიმზიდველად გამოაჩინოს.

სწორედ მაშინ, როდესაც სალდათებმა თოფები გასასროლად მოამზადეს, ჩიტამ ხელი გაიქნია: „არა... არა!.. ცხვირის მოხოცვა მინდა. ცხვირსახოცი ციხეში დამრჩა და იქნება ჭიბეში ქალაღლი მაინც გქონდეთ, რომ იმით მოვიხოცო“<sup>3</sup>... ჩიტას ცხვირსახოცი. მიაწოდეს. მან ღიმილით ცხვირი დინჯად მოიხოცა და ყველას გასაგონად, ხმა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 214.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 214—215.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 215.

მალა წამოაძახა: „აი, რა სურვილის აღსრულება შესძლებიათ!...“  
ნიტას ერთპიროვნულად რვა თოფი ესროლეს.

ასე შთაბეჭდვად ამთავრებს შიო არაგვისპირელი ამ უსამართ-  
ლო, შექაპარწუნებელ, ხოლო მეფის რუსეთში, თამამად შეიძლება  
იაქვას. ჩვეულებრივ ტრაგედიას.

ეტიუდის „სამარცხინო ბოძთან“ იდეა და მიზანდასახულობა  
მკითხველს მკვეთრად ზედმეტად გულში და ძალუმაღ აღვივებდა და  
აღრმავებდა მის სიძულვილს; შეუთრებელ განწყობილებას არსებუ-  
ლი სახელმწიფოებრივი, სოციალური და პოლიტიკური წყობილები-  
სადმი.

და არა მარტო ეტიუდი „სამარცხინო ბოძთან“, არამედ შიო  
არაგვისპირელის მთელი შემოქმედება, მისი ყოველი ნაწარმოების  
ყოველი სტრიქონი ძალუმაღაა გაყვნილი უხამსი, უგვანი ცხოვრე-  
ბის ღრმა, უტყუარი ჩვენებით და მისდამი უარყოფითა და სიძულ-  
ვილით.

შიო არაგვისპირელს სიცოცხლე, ცხოვრება ძალზედ სწყურია. ის  
მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობს დასძლიოს ეს საშინელი  
სინამდვილე და მკითხველსაც დააძლევინოს. ამას ის ახერხებს თავი-  
სი მხატვრული შემოქმედებით, ერთი შეხედვით თითქოს რბილი, მაგ-  
რამ სინამდვილეში მწვავე სატირით. სიცილი ხომ ერთგვარი გამარ-  
ჯებაა, დაძლევა მისი, რასაც ჩვენ დავცინით, სასაცილოდ ვხვდით.  
სიცილით ერთგვარად ვასუსტებთ მწუხარებას, სევდას, მისგან ერთ-  
გვარ განტვირთვას, შვებას განვიცდით.

შიო არაგვისპირელი თავისი შემოქმედების მძლავრი სატირული  
იერით მკითხველს საშუალებას აძლევს ჩაწვდეს ცხოვრების შემადრ-  
წუნებელ სინამდვილეს, სადაც ის აღმფრთხილებითა და სევდით ივსე-  
ბოდა. ამას ჩვენი მწერალი გვიჩვენებს თავისი მოხდენილი იუმორის  
შუქზე, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს არა მარტო დასძლიოს  
შემადრწუნებელი სურათი, არამედ კარგად იგრძნოს; რომ ეს უმსგავ-  
სობა წარმავალია, რომ მის მიღმა მტკიცდება რწმენა უკეთესისა, რწმე-  
ნა, რომ ადამიანი გაიმარჯვებს. შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში  
მკითხველს ესმის მოწოდება ბრძოლისაკენ, შურისძიებისაკენ, გამარ-  
ჯვებისაკენ.

მართლაც, მკითხველის წინაშე საკითხი ალტერნატივულად ისმე-  
ბა — კაცი ან უნდა შეურიგდეს არსებულ სინამდვილეს, მდგომარე-  
ობას დაემორჩილოს, უაზროდ, უსახლოდ განადგურდეს, ანდა რჩება  
ერთადერთი გზა — აუცილებლად უნდა გარდაიქმნას ცხოვრება ახა-  
ლი, ხალხის მასების ბედნიერი ცხოვრების შექმნის საფუძველზე, რაც

მოქალაქისაგან მოითხოვს გაბედულ, თუ საჭირო იქნება, თავგანწირული ბრძოლის აუცილებლობას (ჩიტა გუთნიაშვილი).

მკითხველი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში კარგად გრძნობდა, თითქოს, თანაყოფილ სულ სხვა, მომავლის მაღალ, სამართლიანი ცხოვრების სახეს (თედო გელაშვილი, ჩიტა გუთნიაშვილი და სხვ.) და მწერალიც ამ მომავლის თვალთ უყურებს თანადროულობას, როგორც წარმავალს, დრომოკმულს, მოსაბეზრებელს, გაცვეთილს. მკითხველი კარგად გრძნობს, რომ არსებული, ძველი ფორმები, როგორც შეუფერებელი, გამოუსადეგარი, ცხოვრების წინსვლისათვის შემაფერხებელია. ცხოვრებაში ყველაფერი ახლებურად უნდა მოეწყოს.

ამიტომ შიო არაგვისპირელის ყაჩაღი მიხოს, ჩიტა გუთნიაშვილის, თედო გელაშვილის შეგნებაში ამ მოახლოებული, ახალი ცხოვრების სურათები კიაფობს რაღაც სხვა სილამაზით, სხვა მიმზიდველობით. ესენი გატაცებით მიისწრაფვიან იმ საოცნებო ხვალისდელი დღისაკენ, რომელიც დღევანდელ სინამდვილეს აუცილებლად შესცვლის.

შიო არაგვისპირელის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მკითხველში სევდას, წუწუნს კი არ იწვევს, არამედ მასში უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის აუცილებელ იმპულსს აძლიერებს, ამტკიცებს. თვით ცხოვრების შავი ფერებით დახატვით შიო არაგვისპირელი უარყოფდა არსებული სინამდვილის შემბორკავ, შავბნელ პირობებს და ამით მკითხველს ნათელი, სამართლიანი, ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისაკენ შეგნებულად, დამაჯერებლად მოუწოდებდა და მასში მისწრაფებასაც ძალუმად აღვივებდა.

შიო არაგვისპირელის სემინარიელი ამხანაგის, მისი თანამოკალმის, ჩვენი მწერლის ია ეკალაძის შეფასებაში შეიძლება გადაჭარბებას არ ჰქონდეს ადგილი: „შიო არაგვისპირელი — წერს ია ეკალაძე, — ერთი რჩეულთაგანია ქართველ მწერალთა შორის, ვინაიდან ვერ მიჩვენებთ ვერც ერთს მის ნაწარმოებს, რომ სათნოების ცრემლით განბანილი და კაცთმოყვარეობის გრძნობით არ იყოს გაშუქებული. ასეთი ხელოვნება კი ძლიერია, ვით ხმა ქვეყნისა, უკვდავია, ვით გულისთქმა ერისა, მყარია, ვით კვარცხლბეკი იალბუზისა და გამათბობელია, ვით მზე, ჩვენი ლამაზი სამშობლოსი“<sup>1</sup>.

შიო არაგვისპირელის შემოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და დამსახურება კიდევ იმით არის უფრო მნიშვნელოვანი, რომ იმ დროს, მძიმე რეაქციის პერიოდში, ბრძოლის გარდუევალობა და,

<sup>1</sup> ია ეკალაძე, შიო არაგვისპირელის გავლენა მაშინდელ სემინარიელთა ლიტერატურის წრეზე, ლიტ. მუზეუმი, № 7 007-ბ.

რასაკვირველია, მისი გამარჯვება მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს სწამდა.

ცხადია, შიო არაგვისპირელი მებრძოლი მწერალი იყო, თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მწერლის შეზღუდული წვრილბურთუხიული მსოფლმხედველობის გამო, მისი მებრძოლი განწყობილება რევოლუციურ სიმაღლემდე ვერ ავიდა.

### III. შიო არაგვისპირელის შემოქმედების სტილისათვის

შიო არაგვისპირელის შემოქმედების იდეურ ანალიზს რომ ვაწარმოებდით, ბუნებრივია, გზადაგზა აუცილებელი ხდებოდა მწერლის მხატვრული შემოქმედების ზოგიერთ დამახასიათებელ სტილისტურ ნიშანზეც გავემახვილებინა ყურადღება, როგორცაა ცხოვრების მოვლენებსა და ადამიანთა გრძნობებში ღრმად ჩაწვდომა, ფსიქოლოგიზმი, ჰუმანიზმი, საკაცობრიო მოტივები, მწერლის სკეპტიციზმი, ლირიზმი, იდეურობა, იგავური ენა, კონტრასტებით აზროვნება თუ ხატვა და სხვ.

შიო არაგვისპირელის მხატვრული პალიტრა, როგორც ნათლად შეიძლება დავინახოთ ზემონათქვამიდანაც, მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი საფუძვლიანად დამუშავება კიდევ სპეციალურ შრომასა და დროს მოითხოვს.

წინამდებარე შრომაში საჭიროდ ვთვლით შიო არაგვისპირელის მხატვრული შემოქმედების კიდევ ზოგიერთ სტილისტურ ნიშანზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

#### 1. ნოველა — შიო არაგვისპირელის შემოქმედების ძირითადი ჟანრი

შიო არაგვისპირელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი და წამყვანი სტილისტური ნიშანი ნოველის ნიჟიერი გამოყენებაა. ნოველას ლიტერატურაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ისტორიულ პირობათა ცვლებადობასთან, კლასობრივ ბრძოლასთან დაკავშირებით მას ახასიათებს ღრმა ცვლილებანი როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ, ცნობილია — იტალიაში — ბოკაჩიოს „დეკამერონი“, საფრანგეთში — მარგარიტა ნავარიელის „ასი ნოველა“, საქართველოში — „რუსუდანისანი“, ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ.

ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, ახალი ცხოვრების პირობებში, XIX საუკუნეში საზოგადოებრივი ცხოვრების სწრაფ და რთულ განვითარებასთან დაკავშირებით, ქართულ ლიტერატურაში ნოველა კვლავ აღორძინდა. ის ნოყიერ ნიადაგს პოულობს.

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ნოველა ბრწყინვალედ ვრცელდება როგორც დასავლეთ ევროპაში (გო-დე-მოპასანი — საფრანგეთში, მარკ ტვენის — ამერიკაში, პოლ გიეიზე — გერმანიაში და სხვ.), ისე რუსეთსა (ა. ჩეხოვი, მ. გორკი, ნ. სალტიკოვ-შჩედრინი, ვ. კოროლენკო და სხვ.) და საქართველოშიც (შოთა რაგვისპირელი და მისი მრავალი მიმდევარი).

ნოველა მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: მოთხრობა, ზღაპარი, არაკი, იგავი და ა. შ. ნოველა შოთა რაგვისპირელთანაც სხვადასხვა ქვესახეობითაა მოცემული: ნოველა, ეტიუდი, მოთხრობა, ესკიზი, ამბავი, სურათი.

ნოველის ჟანრის ცნებისა და თვისებების შესახებ მეცნიერულ-კრიტიკულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებაა. ძირითადი ნიშნები, რაშიც მკვლევართა უმრავლესობა თითქოს შეთანხმებულია, შემდეგია: ნოველა რეალისტური ნაწარმოებია, ის ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული მოვლენის შემცველი მცირე მოცულობის ამბავია, რომელიც ხასიათდება აჩქარებული, დაჭიმული მოქმედების მთლიანობითა და უშუალო აღქმით.

ნოველა ჩვეულებრივ ისაზღვრება მოქმედი პირის ცხოვრებიდან აღებული ერთი კონკრეტული, მისთვის დამახასიათებელი შეკუმშული ეპიზოდით და მონაწილეთა განსაზღვრული, მეტად მცირე წრით. მასში, რომანისაგან განსხვავებით, არაა მოცემული სრული სურათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ან მორალური მდგომარეობისა. მ. ლემანის მართებული განმარტებით, ნოველა რომანისაგან განსხვავდება მოქმედების მკაცრი მთლიანობით და გამორიცხავს ჩანართსა და პარალელურ მოქმედებას. ამიტომ ნოველას არ ახასიათებს სიუჟეტის რთული და ვრცელი განვითარება. მასში თითქოს უგულვებელყოფილია ის, რასაც ჩვეულებრივი საუბრის დროს მკითხველი უცებ იჭერს, აღიქვამს და იხსომებს.

ნოველის გმირთა განსახიერებაში მკაფიოდაა მოცემული მათი სოციალური ქცევის ერთი რომელიმე, თუნდაც, რა თქმა უნდა, წამყვანი მხარე. ეს გარემოება მოითხოვს ნოველის სიუჟეტის სპეციფიკურ, ინტენსიურ, მკაცრ შეკუმშვა-შემჭიდროებას. ნოველის განვითარება სწრაფია, ენერგიულია, მოცემულია ადგილისა და დროის მთლიანობაში.

მეტად საგულისხმოა რუსული ლიტერატურის გენიალური კრიტიკოსის ბეს. ბელინსკის მიერ ნოველის (повесть) განმარტება: «Есть события, есть случаи, которых так сказать, не хватало бы на драму, не стало бы на роман, но которые глубоки, кото-





ასევეა მხატვრულ ლიტერატურაშიც. ასევეა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაშიც, მისი ნოველების ქვესათაურების (ეტიუდი, ესკიზი, სურათი, ამბავი, და ა. შ.) ბუნება და გაგება. შიო არაგვისპირელის შემოქმედებიდან რომელი ნაწარმოებიც არ უნდა ავიღოთ, ნოველის აღნიშნულ ნიშნებსა და მის მხატვრულ სრულყოფაში დავრწმუნდებით.

შიო არაგვისპირელის ნაწარმოებები, მისი დრამებისა და რომანის „გ ა ბ ზ ა რ უ ლ ი გ უ ლ ი ს“ გარდა, ყველა მცირე მოცულობისაა. ყველა ერთი რომელიმე მთავარი ეპიზოდის საფუძველზეა აგებული, მოქმედ პირთა უაღრესად მცირე რიცხვით (1—3 პერსონაჟი), სიუჟეტის ფრიად მძაფრი გაშლით, რასაც ხელს უწყობს ნოველისათვის დამახასიათებელი ზუსტი ნიშნების შემცველი მათი კომპოზიციური აღნაგობა.

ნიშნისათვის ავიღოთ შიო არაგვისპირელის ნოველა „მ ა მ ა ს მ ი წ ა მ ი ვ ა ყ ა ლ ე თ!“..

მწერლის მიზანია მკითხველს აჩვენოს ჩვენი სოფლის, ჩვენი მდებო ხალხის — გლეხის ჩამორჩენილი, შევიწროებული, უპატრონო მდგომარეობა. მისი ცხოვრებიდან აღებულია ერთი ტიპიური ეპიზოდი. სოფელს ხოლერა მოედო. მოსახლეობა უძლურია მასთან ბრძოლაში: ის უვიცია, უბირი, ჩამორჩენილი, ლატაკი; მას მზრუნველი, მფარველი, დამხმარე, გზის გამხსნელი არ გააჩნია. ამ უბედურების დროს მოსახლეობა უგზო-უკვლოდ, ვინც როგორ ახერხებს, სოფლიდან გარბის, იხიზნება. სოფელში დარჩენილან დაავადებულნი და მოძმეთათვის თავდადებული ორი მესაფლავე გლეხი. ადამიანები უმოწყალოდ იხოცებიან. ესაა ამ ნოველის მოსამზადებელი, გამააზრებელი ნაწილი, ე. წ. Vorgeschichte.

ნაწარმოებში აღძრული პრობლემის თვალსაჩინოების მიზნით აღებულია ერთი მომენტი არსებული მდგომარეობიდან: ესაა თვით ამბავი, ე. წ. Geschichte, რომელზედაც ძირითადად აგებულია ნოველა.

ხოლერით მიძიმედ დაავადებული გლეხი ს ო ს ი კ ა დატოვებულია ცოლის. მ ა რ თ ი კ ო ს ა და ოთხი წლის გოგონას ს ო ფ ა ს ა მარა. ავადმყოფობასთან ბრძოლაში უილაჯო მართიკო მარცხდება; ქმარს ვერ გადაარჩენს, სოსიკა კვდება. ასეთ მდგომარეობაში უილაჯო მართიკოს არავითარი საშუალება არ აქვს ჩვეულების თანახმად მიცვალებულის წინაშე უკანასკნელი ვალი მოიხადოს. სოსიკას კუბოსაც კი ვერ უკეთებენ. ორმა მესაფლავემ, სოსიკას ცოლის დანმარებით, ლეიბით ასწია მიცვალებული, დადო ურემზე და დასამარხად წაასვენა:

იცის რა, რომ ამ ორ მესაფლავეს ბევრი მუშაობა უხდებოთ. ქმარის წინაშე ვალმოუხდელობით შემფოთებული, გონებადაბნეული მართი-

კო, სასაფლაოდან დაბრუნებული, სასოწარკვეთილებით შეეკითხება — ხომ კარგად მიაყარეს მიწა სოსიკას, ხომ არ გახადეს სამგლედ. მესაფლავეთ გულახდილად უპასუხეს, რომ ამ დღეს მათ სამს გაუთხარეს საფლავი, უზომოდ დაილაღნენ, ამიტომ სოსიკას მიწა ნახევრად მიაყარეს. ახლა წავიდეს მართიკო და მიწა თითონ მიაყაროს.

ხოლერამოდებული მართიკო თავის ოთხი წლის სოფას წაიყვანს და დედა-შვილი თავიანთი ხელით ამოავსებენ სოსიკას საფლავს.

მძიმედ დაავადებული მართიკოც პატარა სოფას ამარაა დარჩენილი. პატარა გოგონაც, რაც შეუძლია, უვლის მომაკვდავ დედას. მართიკო, გრძნობს რა თავის მძიმე მდგომარეობას, შვილს უფრთხილდება, ეუბნება, გარეთ გავიდეს, რომ ავადმყოფობა მასაც არ გადაედოს. პატარა სოფა დაბნეულია, არ იცის, როგორ მოიქცეს. დამწუხრებული ბოძს აეყუდება.

ამ დროს მოდის სოსიკას ძმა, მას ძმის სიკვდილი გაუგია და სევდამორეული ეკითხება სოფას: „გოგო, მამა რა უყავ?“ გაოგნებული სოფა გულამოსკვნით წამოიძახებს: „მამას მიწა მივაყალეთ!..“

აქაა სოფლის მოსახლეობის — გლეხის ცხოვრებიდან აღებული ტიპური ეპიზოდის შეკუმშული, შთამბეჭდავ ხაზებში განვითარების კულმინაცია და გამოხსნაც. აქვეა დასასრულიც, ე. წ. Nachgeschichte. მკითხველი ამ ერთი კონკრეტული მოვლენის ასახვით რწმუნდება, რომ გლეხი უილაჯოა, მას არ შეუძლია თავზე დატეხილ დაბრკოლება-უბედურებასთან ბრძოლა. ის არაადამიანურად იჭეჭყება, ადვილად ისპობა, როგორც დიდი ილ. ჭკვკვაძე იტყოდა, „მოუწყობელი და უთავბოლო ცხოვრების“ პირობების გამო. უპატრონოდ დარჩენილი ოთხი წლის ბავშვიც კი ჩაბმულია ცხოვრების ორომტრიალში.

პაწია გოგონას ამონაკენესი — „მამას მიწა მივაყალეთ!..“ თავზარდამცემ, გულისგამგმირავ, სამგლოვიარო აკორდად ესმის მკითხველის ყურსა და გულს და ცხოვლად განაცდევინებს ჩვენი სოფლის, მშრომელი გლეხის ცხოვრების აუტანელი, არაადამიანური პირობების შეცვლის, გარდაქმნის, აუცილებლობას, რაც მწერლის მიზანდასახულებას ემსახურება.

ამგვარივე ხერხითაა (ზოგან უფრო რთულად, ზოგან შეიძლება უფრო მარტივადაც) გაშლილი შიო არაგვისპირელის ყველა ნოველა („ესაა ჩვენი ცხოვრება!..“ „მოგონება“, „აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „მხრები-ლა ავიჩეჩე...“, „ბალი ყოფილხარ“, „არ გვინდა, არა!“, „ადე, ჩამოვიდა!..“ და მრავალი სხვ.), რასაც მკითხველი წინამდებარე შრომის წინა ნაწილიდან — შიო არაგვისპირელის შემოქმედების იდეურ-თემატიკური ანალიზიდანაც აშკარად დაინახავდა.

შიო არაგვისპირელის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი თავსებულებაა ნაწარმოებთა დასათაურება. ამ მიმართულებითაც მან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, განსაკუთრებით კი მწერლებისა. ამ მხრივ შიო არაგვისპირელს მიმდევრები, მიმბაძველები გაუჩნდნენ როგორც ახალგაზრდებიდან — თ. ხუსკივაძის, ილ. ზურაბიშვილის (ელეფთერიძის), ივ. ზურაბიშვილის, ია ეკალაძის (ცინცაძის), ა. დეკანოზიშვილის და სხვათა სახით, ისე წინამორბედი თაობებიდანაც — სოფ. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი და სხვანი.

ნაწარმოებისათვის სათაურს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვაშიჩენილი რუსი დრამატურგი ა. ნ. ოსტროვსკი ნაწარმოების დასათაურების შესახებ ასე წერდა დამწყებ მწერალს ნ. ი. სოლოვიოვს:

«Мы не подберем названия, — что это значит? Это значит, что идея пьесы не ясна; что сюжет не освящен как следует, что в нем трудно разобраться; что самое существование пьесы не оправдано; зачем она написана, что нового хочет сказать автор;»<sup>1</sup>

სათაური მკითხველს პირველ შთაბეჭდილებას აძლევს: ის ადვილად ეხერხება, ამოქმედებს მკითხველის ფანტაზიას, წარმოიდგინოს, როგორი იქნება ნაწარმოების შინაარსი. სათაური მკითხველს ეხმარება ყურადღება გარკვეული მიმართულებით წარმართოს, განსაკუთრებით როცა სათაური ნაწარმოების ტექსტის მეშვეობით, ხშირად მთავარი მოქმედი პირის მიერაა განმტკიცებული, როგორც ეს შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში გვაქვს ხოლმე. მკითხველს არა მარტო შინაარსის გაგებაში, მის დაზუსტებაში ეხმარება, არამედ მწერლის განწყობილების მიმართულების ადვილად ათვისებაშიც. როგორც ჩვეულებრივი მოხსენების, კრიტიკულ-პუბლიცისტურა წერილის, ისე მხატვრული ნაწარმოების სათაური, მკითხველს უაღვილებს მოხსენებისა და წერილების შინაარსისა და მიზნის სწორად და ადვილად გაგებას, ისე სათაურს აგრეთვე არანაკლები მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების იდეის, მიზანდასახულობისა და მოცემული მხატვრული ზეგნების მართებული ათვისებისათვის.

შობღენილ, აზრიან სათაურს მკითხველი თავიდანვე მწერლის მიერ

<sup>1</sup> А. Н. Островский, Письмо к Н. Я. Соловьеву от 2 октября 1860 г.

შექმნილ მხატვრულ სამყაროში გადაჰყავს. ამიტომაც ლიტერატურის ლუორიაში სათაური არსებითი კომპოზიციური ნაწილია, ან ხერხი, ნაწარმოების თემატიკით შეპირობებული. რამდენადაც სათაური შეპირობებულია ნაწარმოების თემატიკაში მოცემული სოციალური ფსიქოლოგიით, ქვეყნის, მწერლის ეპოქისათვის საჭირო დავალებით თუ დაკვეთით, ის იმდენად დეტერმინებული კომპონენტია სტილისა. სათაური ხშირად აშკარად კი არა, არამედ მხოლოდ მინიშნებით გამოხატავს ნაწარმოებში მოცემულ მწერლის აზრს, მიმართულებას, შინაარსს.

ნაწარმოების დასათაურების სხვადასხვა სახეს ვხვდებით:

სათაური ჩვეულებრივ ნაწარმოებს წამძღვარებული აქვს, თავიდანვეა გამოცხადებული და ტექსტის — შინაარსის მთელ მანძილზე ოანმიმდევრულად მიჰყვება. ვლინდება და მკითხველიც, ბუნებრივია, კითხვისას ყურადღებას მასზე ადვილად ამახვილებს, მაგალითად, ილ. ქავჭავაძის — „მგზავრის წერილები“, „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, ანუ „კაკო ყაჩაღი“, „ოთარანთ ქვრივი“; ავ. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, „ჩემი თავგადასავალი“; დავით კლდიაშვილის „საძანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“ და სხვ.

შეიძლება ნაწარმოებს წინ წამძღვარებული სათაური გადატანილი იგავური მნიშვნელობით ჰქონდეს; მაგალითად, ილ. ქავჭავაძის „აჩრდილი“, ავ. წერეთლის „განთიადი“, შიო არგვისპირელის „ვაზბარული გული“, გლადკოვის „ცემენტი“, შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“ და სხვ. ამგვარი სათაური მკითხველში ყურადღების დაბაძვას, მძაფრ ინტერესს იწვევს და დასასრულიც მეტ ეფექტს იძლევა.

არის მესამე ტიპის სათაურიც. ნაწარმოების მოცემული სათაური ოუბცა მოხდენილია, მაგრამ დასაწყისში მკითხველისათვის გაურკვეველია, სამაგიეროდ, მკითხველის ყურადღება თავიდანვე უფრო დაბაძულია, სანამ ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებაში, უფრო ხშირად მის დასასრულს, სათაური ბუნებრივად და მკვეთრად არ დაიბადება, რაც ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის საშუალებით სიტყვიერად გამოითქმის. ნაპოვნი შესაფერი სათაური აშკარა და ნათელს ხდის ნაწარმოების დედააზრს. მწერლის მიზანდასახულობას, ნაწარმოების ფაბულასაც კარგად კრავს, მოვლენაზე დაკვირვებას ლაკონიურად — მკაფიოდ აჯამებს და მკითხველის შთაბეჭდილებასაც უფრო ამახვილებს.

შიო არგვისპირელის ნოველებს თითქმის ყოველთვის, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ამგვარი, მესამე ტიპის დასათაურება ახასიათებს. მაგალითად, „ესაა ჩვენი ცხოვრება!..“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!..“, „მომილოცნია ახალი წელი!..“, „ხითხითებს და ხითხი-

თებს...“ „სამარცხვინო ბოძთან“, „ბალღი ყოფილხარ!..“ „ადე, ჩამოვიდა!..“ და სხვ.

ნიმუშისათვის ავიღოთ შიო არაგვისპირელის ნოველა თუ ეტიუდი „ე ს ა ა ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა!...“ ამ დამაფიქრებელი სათაურის მიხედვით მკითხველი თითქმის წინასწარ ხვდება, რომ ნაწარმოებში ადამიანის სიცოცხლისა თუ პიროვნების პრობლემაა მოცემული. კარგადაა ცნობილი შიო არაგვისპირელის მოღვაწეობის ეპოქაში — მეფის რუსეთში კაცი არ ფასდებოდა, განსაკუთრებით კი — ქალი. ის მოქალაქის მცირე უფლებებსაც მოკლებული იყო. კაცს, რა თქმა უნდა, უფრო კი დაბალი ფენის წარმომადგენელს, როგორც ხშირად რუსეთის მოწინავე პრესაში და მხატვრულ შემოქმედებაში აღშფოთებით აღინიშნებოდა ხოლმე, მმართველი წრეები უყურებდნენ, როგორც „საზარბაზნე ხორცს“. მე-19 საუკუნის დასასრულსაც კი რუსეთი წარმომადგენდა დაბალი განვითარების, აგრარულ, ჩამორჩენილი მრეწველობის ქვეყანას. ამ დროს მისი პოლიტიკური დამცველი და ეკონომიურად მსახურდობელი სწორედ გლეხკაცობა იყო. მიუხედავად ამისა, რუსეთი არ უფროთხილდებოდა ამ თავის დასაყრდენს. გლეხს ერთნაირად ავიწროებდა სახელმწიფოს დაბალი თუ მაღალი მოხელე, ისინი არ ზოგავდნენ მის სიცოცხლესაც კი.

შიო არაგვისპირელი მტკივნეულად განიცდიდა ხალხის მდგომა-რობას და აღშფოთებას შთამაგონებლად ააშკარავებდა თავის შემოქმედებაში, კერძოდ ეტიუდში „ე ს ა ა ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა!...“

აქ აღებულია ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი ხელისუფლების გლეხკაცობისადმი არაადამიანური, დაუდევარი დამოკიდებულებისა.

ტრადიციის მიხედვით, ხალხი, ბატონი თუ ყმა, მდიდარი თუ ღარიბი საახალწლოდ „ბედნიერი დღის დასაკვეთად“ ემზადებოდა. გასაგებია, ყველაზე მეტად „ბედნიერი დღე“ — ცხოვრების ადამიანური პირობები სწყურია გლეხკაცს. ეკონომიურად შევიწროებული იძულებულია, თავს ძალა დაატანოს, ზედმეტი წაიმუშაოს, რომ ამ დღეს შესაფერისად შეხვდეს. გლეხს, სხვა საშუალება რომ არა აქვს, ახალი წლის წინა დღეს, ქალაქში შეშა მიაქვს გასაყიდად. აღებული საფასურით შინაურებისათვის საახალწლო საჩუქრებს ყიდულობს, — ვინ ფეხსაცმელს, ვინ გარმონს, ვინ საკაბეს. ამასობაში ღამდება კიდევ. გლეხებს უნდათ, სახლში განთიადისას მაინც დაბრუნდნენ. დაღლას არ მიაქცევენ ყურადღებას, გაუდგებიან შინისაკენ მიმავალ გზას. მეურმეებს წინ მიუძღვის ახალგაზრდა სიმწო. გზაში დაქანცულ მეურმეებს ჩაეძინებათ. სიმწოსაც მოერევა ძილი და ჩასთვლემს.

სწორედ ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან მოგრიალებს ფოსტა ორი ჩაფრის თანხლებით. ჩაფრები, გლეხთა გაფრთხილების გარეშე, მოურიდებლად და დაუნდობლად გადაუჭერენ გლეხებს მათრახს.

მთვლემარე სიმნო კოფოდან ვარდება და თხრილში ეცემა, სხვა გლეხებიც აიშლებიან. გონს რომ მოვლენ, ყველა თავ-თავის ურემს მონახავს. ერთი ურემი განზე დგას განმარტობებული. მოიკითხავენ და სიმნოსი აღმოჩნდება. შემდეგ კი თხრილში მკვდარ სიმნოსაც იპოვიან.

უხეში თვითნებობით, უდანაშაულოდ დაწიოკებული და განადგურებული გლეხები კარგა ხანს გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფნი, თავჩაქინდრულნი, მწუხარებით დასცქერიან სიმნოს გაციებულ გვამს. ბოლოს რწმუნდებიან რა თავიანთ უილაჯობაში, ითვალისწინებენ რა ცხოვრების ჯოჯოხეთურ პირობებს, ერთი მათგანი მწარედ ამოიკვნესებს: „ე ს ა ა ჩ ე ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა!“... და დამძიმებული გულთ სახლისკენ განაგრძობენ გზას.

გლეხის ეს ამოძახილი, რაც საერთოა ყველა იქ დამსწრეთათვის, მკვეთრად ეხმაურება, ხსნის ნოველის მიზანდასახულობას, ემთხვევა ჭიუხეტის განვითარების კულმინაციას, დასასრულს დასაწყისთან აერთებს, ან ტიპიური მოვლენის განვითარების რკალს ნიჭიერად კრავს და მკითხველსაც შთამაგონებლად აგებინებს ნაწარმოების დედააზრს: ადამიანი სახელმწიფოში ყველაზე ძვირფასი, გასაფრთხილებელი განძია, მაგრამ სწორედ მას ყველაზე ნაკლებ უფრთხილდებიან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხელისუფლება მას არ აფასებს, არ უვლის, არ ზრუნავს, შეუბრალებლად ანადგურებს.

აქედან მკითხველს ბუნებრივად შემდეგი აზრი და მიზანსწრაფვა გამოაქვს: ამგვარ სახელმწიფოს, ან ხელისუფლებას გაფრთხილება, განმტკიცება კი არ უნდა, არამედ აუცილებელია მისი დანგრევა, მისი გარდაქმნა ახალ, საღ, ადამიანურ საფუძვლებზე.

ასეთია შიო არაგვისპირელის შეხედულება. ამაშია ამ ნოველის საზოგადოებრივი ღირებულებაც. ამასვე ასე მოხდენილად, შთამბეჭდავად ამახვილებს ნოველის სათაურიც — „ესაა ჩვენი ცხოვრება!..“ ერთ-ერთი მოქმედი პირის შთამაგონებელი ამოძახილით.

ცხადია, შიო არაგვისპირელისეული დასათაურება ნაწარმოებისა არა მარტო მწერლის იდეასა და განწყობილებას, მის იდეურ პოზიციას ააშკარავებს მკვეთრად, არამედ მის უშუალო ემოციონალობასა და ღრმა დამაჯერებლობასაც ძალუმად აძლიერებს, ნაწარმოებს თავისებურ კოლორიტს აძლევს, რაც მკითხველის ესთეტიკურ შთაბეჭდილებასაც ამძაფრებს და აღრმავებს.

სწორედ ნაწარმოების ამგვარ წარმართვაში იხატება შიო არაგვისპირელის ნოველის მხატვრული სისტემის არსებითი ელემენტების ბუნება, კერძოდ, დასათაურება, რაც ხელს უწყობს მისი შემოქმედების იდეა-მიზანდასახულობის გახსნას, გამოვლენას. ვფიქრობთ, ამის დამადასტურებელია წინამდებარე ნაშრომში მოცემული შიო არა-

გვისპირელის შემოქმედების თემატურ-იდეური განხილვა-გაანალიზება.

ამით აიხსნება, რომ შიო არაგვისპირელს ამ მიმართულებითაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. გარდა მისი თაობისა, წინამორბედი მწერლობიდანაც, როგორც სოფრომ მგალობლიშვილი („საფლავში ჩამომძახე“, „და შეპფიცეს!..“), ეკატ. ვაბაშვილი („ჯვარს აცეთ, ჯვარს!..“ „რად დაგვივიწყეს?“ „Торр, торр, торр!“) და ბევრი სხე.

### 8. მთიულური დიალექტი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

შიო არაგვისპირელი წარმოშობით, ცხოვრებისა და აღზრდის პირველი პერიოდის (10—12 წლამდე) პირობების მიხედვით (სანამდის მას თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანდნენ) მთიელია. რაც მის მხატვრულ შემოქმედებაში აშკარად და მტკიცედ იგრძნობა, მთიულური დიალექტი მას კარგად შეუსისხლხორცებია და მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე საჭიროებისამებრ კარგად და მოხდენილად მოუმარჯვებია. ეს ბუნებრივიცაა. მთიულური დიალექტი (გუდამაყრული) შიო არაგვისპირელისათვის მშობლიური დიალექტია, რომელზედაც ჩაისახა და ამოძრავდა მისი აზრის გამოვლინების უნარი და ჩვევა. მართალია, მისი სამწერლო ენა შემდეგში ქართული წიგნებისა და ახალი სალიტერატურო ენის განმტკიცების საფუძველზე საკმარისად გამდიდრდა და დაიხვეწა, მაგრამ მთიულურ დიალექტთან კავშირი მას არასოდეს არ გაუწყვეტია.

მთიულური დიალექტი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ყოველთვის ცოცხალი წყარო იყო, საიდანაც ის დიდი დაკვირვებით, შერჩევით, გემოვნებით, ჰკრეფდა მარგალიტ სიტყვებს, გამოთქმებს გრამატიკული და ფონეტიკური სპეციფიკურობის შემონახვით და მათ ნიჟიერად აქსოვდა როგორც ქართულ ლექსიკას, ისე მხატვრული ნაწარმოების ქარგას, მხატვრული სახეების გამოქანდაკებას.

ნიმუშისათვის ავიღოთ რამოდენიმე მაგალითი:

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი : ს ხ ა ლ ტ ა — ჯოხი მწერებზე სანადირო („მოგონება“); ტ უ ტ უ ნ ი — ჩუმაღ, მალულად საუბარი („აბრეშუმის ცხვირსახოცი“); ჩ ა ა ბ ე ი რ ა — ტირილთან ხველებით სული შეეხუთა („ადამიანი“); ვ ე ძ ა — გადამეტებული მუავე, მლაშე; კ ა ნ ტ ი კ უ ნ ტ ი — ნაწილ-ნაწილ; ლ ო შ ნ ა — ულამაზოდ, პირუტყვეულად კოცნა; ი ყ უ ჩ ე — დაწყნარდი; ბ ე ჩ ა ვ ი — შესაბრალისი, საწყალი; გ ა დ ა ა ტ ყ ა პ უ ნ ა — გადააგდო, გადაისროლა („საახალწლო ეტიუდი“); დ ა ჩ უ ლ უ ლ ი ხ ა რ - კ ა მ ე ჩ ი — დავარდნილი („ესაა ჩვენი ცხოვრება!..“); დ უ რ ა — წამოსასხამი. დ უ რ ა - ტ ყ ა ვ ი — წამოსასხამი ტყავი („გიული“); ბ ე ღ შ ა ვ ი — ცუდი ბედისა („ოლო-



ლები“); ჩ ა ი ქ შ უ ი ლ ა — სწრაფად ჩაიარა („საახალწლო ეტიუდი“); მ ს რ ჩ ო ლ ა ვ ი — მწვავე ბოლის გამჩენი; ი ქ ა ვ ე ა — იქვეა; მ ი ა შ ა ვ ე — ზიზლით მიეცი; ც ხ ო რ ი — ცხვარი; გ ა დ მ ო ს ა ლ ა ლ ი — გადმოსარეკი; თ ო ლ ე ბ ი — თვალეზი; გ ა გ უ ნ გ ლ უ ლ ი — გაუქუქიანებულნი; დ ა ვ ი ლ ი ო — გავთავდე, მოვკვდე („მიწა“...); დ ა ყ უ ნ ც ე ბ უ ლ ი — წინა ფეხებზე დაყრდნობილი, მიყორხარ — მიყვარხარ, („ყველაი დაჯარგე“); ა ბ ა ი მ ე — შორისდებულნი — გაკვირვების გამომხატველი, აუუ — შეძრწუნების გამომხატველი შორისდებული; თ ო რ ა — თორემ („საახალწლო ეტიუდი“) და სხვ.

მ ო , გ ა მ ო პ რ ე ვ ე რ ბ ის მ ა გ ი ე რ მ ა — გამას—გამოყენება; და შ ა მ ა ს — მაგიერ შე-მო; გამაიტანა, მამაქეს, მამაგონდა, გამამძახა („სოფლად“); შამოვედ — შემოდი („საახალწლო ეტიუდი“) და მრავალი სხვ.

დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი კ უ თ ხ უ რ ი გ ა მ ო თ ქ მ ე ბ ი :

„ჩ ე მ ო ყ ვ ე ლ ა ვ — ჩემო ყველაფერო; ფ ე ხ ა დ გ ა ვ ბ რ უ ნ დ ი — უცბადვე, მალევე გავბრუნდი; მ ო ხ ვ ე დ მ შ ვ ი დ ო ბ ი თ — მშვიდობიანად მოხვედი; დ ა მ ხ ვ დ ი მ შ ვ ი დ ო ბ ი თ — მშვიდობიანად დამხვდი; რ ა ი ს თ ე ის მ ა ს მ ი ნ ე — რისთვის მითხარი, რისთვის გამაგებინე; ფ ე ხ ე ბ ის ბ ა რ ტ ყ უ ნ ი თ — ფეხის ხმაურით; შ ე ნ ი კ ვ ნ ე ს ა მ ე — შენი მწუხარება ჩემი იყოს; ა რ ა ი გ ა ქ ვ ს — არაფერი გაქვს; ც ო ტ ა მ ე ყ ო ფ ის — ცოტაა საქმარისი, რომ წონასწორობიდან გამოვიდე, თავს ადვილად ველარ ვიკავებ; ი ყ უ ჩ ე , ბ ა ლ ლ ა ვ , — გაჩუმდი, დამშვიდდი, ბავშვო („ყველაი დაჯარგე“); მ ა ყ ვ ა ლ ა უ , შ ე ნ ბ ა დ ა ნ ა ი დ ა ი ქ ი რ ე ბ ა ტ ა რ ა ი , აუ, გიშველათ ღმერთმა, რომ მოგვხედე... — რომ გვიშველე („საახალწლო ეტიუდი“); მ ი წ ა ა , ს ხ ო ხ ო ა რ ა ა რ ის რ ა , ლ ო მ ი ს ის მ ა დ ლ მ ა , მიწაა!..“ („მიწა“); რ ა ი ს უ ბ ნ ო ბ — რას ლაპარაკობ; რ ა მ ის ა რ ის დ ა ვ ი ლ ი ო — ლამის არის მოვკვდე; ი ქ ი თ მ ი დ ი — იქით მიდექი; რ ა ი შ ე ნ ი ს ა ქ მ ე ა — შენი საქმე არ არის („საახალწლო ეტიუდი“); ლ ო გ ი ნ ის გ ა ა ხ ლ ე ბ ა — ქვრივის მიერ ახალი ცოლის შერთვა; ჩ ე მ ს ფ ე ხ ხ ო ბ ლ ე ბ ი ა რ დ ა ა ჩ ა გ ვ რ ი ნ ო — დედინაცვალს ობლები არ დააჩაგვრინო („ოლოლები“) და სხვა.

წ ო დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა :

ქ ა ლ ა ვ , ბ ე დ ნ ი ე რ ა ვ , ნ ი კ ო ლ ა ვ , ნ ი ნ ი ა ვ , ბ ა ლ ლ ა ვ , ბ ა ლ ლ ო , („ყველაი დაჯარგე“); მ ა ყ ვ ა ლ ა უ („საახალწლო ეტიუდი“); გ ო გ ო ვ , თ ი ნ ა ვ („მიწა“...) და სხვ.

მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი თ ი ფ ო რ მ ის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა :

ცოტა მეყოფის, გვეყოფის („ყველა დავეკარგე“); არ მეშინის, მექნების, მევედრების, იქნების („მიწაა!..“), შენი ხელით მოწყვეტილი შხამიც მიაშობის („საახალწლო ეტიუდი“) და სხვ.

ამასთან ერთად შიო არაგვისპირელი, როგორც რეალისტი, მოქმედების ადგილისა და გმირთა სახის კოლორიტის დაცვის მიზნით, დიდი ოსტატობით იყენებს დიალექტს, რაც მის შემოქმედებას, განსაკუთრებით კი მის მოქმედ პირებს, მიზიდველობას მატებს; მხატვრულობის თვალსაზრისითაც უფრო აძლიერებს, დამაჯერებლობას აძლევს და მკითხველშიც მაღალ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას იწვევს.

ნიმუშისათვის ავიღოთ მისი ამ თვალსაზრისით იშვიათი ჩაწვდომით დაწერილი ეტიუდი „მიწაა!“ ერთი ნაწყვეტის მოტანით დავკმაყოფილდეთ.

მთიელი ბერა ხელისუფლებამ დააპატიმრა. სხვათა გამოცდილების მიხედვით, მას იმედი არა აქვს, რომ იქიდან ცოცხალი დაბრუნდება თავის ქვეყანაში. სოფლიდან ერთ მუჟა მიწას, ხელსახოცში გამოხვეულს, წამოიღებს, რათა სიკვდილის უამს გულზე დაიყაროს და საფლავში ჩაიტანოს. ბერა ციხეში დასნეულდა. გაციმპირების წინ გაჩხრეკისას ციხის უფროსმა ბერას მოსთხოვა ხელსახოცში გახვეული მიწაც მიეცა. ბერამ მტკიცე უარი განაცხადა, რამაც გამოიწვია უფროსის ბრძანებით ბერას გაწყველა. ცემით ბერა სიკვდილის პირას მიიყვანეს. მაგრამ მან მაგრად ჩაბლუჯული ხელსახოცი, მაინც არ დაანება. ბერა კამერაში შეიყვანეს. გივარგიმ სთხოვა, ისიც ბერასთან მოეთავსებინათ, დახმარების აღმოსაჩენად.

კარგა ხნის შემდეგ გონებადაკარგული ბერა წუთიერად გამოერკვევა, იგრძნობს რა გივარგის სიახლოვეს, მწუხარებითა და საყვედურით შეეკითხება: „წაიღეს!?... წაიღეს!?... გივარგი, რად მიეცი, რად?“ გივარგის პასუხზე: „ბედშავო, როგორ დავანებებდი?!... გულზე გაყარია!“ — ბერა გულზე ხელს მოისვამს და, იგრძნობს რა მიწას, დამშვიდდება.

აბუჩად აგდებული, უფლებაყრილი მთიელი ბერას ჯოჯოხეთურ ტანჯვას არაგვისპირელი მთიულური დიალექტის დაცვით იშვიათი გულთამხილებით გვიჩვენებს.

ბერა სიკვდილის პირასაა. ბოდავს, მოუსვენარ სწრაფვა-მოძრაობაშია. შეძრწუნებული გივარგი ჩაეკითხება — „ბერა, ბერა, საით მიექანები?“. ბერას არ ესმის, ის თავის შინაგან ხილვას მისცემია, ბორჯავს, ბოდავს — ბერა თავის სოფელშია, თავისიანებთან, იქ დატოვებულ თავის საცოლესთან. ბერას ფსიქოლოგია, მისი შინაგანი სულიერი მოძრაობა, ახალგაზრდა მთიელის სულისკვეთება იშვიათი სიმძლავრითაა მწერლის მიერ განჭვრეტილი, მოცემული, რაც მკითხველის გულში თანაგრძნობას იწვევს. ამ შთაბეჭდილებას, უდავოდ,

დიალექტის მოხდენილი გამოყენებაც აძლიერებს, ამკვეთრებს.

მოვიტანთ ბერას შინაგანი ხილვის განსახიერებას:

„აუუ, შენი კენესა მე, საიდან გამომეცხადე?! რამდენი ხანია, გოგოვ, დაგეძებ და ახლა კი მოულოდნელად წინ დამხვდი!

— რაისთვის დაგჭირვებხარ, რომ დამეძებ?!  
— თინავ, თინავ, ლამის არის, დავილიო და შენ-კი მკითხავ, რის-

თვის დაგჭირვებხარ?  
— ხა, ხა, ხა... ბერა, ეგ რა გაცვია?!  
— ეს, რაი ვიცი, მგონი, სამგზავროა. აი თანა მაქვს ტანისამოსი. შენთვისაცაა, აი, ბოხჩაში გამოკრულია... შენ აქ ჩაიცვი, მე-კი არაგვზე ჩავალ, ვიბანავებ, თორემ ნამგზავრი ვარ, მტკრითა და ვაივავ-ლახით გაგუზგლული...

— ჩემო ბერა, რა მშვენიერი ხარ მაგ ტანისამოსში!.. მე როგორღა მიხდება შენი მოტანილი კაბა?

— დახატულ ხარ, თინა დახატულ! აი, მზე როგორ შეგედრების!

— უი, ბერა, ცხორი დამრჩება გადმოსალალი!

— საითაა შენი ცხორი?

— აი, იმ მთის იქით!

— ჩემი ცხორიც იქით იქნების, წავიდეთ.

— ბერა, შავი ხილი არ გინდა?.. აი, ჭამე!

— შენი ხელით მოწყვეტილი შხამიც მიამების! რატომ არ მინდა?

— მოიცა, მოიცა, შენი ხელები უკან წაიღე. პირი დააღე, ჩემი ხელით გაჭმევ!

— თინავ, შენი თოლები მწვავენ. შავ ხილზე უშავესნი არიან შენი თოლები!

— ბერა, გაჩუმდი, თორემ აღარ გაჭმევ!.. აჰ, თითი არ მომკვნიტო!..

— ქალავ, ნუ მაციინებ!

— უი!.. ეს რაა?!

— ქალავ, რამ შეგაშინა?!.. მამეკარ, მამეკარ, ნუ გეშინიან!! რა-ნაირად თრთი?!

— გავიქცეთ, ბერა, გავიქცეთ!.. აგერ, ჩვენსკენ მოქშუის...

— სადაა?

— აგერ!

— უჰ, წმინდა გივარგი, შენ დაგვიფარე... შეევედრე, თინავ, შეევედრე, წმინდა გივარგის!...

— ბერა, რა არის?

— გველეშაპია!..

— ლომისავ!..

— ლომისავ!..

— თინავ, მივეგებნეთ, მივეგებნეთ!.. აი, იხაროს შენმა მარჯვენამ!

— ბერა, წმინდა გივარგია, რა მაგრად ჰკრა გულში!..

— უჰ. რა სისხლის ღვრა მიდის!..

— გავიქცეთ!..

— წმინდა გივარგი, ნება გვიბოძე, შენ ფეხთა მტკერს ვემთხვიოთ!..

— ადექით, ადექით, შეიღებო, აგერ იმან გამომგზავნა! წავიდეთ იმასთან.

— დედა-ღეთისაა, თინავ!..

— ის გაკურთხებთ!.. მუჟაში რაი გაქვს, ბერა?

— მიწა!... მამა-პაპის საფლავის მიწაა. დედაჩემს მოვატანინე.

— გაუფრთხილდი, გაუფრთხილდი, წავიდეთ!..

— რა მემართება?!. თინავ!.. გული მინათლდება!.. უჰ! რა ბრწყინვალეაა. აღარას ვხედავ!... ბრწყინვალეა, ბრწყინვალეა! თინავ, შენც ბრწყინვალეაში იბნევი? სადა ხარ? ველარა გხედავ, სადა ხარ? ჩემ თავსაც ველარა ვხედავ, აღარ ვგრძნობ თავს!.. ვიბნევი ბრწყინვალეაში... ჰაჰაჰა!..”<sup>1</sup>

ამონაწერი დიდი გამოგვივიდა, მაგრამ ეს ნაწყვეტი სწორედ მის მთლიანობაშია მრავალმხრივ საგულისხმო. აქ თითქოს ერთი კალმის მოსმით ქართველი მთიელის, ქართველი ხალხის მდებარეობის — გლახთა გულთამხილავი მწერლის შიო არაგვისპირელის მიერ დასამახსოვრებლად, მკვეთრადაა ბერაში — მის სულისკვეთებაში, მის სულის მოძრაობაშიც კი გამოქანდაკებული მთიელის — ქართველი გლეხის განზოგადებული, ტიპური სახე. მასში ნიჭიერადაა აღბეჭდილი მთიულური დიალექტიც, ინტონაციაც, ჯანსაღი, გაუბზარავი, მართალი ბუნება, ჯანსაღი სიცოცხლის წყურვილით, მტკიცე, ურყევი სიყვარულის გრძნობით როგორც სამშობლოსადმი, ისე სატრფოსადმი, მისი მართალი. ბუნების უშუალოებით, თავისებური მსოფლგაგებით — ლომისა იქნება, წმინდა გიორგი გველშაპზე გამარჯვებული, თუ მფარველი ღეთისმშობელი, როგორც ეს ქართველი ხალხის — ქართველ მთიელთა შეგნებაშია დაბუდებული და ყველა ეს მისთვის როგორც ჯანსაღ ყოფაში, ისე არაჯანსაღში — მამოძრავებელია, სასიცოცხლოა.

მთიელი ბერა თავისი უშუალო, ნაზი, მტკიცე, სიცოცხლემოწყურებული ბუნებით მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკით გზამარულდებული ჩვეულებრივი სახეა თავისუფლებისმოყვარე ქართველი მშრომელი ხალხისა.

კიდევ უფრო პატარა ნაწყვეტი ეტიუდიდან „ოლოლები“.

მთის პატარა სოფელ ბუდობში ცხოვრობს ცოლ-ქმარი, ღვთ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 63—65.

სო და ფათა ქალ-ვაჟით — ჩიტოთი და ბელურათი. ცოლ-ქმარი იმედინად ებრძვის ცხოვრებას. კმაყოფილნი არიან. მოულოდნელად ფათა მძიმე ავადმყოფი შეიქმნება. ის თავის თავზე კი აღარ ფიქრობს, არამედ წვრილშვილზე, მათ მომავალზე.

ღალაქდა. ბავშვებმა დაიძინეს. ღვთისოსაც ძილმა დასძლია. ჩაეძინა. ფათა იწვის ცალკე სიციხით, ცალკე შვილების ცოდვით, არა სძინავს, ბორგავს. ღვთისოსაც ეღვიძება, შეეხმაურება ცოლს. მათ შორის იპართება საუბარი:

„— რა გიჭირს, ჩემო ყველავე!.. ჩქარა ლოგინს გაიახლებ!... მაგრამ!.. ოოოპ!.. — ამოსკდა ფათას ქვითინი...

— რაისთვის იკლავ გულს, ადამიანო?! — შეევედრა ღვთისო თავის ცოლს.

— ღვთისო!.. — აქა ვარ აქა!.. ვერა მხედავ, ბედ-შავო?!

„ოლოლებს“ (შვილებს—მ. ზ.) გავედრებ, ლომისავ, „ოლოლებს!..“

— ადამიანო, გამიგონე, რაის უბნობ?!

— ლომისავ... ღვთისო... ჩემ ფეხს ჩემი ოლოლები არ დაჩაგვრინო!.. ოპ, ნეტამც „დეკნიკოს“ ხბოს დაბადებამდის მაინც ვიცოცხლო!.. ჩემს სიკვდილს ხბოს სიხარულს გააყოლებენ ჩემი ოლოლები... აღარ დაჩაგვრებიან!..

— ბოდავს ბედშავი!.. წყალი დალიე, არ გინდა?!“<sup>1</sup>.

მომაკვდავი მთიელი მოსიყვარულე დედის მკვეთრი სახის მოცემაში შიო არაგვისპირელს, უდავოდ, ხელს უწყობს როგორც მთიელი ქალის მართალი, პირდაპირი, უშუალო ბუნების, მისი დედური გრძნობის კარგი ცოდნა, ისე მთიულური დიალექტის, კოლორიტის მონარკვება.

ნოველაში მოხდენილადაა ჩაქსოვილი მთიელთა წარმართული მსოფლმხედველობის ელემენტებიც, როგორცაა ლომისა — ხატის ძალისა და დახმარების რწმენა და აგრეთვე ღარიბი გლეხის ოჯახში, როგორც ღვთისოს ოჯახია, მარჩენალი ძროხის მნიშვნელობა. ყველა ამ ნიშნის ბუნებრივი შერწყმა მთიულური მეტყველებით, მოცემულ სურათს მიმზიდველ მხატვრულობასა და დამაჯერებლობას ანიჭებს.

შიო არაგვისპირელს მთიულური დიალექტი ასევე ზედმიწევნით მხატვრულად და ზუსტად აქვს გამოყენებული თავის „საახალწლო ეტიუდში“.

ახალწლის ღამეა. მზადების ფაცი-ფუცის შემდეგ ხალხი მიწყნარდა. ძილს მიეცა. „აახ!..“ უცებ ბერას ოჯახში მელოგინის კვნესა გაისმა, უნებურად ყველას შიშის ზარმა დაურბინა, მელოგინეს გული წაუვიდა.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 225.

კარზე კაკუნი გაისმა, ბერამაც დაუძახა:

„შამოედ, ვინა ხარ?!“ — შემოვა ტყაპუქში გახვეული ორი მანდილოსანი. მათ შორის დიალოგი მთიულურ დიალექტზე იმართება.

— აუ, გიშველათ ღმერთმა, რო მოგვხედე, ჩემო საბედავ, თორა ეუბედური დღისა, ლამისაა. ხელიდან გამოგვეცალოს! — მიესალმა ბებია და მელოგინეს მიუბრუნდა, რომელმაც ამ დროს საშინლად წამოიკივლა.

— ბედშავი, ჯერაც არ განთავისუფლებულა? — გულმტკივნეულობით დაეკითხა მოხუცი და მელოგინეს მარჯვენა ხელი დაუჭირა.

ახალგაზრდამ კი მარცხენა ხელს წაავლო ხელი და თავით ამოუდგა.

— მაყვალავ, ქალწული ხარ, რაი შენი საქმეა მელოგინესთან ტრიალი?! — შებღვერით უთხრა მოხუცებულმა.

— ჰო, ჰო, შვილო, იქით მიდი — ტკბილი ხმით უთხრა ბებიამ მაყვალას.

— არა, ბებია! დედაჩემი რო დაწვა ჯიხვიანზე, მე არა გშველოდი!

მელოგინე კი საშინლად კიოდა და წამს გული მისდიოდა და წამს კიდევ სულიერობდა...

— მაყვალაუ, შენ ე ბალანაი დაიკირე ბატარაის, რაღაც ხმას არ იღებს, ჩვენ კიდევ ამ ბედშავს მაუვლით! — მიმართა ბებიამ, როდესაც ბავშვი შეახვია და გულწასული მელოგინე მიაწვინეს...

ბავშვი, რაწამს მაყვალამ თავისი მკერდი შეახო, ახმაურდა.

— აუ, საბედავ, აქ მამხედე!.. — დაუძახა ბებიამ მოხუცს... — ბედშავი. ლოგინობას ვერ გადაარჩა, — წამოიძახა საბედამ<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ შიო არაგვისპირელი მთიულურთ კილოთი მხოლოდ მთიელ პერსონაჟებს ამეტყველებს. მაგრამ, სადაც კი თვითონ მწერალი ლაპარაკობს ან ახსნა-განმარტებას იძლევა, იქ ყველგან დახვეწილი, ნარკვევივით სუფთა ქართული სალიტერატურო ენა აქვს მომარჯვებული.

#### 4. ბუნების გრძობა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

პეიზაჟის გამოყენება შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში მიმზიდველად ექსოვება მწერლის მიზანდასახულობის სრულად და დახვეწილად გამოვლინებას. პეიზაჟი და ადამიანები შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში რთულ ურთიერთობაში არიან. პეიზაჟი ნაწარმოებში ქმნის გარკვეულ ემოციურ განწყობას, მკითხველს აშაადებს ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის მართებული ათვისებადამოკიდებულებისათვის, აჩვენებს რა მიმართულებით ან რა შედეგი-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 282.

საკენ მივყევართ მოქმედების განვითარებას. ბუნების აღწერას, პეი-  
ზაჟს შიო არაგვისპირელი ყოველთვის ადამიანის განცდებისა და და-  
მოკიდებულებების გახსნისა და გამახვილებისათვის მიმართავს ხოლ-  
მე. ამიტომაც მწერლის შემოქმედებაში მოცემული პეიზაჟი ჩვეულებ-  
რივ ღრმა ლირიკულია და მკითხველშიც ემოციას აძლიერებს, ლირი-  
კულ განწყობილებას იწვევს, აღრმავებს.

შიო არაგვისპირელი პეიზაჟს, როგორც ხერხს, იშველიებს, როდენ-  
საც მას უნდა სრულყოფილად განასახიეროს, ერთი მხრივ, მდიდარ-  
ი, ამტანი, სულგრძელი, მაღალმორალური, მართალი ბუნება ქართ-  
ველი მდაბიო ხალხის — გლეხობისა, რომელიც მტკიცედ დგას სამარ-  
თლიანობის ნიადაგზე და შეუპოვრად, ალაღმართლად ეწევა ცხოვრე-  
ბის მძიმე ჭაბანს; ამასთან აჩვენოს მდაბიო ხალხის სიღარიბე, ძალა-  
უფლების მქონეთა მიერ მისი დაბრკობება, უანგარიშო ექსპლოატაცია,  
ამით გამოწვეული საშინელი მომქანცველი სევდა და მშრომელთა ადამიანური ცხოვრებისაკენ ძალუმი მისწრაფება; მეორე მხრივ, მკითხ-  
ველს აშკარად დაანახვოს სუსტი, ბნელი, ამორალური, სხვისა და  
თვითგამანადგურებელი ეგოისტური თვისებები, საღ ნიადაგს აცდენილი სხვადასხვა რანგის ადამიანებისა.

ნიმუშისათვის ავიღოთ ეტიუდი: „ესაა ჩვენი ცხოვრე-  
ბა!..“

შიო არაგვისპირელი მოხდენილად იმარჯვებს პეიზაჟს, რათა მეურ-  
მეთა შინაგანი სამყარო უფრო მკვეთრად გადაშალოს, მკითხველისათ-  
ვის უფრო ჩამწვდომი გახადოს. დაქანცულ მეურმეებს გზაში ჩაეძი-  
ნებათ. ეტიუდის სიუჟეტს აქ ჩაქსოვილი პეიზაჟი ავსებს: „დასძინე-  
ბიათ, — აგვიწერს მწერალი, — არაგვის გაღმა-გამოღმა თეთრად შე-  
მოსილ მთებსა და მინდვრებს. ამ მთვარიან ღამეს, რაც იშვიათად არ  
არის არაგვის ხეობაზედ, ტკბილ ძილს არა არღვევს რა. არა სძინავთ  
მხოლოდ ურემში შებმულს დაჩუღულს ხარ-კამეჩებს, რომლებიც  
ცოხნითა და კუდის ოდნავ ქნევით ძლივს მიათრევენ ფეხებს, თეთ-  
რად შემოსილ მთა-ბარს შუა გაკვერილს, შავის ზოლივით მიკლაკ-  
მოკლაკნილს გზა-ტყევილზედ. არა სძინავს აგრეთვე სიმნოს, რომე-  
ლიც წინა ურმის კოფოზედ მობლუნძულა და მწარედ დაძლიდინებს  
ურმულს, რაც მხოლოდ იმის ლომასა და ნიკორას ესმის“. აქ გარე-  
შის, გარდა „დაჩუღულ ხარ-კამეჩისა“ და მეურმის სიმნოსი, საერთო  
სიწუმე-მიძინებაში იგულისხმება მწერლის შეხედულება: არსებულ  
გარემოში ყველასა და ყველაფერს სძინავს, ყველა უმოქმედოა, გარ-  
და მშრომელი გლეხისა და მისი ერთგული საქონლისა.

ამ პეიზაჟის მოცემით მწერალი არ კმაყოფილდება, ის ლირიკული  
განდგომით, თავის პირად განწყობილებასაც აქსოვს, რაც მკითხველს

უადვილებს პეიზაჟის მიზანდასახულობის უფრო მკაფიოდ ათვისებას: „სიმნოს შეუტყვეველს და წმინდა აკანკალებულს ხმაში, — ხსნის ავტორი, — რა არ იხატებოდა?!.. თითქმის მთელი იმისი, მარტო იმისი არა, ყველა იმის მოძმეთა არსება, მთელი მათი წარსული, აწმყო და მომავალი ცხოვრება, — მათი სიხარული და სიმწუხნარე, ავი თუ კარგი, სულ ერთიანად იხატებოდა იმის სიმღერაში და ამ გულის სიღრმიდან ამომჩქეფარს გლებთა ცხოვრების ვაებას ანდობს მხოლოდ თავის ერთგულ საქონელს: ლომასა და ნიკორას... თითქოს იმას უნდა, ამითი უთხრას ნიკორასა და ლომას: „არ დაგვიძინოთ, ყური დამიგდეთ!.. ხომ ხედავთ, თქვენ მეტი ყურის მგდებელი და გულშემატკივარი არავინა გვყავს!“<sup>1</sup>.

აქ ეს მომხიბლავი პეიზაჟი, მდიდარი მოხდენილი ეპითეტებით, დაპირისპირებებით, თუ ოროველას ღრმა შინაარსისა და ძალის ახსნა-განმარტებითა და გაგებით მკითხველში ხალხის — გლეხობის მძიმე ცხოვრებისადმი შთაბეჭდავ, გულის სიღრმემდე დასულ თანაგრძნობას იწვევს. მკითხველს აგრეთვე აგრძნობინებს მისი სამართლიანი — ადამიანური ცხოვრების ნატვრასა და მოპოვების დაუძლეველ სურვილს. მართლაც, რაოდენი ლირიკული სინაზით, სიყვარულითა და უშუალობითაა დაწერილი შიო არაგვისპირელის ეს პეიზაჟი, დაწყებული არაგვის გაღმა-გამოღმა თეთრად შემოსილი მთებითა და მინდვრებით და გათავებული მშრომელი გლეხის პირუტყვთან მჭიდრო კავშირით!

ამასთან ერთად ეს პეიზაჟი დიდი შეკუმშულობით და მსატერულობით ავსებს და ამკვეთრებს ნაწარმოების მიზანდასახულობასაც. რაოდენი სიზუსტით, სიმკვეთრით, დასამახსოვრებლად, მკითხველის გულში ღრმად ჩასაწვდომად აღბეჭდავს ეს პეიზაჟი მთლიანი ნაწარმოების პოლიტიკურ ხასიათს, ეზოპესებური მოხდენილი ირიბული ნათქვამით. ყოველივე ეს მკითხველში შთაბეჭდილებას ამახვილებს, ავსებს. ეს აგრეთვე შიო არაგვისპირელის შემოქმედებისათვის ერთერთი დამახასიათებელი სტილისტური ნიშანიცაა.

განვიხილოთ ეს პეიზაჟი სხვა წახნავითაც: „ერთმანეთის გულის-პასუხში გართულებს სიმნოსა და იმისს საქონელს არ გაუგიათ, თუ როგორ მიაღდგენ ნარეკვავის თავდაღმართს, საიდგანაც აღმოსავლეთით მოსჩანს საგურამოს ტყით შემოსილი მთები, დასავლეთით-კი — ტრიალი და დაცემული საწილკანო და სამუხრანო ჭალა-მინდორი. სხვა დროს მშვენიერი სანახავი, ახლა ერთგვარს მოსაწყენს სურათს წარმოადგენდა მთებიცა და მინდვრებიც; ახლა ისინი ერთნაირად იყე-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 3.



ნენ თოვლით გადალესილნი და ს-ც-ო-ც-ხ-ლ-ის ნიშანი არც ერთს არ ეტყობოდა“<sup>1</sup>.

პეიზაჟის ეს ხაზებიც საკმაოდ მკვეთრად ავსებს მწერლის აზრს— ეზოებს წერის მანერის მოხმარებით: გარემო მდგომარეობის გაგება- შეფასების მიმართულებით: სხვა პირობებში ქვეყანა (იგულისხმება საქართველო) მდიდარი, გრანდიოზული, მიმზიდველი ბუნებით, ტერიტორიით და მოსახლეობით „მშვენიერი სანახავია“, მაგრამ მე-19 საუკუნეში მონარქიულ-პოლიციური წყობილების უხეში დაწოლის ქვეშ გაერთფეროვნებული, მოსაწყენი, უხალისო, შებორკილი და დაღუპებულია.

ასეთივე პოლიტიკურ-ფილოსოფიური იერიშაა გამოყენებული ამავე ნაწარმოებში ჩართული შემდეგი პეიზაჟი, რომელიც, მეტი სიმკვეთრის მიზნით, კონტრასტისა და პარალელის ხერხზეა გაშლილი. მოკუსმინოთ მწერალს: „მეურმეები შემოხვეოდნენ სიმნოს გვამს და კარგა ხანს მწარედ დაღვრემილები და ათასნაირ შავ ფიქრში გართულები, ხმის ამოუღებლად, მუნჯად დასცქეროდნენ. „თითქოს ლომამა და ნიკორამაც იგრძნეს თავიანთი პატრონის უბედურება, იმათაც მოიგრიხეს კისრები და წყლით სავსე თვალები მოწყენით სიმნოს მიაპყრეს და სხვაგნით აღარსაით აღარ იყურებოდნენ...“

მთვარე კი გულგრილად, შეუბრალებლად დასცქერის ზემოდან და თითქოს ეუბნება:— „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა!.. რა ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირისთ ცხვირ-პირი?! მაგ ერთი მდილისათვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ, მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ თვალ-წინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის შორევები დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?! ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!.. ამ დროს მთვარე ნაწყვეტს ღრუბელს მოეფარა და მოხუჭა თვალები, თითქოს ამითი უნდა ანიშნოს მეურმეებს, საკმარისია წუხილიო...“<sup>2</sup>

ამ პეიზაჟის ჩართვა არა მარტო მშვენივრად ეხმარება ნაწარმოების იდეის; მიზანდასახულობის გამკვეთრებას, სიუჟეტის შეკუმშულად გახსნას, არამედ აგრეთვე მკაფიოდ ააშკარავებს მწერლის განზოგადებულ დამოკიდებულებას მოვლენისადმი, მის მსოფლმხედველობას.

გარემო ცხოვრებაში ყველა და ყველაფერი დამაფიქრებლადაა გაერთიანებული. თითქოს ყველა და ყველაფერი მტკივნეულად და ღრმად განიცდის ადამიანის შავბედით ყოფას. არამც თუ ხარ-კამეჩი, არამედ თვით მთვარეც კი, სამყაროს მნათობიც, არაა გულგრილი. მთვარის მოძრაობა, და თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი „მონოლოგი“

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 6.

ადამიანთა მოუწყობელი ცხოვრების საშინელებას უფრო აღრმავებს, მწერლის გულისნადებს, მის აზრს უფრო აშკარად გამოხატავს. ამგვარი ცალკეული მოვლენა ადამიანთა ცხოვრებაში, მართალია, დამახასიათებელია და სამწუხაროც, მაგრამ უფრო სამწუხარო და სავალალოა, რომ ამგვარი მოვლენა და უარესიც, ერის მასიური შევიწროება და გაყვანაც, საერთოდ, ადამიანთა ცხოვრებაში ჩვეულებრივი და საყოველთაოა. ამიტომ საჭიროა ასეთ კერძო შემთხვევაზე დიდხანს არ ვჩერდებოდეთ, არამედ უსამართლობის საწყისის ძირითად აღმოფხვრაზე გადაუდებლად ვიზრუნოთ.

\* \* \*

პეიზაჟის საშუალებით შიო არაგვისპირელი მისთვის დამახასიათებელი ღრმა ლირიზმით, მაღალი ესთეტიკური გრძნობის აღმძვრელად გადმოგვცემს თავის განწყობილებას, შეგრძნება-გაგებას, რაც ბუნებრივად ეხმაურება თუ შეესატყვისება ნაწარმოების მოქმედი პირის განწყობილება-გაგებას და ამასთან, მოქმედი პირის კეთილშობილური, სადი, სამართლიანი ბუნების ცხოველ გამოქანდაკებას უწყობს ხელს. ნიმუშისათვის ავიღოთ „ჩემი ბრალი არ არის, დამერო!“...

სიღარიბითა და „უთავბოლო ცხოვრების“ პირობებით შევიწროებული, მაგრამ გაუტეხელი, გამძლე გლეხი დათუა შრომიშვილი თავის მასაზრდოებელ ვენახში მუყაითად მუშაობს. გაზაფხულის მომხიბვლელი ბუნება მას ძალას მატებს და რაღაც გამოუთქმელი ხალისითა და იმედით ავსებს.

შიო არაგვისპირელი დიდი ოსტატობით იძლევა ჩვენი ქვეყნის ლამაზი, დიადი ბუნების მომხიბვლელობას, მისი უხვი მოვლენების — ფერების, ფორმის, ხმის, მოძრაობის — პარამონიული გამოით აკინძულს: „დათუა შრომიშვილი, დამთვრალი სიცოცხლის ნექტარით შეზავებული დილის ჰაერით, მთლად ჩანთქმული იყო ბუნების ამ დიდებული სურათის მზერით და მთელი ტანით თრთოდა. იმას არ ესმოდა იმის გარშემო ფრინველთა გატაცებული ჭიკჭიკი, რითაც ისინი უგალობდნენ ბუნების დიდებულ სურათს დილის ჰიმნს, და განსაკუთრებით, იქვე ახლად აკოკრებული ვარდის ბუჩქზე მჯდომ ბუღბულის აღგზნებულ სტვენას, რომელიც სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს; დათუას არ ესმოდა აგრეთვე ვენახის გვერდით წყალში თევზების შლაპუნი, რომლებიც უეცრად ამოხტებოდნენ ჰაერში, რომ დაენახათ დიდებული სურათი, და ისევ უეცრად, წყალში ჩაშვების დროს, ბოლოთი გამოადენდნენ ტკაცანს. ის ვერ ხედავდა:

იქვე თვალწინ მდგომ ვაზის სიხარულის ცრემლს და სხვა მცენარე-  
ების მოძრაობას ვილა იტყვის, რომლებსაც მიებრუნათ შენამული გუ-  
ლი აღმოსავლეთისაკენ და თავყანსა სცემდნენ იმ სურათს, რომლის  
წინაშე სულდგმული თუ არა სულდგმული, პირუტყვი თუ მეტყველი,  
გენიოსი თუ არაგენიოსი, ნიჭიერი თუ უნიჭო, ველური თუ არა ვე-  
ლური, — ყველა ერთგვარად მონავდება და თავის პიროვნებას იმის  
დიდებულ სიმშვენიერეს უერთებს.

აგერ, დათუაზე კარგა მოშორებით, ტყის პირს, გამოსულა ხარ-  
ირემი, რომელსაც მრავალშტოიანი რქები გადუხრია უკან, და იმაზე  
არა ნაკლებ თავდავიწყებით უმზერს იმავე სურათს<sup>1</sup>.

აქ მდიდარ და მიმზიდველ ფერებში მოცემულია ჩვენი ქვეყნის  
პეიზაჟის სიდიადე — სიუხვე და ავტორისა და მისი პერსონაჟის, და-  
თუა შრომიშვილის მიერ მიღებულ მაღალ ესთეტიკურ განცდათა შე-  
რწყმა და გაღრმავება. ეს გარემოება რომ უფრო გააღრმავოს, ავტორი  
ნიჭიერად, ადგილზე გვიჩვენებს, რომ ბუნების დიდებული სურათით,  
გარდა ადამიანისა, მოხიბლულია ყველა ცოცხალი არსება.

შიო არაგვისპირელის პეიზაჟში იშვიათი უშუალოდით ერწყმება  
მისი სუბიექტური განწყობილებები მოქმედი პირისას. ხშირად შეუძ-  
ლებელი ხდება, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ძნელდება განსაზღვრა,  
სად თავდება მოქმედი პირის მიერ ბუნების ხილვა და სად იწყება  
მწერლის — ავტორის აღქმა.

ბუნება თავისი მრავალფეროვანი გრანდიოზული სანახაობით, შიო  
არაგვისპირელის ჩვენებით, ყველას ხიბლავს, იტაცებს, ესთეტიკურ  
სიამოვნებას ანიჭებს და ამასთან ერთად ყველა აქტიურ, ხალისიან  
მოძრაობა-საქმიანობაში მოყავს, როგორც მაგალითად, დათუა შრომი-  
შვილი და სხვა მრავალი.

მწერალი ეტიუდის „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!..“ იდეის  
სრული გახსნისათვის პეიზაჟის შევსებას განაგრძობს: „ცოტა ხანიც  
და ცამ, მთის წვერმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. მზემაც თავი იჩინა  
და ყველას ერთად თავისი სხივი სტყორცნა, რომლის მოხვედრაზე-  
დაც, თითქოს ელექტრონმა დაურბინა ტანშიო, აქნობამდის მოდუნე-  
ბულ და გატაცებულ არსებებს ჩაედგათ ენერგია, მიეცათ ძალა და  
მოსაზრება და მოძრაობა იწყეს: ფრინველები ყვირილ-ხივილით გამოყ-  
თხოვნენ თავიანთ ღამის ბინას და ცაში განაეარდნენ; მწერებმაც-კი  
ზუზუნნი მორთეს და ხან ერთ მცენარეს ეწვეოდნენ და ხან მეორეს,  
რომელთაც მზის სხივის მოხვედრაზე ნაზი, მწვანე ფოთლები შეი-  
ბერტყეს და წელი აიმართეს.

დათუამაც მაშინვე თავისდა უნებლიედ ამოიკენესა და უნებურად-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 103.

ვე ბარს ფეხი ღონივრად დაჰკრა, რის გამოც, ბარის პირი მომბალ მიწაში ღრმად წავიდა და დიდი ბელტი ამოაგდო... და ასე ბელტი ბელტს მიეწყო.

ირემი-კი განუსაზღვრელ აღტაცებაში მოვიდა და გაგიჟებით დახტოდა ველზე... ხან... პირს ამწვანებულ ბალახს დაადებდა და ჩაპბლავლებდა მიწას, თითქოს იქ, ქვესკნელს ჩასძახის თავის ტოლს, რომ იქიდან ამოვიდეს და ამასთან ერთად ისიამოვნოს, დასტკბეს სიცოცხლით და თავი დავიწყებას მისცეს“<sup>1</sup>...

ასეთია ჩვენი ქვეყნის ბუნება — მდიდარი, ლამაზი, მაღლაანი, ნიჰისა და უნარის გამღვიძებელი, გამაფაქიზებელი, ბედნიერებისა და სიამოვნების მომნიჭებელი. ბუნების ჰარმონიულ სილამაზესა და სიამოვნება-ბედნიერებას მხოლოდ ადამიანი არღვევს უხეშად; ამ შეხმატბილებულ სიცოცხლეს მხოლოდ ადამიანი ბორკავს, გასაქანს არ აძლევს, შხამს აწვეთებს, ჯოჯოხეთად აქცევს, უნდა თქვას მწერალმა. და მკითხველსაც ადვილად და შთამაგონებლად ესმის ყოველივე.

ამას შიო არაგვისპირელი შემდეგნაირად გამოხატავს: „აგერ, ის (ირემი — მ. ზ.) შედგა უკანა ფეხებზე და რამდენსამე წამს ისე გაჩერდა; იმან აღგზნებულად დააჰყიტა თვალები და ის-ის იყო ტყისკენ გაშაგებას აპირებდა, რომ ამ დროს თოფმა იგრიალა; ირემი შეტორტმანდა და გულის საკლავის ამობლავლით, წინ გადახტომის მაგივრად, გულაღმა გადავარდა.

ტყის პირიდან გამოვარდა ახალგაზრდა ყმაწვილი და გადაჩეხილ ირემთან მირბენისთანავე სიხარულით წამოიძახა:

„— შიგ გულში არ მოხვედრია!“<sup>2</sup>

შიო არაგვისპირელი ამით, ეკვს გარეშეა, ცხოვრების უსამართლო, უმართებულო წყობილების მიზეზად ადამიანს თვლის. ის ამ გარემოებით თავის აღშფოთებას, სისხლისმოყვარე, ანგარებიანი ადამიანის ბუნების შეუბრალებლობით გამოწვეულს დათუა შრომიშვილის პირით ასე გამოხატავს: „ებლა რომელი ქრისტიანი ადამიანი ესვრის რასმე თოფს!“ და, ტყიდან გამოსული ყმაწვილი რომ იცნო, უკმაყოფილოდ წამოიძახა: „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე!“ ირმის მკვლელი იყო სოფლის მკვლევთვის, ავი ზნის, გაუმაძღარი ისაკა ჭამიაშვილის შვილი, რომელიც მამასავით მოძმისადმი დაუნდობელი თვისებებითაა აღჭურვილი.

შიო არაგვისპირელი ამ პეიზაჟის ჩაქსოვით ხელს უწყობს. ეტიუდის „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ იდეის, მიზანდასახულობის გა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 104.

<sup>2</sup> იქვე.

მოაშკარავებს და მკითხველში შთამაგონებლად ხვეწავს მაღალ მორალურ გრძნობასა და აზრს: სიცოცხლე ლამაზია, ლაღია, მრავალგზის გამოსაყენებელი. ბუნების პარმონიულ, გონივრულ განვითარებას, თავისი პირადი სარგებლობის მიზნით ადამიანი ბოროტად არღვევს. ადამიანი უნდა გარდაიქმნას მოძმისადმი სიყვარულის საფუძველზე, თუ გინდა სიცოცხლე სიხარულისა და კმაყოფილების მომნიჭებელი იყოს.

პეიზაჟის ჩართვა მწერალს ეხმარება უფრო რელიეფურად დაანახოს მკითხველს ვაჭარ ისაკა ჭამიაშვილის სოციალურად უარყოფილი პიროვნება.

\* \* \*

შიო არაგვისპირელის სიყვარული და თანაგრძნობა ფართო და მაღალია, უნივერსალურია — საჭიროა კაცი გაუფრთხილდეს მოძმეს, თანაუგრძნოს, შეიბრალოს და სიყვარულით ექცეოდეს მას; გონივრულად იყენებდეს თავის უპირატესობას, ხელს უწყობდეს ცხოვრების სრულყოფასა და არა მის უსწორ-მასწორობას, დამახინჯებას.

ბუნება-პეიზაჟი ფერების, ხმებისა და მოძრაობის ხაზებით შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ისეა გაშლილი, რომ თითქოს ამკვეთრებს მთავარი პერსონაჟის შინაგან განწყობილებას და მოქმედპირს მაქსიმალური სიზუსტით განასახიერებს.

ავიღოთ შიო არაგვისპირელის ნოველა „დ ა-ძ მ ა“.

ქიტუას მეორე ცოლი ახალგაზრდა სოფიო, სოფლის მწერლით, ნიკოთი გატაცებული, შეიჯავრებს თავის გერებს — გიგლასა და კატოს. ისინი მას ხელს უშლიან სიამოვნებაში. სოფიო საშინლად უდიერად ეპყრობა მათ. მას უნდა, ქიტუა აიძულოს, შვილები მოიშოროს. ქიტუა ეწინააღმდეგება ცოლს, არ უნდა წვრილშვილი სახლიდან გაყაროს.

შეყვარებული სოფიო არავითარ საშუალებას აღარ ერიდება. ერთსალამოს ნიკოს მოლოდინში ის გერებს ცუდ დარში სახლიდან გაყარის. გზააბნეული, დედინაცვლისაგან გაწამებული ბავშვები სოფლის ბოლოს განმარტოებით მდგომ ძველ საბძელს აფარებენ თავს.

მწერალმა ობლების მძიმე, შევიწროებული მდგომარეობა რომ გაამძაფროს და გაამახვილოს, ასეთ სურათს ჩაურთავს: „უმსგავს შრიალთან ერთად ტყიდან გამოისმოდა მომაკვდავი ადამიანის გულის გასაგმირაჟი კენესა, ამას ხანდახან ზედ ერთოდა რომელიმე დამპალის ხის გადაჩეხვა; მოსტყდებოდა თუ არა, წამოვიდოდა შრიალით და უეცრად ზაპანს მოიღებდა; თანაც იქვე გვერდით მდგომ

ახალ — მოზარდ ხეებს ლაწა-ლუწს აუყენებდა ხოლმე. ამნაირი შრიალი, მომაკვდავის კვნესა და ხეების ლაწა-ლუწი გულად კაცსაც შეაშინებდა ამ წვიმიან, შემოდგომის ბნელ ღამეში, და აბა რაღა სიკეთეს დააყრიდა გიგლას და კატოს, რომლებიც იმ წნულ საბძელს ქვენაქრივ ამოფარებიყვნენ და სიცივისა და შიშისაგან კანკალებდნენ“<sup>1</sup>.

ყრუ, მივარდნილი სოფლის განაპირას მდგომ ძველ განმარტოებულ, უპატრონოდ დარჩენილ საბძელთან ატეხილი სტიქია დიდი რეალობითაა მწერლის მიერ მოცემული, ამასთან, იშვიათი სიმართლით შეესატყვისება უილაჯო, უპატრონოდ დარჩენილი ობოლი ბავშვების სულაერ მდგომარეობას, რაც, რა თქმა უნდა, მკითხველის შთაბეჭდილებას ძალუმად აღრმავებს, ამახვილებს.

ქიტუამ, მიუხედავად მძიმე სულიერი ტკივილებისა, შვილები ქალაქში უგზო-უკვლოდ დაარჩია. სახლში ღამე დაბრუნდა. აქაც მწერალი ბუნებას იშველიებს: „იმის (სოფლის — მ. ზ.) ღრმა ძილს არა არღვევდა-რა. არაგვიც კი, ის არაგვი, რომელიც სხვა დროს მოჰყვებს, მოხუის და მოჰკვნეს-მოტირის, და ამ ხმით მოუთხრობს ქართველთა ტანჯვას, რასაც ბანის თქმით მთა, ტყე და ველი ემოწმებიან, გაჩუმებულიყო, თითქოს იმასაც მოსწყენოდა ტყუილ-უბრალო კვნესა-გოდება, ყეფა და შფოთვა და სხვისი თვალის მიგებით მისძინებოდა... მარტო სოფ. ბ-ში აქა-იქა უბნებიდან მოისმოდა ძაღლების გაგრძელებული ყმუილი, რომელიც თოვლით შემოსილ ტყესა და მთებში იფანტებოდა და შიმშილისაგან იქ მოწანწალე ნადირს აფრთხობდა. ეს ყმუილიც თანდათან უფრო იშვიათად მოისმოდა და, ბოლოს, სულ მისწყდა და სამარისებრივი სიჩუმე ჩამოვარდა“<sup>2</sup>...

მწერალი დადუმებული არაგვის აღწერით მშვენივრად აღრმავებს შვილებისადმი უსამართლო მოქცევით, მათი უგზო-უკვლოდ გაფანტვით დაცარიელებული, დაქანცულ-გაწამებული ქიტუას სულიერ სამყაროს. ქიტუას აფორიაქებულ განწყობილებას აგრეთვე ზედმიწევნით შეეხამება იმ მომენტში სოფლის აღწერაც: მკრთალი, შავი ფერებისა და მრუდე, არეული ხაზებით მოცემული — მიძინებულ, უმოძრაო ყოფნა, აქა-იქ შფოთვა, კვნესა-გოდება, ძაღლების ყმუილი, მოწანწალე ნადირთ რომ აფრთხობს. ყოველივე ეს მკითხველსაც ბუნებრივად ამზადებს, ვერაგი ნიკოს მიმართ ქიტუას უკანასკნელი გაბრძოლებისათვის, რასაც ის შემდეგში სამართლიანად მიიჩნევს.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 155.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 195.

ადამიანთა მიერ შეუწყნარებლად შევიწროებულ, მორალურად გაძარცვულ პერსონაჟთა განწყობილებისა და მდგომარეობის უმწეობის, რაც კაპოსათქმელადაც კი ძნელია, გამძაფრების მიზნით, შიო არაგვისპირელი ხშირად იშველიებს პეიზაჟს, როგორც ადამიანისადმი ბუნების — სტიქიის თანამგრძნობელს.

ნიმუშისათვის ავიღოთ ფსიქოლოგიური ეტიუდი „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კენესოდა და გმინავდა“.

ეულ, უთვისტომო ტიტოკო მაყარაძეს ცხოვრებაში სიმოვნება, თანაგრძნობა და შებრალებაც კი არავისგან არ ახსოვს. პირიქით, ყველგან, კანცელარიის უფროსისაგან და ამხანაგებისაგან მუდამ გაკიცხვისა და დაცივნის საგანი იყო. მუდამ დამცირებული, მარტოობით გაბეზრებული ტიტოკო თვითმკვლელობამდის მიდის. სწორედ ამ დროს მას შემთხვევით შეხვდება მეზობლის მოსამსახურე გოგო — ბათო, რომლის თანაგრძნობა ტიტოკოს დაუბრუნებს სიცოცხლის სურვილს. ტიტოკო დაუახლოვდება ბათოს და ცოლადაც შეირთავს.

ტიტოკოს ცხოვრებაში იწყება ნათელი, ბედნიერი ხანა. ტიტოკოსთვის ბათო სათაყვანებელ არსებად იქცა. ბათო რომ უკეთესად მოეწყოს, ოჯახი მატერიალურად რომ გააძლიეროს, ტიტოკომ სადამოობითაც დაიწყო მუშაობა. მაგრამ ტკბილი ცხოვრება მათთვის ხანმოკლე აღმოჩნდა. ტიტოკო ამჯერად მოტყუებული, გაწბილებული დარჩა.

ბათო ავად გახდა და გარდაიცვალა. სასოწარკვეთილი ტიტოკო ცხარე ცრემლს აფრქვევს მის ცხედარს. სწორედ ამ დროს მოისმის ფოსტალიონის კაკუნი, იგი ტიტოკოს გადასცემს ბათოს სახელზე მოსულ წერილს, რომელიც გამოაშკარავებს, რომ ბათო ტიტოკოს უსინდისოდ ატყუებდა, ლალატობდა, თვალთმაქცობდა.

დაჩაგრული, დამცირებული, პატარა ადამიანებისადმი სათანადო თანაგრძნობა და სიყვარული რომ გააღრმავოს, შიო არაგვისპირელი მოხერხებულად იშველიებს პეიზაჟს. მაშინ, როდესაც ტიტოკო ენით გამოუთქმელ ტანჯვას განიცდის, ბუნებაც, როგორც შეთანხმების, თანაგრძნობის გამომხატველი აკომპანემენტი, ეხმაურება, მის მწუხარებას: „ზუუ! კენესით შემოპზუზუნა შემოდგომის ცივმა და სასტიკმა ქარმა და თან კარებსა და სარკმლის ჩარჩოებს რაკრავი დააწყებინა, თითქოს შინ შეშვებას ეხვეწებო“<sup>1</sup>.

ნოველაში „ქარი-კი ამ დროს ზმუოდა, კენესოდა, გმინავდა!“ ეს

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 198.

ჩართული პეიზაჟი, გარდა იმისა, რომ მშვენივრად, გულში ჩამწვდომად, თანაგრძნობით ეხმაურება და აძლიერებს ტიტკოს კენესით, ვაივაგლანით და დამცირებით გატარებული ცხოვრების გზას, მის შინაგან აფორიაქებას, ის ერთგვარი სიმბოლური იერის მატარებელიც არის: „სასტიკი ქარის კარებისა და საარკმლის ჩარჩოების რაკრაკი, თითქოს შინ შეშვებას ეხვეწებო“, — გამომხატველია არა მარტო ტიტკოსი, არამედ აგრეთვე, როგორც ეს შიო არაგვისპირელის სტილისთვისაა დამახასიათებელი, ტიტკოსებრ დაჩაგრულ-დამცირებულთა მძლავრი კაკუნია ცხოვრების კარებზე დაუძლეველი სურვილით, ისინიც მიღებული იქნან ცხოვრების მიერ, ისინიც ცხოვრებამ „ერთ კაცად იწამოს“, — მათაც საშუალება და ადგილი მიეცეთ სიცოცხლისა, მოქმედებისა, ნიჭის, უნარის გამოვლინებისა და სიამოვნებისა.

ასე მოხერხებულად, შთამაგონებლად აქსოვდა პეიზაჟის საშუალებით შიო არაგვისპირელი თავის ნოველებს მაღალმორალური, სოციალური და პოლიტიკური საკითხების გამახვილება-გადაჭრას. აქაც, როგორც მთლიანად მწერლის შემოქმედებაში, მიმზიდველად ისმის დიდი თანაგრძნობა პატარა, დამცირებული ადამიანებისადმი, „უმცროსი ძმისადმი“. აშკარად იგრძნობა მწერლის დემოკრატიულ-რადიკალური მსოფლმხედველობა, მიმართულება, მისი დიდი ჰუმანიზმი.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი პეიზაჟის გამოყენებით ნიჭიერად ახერხებს, რთული ფილოსოფიურ-სოციალური საკითხების დაყენება-გადაჭრას.

მაგალითად, ეტიუდში, „ღმერთო, რა დაგიშავე?!“ შიო არაგვისპირელი დიდი სისადავითა და დამაჭერებლობით ამახვილებს არა მარტო მწერლის ეპოქისათვის, არამედ საერთოდ ადამიანთა ცხოვრებისათვის, მარადიულ საჭირობორტო პრობლემას — რამდენად ბუნებრივია და გამართლებული, რომ კაცმა სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება ცხოვრებიდან განდგომაში ეძიოს და ჰპოვოს. ცნობილია, მე-19 საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ამ მარადიული პრობლემის მწვავე ტყვივლებით მრავალი მეცნიერი და მწერალი იყო დაკოდილი (მ. ლერმონტოვი — «Мучни», «Демоии»; ლ. ტოლსტოი — «Отец Сергий»; ე. ზოლა — «La faute de l'abbé Mouret»; გ. ფლობერი — «La tentation de Saint-Antoine»; ან ფრანსი — «Thais»; ილ. ჭავჭავაძე — „განდევილი“ და მრავალი სხვ.).

ეს პრობლემა, როგორც ირკვევა, შიო არაგვისპირელსაც საგრძნობლად აწვალებდა, რაც მის ეტიუდში „ღმერთო, რა დაგიშავე?!“ დიდი ოსტატობით აქვს მოცემული.

ახალგაზრდა მწირი სერაფიონი ცხრა წლისა მშობლებმა უდაბ-



ნოში დატოვეს ბერებთან. მას შემდეგ განვლო თერთმეტმა წელმა. სერაფიონი ყველამ შეიყვარა მონასტერში; მთელი კრებული მას დიდი მზრუნველობით ზრდიდა. და აი, როცა სერაფიონი ოცი წლისა გახდა, დაუქმყოფილებლობას გრძნობს, თითქოს მისი არსება „შუაზედ გაიყო“ — ერთი სდგას მუხლ-მოდრეკილი ჯვარცმულის წინაშე ხელეზ-გაპყრობილი, სახე-დაღმეკილი და ამბობს უაზროდ ლოცვას, ბუტბუტებს გონებადაუტანებლად, ხოლო მეორემ შვიდი-რვა წლის ყმაწვილის სახე მიიღო და თავის ტოლ-ამხანაგებში დარბის, დაბტის და თამაშობს, გრძნობს, რომ ბედნიერია“<sup>1</sup>. სერაფიონი მოუსვენრად არის, მას უდაბნოში გული აღარ უდგება, ის თავის ასეთს მტანჯველ განწყობილებას წინამძღვარს გულახდილად გაანდობს.

წინამძღვარმა, სერაფიონთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, აწკარად დაინახა, რომ სერაფიონის უდაბნოში დატოვებას აზრი აღარ აქვს და მას ცხოვრების ახალ გზას ულოცავს: „უფალმა გაგაძლიეროს და გაგამხნეოს... ნეტარება შენ, შვილო, თუ გზამ არ შეგაშინა და ძღვეამოსილი გამოხვედ... რაც ეკლიანია გზა, მით ნაყოფი უტკბესია, მით უფრო დიდი ნეტარება მოგელის...“<sup>2</sup>

ცხადია, წინამძღვრის საუბარს თუ დალოცვას ისეთი იერი აქვს, რომ ცხოვრების სიტკბოება თითქოს მასაც იზიდავს, მაგრამ რეალური ცხოვრების გზა თავისი სირთულითა და წინააღმდეგობებით, მას, ალბათ სუსტი ნებისყოფის მქონეს, აშინებს, რისთვისაც მან თავი უდაბნოს სიმყუდროვეს შეაფარა. ექვს გარეშეა, წინამძღვრის სიტყვები — „რაც ეკლიანია გზა, მით ნაყოფი უტკბესია, მით უფრო დიდი ნეტარება მოგელის“ — ასე უნდა გავიგოთ და შევადვასოთ.

შიო არაგვისპირელმა, რომ უფრო აშკარად გვაგრძნობინოსა და დაგვარწმუნოს კიდევ, რომ სერაფიონის მიერ არჩეული გზა ბუნებრივია, სწორია, შინაარსიანია, პეიზაჟს იშველიებს: „მთვარემ ამ დროს ღიმილით გადმოხედა უკანასკნელად მომტირალ მწირს და შორს, ცის კიდესთან ამართული მთის იქით, ნაზად ჩაესვენა. აწნობამდის გაცრიაკებულმა ვარსკვლავებმა კაშკაში დაიწყეს და ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. მოდუღუნე მტკერის პირიდან ნიავმაც დაიწყო სისინი და ფოთლები ააშრიალ-ათამაშა; ხის ტოტებზე ჩამწკრივებული ბელურები გამოაღვიძა, მოასმენინა მწირის ქვეთინი და ზევიდან ჩაწივწივებით ანუგეშებინა. არაგვი ხომ მთის იქიდან დიდი ხანია გადმოსწყვივის და ამხნევებს მწირს და ეუბნება, მარტო არა ხარო, მაგრამ მწირს არც ბელურების ნუგეში და არც არაგვის გაქმნეება არ ესმოდა.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 207.

<sup>2</sup> იქვე.

მწერა მანც უფლისადმი საყვედურით აღვსილი ქვითინებს და ქვითინებს...<sup>1</sup>.

თუ მეუდაბნოენი სერაფიონს ერთგვარი წყენითა, შიშითა და კრძალვით უშვებენ ცხოვრებაში და უდაბნოდან ანთავისუფლებენ, სამაგიეროდ გარემო ცხოვრება მას სიხარულითა და მძლავრად იზიდავს თავის წიაღში. არაგვი, ეს საქართველოს შეუპოვრობის, დინამიკისა და სილამაზის სიმბოლო, სერაფიონს გადმოსწყვივის და ამხნევენს „მარტო არა ხარო“, თითქოს შთააგონებს — ერთად ჭირისა და ლხინის გადატანა უფრო ადვილიაო: და თუ, მიუხედავად ამისა, მიზანმიღწეულ სერაფიონს არც ბელურების ნუგეში და არც არაგვის გამამხნეველი სიტყვები არ ესმის და ქვითინებს, ეს არა იმიტომ, რომ მას უდაბნოს დატოვება ენანება, არამედ ის ტირის დაკარგულ, უდაბნოში გატარებულ თერთმეტ წელს — თავისი სიჭაბუკის წლებს. ასეთია ამ პეისაჟის *raison d'être*, გამართლება.

ამ რთულ ფილოსოფიურ-სოციალურ პრობლემას — ადამიანის სიცოცხლის არსს, შიო არაგვისპირელი ისევე რეალურად წყვეტს, როგორც ილ. ჭავჭავაძე („განდევილი“), ლ. ტოლსტოი („მამა სერგი“), მ. ლერმონტოვი („მწირი“) და სხვ.

სახელდობრ: ადამიანის დანიშნულება და აუცილებელი პირობაა, დარჩეს ცხოვრებასთან, იტრიალოს ცხოვრების შუა გულში და არა მის გარეთ, მის დამოუკიდებლად.

შიო არაგვისპირელის მიერ ჩაქსოვილმა პეისაჟმა არა მარტო გააღრმავა, ნათელყო და დახვეწა სერაფიონის სულიერი ტრაგედია, არამედ აგრეთვე რეალურ, ცოცხალ ფერებში, მიმზიდველი პერსპექტივით გაშალა მისი ცხოვრების ახალი გზა, რითაც უფრო თვალსაჩინო გახადა ნოველის დედააზრი.

\* \* \*

ასევე დიდი სოციალური არსის, მოქმედი პერსონაჟის სულიერი განწყობილების, მდგომარეობის გათვალისწინების, მკითხველზე ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენისა და სწორი, მართებული გაგების მიზნით, ეტიუდში „ციცინათელა“ შიო არაგვისპირელი მოხდენილად იშველიებს ბუნებას.

ეტიუდში „ციცინათელა“ შიო არაგვისპირელი აგვიწერს მისი თანამედროვე ცხოვრების გაყალბებულ, დამძიმებულ, დაუნდობელ პირობებს. მკითხველს მრავალმხრივ უნდა აჩვენოს გიორგის სახით თუ მდგომარეობის დახატვით ნამდვილ ცხოვრებას, საღ ადამიანურ ურთიერთობას მოწყურებული კაცის დაუძლეველი, გაწამებული სულიერი ტანჯვა.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 209.

გიორგის შინაგანი, აფორიაქებული, განმარტოებული მდგომარეობა მკითხველს რომ უფრო სრულყოფილად განაცდევინოს; მწერალი იშველიებს პეიზაჟს, რომელიც გიორგის (ეტიუდის მთავარი პერსონაჟი) შინაგან, აშლილ სამყაროს შესანიშნავად შეესატყვისება. „შავ-ბნელი ღამეა, — გადმოგვცემს მწერალი, — სასტიკი ქარი ჰგლეჯს არემარეს. ერთადერთი მუხა, მამა-პაპეული მუხა, რომელიც სოფელზე ძალიან დაშორებულა და რომლის ძირსაც გიორგი ზურგით მიჰყუდება, ხმაურობს, ბანს აძლევს სასტიკ ქარს და შტოებს იქით ჰხრის, საითკენაც ქარი სწევს, ძირი-კი უნძრეველია, არსაით იხრება“<sup>1</sup>...

ანალოგიურია, მწერლის გადმოცემით, გიორგის, როგორც განდგომილის, გაურკვეველი, ღრმა სევდამორეული განწყობილება. „გიორგის, — აგვიწერს მწერალი, — არ ესმის არც ქარის ნავარდობა ამ უბედურ ველზე და არც მუხის ხმაურობა, მისი ალიაქოთი; არც ცის მოქუშული სახე აშინებს, არც-კი ამჩნევს ამ მრისხანებას... იგი თავჩაღუნული ღრმად მისცემია თავის ფიქრებს და მის გარეშე მისთვის აღარა არსებობს-რა“<sup>2</sup>... აქ პეიზაჟის ჩართვამ, ცხადია, მკითხველისათვის უფრო ნათელი გახადა გიორგის მძიმე სულიერი განწყობილება.

მკითხველი დიდი გულისყურით ცდილობს გაიგოს, რა იწვევს გიორგის ასეთ მწვავე სულიერ ტკივილებს, უკმაყოფილებას. მწერალიც გზადაგზა, თანმიმდევრობით ამის გამომწვევე მიზეზებსაც ბუნების მოვლენათა მეშვეობით მკაფიოდ აჩვენებს.

მწერლის გაგებით, ესაა ადამიანთა ცხოვრების სიძვავე, ურთიერთგაუტანლობა, გაუკითხაობა, არდაფასება, გულგრილობა, ურთიერთმტრული დამოკიდებულება. გიორგის, რომელიც მოწმეა და თვითობიექტი ამ უმსგავსობისა, საზოგადოების მიერ შევიწროება-შელახვის კონკრეტულ მაგალითზე მიუთითებს სახელდობრ: პიროვნებას შეურაცხყოფენ, მის პასუხს — საბუთიანობას არც კი მოისმენენ, გაუკითხავად სწეწენ, უსაბუთოდ, დაუნდობლად ანადგურებენ, მისი ტანჯვის, ტკივილების გაგება არავის არ სურს. საზოგადოების, ცხოვრების დამოკიდებულების ამ თვისებათა უარყოფითი გავლენა და მნიშვნელობა ცალკეულ პიროვნებაზე მკითხველს უფრო მკვეთრად რომ აგრძნობინოს და გააგებინოს, მწერალი კვლავ პეიზაჟს მიმართავს: „ქარი მაინც თავისას არ იშლიდა: აქ ნარეკალს წაჰკრავს თავში და მიწაზე გაართხობს; იქ ნარს წელში შემოჰკრავს და გადასტეხს; იმის ახლოს გოქმოს თავს მოჰგლეჯს და შრიალით წინ გაიგებს; ზევით, ფერ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 122.

<sup>2</sup> იქვე.

უღბზე კიდევ ჯავს აწრიბინებს, აშტვენიებს, ქვევით მდგლოს, ნათეს-  
ნახნავს ასინინებს და მუხას ხომ ისევ აშფოთებს“<sup>1</sup>...

ასეთივე ანალოგიური, უსამართლო ცხოვრებაა გიორგის გარშემო.  
აქაც პეიზაჟი უფრო ამძაფრებს გიორგის შევიწროებულ მდგომარეო-  
ბას.

სიპართლის, სიკეთის, სათნოების მაძიებელი გიორგი შეძრწუნე-  
ბულია ცხოვრების სიპართლის ნახვით. მას საზოგადოებრივი ცხოვ-  
რება წარმოუდგება აყროლებული ჭაობის სახით. ის უკმაყოფილო,  
შეშფოთებული. განცვიფრებით კითხულობს: „ნუთუ ჩვენი საზოგა-  
დოება ისე დაშმორებულია, რომ პიროვნების წაშლა მაგრე ადვილად  
შეუძლიან?...“

გიორგის (რა თქმა უნდა, გიორგის სახით პირველ რიგში თვით  
შოი არაგვისპირელს) კარგად ესმის, რომ საზოგადოებისათვის, გან-  
საკუთრებით ისეთი მცირე ერისათვის, როგორც ჩვენია, ერთი/სალი  
წევრის დაკლება კი დიდი ზარალია. ამიტომ ადამიანს, ყოველ მოქა-  
ლაქეს, მით უფრო სასარგებლოს, საზოგადოება დიდი სიფრთხილით  
უნდა ეკიდებოდეს, უვლიდეს, აფასებდეს.

ნახულითა და განცდილით ღრმად დამწუხრებული გიორგი თავის  
თავს ჩაუფიქრდება, თავის ზრახვებს, მისწრაფებებს დაუპირისპირებს  
საზოგადოების ასეთს უაზრო, არასწორ, მავნე დამოკიდებულებას პი-  
როვნებისადმი. ის სევდიანად, თან განცვიფრებითა და თითქოს, და-  
ნანებითაც წამოიძახებს: „რად მეგონა მისი (საზოგადოების — მ. ზ.)  
ჭირი ჩემ ჭირად, მისი სუნთქვა ჩემ სუნთქვად, მისი ლხინი ჩემ ლხი-  
ნად, თუ მაგრე მის თვალში მე, როგორც პიროვნება; უპიროვნობას  
შევადგენდი?! რად მთვლიდა თავის წევრად მე უპიროვნოს?!“<sup>2</sup>

მართლაც, საშინელი, მძიმე, აუტანელი წვა-ტრაგედიაა გულწრ-  
ფელი საზოგადო მოღვაწის ცხოვრებაში მისი ასეთი დაშორება საზო-  
გადოების ცხოვრება-შეხედულებისაგან. თითქოს მასსა და საზოგადო-  
ებას შორის გარდუვალი უფსკრული არსებობს.

გიორგი რწმუნდება, რომ ის ცდებოდა, ასეთ საზოგადოებას მხარ-  
დამხარ რომ მიყვებოდა, რასაც ის ასე მწვავედ განიცდის. გიორგი  
ცხოვრების ასეთ გაგებაში თანდათან უფრო ღრმავდება. მას სურს  
ცხოვრება, რამდენადაც კი შეძლებს, ობიექტურად, მისგან დამოუკი-  
დებლად განაქიქოს, შეათასოს, მაგრამ სამწუხაროდ, მაინც რწმუნდე-  
ბა, რომ საზოგადოების ორ წევრსაც კი აზრალაც არ მოსდის სინამდ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1947, გვ.  
122—123.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 123.

ვიღუ ვულდასმიტ შეისწავლოს, გამოიცნოს მისი ბუნება, მისი არსი. სინაქულიზე დაკვირვების შედეგად გიორგის განცდა, გაგება და დასკვნა ასეთია: თუ პიროვნების უფლებათა შელახვა ვისმე ადვილად შეუძლიან და ჩვეულებრივ აბუჩად ექცევა, ის უსაპართლო ყოფილა და უპიროვნო. „იგი თავის თავს ანდერძს უგებს, თავის თავს თითონვე უთხრის სამარეს“...<sup>1</sup>

მაგრამ გიორგის (რა თქმა უნდა, პირველ რიგში თვით მწერალს) არ უნდა მიიღოს მის მიერ გამოტანილი განაჩენი საზოგადოებისადმი. არა. ის ვერ ურიგდება მის დაღუპვას. გიორგი ცდილობს აკვიტებულს „შაბეღითი დასკვნა“ სოფლის მოსპობაზე თავიდან მოიშოროს. საკუთარ თავთან ხანგრძლივ ბრძოლაში უწყალოდ დათენთილი გიორგი მაინც თითქოს მიაგნებს რაღაც იმედს, გამოსავალს და ძალუ-მჭდ ჩაეჭიდება მას. მაგრამ მეორე, სასტიკი, უღმობელი ხმა გიორგის ამ იმედს უქარწყლებს და დაუინებით ჩასჩინებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მოისპობა, არსებული ცხოვრება უფრო დაღუპება-დაკნინდება. ასეთს მტანჯველ მერყეობა-წინააღმდეგობაში მყოფი გიორგი, თითქოს რაღაც ზეშთაგონებას მოელის. მაგრამ საიმედოს ვერაფერს ხედავს. ამ მომენტშიც გიორგის აშლილი მშფოთვარე სულიერი სამყარო რომ გააშინვლოს და მისი სულისკვეთება მკითხველს ღრმად განაცდევინოს, მწერალი კვლავ ბუნებას იშველიებს: „ცაც ხომ მოქუშული იყო... მხოლოდ ესმოდა ქარის შტეენა, წივილი და კენესა, მუხის ფოთლების აღზნებული. შრიალი, ტოტების ქაჭა-ქუჭი...“<sup>2</sup>

ამგვარ მდგომარეობაში მყოფ გიორგის თვალწინ მცირე შუქი გაკრთება და ისევ სწრაფად გაქრება. გიორგის ჰგონია, თვალმა უღალატა. გამალებით ცქერა დაუწყო, თითქოს შვების გზის სწავლებას თუ პოვნას მოელისო. მცირე შუქი კვლავ გამოკრთა და ისევ სწრაფად გაქრა. ეს შუქი, თითქოს გიორგის გულშიც ჩაეშვა, მისი გონებაც გაანათა. ორივე ამოძრავა. შუქი კი დროგამოშვებით გამოკრთოდა. ეს იყო ციციანთელა. ამ საშინელ ღამეში ციციანთელა მუხის ფოთოლს თუ ტოტს მიჰკროდა. ასევეა გიორგის აფორიაქებული შინაგანი სამყარო აკვიტებული იმედისა და უიმედობის მერყეობით აწეწილი, აფორიაქებული.

გიორგის მთელი არსება ციციანთელამ მიიპყრო. მისმა გონებამაც მძაფრად იწყო მუშაობა, მის არსებას სულ სხვა მიმართულება მისცა. გიორგი ჩაფიქრდა: „...რა არის ციციანთელა?!.. სულ უბრალო, მცირე მწერი და აგერ იგიც, თუმცა ეს სასტიკი ქარი საშინელის სიძ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 123.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.

ლიერით ებრძვის, სცდილობს, თუმცა შეუგნებლად. მისი პიროვნების წაშლას, იგი მაინც თავისას არ იშლის... უძალიანდება. ვიღრემდის არ გაშემდება, არ მოკვდება... და უკანასკნელ სულის ამოხდამდის თავის პიროვნებას, თავის არსებობას ამცნევს ქვეყნიერებას... თავისთვის წაშლა არ უნდა... რაც შეუძლიან, მოვალედ სთვლის თავის თავს, გააკეთოს და არაფერს შეუშინდეს... დეე, სასტიკი გარემოება, როგორც ციკინათელას, ხელს უშლიდეს, ეწინააღმდეგოს, პიროვნებამ თავის უკანასკნელ სულის ამოხდამდის, მოვალეობას არ უნდა გადაუხვიოს და წინ მიდიოდეს შეუღრეკელად“...<sup>1</sup>

აქაც შიო არაგვისპირელი კვლავ ძალუმად ეხმაურება თავის წინამორბედ მწერლებს ილ. ჭავჭავაძეს, განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილს, რომელიც მწვავედ გრძნობდა რა საზოგადოებრივი ცხოვრების „სისაძაგლეს“, სიღუბჭირეს, მაინც კაცთა სამოდღვროდ, განსამტკიცებლად, შთამაგონებლად მეტყველებდა:

„მაგრამ რადგანაც კაცი გვექიან — შვილი სოფლისა, უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა, არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს; იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“<sup>2</sup>

შიო არაგვისპირელიც ნ. ბარათაშვილისებურად მიმართავს მკითხველის გულისყურს ბუნების — პეიზაჟის მოშველიებით.

მართალია, — აგვიწერს მწერალი, — „სასტიკი ქარი ისევ სასტიკად აკვნესებს არემარეს, სოფლიდან ისევ მყრალი სუნი მოისმის... მაგრამ გიორგი პირდაპირ სოფლისაკენ ძლიერის ნაბიჯით მიდის, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, რომ ჭაობი ნაკადულად გარდაქმნას, და მის ნაბიჯს არა აფერხებს—რა, თუმცა ქარიც და სოფლის სუნიც ეწინააღმდეგება“...<sup>3</sup>

ეს შეიქმნა გიორგის ღრმა რწმენად, რაც გიორგის გონებას — შეგნებას ისე მიეკრა, როგორც ციკინათელა მუხის ფოთოლს. ამ რწმენას სიკვდილამდე ვერაფერი შეაფერხებს, ვერაფერი შეეცვლის. „ციკინათელა ციკინათელადვე მოკვდება!“ (ე. ი. კაცი სიკვდილამდის კაცად, ღირსეულ მოქალაქედ უნდა დარჩეს, ის იბრძვის თავისი ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის შესასრულებლად), — ამაყად გაიძახის გიორგი და მედგრად მიარღვევს ქარს, ტალღებს, ე. ი. ცხოვრების უკუღმართ პირობებს.

ამ ეტიუდში ბუნების მოვლენები — ციკინათელა, ქარი, მუხა და თვით სოფლის დამყაყებელი სუნი — რა თქმა უნდა, სიმბოლიური-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 126.

<sup>2</sup> ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1938, გვ. 10.

<sup>3</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 126.

ცაა, რაც შიო არაგვისპირელს ეხმარება მხატვრული სახეების სრულყოფილად გამოქანდაკებაში, რათა თავისი ღრმა რწმენა ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მკითხველს შთამბეჭდავად აგრძნობინოს.

ციცინათელას მდგომარეობა მკითხველს მკაფიოდ და დამაჯერებლად შემდეგს ეუბნება: კაცი ცხოვრების გზაზე არ უნდა შეუშინდეს არავითარ დაბრკოლებას. მისთვის მუდამეამს მამოძრავებელი უნდა იყოს ურყევი რწმენა და მისწრაფება — იზრუნოს ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მოძმეთა სასარგებლოდ; კაცმა ღრმად უნდა ირწმუნოს, რომ მისთვის სიმშვიდე, კმაყოფილება და ბედნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე არ არსებობს. ასეთია, ამ ნაწარმოების დედააზრი, ამაშია მისი დიდი საზოგადოებრივი ღირებულება.



შიო არაგვისპირელი აგრეთვე ხშირად იყენებს პეიზაჟს, როგორც კონტრასტს ადამიანის განწყობილებისა თუ მოქმედების საჩვენებლად. ამასთან მასში არაიშვიათად ჩაურთავს ხოლმე მწერალი პეიზაჟს თავისი პირადი განწყობილების, გაგებისა თუ დამოკიდებულების მიმთითებელს ამა თუ იმ სოციალური მოვლენისა თუ საგნისადმი. მაგალითად, მოთხრობაში „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ გლეხის — დათუა შრომიშვილის კარგად მოვლილ, შემოსავლიან ვენახს ყალბი, უსინდისო, გარეწარი მოწმეების — აზნაურ გოგისა და ლევანის ცრუ ჩვენების საფუძველზე სასამართლო კაციჭამია, სოფლის შემავიწროებელ ვაჟარ ისაკა ჭამიაშვილს მიაკუთვნებს.

ყოველი მხრივ შევიწროებული, უსამართლოდ გაჭეპყილი, ცხოვრების უკანასკნელ სახსარს მოკლებული დათუა სახლში ბრუნდება. შავი ფიქრები ტყვიასავით დასწოლია გულზე, ის გამოუვალ მდგომარეობაშია. ვერ ისვენებს, ბორგავს, ადგილს ვერ პოულობს.

სოფელს კარგა ხანია სძინავს. სძინავთ დათუას ცოლს ნენეს და მის რვა წლის ვაჟს გაბროს. მხოლოდ დათუას თვალს არ ეკარება რული. იგი საწოლში შამფურივით ტრიალებს. ბოლმა ყელში აწვება. მას ვერ მოუნელებია, ვენახი ასე უსინდისოდ, უსამართლოდ რომ ჩამოართვეს და ისაკა ჭამიაშვილს გადასცეს. მაშინ, როდესაც დათუა ასეთ უმწეო, აფორიაქებულ სულიერ მდგომარეობაშია, „მთვარე-კი შემოსციცინებდა დათუას და თითქოს ამას ეუბნებოდა: „საწყალო, შრომი შვილო, როგორც ვხედავ, შენ ბედი არ გაგიღიმებს!.. რამდენი საუკუნეა, რაც შენ მონადა ხარ და შენი სარჩო-საბადებელი სხვას მიაქვს... წინათ თუ ლუარსაბები, რევანები და არჩილები გაცილინენ ხელიდან შენ საცხოვრებელს, ეხლა ისაკები გიხდებიან ბატონად

და... ეკ, საწყალო, როდემდის უნდა ითმინო?!“ თითქო მთვარემ ვე-  
ლარ გაუძლო დათუას მზერას, ღრუბელს მიეფარა და დერეფანში  
ჩამოაბნელა“<sup>1</sup>.

აქ პეიზაჟი ორგვარ ფუნქციას ასრულებს: ერთი მხრივ, ბუნება  
წინააღმდეგია დათუას გარშემო მყოფ იმ პიროვნებებისა, რომელნიც  
მისდამი არაადამიანურ, გულქვა დამოკიდებულებას იჩენენ; მთვარე  
დათუას შესციცინებს, თითქოს მის გამხნევებას ცდილობს. მთვარე  
თავისი ფერებით გამოხატავს დათუასადმი თანაგრძნობას; ისიც შე-  
წუხებულია, მოღუშული, ბნელდება დათუას გარემო წარმოებული  
შემძარწუნებელი ძალმომრეობით, თვითნებობით, უკანონო, უადა-  
მიანო მოქცევით; მეორე მხრივ, თვით მწერალი, აღშფოთებული ამ-  
გვარი სოციალური ყოფით, თითქოს ველარ იმაგრებს თავს და თავის  
განწყობილებას, აღლეებას მთვარეს მიაწერს; ამ მოვლენისადმი თა-  
ვის სამღურავს მთვარეს გამოათქმევენებს. შემოქმედების ეს ხერხი ამ  
აპალელებელი მოვლენისადმი მკითხველის შთაბეჭდილებას არ ანე-  
ლებს. არამედ უფრო ამძაფრებს, რითაც მწერლისა და ნაწარმოების  
დემოკრატიულ-ჰუმანური მიზანდასახულება მკითხველამდის უფრო  
მკვეთრად და შთამაგონებლად დაჰყავს. ამასთან მწერლის მიერ გა-  
მოთქმული უკმაყოფილება და განსჯა თითქოს ზოგად, საერთო-საქა-  
ციობრიო ხასიათსაც იღებს, რაც შიო არაგვისპირელის სტილისათვის  
აგრეთვე დამახასიათებელია.

\* \* \*

ეტიუდში „სოფლად“ შიო არაგვისპირელი პეიზაჟის ჩართვით სო-  
ფლის მოსახლეობის ცხოვრების საწინააღმდეგო განწყობილებისა თუ  
შთაბეჭდილების აღმძვრელ სურათს იძლევა, რითაც მკითხველში სო-  
ციალური გარემოების სწორად და მკვეთრად გაგებას უწყობს ხელს.

მოვეგონოთ ძირითადი ხაზი ამ ეტიუდისა: ახალი წლის დაპეა.  
ჩვეულების მიხედვით ყველა ცდილობს ახალი წლის დღეს მხიარუ-  
ლად, დოვლათიანად შეხვდეს, რათა ასეთი სიუხვე მას მთელი წლის  
მანძილზე დაეხედოს. ეს ჩვეულება, რაც დღემდე შემორჩა ყველა  
ხალხს, ისტორიულად გამომუშავდა ხალხის მასების გამუდმებული  
ეკონომიური სიციწროვით და მისი დაუძლეველი, დიადი სურვი-  
ლით — სავსე, გაუჭირვებელი ცხოვრება მოიპოვოს და დაიმკვიდროს.

ახალი წლის წინა ღამეს მთელი სოფელი მზადების ფაციფუცშია,  
ყოველი ოჯახი „რალაც მოძრაობაში და მზადებაში იყო. ყველას ერ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 120—121.



დოდან ბოლი და ნაპერწყლები ამოდიოდა. მოისმოდა ლაპარაკი, ძაღლების ყეფა და ყმუილი, ქათმების ჩხავილი, ფრთხილი“<sup>1</sup>. ხოლო გარეთ კი აპ დროს, — აგვიწერს შიო არაგვისპირელი, — „მშვენიერი ნათელი ღამე იყო. საესე მთვარე ნაზად დასცქეროდა ჩვენს თეთრად შემოსილს სოფელს და უხვად უგზავნიდა მკრთალს ნათელს. ამას ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს ახალწლის ღამე იყო. ისევ ისე კეკლუცად მისცურავდა, როგორც წინა ღამეს“<sup>1</sup>.

სოფლის ცხოვრებასა და ბუნების ღამის სურათს შორის სხვადასხვაობა შიო არაგვისპირელის ამ ნაწარმოების იდეასა და მიზანდასახულობას ამახვილებს. მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობა, ადამიანი არაჩვეულებრივად ამოქმედებული და აფორიაქებული ამ ერთი დღის შესახვედრად — მთვარე, ეს მარადიული მოწამე ადამიანთა ცხოვრებისა, ჩვეულებრივი სინაზით, სიმშვიდით დასცქეროდა სოფელს და მკრთალ ნათელს უგზავნიდა მას. ამგვარადვე ჩვეულებრივი, აუფორიაქებელი, მარადიული და კანონზომიერი უნდა იყოს ადამიანთათვის ისეთი დოვლათიანი და სასიამოვნო სამზადისი (ე. ი. საკმარისი ეკონომიკური დოვლათი, კმაყოფილი, ბედნიერი დღე, რომლისკენაც სამართლიანად მიისწრაფვის ადამიანი მხოლოდ ახალწლის დღისათვის), როგორც მთვარისათვისაა მარადიული და ჩვეულებრივი — ნაზად, მშვიდად, კეკლუცად ცურვა ცის კაბადონზე.

ამ შემთხვევაშიც პეიზაჟი გარკვეული სოციალური დაკვეთის ფუნქციას ემსახურება და სურათის იდეაცა და მიზანდასახულობაც მკითხველამდის ადვილად და თვალსაჩინოდ დაჰყავს.

\* \* \*

კაცის კეთილი, საქვეყნო საქმის სასარგებლო სამსახურის მიმზიდველობა რომ უფრო გააძლიეროს, მკითხველზე უფრო ღრმა, შთამბგონებელი შთაბეჭდილება რომ მოახდინოს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებული კაცისადმი თავისი აღფრთოვანება თვალსაჩინოდ გამოავლინოს, შიო არაგვისპირელი პეიზაჟს იშველიებს. მწერლის ჩვენებით, ბუნება ადამიანის ცხოვრების თანამგზავრია, მისი ახლო და სიმართლით გამგებია. როცა კაცი კეთილს, სახალხო საქმეს იცავს, მაშინ მას ბუნებაც თანაუგრძნობს და ღია ფერებით კიაფობს.

ასევეა შიო არაგვისპირელის ეტიუდში „ს ა მ ა რ ც ხ ვ ი ნ ო ბ ო ძ თ ა ნ“. ჩიტა გუთნიაშვილი<sup>2</sup> სიმართლისათვის, ხალხისადმი უსამარ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თბზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 20.

<sup>2</sup> ჩიტა გუთნიაშვილის სახით განსახიერებულა ცნობილი რევოლუციონერი მუშა — არსენა ჯორჯიაშვილი, გენერალ გრიბუნოვის მკვლელი.

თლობის, ძალმომრეობის წინააღმდეგ თავგანწირული იბრძვის. მას შავი რეაქცია დაუნანებლად, ვერაგულად კლავს — საჯაროდ დახვრეტს. ჩიტა ამ სასჯელს გმირულად ხვდება.

მწერალმა თავისი თანაგრძნობა და აღფრთოვანება ჩიტას პიროვნებით და მისი მოქმედებით რომ დაანახვოს მკითხველს, ამბავს ბუნების დახმარებით შემდეგნაირად ამთავრებს: „ჩიტას გვამი დამზადებულ საფლავში ჩააგდეს და მიწის წაყრას შეუდგნენ.

სწორედ ამ დროს ცამ გაშალა თავისი მკერდი და ტახტად გაუმზადა თავის სატრფოს. ჩიტა აღარც კი მოჰგონებია...“

აი სწორედ ადამიანთა თუ ხალხთა ცხოვრების ამგვარ მომენტებზე და ბუნების მათდამი დამოკიდებულების შესახებ შეიძლება გამეორდეს დიდი რუსი პოეტის ალ. პუშკინის სიტყვები:

«И пусть у гробового входа  
Младая будет жизнь играть,  
И равнодушная природа  
Красою вечною сиять.

ჩიტა დაეცა ახალი ცხოვრების კარიბჭესთან, რომლისთვისაც ის ასე თავგანწირვით იბრძოდა. მწერალი მწუხარებით გადმოგვცემს ჩიტას სიკვდილს, მაგრამ მასთან გვახარებს მისი გმირული სიკვდილის ჩვენებითა და პეიზაჟის ჩართვით — გვეუბნება — სიკეთე გაიმარჯვებს, ბოროტება დაითრგუნება.

შიო არაგვისპირელის პეიზაჟის მიმზიდველობა, როგორც აღნიშნულიდან შეიძლება დავინახოთ, მარტო მისი სიზუსტით, მკვეთრი ფერებითა და გამომხატველი ემოციებით კი არ ხასიათდება, არამედ აგრეთვე, ღრმა გულწრფელობით, მაღალი იდეებით, გრძნობებითა და მისწრაფებებით, რომელთაც მკითხველის შეგნებაში შთამაგონებლად აღძრავს, აღრმავებს, ნერგავს.

##### 5. შიო არაგვისპირელის შთამაგონების ხალხურობა

შიო არაგვისპირელი ხომ ხალხის შვილია, მის წიაღში დაბადებული და გაზრდილი, მისი მსოფლგაგებაც, ბუნებრივია, დადუღებულია ხალხის ყოფისა და მისწრაფებათა საფუძველზე. ამიტომ შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა მის მიერ ხალხის ცხოვრების კარგი ცოდნა, მისდამი ცხოველი ინტერესი და გულისხმიერი დამოკიდებულება.

შიო არაგვისპირელი თავის „უბის წიგნაკში“ ოსტატურად აღარებს ინტელიგენტს გლეხს და ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ინტელიგენტი რაღაცას ეძებს, რას, თითონაც არ იცის, ამისთვის ის გარემოებას ჰლანძღავს, თავის ძალღონესაც ფუჭსავატობაში ატარებს, იბნევა; იძახის, მხარი რომ მოეცათ სხვებს, ქვეყანას ვიხსნიდიო. გლეხი?... გლეხს გარკვეული გზა აქვს. ის მუშაობს. ოჯახის გაძლიერება აქვს მიზნად.

მას ყოველი წინ წადგმული ნაბიჯი ამ მიზნისათვის, თუნდაც ორი კოდი პური მეტი მოვიდეს წინა წელიწადთან შედარებით, საშინლად ახარებს. ცოტა ოდნავ უკან ჩამორჩენა საშინლად ალონებს. მაგრამ იცის, რატომ დაღონდა და უფრო მეტის ენერგიით ჰკიდებს ხელს, მომავალში საქმე გამოასწოროს და თავისი მიზნის მისაღწევად ნაბიჯი წინ წასდგას. წარსული შეცდომა შეასწოროს.

ინტელიგენტი კი პირველსავე შემთხვევაში ფარ-ხმალს ძირს უშვებს და თავის თავს დევნილად აცხადებს<sup>1</sup>.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებას ძირითადად სწორედ ეს განწყობილება გასდევს.

ხალხის ცხოვრების რეალისტურად ამსახველი შიო არაგვისპირელი გულწრფელად მიისწრაფოდა ხალხის მდგომარეობის გაჯანსაღებისა, მისი ნიჭისა და უნარის შესაძლებლობის მიხედვით ცხოვრების გაშლისა და წინ წაწევისაკენ. თავის მხატვრულ შემოქმედებაში ის დიდი ოსტატობით აქსოვდა ცხოვრების ყოფით სურათებს, რათა მკითხველისათვის დაენახებინა, ერთი მხრივ, გლეხობის მართალი, ჯანსაღი, გამძლე, მოქმედი, გაუტეხელი ბუნება, ხოლო, მეორე მხრივ, მოეცა მათი ცხოვრების სინამდვილე მთელი თავისი უსამართლობით, ადამიანთა უუფლებობით, ყოველ წუთს მოსალოდნელი შიშით, რათა შემჩნეული არ ყოფილიყო „არაკეთილსაიმედობაში“ და არ განეცადა ადამიანის დამამცირებელი, დაუმსახურებელი ადმინისტრაციული რეპრესიები, არ შინებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ თვითნებური, მისთვის საბედისწერო — განკარგულებისა და მოქმედებისა. ცხოვრების ასეთი შევიწროებული პირობების გამო ხალხის მეგობარი მწერალი იძულებული იყო ხშირად იგავისთვის მიემართა.

შიო არაგვისპირელის შემოქმედების სტილისათვის მეტად დამახასიათებელია ეზოპეს ენა — ქარაგმული, იგავური ენა, რაც ასე განმტკიცდა XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში და აქედან ჩვენშიც, მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის თვითნებური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების მიზნით (ნ. გოგოლი, ნ. ნეკრასოვი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. სალტიკოვ-შჩინდრინი და სხვ.; საქართველოში — ალ. ჰაქვაძე, ილ. ჰაქვაძე, აკ. წერეთელი, მამია გურიელი, გრ. დავითის ძე აბაშიძე, მიხ. ასათიანი, სოფ. მგალობლიშვილი და სხვ.).

შიო არაგვისპირელიც დიდი ოსტატობით გვიხატავს ხალხის ყოფით მოვლენებს, რომლებშიც მკვეთრად შედგენდება სახელმწიფოში გამეფებული თვითნებური პოლიტიკა. ეს მოვლენები შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ ერთი მთლიანი, სამწუხაროდ, უცვლელი, საყოველთაო იყო.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, უბის წიგნაკი, ლიტ. მუზეუმი, № 16087-ხ.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში გარემო ცხოვრება, თუ, ერთი მხრივ, მოცემულია ისეთი განზოგადებული და მახვილი სახეებით, რომ მკითხველი მათში ადვილად და მწვავედაც გრძნობს მთლიანი პოლიტიკური წყობის უმსგავსობას, მეორე მხრივ, მკითხველი ეცნობა ჩვენი ხალხის — მშრომელი გლეხობის ხასიათის სიმტკიცეს, ამტანობას, გამძლეობას; ბავშვობიდანვე მასში გამოუმუშავებულ მედგარ მებრძოლ სულს.

შიო არაგვისპირელის მხატვრული თვალი — გამოცდილი, დაინტერესებული, ბრძნული, მაძიებელი თვალია, რომელსაც უყვარს სიცოცხლე, უყვარს ადამიანურ ცხოვრებას მოწყურებული, დაჩაგრული, შევიწროებული მშრომელი გლეხი და გამალებული ეძებს მისი ხსნის გზას. შიო არაგვისპირელის შემოქმედება, უდავოდ, ხალხურიობის მატარებელია, რაც მას ბუნებრიობას აძლევს, ეს კი მწერლის ეპოქის ძირითადი მოთხოვნილებაა იყო.

ნიშუშისათვის ავიღოთ ცნობილი მოთხრობა „ჩემო შვინდავ!“ აქ იშვიათი დამაჯერებლობით, რეალურ ფერებშია მოცემული გლეხის ყოველდღიური ცხოვრების მძიმე შრომითი გზა, რომელიც მას ბავშვობიდან სიბერემდე, როგორც წნეხი, სქექყავს, მაგრამ მაინც ვერკლავს მასში ცხოვრების წყურვილს. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, — ამბობს ხალხური ანდაზა, და ამას პირველ რიგში ამართლებს გლეხი თავისი საქმიანობით. ეს გარემოება მასში განამტკიცებს ნებისყოფას, გამოუმუშავებს დაბრკოლებათა დაძლევის უნარს, შრომისადმი სიყვარულს და პატივისცემას, ოჯახისა და მოძმისადმი თანაგრძნობას, დანშარებისა და პატივისცემის სურვილს, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგნებას. ყოველივე ამას მკაფიოდ გვიჩვენებს შიო არაგვისპირელი მოთხრობის „ჩემო შვინდავ!“ პერსონაჟის სოსოს მაგალითზე.

გლეხის ბიჭი სოსო ჯერ თერთმეტი წლისაც არ არის, მას უკვე საკმარისად უგემია ცხოვრების სიღუბჭიერე, უგრძნია და გაუგია ოჯახის გაჭირვებული მდგომარეობა და მისი დანშარების აუცილებლობა. ის ოჯახს შინაურ საქმიანობაში კარგა ხანია ეხმარება.

მისი ოჯახის მარჩენალია მხოლოდ ერთი ძროხა და ერთი ხარი. გლეხი ბავშვობიდანვე რწმუნდება, რომ პირუტყვს თუ არ მოუარე, ისე პურს არ გაჭმევს, ამიტომ საჭიროა, მან პირუტყვთან ერთად „ერთგულად სჭიმოს“ ცხოვრების კაპანი.

სოსოს დედა (თუმცა ენანება „უსუსური შვილი“ რომ გაუშვას სამუშაოზე) იძულებულია თერთმეტი წლის ბავშვი გუთანზე გააყოლოს მეხრედ. როგორც გუთნისდედა ქიტესა ახასიათებს სოსოს, „ეს თითისოდენა ბალდი“ დიდი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შე-

გნებას, ხალისს, მიხვედრილობასა და დაუზარებლობას იჩენს. სოსო გუთანზე ყველას თავს შეაყვარებს. ასეთია გლეხი, რომელიც ბავშვობიდანვე ებრძვის ცხოვრების მძიმე პირობებს, ყოველდღიურ შრომაში იხვეწება და იწრთობა მისი მყარი ბუნება, გვეუბნება შიო არაგვისპირელი, რაშიც მწერალი კონკრეტული შემთხვევის ჩვენებით ვკარწყუნებს.

ერთ დილას ღამის მეხრეებმა ხარ-კამეჩი რომ მორეკეს, გუთნის დედას უთხრეს, რომ, მიუხედავად ბევრი ძებნისა, სოსოს ხარი დაეკარგათ. სოსომ განიზრახა წასვლა თავისი საყვარელი შვინდას საძებნელად. მაგრამ ქიტესამ არ გაუშვა, წინა მეხრე აღარ გვეუბნებაო. სოსომაც გაითვალისწინა თავისი მოვალეობა და წინააღმდეგობა არ გაუწევია. მაგრამ მეტად დარდიანი იქდა უღელზე.

სამხრისათვის შეისვენეს. მეხრეები სამხარს მიუსხდნენ. სოსო დარბმა წაიღო, არაფერი ჰქამა, თუმცა ყველა დიდი თანაგრძნობითა და აღერსით აძალებდა მას საჭმელს. სოსო გუთნისდედას შეეხვეწა: „ჩემო ქიტესო, ეხლა მაინც წავალ საძებნელად ჩემ მაგივრად აგერ, აი; მეხბორეს გამოვგზავნიო“<sup>1</sup>. მართლაც, განსაცვიფრებელია თერთმეტი წლის ბავშვისაგან თავისი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება. ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობა, მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნის უნარი!

გუთნისდედამ და მეხრეებმაც გულმზურვალედ დაარიგეს სოსო, თუ სად უნდა მოეძებნა მას თავისი ხარი და როგორი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. ასეთია მშრომელი ხალხის გულისხმიერი, მზრუნველი დამოკიდებულება მოძმისადმი, სუსტისადმი, რასაც მშვენიერად კვიჩვენებს მწერალი.

სოსო თავდავიწყებით შეუდგა ხარის ძებნას. შიო არაგვისპირელმა რომ დაგვანახოს პატარა სოსოს (eo ipso — საერთოდ ჩვენი გლეხობის) თავდადება, ენერგია, გამძლეობა და შეუპოვრობა, მას ხარს აძებნივს ძალზე მძიმე პირობებში. საშინელი ჰქა-ქუნილია. თითქოს ცამ და დედამიწამ პირი შეკრესო. ყველა სულდგმული უფრთხის და ემალება ბუნების ატეხილ სტიქიას, გარდა სოსოსი. ის, მიუხედავად ასეთი გარემოებისა, შეუჩერებლად, დაუშრეტელი ენერგიით განაგრძობს ხარის ძებნას. ღიდი გულისყურით შემოიარა წყლის ნაპირები, ტყე და ველი, მაგრამ შვინდა ვერსად ვერ იპოვა. დგას სოსო შუა ქალაში და სასოწარკვეთილი იძახის: „შვინდავ, ფშვიე... ე. ჩემო შვინდავ!“

მწერალმა გლეხის შვილის — პატარა სოსოს მდგომარეობა რომ უფრო ნათლად გვიჩვენოს, მას ამგვარ გარემოში მოახვედრებს: „ამ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თბზ., სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 55.

დროს, ცა ერთის კიდიდან მეორემდე გაიხსნა და მთლად არე-პარე ერთ წამს გაანათა... შემდეგ ერთი ისეთი დაიჭეჭა, რომ კაცს ეგონებოდა, ცა სულ ერთიანად გადმოანგრიათ. ბევრი მძინარე დააფეთიანა... სოფელში ძაღლებმა ღმუილი შექმნეს, ჰალაში-კი ყველა სულდგმული შეირყა და ხმაურობა მორთო. თითქოს ამ ცის დაჭეჭებას ელოდა ქარიო, უეცრივ დაქროლა ძლიერმა ზენა-ქარმა და მთელი ჰალა ერთ წამს ააშფოთა: ხეებს ჰრიალი დააწყებინა, ფოთლებს შრიალი, ერთის ხიდან მეორეზე მარდათ ხტოდა და გაქონდა შუილ-ზუილი. ცამ-კი ელვას და ქუხილს უფრო უმატა. ცოტა ხნის შემდეგ წამოუშინა ხშირი და მსხვილი წვიმა, რომელშიაც ჯერ წვრილი და თითო-ოროლა სეტყვა ერია, შემდეგ-კი წვიმა მთლად სეტყვად გადაიქცა და ხეების ტოტებს ლაწა-ლუწი აუყენა... თვით სეტყვის ხუვილი სულ ერთად აირია და რაღაც გამოურკვეველი და საშინელი ხმაურობა ასტყდა შუა ჰალაში, სადაც ახლა სოსო ერთი ხის ძირს ქვენა მხრით ამოფარებოდა... და გულსაკლავად ხმამალა დაიძახა: ვაიმე, ჩემო შეინდავ!...<sup>1</sup>

სოსო ხალხის შეილია, მის წიაღში აღზრდილი, ის ხალხის ცხოვრების ტიპიური სახეა.

აი ასეთ საშინელ პირობებში, როდესაც ყოველი სულდგმული შიშითა კრთის, ცდილობს თავი გადაირჩინოს, თავშესაფარს ეძებს, თერთმეტი წლის ბავშვი თავდავიწყებით, თავდაუზოგავად, შეუპოვრად იბრძვის, რათა არსებობის ელემენტარული სახსარი მაინც შეინარჩუნოს. ასეთი გამუდმებული, დამქანცველი ბრძოლა ცხოვრებასთან გლახს, მართალია, დროზე ადრე აბერებს და სიცოცხლესაც დროზე ადრე უსპობს, მაგრამ სამაგიეროდ, მასში მტკიცე, გამძლე, ადამიანის მდგომარეობის გამგებ და თანაგრძნობ ბუნებას კი ხევეს. ამიტომაც, მიუხედავად მისი ღუხვირი ცხოვრებისა, გლახი ერის ცხოვრების ბურჯია, მისი წამყვანი ძალაა, გვეუბნება შიო არაგვისპირელი და მკითხველსაც ასე სჯერა.

\* \* \*

შიო არაგვისპირელის ჩვენებით, ხალხი (რა თქმა უნდა, ის ამ ცნებაში უმეტესად გლახობას გულისხმობს), მაღალი წოდების წარმომადგენელთა მიერ დაუნდობელ, სასტიკ ექსპლოატაციას განიცდის; ხალხი თითქოს კანონგარეშეა გამოცხადებული, ის დაბრიყვებულია, დაბალი ღობეა. ძალაუფლების მქონე მას ისე იყენებს, როგორც სჭირდება.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 56—57.

ჩვენი ძველი სოფლის ყოფის ტიპური სურათია მოცემული შიო არაგვისპირელის ეტიუდში „მერე რილათი იცხოვროს?!“

თავად რეზიკოს და მის ცოლს სახლში ყოფნა მოსწყინდათ, გასეირნება მოუნდათ, რისთვისაც ფულია საქირო. ფულის მიღების წყაროს კი მათთვის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ გლეხობა. ამ მიზნით რეზიკო მიმართავს თავის მოხერხებულ, გაქნილ მოურავ ზალიკოს, რომელიც მეტად ოსტატურად, უსინდისოდ, უკანონოდ გამოძალავს გლეხებს ფულს. და როცა თითქოს „უფლებამოსილინი“, „გათავისუფლებული გლეხები“ ფაქტიურად კი კვლავ უფლებააყრილნი, წინააღმდეგობის ნაცვლად, თავადის მოურავ ზალიკოს მცირე შედევათს ემუდარებიან: ერთ სულ საქონელზე (რომელიც ზალიკოს კაცების მიერ ქურდულად, ძალად იყო გადარეკილი თავად რეზიკოს მამულში) მანეთ-ნახევრის მაგიერ, ერთ მანეთს დასჯერდეს. — ზალიკო დაზარალებულ გლეხებს უსინდისოდ ასე შესძახებს: „რას ამბობთ, ეი, რეზიკომ რომ ენგრე ათ-ათი შაური აპატიოს, მერე რილათი იცხოვროს?!“

ზალიკოს გლეხებისადმი ასეთი თავხედური შეძახილი მკითხველს გულში ხვდება. მკითხველი სინაჰდვილუა უფრო უკვირდება და რწმუნდება კიდევ, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც გლეხი საშინელი ექსპლოატაციის საგნად რჩება. ასეთია ახალ პირობებში მემამულესა და ახალი ბატონის (ხშირად უფრო დაუნდობელი, მკაცრი მოურავის) ხელში „გათავისუფლებული გლეხის“ ყოფა. მკითხველი რწმუნდება, რომ ახალი კანონი შედარებითი პრივილეგიებისა გლეხის შესახებ მხოლოდ ქაღალდზეა, მხოლოდ ცბიერი, ცარიელი დეკლარაციაა. სინამდვილეში კი ბატონყმობა შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მახინჯ ფორმებშიაც ვლინდება.

შიო არაგვისპირელი ახლო მიდის ხალხის ცხოვრებასთან, მის ზნე-ჩვეულებასთან, მის განწყობილება-მისწრაფებათა გაგებასთან, რაც მის შემოქმედებას ნამდვილ ხალხურ ხასიათსა და მიმართულებას აძლევს. ეს გარემოება კი მკითხველში იწვევს ხალხისადმი თანაგრძნობას, სიახლოვეს და ამასთან მასში ძლიერ აღვივებს არსებული ცხოვრების, წყობილების, გაბატონებული, დრომოჭმული ზნე-ჩვეულებების უარყოფას, მათი დანგრევის სურვილს და მშრომელი ხალხისათვის საპართლიანი ყოფის განმტკიცების აუცილებლობას.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი სიყვარულით, თანაგრძნობით, გულისხმიერებით აკვირდება ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, გულთან ახლო მიაჭვს მისი სიხარული და მწუხარება, ბედნიერება და უბედურება. ყოველივე ამას მეტად დამახასიათებლად და კოლორიტულად გვი-

ხატავს და თავის ნაწარმოებებში ზედმიწევნით კარგად გადმოგვცემს. ახალი წლისათვის გლეხის ოჯახის არაჩვეულებრივი მზადებისა და ამასთან მისი უკეთესი ცხოვრებისადმი ძალუმი სწრაფვის მწვენიერი, უშუალო, ცოცხალი სურათია მოცემული შიო არაგვისპირელის ეტიუდებში: „ახალ წლის დამეს“. „მოგონება“. „სოფლაღ“ და სხვ.

კარგადაა ცნობილი ჩვენს ხალხში გაგრელებული ჩვეულება, რომ ყოველ ოჯახს ჰყავს თავისი მეკვლე, რომლის „ფეხი მას კარგად აქვს დადილი“. მეკვლე ოჯახში ახალი წლის დღეს პირველი უნდა მივიდეს სურსათ-სანოვაგითა და ტკბილეულით სავსე ტაბაკით. მან ოჯახს კეთილი სურვილები უნდა მიულოცოს შემდეგი სიტყვებით: „დაესწარიოთ მრავალს ახალ წელიწადს ასე ტკბილად, სიხარულით, ჯანმრთელობით“. ამის შემდეგ მეკვლე ბუხართან მიდის, სააბაღლო კუნძს ჩხრეკას დაუწყებს, ნაპერწყლებს გამოადენს და თან შესძახებს: „ამდენი ძროხა, ამდენი ცხენი, ამდენი ხარი, კამეჩი, ამდენი ფარა ცხვარი, ამდენი ქათამი, ამდენი სკა ფუტკარი და ა. შ.“ მწერალმა რომ გვიჩვენოს გლეხის ამ ჩვეულების ღრმა რწმენა, მეკვლის ასეთ დალოცვაზე პატარა ბავშვს სიხარულით წამოაძახებინებს: „ოოო!.. დედი, დედი, დედი, აქ უქირე. რამდენი ნაპერწყალი ადის!... უპ რამდენი საქონელი გვეყოლება!“<sup>1</sup>

რა მაქსიმალური, რეალისტური სიზუსტითა და თვალსაჩინოებითაა გამოვლინებული ჩვენი ხალხის ეკონომიურად გაძვალტყავებული, სულისშემხუთავი მდგომარეობა და მისი დაუძლეველი მარადიული ნატურა-მისწრაფება უკეთესი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ. სწორედ ხალხის ეს მდგომარეობა, მისი ასეთი სულისკვეთება წარმოადგენს შიო არაგვისპირელის კალმის მასაზრდოებელ წყაროს. ის ხომ თავის ყოველ ნაწარმოებს უყურებდა, როგორც საბრძოლო იარაღს — ყოველი ახალი ნაწარმოებით გრძნობდა, რომ უფრო გაბედულად ებმებოდა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეში.

\* \* \*

ხალხის მძიმე მდგომარეობას შიო არაგვისპირელი მრავალმხრივ გვისურათებს. გლეხს, ისინიც კი, ვინც მოწოდებულია ხალხისათვის, მისი მდგომარეობის დაცვა-გაუმჯობესებისათვის იზრუნოს, მისევიან და სხვებთან ერთად, ყოველივე ზნეობრივი თუ უფლებრივი კანონის უსინდისო დარღვევით, უხეშად, არაადამიანურად, უპასუხისმგებლოდ დაპატრონებიან მის დოვლათსა და შრომის ნაყოფს.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 24—25.



მოვეუსმინოთ თვით მწერალს: „მაზრის უფროსი, ბოქაული, მათი თანაშემწეები და გადამწერლები; გადამწერლების გადამწერლები და მათი თანაშემწენი, ასისტავები, მათი ჩაფრები და მოჩაფრეები. — ერთი სიტყვით, მაზრის მოხელეების მთელი გუნდი, რომელიც მრავალზე მრავალშტოიანია, ხომ მარტო იმისთვის არსებობს და მოდის სოფელში, რომ გლეხს თვალები დაუბღვიროს, დასჭყვივლოს და, თუ მოისურვა, სილა გასტიკოს ან მათრაზი გადუჭიროს; თუ რამ გადასახადი აქვს, წაართვას, გააგდოს ბეგარაზე, მიაყენოს გაჭირვება და ყელში წაუჭიროს და არა იმისთვის, რომ გლეხის საკეთილდღეოდ იზრუნოს!“... მაგრამ, მწერლის დანახვითა და მხილებით, არსებული წყობილებით გლეხთა შევიწროება მარტო ამით არ იფარგლება. სამართალიც თავისი მოვალეობის გაგებასა და განხორციელებას სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოვალეობის უპასუხისმგებლო ამსრულებელთა საქმიანობას უთანხმებდა და უფარდებდა; მოსამართლედ მომჩივან გლეხს ასევე მზაკვრულად და ანგარებით ექცეოდა.

სინამდვილის კარგი მკოდნე მწერალი კონკრეტული მოვლენების დახატვით ავსებს ხალხის შევიწროებული ცხოვრების სურათებს. სახელმწიფოში გაბატონებული ვითარებით მოხერხებულად და ანგარებიანად, დაუსჯელად სარგებლობდა ცხოვრების სარბიელზე ამოტივტივებული ვაჭარი, რომელიც ფულის-მოგებისათვის ყველასა და ყველაფერს ადვილად სწირავდა, დაუნდობლად ექცეოდა ყველას, ვისაც კი მოერეოდა, და, რაც მეტ დოვლათს იძენდა, მანა მით უფრო ეზრდებოდა, სოფელს უფრო მეტად შემავიწროებელ, ახალ ბატონპატრონად ევლინებოდა. ის ფულით თავისი ბნელი საქმეების განხორციელებაში ადმინისტრაციის მოხელეებსაც, მოსამართლეებსაც თავისუკენ იბირებდა, ადვილად იმორჩილებდა; ვაჭარი დარღვეული თავდაზნაურების სინდისს ასევე იაფად ყიდულობდა.

სოფლის ასეთი წურბელა-ვაჭრის ცოცხალ, რეალურ სურათს შიო არაგვისპირელი გვაძლევს ისაკა ჭამიაშვილის სახით ეტიუდში „ჩემი ბრალი არ არის დმერთო!..“

ვაჭრის მადააშლილობის, გამდიდრებისა და ძლევამოსილების ტიპიურ გზას შიო არაგვისპირელი ისაკა ჭამიაშვილის საქმიანობით გვიხატავს. „ესთქვათ, — აგვიწერს მწერალი, — ვაჭარს რომელიმე ნივთი, რომელსაც გლეხი ყიდულობს, უღირს სამ შაურად, თითონ-კი, სულ რომ ნაკლები, ცხრა შაურს მაინც გამოართმევს. გლეხმა რომ ქისა გახსნას და ცხრა შაური გადაუთვალოს, მაშინ ვაჭარს სამშაურიან ნივთში ექვსი შაური წმინდა მოგება დარჩება, მაგრამ გლეხს ქისა ცარიელი აქვს და ამისთვის ის თავის ნაწარმოებს, მაგ.: ხორ-

1 შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 108—109.

ზალს, ქერს, სიმინდს და სხვ. აძლევს ცხრა შაურში, იმ ფასად-კი არა, როგორც ბაზარში ფასობს, არამედ ნახევარ ფასად, ფუთი ხორბალი რომ თერაპეტ შაურად ღირდეს, ის ცხრა შაურად იღებს, მერე ჰყიდის ხშირად იქვე გლეხზე თერამეტ შაურად და ამგვარად სამშაურიან ნაილოში. ექვსი შაურის მოგების მაგივრად თხუთმეტ შაურს იგებს<sup>1</sup>. სწორედ „მოღვაწეობის“ ასეთი გზა ჰქონდა ისაქა ჰამიაშილის და სხვა მისთანებს. სოფლად გლეხთა გაყვლეფა-შევიწროებაში ისინი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის თუ არ გადაეჭარბებინათ, არ ჩამორჩენოდნენ. ისაქა ჰამიაშილის სახით შიო არაგვისპირელი XIX საუკუნის ჩვენი სოფლის ჩარჩ-ვაჭრის განზოგადებულ ტიპიურ მოვლენას თუ სახეს იძლევა.

აი როგორ ტიპიურ ხაზებში ახასიათებს მწერალი ისაქა ჰამიაშილის საქმიანობას: „თითქმის ყოველ სასოფლო საქმეში ძალითა თუ ნებით, ისაქა იყო თორმეტი კაცის რიცხვში, რომელთაც, სხვა მოვალეობათა შორის, სახელმწიფო ხარჯის გაწერაც ჰქონდა მინდობილი; ისაქა იყო მაწარმოებელი სასოფლო დავთრებისა, ისაქა იყო მწერალიც, ისაქა აწარმოებდა სხვა ორ კაცთან ერთად სასოფლო მალაზიასაც. ერთხნობით მამასახლისადაც იყო ამორჩეული... სადაც-კი ისაქამ ვამოსარჩენი რამე შენიშნა, იქ დააგო თავისი ფაცერი და დღემუდამ განუწყვეტლივ წვრილსა და მსხვილ თევზს აბამდა... ხარჯის გაწერის დროს ის ყოველთვის ერთ ორმოც თუმნამდის მაინც თავის სასარგებლოდ გააწერდა სოფელს... სასოფლო მალაზია ხომ საკუთრებად გაიხადა. ვინ ჩამოთვლის კიდევ, რითი არ სარგებლობდა ის“<sup>2</sup>.

ასეთი საქმიანობით ისაქას ქონება უსასარულოდ იზრდებოდა. ქონებასთან ერთად ძალა-გავლენაც მოემატა. და ეს ყველაფერი, რასაკვირველია. ხდება ხალხის, მშრომელი გლეხობის კიდევ უფრო შევიწროებისა და მოტყუების შედეგად.

ისაქას წართმევა, მითვისება. სხვისი ქონებისა, ყველაფრის გამოძალვა. ყოველდღიურ, მოუშორებელ ჩვეულებად გადაექცა. ზოგჯერ ეს სენის მსგავსი ჩვეულება ისე შეიპყრობდა ხოლმე, რომ თავისი მიზნის მისაღწევად უზნეო, მდაბალ ღონისძიებას არ ერიდებოდა.

ასე უსაზღვროდ იქცევა ისაქა დათუა შრომიშვილის ვენახის მითვისებისას. თაღლითი, ანგარებიანი მოსამართლისა და მოსყიდულ მშვიერ თავადანაზურთა ცრუ მოწმეობით ადვილად ინარჩუნებს კიდევაც.

დათუა ძალმომრეობის, უსამართლოდ, „უთავბოლოდ“ მოწყობილ ცნობრებაში საშარათალს ვერსად და ვერავისთან რომ ვერ პოულობს,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 100—111.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 111.

იძულებულია მსჯავრი თვითონ გამოიტანოს. უსინდისო, მზაკვარ, კაციკამია, დაუნდობელ ისაკას დათუა თოფით უსპობს სიცოცხლეს ინდროს, როდესაც ის ამ ბნელ საქმეში თავის დამკაშებთან ერთად გამარჯვების ნიშნად ქეიფობს. დათუა, რომელიც ცხოვრებამ ისე გააძწწარა, რომ ძალაუნებურად კაცის მოკვლაც კი გააბედვინა, საბრალონხმით შეპლადადებს ღმერთს: „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!...“ აჲ, როგორი იყო სინამდვილეში დაბეჩავებული ხალხის ცხოვრება.

შიო არგვისპირელის სიმპათია, თანაგრძნობა მთლიანად მშრომელი ხალხის მხარეზეა. დიდი ჰუმანისტი მწერალი უყოყმანოდ ამართლებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ დათუას მიერ რევოლუციური გზით ანგარიშის გასწორებას. მწერალი ბორგავს, მას უნდა მკითხველი შეგნებულად დაარწმუნოს, რომ დათუა იძულებულია ასე მოიქცეს, ეს ალაღ-მართალი კაცი, დაუზარელი მშრომელი, ისე გაუკითხავადაა ჩაქედილი არსებული ცხოვრების უკულმართობაში, რომ სული სძვრება, სხვა გზა, სხვა გამოსავალი არა აქვს. თავის დანაშაულში მას არ მიუძღვის ბრალი. ამასვე მოწმობს მისი ალაღი გულის ამოკენესა: „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!...“ ასეთია მწერლის, აზრი და მკითხველსაც ამასვე შთააგონებს.

დათუა შრომიშვილს, და საერთოდ ყოველი მხრიდან შევიწროებულ ყველა გლეხს, ბევრი რამ აფიქრებს მწარედ: სიღარიბეა ეს თუ ვალი, გადასახადები, ბეგარა თუ თავისი უფლებააყრილი მდგომარეობა და ყველა ამასთან სიცოცხლის — საღი ადამიანური ცხოვრების დაუძლეველი სურვილი.

დათუას ასეთ გრძნობებს შიო არაგვისპირელი შემდეგში საგნობრივი სამყაროს მოცემითაც ნიჭიერად მიგვახვედრებს: „...დათუას ამის შემდეგ თავი მაღლა აღარ აუღია და გამალებული ბარავდა. ბარვის დროს დათუა ჩამღეროდა და ჩაჰკენესოდა მიწას, რითაც თავს იმხნევებდა და დაღალვას არ ტყობილობდა, თუმცა იმის სახიდან ოფელი ჩამოწკრიალებდა და ნაბარში ჩადიოდა.

მრატანა სადილობამ და დათუამაც უკანასკნელად ჩასძახა მიწას:

„შობიდან სიკვდილამდისა  
შენ ჩამოგტირით, ღეღაო,  
სიკვდილის შემდეგ შენავე  
მიგვიკრამ ხოლმე მკერდსაო!...“

გათავებისას დათუამ ღონიერად დაჰკრა ბარს ფეხი და ასე მიწაში ჩარჭობილს გაანება თავი, თითონ-კი გამოხსნა ჰრელი ხელსახოციდან გამხმარი ქერის პური და ვაზის ძირში მიმჭდარმა ლოღნა დაიწყო. იმას ძალიან უჭირდებოდა ჩაყლაპვა, რადგანაც ქერის პური პირ-

ში ნამცეცებად იშლებოდა და, რომ ნამცეცებისათვის თავი ერთად მოეყარა, წყალს ხშირად მიმართავდა ხოლმე და ლიტრას მალი-მალ იცულებდა“<sup>1</sup>.

რა ნიშანდობლივად, რა ძლიერად და რა დამაჯერებლადაა მოცემული მწერლის მიერ დათუას ჯანსაღი, ამტანი ბუნება, მისი შინაგანი ნაიზრდელი სამყარო, ღრმა ფილოსოფიური და სოციალ-ეკონომიური ტკივილებით!

საკნობრივი კონკრეტულობა დათუა შრომიშვილში ადამიანური თანაგრძობის სიტბოთია გამთბარი.

შოი არაგვისპირელის მხატვრული სახეების ძალა, მათ ემოციურ-ახრობრივ დატვირთვაშია. მათში არაფერია ეგზოტიკური, ან გრანდიოზული, მათში ყველაფერი ჩვეულებრივი, ყოველდღიურია, ადამიანიც ჩვეულებრივი, საშუალოა. მწერალს ჩვეულებრივი, ყოველდღიური კერძობითი ხშირად განზოგადებულ-პოეტურ, ფილოსოფიურ-ეთიკურ განლაგებაში გადააქვს.

შოი არაგვისპირელი მისთვის დამახასიათებელი მართალი თვალთსწვდება ერის მაღალი ფენების (თავადანაურობის, სამღვდელოების, ინტელიგენციის) ბუნებისა და ცხოვრების მანკიერ თვისებებსა და ყოფას; ამიტომ ის მათ უნდობლად ექცევა და უარყოფითად აფასებს. ხოლო დადებით თვისებებს — შრომისმოყვარეობას, ალალმართლობას, მგობრობას, გამტანობას, ნამდვილ სიყვარულს, დანდობას, თანაგრძნობას, ნიჭს, სიკეთეს შოი არაგვისპირელი ხალხში, ერის მშრომელ ფენებში ხედავს (გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია) და მათ მწერალი დადებითად გვიჩვენებს („მიწა!..“, „გაბზარული გული“, „სამარცხვინო ბოძთან“..., „ნინიკას მთაზე“..., და მრავალი სხვა. იხ. თავი „შოი არაგვისპირელის შემოქმედების იდეურ-თემატიკური განხილვა“).

შოი არაგვისპირელი თავისი ნოველებით ნიჭიერად გლეჯს ნიღბს როგორც პრივილეგიებით აღჭურვილ, მორალურად და გონებრივად დაკნინებულ, ჯერ კიდევ გაბატონებული კლასების ყოფას, ისე უსამართლო, უგულო, უპასუხისმგებლო ხელისუფლების უგუნურ პოლიტიკას, რომელიც ვერ აფასებდა ხალხის ძალას სახელმწიფოს კეთილად მართვის საქმეში.

ამასთან, მკითხველსაც ადვილად და ბუნებრივად შთააგონებდა, რომ ნოველებში მოცემული მოვლენები განზოგადებულია, ყოველი მათგანი ლოგიკური შედეგია სახელმწიფოს მთელი სისტემისა. მკითხველშიც ბუნებრივად ძლიერ ილვიძებს თანაგრძნობა, პატივისცემა

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 105.

მშრომელი ხალხისადმი, მისი უკეთესი ცხოვრების მოპოვებისაკენ მისწრაფებისადმი, ხოლო არსებული ბიუროკრატიულ-პოლიციური წყობილებისადმი აშკარად უღრმავდება სიძულვილი და მისი უარყოფის სურვილი.

\* \* \*

ხალხის მდგომარეობის, მისი რეალური სამყაროს ჩამორჩენილობის ჩვენების მიზნით შიო არაგვისპირელი თავის შემოქმედებაში ოსტატურად იყენებს ხალხის დრომოკმულ ზნე-ჩვეულებებს, ფანტასტიურ ლეგენდებს, რომლებიც ხალხზე განსაკუთრებით მის გაუნათლებელ ნაწილზე უარყოფით გავლენას ახდენდა. ტრადიცია, როგორც დამაჯერებლად გვარწმუნებს კარლ მარქსი, „კომმარკით აწვევა ადამიანის ტენის“.

მწერლის მიზანია მკითხველი დაარწმუნოს ამ ზნე-ჩვეულებისა და სხვადასხვა ლეგენდების ავი ან კეთილი სულების „არსებობის“ უსაფუძვლოებაში, მკითხველის გონება გაანთავისუფლოს პრიმიტიული, დრომოკმული, მავნე, ფანტასტიური წარმოდგენებისაგან. ამასთან, მწერალი მათ ანალიზშიც ვლინდება, როგორც ხალხის ფსიქოლოგიის ბრწყინვალე მცოდნე და ხალხის სულის მოძრაობის ნიჭიერი ამსახველი („გრძნეული ციხე“, „დიდი-დედა მარიამი და ხატაურა“, „კურცხალია და ხატი“, „ყოფილ სამოთხეში“ და სხვ.).

ამ მიმართულებით შევჩერდებით ფრიად საგულისხმო ფსიქოლოგიურ ეტიუდზე „დიდი-დედა მარიამი და ხატაურა“. დიდი-დედა მარიამი თავის ხატაურათი ხუთი წლის განმავლობაში სრულიად განმარტოებულად ცხოვრობდა. კატა გამუდმებით მასთან იყო. როდესაც დიდი-დედა კატას დატუქსავდა, იგი მაშინაც კი ფეხებში ედებოდა პატრონს და ეფერებოდა თავისებურად.

განმარტოებულ დიდი-დედა მარიამს არ ივიწყებდა მისი 23 წლის შვილიშვილი გიგლა — იგი ყოველთვის შეიბრუნდა ხოლმე ბებიასთან და ნახულობდა, რითაც ძლიერ ახარებდა გამარტოებულ მოხუცს.

ერთი ასეთი ნახვისას ხატაურას გამუდმებული კნავილით მობეზრებულმა გიგლამ მოფუსფუსე დიდი-დედას სერიოზულად უთხრა: „დიდი-დედა, ე ვერანა ხატაურა რას ჩამოგცივბია? კი არ ამოგიკამოს?!“.

გიგლას სიტყვები ცრუმორწმუნე დიდი-დედას გულს ლახვარით მოხვდა, ხატაურას განუწყვეტელ კნავილს თითქოს ყურადღება ახლა მიაქცია. მართალია, წინათაც ხატაურას კნავილით გაბეზრებული მარიამი დაემუქრებოდა ხოლმე: „კატავ, გაჩუმდი, თორემ დაგკარგავო“, მაგრამ სისრულეში არ მოყავდა. ეს მას ართობდა კიდევ.

მაგრამ ახლა გიგლას განმეორებითმა გაფრთხილებამ და წინადადება: „დიდი-დედა, მა კატას ყელზე ქვას შევებადი, შენს ადგილას რომ ვიყო, და წყალში გადავაგდებდიო“. მარიამი ჩააფიქრა.

მარიამში იწყება შინაგანი ბრძოლა: ერთი მხრივ, შიში ავის მომასწავებელი კატის გამუდმებული კნავილისა, ხოლო მეორე მხრივ, შიში ხალხში გავრცელებული რწმენისა „კატის მკვლელს საიქიოს ცხრა ეკლესიის აშენება მოუხდებაო“. ეს შიში დასძლია ცალკე კატის მომბეზრებელმა კნავილმა და ცალკე გიგლას რჩევამ — კატა მოიშოროს. დიდი-დედამ გადაწყვიტა ხატაურა კალათში ჩასვას, გიგლას გაატანოს, მოშორებით სადმე ქალაში გაუშვას; იქ ხატაურა გაგარეულდება, თვითონ დაიწყებს საზრდოს შოვნას. ამ გზით მას ასცდება საიქიოს ცხრა ეკლესიის აშენება. ასეც მოიქცა.

აქედან იწყება დიდი-დედას მტანჯველი, შინაგანი სულიერი აშლილობა, მწერლის მიერ ხალხის ყოფისა და ფსიქოლოგიის კარგი ცოდნითა და ოსტატობით გაშლილი. ხატაურას დაკარგვით დიდი-დედამ საშინელი მარტოობა იგრძნო. თუ წინათ ვისთანმე იშვიათად მიდიოდა, ახლა სულ გარეთ დადიოდა, ხან ერთი მეზობლის კარს მიადგებოდა, ხან მეორისას. სახლში ვერ ისვენებდა, გული აღარ უდგებოდა. მარტოობა საშინლად აწუხებდა. დიდი-დედა შიშმა აიტანა, ღმერთს მუხლმოდრეკილი შეევედრა, სახლში თავგები მაინც გაეჩინა. ლოცვამაც ვერ უშველა, საშინლად იტანჯებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, თავისი ხატაურა მოეძებნა. რა ნიჭიერად, როგორი მაქსიმალური ცოდნით, მართლა რომ გულთამხილაობითა და დამაჯერებლადაა მოცემული მწერლის მიერ როგორც ცრუმორწმუნეობის, ისე ჩვეულებრივი ადამიანის ჩვევის, ტრადიციის განდევნით გამოწვეული განუზომელი მტანჯველი განცდა ადამიანში, მის ფსიქიკაში!

დიდი-დედამ ბუტბუტით: „ღმერთო, ღმერთო, შენ მაპატიე!.. უნებური შემცოდავი გავხდი ამ სიბერის დროს!“ — აიღო ჯოხი ხელში, გამოკეტა კარები და მთელი გულისყურით შეუდგა ხატაურას ძებნას..

ძებნამ იმედი გაუმართლა. დიდი-დედამ მართლაც იპოვა თავისი ხატაურა. ის თვალებს არ უჯეროდა. კატის კნავილზე დიდი-დედამ ნელა, უხმაუროდ მისკენ გასწია, რომ თავისი ხატაურა არ დაეფრთხო. აიყვანა იგი ხელში და ბედნიერი დაბრუნდა სახლში. შიშმა, რომ დიდი-დედამ ცოდვა ჩაიდინა, კატის დაღუპვა რომ განიზარა და საიქიოს ცხრა ეკლესიის აშენების ცოდვის მონაწიეობამ, უფრო კი, როგორც მწერალი ფიქრობს, სიმარტოვის შეუცნობელმა შიშმა, დიდი-დედა არაჩვეულებრივად აამოქმედა.

მარტოობით, სისხლსა და ხორცში გამჭდარი ჩვეულების დაკარგვით გამოწვეული ტანჯვის შემდეგ, დიდი-დედას ყურადღება ხატაურასადმი ერთიანად გაიზარდა. კატას აღარ იშორებდა; ეშინოდა, არ

ღამეკარგოსო. დიდი-დედა იქამდის მივიდა, რომ როცა დიდმარხვაში მან გადაწყვიტა ზიარება და, ვინაიდან სახლში ხატაურასათვის ყურის-მგდებელი არავინ ჰყავდა, ეკლესიაშიც კი თან დაჰყავდა. რადგან ეკლესიაში კატის შეყვანა აკრძალული იყო, ამიტომ დიდი-დედა ეკლესიაში არ შედიოდა, კარებთან იდგა ხატაურათი და იქ მუხლმოდრეკილი მხურვალედ ლოცულობდა. დიდი-დედა „მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და თავის ცოდვილ სულს ღმერთს ავედრებდა“, — გადმოგვცემს მწერალი. რა დიდებულადაა ნაჩვენები ცრუმორწმუნეობის მავნე გავლენა! მართლაც, რომ ადამიანის, მით უმეტეს ჩამორჩენილი გლეხის, გონებას ჩვეულება „კოშმარით აწვება“.

დიდი-დედას ასეთი საქციელი — ლოცვა ეკლესიის კარზე — სოფლებმა მისი კუდიანობით ახსნეს. სოფელი დიდი-დედას შორიდებითა და მოწიწებით ექცეოდა და ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, ელოდა მარიამის კუდიანობის გამოაშკარალებას.

დიდმარხვის უკანასკნელ კვირას ოთხშაბათობით ჭიაკოკონობაა. სოფლის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა კუდიანობის ღამეს, „ჭიაკოკონაზე გადახტომის შემდეგ დიდი-დედა მარიამისთვის ეყარაულნათ და ენახათ, თუ ის კატაზე შემჯდარი იალბუზისაკენ როგორ გაჰპურცხლავდა“...<sup>1</sup> შიო არაგვისპირელი ჩვეული ოსტატობით ფარდას ხდის ცრუმორწმუნეობის მავნე სენით შეპყრობილ სოფელელთა გრძნობაგონებას.

სოფელელთა ექვი თუ გულისყური იმ გარემოებამაც გაამახვილა, რომ ჭიაკოკონობის ღამეს ყველა სახლის წინ, გარდა დიდი-დედა მარიამისა. ცეცხლი გუზგუზებდა. ამისი მიზეზი იყო ის, რომ დიდი-დედა მარიამს ჭიაკოკონისათვის ბურღო არა ჰქონდა. ამიტომ მხურვალე ლოცვის შემდეგ დიდი-დედა მარიამი სახლში შეიკეტა და მოსვენებას მიეცა. სოფელმა კი ეს ამბავი სხვანაირად ახსნა: დიდი-დედა კატაზე გადაჯდება და იალბუზისაკენ გაეჰანებაო. უნდოდათ საკუთარი თვალთ ენახათ დიდი-დედა ამ მგზავრობისას. აირჩიეს ექვსი კაცი — სამ წყვილად, რომლებიც ჭიაკოკონობის შემდეგ დიდი-დედას დაუდარაჯდებოდნენ. მთელი ღამე უთვალთვალეს, მაგრამ მაინც ვერაფერი შენიშნეს საექვო დიდი-დედას სახლში. ამ გარემოებამ სოფლის თვალში დიდი-დედას კუდიანობის შესახებ ექვი კიდევ უფრო გააღრმავა.

შეიკრიბა ცრუმორწმუნე ხალხი. დედაბრის ფანჯარაში მინის მაგიერ გაკრულ ქალღმერთს კატა აფხაპუნებდა და კნაოდა. ბოლოს კატა-ხატაურამ ქალღმერთი გამოხია და კნავილით გადმოხტა. ხან ერთთან მივიდა კნავილით, ხან მეორესთან და კნავილითვე შევარდა ოთახში.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 141.

დაქვიანებული, განცვიფრებული ხალხი ვერაფერს მიხედა. ყოველ-  
ლავეს დიდი-დედას კუდიანობას აწერდა.

ბოლოს ერთმა ახალგაზრდამ — ანდრუამ — გაბედა ოთახში შეს-  
ვლა და გაიგო, თუ რა ამბავი ხდებოდა იქ. „გადაძვრა თუ არა ოთახ-  
ში. — აგვიწერს მწერალი, — თვალის დახამხამებზე იალბუზი, კატით  
მოკზაურობა კუდიანებისა, მათი გრძნეულობა და ჯადოსნობა, რაც კი  
აკნინდან აქნობამდის ამის შესახებ გაეგონა, ყველაფერმა ცხადად,  
სურათებად გაუელვეს თვალწინ... და რომ კარის გასაღებად არ გადა-  
სულიყო... უეჭველად, იქვე გაშეშდებოდა... მაგრამ, როგორც თითო-  
ნა სთქვა, „რალამაც უთუოდ მიათრია კარებამდის, უგონოდ ვალო  
კარი, მოახეთქა და, სინათლე რომ თვალთ მოჰხვდა, გადარჩენის შიშ-  
მა ჰკრა კისერში და გარედ გადმოსტყუორცნა“<sup>1</sup> ანდრუა რომ ასეთ  
მღვთმარეობაში დაინახეს, ყველა იქ მყოფი შიშმა შეიბყრო, ეზოდან  
სასწრაფოდ გასვლას ცდილობდა. ოთახში შესვლა ვერავინ გაბედა.

ცოცხლად და შემადრწუნებლად ნაჩვენები მწერლის მიერ ცრუ-  
მორწმუნეობით შეპყრობილი აფორიაქებული სოფლის სულიერი  
სამყარო. აი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხალხის ჩამორჩენილობისა,  
დაქვეითებისა, გვიჩვენებს შიო არაგვისპირელი.

მხოლოდ მამასახლისმა გზირის თანხლებით გაბედა მარიამის ოთახ-  
ში შესვლა, იქიდანაც მალე გამობრუნდა და ხალხს საყვედურით მი-  
მართა: — „თქვე ოჯახდაქცეულიშვილებო, რა შორიდან გამოიციქირე-  
ბით და კატის ამარა დაგიგდიათ ე მკვდარი!.. ჩალა-სანთელს მაინც  
აუნთებდით, ერთი კვერცხის საკმელს მაინც დაუკმევდით“<sup>2</sup>. დააქ-  
ხებინა მღვდელს და სოფელმა წესისამებრ დაკრძალა მიცვალებული.

მაგრამ ამით არ გათავებულა ცრუმორწმუნეობით შეპყრობილ სო-  
ფელთა შიში. უპატრონო ხატაურამ ბინა დიდი-დედას საფლავეზე  
დაიდო. ღამლამობით მისი საცოდავი კნავილი სოფელს კვლავ შიშის  
ზარსა სცემდა. ზოგი ამას იმით ხსნიდა, რომ „უთუოდ ცოდვილი  
სული (დიდი-დედასი — მ. ზ.) შესტირის ღამლამობით ღმერთსა და  
პატიებასა სთხოვსო!“, ზოგი კი ხვდებოდა, რომ ეს ხატაურა იყო. უმ-  
რავლესობა კი ამბობდა: „თითონ დიდი-დედა მარიამის სული სტი-  
რის, მოსთქვამს, რადგან იგი კუდიანი იყო და უზიარებელიც მოკვ-  
და... „უთუოდ ისეთი ცოდვილი იყო, რომ ეშმაკებმაც არ მიიღესო!..“  
და შიშით ღამ-ღამობით კარშიაც ვერ გამოდიოდნენ“<sup>3</sup>...

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 147—  
148.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 152 — 153.



ასეთია ცოცხალი სურათი სიბნელით მოცული ძველი სოფლისა, რომელსაც ასე დამაჯერებლად და თანაგრძნობით გვიხატავს შიო არაგვისპირელი. ამით მწერალი მკითხველს მოუწოდებდა სოფლის — ხალხის მავნე ჩვეულებათა კოშმარული გაგება-შეხედულებისაგან განთავისუფლების, უკეთესი, სალი, რეალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებისა და სამართლიანი, თავისუფალი, თანასწორუფლებიანი ცხოვრების დამყარება-განმტკიცებისათვის გადაუდებელ ბრძოლაში გაბედულად ჩაბმულიყვნენ.

ხალხის ცხოვრებისა და მისი სულიერი განწყობილების ასეთი მოვლენების დამაჯერებლად გაშუქებით შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში მკაფიოდ ვლინდებოდა მისი ხალხური ხასიათი და მწერლის მაღალი ჰუმანური მიმართება და შემართებაც. გლახს მზრუნველი, მშველელი ესაჭიროება, აუცილებელია გლახის გონება და მსოფლგაგება განიტვირთოს ამგვარი მავნე ზნე-ჩვეულებებისაგან — ეს გადაუდებელი ამოცანაა იმისთვის, ვისაც ქვეყნის, ერის აღორძინება-გაჯანსაღება უნდა.

\* \* \*

შიო არაგვისპირელი გლახთა ცხოვრებას ზედმიწევნით კარგად იცნობს: მათ შრომისმოყვარეობას, მოვალეობის პირნათლად შესრულებას, ღარიბ-გაჭირვებულის დახმარებას, მეზობლის საზრდო-საბადებლის ხელშეუხებლობას, ხასიათის სიმტკიცეს; აგრეთვე მწერალი გვიხატავს ხალხის სილაღეს, განსაკუთრებით ახალგაზრდათა ხუმრობას ძუნწ ან უშვილო მდიდარ გლახთან და ა. შ. მწერალი ყოველივე ამაში მოხდენილად ჩააქსოვს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ელემენტებს.

შიო არაგვისპირელის ეს სტილისტიკური ნიშანი ნიჭიერადაა მოცემული ეტიუდში „ღვინის ქურდი“.

რამდენიმე მეძროხე ბიჭს ტყე-ველად ნახირი ჰყავს გარეკილი. დღამდა. ბიჭები სოფლიდან დაშორებული არიან შვიდი-რვა კილომეტრით.

სწორედ იმ დროს, როცა ისინი აპირებდნენ სახლში წასვლას, დაინახეს, რომ ერთ-ერთი მწყემსი ბიჭის — აბრიას დეკეული კვდებოდა. მეძროხეებმა დეკეული დაკლეს. მართალია, ბიჭები, განსაკუთრებით კი პატრონი, შეწუხებული იყვნენ ამ ამბით, მაგრამ გულში უხაროდათ, ხორცის ჭამა რომ მოუწევდათ.

ხორცის ჭამა „ტალიკ-ბიჭებს“ უღვინოდ არ უნდოდათ. ამიტომ ამოიჩინეს ოთხი მარჯვე ბიჭი, აბრიაც თან გააყოლეს და, რადგანაც

ერთი ორჩაფიანი ტიკის მეტი არ ჰქონდათ, გულებიც გაატანეს. დარჩენილებმა დეკული აკაფეს და ქვაბით ცეცხლზე შედგეს.

გაგზავნილები მიაღწენ შეძლებული გლეხის — ელიბოს მარანს. თან წაღებული ხორციით ჩააჩუმეს ელიბოს ძაღლი. შევიდნენ მის მარანში, მოხადეს ქვევრს პირი და ქურქელი ღვინით აავსეს. მაგრამ ერთმა მათგანმა, ივანემ, ბიჭები შეაჩერა და წყრომით უთხრა: „ქვევრის პირას ვიყავით და ღვინო-კი გემოთი არა ვნახეთ, რას გვეტყვის იხალხი? მასხარად აგვიგდებს“<sup>1</sup>...

ივანეს სიტყვა ყველას კტუაში დაუჯდა. ივანემ იქვე კვარი მონახა, მარანი გააჩირაღდნა; პური და ხახვიც საკმარისად აღმოჩნდა.

დაიწყეს თითო-თითო სასმისით, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, ადღეგრძელეს ღვინის დამყენებელი, მისიანები, კარგად შეზარხოშდნენ, გამხიარულდნენ. მერე მწვადებიც მოუნდათ. მოაგონდათ დეკულის კაჩა, ელიბოს ძაღლს რომ მიუგდეს, მივიდნენ ძაღლთან. მართლაც, ძაღლს კაჩასთვის ბევრი ვერაფერი დაეკლო. ძაღლს კაჩა აარავეს, ხორცი ააჭრეს. ძვალი ისევ ძაღლს მიუგდეს, გათალეს შამფურები, დაიწყეს მწვადების წვა და ღვინის სმა. ისევ ადღეგრძელეს ღვინის დამყენებელი. თუ აქამდე ჩუმად ლაპარაკობდნენ, ახლა ხმასაც აუმაღლეს. ამას მოჰყვა სიმღერა-თამაში:

— ბიჭო, ბიჭო, დაჰკათ ტაში!

— გოგონაა, გოგონა!..

— გოგონა და გოგონა, გოგონა, ბიჭებო!.. და სხვ.

ამასობაში ბიჭები ისე დაითვრნენ, მათი სიმღერის ხმაზე ვალვიძებელი ელიბო, მარანში რომ შევიდა, ველარც კი იცნეს და ქურღაღ მიიღეს. „ეს ვიღაც ოხერია, ალბათ, ღვინის მოსაპარავად მოვიდაო“, ერთხმად დაიძახებენ, ელიბოს ხელ-ფეხს შეუკრავენ, კუთხეში მიაგდებენ. თვითონ კიდევ თითო ყველაწმინდისას ჩამოარიგებენ. მერე წამოიკიდებენ ღვინით სავსე ქურქელს და შინისკენ გასწევენ. ბარბაცით რომ გადიოდნენ, ყველამ საჭიროდ ცნო ხელფეხშეკრული ელიბოსათვის ეთქვა: „ღვინის ქურღობა კარგი არ არის, ხვალ თავლაფს დაგასხამენო“.

დაახ, ხალხურ მსუბუქ იუმორში შერწყმული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა (გლეხის ლაღობა, უწყინარი ხუმრობა-სიმარჯვე) რეალურ ფერებში მაქსიმალური სიმკვეთრითაა ჩაქსოვილი ნაწარმოებში მწერლის მიერ, რაც აძლიერებს მის მხატვრობას.

შიო არაგვისპირელის ესთეტიკური პროგრამის საფუძველი ხალხურობაა, — ხალხისადმი თანაგრძნობა, სიყვარული და მასზე ზრუნ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 99.

ვა, — აი მთავარი მოვალეობა ყოველი მოქალაქისა. ხალხის და მისი ცხოვრების გარეშე არ არის ნამდვილი ხელოვნება, არ არის მწერლობაც. ეს აზრი შიო არაგვისპირელის მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს.

#### 6. პერსონაჟი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

შიო არაგვისპირელის მსოფლმხედველობისა და აქედან გამომდინარე მისი მხატვრული შემოქმედების ესთეტიკის ძირითადი პრინციპია ცხოვრების, სინამდვილის სიმართლითა და სიღრმით დანახვა და მისი გაბედულად გამომქდავენება. ცნობილია, ცხოვრებას, მის რთულ, მრავალმხრივ და მრავალფეროვან გამოვლინებას ხელოვნება, მწერლობა შეიცნობს, აღიქვამს კერძო მოვლენის, კერძოდ და განსაკუთრებით, ადამიანის სამყაროს გაგებისა, მისი სამყაროსადმი დამოკიდებულების და შემდეგ მისი განზოგადების საშუალებით. და რამდენადაც ხელოვნება და ხელოვანი სწორად და ღრმად წვდება ცხოვრებისეულ მოვლენებს, ადამიანთა შინაგან სამყაროსა და ბუნებას, რამდენად უშუალოდ განიცდის მათ ქცევასა და მისწრაფებებს, მათ მოძრაობასა და წინააღმდეგობაში, იმდენად სურათი და მისი განზოგადებული სახე სწორად და მართლად იქნება მოცემული.

ცნობილია, მხატვრულ შემოქმედებაში ყველაზე ურთულესი და ამასთან უგულსხმიერესი ელემენტია ს ა ხ ე — მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ი — გ მ ი რ ი, პ ე რ ს ო ნ ა ე ი. პერსონაჟი ნაწარმოების მთავარი ლერძია, რომლის გარშემო ძირითადად და ბუნებრივად, ამასთან თავისებურად იკვანძება და იხვეწება ნაწარმოების იდეაცა და მისი მიზანდასახულობაც.

პ ე რ ს ო ნ ა ე ი (თუ მოვლენა) გაქვავებული, გაყინული კი არ არის, არამედ რთული, დინამიური, მოქმედი, ცხოვრების განუწყვეტელი მოძრაობის ამსახველი, რომელიც თავის განვითარებაში ხან ერთი, ხან მეორე მხრით გვეჩვენება და ასე თანდათანობით, ნაწარმოების სხვა კომპონენტების დახმარებით დამაჭერებლად მიეყვარათ ნაწარმოებისა, იდეისა და მიზანდასახულობის მართებულ შეცნობამდე. ცხადია, პერსონაჟი შეპირობებულია ნაწარმოების გამჟოლი იდეური მიზანდასახულობით, რის გამოვლინებასაც ხშირად ძირითადში გვაძლევს პერსონაჟის იდეური აზროვნების თანდათანობითი კონკრეტული განსახიერება.

სამართლიანად წერს ზ. პაპერნი — «Единый замысел, определяющий развертывание образа, связывает его крепким карка-

სომ, მიჰდებს მას შიგნით სიმტკიცე, მუდმივობა, უცვლელობა»<sup>1</sup>

ამასთან ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ პერსონაჟი იქნება თუ სურათი. მოვლენა მარტო ცხოვრების ამა თუ იმ გარკვეული მონაკვეთის ასახვის საშუალება კი არ არის, არამედ აგრეთვე აქტიური ფორმა ავტორის ნებისყოფისა, შეხედულებათა და მისი გარემოსადმი დამოკიდებულების გამოხატვისაც.

ასევეა პერსონაჟის საკითხი შიო არაგვისპირელთანაც.

შიო არაგვისპირელის შემოქმედება, როგორც ზემონათქვამიდან დავეინახეთ, მდიდარია მრავალრიცხოვან და სოციალურ-ფსიქოლოგიურად მრავალფეროვან მოქმედ პირთა გალქრებით. შიო არაგვისპირელი, როგორც დახვეწილი დოსტაქარი, მომარჯვებული სკალპელით ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის არა მარტო ყოველდღიური, არამედ დაფარული, ჩვეულებრივი თვალისათვის ხშირად ძნელად დასანახი მოვლენებისა და ადამიანთა გულის საიდუმლოების ღრმად ჩამწვდომია. ამასთან, უნდა ითქვას, დაკვირვებული მწერალი სიყვარულით თუ სიძულვილით მოუხრიდებლად აშიშვლებს ადამიანთა სულიერი სამყაროს უწვრილმანეს მოძრაობასაც კი და დიდი ოსტატობით აქანდაკებს.

შიო არაგვისპირელისათვის მოქმედი პირის, გმირის, პერსონაჟის ყოველმხრივი, ან თუ გნებავთ, ვრცელი დახასიათება მთელი მისი ცხოვრების დაწვრილებით გადმოცემა, მისი ხასიათის ევოლუციის ჩვენება არაა დამახასიათებელი. შიო არაგვისპირელისათვის ეს მეთოდი — დაწვრილებით ხასიათის მოცემა შეუძლებელია და საჭიროც არ არის.

მისი შემოქმედების ძირითადი (თუ მთლიანად არა) ყანრი — ნოველა თავისი მოცულობითა და სპეციფიკური არქიტექტონიკით გმირის სამყაროს ფართო გაშლას ვერ იტევს და არც საჭიროებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შიო არაგვისპირელი თავის შემოქმედებაში პერსონაჟის დახატვაში ძირითადი მოთხოვნების — სახის ინდივიდუალობის პრინციპის დაცვას ჩინებულად ახერხებს. „...რომანში მთავარია ინდივიდუალური ვარემოება, მოცემული ტიპების ხასიათებისა და ფსიქიკის ანალიზი“<sup>2</sup>. ასეა შიო არაგვისპირელთანაც — მოცემული ტიპიური სახე აგრეთვე გარკვეული ინდივიდუალური თვისებების შემცველია.

შიო არაგვისპირელმა თავისი შემოქმედების ძირითადი ყანრის — ნოველისათვის მოქმედი პირი — პერსონაჟის არა ხასიათის ფართო

<sup>1</sup> З. Паперный, О мастерстве Маяковского, 1953, гл. 131.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა IV, ტ. 35, გვ. 182.

დახატვა, არამედ მისი პორტრეტის მოცემა გამოიყენა. ცნობილია, XIX საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში მხატვრული სახის შექმნისათვის რეალისტური საშუალებები განმტკიცდა. ამრიგად, შიო არაგვისპირელის მიერაც ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ძირითადი ხერხი მხატვრული სახის შექმნისათვის გამოყენებულია მხატვრული რეალისტური პორტრეტი. რა თქმა უნდა, მხატვრული პორტრეტი მართო გმირის გარეგნობის მოცემით კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს, არამედ ასევე, შეიძლება უფრო ფართოდ და ღრმად, შინაგან სამყაროსაც, გარეგნულად გამოჰქლავებულს, უნდა ავლენდეს და სახის თუ პერსონაჟის — გარეგნულ და შინაგან — სულიერ მოვლენებს კანონზომიერ მთლიანობაში ქმნიდეს, აერთიანებდეს.

შიო არაგვისპირელი პორტრეტის მოცემაში დიდ ვირტუოზულობას იჩენს. მის მიერ დახატულ პორტრეტში ნიჭიერად მოჩანს პერსონაჟის ინდივიდუალური ნიშნებიც და ტიპური განზოგადებაც — მისი მეტად ნათელი, დამაჭერბელი სახე. ამას ის ახერხებს სხარტი ხაზების, ფერების, რამდენიმე ზოლისა თუ წანაცხის მოსმით.

პორტრეტი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაშიც პერსონაჟის მართო გარეგნული ნიშნების ასახვას კი არ ემსახურება, არამედ აგრეთვე უფრო ღრმად და მეტის გულისხმიერებით გვაძლევს პერსონაჟის შინაგანი სამყაროს მრავალმხრივ მკვეთრ გაშიშვლებას მის მამოძრავებელ გრძნობათა, აზრთა და განწყობილება-მისწრაფებათა ცვალებადობასთან დაკავშირებით. პორტრეტი შიო არაგვისპირელისათვის ერთგვარი ნათურაა პერსონაჟის შინაგან სამყაროში შენათებისა, დანახვისა და გაგებისა, რათა მკითხველს ნათლად, შთამბეჭდავად დაანახოს როგორ გარდაიქმნება გმირი — პერსონაჟი დაძაბული სულიერი ცხოვრების მომენტში.

ამა თუ იმ პორტრეტის დახატვისას შიო არაგვისპირელი ყოველთვის იჭერს პერსონაჟის ხასიათის, მისი აზრის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს, ძირითად ხაზს. თვისებას. მას ადვილად ეხერხება გამოანახოს პერსონაჟის ბუნების, შესაძლებელია, მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან თვისებებში ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე ნიშანდობლივი შემკრები ხაზი, და სწორედ ის თვალსაჩინოდ, მკვეთრად და მიზიდველად გამოყოს, გამოაჩინოს.

მხოლოდ მაშინ, როდესაც პერსონაჟის პორტრეტის ეს ნიშანდობლივი შემკრები ხაზი გამოინახება, მისი ხასიათის წამყვანი თვისებებიც თანამიმდევრულად გაიხსნება, გაირკვევა, ბუნებრივად განლაგდება და მხატვრული სახეც — პერსონაჟი თავისი შინაგანი ნათელი თუ ბნელი ბუნებით მწერლის ჯადოსნური კალმის ქვეშ მკვეთრად გამოცხლდება, გაცისკროვნდება, გაშუქდება და მკითხველის წინ გამოქანდაკდება.

შიო არაგვისპირელი პორტრეტების დახატვისას გმირის ხასიათის ცალკეულ დეტალებს თუ თვისებებს პორტრეტის ძირითად ხაზს უმორჩილებს. შიო არაგვისპირელის მიერ გმირის მხატვრული სახის მოცემა ხდება რელიეფურად და უშუალო ემოციურობით. ადამიანის შინაგანი ცხოვრება ხშირად ვითარდება ვნებათა და აზრთა რთული ბრძოლის გზით. ამ ვნებათა და აზრთა ბრძოლას, ადამიანის სულის სიღრმეში რომ იქმნება და ღვივდება, შიო არაგვისპირელი მომხიბვლელად და მიმზიდველად იჭერს გმირის გარეგან მოძრაობასა და პიროსახის გამომეტყველებაში.

შიო არაგვისპირელის პერსონაჟის დაღვრემილი, განრისხებული თუ კმაყოფილი, მშვიდი სახე, გაბრწყინებული თუ მიმქრალი, გარინდებული თუ სხივთმფრქვევი თვალები, ხელის ჩაქნევა თუ თავის ჩაქინდვრა და ა. შ. ხშირად გაცილებით მეტს და უკეთ გვეუბნება, ვიდრე ვრცელი აღწერა.

მხატვრული შემოქმედების ამ ხერხით შიო არაგვისპირელის ნოველებში მშვენივრადაა მიღწეული ესთეტიკური ეფექტი პერსონაჟის—გმირის ცხოვრებისეული მსგავსებისა, რეალობისა. მოცემულ ერთ-ორ ხაზში მკითხველი აშკარად ხედავს, როგორ და რატომ გრძნობს ადამიანი, თუ როგორ განიცდის, ანდა რატომ მოძრაობს, მოქმედებს, ფიქრობს, იღიმება, იცინის, უხარია, ბრაზობს, იტანჯება, რაც მკითხველში იწვევს ცხოველ კმაყოფილებას თუ უკმაყოფილებას, თანაგრძნობას თუ გაიციხვას და ა. შ. მკითხველი ცხადად გრძნობს პერსონაჟის როგორც ფიზიკურ არსებობას, ისე მის შინაგან სამყაროს. მთლიანად პერსონაჟი ისე რელიეფურადაა გამოქანდაკებული, ისე ცოცხლადაა მკითხველის წინაშე გამოქრწილი, სივრცეში აღმართული, თითქოს მკითხველს ესმის მისი ხმა, ნათლად ხედავს მის მოძრაობას, უნდა ხელით შეეხოს, თითქოს მისი დაფარული სამყაროც მის წინაშე ნათლად და თვალსაჩინოდ გადაიშალა.

შიო არაგვისპირელი პორტრეტშივე მოხდენილად აქსოვს გმირისადმი თავის დადებითსა თუ უარყოფით დამოკიდებულებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს და სხვ. მის პორტრეტული წერის მანერაში მკაფიოდ იგრძნობა არა მარტო დახვეწილი გემოვნება მხატვარ-ფსიქოლოგისა. რომელიც ადვილად და ღრმად სწვდება ადამიანის შინაგან სამყაროს, არამედ აგრეთვე სოციალური უსამართლობის შეურიგებელი გაქმნებელი, სატირული სახეების შემქმნელი დიდი ოსტატიც. პერსონაჟის პორტრეტის აღნიშნული მიმართულებით დახატვას მკაობველი ზევითაც — შიო არაგვისპირელის შემოქმედების თემატიკის ანალიზის დროსაც, ვფიქრობთ, ნათლად დაინახავდა. მაგრამ აქ მაინც კონკრეტულად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ.

ნიმუშისათვის განვიხილოთ შიო არაგვისპირელის რამდენიმე ნო-

ველა-ეტიუდი. ავიღოთ ეტიუდი „მომილოცნია ახალი წელი“...

ცხოვრების მოუწესრიგებლობით უკმაყოფილო კაცთმოყვარე ჰუმანისტი შიო არაგვისპირელი აღშფოთებულია ბურჟუაზიულ ყოფაში გაბატონებული ფულიანის უხეში, დაუნდობელი და დაუოკებელი ფსიქოლოგიითა და დევიზით: ფულს გაქვს — ყველა და ყველაფერი შენია; ყველა და ყველაფერი გამოიყენე პირადი სარგებლობისათვის, ხშირად კი შენი ვნებიანი, ამორალური, უაზრო სიამოვნების დასაკმაყოფილებლად; ნუ დაინდობ ნურავის, გამოიყენე ყველა და ყველაფერი და, როცა აღარ დაგჭირდება, გულგრილად გადაადდე, როგორც გამოუყენებელი, უვარგისი, უხმარი ნივთი.

ასეთი ცხოვრებისა თუ ყოფის მსხვერპლს — სწორედ შეძლებულთა ვნებააშლილი სურვილებით გათელილ, უფსკრულამდე მიყვანილ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა — ორმოცდაათი წლის ქალს, მაგრამ ფიზიკურად და მორალურად დაძაბუნებულს, ცხოვრებისაგან დაღლილ-გაცვეთილს, შიო არაგვისპირელი გვაძლევს ზემოაღნიშნულ ეტიუდში სწეული „დედაბრის“ სახით.

მწერალი დაწვრილებით არ მოგვეთხრობს გმირის განვლილ ცხოვრებაზე. კალმის რამდენიმე მოხაზვა, შესაფერ ფერთა რამდენიმე შტრიხი და „დედაბრის“ პორტრეტი სწრაფად, დასრულებულად ცოცხლდება მკითხველის წინაშე.

აი რა ძუნწი ხაზებითა თუ ნიშნებით გვიხატავს შიო არაგვისპირელი ნაწარმოების მთავარი გმირის — დედაბრის პორტრეტს, რომ მისი გატანჯული, გაწამებული სახე დამაჯერებლად გამოიძერწოს: „წამოიძახა მთლად ჩამომხმარა და წელში ორად მოხრილმა დედაბერმა, რომელიც ჩულის ნაგლეჯებზე მიგდებულყო სარდაფის პატარა ნესტიანი ოთახის ერთ კუნჭულში და ზევიდან ისეთივე ჩულის ნაგლეჯი წაეხურა“<sup>1</sup>... დედაბრის ეს ძუნწი ხაზები: „მთლად ჩამომხმარა“, „წელში ორად მოხრილი“, „სარდაფის პატარა ნესტიანი ოთახის ერთ კუნჭულში“... „ჩულის ნაგლეჯებზე მიგდებული“ და „ზევიდან ისეთივე ჩულის ნაგლეჯწახურული“ — გვაგონობინებს იმ ტანჯვის გზას, — არამცთუ ნორმალური ცხოვრების, არამედ ოდნავ ადამიანური სიცოცხლის პირობებსაც კი მოკლებულს, უაღრესად მინიმალური ცხოვრების რკალს გარეთაც კი განდევნილს, სრულიად ფასდაკარგულ ადამიანს, — რომელიც დედაბერს გაუვლია.

შიო არაგვისპირელი არ კმაყოფილდება დედაბრის აღნიშნული პორტრეტის მხოლოდ ამ მონაცემებით. მისი თვალი მეტი ყურადღებით, თანაგრძნობითა და აღშფოთებით ჩასცქერის დედაბრის სახეს,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 45.

უფრო ღრმად. მეტი სისრულით ხედავს მისი შინაგანი, გაწამებული მდგომარეობის გამომხატველ ნიშნებს — არსებულ სინამდვილესთან შეურაცხებელ. შურისმაძიებელ ბოღმას და მას ასე თვალსაჩინოს ხდის: „დედაბერს ტანჯვისაგან მთლად ჩანაოკებული სახე ხან გაწვლავდა და ხან უფრო ჩაენაოკებოდა“...<sup>1</sup> დედაბრის პორტრეტს შიო არაგვისპირელი კვლავ ახალი ხაზებით აესებს:

„ახალი წელიწადია! სიცივისაგან აკანკალებულის ხმით და თავის კანტურით გაიშორა. და მორღვეული თვალები გამურულ; გვერდით მდგომ ლამპრის შუშას მიაპყრო, რომელიც ისე ბეჭუტავდა, როგორც იმისი თვალები...“<sup>2</sup>.

ამბობენ, ადამიანის სახე მისი ბუნების, მისი შინაგანი სამყაროს. სარკეაო და უნდა ითქვას, შიო არაგვისპირელის მიერ დედაბრის სახის ხაზები — „მთლად ჩანაოკებული სახე — ხან გაშლილი და ხან უფრო ჩანაოკებული“, „სიცივისაგან აკანკალებული ხმითა და თავის კანტურით გამეორება — „ხვალ ახალი წელიწადია“, „მორღვეული, მბეჭუტავი თვალები“... მკითხველში ნათლად წარმოადგენს დედაბრის ცხოვრების მძიმე, არაადამიანურ პირობებს, მის განცდასა და ტანჯვას.

მაგრამ ფსიქოლოგი მწერალი არც ამით კმაყოფილდება. იგი დედაბრის პორტრეტს კვლავ ახალი, მკაფიო ხაზებით აესებს. შიო არაგვისპირელს პორტრეტი მართო პერსონაჟის გარეგნული თვისებების ამსახველ საშუალებად არა აქვს გამოყენებული, ის უფრო მეტია, რთულია.

პორტრეტი შიო არაგვისპირელისათვის, როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, ერთგვარი ნათურაა გმირის შინაგანი სამყაროს გაშუქება-გამომჟღავნებისათვის. ამიტომ მწერალი კვლავ აგრძელებს პორტრეტის შევსებას სხვა ნიშნებითაც, რომლებიც პორტრეტს ეხმარება, რომ უფრო ნათლად და სრულყოფილად შეიყვანოს მკითხველი დედაბრის შინაგან სამყაროში, უფრო ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მასზე.

გმირის პორტრეტის სრულყოფას კიდევ ხელს უწყობს გაწამებული, გაბოროტებული დედაბრის ცხოვრების მიმართ გულის სიღრმიდან ამოხეთქილი დაგუბებული ბოღმის გამომხატველი მწვავე დინამიკური შეკითხვა-მიმართვები, ეპითეტები, მეტაფორები, შედარებები, ემოციური მძაფრი თქმები და ა. შ:

„...პა დასტკბი, დასტკბი ჩემის ტანჯვით!.. ამაზე მეტს რაღას მიზამ?!“ — წამოიღრიალა მან „...ღმერთო, მაპატიევე, რომ ასე კადნიერად... არა, არა... პატიებას არა გთხოვ!.. დაიღრიალა მოხუცმა... ოპ,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 45.

<sup>2</sup> იქვე.



სანატრელო სიკვდილო, რაღას იგვიანებ?! — გულის სიღრმიდან ამო-  
სკდა ეს ნატერა და თვალთ ცრემლები მოერია“<sup>1</sup>.

ფსიქოლოგი მწერალი პორტრეტს ავსებს გაბოროტებულთ, სასო-  
წარკვეთილთ, შურისძიების გამომხატველი დედაბრის ხმის ისტერიუ-  
ლად ამღლებითა და ნერვიული მოძრაობით, რაც ასე აშინვლებს  
გაწამებული პიროვნების სულს და ამის გაგება მკითხველის სულის  
სიღრმემდე დაჰყავს: „მეტის-მეტი სიასპიტისაგან, — აგვიწერს შიო  
არაგვისპირელი, — მიხრინწიანებულის ხმით ჰყვიროდა“... „თვალის  
სიღრმეში მოგროვილი ცრემლი ძლივს დარგვალდა და ქუთუთოებს  
წყვილად გადმოეკიდა... ისე აწვებოდა (დედაბერი — მ. ზ.) თვლებს,  
თითქოს სურდა, თვალის კაკლები გაესრისნა, რომ იმით გამოწვეულ  
ტანჯვას სულიერი ტანჯვა გაეჰარვებინა“... „არა, არა!.. და უეცრივ  
ფეხზე წამოვარდა“... „იმით (დამლუპველებმა, მდიდრებმა — მ. ზ.)  
უნდა იმხიარულონ?! არა!“... „ააა!.. უცნაური ხმით დაიღრიალა მან,  
და ტანი აუთრთოლდა... კბილებით თავის გამხმარ ხელს დასწვდა და  
ერთი ლუკმა ხორცი ამოგლიჯა“... „ხა, ხა, ხა!.. მომილოცნია ახალი  
წელი!.. ხარხარით შესძახა ამ დროს დედაბერმა სარკმლიდან და გაძ-  
ლიერებულ ცეცხლს შეუერთდა“<sup>2</sup>.

რა მწვავედ დაღავს მკითხველის გულსა და სულს შიო არაგვის-  
პირელის მიერ მოცემული დედაბრის პორტრეტის ეს დამთავრებუ-  
ლი, სრულყოფილი სახე, ეს მხატვრული დეტალები: „მიხრწილი  
ხმით ისტერიული ყვირილი“, „ისე აწვებოდა (დედაბერი ცრემლმო-  
რეულ) თვლებს, თითქოს... სურდა, თვალის კაკლები გაესრისნა, რომ  
იმით გამოწვეულ ტანჯვას სულიერი ტანჯვა გაეჰარვებინა“, „ფეხზე  
წამოვარდა“, „უცნაური ხმით დაიღრიალა მან და ტანი აუთრთოლდა“,  
„კბილებით თავის გამხმარ ხელს დასწვდა და ერთი ლუკმა ხორცი  
ამოგლიჯა“, „გაძლიერებულ ცეცხლს შეუერთდა“.

დედაბრის პორტრეტის მოცემული დეტალები მკითხველს ღრმად  
და გარკვევით არწმუნებს, რომ ბურჟუაზიული ყოფა, მასში არსებუ-  
ლი უთანასწორობა, პიროვნების პიროვნებაზე ბატონობის დაკანონე-  
ბული უფლება შემზარავია, მიუღებელია, ადამიანობის შემლახველია;  
მკითხველს არწმუნებს, რომ ბურჟუაზიულ ყოფაში ღარიბთათვის გა-  
რღუვალია დედაბრის ხვედრი — შევიწროების, პიროვნების განადგუ-  
რების, დაცინვისა და დამცირების გზა; ამიტომ უარსაყოფია ეს და  
ამგვარი საზოგადოებრივი წყობილება და იგი უნდა დაგმოს ხალხმა.

შიო არაგვისპირელი დედაბრის სახეს დიდი ოსტატობით, იშვიათ

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 45—46.

<sup>2</sup> იქვე, 46—47.

დამაჯერებლობით ძერწავს და საერთო-საკაცობრიო ტიპიურ სიმალ-  
ლეზე აპყავს, რაც ასე დამახასიათებელია მისთვის და რაშიც, სხვათა  
შორის, არის მისი შემოქმედების ძალაცა და სიღაღაცე.

\* \* \*

ნიმუშისათვის ავიღოთ კიდევ შიო არაგვისპირელის ფსიქოლო-  
გიური ეტიუდი „ადე, ჩამოვიდა!..“. ამ ეტიუდში მწერლის მიერ  
დიდი გულთამხილობითაა მოცემული გოგია მეწისქვილეში სა-  
შინელ შიმშილსა და კაცთმოყვარეობას შორის შინაგანი მწვავე  
ბრძოლა. ეს ერთ-ერთი ფსიქოლოგიური შედეგია არა მარტო შიო  
არაგვისპირელის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ მწერლობა-  
შიც. აქ იშვიათი, დახვეწილი ოსტატობითაა მოცემული ეტიუდის  
მთავარი პერსონაჟის — გოგიას სულიერ სამყაროში არსებული დაფა-  
რული სათავისო და სასხვისო გრძნობათა მწვავე ბრძოლა.

გოგია მეწისქვილე დიდი ხნის საფქვავის უქონლობის გამო შიმში-  
ლითაა გაწამებული. გოგია მეწისქვილის ასეთ აუტანელ სულიერ გან-  
წყობილებას შიო არაგვისპირელი პერსონაჟის პორტრეტულ ხაზებში  
ვირტუოზულად გადმოგვცემს.

გოგია მეწისქვილის შიმშილით გატანჯულ გარეგნულ გამომეტყვე-  
ლებას შიო არაგვისპირელი ასე გვისურათებს: „გოგია მეწისქვილე  
გულ-ხელ დაკრებილი მივიდა წისქვილის ქვასთან და ალას კვირისტა-  
ვებით მიეყრდნო. იმან გადახედა ქვის გარშემო სუფთად მოგვილ სახ-  
რილეს, მერე ალაში ჩაიხედა, რომელიც სახრილესავით სუფთად იყო  
მოგვილი და, უკმაყოფილოდ თავის ჩაქნევის შემდეგ, კრიკას გაშტე-  
რებით დაუწყო მზერა... შესდგა წისქვილის ქვაზე და შიგ ჩაიხედა,  
თანაც ხელი მიუსვ-მოუსვა შიგნიდან ხვიმრის გვერდებს და, რადგან  
ხელში არა მოჰხვდა-რა, რამდენჯერმე მაგრად დაარტყა სილა, მაგრამ  
იმან მაინც ცარიელის ხმა ამოიღო... ფუი!.. მწარედ გააფურთხა გო-  
გიამ...“<sup>1</sup>

უდავოა, მშვიერ გოგიას მტანჯველი შინაგანი მდგომარეობა მაქსი-  
მალური ცოდნითაა მოცემული პორტრეტის ხაზებით — „გოგია გულ-  
ხელ დაკრებილი მივიდა“, „ალას კვირისტავებით მიეყრდნო“, „გადა-  
ხედა... სუფთად მოგვილ სახრილეს... მერე ჩაიხედა“, „უკმაყოფილოდ,  
თავის ჩაქნევის შემდეგ, კრიკას გაშტერებით დაუწყო მზერა“, „შესდ-  
გა წისქვილის ქვაზე და შიგ ჩაიხედა“, „თანაც ხელი მიუსვ-მოუსვა  
შიგნიდან ხვიმრის გვერდებს“, „რამდენჯერმე მაგრად გაიფურთხა“...  
და ა. შ. მკითხველისთვის გოგიას შიმშილით გატანჯული არსება მრავ-  
ალმხრივ და საკმარისადაა გაშუქებული-გამოაშკარავებული. მკითხვე-  
ლი გოგიასადმი თანაგრძნობითაა გამსჭვალული.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1947, გვ. 130.

მაგრამ შიო არაგვისპირელი ხომ ადამიანის დაფარული, შინაგანი სამყაროს იშვიათი მესაიდუმლეა და მისი ოსტატობით გამომხატველი! გოგიას პორტრეტის დახატვისას მოცემული ხაზებით არ კმაყოფილდება, ის გოგიას დაფარული სულის მოძრაობის მეტი თვალსაჩინოების მიზნით, პორტრეტს შემდეგი ახალი ხაზებით ავსებს: „ის (გოგია — მ. ზ.) დაღრეჯილი სახით მივიდა წისქვილის ქვასთან და მოწყვეტით ალაზე ჩამოჭდა; ნიდაყვები მუხლებზე დააყრდნო და ორივე ხელი თავის დამძიმებულ თავს ბოძკინტად შეუყენა... გოგია დაჩაგრული სახის გამომეტყველებით, მობუზული და გულ-ხელ-დაკრებილი წისქვილის კედელს აეტუზა... თვალეზ-ჩაქუტული უსიცოცხლოდ გასცქეროდა ალაზნის ველს“...<sup>1</sup> გოგიას ტანჯვის მიზეზი და მასზე შიმშილის შემხუთავი, გაბატონებული ძალა რომ მეტად გაამძაფროს, რათა უფრო მკვეთრად გააგებინოს მკითხველსაც, მწერალი სვამს კითხვას: „რას ეძებდა გოგია ასე მოუსვენრად?“ და თვითონვე იქვე იძლევა პასუხს: „ფქვილს, ფქვილს, ფქვილს!“

რა თქმა უნდა, გოგიას პორტრეტი ბევრისმეტყველია, ახალი ხაზების შემცველია: „მოწყვეტით ალაზე ჩამოჭდა“, „ნიდაყვები მუხლებზე დააყრდნო და ორივე ხელი თავის დამძიმებულ თავს ბოძკინტებად შეუყენა“, „გოგია დაჩაგრული სახის გამომეტყველებით, მობუზული, გულხელდაკრეფილი წისქვილის კედელს აეტუზა... თვალეზჩაქუტული გასცქეროდა ალაზნის ველს“ და დამატებით მწერლის მოხდენილი, დროული შეკითხვა — „რას ეძებდა გოგია ასე მოუსვენრად?“ და პასუხი — „ფქვილს, ფქვილს, ფქვილს!..“, როგორც გოგიას ტანჯვის მიზეზის, სამკერ გამეორება სათანადო ინტონაციით (ყველა ზემოაღნიშნულთან) რა თქმა უნდა, უფრო აღრმავებს გოგიას შიმშილით გამოწვეულ ფიზიკურ და სულიერ წამება-ტიკვილებს.

ჩვენი დიდი ფსიქოლოგი და ჰუმანიისტი მწერალი არც ამაზე ჩერდება. მას უნდა შიმშილის ძალა და მისგან გამოწვეული გოგიას ფიზიკური და მორალური ტანჯვა, ერთი მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, გოგიას ადამიანური ბუნება უფრო გაამძაფროს. ამას მწერალი უშუალოდ და მიმზიდველად ახერხებს გოგიაში სათავისო და სასახისო ინტერესთა შორის შინაგანი ბრძოლის ნიჭიერი გამოაშკარავებით, რაც აღრმავებს მკითხველის შთაბეჭდილებას.

ამ შემთხვევაშიც შიო არაგვისპირელი მიმართავს მისთვის დამახასიათებელ დაპირისპირებას: დამშეულ გოგიასთან მიდის გლეხი გეგე, ნახევარი კილო ხორბალი მიაქვს დასაფქვავად, ის მეწისქვილეს სთხოვს, ჩქარა გამოფქვას, რადგანაც „სახლობა შიმშილით უწყვის“.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1947, გვ. 130, 132.

ვოკიას წინაშე ისმის მძიმე კითხვა — როგორ აიღოს გეგესაგან — ღარიბი მეზობლისაგან, ასეთი მცირე საფუძველიდან მინდი? არა და შიმშილი მასაც არ აძლევს მოსვენებას.

წრომიზგან დაქანცულ გეგეს იქვე ჩაეძინება. გოგიაში ძლიერდება შინაგანი ბრძოლა: მისი ბუნება თითქოს ორად იყოფა — ფიზიკურად და სულიერად. ფიზიკური ძალას ატანს გოგიას, მინდი აიღოს, თუნდაც ქურდულად. შიმშილი იმდენად სტანჯავს გოგიას, რომ მას მძინარე გეგეს მოკვლაც კი მოუვა აზრად. ეს ფიქრი იმდენად მძაფრია, რომ გოგია ნაჯახსაც კი წამოაველებს ხელს.

შავრამ როცა გოგია დაინახავს მძინარე გეგეს გაწამებულ სახეს, მისა ბუნების მეორე, სულიერი მხარე ხმას იმაღლებს და წინ აღუდგება ფიზიკურს, მას გაახსენებს გეგეს მუდარას: „აბა, შენი ჰირიმე, ღროთ დააბრუნე, თორემ შინ სახლობა შიმშილით მიწივის!“ ამის გახსენებაზე გოგიას მკლავში ღონე ეკარგება. ნაჯახის მაგივრად გეგეს ოდნავ ფეხს წაჰკრავს: „აღე, ჩამოვიდა!..“ და თითქოს შერცხვენილი თავისი სისუსტით, რომ შიმშილის გამო უდანაშაულო კაცის მოკვლაც კი განიზრახა, გოგია სასწრაფოდ გავარდება გარეთ.

გოგიას შინაგან ბრძოლაში გაიმარჯვა კატომოყვარე, საზოგადოებრივმა დასაბამმა. ამ ხანით გოგიას პორტრეტი შეივსო და სათანადოდ აღიხვეწა. გოგიამაც მიიღო გარკვეული ბუნებრივი სახე — კეთილი, მოძმის გამტანისა და გაჭირვების გმირულად ამტანი გლეხისა. ამრიგად. ამ ეტიუდშიც გამოვლინდა შიო არაგვისპირელის დადებითი, გულსნებიერი დამოკიდებულება გლეხოებისადმი.

\* \* \*

ავიღოთ შიო არაგვისპირელის კიდევ ერთი ეტიუდი „ბ ა ლ დ ი ყ ო ფ ი ლ ხ ა რ !..“ ამ ოთხგვერდიან ამბავში მკვეთრადაა მოცემული ოთხივე მოქმედი პირის — გ ი ე ი ს, მისი ცოლის ე ლ ო ს ი და გივის შეგობრების — ა რ ჩ ი ლ ი ს ა და ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს, შეიძლება ითქვას, ამომწურავი, ცხოველი პორტრეტები.

ამ ეტიუდში შიო არაგვისპირელი მისთვის დამახასიათებელ სკეპტიციზმით აჩვენებს მკითხველს, რომ ჩვენს ინტელიგენციაში, სამწუხაროდ, საღი, პრინციპული და ზნეობრივი საწყისები სათანადო სიმართლეზე არ იდგა: უხეში, სრულიად გაუმართლებელი და ადვილად დასაძლევია ვნებიანობაც კი ხშირად ვერაგულად, უსინდისოდ ალაზხინებს მათ ამხანაგის, მეგობრის და მახლობელთა ოჯახისადმი საზოგადოებაში მიღებულ პატივისცემას, მორიდებასა და მოქალაქისათვის სავალდებულო მორალის საზღვრებს. აღნიშნულ ეტიუდში ოთხი სხვადასხვა ხასიათის პერსონაჟია და ოთხივეს პორტრეტი რამდენიმე, მაგრამ ბევრისმთქმელი, ხაზის მოცემით საოცრად მკვეთრადაა გამოძეწილი.

შოა არაგვისპირელი ყოველი პერსონაჟის ხასიათში შესანიშნავად პოულღოს ვჰირის ხასიათის ძირითად, სასიცოცხლო, წამყვან ხაზს და ამაზე აგებ-ამუშენებს მის პორტრეტს. ეტიუდის „ბაღლი ყოფილხარ!“ ძირითადი პერსონაჟია არჩილი. არჩილი ზერელე, ექსპანსიური, თამაში, პარალელი სიამოვნების მაძიებელი პიროვნებაა. არჩილის ხასიათის ამ ძირითად თვისებას ემორჩილება მისი პორტრეტის ყველა ხაზი. მისი ყოველი მოქცევა, ყოველი სიტყვა, დაქვემდებარებულია მისი ბუნების ამ ძირითად თვისებას. ასევე არიან: ელიზბარი — პატიოსანი, გაურყენელი, ღიწვი, დაკვირვებული; გივი — გულღია, ცოტა მაჰპიტი, საზოგადოებრივი კაცი; ელო — კეკლუცი, თავისი სიამოვნების ვერაგულად მაძიებელი.

ამ ოთხი პერსონაჟის ხასიათი დიდი ექსპრესიითა და დამაჯერებლობითაა გაშლილი ყოველი მათგანის, ბუნების აღნიშნულ, წამყვან ნიშანზე.

არჩილი არაფრად აგდებს არც მეგობრის — გივის თავმოყვარეობას, არც სკოლის მეგობრის, არც მისი ოჯახის პატივისცემას; მას არც დამსწრე საზოგადოებისა ერიდება.

არჩილი, პირადი სიამოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ელიზბარს უცერემონიოდ მიიპატიეებს, სკოლის მეგობრის (დიდი ხნის უნახავი), გივის ოჯახში.

ელიზბარი მორიდებულად იქცევა. არჩილი სარგებლობს ამ გარემოებით და ამას ხსნის უკბილო, წინდაუხედავი ოხუნჯობით — ელიზბარის „მოუხეშავი ქართლური ბუნებით“. ელიზბარის მოსწრებულ რეპლიკაზე კი — „თუ მე მკიცხავ, ჩემო არჩილ, ე მასპინძლებმა რაღა დაგიშავეს, ესენიც ხომ ქართლები არიან?!“ — არჩილი მაინც არ დრკება და თავის ცრუ, უაზრო უპირატესობის შეგნებით, ოხუნჯობას აგრძელებს: „კარგია, ეგ მაინც მოახერხე, ესენი კორტოხს ახლო არიან და სხივი ზრდილობისა“... „თუ ეშმაკობის?!“ — კვლავ ჩაურთავს არჩილის უადგილო, ფუქსავატი, უხამსი ოხუნჯობით უკმაყოფილო ელიზბარს. არჩილი მაინც მედიდურად აგრძელებს: „სხივი ზრდილობისა-მეთქი... კორტოხს ახლო მცხოვრებთა ეფინებათ“ და თავისი აზრი რომ გაამართლოს, მასპინძელთა მიმართაც შექმნილი უხერხულობა გააქარწყლოს, ცრუ ავტორიტეტული კილოთი გაიძახის: „დიასახლისის მამა-პაპა კორტოხს იქით არიან გადასულნი და მათი გვარი იმერულია“. არჩილის ასეთ ზერელე, უადგილო, უაზრო სიტყვებს შესწევტს დიასახლისის მიერ მათი სუფრასთან მიწვევა.

ამბის დასაწყისშივე არჩილის პორტრეტის სრულყოფისათვის მოცემულია მეტად დამახასიათებელი ხაზები — მსუბუქი, უხამსი, მავნე, ყოველი ქართველისათვის შეუტრაცხყოფელი უკბილო ოხუნჯობა, მი-

სი უაზრო, დაბეჭითებული მტკიცება, რასაც მკითხველი ადვილად გრძნობს, შედეგია არჩილის ზერელე ბუნებისა.

ყოველი მოქმედი პირის პორტრეტის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული ხაზი რელიეფურადაა მოცემული მათ სუფრასთან განლაგებაში.

რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი დეტალია ნოველის სიუჟეტის განვითარებაში, მაგრამ მოქმედ პირთა დახასიათებისათვის — მათი პორტრეტის მონახვაში კი ამ დეტალს არსებითი მნიშვნელობა აქვს.

სუფრაზე შეკრებილთა პორტრეტის დახატვაში შიო არაგვისპირელი სარგებლობს საერთო და ინდივიდუალური ხაზებით.

„უბრალო ბაასით, — გადმოგვცემს ელიზბარი (იგულისხმება. თვით ავტორი), — დიასახლისის კეკლუცობით, გივის ღია გულით და მანდილოსნების სიმუნჯით ყველას სადღეგრძელო გამოვათავეთ... თამადად გივი იყო და ღვინოს, როგორც მასპინძელი, გვაძალებდა“<sup>1</sup>. აღნიშნული ხაზებით მწერალი მკითხველს აგრეთვე კარგად აგებინებს სუფრის უფერულობას, უშინაარსობას, ჩვეულებრივი სადღეგრძელოების თქმას, „ფზინელთა სიმუნჯეს“, თუმცა თითქოს თამადა ჩვენს მოღვაწეებსაც არ ივიწყებდა, დამსწრეთა სადღეგრძელოების ამოწურვის შემდეგ, იმათ სადღეგრძელოსაც სვამდა.

ცხადია, ეს ხაზები უფრო სუფრის ბანალური იერის აღმნიშვნელია, მაგრამ ცალკეულ გმირთა პორტრეტის ინდივიდუალური ხაზებითაა მკვეთრად მოცემული — დიასახლისის კეკლუცობა, გივის გულიობა, მისი გაცვეთილი სადღეგრძელოებისადმი მიდრეკილება, სტუმრებზე ღვინის დაძალება. თანდათან საკმარისი სისწრაფით პერსონაჟთა ინდივიდუალური პორტრეტისათვის კვიმატური ხაზები უფრო საგრძნობლად იხსნება.

ამ ხაზებს მწერალი ელიზბარის პირით ასე გადმოგვცემს: „არჩილმა და გვიმ მეგობრულად ხელი გადახვიეს ერთმანეთს და, ნაღვინებს როგორც შეჭფეროდათ, ხმა შეათანხმეს. მეც რაკი დიასახლისთან საბაასო მასალა შემომელია... თითქმის შეუძინევი ბანი დავიწყე. ამავე დროს დიასახლისს თვალს არ ვაშორებდი. იგი ნიდაყვზე დაყრდნობილი დაბლა დაიკეპირებოდა და დროგამოშვებით სახე ვნებით უთრთოდა, მთელი ტანი უხტოდა. დაბალ ბანს ვამბობდი, და დიასახლისის ამგვარ დროგამოშვებით ცვლილებას განცვიფრებაში მოვყავდი.

გივი და არჩილი კი არ ისვენებდნენ. არჩილი ხმას ძალას ატანდა, ჯმუჯნიდა გივის და თითქმის ნახევრობამდის მაგიდის ქვეშ ჩაძვრა... დიასახლისმა სავარძელი მაგიდასთან უფრო ახლოს მიიდგა და შეეამჩნე, დიასახლისიც ძირ-ძირს მიდიოდა. აღარა სცხრებიან გივი და

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 4.

არჩილი, სხვადასხვა სიმღერებს ამბობდნენ<sup>1</sup>. არც დიასახლისი და არჩილი იყვნენ დაწყნარებულნი. საიდუმლოდ მოძრაობდნენ.

სურათის სისრულისათვის მწერალი კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან დეტალს აღნიშნავს. არჩილისა და ელოს უცნაურმა მოძრაობამ და სახის გამომეტყველებამ გააღვივა ელიზბარის ცნობისმოყვარეობა. ელიზბარმა ხელსახოცი იატაკზე დააგდო. სხვათა შეუმჩნეველად დაიხარა, მაგიდის ქვეშ შეიხედა და გველნაკბენივით უეცრივ წელში გაიშალა, — „თვალწინ მხოლოდ ორი წყვილი, ერთმანეთში ჩახლაცნილი არჩილისა და დიასახლისის ფეხი უთამაშებდა...“<sup>2</sup> სწორედ ამ დროს გივი ჭიქით ხელში დიდი აღფრთოვანებით ქალების სადღეგრძელოს სვამდა და უსურვებდა მათ ჩვენი წინაპარი დედებისათვის მიეზღაოთ და „იმათსავით პატიოსნურად ემსახურონ სამშობლოს და ოჯახს“.

ამ ურთიერთობის გამოაშკარავებამ ძლიერი ინდივიდუალური ხაზებით შეავსო როგორც არჩილისა და ელოს პორტრეტები, ისე გულუბრყვილო, ბეცი, უხერხემლო გივისა.

არჩილისა და ელოს ყალბი, ცბიერი, ამორალური, პირადი სიამოვნების მაძიებელი, უპრინციპო, თავხედური ბუნება მშვენივრადაა მოცემული მწერლის მიერ შემდეგ პორტრეტულ ხაზებში: ელოს მიერ მაგიდაზე სტუმრების განლაგება, სუფრაზე არჩილის მიერ გივის ხელის გადახვევა, მისი ჯმუჯნა, მასთან შეწყობილი, ხმამაღალი, დაუცხრომელი სიმღერა, არჩილისა და ელოს თანდათან მაგიდის ქვეშ ჩაქრომა, ნიდაყვებზე დაყრდნობილი ელოს დაბლა ცქერა, მისი სახის ვნებით თრთოლვა და ტანის ხტომა და ბოლოს მაგიდის ქვეშ არჩილისა და ელოს ფეხებით ტრფიალი. მათი პორტრეტი, შეიძლება ითქვას, ამომწურავად და მკვეთრად არის მოცემული. არჩილისა და ელოს შინაგანი მღელვარება მრავალგვარადაა გამოვლენილი მათ გარეგნობასა და მოძრაობაში.

არჩილის (როგორც ზერელე, ამორალური, დაუნდობელი და გაუტანელი პიროვნების) და ელიზბარის (როგორც პატიოსანი, საზოგადოებრივი გრძნობის მატარებლის) პორტრეტების სრულყოფისათვის შიო არაგვისპირელი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხაზს იძლევა.

არჩილისა და ელოს ასეთმა ურთიერთობამ ელიზბარი შეაშფოთა, შეზარა. ელიზბარმა სხვის სახლში უკმაყოფილების გამოთქმა მიზანშეწონილად არ ჩასთვალა. იგი სუფრიდან წამოდგა, სხვებიც წამოიშალნენ. არჩილი და ელიზბარი მასპინძელს გამოეთხოვნენ და წავიდნენ. გზაში, ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, ელიზბარმა არჩილს გულწრფე-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5.

ლად, მეგობრულად უსაყვედურა: „უნდა გრცხვენოდეს, რომ იმ კაცს მეგობარს ეძახი, მეგობრულად ხელსა ჰხვევ და ამავე დროს კი იმის ცოლს ფეხებს ფეხებში უხლართავ და ვნებით თრთი!“<sup>1</sup> ელიზბარის ამ სამართლიან გაკიცხვაზე არჩილი უპასუხისმგებლო ხარხარით ცინიკურად, თითქოს შთაგონების მიზნით ეუბნება: „ეკ, ჩემო ელიზბარ, პაღლი ყოფილხარ!..“ და დამშვიდებული თავის გზას გაუდგება.

ამ უკანასკნელი შტრიხის დამატებით შიო არაგვისპირელმა მთელი სისრულით გამოაქანდაკა არჩილის უზნეო, უპრინციპო, ზერელე, ვნების ტყვეობაში მყოფი სახე. მასთან დაპირისპირებით მწერალმა მკვეთრად დახატა ელიზბარის პატიოსნებით აღსავსე პიროვნება, ვისთვისაც მეგობრობა და საზოგადოებრივი მორალი წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია. ამიტომაც, რომ ელიზბარი მკითხველის სიმპათიას იმსახურებს.

პორტრეტის დახატვისას შიო არაგვისპირელი მრავალფეროვნად და შთამბეჭდავად იყენებს არა მარტო პერსონაჟის გარეგნობას, მის საგნობრივ მდგომარეობას (ჩაცმულობა იქნება ეს თუ ბინის მოწყობილობა), არამედ მისი შინაგანი სამყაროს გამოვლინებისათვის — მის მრავალგვარ მოძრაობას, სახისა თუ თვალების გამომეტყველებას, მეტყველების ინტონაციას და ა. შ.

შიო არაგვისპირელის მიერ პორტრეტის შექმნის პალიტრა, უდავოდ, ფრიად ფართო, მდიდარი, მრავალფეროვანი და თავისებურია.

#### IV. შიო არაგვისპირელის დრამატურბია

შიო არაგვისპირელს, ამ ნიჭიერ ნოველისტს, ქართულ ლიტერატურაში ნოველის ჟანრის განმამტკიცებელს, დრამატული ჟანრისადმიც ჰქონია საგრძნობი ინტერესი. შეიძლება ითქვას, რომ მის კალამს სწორედ დრამატულ ჟანრში უცდია პირველად თავისი ძალა. როგორც ირკვევა, მწერლის პირველი ნაწარმოებები დრამატული ჟანრისა ყოფილა. აი რა საგულისხმო ცნობას გვაძლევს თ. სახოკია ამ საკითხის შესახებ: „მწერლობა შიომ დაიწყო კომედიებით. სემინარიის გათავებისას მან დაწერა ორი კომედია. სათაურები არც ერთის მახსოვს და არც მგორესი. ერთს შინაარსი კი იყო სასაცილოდ აგდება მაშინ დიდ მოღაში მყოფი ტურნირებისა, მაშინდელი ქალები რომ ატარებდნენ. ეს პიესა აბაშიძეს (ცნობილი მსახიობი ვ. აბაშიძე — მ. ზ.) ვადავეცო. ვასომ, არ ვიცი, წაიკითხა თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ არც სცენაზე არ დადგმულა და თვით პიესაც დაიკარგა“<sup>2</sup> ერთი ამათ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1947, გვ. 6.

<sup>2</sup> „ღარიშა“, 1926, № 3.



განი ალბათ არის „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“.

შიო არაგვისპირელის პირველ ნაწარმოებთაგან, რომელნიც ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს — 1889 წელს დაუწერია, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა: ოთხმოქმედებიანმა კომედიამ — „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“ და ნოველამ — „ესაა ჩვენი ცხოვრება!...“ ამათში, ვფიქრობთ, უფრო ადრე დაწერილი უნდა იყოს „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“.

ჩვენი ვარაუდით, შიო არაგვისპირელს დაუწერია რა დრამატული ჟანრის ნაწარმოები, აღარ მოსწონებია, მასში ვერ გამოუწვევია მხატვრული გრძნობის დაკმაყოფილება და თავისი კალამი სხვა ჟანრში — ნოველაში უტღვია. ამ ჟანრში, მართლაც, სამართლიანად მიუგნია თავისი ნიჭის ნამდვილი გზისათვის და ამიტომაც წერა ამ მიმართულებით განუგრძობა. სამართლიანად აღნიშნავს ს. ჭილაია: „ამ მხრივ (ნოველის ჟანრის გამოყენებით — მ. ზ.) ახალი მოვლენა იყო არაგვისპირელის პროზა. და ამ ჯარემოებამ მიაკუთვნა შიო არაგვისპირელი ქართველ სახელოვან მწერალთა წყებას“<sup>1</sup>.

თვითონ შიო კმაყოფილი რომ არ იყო თავისი დრამატურგიით, იმიტაც მტკიცდება, რომ კომედიის „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“ დაბეჭდვა ან სცენაზე დადგმა მას არც უტღვია. ხელნაწერი თავის არქივში ჩაუკეტია. „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“ მხოლოდ ავტორის სიკვდილიდან 21 წლის შემდეგ, 1947 წელს დაიბეჭდა.

მაგრამ უფრო საგულისხმო ის არის, რომ შიო არაგვისპირელი, რომელმაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ნოველის ჟანრის ნაწარმოებებით დიდი ყურადღება და ქებაც კი დაიმსახურა, როგორც ჩვენი მწერლობის კორიფეებისაგან, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისაგან, მაინც უბრუნდება დრამატულ ჟანრს. მცირე ინტერვალის შემდეგ შიო არაგვისპირელი კვლავ წერს ისტორიულ-დრამატულ ნაწარმოებს შემდეგი სათაურით „შიო თავადი“ — ისტორიული ლეგენდა სამ მოქმედებად (მოქმედება წარმოებს XVII საუკუნის პირველ ნახევარში): სამწუხაროდ, „შიო თავადის“ ავტოგრაფს დაწერის თარიღი არ უზის, ვფიქრობთ, ეს დრამატული ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს იმავე 90-იანი წლების დასასრულს, ვინაიდან ის ქართულ სცენაზე თბილისში ახლანდელ ოპერის თეატრში 1903 წელს დაიდგა, პირველად და, მგონი, უკანასკნელად. ალბათ, შიო არაგვისპირელის მხატვრული მოთხოვნილებანი არც ამ დრამატულმა ნაწარმოებმა დააკმაყოფილა. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მას თავისი კალამი შემდეგში აღარ უტღვია.

<sup>1</sup> ს. ჭილაია, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ნაწ. I, 1956, გვ. 210.

აღნიშნული გარემოება, როგორც შევლევართ, ისე ფართო მკითხველ საზოგადოებას სამართლიანად აინტერესებს. ნიჟიერ ნოველისტ მწერალს დრამატული უნარი უდავოდ რალაციითაც იზიდავდა და ამიტომ ეტანებოდა.

ჩვენი ფიქრით, შიო არაგვისპირელს დრამატული უნარი იპყრობდა იმ მიმართულებით, რომ მისი მეშვეობით მას უნდოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათი მოეცა. ალბათ ამავე განწყობილებით აიხსნება მისი კალმის ცდა რომანის უნარშიც, რის შედეგია „გაბზარული გული“. ამ რომანზე შიო არაგვისპირელი მუშაობდა მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში. ის მას დაუმთავრებია 1925 წ. ეს რომანიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა. ვფიქრობთ, მწერლის მხატვრულ გემოვნებას არც რომანი „გაბზარული გული“ აკმაყოფილებდა.

შიო არაგვისპირელი ასეთი რთული და დიდი მოცულობის ნაწარმოებებისადმი სათანადო განწყობილებასა და შეიძლება სათანადო გულმოდგინებასაც არ იჩენდა. ეს იმიტომ კი არა, რომ მას მასალა ან შესაფერი ძალა არ შესწევდა, ან კიდევ სახეთა და მოვლენათა მარაგი საკმარისი რაოდენობით არ გააჩნდა, არამედ მას დიდი მოცულობის ნაწარმოების (იქნებოდა ეს რომანი თუ დრამატული თხზულება) ტექნიკა არ იზიდავდა. დიდი მოცულობის ნაწარმოებს შიო არაგვისპირელი ვერ ეუფლებოდა, მისი სხვა თანამედროვეების — XIX საუკუნის 90-იანი წლების ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლების მსგავსად (როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც). ისინი მცირე მოცულობის მოთხრობებს უფრო ეტანებოდნენ, მათში ეძებდნენ მახვილ ინტრიგას და მხოლოდ ამგვარ მცირე ჩარჩოებში პოულობდნენ ინტრიგის გახსნას.

ფაქტი ფაქტად რჩება. შიო არაგვისპირელს უმუშავია აღნიშნულ დრამატულ ნაწარმოებებზე, დაუმთავრებია, თავისი კალმის ნამოქმედარი დაუტოვებია, არ გაუნადგურებია. ინტერესს მოკლებული არ არის ჩავიხედოთ მწერლის ამ შემკვიდრობაში და შეძლებისდაგვარად ავხსნათ, რა აინტერესებდა და რისი ჩვენება უნდოდა შიო არაგვისპირელს ამ დრამატული ნაწარმოებებით, რა ღირსება ან რა ნაკლი აქვთ მათ.

ცნობილია, რომ სრულყოფილი დრამატული ნაწარმოები ორმაგი ბუნების შემცველია: ის არა მარტო სცენაზე წარმოსადგენი, მოვლენათა განსახიერების მიზანშეწონილი ნაწარმოებია, არამედ ამასთანავე ის სრულყოფილი საკითხავიცაა.

შიო არაგვისპირელის დრამატული ნაწარმოებები აღნიშნულ მოთხოვნილებებს, მართალია, სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ — ისინი საკმარისად მოიკოვლებენ როგორც სცენური მხატვრობის თვალსაზრისით, ისე სცენური ტექნიკითაც, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბა-

რი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ორივე დრამატული ნაწარმოები შეიცავს ელემენტებს, რაც მწერლისათვის იყო მახლობელი, არსებითი, რაც მას აწვალებდა, და რის გამოტანაც მას, როგორც მწერალს, საჭიროდ მიაჩნდა. ჩვენი აზრით, ეს არის ამ ნაწარმოებთა იდეური მხარე; ესაა პრობლემა თუ თემა — პატიოსნებისა, პატიოსნური ურთიერთობისა; ხორცმეტის, პრივილეგიური კლასის ნაბოლარას — კოჟანდარას უარყოფითი ბუნება და მისი აღზრდის სისტემის მავნებლური ხასიათის გამოაშქარავება. ამ ნაბოლარას (გიორგი ბეროშვილი) და „უგვარტომოს“ (სიკო მათიკაშვილი, ნინო ხორბალაშვილი), დაბალი ფენიდან გამოსული ჰუმანისტი-ნასწავლის დაპირისპირებით მოცემულია მათი ზნეობის, ღირსება-ნაკლის გახსნა („კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“); ხოლო დრამატულ ნაწარმოებში „შიო თავადი“ — ჩვენება და მიმზიდველობა მაღალი, ყველაფრისგამწირავი, თუ შემწირველი პატრიოტული გრძნობისა, როგორც მამაკაცში, ისე დედაკაცში.

თემისა და მიზანდასახულობის თვალსაზრისით შიო არაგვისპირელის დრამატული ნაწარმოებნი თავისი დროისათვის უდავოდ, დროულნიც იყვნენ და აქტუალურნიც.

\* \* \*

ავიღოთ 1889 წელს დაწერილი ოთხმოქმედებიანი კომედია „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“, რომლის შინაარსი გაშლილია კონტრასტის საფუძველზე, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელი ხერხია გარდამავალი პერიოდის მხატვრული ლიტერატურისათვის და კერძოდ, ქართული მხატვრული ლიტერატურისათვისაც და შიო არაგვისპირელისათვისაც.

ცნობილია, 80-იან წლებში, როდესაც იწერებოდა კომედია „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“, ჩვენში მეტად სწრაფად ირღვეოდა და იშლებოდა ძირმომპალი ფეოდალური კლასი, როგორც ეკონომიურად, ისე თავისი დრომოკმული ეთიკით, ესთეტიკით, ეტიკეტით, რაც მკვეთრად მკლავნდებოდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით აღზრდის სისტემაში. ამის მკვეთრი გამომხატველია გიორგი ბეროშვილი თავის მშობლებით სოლომონითა და ელისაბედით. მათ პარალელურად ცხოვრების ასპარეზზე გამოსულია უაზნო-რაზნოჩინელი დაბალი ფენის ინტელიგენცია, თავისი თვალსაჩინო წარმომადგენლებით — ახალი პროგრესული მსოფლმხედველობით, ახალი, მაღალი ფაქიზი ჰუმანური ურთიერთობის დამყარების განწყობილებით ადამიანთა შორის. კომედიაში ასეთები არიან სიკო მათიკაშვილი და ნინო ხორბალაშვილი.

საკმაოდ მწვავედ და დაძაბულად ვითარდება კონფლიქტი ამ ორი ჯგუფის მსოფლმხედველობასა და ინტერესთა შორის.

გიორგი ბეროშვილი, თუმცა დარღვეული ფეოდალური წრიდანაა, მაგრამ მის შობლებს ჯერ კიდევ შერჩენიათ ქონება და ფეოდალური, ქედმაღლური, ამპარტავნული ბუნება-განწყობილება. ფეოდალურ ოჯახში გაბატონებული აღზრდის სისტემითა და ყოფაქცევით გააძულებული, ლაგამშიშვებული, გააჯანსაღებული გიორგი ყველასა და ყველაფერს თავისი ვნებიანი, უხეში, ეგოისტური სურვილებით ეკიდება. ის ყველასა და ყველაფერს მხოლოდ თავისი პირადი ეგოისტურ-ბიოლოგიური სურვილების დაოკების, დაკმაყოფილების თვალსაზრისით უყურებს. მისთვის საშინელი ტრაგედიაა, თუ მცირედი სურვილიც კი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნიაანი. სისრულეში ვერ მოიყვანა. იგივერ ისვენებს, ყველასა და ყველაფერს უსაზღვროდ ავიწროებს. საერთოდ, მისთვის უკან დასახევი მოსაზრება თუ საშუალება არ არსებობს. ვნებააშლილ. ლაგამშიშვებულ გიორგის სრულიად ბუნებრივად და შესაძლებლად მიაჩნია ერთდროულად კავშირი დაიჭიროს შინამოსამსახურე ახალგაზრდა ქალთან მამასთან (არა მარტო მასთან), და ამავდროს სიყვარულიც აუხსნას, ცოლად გაყოლა სთხოვოს პატიოსან, განათლებულ ნინო ხორბალაშვილს.

ნინო ხორბალაშვილი, რომელმაც მალე კარგად გაიცნო და გაიგო გიორგის ბუნების განზრწნილობა, მას ახლოს არ იკარებს. ეს გარემოება, როგორც ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, უფრო ახელებს გიორგის.

ნინოს უარყოფითი დამოკიდებულებით გაღიზიანებული გიორგი თავის თავზე შეყვარებულ, უნიან ბუნებას ასე გამოააშკარავებს: „...მე, გამოჩენილ ახალგაზრდა თავადიშვილს, ნასწავლს, მშვენიერად მორთულს (ტანისამოსზე იქირობა) იმ საძაგელმა, უგვარტომომ (იგულისხმება ნინო ხორბალაშვილი — მ. ზ.) შეურაცყოფა უნდა მომეყენოს?!“<sup>1</sup> გიორგის ვერც კი წარმოუდგენია, რომ ქალმა და ისიც უგვარტომომ, ე. ი. არაპრივილეგიური კლასიდან გამოსულმა, სიხარულით არ მიიღოს მისი ცოლად შერთვის წინადადება. ამას ის მისთვის დამახასიათებელი საბუთიანობით ასე აძტყიცებს:

„ჩემი სილამაზით ბევრი ქალისთვის ამიძგერებია გული, რის გამოც ბევრისთვის ნამუსი ამიხდია, მაგრამ ასე არც ერთი ქალი არ მომქცევია, როგორც ის მაწანწალა! „რატომ თავს არ დამანებებ — შე გარყვნილოვ“. ხა, ხა, ხა, ხა! „გარყვნილოვ“... გაყურებინებ, როგორი გარყვნილიცა ვარ!.. მე გარყვნილი იმისთვისა ვარ, რომ იმას შევკადრე: „რა მშვენიერი რამა ხართ-მეთქი, შენი კოცნა სწორედ სამოთხის სიამოვნებას მიანიჭებს კაცს!“ კი არ უნდა გაჰხარებოდა იმას!“<sup>2</sup> ვნებიანობისა და გარყვნილების ქაოსში ჩაფლული, გვარიშვილობის უპა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 493.

<sup>2</sup> იქვე.

რატესობით გაამაყებული და უაზრო ფუფუნებით გააზნებული გიორვი ვერც კი გრძნობს, რამდენად შეურაცხყოფელი იქნება ასეთი ლაზლანდარა, გაცვეთილი, დაბალი გრძნობებით გამოწვეული სიყვარულსა ახსნა ფაქიზი გრძნობის, თავის თავის ადამიანური ღირსების შემგრძნობი ქალისათვის, როგორც ნინო ხორბალაშვილია.

გიორგი ცინიკურად ასე გამოთქვამს მდაბალ, მიუღებელ, გარყვნილ, დრომოკმულ შეხედულებას ქალზე: „ქალის დანიშნულება, მამ, მეტი რა არის, თუ არ იმისი კოცნა და ხვევნა? ქალი იმ მიზნით არის გაჩენილი, რომ კაცის სურვილი ასრულოს! ახლა ბევრს რაღაცას ჩმახავენ ქალების უფლებებზე, თუმცა მეც ვაძობ ხოლმე საზოგადოებაში ამის სასარგებლოდ, რომ უვიცად არ მიცნან, მაგრამ მე იმათი უფლებისა სრულებით არა მწამს რა. იმათი საქმე რბილ ლოგინში წოლაა და გადაგორ-გადმოგორვა, რითაც უფრო მიიზიდავენ კაცებს, აუნთებენ გრძნობას და... მამ, რაში გამოდგებიან: იმათი არც ტყავი ვარგა და არც ზორცი...“<sup>1</sup>

ასეთი ბუნების ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი იყო მისი სურვილებისადმი წინააღმდეგობის გაწვევისას უფრო მეტი ჟინიანობა, თავხედობა, ლაგამიშვებული გამბედაობა გამოეჩინა. ამგვარ შემთხვევაში ისინი აღარ ერიდებოდნენ არავითარ დაბრკოლებას. მათთვის არც პირადი, არც საზოგადოებრივი, არც სახელმწიფოებრივი, არც მორიდება, არც მორალური და არც იურიდიული დაბრკოლება თუ კანონი აღარ არსებობდა. მთელი მათი არსება წუთიერი სიამოვნებისა თუ ჟინის მოკვლის სურვილის სრულ ტყვეობაში ვარდებოდა.

ასეა გიორგი ბეროშვილიც. ის თავის ვენებაშილ, ამორალურ განწყობილებას თუ დამოკიდებულებას ქალისადმი, ხოლო კერძოდ ნინო ხორბალაშვილისადმი, ასე გამოხატავს: „ბუნებას რაც კი რამ კარგი თვისება ჰქონია, სულ ერთად შეუკრებია და გამოუყვანია ნინო ხორბალაშვილი. იმისი კოცნა და გადახვევა სამოთხის ნეტარება იქნება!.. რაც უნდა მთხოვოს, მიმეცემი ვარ, ვინც იმას ორ-სამ ღამეს მომიყვანს. მეტიც არ მინდა. ჩემი თავის ამბავი კარგად ვიცი — ჩქარა მომწყინდება; მერე იქნება თვალის დასანახავადაც შემძულდეს...“<sup>2</sup>

მეტად დამახასიათებელი, ტიპიური თვისებებითაა აქ მოცემული გიორგის სახე. ფეოდალური ყოფის ამგვარი ტიპიური ნაბოლარნი ჩვენი ცხოვრების სარბიელზე XIX საუკუნის დასასრულსაც კი ჯერ კიდევ დათარეშობდნენ და ამტუტებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამისი დამადასტურებელია გამოქვეყნებული, ხოლო უფრო მეტი გამოუქვეყნებელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტები და 60—90 წ.წ. ჩვენს მსატერულ ლიტერატურაში ასე თვალსაჩინოდ ასახული. გიორ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 493.

<sup>2</sup> იქვე.

ვი ბეროშვილი იმავე ბუდიდანაა, რომელშიც აღიზარდნენ — ილია ქავჭავაძის და თიკო („გლახის ნაამბობი“), გიორგი წერეთლის იერემია წარბა თავის ამფსონებით („პირველი ნაბიჯი“), ეგნატე ნინოშვილის იასონ უქმაძე, ლევან ძველისენიძე („ქრისტინე“), ტარიელ მკლავაძე თავისი მეგობრებით („ჩვენნი ქვეყნის რაინდი“), დავით კლდიაშვილის აბესალოსა მთაძე („ირინეს ბედნიერება“) და სხვ.

აღნიშნული „გმირების“ საქმენი საარაკონი იშლება სოფლად, ისინი სოფელს ამტუტებენ, აწიოკებენ. შიო არაგვისპირელის გიორგი ბეროშვილი აღნიშნული ტიპის სახესხვაობაა, რომელიც 90-იან წლებში ქალაქადაც ჩნდება, როდესაც დარღვეული თავად-აზნაურნი, სოფლად ნიადაგდაკარგულნი, ქალაქში გადასახლდნენ და იქაც მოინდომეს ამ შეუფერებელი გზის გაგრძელება.

გიორგი არაფერს არ ერიდება, რომ ნინო ხელში ჩაიგდოს, თავისი ეჩინი მოიკლას. ის შემდეგი შემადიწუნებელი საშუალების გამოყენებასაც კი განიზრახავს: მაქანკალი ქაბა გაუგზავნევოს ნინოსა და მის ღედას, ვითომც მას ნინო მოსწონს, უყვარს და ცოლად უნდა შეირთოს. გიორგის იმედი აქვს, ხორბალაშვილები დათანხმდებიან, ბედნიერადაც ჩასთვლიან თავს.

გიორგის სურვილი თუ განზრახვა ნინოს ცოლად შერთვა კი არ არის, არამედ თავისი ლაგამაშუღებელი ეჩინის დაკმაყოფილება და ამასთან აგრეთვე. ნინოს წინააღმდეგობის გამო, მისი სასტიკად დასჯაა. მას მიზნის მიღწევა ასე აქვს განზრახული — ჯერ ნიშნობას გამართავს ნინოსთან, მიადწვევს თავის მიზანს და შემდეგ მასაც, როგორც მრავალსხვას, თავს მიანებებს.

ამის პარალელურად კი გიორგი ახლად მოყვანილ შინამოსამსახურე გოგოს, მაშას ეარშიყება, ცოლად შერთვას პირდება და ადვილადაც დაიყოლიებს.

გიორგი ასეთ ნაბიჯს დგამს მაშინ, როდესაც მას თავისი უნამუსო საქციელი — ბევრის მოტყუება ჯერაც ვერ მოუწინაიებია.

სწორედ ამ დროს ხვდება სიკო მათიკაშვილს. განათლებული, პატროსანი ახალგაზრდა კაცი მიდის გიორგისთან ამგვარი აღმამფოთებელი საქციელისათვის პასუხის მოთხოვნის მიზნით, მიუხედავად გიორგის თავხედი, ამაყი გაჯავრებისა, როგორ უბედავს ასეთ „კადნიერულ მოქცევას თავადიშვილს“, — სიკო დამშვიდებული, თავის ადამიანური უპირატესობის შეგნებით, მოურიდებელი, განმქიქებელი და შთამბგონებელი კილოთი უპასუხებს: „ამისი მიზეზი თქვენი ზნეობრივი დაცემულობაა, ხოლო ზნეობრივ დაცემულობის მიზეზი თქვენი ფუფუნებაა, თქვენი ბილწური ცხოვრება, სწორედ რომ თქვენი თავადიშვილური... „თავადიშვილი ვარო!“ ღიახ, თქვენ თავადიშვილი ბრძანდებით...

მეც კარგად ვიცი, ვიცი აგრეთვე, რომ თქვენ ნასწავლიცა ხართ. მაგრამ ეგ მაინც ვერაფერს გიშველით; ეგ მაინც კაცობას ვერ მოგანოკებთ. თავადიშვილობა კაცობას არ შეადგენს, ეგ გარეგანი წამოსახამია. როგორც ბრწყინვალე სამოსელი ვერ მიაწივებს კაცს კაცობას, აგრეთვე თავადიშვილობა... ხოლო რაც შეეხება სწავლას, ვერც იმას უხეირბია თქვენს თავში. სწავლას რომ თქვენზე კარგი გავლენა მოეხდინა, მაშინ ეს ამბავი აღარ მოხდებოდა<sup>1</sup>. აშკარაა სიკო მათიკაშვილის პირით თვით ავტორი შიო არაგვისპირელი გიორგი ბეროშვილსა და მისთანებზე თავის შეხედულებას გამოხატავს.

ასეთი პირუთვნელი, მოურიდებელი, სამართლიანი დახასიათებით აღშფოთებული გიორგი სიკოს მხილებას აწვევებინებს, ემუქრება კიდევ, რომ მისი უგუნურობა მას მოთმინებიდან გამოიყვანს. სიკო კვლავინდებურად მშვიდად, ერთგვარი გამომწვევი, შინაგანი სიძულვილით განაგრძობს: „გთხოვთ გამობრძანდეთ, თქვენო ბრწყინვალეზე, და მაშინ ნახავთ თქვენს სეირს! თქვენ ის გირჩევნიათ, თუ ცოტა კიდევ გაქვთ კაცური ღირსება და აფასებთ ამ ღირსებას, დააკმაყოფილოთ სოსიკა...“<sup>2</sup> (სოსიკა გიორგის ხიზანია, რომლის ერთადერთი ქალი გიორგიმ მისთვის ჩვეული მოტყუებით გააუპატიურა და შემდეგ უპასუხისმგებლოდ თავი მიანება). გიორგი მონანიებისა და შეცოდების ძეგანების მაგიერ სიკოს უხეშად შეპყვირებს, რომ ის მას ცილს სწამებს და ქედმაღლური ყვირილით — „თვლით აღარ დამენახო თორემ...“ უნდა სახლიდან გააგდოს. აღელვებული სიკო მიიწვევს გიორგიზე და ყელში წვდება. ყვირილზე გიორგის მშობლები და შინამოსამსახურეები შემოდიან. გიორგის დიდი უსიამოვნებისაგან მხოლოდ ეს გარემოება იხსნის.

\* \* \*

გიორგი მაინც არ თმობს თავის აკვიტებულ სურვილს. ის მოხერხებულად და ადვილად აიძულებს თავის ქედმაღალ მამას, მიიღოს მისი სურვილი ნინოს შერთვის შესახებ.

გიორგი მამამისს მაშინ მიუსწრებს, როცა იგი მაშასთან საკონცნულად მიიწვევს. გიორგი სარგებლობს ამ გარემოებით და სთხოვს, ნება დართოს ნინოსთან ქორწინებაზე, თორემ გაანხაურებს მაშასთან მის დამოკიდებულებას, რასაც ცუდი შედეგი მოჰყვება. მამაც იძულებულია, მისი შინამოსამსახურე ქალთან უმსგავსი საქციელის გახმაურების შიშით, დათანხმდეს. აქ ბეროშვილების სახით, უდავოდ, ნიშანდობლივადაა მოცემული დეგრადაციაში მყოფი ფეოდალური არისტოკრატის ტიპური ოჯახი. მამისაგან ნების დართვა, გიორგის უადვილებს დედისგანაც მიიღოს დასტური, შეირთოს „უგვარტომო“ ქალი.

გიორგი თავის მზაკვრულ განზრახვას არავის არ უმხელს. მაქანკა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1947, გვ. 501.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 501—502.

ლი ქაბა ნინოს დედას ადვილად დაიყოლიებს. მიუხედავად ნინოს გადაკრილი უარისა, რომ ის „იმ გარყვნილ კაცს არ გაჰყვება“. ნინოს დედა მარხებ. მოხიბლულია გიორგის გარეგნობით, განათლებით, მისი გვარიშვილობით. ყურად არ იღებს შვილის განცხადებას, შვილისაგან შორჩილებას თხოულობს და ქაბას თანხმობას უტყვადებს.

სახლიდან წასასვლელად გამზადებულ ნინოს მარინე სახლში ძალით ჩხუბით აკავებს.

გიორგი ანგარიშს არ უწევს ნინოს უარს. მისადმი ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას. მას უინი აწვალებს, მისი შესრულებრსათვის არაფერს ერიდება, არაფერს ზოგავს. ნინოს დედასთან პირველი შეხვედრის დღეს გიორგი ხორბალაშვილებს მშობლებით მიადგება. ნინო მათ თავშეკავებულად შეხვდება. გიორგის მშობლებს ნინო ძალიან მოეწონებათ; გახარებული არიან რომ ასეთი კარგი სარძლო შეხვდათ.

გიორგი მარინესა და ნინოს სიტყვის თქმას აღარ აცლის, თხოულობს, ნიშნობა ახლავე გადაიხადონ, რისთვისაც მას სამზადისი უკვე ჩაუტარებია. გასცა განკარგულება, სანოვავე მოიტანონ.

გიორგი და ნინო მარტოდ დარჩნენ. გიორგი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი მიზნის განხორციელებას — მის სისრულეში მოყვანას. ნინოს საკოცნელად ეტანება. მაშინ კი ნინო შუბლშეკრული მარხსანედ ეუბნება: „შორს! არ გაჰბედო ახლო მოსვლა!...“ გიორგი მაინც ლაზრებს თავისი უინი კოცნით მაინც მოიკლას, მივარდება ნინოს შეძახილით: „რაც ნებით არ გინდა მომცე, იმას ძალით წაგარომეც“<sup>1</sup>. უნებით გამხეცებული გიორგი ნინოს მოეხვევა, ნინო უძალიანდება ზიზღის გამოშხატველი შეძახილით: „დაღმეხსენ, შე გარყვნილო“. ამ დროს შემოდინ — მარინე, ქაბა, სიკო.

გიორგის ასეთი მხეცური საქციელით შეძრწუნებული ნინო სიკოს მიმართავს — „სიკო, მიშველე რამ!.. ძალათი უნდათ დამნიშნონ!.. აი ამ უსინდისომ კიდევ ძალას მიმართა, როცა მე ვუთხარე, რომ აქედან დაიღუპე-მეთქი!“<sup>2</sup> ნინოს ასეთი საქციელით აღფრთოვანებული სიკო ნინოსთან მივა, გაუწოდებს ხელს, რომელსაც წინა დღეს მას თვითონ ნინო სთხოვდა.

სიკო წყრომითა და შთაგონებით მიმართავს გიორგის: „არა ვრცხვენინან! ჯერ ერთისთვის არ მიგიცია პასუხი და ახლა მეორეს ეპოტინები და გინდა შეურაცყო?...“ სწორედ ამ დროს გიორგისადმი მუქარით სცენაზე შემოიჭრება სასოწარკვეთილი მაშა: „მე რაღას მეუბნები?!.. ნამუხის ამსადე და ახლა სხვაზე ინიშნები!.. აგრე ასრულებ შენ პირობას, შენ ფიცს!.. დანიშვნას ვერ მოახერხებ!..“<sup>3</sup>

გაათრებული მაშა რევოლვერს ამოიღებს, ესერის გიორგის. ს-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 535.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 535—536.



კო ხელს აუკრავს, ელისაბედს გული წაუფეა. სოლომონი, გიორგის მამა, ხანჯალს იშიშვლებს და ყველას თავების დაყრით ემუქრება; სიკო შუაში ჩადგება. ის რევოლუციით ხელში ემუქრება სოლომონს, ფეხი წინ თუ წამოდგა.

ამ გარემოებაში გიორგი მამას ხელს დაუქერს და ეტყვის: „მამა ჩააგეთ ხანჯალი, მე ვარ დამნაშავე!.. (ნინოს) ბოდიშს ვიხდი თქვენთან! მე სულელს მეგონა... მაგრამ ეჰ!.. მამა, გიცხადებთ, მე მსურს მამა შევირთო ცოლად... თუ მამა თანახმა იქნება!“. რა თქმა უნდა მამას სწორედ ეს უნდა.

გიორგის მშობლები შეშფოთებულ, გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. კომედია ასე მოულოდნელად და კომიკურად მთავრდება.

მართალია, კომედიას ჩვეულებრივ ახასიათებს კვანძის მოულოდნელი გახსნა, რაც კომიზმის, სიცილის საფუძველს ქმნის. მაგრამ ასეთი მოულოდნელი გახსნა, შიო არაგვისპირელი რომ გვთავაზობს აღნიშნულ კომედიაში, არაბუნებრივია. რამდენადაც შიო არაგვისპირელი კომედიის უკანასკნელ სცენამდე ბუნებრივად, სიმართლით იძლევა გიორგი ბეროშვილის და მისი მშობლების — სოლომონისა და ელისაბედის ყოფისა და ხასიათის გახსნას, იმდენად არაბუნებრივია, ხელოვნურია გიორგის ასეთი სწრაფი გამოცვლა — დამნაშავედ თავის თავის აღიარება, უმსგავსი ქცევისა თუ მოპყრობისათვის ნინოსთან ბოდიშის მოხდა და ბოლოს მისი განცხადება, რომ ის მამას ცოლად ირთავს. ისეთი წარმოშობისა და მდგომარეობის უპირატესობის შეგნებით დაავადებული, ფუქსავატი, ლაგამაწყვეტილი ბუნების კაცისათვის, როგორც გიორგი არის, — ასეთი გარდაქმნა, განსაკუთრებით ასე წამიერი. არამც თუ დაუჯერებელია, არამედ ყოველივე საფუძველს მოკლებულია. აქ გიორგის, ფეოდალური კლასის ნაბოლარას ხასიათის ბუნებრივ და სწორ გაშლაში მწერლის მხატვრულ ჩაეარდნას აქვს ადგილი.

ხასიათის გაშლა კომედიაში „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“ ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც არაბუნებრივია; არაა სათანადოდ დახვეწილი; მაგალითად, არაბუნებრივია — ბეროშვილების მოსამსახურე მამა. იგი პირველადაა მისული ოჯახში, საკმარისია მას გიორგიმ ცინიკური გახუმრებით უთხრას: „რომელი რძე გჯობიაო“ და ამის გამო მამას დამუქრებაზე — გიორგიმ ხუმრობას თავი გაანებოს, თორემ ის ქალბატონს ეტყვის, — გიორგიმ მას ხელსახოცი აჩუქოს, რასაც მამა მცირე ყოყმანის შემდეგ იღებს, და იქვე გიორგიმ მას გამოუცხადოს, რომ მას მამა გაგიყვებით უყვარს და ეშმაკურად ჩაეკითხოს: „არ გინდა, ქალბატონი გაგხადო?“ და მამამაც დაიჯეროს, რომ გიორგი, ამაყი თავადი, ლამაზი, განათლებული, კარგი სამსახურის მქონე. მას, მართლაც, ცოლად შეირთავს და ყველაფერზე უმაღლ დაჰყვება.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 526.

არაბუნებრიობა იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მოსამსახურე ბატონიშვილმა მოატყუა, დაიყოლია, გამოიყენა თავისი ვნებიანობის დასაკმაყოფილებლად, არამედ ისაა, რომ ასეთი ელვისებური, სწრაფი, სასურველი ურთიერთობის დამყარება გიორგისა და მაშას შორის არა-ბუნებრივია. მაშა მოსამსახურეა, მას შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა. მან კარგად იცის, რომ მოსამსახურე, განსაკუთრებით შეძლებულთა ოჯახებში, ჩაგვრის, გაწბილების, შეურაცხყოფის ობიექტია. ამიტომ მაშა ასე ადვილად არ დაიჭერებდა, რომ ის ქალბატონი გახდებოდა. გიორგისათვის ჩვეულებრივი მახის დაგება ცოტა უფრო გართულებული უნდა იყოს; მაშას, გარდა ნაჩუქარი ხელსახოცისა, რაღაც უფრო დამარწმუნებელი საბუთი უნდა ჰქონოდა, რომ გიორგის დაპირება დაეჭერებინა. ეს მით უფრო, რომ მაშა არც ისე გულუბრყვილო და სუსტი ნებისყოფის ქალი ჩანს.

მაშას მიერ გიორგის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯიც არ არის ბუნებრივი; გიორგის დანიშვნას რომ შეიტყობს ნინო ხორბალაშვილზე, მაშა რევოლვერით მიუვარდება გიორგის და მკაცრად შესძახებს: „აგრე ასრულებ შენს პირობას, შენს ფიცს?! დანიშვნას ვერ მოახერხებ... ეს გაგვასწორებსო“. მაშა რევოლვერს ესვრის გიორგის, მაგრამ სიკო მათიკაშვილი რევოლვერს ხელს აუკრავს და გიორგის ასცდება ტყვია. მოსამსახურე ქალისაგან ასეთი მკაცრი პასუხის მოთხოვნა იმ დროისათვის ნაძალადეგია, არატიპიურია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური, გაუმართლებელია მე-4 მოქმედების უკანასკნელ სცენაში ნიშნობისას მარტო დარჩენილი ნიწო და გიორგი ხანგრძლივ თავაზიან (მართალია, ნინოს მხრივ, ფარულ, ძნელად მისახვედრ ირონიულ) საუბარს რომ აბამენ. ეს მაშინ, როდესაც ნინო გიორგისადმი ზიზღის მეტს არაფერს გრძნობს და გაქცევას ეძიებს.

ასევე გაუმართლებელია კომედიაში კოტე შურაძის სახის შეტანა. მწერლის მიერ კომედიის მოქმედ პირთა ჩამოთვლაში ნათქვამია: „კოტე შურაძე მეგობარია სიკო მათიკაშვილისა“. სიკო მათიკაშვილი პიესაში გამოყვანილია, როგორც პატიოსანი, საზოგადოებრივი, კეთილი თვისებებისა და მოწინავე იდეების მატარებელი ახალგაზრდა. კოტე შურაძე ერთხელ გამოჩნდება პიესის დასასრულს და ისიც საშინლად არამეგობრული, ცუდი თვისებებით — არარსებულ უარყოფით თვისებებს აწერს თავის მეგობარს, სიკო მათიკაშვილს. გარდა წინააღმდეგობისა, მეგობარი და ასეთი გაუტანელი! კოტე შურაძის სახე მეტად ხელოვნურია. კომედიას არც შინაარსეულად და არც მხატვრულობის თვალსაზრისით არაფერს მატებს, არც კომიზმს ამხავილებს, არც მოქმედების დინამიურობას აძლიერებს, პირიქით, თავისი ხელოვნური ჩართვით პიესის მოქმედების განვითარებას ანელებს, ამძიმებს კიდევ. ის სრულიად უადგილოა.

კომედიაში ნინოსა და სიკოს სახით შიო არაგვისპირელი იძლევა ახალი ადამიანის ტიპს. მართალია, ახალი ადამიანის სახე, მისი მსოფლმხედველობა და ქცევა ჰაბუკი მწერლისათვის ჯერ კიდევ კონკრეტულად დახვეწილი არაა, ჩანს — ის მოქალაქის ახალი სახის ერთგვარ ძიებაშია, მაგრამ ჰუმანური, ადამიანური დამოკიდებულება ცხოვრების მოვლენებისადმი, კაცის საზოგადოებრივი ღირებულება და ღირსება, რაც ეპოქისათვის წამყვანი იყო, აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნია.

ნინო ხორბალაშვილი ახალი ქალია, განათლებული. ის ახალგაზრდა, მაღალი მორალური თვისებებისა და შეხედულებების მატარებელია. სიკოს მითითებითა და ხელმძღვანელობით იგი სერიოზული, პროგრესული, ღრმად შინაარსიანი წიგნების კითხვას ჩასჯდომია. სიკოს გავლენით თავის თავზე მუშაობამ ნინო ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა. მას არ უნდა, რომ დაემსგავსოს ქაჩაფშუტა ქალებს, რომლებიც ცხოვრებას ზერელედ უყურებენ, მხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე და შეძლებული საქმროს შოვნაზე ფიქრობენ. ნინო უკმაყოფილოა არსებული ცხოვრებით, სადაც პატიოსანი, მშრომელი ადამიანი აუტანელ მდგომარეობაშია. ნინოს გაგებით, ხალხი სიბნელეშია, უსწავლელია და ამიტომ ის სათანადოდ ვერ აფასებს ცხოვრების მოვლენებს, უმეცრების გამო ის „ვაივაგლახშია“ ჩავარდნილი. სათანადოდ ვერ აფასებს მდგომარეობით თუ სამსახურით მასზე მაღლა მდგომთ, მონად უხდება უფროსს, რომელიც უსინდისოდ სარგებლობს თავისი მდგომარეობით და რომელიც ისეთივე ადამიანია, შეიძლება (არაიშვიათად) გაცილებით უღირსიც კი. ნინოს კარგად ესმის, რომ ხალხს მაქალაქუნასავით აწევს მავნე ზნე-ჩვეულება, რაც მას, ისედაც შევიწროებულს, უფრო ავიწროებს, აკნინებს.

ნინო კარგად ითვალისწინებს, რომ ყოველივე ეს შედეგია ხალხის გონების გაუხსნელობისა, ხოლო მისი ეს დიდი ნაკლი — გონების გაუხსნელობა — იმის შედეგია, რომ ხალხი სწავლა-განათლების გარეშეა დატოვებული. ხალხის მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას კი, მისი შეხედულებით, შეუძლია გარდაქმნას მთელი კაცობრიობა: მოსპოს უბედურება, განანათლოს წყვილიანი ზნეობისა და გონებისა თავისი ბრწყინვალე სხივებით, რომელნიც „მოქმედებენ კაცის ბუნებაზე, როგორც მზის სხივები საზოგადოდ ბუნებაზე“.

ნინო კარგად ხედავს, რომ განათლება ადამიანზე და ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს და რომ იგი მხოლოდ შეძლებულთა ხვედრია. მარტო ისინი იღებენ განათლებას, თუმცა კი ხშირად სათანადოდ ვერ იყენებენ მას. ამის მიზეზია არსებული წეს-წყობილება, რომელშიც მეცნიერების მიღწევანი მდიდარი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას უფრო ხმარდება თუ ემსახურება. „ღარიბები, — სამართლიანად ამ-

პობს ნ-ნო. — იღვწიან. იტანჯებიან, აწარმოებენ სხვადასხვა იარაღებს, მეცნიერების წყალობით, მოგონილს, მაგრამ იმათი ნამუშევრით მდიდარნი ივსებენ ჯიბეებს; ღარიბები კი ხელცარიელები რჩებიან; ამის გამო ისინი მოკლებულნი არიან განათლებას, რომელსაც უფულოდ ჭერ შეიძენს კაცი ახლანდელ დროში... მუშა იმდენს საღ შეიძენს, რომ განათლებაზე იზრუნოს, როდესაც ხანდისხან დღიურ ლუკმასაც მოკლებულა. მაშ, — სამართლიანად ასკვნის ნინო, — მეცნიერება კი არა ყოფილა აქ დამნაშავე, უწინდელი წეს-წყობილებაა მიზეზი ვაებისა და ვარამისა“<sup>1</sup>...

ნინოს შეხედულებით (რა თქმა უნდა, ცალმხრივი შეხედულებით), „თუ განათლება გავრცელდა და ყველას კუთვნილებად გახდა იგი, მაშინ, მგონია, წეს-წყობილებაც შეიცვლება და ცხოვრებაც გაუმჯობესდება“<sup>2</sup>.

რასაკვირველია, ნინოს პირით ლაპარაკობს ჩვენი პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა მწერალი ჯერ კიდევ დაუხვეწელი მსოფლმხედველობით.

აქ შიო არაგვისპირელი მოჩანს ჩვენი 60-იანი წლების განმანათლებლების — თერგდალეულების — ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის და კულტურტრეგერი ხალხოსნების — ნიკო ხიზანიშვილის, ზაქარია გულისაშვილის, ნიკო ლომოურის, ეკ. გაბაშვილის, სოფ. მაგლობლიშვილის შემოქმედების გზას გაპკრძელებელ-გამღრმავებლად. ესენიც ხომ განათლებას, მის გავრცელებას, მის საყოველთაო საქმედ გადაქცევას დიდ და უმეტეს შემთხვევაში, გამამწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ.

იდეურობის, აზრის პროგრესულობის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, შიო არაგვისპირელის ოთხმოქმედებიანი კომედია „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“ თავის დროისათვის ინტერესსა და აქტუალობას არ იყო მოკლებული. როგორც ზევეითაც აღვნიშნეთ, განათლებისა და ადამიანის პატიოსნების, ღირსების პრობლემა ჩვენი ცხოვრების 60—80-იან წლებში აქტუალური იყო.

შიო არაგვისპირელი ამ საკითხებს თავის კომედიაში საკმარისი სიკვებებითა და აქტუალობით ეხმაურება.

\* \* \*

ამავე ეპოქის მოთხოვნილების ბეჭედი აზის შიო არაგვისპირელის მეორე დრამატულ ნაწარმოებსაც — „შიო თავადი“ (ისტორიული ლეგენდა სამ მოქმედებად). ეს ნაწარმოები გაყდენთილია მაღალი, თავდადებული, პატრიოტული შეგნებითა და იდეებით, რაც ასე ენერგიულად იყო გაშლილი და პროპაგანდირებული ჩვენი თერგდალეულე-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 515.

<sup>2</sup> იქვე.

ბისა და შეიძლება ითქვას, მთელი ჩვენი მოწინავე მწერლობის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ე. წ. მწყობრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტის შექმნით, როდესაც მეფის რუსეთის მძიმე კოლონიური პოლიტიკის უხეში დაწოლით, ეროვნული გრძნობა ქართველ ხალხში (რა თქმა უნდა, მის პრივილეგიურ კლასში) დაჩლუნგებული მოდუნებული შეიქმნა.

დრამა „შოთ თავადი“ ეხება XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიულ ამბებს, შაჰ-აბაზის ბატონობის დროს. თერგ-დალეული მწერლები, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ხედავდნენ რა ქართველ ხალხში (რასაკვირველია, პრივილეგიურ კლასში და ქართველი ინტელიგენციის საგრძნობლად ნაწილში) პატრიოტული გრძნობისა და მოვალეობის საგრძნობლად შესუსტებას, ერთგვარ ღენაცორონალიზაციას, რაც მათ მომაკვდინებელ დანაშაულად, ხალხისათვის დამლუპველად მიაჩნდათ, ჩვენს წარსულს იყენებდნენ გარკვეული მიზანდასახულობით: როგორც ეროვნული გრძნობის გაღვივების საშუალებას, მიიღტვოდნენ თანამედროვე მკითხველისათვის ეჩვენებინათ და eo ipso შთაგონებინათ — აი ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ, თავგანწირვით იცავდნენ თავის ქვეყანას, თავის კულტურას შთამომავლობისათვის და დიდებულ წინაპართა ღვაწლის შენახვისათვის თავდადებით იღვწოდნენ. მათ კარგად ესმოდათ თავიანთი მოვალეობა და იცოდნენ კიდევ ამ მოვალეობის ღირსეულად შესრულება. მათ კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ მოქალაქესა და მის ქვეყანას შორის ერთგვარი კანონზომიერი აღებ-მიცემობაა: ყოველივე მოქალაქე სარგებლობს ქვეყნის კეთილდღეობით, ქვეყნის მონაპოვართ. მაგრამ ქვეყნის კეთილდღეობა არაა ამოუწურავი საღარო. ის, როგორც ყველაფერი, დროთა ვითარებაში გამუდმებით იბარჯება და ამიტომ გამუდმებით უნდა იცებოდეს მოქალაქეთა ჭეშმარიტი სიყვარულით, გამბარაი შრომითა და საქმიანობით. ასეთია ბუნება ადამიანთა დაუსრულებელი სიცოცხლისა — ცხოვრებისა. ეს ურთიერთობა აუცილებელი საფუძველია ურთიერთკეთილდღეობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერის, კაცობრიობის სიცოცხლის ხე გახმება, განადგურდება.

ამ გარდაუვალ საფუძველზეა შექმნილი ხალხის ბრძნული დაკვირვების მრავალი გამონაყური: „წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება“. ამვე დაკვირვებამ ჩვენს XIX საუკუნის დიდ პოეტს ნიკ. ბარათაშვილს შთამაგონებლად ათქმევინა:

„არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“<sup>1</sup>.

ასეთსავე აზრს მეტად დამაჯერებლად, შთამაგონებლად ანვითარებდნენ სხვა ჩვენი დიდი პოეტები: შ. რუსთაველი, ს. ს. ორბელიანი, დავ. გურამიშვილი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვანი.

შიო არაგვისპირელიც ჩვენი ხალხისა და მწერლობის ბუდეშია გამოზრდილი. ისიც ცხოვლად განიცდის ცხოვრების დაუსრულებლობას, მაღლიერ გრძნობას თავისი აღმზრდელი ხალხისა და სამშობლოს წინაშე და აგრეთვე მათდამი ვალს.

ასეთივე სულისკვეთებითაა გაყდენილი „შიო თავადის“ ცენტრალური გმირი შიო თავადი და მთლიანად მისი ოჯახი — ცოლი ხორეშანი, დედა ხვარამზე, და ნათელა, შინაკაცები — კაციო, მისი შვილი ქაბუკა. ამ განწყობაში მათ მხარში უღვას ქართველი ხალხი — გლეხობა.

მწერალს აღებული აქვს საკმარისად რთული, მძიმე ეპოქა ქართველი ხალხის პოლიტიკური ცხოვრებიდან. ესაა შაჰ-აბაზის მძვინვარე, ვერაგული პოლიტიკა დაპყრობილ ქვეყნებში, განსაკუთრებით მისთვის სტრატეგიულად საშიშ საქართველოში, რომელსაც თვალი რუსეთისაკენ ეჭირა.

ცნობილია, რომ ქართველმა ხალხმა „დასაბამიდან არ იციხ რაა მშვიდობა“. ის ქვეყნის დამოუკიდებლობის, განთავისუფლებისათვის გამუდმებული ბრძოლის ქარტეხილში იმყოფებოდა და იბრძმედებოდა კიდევ, ვინაიდან ვერ ეგუებოდა დამპყრობლის უღელს. მასზე რაც უნდა ძლიერ მრავალრიცხოვან მტერს არ გაემარჯვა, ის საბოლოოდ, თუმცა დიდი მსხვერპლის გაღებით, მაინც ახერხებდა განთავისუფლებას.

ასევე იყო მე-17 საუკუნეში, როცა საქართველო დაიპყრო შაჰ-აბაზმა. ეს თეიმურაზ და ლუარსაბ მეფეების, გიორგი სააკაძის, ზურაბ არაგვის ერისთავების მოღვაწეობის ხანაა. დრამის ცენტრალური გმირი, შიო თავადი, ზემოჩამოთვლილი გმირებისა და სხვა პატრიოტ ქართველთა განზოგადებული სახეა, რომელიც წარმოადგენს მწერლის ფანტაზიის ნაყოფს<sup>1</sup>.

ქვეყნის განთავისუფლების მიზნით შაჰ-აბაზის მონაცვლე ყორჩი-ჯანთან და მის მრისხანე, გაბედულ სარდალ ალავერდასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილია შიო თავადი. მაგრამ გარდუევალი, მრისხანე, ალავერდა შიო თავადს ვერაფრით ვერ დაუძლევია. შეწუხებულნი შიო სახლში ბრუნდება. ყველა განარებულთა შიოს უვნებლად დაბრუნებით და უნდათ მისი გამხიარულება. მაგრამ შიოს მხიარულება არ ეკარება. ის დიდადაა დანადვლიანებული.

<sup>1</sup> შიო არაგვისპირელმა ალბათ ისარგებლა პოტტოს „საქართველოს ისტორიით“, სადაც მოყვანილია ეს ლეგენდა; აგრეთვე შესაძლებელია, მოსე ჭანაშვილის მოთხრობით, რომელიც დ. ნინოწმინდელმა გალექსა.

შიო თავადი დედასა და ცოლს არ უმაღლავს ქვეყნის მძიმე მდგომარეობას და თავის სულსკვეთებას ასე გაანდობს: „შავი ყორანი ჩვენ ერს ბედ-შავსა თავს დასტრიალებს და მყარლ ღიასა ძალს ამოძრავებს... აჰა, ცაც შავად... შავად და ბნელად სწრაფ იბურება... ნუთუ ამ დროს, ჩემო ყველავ, მხიარულება შესაძლო არის?!“<sup>1</sup>

შიოს დედას, ხვარამზეს, უნდა შვილი გაამხნევოს, ურჩევს, იმედი არ დაეკარგოს; გააგებინებს, რომ თეიმურაზ მეფე სასტიკი ბრძოლისათვის უკვე მზად არის, მას მხარს უმაგრებენ — გიორგი სააკაძე და ზურაბ არაგვის ერისთავი. მაგრამ შიო მწუხარებით გაუმხელს, რომ თეიმურაზ მეფე მინც ვერას გახდება, თუ ალავერდა-სარდალს, ადერბაიჯანელთა ცხენოსანი რაზმის სარდალს, შაჰ-აბაზის მხარე ეჭირება. სპარსეთის განდევნა ადვილი იქნება, თუ ალავერდა მას გადუღდება...“ მაგრამ ალავერდას გადმობირება ძნელიაო — ამბობს შიო.

დედა შეწუხებულ შიოს სასოწარკვეთილებით ეკითხება: „მაშ, შვილო... ქედის მოხრის მეტი აღარა დაგვრჩენია რა?!“<sup>2</sup>

შიოს ახალგაზრდა, ოცი წლის ცოლი ხორეშანი იმედიანად და მაღალი პატრიოტული გატაცებით შესძახებს: „ქედზე კაცის გასვლა... დიაცთა შეიარაღებაც ნუთუ არას გვიშველის?!“<sup>3</sup>

აქ შიო არაგვისპირელი მოხდენილად უსვამს ხაზს ქართველი ქალის მზად ყოფნას, თავგანწირვით დაიხსნას ქვეყანა, იგი დიაცთა მასიურ შეიარაღებასაც კი არ ერიდება.

ავტორი ხვარამზესა და ხორეშანის სახით გვიხატავს ძველი ქართველი ქალის ტიპს, იმ ქალისა, რომელიც მაღალი გონიერებითა და ნამდვილი პატრიოტული გრძნობით ზრდიდა და სამშობლოს სიყვარულს აკვნიდანვე შთააგონებდა თავის ღირსეულ შვილებს, ხოლო ქმარს ჭირსა თუ ლხინში გვერდში ედგა.

მაგრამ აქვე შიო არაგვისპირელი შიო თავადის პირით მწვავე ტიპილით ააშკარავენს საქართველოს დაქსაქსულ მდგომარეობას, დიდ ფეოდალთა ურთიერთბრძოლას, შურს, ქვეყნის ბედისადმი დაუდევრობას, ქვეყნის აქეთ-იქით წეწვას, ციხის შიგნიდან გატეხვას, რაც ქართველ ხალხს ყველაზე მეტად აკნინებდა, გაერთიანების საშუალებას, ნიჭისა და უნარის ბუნებრივი განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობას არ აძლევდა.

შიო არაგვისპირელი თავისსა და ყველა გულმართალი ქართველის მტანჯველ, ჭეშმარიტ გულისტკივილს მშვენივრად, მაქსიმალური სიზუსტით, მაღალი ლირიზმით ასე გამოათქმევენებს დიდ პატრიოტს,

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 544.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 545.

<sup>3</sup> იქვე.

ახალგაზრდა შიო თავადს, ხორეშანის პატრიოტულ წინადადებაზე: „საყვარელო ხორეშან, ყველა ქართველი რომ აღზდგეს, ყველამ ძმურად ხელი-ხელს რომ მისცეს, ვფიცავ ზენასა და შენსა მზესა, შაჰ-აბაზის ლაშქარს კი არა, მთლად მაჰმადიანთა ზურგზე ბოლს ვადენთ!.. მკვრამ სადაა ეგ ერთსულობა და ერთგულობა? ჩვენი დიდებულნი ბოროტების და თავმოყვარეობის ბუდედ გადაქცეულან... ჯერ აქ ქართლ-კახეთში, ორი არ მოიპოვება დიდებულთ შორის, გულწრფელად ჰსურდეს ქართლის აღდგენა და პირადი ანგარიში, დაფარული რაიმე სურვილი არ ჰქონდეს... რა აქვს სპარსეთთან საერთო სიმონ მეორეს?.. რად გაჰხდომია სპარსეთს ყმად?! რჯულზე ხელი რად აუღია და ან მოძმეთ რისთვის ებრძვის?! რად და მან მეფობის შოვნას ყველაფერი ანაცვალა... ოღონდ იგი მეფის ტახტზე განცხრომით იჯდეს და ჩვენი ქვეყანა თუნდ გაოხრდეს... სხვა ხალხით დაასახლებს... სხვა დიდებულნი? .. ასევე ფიქრობენ... ყველა მათგანში სვიმონ მეორე ზის და დღე მუდამ ტეხის უღრღნის, მოსვენებას არ აძლევს... იმერეთზე ხომ აღარა ითქმის რა!.. იქ ყველა ტახტის მძიებელია და ამ ძებნას შზად არის ქვეყანა ანაცვალონ... მაშ, ქუდზე კაცი როგორ უნდა გამოვიყვანოთ?! ზურაბ არაგვის ერისთავი, გიორგი სააკაძე დღეს მეფესთან არიან და ხვალ?.. ვინ იტყვის, მათშიაც სვიმონ მეფე არა ზის და“...<sup>1</sup>

შიო თავადი (რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობით უკმაყოფილო გულდასერილი თვით შიო არაგვისპირელი) თანდათან ჩვენი დაკნინებული ცხოვრებიდან ერთი მეორეზე სამწუხარო, მძიმე მოვლენას აღნიშნავს და ერთი მეორეზე სამწუხარო დასკვნა გამოაქვს: „არ ვიცი, ვინაა ჩვენში მოძმე და ვინ მოლაღატე... არ ვიცი, დედა, ვინც დღეს ჩვენთან არის, ის გაჭირვების დროს ჩვენთან იქნება, თუ მტერს მიუდგება!“<sup>2</sup> აი სწორედ ამაში იყო ტრაგედია ქართველი ხალხის ისტორიისა. ამაში იყო ტრაგედია ყოველი გონიერი-პატრიოტი ქართველისა. ასეთი ურთიერთგანწყობილება იყო ქართველ ხალხს რომ ფიზიკურადაც და მორალურადაც ანადგურებდა. მძლავრი, ზუსტი, რეალური ფერებით, სიმართლითა და სიმწვავეით გადმონთხევს პატრიოტი მწერალი გარემოებით შექმნილ სევდას, რომელსაც გულში „ვით ჭოჭოხეთს ატარებდა“, როგორც იტყოდა ჩვენი პოეტი აკაკი წერეთელი. და ეს სევდა შიო არაგვისპირელის ეპოქაში ხომ საერთო და მწვავე იყო ყოველი შეგნებული ქართველისათვის. აქ შიო არაგვისპირელი დაუნდობლად, მწვავედ, იქნება ამეტებს კიდევ, ჩვენი საზოგადოების, უფრო ე. წ. „მაღალი საზოგადოების“ მოდუნებულ-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 545.

<sup>2</sup> იქვე.



ლი, დაჩივებული, გამრუდებული, მავნებლური ცხოვრების დახასიათებას.

ორივე დრამატულ ნაწარმოებში შიო არაგვისპირელს გამოყენებული აქვს სატირა, რაც მის ნოველებშიც საკმარისი სიმკვეთრითა და ფართოდაა გამოყენებული.

შეგნებული ქართველის ეს მწარე გრძნობა, წინ რომ წამოსწიოს, სევდიანი, მაგრამ უკეთესი მომავლის სანუკვარი ოცნებით მწერალი ხორეშანს სასოებით წარმოათქმევინებს: „უფალო, მიეცი ძალა ქართველ ერს და ერთი პირი“. ეს ხომ სანატრელი ოცნება იყო შეგნებული ქართველისათვის წარსულშიც და აწმყოშიც. ცრემლმფრქვევი ხორეშანი სასოწარკვეთით წარმოთქვამს მწერლისა და ყოველი შეგნებული ქართველის სულისკვეთებას: „ხსნა არსით არის! მონობა!.. მონის უღელს სიკვდილი მიჯობს!“

შიო თავადის ყველა მახლობელი — დედა, ცოლი, ჩვიდმეტი წლის და — ნათელა, მზად არიან მტერს შეებრძოლონ. მხარში ამოუდგნენ მამაკაცებს.

მაგრამ შიო თავადი იმედს გაუცრუებს მათ. მდგომარეობის გაცნობამ ის დაარწმუნა, რომ უაზროა შებრძოლება შაჰ-აბაზთან, მასზე გამარჯვებაც უიმედოა, სანამ ალავერდა-სარდალი მას მხარს უმაგრებს.

შიო თავადს გარდაუვალ საჭიროებად მიაჩნია ალავერდა-სარდალის გადმობირება. ხოლო იმის გადმობირება მხოლოდ ლამაზი ქალის საშუალებით შეიძლება. ამ მისიის შესრულება კი შიო თავადის რწმენით, შეუძლიან სილამაზითა და გონება-მახვილობით განთქმულ მის საყვარელ ცოლს, ხორეშანს.

შიო თავადის ეს განცხადება ყველას შეაძრწუნებს. ისინი გაკვირვებით ჩაეკითხებიან შიო თავადს, მართალს ამბობს, თუ სცდის მათ. მაგრამ შიო თავის აზრს მწუხარედ, მაგრამ მტკიცედ განუმარტავს, რომ ეს მსხვერპლი ქვეყნისათვის უნდა გაიღოს. თუმცა მისთვის ასეთი მსხვერპლის გაღება ყველაზე უფრო ძვირად გადასატანია.

დედის საყვედურზე: „შვილო, საქართველოში ბევრი ქალია!.. რაღა შენს ცოლს ჰგზავნი, თუ კი მართლა ქალის დახმარებაა საჭირო“, შიო თავადი შთამაგონებლად უხსნის დედასაც, ცოლსაც: „...ადამიანი ამისთანა დროს ისე უნდა მოიქცეს, როგორც ჭკუა და გონება უჭრის, გზა უჩვენებს... ჩემი გონება და გრძნობა მეუბნება: „ქალი დაგიხსნით განადგურებისაგან“... განა არ მეტყვიან, თუ ასეა, „ცოლი გყავს, იხსნას იმანო“<sup>1</sup>. აქ შიო არაგვისპირელი შთამაგონებლად იძლევა მოქალაქის, განსაკუთრებით თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის თუ პასუხისმგებელი დიდი თანამდებობის მქონე მოქალაქის, ვალდებულების

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 550.

მალალ ეთიკურ გააზრებას. აქ შიო თავადი აყვანილია მალალი ეთიკურ-საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მწვერვალზე. მან პირველმა უნდა მისცეს ხალხს მაგალითი, გასწიროს ის, ვინც ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია მისთვის, ხალხი მხოლოდ ამ პირობით გაპყვება გმირ-მოქალაქეს, იწამებს მას ხელმძღვანელად.

შიოს დედის გონება-გრძნობამდე მაინც ვერ დადის შვილის გადაწყვეტილების აუცილებლად შესრულება. ის კვლავ გაკვირვებული, საყვედურით მიმართავს შვილს: „ვის გაუგონია, ვაჟკაცს თავის საყვარელი ცოლი... სხვისთვის გაეგზავნოს?!“<sup>1</sup>

შიო თავადი დამწუხრებულია, რომ დედას და მის საყვარელ ცოლს არ ესმით მისი ჯოჯოხეთური ტკივილები, ტანჯვა. იგი მიდის დედასთან და ასე ეუბნება: „დედი, ვფიცავ დედაშვილობას, ამას ერის ხსნა ითხოვს. და ამ დროს შეიძლება სხვა რამეზე ფიქრი?! „ცოლი“, „შვილი“... დედა... მამა... თავისი თავი... განა შეიძლება ადამიანმა ამის გულისათვის ერის ხსნა შეაფერხოს?!.. ყველა მისი ჭირის სანაცვლოდ უნდა გახადოს!.. „დედამიწის ზურგზე ვის გაუგონიაო“... მეუბნები: „საყვარელი ცოლი სხვისთვის გაეგზავნოსო“ იქნება მართლაც არ გაგონილა, მაგრამ შეიძლება, მხოლოდ იმისათვის, რომ არც ერთი ერი ამ განსაცდელში არ ჩავარდნილა!“...<sup>2</sup>

შიო თავადის პატრიოტული გრძნობა შიო არაგვისპირელის მიერ აყვანილია უმაღლეს ხარისხში — სამშობლოს გადარჩენისათვის ყველაფერი იწირება — მახლობელი ადამიანის სიყვარულიც, სიცოცხლეც, ვაჟკაცური თავმოყვარეობაც. ამ შემთხვევაში ადამიანისაგან მსხვერპლის გაღებას, თითქმის, საზღვარი არ უჩანს. შიო არაგვისპირელის გაგებით, აი ესაა ნამდვილი პატრიოტული გრძნობა. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ იხსნან ქვეყანა განსაცდელისაგან, ააღოძრინონ და ააყვავონ თავისი სამშობლო, სხვებიც დააჭერონ, გაიტაცონ, გაიყოლიონ.

ხორეშანი, მართალია, დიდი ყოყმანის შემდეგ, თავგანწირვით, მთელი თავისი კდემამოსილებით, დიადი პატრიოტული გრძნობის შეგნებით ამ მიზნის — შიო თავადის დავალების განხორციელებას შეუდგა. ხორეშანი მოახერხებს ალავერდა-სარდლის გადმობირებას. ალავერდა-ხანის ხორეშანის მიერ გადმობირებას ხელს უწყობს შაჰ-აბაზის მონაცვლეების ყორჩი-ხანის და ქუჩუქ-ხანის მიერ ალავერდა-ხანის წინააღმდეგ მოწყობილი ინტრიგა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაიშალოს, ამ მიზნით ალავერდა-სარდლის განკარგულებაში მოდის ადირბაიჯანიდან ლაშქარი; ალავერდა-სარდალი მათ, სპარსელი.

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 550—551.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 551.

1 ჯარისკაცის გადმოცემით, ასეთ მიმართებას აძლევს: „ჩემო ერთგულ-  
ნო, დღეს დამიმტკიცებთ თქვენს ვაჟკაცობას და ამ... ყიზილბაშებს  
(სპარსელებს — მ. ზ.) ჰინის მაგივრად სისხლით შევეუღებავთ თა-  
ვებს“<sup>1</sup>...

მალე აღირბაიჯანელი ლაშქრისადმი თვითონ ალავერდა-სარდლის  
განკარგულება ისმის: „მარჯვნივ და მარცხნივ ხევებსა მეძებრებსავით  
შიესიგენით... ცხენები ხევებში არ გამოგადგებათ!.. ხეებზე მიაბით...  
ერთი ყიზილბაში აღარ გაუშვით ცოცხალი.. ქართველს ხელი არ ახ-  
ლოთ... აი, აქ მდებოა, აქ მოგროვდებით, როდესაც ყიზილბაშებს  
მუსრს გაავლებთ...“<sup>2</sup>

სცენაზე ალავერდა-სარდალი და ხორეშანი შემოდიან, ორივენი  
კმაყოფილნი არიან, მაგრამ ალავერდა-სარდალს სპარსელი მეომარი  
დასჭრის. ახლა ალავერდა-სარდლისათვის საბოლოოდ გამოირკვევა  
ხორეშანის სულისკვეთება: მართალია, პირველად ხორეშანს ალავერ-  
და-სარდალი სძულდა, მისი გადმობირების მიზნით, დახმარებოდა სა-  
ქართველოს სპარსელების წინააღმდეგ, მას ცბიერებით შეაყვარა თავი  
და თვითონაც მისადმი თითქოს სიყვარულით იმსჯელებდა. ხორეშანი  
ალავერდას ეუბნება: „შეგაყვარე თავი, მაგრამ ამავე დროს მეც“...<sup>3</sup>  
ხორეშანი გულახდილად ეტყვის, რომ ის შიო თავადის ცოლია და მას-  
თან მისი ჩაგონებით წამოვიდა.

ამ დროს სცენაზე სპარსელთაგან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი შიო  
თავადი შემოყავთ — ბიჭურად გადაცმულ მის დას — ნათელას, შინა-  
ყმებს — კაცისა, ჭაბუკას, ხეთისოს და სხვებს.

შიო თავადი იქვე კვდება. შიო თავადის შინაყმა კაცია ქუდს იხ-  
დის და მწუხარებით ამოსთქვამს: „შიო აღარა გვეყავს!..“ ყველანი და  
მათ შორის ხორეშანიც შიო თავადის ცხედართან უსაზღვროდ დამ-  
წუხარებულნი დაიხოქებენ.

დრამა „შიო თავადი“-ს დასახულ სცენაში, გარდა ღრმად და მიმ-  
ზიდველად გაშლილი პატრიოტული მოტივისა, ნაწარმოების მიზანდა-  
სახულობისა და თვით ავტორის უწმინდესი მისწრაფების მშვენიერი,  
ცხოველმყოფელი გააზრებაა მოცემული: ბრძოლის ველზე დაიღუპა  
ქვეყნისათვის თავგანწირული მებრძოლი შიო თავადი, ყველა დამწუხ-  
რებულთა, მის ცხედართან დახოქილი მწარედ ქვითინებს. შიო თავა-  
დის ახალგაზრდა, 17 წლის და ნათელა, ვაჟურად გადაცმული, ომში  
გმირულად ძმის თანამებრძოლი, დამწუხრებული წამოდგება, გაკვირ-  
ვებით გადახედავს არე-მარეს. დრამის რემარკის მიხედვით მას თვალ-  
წინ შემდეგი ცხოველმყოფელი სურათი გადაეშლება: „წყნარი სიჩუ-

1 შ. არაგვისპირელი, თბ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 585.

2 იქვე, გვ. 586.

3 იქვე, გვ. 587.

მეა, თოფის სროლა სრულებით შეწყვეტილია. შორიდან ძალიან ყრუ ხმაურობა მოისმის. ამ დროს ტყის შაშვი გასრიალდება ზედ მათ თავზე და დაიკაკანებს თავისებურად. ამავე დროს გერიტი შორი-ახლოს ხეზე უღარდელად „კრუუ... კრუ...ს“ გაიძახის. ტყის კრიკინაც განუწყვეტლივ კრიკინს დაიწყებს“. ამის შემგარძნები, სახეგაბრწყინებული ნათელა დამგლოვიარებულთ მიმართავს: „ვინა სთქვა შიო აღარა მყავს?!.. სახე რას ჩამოგტირით?!. გეყურებათ ტყის ხმაური?! აგერ, გერიტი როგორ კრუტუნებს... ზზე კიდევ უხეად ჰფენს სსივეებს... აი, გეყურებათ კრიალი... ტყის სისინი!.. ჩემი შიო რო მომკვდარიყო. განა ყველა ეს ისევე-ისე იმხიარულებდა?!.“<sup>1</sup>

ამით შიო არაგვისპირელი შთამაგონებლად ეუბნება მკითხველს — არ მომკვდარა შიო თავადის საშობლო, რომლის ბედნიერებას მან ასე გმირულად შესწირა თავი და მასთან არც შიო თავადის მამულიშვილნი მომკვდარან. ქვეყნისათვის უნაგაროდ თავდადებული გმირები არ იხო-ცებანან. მათი შარავანდელით მოსილი სახელი მუდამ კიაფობს სამშობლოს ცის ტატნობზე და მომხიბვლელად იზიდავს შთამომავლობას. ეს კი ადამიანისათვის უდიდესი ჯილდოა.

როგორც ვხედავთ, შიო არაგვისპირელის ორივე დრამატული ნაწარმოები — როგორც კომედია „კოკა წყალს ყოველთვის ვერ ზიდავს“, ისე დრამა „შიო თავადი“ თემის, მოტივის, მიზანდასახულობის თვალსაზრისით, აგრეთვე ამ ნაწარმოებში გამოვლინებული მწერლის კარგი ქართული, ლიტერატურული ძარღვიანი ენის მიხედვითაც თავისი ეპოქისათვის არ არიან ინტერესსა და აქტუალობას მოკლებულნი. მათ მხატვრულობის თვალსაზრისითაც საგრძნობ ნაკლთან ერთად აქვთ ერთგვარი ღირსებებიც: ზოგიერთი გმირის სახე ცხადადაა მოცემული — მაგ., გადაგვარებული თავადები ბეროშვილები: სოლომონი, ელისაბედ და გიორგი. ხოლო შიო თავადი, მისი დედა ხვარამზე, მისი შინაყმები ნაჩვენები არიან როგორც ერთგული მამულიშვილები.

მაგრამ საგულისხმოა, რომ, მიუხედავად ამისა, შიო არაგვისპირელის დრამატულმა ნაწარმოებებმა ქართული თეატრის რეპერტუარში მაინც ვერ მოიკიდეს ფეხი.

ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ამ პიესების ნაკლებსცენიურობა და ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედ პირთა ხასიათის არაბუნებრივი გაშლა. აღვნიშნავთ მთავარს:

ორივე პიესაში გვსვდება მეტად გაქიანურებული, მოსაწყენი მონოლოგები, მაგ., კომედიაში „კოკა წყალს ყოველთვის ვერ ზიდავს“ — გიორგის მონოლოგები: პირველი მოქმედების პირველი და მეხუთე გამოსვლა; გიგოს მონოლოგი; მეორე მოქმედების მესამე გამოსვლა, მა-

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1947, გვ. 588.

შას მონოლოგი; მესამე მოქმედებაში ნინოს მონოლოგი — გამოსვლა-პირველი; მარინეს მონოლოგი — მეორე გამოსვლა, ნინოს მონოლოგი — მეექვსე გამოსვლა; მარინეს მონოლოგი — მეოთხე მოქმედების პირველი გამოსვლა. არც ერთი მონოლოგი ორი დიდი ფორმატის ვერდზე ნაკლები მოცულობის არაა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა (ცოტა უკეთესი) „შიო თავადში“ — სადაც ხშირია განსაკუთრებით თვით შიო თავადის გრძელი მონოლოგები და დიალოგში ჩართული გაკვიანურებული ასხნა-განმარტებანი. ასევე გაკვიანურებულია ალავერდა-სარდლის და ხორეშანის დიალოგები. გაკვიანურებულია დიალოგები შიო თავადისა დედასთან და ცოლთან, ველზე წამოწოლილ ქაბუკასა და ხვთისოსი, ალავერდა-სარდლისა და ყორჩი-ხანისა, შიო თავადისა და ქრიტესიასი.

ნინოს და სიკოს („ყოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“) მონოლოგები, მართალია. ეპოქისათვის დამახასიათებელი მოწინავე იდეებითაა გაყენებული, აგრეთვე შიო თავადის მონოლოგი („შიო თავადი“) — მაღალი, ფაქიზი, პატრიოტული გრძნობითაა გამსჭვალული, მაგრამ ვრცელი მონოლოგები მაინც საგრძნობლად ამძიმებენ და აღუნებენ მოქმედების განვითარებას, ასუსტებენ მხატვრულ შთაბეჭდილებას და ღწრსებას.

დეკორაციის თვალსაზრისითაც „შიო თავადი“ თხოულობს მეტ სიმდიდრეს, ვიდრე ავტორის მიერაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით მე-3 მოქმედება დატვირთული და მეტად ხელოვნური, არაბუნებრივი, ნაძალადევიც კი. იგრძნობა, ავტორი არ უწევს თუ ნაკლებად უწევს ანგარიშს დეკორაციის საკითხსაც, თეატრის ტექნიკურ მხარესაც კარგად არ იცნობს.

ღრამაში „შიო თავადი“ არაბუნებრივად მიგვაჩნია შიო თავადისაგან ცოლის, ხორეშანის ალავერდა-სარდალთან ხასად გაგზავნა, რათა მას ცბიერებით ალავერდა-სარდალი გადმოეპირებინა ქართველებსაკენ და სპარსთა ჯარი მოტყუებით გაენადგურებინა. მართალია, ავტორი მტკიცედ დგას თერგდალეულების მიერ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე, რომელიც კუყენის კეთილდღეობისათვის, განსაკუთრებით მისი შონობის უღლისაგან განთავისუფლების მიზნით, მოქალაქისაგან ყველაფრის გაწირვას მოითხოვდა — სიცოცხლის, ქონების, შვილისაც კი, მაგრამ ცოლის სხვასთან ხასად გაგზავნა, თუნდაც ისეთი დიდი პატრიოტული მოსაზრებით, როგორსაც შიო არაგვისპირელი შიო თავადის სახით გვიხატავს, მაინც ქართველი კაცის ბუნებისათვის არც ბუნებრივია და არც ტიპიური. აქ შიო არაგვისპირელი სცილდება სინანდვილეს, აქარბებს და არღვევს ქართველი ხალხის მორალურ ტრადიციას ცოლისადმი დამოკიდებულებაში.

არც შიო თავადის ახალგაზრდა, ჩვიდმეტი წლის დის — ნათელას სახეა ბუნებრივი. სრულიად ბუნებრივია ახალგაზრდა ნათელას მაღალი, ფაქიზი, პატრიოტული აღტკინება, რომ ის მზადაა თავი გასწიროს, თავს იღვას ალავერდა-სარდლის გადმობირების ძნელი საქმე; აგრეთვე ბუნებრივია, რომ შემდეგ ის გადაიკვამს ბიჭურად და მიღის ბრძოლის ველზე. ეს ყველაფერი არ მიგვაჩნია გადაჭარბებულად, არა-ბუნებრივად.

არაბუნებრივად მიგვაჩნია ის, რომ ნათელა შიო თავადს დიდი მზრუნველობით სდევს ბრძოლის ველზე, მას ემსახურება, ერთად არიან სუფრასთანაც; მათთანვე არიან მათი შინაყმები — კ ა ც ი ა, მისი შვილი კ ა ბ უ კ ა და სრულიად ვერ სცნობენ, რომ ვაჟის ტანსაცმელში გადაცმული ქალია და ისიც ნათელა. ეს ნათელას მახლობლებისათვის, განსაკუთრებით შიო თავადისათვის, გადაჭარბებული მიუხვედრელობაა და არაბუნებრივია, დაუჯერებელია. ეს მიუხვედრელობაც ანელებს პიესიდან მიღებულ შთაბეჭდილებას, რაც მხატვრულობის თვალსაზრისითაც ნაკლია და არც თუ ისე პატარა.

ხორეშანის ხასიათის გაშლაც ბოლომდე არაა კარგად, ბუნებრივად დაჭერილი, ხორეშანი თავისი მიზნის განხორციელებით, ალავერდა-სარდლის მოხერხებულად გადმობირებითა და მისი დახმარებით სპარსელებზე გამარჯვების მოპოვებით, აღტაცებულია. მომაკვდავი სპარსელისაგან, რომელმაც ალავერდა-სარდალი დაჭრა და თვითონაც სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, ხორეშანი გაიგონებს: „...შიო თავადს უთხარით: მისი სახელი არ ვახსენე, რადგანაც... ოჰჰ... (კვდება)“. თითქოს ხორეშანს ესალა მოაგონდა შიო თავადი. იგი შეკრთება. ამას შენიშნავს ალავერდა-სარდალი და ხორეშანს შეეკითხება, რა კავშირი აქვს შიო თავადს მათ სიყვარულთან. მათ შორის შემდეგი დიალოგი გაიმართება:

„ხორეშან: როცა შენკენ გამოვემგზავრე, მძულდი... ვიცრუე ვითომ შენმა სიყვარულმა მომიყვანა შენთან... (ალავერდა-სარდალი განცვიფრებულია), ვცრუობდი მაშინაც, როდესაც გარწმუნებდი: მიყვარხარ-მეთქი და ვსცდილობდი, შეგეყვარე, რათა ამით გადმომებირე და ჩემი ერი განსაცდელისაგან მეხსნა...“

ალავერდა-სარდალი: — კარგი, მაგრამ ახლა?!

ხორეშანი: — შეგაყვარე თავი, მაგრამ ამავე დროს მეც...“<sup>1</sup>

ალავერდა-სარდალმაც ისე გაიგო, რომ ხორეშანსაც შეუყვარდა ის. ალავერდა აღტაცებით შესძახებს: „შე შენ სიყვარულზე მეტი არა მინდა რა!“ ხორეშანს მხოლოდ ახლა მოაგონდა თავისი შიო, მანამდე მას თავის სიყვარულზე არც უფიქრია; „მხოლოდ ახლა“ — ეუბნება

<sup>1</sup> შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1947, გვ. 585.

ხორეშანი ალავერდას — მათ შორის „საშინელი უფსკრული გამოჩნდა“. ხორეშანი ალავერდას გაუმხელს, რომ შიო მისი ქმარია.

დილოგს ხორეშანსა და ალავერდას შორის სწყევტს სცენაზე მომავდავი შიო თავადის შემოყვანა.

მართალია, ხორეშანისადმი დავალება დიდი, საპატიო და მძიმე იყო, შეიძლება ხორეშანს სიყვარულზე ფიქრის დროც აღარ ჰქონდა, მაგრამ არც მისი დავიწყება იყო ბუნებრივი, ისე რომ ხორეშანმა „შეაყვარა რა თავი ალავერდა-სარდალს, „თითონაც“... მამასადამე, როგორც ალავერდა-სარდალმა გაიგო, ის მასაც შეუყვარდა.

ჩვენის აზრით, ხორეშანის ხასიათი აქ სწორად არაა დაჭერილი თუ გაშლილი. მწერალს ალბათ უნდოდა მოეცა ქართველი, დიდი პატრიოტი, აქტიურად მოქმედი ქალი, რომელიც ასეთ მძიმე საქმეს გაართმევს თავს და მასში მტრისადმი სიძულვილი სრულიადაც არ შესუსტდება, რაც უნდა მომხიბვლელი თვისებისა არ იყოს ის, სიყვარულში არ გადაიზრდება. ამავიცი პიესის „შიო თავადის“ ერთგვარ ჩავარდნას ვამჩნევთ.

ხორეშანის სიყვარული ქვეყნისა და შიოსადმი ერთიანი, ურყევი, შეერული გრძნობა უნდა ყოფილიყო. ხორეშანის ახალ გრძნობას ალავერდა-სარდალისადმი ოდნავადაც არ უნდა დაეჩრდილა ნისი დიდი სიყვარული შიო თავადისადმი, მით უმეტეს არ უნდა დაევიწყებინა. ხორეშანის ასეთი განწყობილება არ უნდა იყოს გამართლებული, მით უფრო გაუმართლებელია, რომ დრამაში აღარაა ნაჩვენები, ხორეშანი როგორ, რა საშუალებებით ახერხებს ალავერდას გადმობირებას.

დაახლოებით ამგვარ მდგომარეობაში მოქცეული ქართველი ქალის ბუნება უფრო მართებულად დაგვიხატა ალ. სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ შ ა თავის დრამაში „ღ ა ლ ა ტ ი“, ზ ე ი ნ ა ბ ი ს სახით.

ის, რაც ასე დამახასიათებელი და მიმზიდველია შიო არაგვისპირელში—ნოველისტში—იშვიათი უნარი ფსიქოლოგიური სიღრმეების ჩაწვდომისა, ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა და ფხიზელი დაზვერვა, იშვიათი გულმოდგინებით თავისი გმირების ფსიქოლოგიის „ქექვა“, მათ სულში „ჩაძვრომა“ და ყველაფრის გაკეთება, რათა მაქსიმალური სიმართლით, სიზუსტით გამოავლინოს მათი გულის მოძრაობისა და ხასიათის არსებითი მომენტები და ნიუანსები, — შიო არაგვისპირელის დრამატულ ნაწარმოებში და კერძოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს სტილისტიკური ნიშანი საგრძნობლადაა შესუსტებული. ესეც, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მიზეზია მათი ნაკლებად პოპულარობისა.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, შიო არაგვისპირელის დრამატული ნაწარმოებები, უდავოდ არ არიან ერთგვარ ინტერესს მოკლებულნი და მათ ღირსებებიც აქვთ: ეს ნაწარმოებნი საკმარისი სიმ-

კვეთრით ასახავენ როგორც ავტორის ბუნებას, მის საზოგადოებრივ ძიებართვლებას, ისე 60—90-იანი წლების ქართველი მოწინავე საზოგადოების, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე ამოქმედებულთა მიმართულებასა და მისწრაფებებს.

## ბოლოონიტყვა

განვიხილეთ რა შიო არაგვისპირელის შემოქმედების მდიდარი იდეური თემატიკა და პერსონაჟთა მრავალრიცხოვანი გაღერვა, ბუნებრივად, ჩვენს წინაშე ასეთი საკითხი ისმება — დღეს ჩვენთვის რევოლუციის გამარჯვების ორმოცდამეცხრე წელს — შიო არაგვისპირელის შემოქმედებამ ხომ არ დაკარგა თავისი აქტუალური მნიშვნელობა?

სრულიადაც არა!

მართალია, დღეს შიო არაგვისპირელის მიერ დიდი სიღრმითა და სერიოზულობით გაგებული და განსახიერებული სინამდვილის უდიდესი დაბრკოლებანი თუ ნაკლი — თვითმპყრობელობა და ფეოდალურ-ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარების ყოფა უკვე გადალახულია, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის ეს განვლილი ეტაპია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შიო არაგვისპირელის შემოქმედება ხანდაზმულია — ის ახლა საჭირო აღარ არის. არა, ასეთი აზრი უსაფუძვლოა.

ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს და მტკიცედ ვითვალისწინებდეთ, რომ შიო არაგვისპირელის ბრძოლის მთავარი ფრონტია ფეოდალურ-ბურჟუაზიული ყოფის მკაცრი, შეურიგებელი კრიტიკა-დათრგუნვა, რაც ეხმარება საბჭოთა მკითხველს თავისი ეპოქის მართებულად აღქმაში. ახლა სწორედ კულტურის ფრონტზე გვეჭირდება ბევრის ახლებურად გაგება, გაკეთება, დაძლევა. ამ მიმართულებით აუცილებელი ხდება დიდი და ხანგრძლივი მუშაობა. საჭიროა, თვალში შევხედოთ სინამდვილეს და საღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის თვალთ დავეინახოთ — შევაფასოთ, რომ წინა პერიოდის სულისშემხუთავი, მეშინური ყოფის ზოგიერთი გადმონაშთი, რასაც ასე სასტიკად ამათრახებს შიო არაგვისპირელი, ჯერ კიდევ შესამჩნევად ინარჩუნებს თავის საგრძნობ ზეგავლენას არა მხოლოდ ფილისტერ მოქალაქეებზე, არამედ ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილზეც. ამ მიმართულებით დღესაც ენერგიული, გაშლილი სერიოზული მუშაობა — ბრძოლა ამ გადმონაშთების წინააღმდეგ მეტად საპასუხისმგებლო და გადაუდებელია.

აი ამიტომ შიო არაგვისპირელის მოხდენილი, ბევრის მიქმედი სა-



ტირისა და იუმორის, სკეპტიციზმისა და ჰუმანური დამოკიდებულების მაღალი იდეურობისა და უმსგავსოებასთან შეურიგებლობის შთაგონება, ზეგავლენა ახლაც მეტად სასარგებლოცაა, საჭიროც და აქტუალურიც.

ყველა ამის გამო, ცხადია, შიო არაგვისპირელი დღესაც აქტიურად მოქმედი მოქალაქე-მწერალია<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> დასასრულ ჩემს მოვალეობად ვთელი, მადლობა გადავუხადო ლიტ. მუზეუმის დირექტორს ივ. კაკაბაძეს და მუზეუმის თანამშრომელს ს. ლეკიშვილს, რომელთაც შიო არაგვისპირელის არქივზე მუშაობისას ხელი შემიწვეს.

## ქართული თეატრი და ბიორები პრისტავი<sup>1</sup>

ქართული თეატრის საწყისები მრავალ საუკუნეთა წყვედიადშია გახვეული. თეატრული ელემენტები, როგორც ქართველი ხალხის აღმზრდელობითი-გონივრული სანახაობა და გართობა, როგორცაა: მუშაობა, ბერიკაობა, ყეენობა და სხვ., უხვადაა ჩაქსოვილი ქართულ ფოლკლორში. ასეთ სანახაობათა არსებობასა და გავრცელებას ძველთაგანვე გვიდასტურებენ არა მარტო ქართველი ხალხის მრავლად შემონახული ზნე-ჩვეულებანი და გადმოცემანი<sup>2</sup>, არამედ ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიც — შოთა რუსთაველი, არჩილი, ვასუშტი და სხვანი<sup>3</sup>.

უდავოა, ხალხურმა სანახაობითმა ჩვეულებებმა ერთგვარი ნიადადაგი მოუშადა ახალი სახის (რუსულ-ევროპული) ქართული თეატრის უმტკივნეულო და ადვილი დამყნობისა და განვითარების საქმეს. სამართლიანი იყო სცენის დიდი ოსტატი კოტე მარჯანიშვილი რომელიც საშობლოში დაბრუნებისას ჩაუდგა რა ქართულ თეატრს სათავეში და სრულიად სამართლიანად მოინდომა რა ქართული ორიგინალური თეატრის გზის გამონახვა, წერდა: „ჩემის აზრით, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია თეატრის ორიგინალობისათვის ძიება იმ გზებისა, რომლითაც მიდიოდა ჩვენი თეატრი მისი გავერობიელების დრომდე (ე. ი. მარჯანიშვილის განმარტებით 1850 წლის 2 იანვრამდე. — მ. ზ.). ეს დიდმნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, ეს მნიშვნელოვანია მთელი ქვეყნიერებისათვის, რადგანაც, რაც უფრო მეტია ორიგინალური გზები კულტურაში, მით უფრო ღირებულია კაცობრიობის მიღწევანი. მე არა მჭერა, რომ ჩვენ არა გვქონდა მთლიანი და ორიგინალური თეატრი, რომელიც ჩვენ დავკარგეთ... როგორ შეიძლება, რომ ჩვენ, რომელთაც ასე გვიყვარს ყოველივე სანახაობა,

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მიხ. ზანდუკელი, ლიტერატურული ნარკვევები, 1, 1957, თბილისი.

<sup>2</sup> ქართული თეატრების საწყისების შესახებ იხ. დიმიტრი ჭანელიძის „ქართული თეატრის საწყისები“.

<sup>3</sup> ტრიფონ რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949.

ასეთი მდიდრები ვართ ფერადოვანი ხაზებით — ზნე-ჩვეულებაში, ყოფა-ცხოვრების წესებში, ქორწილში, დასაფლავებაში და სხვა, — რომ ჩვენ არა გვქონდეს იგი... რასაკვირველია, ჩვენ უნდა გვქონოდნენ ჩვენი ორიგინალური თეატრი, რომელიც არა ჰგავდა არც ფორმით, არც შინაარსით სხვა თეატრებს. დიახ, ის იყო! ერთი მისი პატარა ნაშთი — ოდნავ გვახსოვს — ეს ყვენობაა. ეს იყო თეატრი, ნამდვილი თეატრი, რომელიც ასე უმოწყალოდ იყო მოკლული მეფის ბრძანებით“<sup>1</sup>.

მართლაც, ჩემი ბავშვობის პირადი შთაბეჭდილებიდანაც ყვენობა, ბერიკაობა, უდავოდ, ერთგვარი სპექტაკლია, რომელშიც გარკვეული იდეის შესაბამის შინაარსის გაშლა ხდება მონაწილეთა მიერ როლების შესრულებით, მოქმედებით, იდეის თანდათანობითი დინამიკური განვითარებით და სხვ. ამ ჩვეულებათა შესრულებაში მასები მწყობრად იყვნენ ჩაბმულნი. სხვადასხვა სახის სანახაობანი ფართოდ იმართებოდა ძველად ჩვენში როგორც მეფისა და დიდ ფეოდალთა სახლის კარზე, ისე თვით ხალხშიც.

ჩვენი ძველი მწერლობის ძეგლები არაერთგზის გვიდასტურებენ, რომ საქართველოში ეს სანახაობანი სტიქიურად, სპორადიულად კი არ იმართებოდა, არამედ ქართველებს შეგნებული ჰქონდათ სხვადასხვა სანახაობისათვის განსწავლული პირების საჭიროება, ხოლო მათი განსწავლისათვის მწვრთნელის საჭიროება. მოვიგონოთ „ვეფხისტყაოსნი და ან“ ფრიდონის სიტყვები:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდნან,  
მასწავლეს მათი საქმენი, მახტუნებდიან, მწვრთნიდნან;  
ასრე გავედი საბელსა, რომ თვალნი ვერ მაშვიდიან,  
ვინცა მკვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდნან“.

დავით რექტორი „ცხოვრება ლევან ბატონიშვილისა“-ში აღნიშნავს: ლევან ბატონიშვილს, ერეკლე II-ის ნიჭიერ შვილს, „მუშაობა — ასპარეზობის ხელოვნება სწავლით, გამოცდილებით და ხშირი ვარჯიშობით შეძენილი ჰქონდა“.

ცნობილია, რომ გართობები იმართებოდა არა მარტო ცის ქვეშ, არამედ ამისათვის მოწყობილიც ყოფილა განსაკუთრებული შენობა — „ნაღარხანა“.

ასეთი გარემოებით აიხსნება, რომ XVIII საუკუნეში, როდესაც ქართველთა და რუსთა შორის თანდათან კულტურული ურთიერთობა მტკიცდება, რაც განსაკუთრებულ ცხოველ ხასიათს იღებს ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუსეთში გადასახლებულ ქართველთა მოღვაწეობის

<sup>1</sup> ქ. მარჯანიშვილი, ქართული თეატრის საკითხები, „კავკასიონი“, 1924. № 1—2.

გაშლით როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც — ახალი (რუსულ-ევროპული) ქართული თეატრიც თითქოს სრულიად ბუნებრივად, უმტკივნეულოდ და მტკიცედ იკიდებს ფეხს.

კარგადაა ცნობილი, რომ სწორედ XVIII საუკუნეში რუსეთში მყოფი ქართველები, მოკლებულნი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს, ენერგიულად მუშაობდნენ იქ მეცნიერებასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. განსაკუთრებით კი თავი იჩინეს სამხედრო საქმეში, თეატრალურ ხელოვნებაში. მრავალმა მათგანმა საგრძნობი წვლილი შეიტანა რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში, მაგ.: ბატონიშვილი მირიანი, ალ. ამილახვარი, შალიკაშვილი, ძმები ზანდუკლები (სილოვან და ნიკოლოზ — ცნობილი სანდუნოვებად), ფანჩულიძე, ბაგრატიონი, ს. ეგნატაშვილი და სხვანი.

ამასთანავე მათი ყურადღება გამახვილებული იყო ქართული კულტურის შესწავლისა, აღორძინებისა და წარმატება-გამდიდრების მიმართულებით.

რუსეთში გადახვეწილი ქართველნი იღვწიან, რომ ქართული თეატრი ევროპულ-რუსული გზით წარმართონ. ამ მიზნით ისინი თარგმნიან. განსაკუთრებით რუსულიდან, დრამატულ ნაწარმოებთ. აგრეთვე ჰქმნიან ორიგინალურ თხზულებებს და თეატრული ცნებების ქართულ შესატყვისებს (ი. ბატონიშვილი, მ. ბატონიშვილი და სხვ.).

ამ გარემოებას აცხოველებს ისიც, რომ თვით საქართველოშიც დიდი ინტერესი ჩნდება რუსეთთან დაახლოებისა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ კულტურულადაც. ამ მიზნით ერეკლე II დროს იგზავნებოდნენ ახალგაზრდები, რომელნიც ცოდნისა და გამოცდილების მიღების შემდეგ ბრუნდებოდნენ საქართველოში და რუსეთში შეთვისებული ცოდნის მიხედვით სამშობლოშიც ეწეოდნენ მოღვაწეობას. ერეკლე II დროს რუსეთში გამგზავრებულ ერთ-ერთ ჯგუფში შედიოდნენ: დავით ბატონიშვილი, იოანე ორბელიანი, დავით ჩოლოყაშვილი, გ. ავალიშვილი, ერასტი თურქესტანიშვილი და სხვ. ამათაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს თეატრს. ესენი თარგმნიდნენ დრამატულ ნაწარმოებებს განსაკუთრებით და აგრეთვე წერდნენ ორიგინალურ პიესებს.

ახალი ქართული თეატრის გზის გაკვლევას, უდავოდ, ხელს უწყობდა რუსეთიდანვე გადმოტანილი ე. წ. „სასკოლო დრამები“ („Школьные драмы“), რაც რუსეთში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვრცელდება და ნიადაგს უმზადებს რუსულ თეატრს. „სასკოლო დრამები“ რელიგიური ხასიათის დრამატული ნაწარმოებები იყო ბიბლიურ თემებზე დაწერილი, ამიტომ ამ დრამებს დეკლამაციითურთ

რუსეთში სასულიერო სასწავლებლების პროგრამაში ადგილი ჰქონდა დათმობილი და ამ სასწავლებლებში ისინი იღებოდნენ კიდევ.

რუსულიდან „სასკოლო დრამები“ ქართველ მწიგნობართა მიერ ითარგმნებოდა ქართულად და იღებოდა კიდევ თბილისისა და თელავის სემინარიებში, რომელთა სასწავლო პროგრამების მიხედვით გაიხსნა რექტორისა და ანტონ კათალიკოზის შემდეგ სავალდებულო იყო დრამატული ხელოვნება (ე. ი. „სასკოლო დრამები“) დეკლამაციითურთ. ეს „სასკოლო დრამები“, მიუხედავად მათი საეკლესიო ხასიათისა, საერთო თეატრისადმი მაინც ინტერესს ქმნიდა და აღვივებდა.

არას ცნობა, რომ ამ „სასკოლო დრამების“ წარმოდგენებს თვით თელავის სემინარიის ცნობილი დავით რექტორი ხელმძღვანელობდა. დავით რექტორის ცხოვრება და ნიჭი მეტად მრავალმხრივი და წინააღმდეგობებით სავსე იყო. მის დაუდგრომელ ბუნებას ახასიათებს თანამედროვეთა მიერ შექმნილი სახელწოდება მისი „ფილოსოფოსი ცუკია“. მეტად საგულისხმეოა მარიამ ბატონიშვილის სატირა, სადაც ცუკია (ე. ი. დავით რექტორი) იხსენიება, როგორც „უსჯულო, უღვთო, წარმართი, პლუტი, გაქნილი, ცრუ, აყვია, ლაშებ გართხმული“. შესაძლებელია, დავით რექტორის თეატრულმა მოღვაწეობამ მასალა და საბაზი მისცა თანამედროვეთ მისი ასეთი დახასიათებისათვის. ამ „სასკოლო დრამებმა“ ნაწილობრივ მაინც შეამზადა ნიადაგს XVII საუკუნის 90-იან წლებში ახალი რუსულ-ევროპიული ხასიათის ქართული თეატრის დაარსებისათვის.



ახალი ქართული თეატრის დამწყებთა ვინაობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაზუსტებული. ქართული თეატრის მომწყობად დეკლამა გაბრიელ მაიორი, რომელსაც სპექტაკლის სანახავად ბილეთებიც კი შეძრულია. შემდეგი წარწერით:

„შაური ორი  
გაბრიელ მაიორი“.

ალ. ორბელიანი თავის დედის თეკლე ბატონიშვილის ნაამბობს გადმოგვცემს: „თელავში და თბილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფის ირაკლის დროში, რომლისაცა გამმართველი იყო გაბრიელ სომეხი“<sup>1</sup>. — ესაა ცნობილი გაბრიელ მაიორი.

<sup>1</sup> ალ. ორბელიანი, მე და ის, 1870, გვ. 127—128. ამასვე ადასტურებენ: ზ. კიკინაძე, ალ. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე, მ. აბრამიშვილი, გ. ლეონიძე, ტ. რუხაძე და სხვანიც.

ზაქ. ჭიჭინაძის „მოკლე ისტორია ქართული თეატრისა“—ში აი რა საგულისხმო ცნობას ვკითხულობთ პირველი ქართული წარმოდგენების მონაწილეთა შესახებ: „წარმოდგენებში მიუღლიათ მონაწილეობა შემდეგ პირთა: დავით ბატონიშვილს, ჩოლოყაშვილს, ავალიშვილს, თამაზ ანდრონიკაშვილს, გიორგი მეფისა და ირაკლი ბატონიშვილის ქალებს და ავალოვისას. ეს გვარები, — განაგრძობს ზ. ჭიჭინაძე, — მე ამოვიკითხე ერთ ზემოხსენებულ პიესის მოქმედთა პირთა სიაში“<sup>1</sup>.

არის აგრეთვე ცნობა, რომ ერეკლე II დროის წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდა, გარდა არისტოკრატიის წრის წარმომადგენელთა, სასულიერო პირის დავით რექტორისა, აგრეთვე სარდლის იოანე ორბელიანის კარის მღვდელი იოსებ ა მ ი რ ი ძ ე, რომელიც კარგად იყო ცნობილი „ქეშიშ-დარდიმანდის“ სახელით.

ამას გარდა, ზაქარია ჭიჭინაძე იმავე შრომაში იძლევა ცნობას, რომ გაბრიელ მაიორის სპექტაკლებზე შესასვლელი ბილეთები სხვადასხვა ფასისა იყო — ძ ვ ი რ ი და ი ა ფ ფ ა ს ი ა ნ ი.

მაშასადამე, ერეკლე II დროს ქართული თეატრი მარტო სასახლის თეატრი კი არ ყოფილა, არამედ გარეშე მაყურებელთათვისაც, თუ ამას დაუშვებთ არსებულ ცნობასაც, საქართველოში სანახაობითი საქმის შემსრულებელს გასამრჯელო და საფასური ეძლეოდა<sup>2</sup>, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართულ პროფესიულ თეატრს ერეკლე II დროსვე ეყრება საფუძველი.

\* \* \*

ამ დროისათვის რუსული დრამატურგიიდან ქართულად უთარგმნიათ მრავალი პიესა. შერჩევითაა ნათარგმნი პიესები, რომლებშიც მოქმედება მიმდინარეობს რუსეთში (აწმყოსა და წარსულში) და განყენებულნი არ იყვნენ რუსეთის სინამდვილიდან, რომლების შინაარსიც, ენაც, ხასიათებიც ხალხის ცხოვრებიდან იყო ამოკრებილი.

ქართულად სთარგმნიან იმ პიესებს, რომლებშიც არსებითად დარღვეული იყო ფრანგული კლასიციზმის თეორია. ასეთი თვისებებით ხასიათდებოდა ს უ მ ა რ ო კ ო ვ ი ს პიესებიც. ნიმუშისათვის დავასახელებთ ზოგიერთ თარგმნილ პიესას — მაგალითად, სუმაროკოვიდან გ. ავალიშვილს უთარგმნია ოთხი პიესა, რომელთაც საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვთ: „რქის მატარებელი“ („Рогоносец“), „დედა რაყიფი ქალისა“ („Мать совместница дочери“), „საჩხუბარი“ („Вздорница“), „მკვდართა საუბარი“ („Разговор мёртвых“). უთარგმნიათ აგრეთვე „ცრუ დიმიტრი“ („Лже-Дмитрий“) და სხვ.

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, მოკლე ისტორია ქართული თეატრისა, 1906, გვ. 7.

<sup>2</sup> ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1919.

მაგრამ XVIII საუკუნის თეატრის მოღვაწე ქართველთ არა მარტო თარგმნილი პიესებით შეუწყვიათ ხელი ქართული თეატრის გზის გაკვლევისა და განმტკიცებისათვის, არამედ ორიგინალური და ქართულ ცხოვრებასთან შეფარდებით გადმოკეთებული პიესების შექმნითაც.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი წერდა: «У меня под руками в настоящее время несколько оригинальных театральных пьес, сюжеты которых взяты из грузинской жизни и истории конца XVIII и начала XIX века, к сожалению, имена авторов и годы их написания не указаны»<sup>1</sup>.

ახლა, გ. ერისთავის თეატრის ასის წლის თავისათვის მზადების პერიოდში, საბედნიეროდ, ბევრი რამ ირკვევა, რაც აშკარად ადასტურებს, როგორც ქართული დრამატიული ნაწარმოებების—თარგმნილების, თუ გადმოკეთებულ-ორიგინალების, ისე ახალი (რუსულ-ევროპული) თეატრის არსებობას XVIII საუკუნის დამლევს, ერეკლე II დროს.

რა თქმა უნდა, XVIII საუკუნეში რუსეთში გადახვეწილ ქართველთა ღვაწლის საგრძნობი ნაწილი დაიკარგა; შესაძლებელია ამ დაკარგული ნაწილის აღდგენა სამუდამოდ შეუძლებელი შეიქნას, მაგრამ ნაწილი მაინც დარჩენილია რუსეთის სატახტო და სხვა ქალაქების სიძველეთა შემნახველ დაწესებულებებში, რომლებშიც ჩვენი მეცნიერი მუშაკნი აწარმოებენ ხსენებულ ხელნაწერების ძებნასა და შესწავლას.

ახლა გარკვეულია ზოგიერთი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესა, XVIII საუკუნის დასასრულს დაწერილი ქართულ ენაზე ან ლად ფეხადგმული ქართული თეატრისათვის, როგორც — დავით კამშერის-ძე ჩოლოყაშვილის — „ფილინია“; ალ. ამილახვრისა — „ასტრახანში მოქმედება“; გ. ავალიშვილისა — „თემურაზ მეფე“; გოდერძი ფირალიშვილისა — „ვეფხისტყაოსანი“ — ტრადიციად, ან როგორც იმ დროის ოფიციალურ დოკუმენტშია აღნიშნული — „ინდოეთის ტანტის მემკვიდრე ანუ სიყვარული სამშობლოსადმი“.

მეტად საგულისხმოა და აღსანიშნავიც, რომ ჩვენი დრამატურგები თავიანთ ორიგინალურ პიესებშიც გაურბიან ფრანგული კლასიციზმის კანონებს, თავიანთ პიესებში ისინი ასახავენ ჩვენი XVIII საუკუნის მიწურულის ისტორიულ სინამდვილეს — ერეკლე II-სა და გიორ-

<sup>1</sup> ალ. ცაგარელი, Сведения, т. III, 1894.

ვ XII ეპოქას: მათში ეპოქისათვის დამახასიათებელი მტკივნეული და აქტუალური საკითხების გამოხმაურებაა.

აქედან აშკარაა, რომ ქართული თეატრი, თუმცა XVIII საუკუნეში რუსული თეატრის ზეგავლენით იღვამს ფეხს, როცა ევოლუცია და რუსეთშიც ვაბატონებული იყო კლასიციზმი თავისი განყენებული ოცნებელი საფუძვლებით. მაგრამ გამომატველია ჩვენი ცხოვრების სწინდგვილისა. ქართული თეატრი ფეხის ადგმისთანავე რეალური-სა-სოციალურებო თეატრია. არა მარტო გ. ავალიშვილის პიესაში „თეიმურაზ პატონიშვილი“ ასახულია ჩვენი ისტორიული ეპოქა, სადაც ელექტე II ერთი ძირითადი მოქმედი პირია, არამედ დავ. ჩოლოყაშვილის, ამ ცნობილ ვოლტერიანელის მიერ გადმოკეთებულ „ეფილენიაშიც“ ავამეზონის სახით მეფე ერეკლეა განსახიერებული. ასევეა დ. ამილახვრის პიესაში „ასტრახანში მოქმედება“ და გოდერძი ფირალიშვილის მიერ ვალაქეებულ „ვეფხისტყაოსანში“.

ამჟამად ხდება, რომ დრამატული თხზულებების წერა ჩვენი დრამატურკებისათვის შემთხვევითი საქმიანობა არა ყოფილა. მათ, როგორც თარგმნილი პიესების ხასიათიდანაც და ორიგინალური პიესების თემისა და შინაარსიდანაც ჩანს, გარკვეული მიზანდასახულობით უწეშავენათ. მათი გაგებით, თეატრი-პიესა ცოცხალი ამსახველი, სარკე უნდა ყოფილიყო, რომელშიაც მაყურებელი დაინახავდა გარემო ცხოვრებას თავის ავითა და კარგით, მიიღებდა მის სწორ გაგებასა და საზოგადოებრივად აღიზრდებოდა.

პირველ ქართველ დრამატურგებს რომ ასეთი შეხედულება ამოძრავებდათ. ამას მკვერამეტყველურად ამტკიცებს მათი როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პიესების გულისყურით გარჩევა. ამასვე გვიდასტურებს გ. ავალიშვილის ლექსი, რომელიც წარმოდგენებზე იკითხეაოდა სპექტაკლის დედააზრში მაყურებელთა სისწორით გარკვევის მიზნით.

„მე სახედველი იგ ჩემნი დავაშრე წიგნთა წერითა —  
ზოგი ჩემთ მოქმედულებზედ, ზოგი სხვით გადმოწერითა, —  
მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვენ ამა ლექსისა წერითა,  
არ დაიშლიან, მაჩვენონ იგ, თუ ვმსახურე მე რითა!  
თუ ხართ ეინმე მოსურნენი თეატრს სმენად, ანუ ცნობად.  
შემატებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ თქვენად მკობად —  
ერიდებით უსამართლოდ, ჩემებრ მწერთა ცუდად ემობად,  
არ დაშლით, ჰგავს არ რიდებთ თქვენგან გლახ გულთ ლახვრად სობად.  
მერწუნენით არ მას ეუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ვრდობა,  
მეგრამ მწადის განჩინება, კიცხვითა და ქვე-ქვე ძრომა,  
ნუ იკადრებთ, გაცხადებით იქონიოთ ჩემზე წყრომა.  
დაიშლეთ, თუ რომ სჯობდეს მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ზაქ. კიკინაძე, მოკლე ისტორია ქართული თეატრისა, 1906., გვ 8.



XVIII საუკუნეში საგრძნობი ძალით. ვულმოდგინებით, სიყვარულითა და გატაცებით შექმნილი და წარმოებული ასალა ქართული თეატრი. სამწუხაროდ, ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. გადმოცემით 1795 წ. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს თბილისის დაცვის ბრძოლაში სხვა თავდადებულ მამულიშვილებთან ერთად ქართული თეატრის არტისტებიც მ ა ჩ ა ბ ლ ი ს წინამძღოლობით ზუკისა და ნალარის ხმით მწყობრად შეებრძოლნენ შტერს და ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. ამ ბრძოლაშივე დაიღუპა გაბრიელ მაიორი. აქვე შეწყვიტა თავისი მოქმედება ასლად ფეხნადგმულმა ქართულმა თეატრმაც.

\* \* \*

მაგრამ ქართული თეატრის წარმოშობა და ქართული წარმოდგენების გამართვა ქართველი საზოგადოების ღრმა და გადაუდებელი მოთხოვნილება ყოფილა. ამით აიხსნება, რომ, თუცა წარმოდგენებისათვის თეატრი აღარ არსებობდა, მაგრამ ქართული წარმოდგენები კი მაინც იმართებოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში სხვადასხვა პირობა სასასტუეებში. მაგალითად: მესხიწვილის, ბაგრატიონის, ალ. ქავჭავაძის და სხვათა.

არც ქართველი დრამატურგების მოღვაწეობა შეწყვეტილა. ქართული დრამატიული ლიტერატურა, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში თანდათან მდიდრდება. უმთავრესად რუსეთში გადახვეწილთა მოღვაწეობით, როგორც თარგმნილი, გადმოკეთებული ნაწარმოებებით. ისე ორიგინალურითაც.

თარგმნითი-გადმოკეთებული პიესები უმრავლეს შემთხვევაში რუსულიდან მოდის. ამ პერიოდში თარგმნეს: პ. ქ ე ბ ა ძ ე მ — სუმაროკოვის „სინაჲ და ტრუვორ“; თეიმურაზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა — ვოლტერის „ალზირა“, „ალათოკლე“; მირიან ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა — გერმანელი დრამატურგის ბრავეს „ტრაგედია ათეისტისა“, რაც კარგად ასახავდა ქართველ ბატონიშვილთა შორის აზრთა წინააღმდეგობასაც. ალ. ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ — რასინის „ესთერი“, „ფედრა“; კორნელისა — „სინა“; დავით ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე მ — ვოლტერის „ზაირა“. ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ მ ა — ვოლტერის „ფანტაზმა ანუ მაჰმად წინასწარმეტყველი“ და სხვ.

ამავე დროს იწერებოდა ორიგინალური დრამატული ნაწარმოებებიც. 30—40-იან წლებში თეიმურაზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა დასწერა „სამსახეობა რაინდისა“; გ. ე რ ი ს თ ა ვ მ ა — „შეშლილი“, „გაყრა“, „დავა“; ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა — ისტორიული დრამები: „დავით აღ-

მაშენებელი ანუ უკანასკნელი ეპიძე საქართველოსი“. „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“.

საშინაო წარმოდგენები, როგორც ირკვევა, მარტო თბილისის სალონებში არ იმართებოდა. არის ცნობა, რომ წარმოდგენებს ჩვენს პროვინციებშიც აწყობდნენ. ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ პროვინციებში ორიგინალური პიესებიც იწერებოდა და იდგმებოდა კიდეც.

ცნობილია, რომ ოქროპირ წერეთელს 1845 წლის 1 აპრილს თავის სოფელში წარმოუდგენია თავისი ორიგინალური კომედია: „ქორწილი იმერეთის თავადისა“ (დ. ჯანელიძე).

ოქრ. წერეთლის აღნიშნული კომედია საყოფაცხოვრებო ეპიკურისაა. შინაარსი აღებულია იმერეთის ფეოდალური კლასის ცხოვრებიდან. პიესის განვითარება და მასში ჩართული რემარკები გვარწმუნებენ, რომ პიესის ავტორი მწერლობაში გვარჯიშებული უნდა ყოფილიყო. არის ცნობა, რომ დიმიტრი მეღვივანი წერეთელის ორიგინალური პიესა „გამოუცდელია ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“ ქ. გორში დაუდგამთ ზედიზედ 1845 წ. (1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს). პიესა განკუთვნილი ყოფილა შინაური წარმოდგენებისათვის; მასალა აღებულია გორის მაზრის მაშინდელი მარშლის ალექსანდრე შანშეს-ძე ერისთავის ოჯახის ცხოვრებიდან. მოქმედი პირებიც თვითონ მარშალი, მისი ოჯახის წევრები და მახლობლები არიან<sup>1</sup>. ეს გარემოება აგრეთვე საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამგვარი ეპიკური ნაწარმოები იმ დროს საქართველოში არც შემთხვევითი და არც იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ყველა შემოაღნიშნული აშკარად მოწმობს, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლებისათვის ჩვენში დრამატული ეპიკური ნაწარმოებთა არსებობა, გავრცელება და მათდამი ინტერესი უდავო ფაქტია და ამასთან მუდმივი ქართული თეატრის არსებობის მოთხოვნილება ქართულ საზოგადოებაში დიდია. ვორონცოვის ელასტიურობა და შედარებით მშვიდმა პოლიტიკამ უდავოდ ხელი შეუწყო შეწყვეტილი მუდმივი ქართული თეატრის აღორძინებასა და მისი საგრძნობი სწრაფი განვითარებაც; ჩვენის გაგებით, სრულიად ბუნებრივია.

\* \* \*

40—50-იანი წლები ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების განვითარებაში, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო, ერთგვარი გარდატეხის ხანაა. მეფისნაცვალის მ. ს. ვორონცოვის მმართველობა ქართული საზოგადოებრივ-კულტურული განვითარებისათვის, მიუხედავად ვორონცოვის ბიუროკრატიული ზრახვებისა, ხელ-

<sup>1</sup> იხ. ს. ხუციშვილი, გამოუცდელია ანუ დროებითი განშორება საყვარელთა, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, № 21.

საყრელი და მნიშვნელოვანი შეიქმნა. ამ პერიოდში ქართველ საზოგადოებას ერთგვარი გამოფხიზლება დაეტყო.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ვორონცოვის მმართველობამდე (1801—1845 წწ.) ქართველი ინტელიგენცია, რომელიც თითქმის უკლებლივ თავადაზნაურული იყო, დაქსაქსულ, გაურკვეველ და დაძაბუნებულ ძალას წარმოადგენდა. მისი ეკონომიკური და მასთან პოლიტიკური მდგომარეობა კატასტროფიულად ირღვევა. მეფის რუსეთი ჩქარობდა ახალი, მისთვის ხელსაყრელი, პირობების დამყარებას საქართველოში. ამ მიმართულებით მისი ინტერესები ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი პრივილეგიური კლასის (თავადაზნაურობის) ინტერესებს. იწყება ბრძოლა და ამ ბრძოლაში ქართველი თავადაზნაურობა, როგორც სუსტი, დარღვეული, ადვილად მარცხდება. ქართველი თავადაზნაურობა ქანცგამოლეული ადამიანის ინერციით გაყვა ახალი ცხოვრების მიმდინარეობას. მაგრამ ის აგრე ადვილად ვერ ეგუებოდა იმ კულტურას, რომელსაც ახლად დამყარებული ცხოვრება ითხოვდა.

ვორონცოვისა და მის წინამმართველთა ხანა ქართველი ხალხისათვის და, კერძოდ მის თავადაზნაურობისათვის საშინელი ტკივილებისა და ამ ტკივილებში გამოფხიზლების პერიოდი. და როდესაც ასეთი გამოფხიზლება მოხდა, მაშინ ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისათვის ცხადი შეიქნა, რომ ერთადერთი გზა სიცოცხლისა—ეს არის გზა განვითარებისა, წინმსვლელობისა, ე. ი. გზა სწავლისა, ახალი განათლების შეთვისებისა, რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან მჭიდროდ დაკავშირებისა, მის გვერდში ამოდგომისა, მისი პროგრესული განვითარების გზის კურსის აღება და მასთან ერთად საერთო მტერთან — მეფის წყობილებასთან შეურიგებელი ბრძოლა. — ასეთი ამოცანა დაისახა ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის წინაშე.

მაგრამ ეს არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ამ ამოცანის განხორციელება თხოულობდა შესაფერი და სათანადო ეკონომიკური და კულტურული პირობების არსებობას.

მართალია, ამ დროისათვის გაჩნდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელმაც ახალი ცხოვრების გავლენა იცნო, რომელსაც, ჯერ თუმცა გაურკვეველი, მაგრამ ახალი მისწრაფებანი შთაეახა. ზოგი მათგანი აღიზარდა რუსეთში, იქ ცხოვრობდა, იქ მსახურობდა, რუსეთის გზით ევროპის კულტურას ითვისებდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ძველს, დრომოკმულს როგორღაც ვეღარ ეგუებოდა და ცხოვრების ახალი მოთხოვნების მიხედვით, მის შეცვლაზე ფიქრობდა. მაგრამ ამ ახალგაზრდობას ჯერ გარკვეული გზა მოქმედებისა ვერ გამოენახა: მისი სურვილები, მისწრაფებანი ჯერ მეტად ბუნდოვანი იყო. მას გაურკვეველობა, მერყეობა ახასიათებდა.

ვორონცოვმა ქართული საზოგადოების ამ ნაწილის მდგომარეობითაც მშვენივრად ისარგებლა. მან მოხერხებულად გაითვალისწინა, რომ საზოგადოების ამ ნაწილს საჭიროა შეექმნას კულტურული საქმიანობისათვის ასპარეზი. ეს გარემოება, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემდა მას ყველა ცოცხალი ძალისათვის, რომელსაც შეეძლო რუსეთის საქართველოში დამკვიდრების საწინააღმდეგო თესლის მასებში გატანა და გავრცელება, თავი მოეყარა თავის მახლობლად და უშუალო კონტროლის ქვეშ ყოლოდა, დაეახლოვებინა, მათი გული მოეგო და გზა რუსეთის საქართველოში უმტკივნეულოდ განმტკიცებისა განეხორციელებინა: მეორე მხრივ, საქართველოში შემოეტანა რუსული და რუსეთის გზით ევროპული კულტურა, რათა ამით ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთთან უფრო დაეკავშირებინა.

ამ მიზნით იყო გამოწვეული ვორონცოვის ნეცადინეობა რუსული დრამატული და იტალიური ოპერის თეატრებთან ერთად ქართული თეატრის დაარსების ხელის შეწყობაც. ვორონცოვი თავის ერთ-ერთ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 1850 წელს მეფეს სწერდა, რომ ამგვარ საშუალებებს „შეუძლია იქონიოს უდიდესი კეთილი გავლენა... ზნე-ჩვეულების განვითარებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის შეერთება-შეგუებაზე რუსეთთან“<sup>1</sup>.

საგულისხმოა გავერკვეთ შემდეგ საკითხში: ქართველი საზოგადოება და მისი მოწინავე ნაწილი გრძნობდა თუ არა ვორონცოვის პოლიტიკის ნამდვილ ზრახვას? გრძნობდა თუ არა ქართველი თავადაზნაურობა, რომ ვორონცოვი უმთავრესად ბიუროკრატიული რუსეთის საქმეს აკეთებდა; მიზმიდველ ფორმებში ქართველ ავადაზნაურობას მახეს უგებდა?

ჩვენის ფიქრით, ქართველი თავადაზნაურობა და მისი მოწინავე ნაწილი, რა თქმა უნდა, ხედავდა ვორონცოვის პოლიტიკის ნამდვილ სარჩულს, მაგრამ ამასთან ერთად იმასაც ითვალისწინებდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია. იმ დროისათვის მისთვის რუსეთის და მასთან შეგუების გარეშე ხსნა აღარ იყო.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში ახალი კულტურის დანერგვის პერიოდში, ვორონცოვმა ხელსაყრელად სცნო წარმოდგენები ადგილობრივი ცხოვრებიდანაც გამართულიყო ქართულ ენაზე, მით უმეტეს, რომ ქართული მუდმივი თეატრის აღორძინების ინიციატივა, ქართველი საზოგადოებიდან იყო წამოწყებული (არის ცნობა, რომ ვორონცოვს ქართული თეატრის შექმნის შესახებ ქართველი საზოგადოების მოთხოვნა ცნობილმა მანდილოსანმა მანანა ორბელიანმა გადასცა). ამ საქმის განხორციელებისათვის ვორონცოვს დაუსახელეს.

<sup>1</sup> В. И в а н е н к о, Гражданское управление. Закавказьем, 1901, стр. 340.

სოფელ ხიდისთავში მცხოვრები ცნობილი დრამატურგი გიორგი ერისთავი, რომლის ხელნაწერი კომედიები ქართველი შემამულეების ცხოვრებიდან ხელიდან ხელში გადადიოდა. ვორონცოვმა გამოიწვია გიორგი ერისთავი, რომელმაც მას გადასცა თავისი კომედია „გ ა ყ რ ა“.

ვორონცოვს, დაინტერესებულს ქართული თეატრის დაჩქარებით მოწყობით, ალერსით მიუღია გიორგი ერისთავი და შემდეგი უთქვამს მისთვის: „სანამდის რუსულ ენაზე გადმოთარგმნიდნენ ამ კომედიას, წაბრძანდით და უთხარით სცენიურ ხელოვნების ყველა მოყვარულ ქართველს, რომ მათ როლები შეისწავლონ და თქვენი ხელმძღვანელობით გაითამაშონ თქვენი კომედია თბილისის გიმნაზიის სცენაზე. მაშინ ჩვენ დავინახავთ, როგორია თქვენი შემოქმედება და როგორია ქართველების სცენიური ნიჭი“<sup>1</sup>.

გ. ერისთავი, მართლაც, დიდის ენერგიითა და გატაცებით შეუდგა დავალებული საქმის ღირსეულად შესრულებას და 1850 წლის 2 იანვარს, ძველი სტილით, მისი კომედია „გ ა ყ რ ა“ პირველად დაიდგა თბილისის გიმნაზიის დარბაზში. ამ კომედიაში მონაწილეობას ღებულობდა ქართველი მაღალი წოდების ახალგაზრდობა.

ვორონცოვი თავისი მახლობლებით დაესწრო ამ წარმოდგენას, რომელიც ქართული სცენისმოყვარულთ არაჩვეულებრივი წარმატებით ჩაატარეს. თვით ავტორმა გ. ერისთავმა მიკირტუმ გასპარიჩის როლი დიდი წარმატებით ითამაშა. დამსწრე საზოგადოება და თვით ვორონცოვიც აქტიორების თამაშობით დიდად დარჩნენ ნასიამოვნები.

წახალისებულმა სცენისმოყვარეებმა იმავე წლის 3 მაისს იმავე გიმნაზიის დარბაზში, ისეთივე წარმატებით წარმოადგინეს გიორგი ერისთავის მეორე კომედია „დ ა ვ ა“.

ამის შემდეგ ქართული მუდმივი თეატრის აღდგენის ბედი გადაწყვეტილად იქნა ჩათვლილი. ამავე 1850 წლის 4 ოქტომბერს ვორონცოვმა თბილისის თეატრის დირექტორს შემდეგი ბრძანება გაუგზავნა: „ჩემთან მყოფ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელეს, თავად ერისთავს დაევალოს შეუდგეს ადგილობრივ თეატრში ქართულ ენაზე მუდმივი წარმოდგენების მოწყობას. წინადადება ეძლევა დირექციას გ. ერისთავს წლიურად მისცეს მოთხოვნილებათა მიხედვით ოთხი ათასი მანეთი მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან არტიტების ჯამაგირის დასაფარავად... ამასთანავე წინადადებას ვაძლევ დირექციას თავად ერისთავს ამ დავალების აღსრულებაში გაუწიოს ყოველივე მისგან დამოკიდებული დახმარება და დაინიშნოს ღლეები ქართული წარმოდგენებისათვის“<sup>2</sup>.

ამის შემდეგ გამხნეებული გ. ერისთავი დიდის ხალისითა და ენ-

<sup>1</sup> Театр в Тифлисе в 1845—1856 гг. 1888, გვ. 125.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 128.

თუზიაზმით შეუდგა დასის შედგენასა და წარმოდგენების მზადებას. იმ დროს არტისტობას, სცენიურ ხელოვნებასა და საქმიანობას ალმაცურად უყურებდნენ. არტისტები გაფუჭებულ და დაღუპულ ხალხად მიაჩნდა მაშინდელ საზოგადოებას. განსაკუთრებით ქალისათვის იყო ძნელი გაერღვია მჭიდროდ შემორტყმული ტრადიციული შეხედულების ტყრუშული.

თუშცა დრამატიული დასის ქართველებისაგან შედგენა გიორგი ერისთავისათვის მეტად ძნელი იყო, მაგრამ მან დიდი მეცადინეობის შემდეგ მიზანს სულ მალე მიაღწია. მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ერისთავის თანამედროვე და მოწმე მისი თეატრის ფეხის ადგმისა, გიორგი ერისთავის თეატრის პირველი წარმოდგენებით აღფრთოვანებული წერდა: „მან (ე. ი. გ. ერისთავმა. — მ. ზ.) მოკრიფა მამაკაცები და ქალები საჭირო რაოდენობით სოფლებიდან, დაიწყო ბეჭითი მუშაობა მათთან და, დარწმუნების შემდეგ, რომ ისინი ცოტად თუ ბევრად იცნობენ სცენის პირობებს, გადაწყვიტა ისინი თვით სცენაზე გამოეყვანა. ეს იყო თავისთავად გაბედული და თამამი ნაბიჯი, პირველად გადადგმული ხელოვნების დარგში, რომელიც მაშინვე ჩინებული წარმატებით გამართლდა. კიდევ ორი-სამი წარმოდგენა და უკვე ძნელად საცნობნი იყვნენ ეს ამასწინანდელი ავტომატები. ისინი უცბად შეიცვალნენ. ყველას უკვირდა, ყველა სასიამოდ იყო გაოცებული მათი გაბედულობითა და თავისუფლად თავის დაჭერით. შეიძლებოდა მხოლოდ ვარაუდი, რომ ახალი შეუმწიკვლელი მათი ბუნება მათ დაეხმარებოდა ოდესმე რამე გამოსულიყვნენ. მაგრამ პირმშო აქტიორებმა, უცბად, არა მხოლოდ გაამართლეს, არამედ ზოგიერთმა მათგანმა კიდევ გადააჭარბა მოლოდინს ბუნებრივის მოსაზრებულობის წყალობით... კრიტიკოსთა სასამართლო დადუმდა სცენის ახალ მებრძოლთა წინაშე, და არც იყო იგი საჭირო... ეს მაგალითია და მხოლოდ ეს ერთი მაგალითი შეიძლება გამოდგეს განსაკვიფრებელ დამამტკიცებელ საბუთად, რის მიღწევა შეუძლია ადგილობრივ მკვიდრთა გონებას, რის აღქმა შეუძლია მათ ბუნებას, ცოტად თუ ბევრად კეთილთვისებიანი მითითებისას“<sup>1</sup>.

მსახიობთა დასი ახალი ქართული თეატრისათვის გ. ერისთავმა მართლაც, თითქოს რაღაც თილისმის ძალით არაჩვეულებრივი სისწრაფით ჩამოაყალიბა, გაწვრთნა, მიმზიდველად აამოქმედა. საზოგადოების ყურადღება, ინტერესი და მოწონებაც დაიმსახურა.

გ. ერისთავის მიერ შედგენილ პირველ ქართულ დასში შემდეგი პირები შედიოდნენ: ქალები—ს ა ა კ ა ძ ე, ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ნ ა თ ი-

<sup>1</sup> მ. თუმანიშვილი, ქართული თეატრი, „ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის“, კრესტომათა შედგენილი ს. ხუციშვილის მიერ, ტ. 1, 1955, გვ. 41.

შვილი, ანანოვი, ლაფერაშვილი; კაცები — დვანაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კორძაია, ელიოზიშვილი. მალე მათ მიემატნენ: ქალები — აბრამიძე, უზნაძე, ივანიძე; კაცები — აბრამიძე, ანტონოვი, ზენკლოვი, მეიფარიანი, ჯაფარიძე.

იგივე მიხ. თუმანიშვილი იქვე წერს: „აქტიორების — ჯაფარიძის, დვანაძის, კორძაიას, აქტიორი ქალის — ნათიშვილის სახით მას (გ. ერისთავს. — მ. ზ.) გააჩნია მეტად და მეტად ჩინებული სცენიური შემსრულებლები, ხოლო აქტიორ ანტონოვის სახით, — გონიერა, მცდელი დრამატიული მოღვაწე. ესენი ყველა ერისთავის ქმნილებათაა“.

ვორონცოვი ახლად დაარსებულ ქართულ კულტურულ საქმეს თავის ყურადღებას არ აკლებდა. მან, გარდა 4000 მანეთისა, რომელიც გ. ერისთავს არტისტების ჯამაგირისათვის ეძლეოდა ხაზინიდან, არტისტთა მიმოსვლისათვის წლიურად 1000 მანეთი დაუნიშნა. აგრეთვე აღუთქვა დაეფარა პირველი წარმოდგენების მოწყობით გამოწვეული ხარჯები — კოსტუმების, დეკორაციებისა და სხვათა შეძენისათვის.

საზოგადოებაც ახალი საქმის წარმატებით დაწყებით კმაყოფილი დარჩა. ადგილობრივი პრესა, როგორც „კავკაზი“, ისე „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, ამ კულტურული საქმის დასაწყისს დიდი თანაგრძნობით შეხვდა. აი, სხვათა შორის რასა წერდა „კავკაზი“: „ამ კომედიის (ე. ი. „გაყრის“. — მ. ზ.) შესრულებას თბილისის თეატრში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თამაშობდნენ ქართველი მსახიობები, თამაშობდნენ ქართულ ენაზე, თამაშობდნენ ქართველის მიერ დაწერილ პიესას... რანაირად გაოცდებოდნენ კომედიის ავტორის კეთილშობილი წინაპრები, რომ დაანახვათ თავისი შთამომავალი, რომელმაც დაივიწყა ძველი არისტოკრატიული ცრუმორწმუნეობები (предрасудки), დატოვა თავისი ფეოდალური ციხე-დარბაზი და მუზეებს დაუწყო სამსახური. ეს წინაპრები, ყოველთვის შეიარაღებულნი, ყოველთვის მზად რომ იყვნენ ჩაკეტილიყვნენ თავიანთ სალკლდოვან სიმაგრეებში, რომ მტერი მოეგერიებინათ, — ვერც იცნობდნენ თავის შთამომავალთ და უკმაყოფილოთ შეხვდებოდნენ მის საქმიანობას. მაგრამ ახალი თაობა სხვანაირად უყურებს საქმეს და სხვანაირად მოქმედებს. სხვა ცხოვრების ნაკადი მათ სხვა შედეგებისაკენ მიაქანებს, — ნაკადი, რომელიც ხალხის გენიის ნაპერწკლებს არ აქრობს, აღვივებს მას, სიფრთხილით ინახავს ღვთაებრივ ცეცხლს. რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გონებრივ უმოქმედების ქერქის ქვეშ იფერფლებოდა... ქართველი არ-

1 მ. თუმანიშვილი, ქართული თეატრი, „ქართული ლიტერატურის კრიტიკის რეტორისათვის“, ქრესტომათია შედგენილი ს. ხუციშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 45.

ტისტის მიერ თავად ერისთავის კომედიის წარმოდგენა უნდა ახარებდეს ყოველს, ვისაც კი ახარებს მორალური ამადლება კაცობრიობის ყოფაში... ზედმეტია კომედიის განხილვა. მისმა წარმატებამ დაანტკიცა, რომ ერისთავის კომედია დროზე გაჩნდა<sup>1</sup>.

ცხადია, თუ ოფიციალური ორგანო „კავკაზ“-ი ასეთ აღფრთოვანებას გამოთქვამს, საზოგადოება, მართლაც, დაინტერესებულია ამ დიდი კულტურული საქმით, საზოგადოებრივი მაქისცემა საკმარისად საგრძნობლად აუზოქმედებია გ. ერისთავის თეატრს. და ეს იმიტომ, რომ გ. ერისთავის თეატრმა საზოგადოებას თავისივე ცხოვრება ცოცხლად დაუხატა, საზოგადოება თავისავე ცხოვრებაში, როგორც სარკეში. ჩაახედა.

\* \* \*

გ. ერისთავი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ახალი პერიოდის კიშკარში დგას როგორც თავისი მსოფლმხედველობით, ისე პოეტური შემოქმედებით. გ. ერისთავის მხატვრული შემოქმედება ნიჭიერი განსახიერებაა ჩვენი ცხოვრების 40—50-იან წლებში სოციალურ-ეკონომიური გარდატეხისა და მის საფუძველზე გაშლილი სოციალური კიდილისა.

40-იანი წლებიდან გ. ერისთავმა უარყო მანამდე მისთვის დამახასიათებელი რომანტიკული მიმართულება შესაბამი ჟანრებით — ელეგიით, მიძღვნით და სხვ. დატოვა აგრეთვე ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები — სევდა-ნადველი, წუწუნი, ტრფიალება და სხვ.

საჭირო იყო ახალი ცხოვრების საფუძველზე შექმნილი ფსიქო-იდეოლოგიისათვისა და მსოფლმხედველობისათვის შესაბამი ჟანრები, შესაბამი მოტივებით: თავადაზნაურობისათვის, კაპიტალიზაციის პროცესში ქედმოხრილი კლასისათვის დამახასიათებელი იმედგაცრუებულობა, შევიწროება, მტკივნეული შეგნება გამოუვალი მდგომარეობისა, უნიადგობა და მათი ილუზიების მავნებლობა.

აი ამ საფუძველზე გაიშალა გ. ერისთავის შემოქმედებაში რეალიზმი საყოფაცხოვრებო სატირული კომედიებით.

გ. ერისთავის შემოქმედებისათვის ძირითადი თემაა — ეპოქის მძლავრი სოციალური რღვევა და რღვევის პროცესში აშლილი ტიპიკულები — ამ რღვევის ნიადგზე ახალი სოციალური ფენის — ჩარჩივაჭრის განვითარება. ეს იყო, რაც პირველ რიგში რეალისტ მწერალს უნდა დაენახა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში და აესახა. ეს თემა, მართლაც, გ. ერისთავისათვის შეიქმნა ღერძეულად 40—50-იანი წლების შემოქმედების მანძილზე. ამ მიმართულებით გ. ერისთავი ქართველი მაღალი წოდების — თავადაზნაურების დეკადანსის ნიჭიერი მხატვარია („გაყრა“, „დავა“, „შეშლილი“). მან ცოცხალ და ზეტყიელ სა-

<sup>1</sup> «Кавказ», 1851, № 1.



ხეებში გამოჰქვდა დანიავებული და სასიკვდილოდ განწირული ძველი ცხოვრების დამახასიათებელი თვისებები.

გ. ერისთავი ჩვენს ლიტერატურაში პირველია, რომელმაც არა მარტო იგრძნო ძველისა და ახალი ცხოვრების გაყრის მწვავე ტკივილები, არამედ დაინახა, ათვისა, გაიგო, შესძლო თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში მათი გადამუშავება, მოცემა მკვეთრი და ნიჭიერი რეალური სურათის გადაშლითა და ცოცხალი სახეების გაღერითა თავისი დროისათვის ღირსშესანიშნავ საყოფაცხოვრებო კომედიებში ძველის მოტრფიალენი — ანდრეაფარ, პავლე („გაყრა“), ამირინდო, ონოფრე, იაია („დავა“), ანახანუმ, ნინო, ანასტასია, მელანო („შემლილი“) — თავისი დრომოკმული შეხედულებებით, მისწრაფებებით, განცდებითა და განწირულის ტკივილებით დასწრებულნი. ხოლო მათ პარალელურად მის კომედიებში მოცემულია გაღერება ახალი თაობისა, მართალია, პუმანიური იდეებისადმი განწყობილების, მაგრამ ახალი ცხოვრებისადმი უსუსური მისწრაფებით: უნიადაგო, უძლური, უძარღვო, უქნარი და უნებისყოფონი მოქმედებაში, — ივანე („გაყრა“), ბეგლარი, ვახტანგი („შემლილი“), ბეგლარი, მიხეილი („დავა“), არჩილი („ძუნწი“).

ცხოვრება ირღვევა, საზოგადოებრივი წყობა ირყევა, იცვლება. ამაში რწმუნდება ძველიცა და ახალი თაობაც. მაგრამ რატომ? რაა ამისი მიზეზი? როგორ ან რით უნდა მოგვარდეს შერყეული ცხოვრება? ვერც ძველი და ვერც ახალი თაობა ვერ ერკვევა. ძველი თაობისათვის მტკივნეულია, მიუღებელია ფერცვლილი სინამდვილე. მისთვის ის, რაც იყო და რაც მიდის, ყველაფერზე ძვირფასია, მასზე უმჯობესს ის არ ეძებს და ამიტომაც, რომ ის ასე თავდავიწყებით ებღაუჭება ძველს, მამა-პაპეულს — ანდრეაფარ („გაყრა“), ლომინ გოდაბრელიძე, იაია, ამირინდო („დავა“).

ვერც ახალი თაობაა გარკვეული, ისიც უიალქნოდ მოძრაობს. ძველს ველარ ეგუება, მაგრამ ახალთანაც მისვლის უნარი არა აქვს. ახალი თაობაც გრძნობს, რომ ცხოვრების ახალ პირობებში ძირითადი მამოძრავებელი საშუალებაა ფული. მაგრამ მას ფულის არც შექმნის უნარი აქვს და არც ფულის ყადრი იცის.

ფულის ტრიალმა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე წინ წამოსწია ახალი სოციალური ფენა, მანამდე უცნობი, უუფლებო, არაფრის მქონე. ესენია — მიკირტუმა („გაყრა“), კარაპეტა („ძუნწი“), სარქის ბულდანიჩი („დავა“) და სხვანი. ესენი უწარსულო, ცარიელტარიელნი, არაფრის მქონენი გამოდიან ცხოვრების გზაზე. მაგრამ სამაგიეროდ, მათ ახასიათებს ცხოვრების კარგი ცოდნა, შევიწროებასა და მომჭირნობაში გამოიმუშავებული მტკიცე ნებისყოფა, ანგარიშიანობა, ფულის ყადრი და მაგარი, ამტანი ხერხემალი. აი ამ თვისებებით

გამოდინან ესენი მკაცრ ცხოვრებასთან საბრძოლველად. მათ ბევრი დამცილება. შევიწროება, გაჭირვება გამოუვლიათ და ამ ცხოვრებიდან ერთი ურყევი რწმენა გამოუტანიათ, სახელდობრ — ფულია ცხოვრების გზის მაჩვენებელი და დამატებობელი ძალა. მათ წამყვან რწმენად გადაუქცევიათ შემდეგი მცნება:

„ნიკი, სახელი დიდება ფულთან სუყველა ფუჟია:  
უგუნურიც გამოდგება, თუ ოქროთ იესო მუჟია“.  
(„დავა“).

მშვენიერ, ცოცხალ სურათს გვაძლევს გ. ერისთავი თავის კომედია „გაყრაში“ თავადი ივანე დიდებულისა და ჩარჩ-ვაჭარ მიკირტუმას დაპირისპირებით. ერთი მხრით, ივანეს უნიადაგო ოცნება მომავალი პეუნრეობის მოწყობის შესახებ, მეორე მხრით, ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნე, მის ნაცარტუტაში გამოსული და მისი ანგარიშიანი დამფასებელი მიკირტუმას დემონიური ხითხითი: „სუყველა კარგა ფიქრობ, კნიაზ, მაგრამ ფული, სულ ფული... ფული...“

მიკირტუმას ეს რჩევა ივანესადმი ახალი ცხოვრების ძლევამოსილი კარნახია. ეს რწმენა მიკირტუმამ (კარაბეტამ და სხვათა მისთანებმა) დიდი მსხვერპლის გაწირვით, შრომით, დამცილებით, ხშირად საშუალებებში განურჩევლობით გამოიტანეს ცხოვრების მორევიდან და მოურიდებლივ, გამარჯვებულის ერთგვარი კმაყოფილების შეგნებით თავის ახალ მორალს, მიკირტუმ გასპარჩიის პირით, ასე გამოსთქვამენ:

კტუ ნა სეეეე ჩესნა ბუდით,  
ბუდტ ხასიტ ხლება გუდით.  
(„გაყრა“).

და აკი ამიტომაც იმარჯვებს ეს ახალი სოციალური ფენა. აკი ასე ადვილად ამარცხებს მიკირტუმა ამ დამონებულ, ეკონომიურად, გონებრივად და მორალურად გაწრიოკებულ დიდებულისადათ, კერძოდ, მათ განათლებულ ძმას ივანესაც და სხვა მისთანებს. ყველა ესენი მიკირტუმამ ფულის შემწეობით დაიკირა ხელში: თუ წინათ მიკირტუმას დიდებულისადათვის (და სხვა მათთანებისადათვის) შორიდან სალმის მიცემაც კი უჭირდა, ახლა ის მათ ოჯახში თითქმის თავაკაცად განდა, ყოველ შემთხვევაში თამამად მიდის და დაუმძახლდა კიდევ.

ეს გამარჯვება მიკირტუმამ მხოლოდ ფულის მეშვეობით მიიღო. ფულმა ააღებინა მიკირტუმას თავი მაღლა.

მეტად დამახასიათებელია თათელას მიერ თავისი სიძის, თავად ივანე დიდებულის დალოცვა: „ღმერთმა ადას (ე. ი. მიკირტუმას. — მ. ზ.) შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, ალასავით მომგები გქნა, შვილო“ („გაყრა“).

თათელას დალოცვა თვით ეპოქის ძლევამოსილი კარნახია.

გ. ერისთავს, როგორც რეალისტ მწერალს, თავის კომედიებში

მკვეთრად აქვს მოცემული თავისი დროის ძირითადი სოციალური ფენების ცხოვრება, მათი დამახასიათებელი თვისებებით.

გ. ერისთავმა თავის კომედიებში ასახა აგრეთვე ეპოქისათვის სხვა დამახასიათებელი მწვავე მოვლენები: მოხელეთა მექრთამეობა — ვზიატკინი, სარქის ბულდანიჩი („დავა“), მოხელეთა და სამართლის დაბალი დონე და შეუფერებლობა (იქვე), ბატონისა და ყმის ურთიერთობა („გაყრა“) და სხვ.

გ. ერისთავი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოჩანს როგორც დიდი ნოვატორი. ძველის ისეთი დიდი მომხრე, როგორც იყო პლატონ იოსელიანი, ისიც კი იძულებული იყო ეცნო გ. ერისთავის დიდი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა. კომედია „გაყრის“ წინასიტყვაობაში 1850 წ. პ. იოსელიანი აი სხვათა შორის რასა წერს: „დამწერმან ამა პირველისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთოვმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გვარის მწერლობისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისათვისცა ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხვათა. მაქვს იმედი, რომ... თვითოეული კეთილ-განმზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“.



პირველ ხანებში ქართული თეატრი მხოლოდ გ. ერისთავის პიესებით კმაყოფილდებოდა. მაგრამ მალე გ. ერისთავის ნიჟმა და ხელმა ჯადოსნური სისწრაფით გაწვრთნა და გაზარდა არა მარტო მთელი რიგი ნიჟიერი არტისტებისა, არამედ თანამშრომელ არტისტ-დრამატურგთაც, რომელნიც გ. ერისთავს გატაცებით ამოუდგნენ გვერდში და ქართული საყოფაცხოვრებო კომედიისა და თეატრის საძირკველი მძლავრად და მოხერხებულად გაამტკიცეს.

აი როგორ აფასებს გ. ერისთავის, როგორც დრამატურგიის სკოლის შემქმნელის, ღვაწლს მისი თეატრის თანამედროვე მიხ. თუმანიშვილი: „როგორ მოახერხა თავადმა ერისთავმა ეშველა ურეპერტუარობისათვის. პიესების უქონლობისათვის, ურომლისოდაც არ შეეძლო დასს ჩამოყალიბება? — კითხულობს მიხ. თუმანიშვილი და თავიდანვე იძლევა სწორ ახსნას, — პირველი შემთხვევისათვის მან თვით დაწერა რამდენიმე პიესა, შემდეგ კი, დასის მართვისა და ხელმძღვანელობისას, გარეშე თანამშრომელთა უყოლობის გამო, ასწავლიდა და წინ სწევდა თავისსავე აქტიორებს, აგრეთვე ახალ, მათთვის უცნობი მოღვაწეობის — დრამატიულის ასპარეზზე და მერე რა? გაგიგონიათ როდისმე ანტონოვის, ჯაფარიძის, ღვანაძის, მეიფარიანის შესახებ, შეგხვედრიათ მათი გვარები სადმე მწერლობის სფეროში, მით უფრო

დრამატული მწერლობაში? არა, ალბათ არ შეგხვედრიათ, თუ არა ახლახანს გაკრულ თბილისის თეატრის აფიშაზე. სწორედ ეს ორიგინალური სახელები არიან, ... რომელთაც გ. ერისთავის გამოწვევა ყურად იღეს და რომელთა შრომაზე არის დამყარებული ამ ბოლო დროს, ქართული სცენა... ვიცოცხლოთ, კიდევ ბევრს მოვესწრებით. ამასთან პატივით, გულთადი მაღლობა თავად ერისთავს მისი და მისი ახალკაზრდა თანამოსაქმეების შრომისათვის<sup>1</sup>.

გ. ერისთავის სკოლის პირველი ქართველი დრამატურგები იყვნენ: ზურაბ ანტონოვი — სცენიური საქმის ენერგიული მუშაკი და ნიჭიერი დრამატურგი, გამოსული გ. ერისთავის თეატრული და დრამატურგიული სკოლიდან. მისმა პიესებმა დღემდე არ დაკარგეს ღირებულება და ინტერესი („მზის დაბნელება“, „მე მინდა ქენინა გავხდე“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და სხვ.); გ. დვანიძე — „სახლი კუკიაში“; გ. ჯაფარიძე — „იჭვიანი ქმარი“; მეიფარიანი — „ქმრები გავაბათ მახეში“; ივ. კერესელიძე — მრავალი ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესით.

ამრიგად, არაჩვეულებრივი სისწრაფით მოეწყო და ნაყოფიერადაც გაიშალა ქართული მუდმივი პროფესიული თეატრისა და მისი დასის მუშაობა. საჭირო იყო მხოლოდ სათანადო ხელის შეწყობა. ასეთებიც გამოჩნდნენ.

საზოგადოებრივი ცხოვრების მომენტისა და საქმის დიადი მნიშვნელობის სწორი გაგებით მიხ. თუმანიშვილი გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებიდან მოუწოდებდა მაშინდელ საზოგადოებას: „ჩვენი ანგარიში, — წერს ის, — ჯერ-ჯერობით ვერ მოგვცემს გადამწყვეტ მითითებებს და განა ესე უცბად შესაძლებელია არსებითი თვალთ დანახვა იმ საიდუმლო, უჩინარი კავშირისა, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს ისევე შეუმჩნეველად, მაგრამ მტკიცედ და სწრაფად სხვა ნათელი, შეგნებული ცხოვრების სფეროში? ჯერ-ჯერობით ვხედავთ იმას, რომ ასეთ მაყურებლებთან, რომლებიც შეჩვეულნი არიან სცენიურ სიამოვნებას, წარმოდგენაზე მიდიან აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც არა მარტო სრულებით არ იცნობენ თეატრს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ მხარეს არ იცნობენ. რამ გამოიწვია, მაგალითად, ეს მორიდებული ოჯახები პირველად ბნელი დარბაზებიდან? რამ აიძულა ისინი მოეხსნათ ჩადრები ლოცებში, უცნობთა მეზობლად დამსხდარიყვნენ? რამ მოიყვანა აქ — ეს ყოველდღიური ბაზრის მცხოვრებიც, ეს არისტოკრატიაც, რომელნიც მიმაგრებულნი არიან თვალთათვა და გონებითაც; ერთი — თავის დახლს, ზოლო მეორე — თავის მთასა და ღელეებს? ისინი, რასაკვირველია, უმთავრესად მოიყვანა საქმის სიახ-

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის (ქრისტომათია), ტ. I, შედგენილი ს. ხუციშვილის მიერ, 1955, გვ. 43.

ლემ, რომელიც ასე ახლოა მათთან თავისი მდგომარეობით, მაგრამ შემდეგში. ექვს გარეშეა, მათ მიიზიდავს მოთხოვნილება, მასში მონაწილეობის მიღებისა, რის უფლებასაც კაცს აძლევს განათლება.

აშკარად ქართულ სცენას ეძლევა მეტად კეთილშობილი და ულამაზესი დანიშნულება პირდაპირი და ნამდვილი მნიშვნელობით. ამ მიზნის მისაღწევად მას სჭირდება შსახიობნი და რეპერტუარი. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ორივე დასაწყისშივე რამდენად კარგია და აძლევს სრულ თავდებობას. საჭიროა გაუფრთხილდეთ ენასაც, შსახიობსაც და მაყურებლებსაც, განსაკუთრებით მაყურებლებს, რომელნიც ასეთი ნდობით უყურებენ ახალ საქმეს, ახალ სასარგებლო და სასიამოვნო სახანაობასაც<sup>1</sup>.

მის. თუმანიშვილის მოტანილი წერილი მეტად საგულისხმოა. ჩვენთვის, როგორც აზრი და გაცნა გ. ერისთავის თეატრის თანამედროვისა, როგორც ცოცხალი ფაქტი საზოგადოების შთაბეჭდილებისა და განწყობილების გასათვალისწინებლად. თეატრის მნიშვნელობისა და დანიშნულების დაფასებისათვის საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის, რას აძლევს თეატრი საზოგადოებას, მაყურებელს, არამედ ავრთვე, ვინ არის ეს მაყურებელი, როგორია მისი ინტერესი, რას აძლევს ის თეატრს. მის. თუმანიშვილის აღნიშნული წერილი ამ საკითხში გარკვევისათვის მკითხველს. თუ პეტრს არა, ზოგიერთ საგულისხმო ცნობას. უდავოდ, აძლევს.

მაგრამ გ. ერისთავის თეატრის წარმოდგენების წარჩინებით წარმართვას მრავალი დაბრკოლება გადაელობა:

1. ქართულ წარმოდგენებს არა ჰქონდა თავისი საკუთარი შენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დამოუკიდებელი, დაუბრკოლებელი მუშაობის გაშლა, ისინი თბილისის თეატრში ხან რუსული წარმოდგენების და ხან იტალიური ოპერის დამატებად იმართებოდნენ. თუ ქართული წარმოდგენა საღამოს დასაწყისში იყო დანიშნული, საზოგადოება დაგვიანებით მიდიოდა თეატრში, და თუ საღამოს ბოლოს, — მაშინ რუსული ან იტალიური წარმოდგენების გათავებისას ხალხი იშლებოდა, თეატრის დარბაზი ცარიელდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენდა, როგორც ქართველ არტისტებზე, ისე საზოგადოებაზე.

2. წარმოდგენებზე ბილეთების ფასი საგრძნობლად დიდი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა წარმოდგენებს ფართოდ ვერ ესწრებოდა. ცნობილია, ხელოვნებამ, კერძოდ, თეატრალურმა ხელოვნებამ, რომ საზოგადოებაში ფესვი გაიდგას და თავისი კულტურული როლი შეასრულოს, საჭიროა, რომ ის მისთვის ხელმისაწვდომი იყოს. მაგრამ თბილისის თეატრის დირექცია 50-იან წლებში ამას ანგარიშს სრულიად არ

<sup>1</sup> «Кавказ», 1851, № 10, 11.

უწევდა. ამიტომ ხშირად ქართულ წარმოდგენებზე პარტერი ცარიელი იყო, სამაგიეროდ. ქანდარა ხალხით ივსებოდა. ჩანს, ქართული წარმოდგენები დასაწყისიდანვე დაბალი მასების სიმპათიასა და თანაგრძნობას იწვევდა.

რუსული თეატრის დირექცია არა ზრუნავდა ქართული წარმოდგენებისათვის შეექმნა შესაფერი დეკორაციები და კოსტუმები. ქართული წარმოდგენები დადგმის მხრით არ იყო ხელშეწყობილი.

აი რა საგულისხმო ცნობას გვაძლევს გაზეთი „კავკაზ“-ი 1854 წელს ზურაბ ანტონოვის „ქოროლი“ დადგმის შესახებ: „სამწუხაროა, მხოლოდ რომ ზ. ანტონოვის პიესის დადგმა სრულებით არ შეეფერება მის სიუჟეტს, რომელიც, როგორც ცნობილია, აღებულია აღმოსავლეთის საერთო გადმოცემიდან ამიერკავკასიის შესანიშნავ ყაჩაღზე. დადგანში მრავალი შეუსაბამობა იყო. მაგ.. ოსმალეთის ფაშის ოთახი სხვა არა იყო რა, თუ არა გერცოვის სასახლის დარბაზი ოპერა „რიგოლეთოდან“; გულნარას ციხის ფანჯრები სრულებით არ მოგაგონებდათ ციხის ბნელ თაღებს, იმიტომ, რომ ისინი, ალბათ, აღებული იყო რომელიმე ოთახი ვოდვეილიდან... კოსტუმებიც არ იყო ახალი და შესაფერი“<sup>1</sup>.

ქართული წარმოდგენების აბუჩად აგდება ცხადია. ქართული წარმოდგენების ეს მდგომარეობა ფანსაკუთრებით გაუარესდა მეფისნაცვლის ვორონცოვის ამიერკავკასიიდან წასვლის შემდეგ. თბილისის დირექტორებისაგან, ხოლო ყველაზე მეტად ბოგდანოვისაგან ქართული წარმოდგენებისა და არტისტების შევიწროება პირდაპირ დაუჯერებელი შეზღუდვის უხეშ ფორმებს იღებდა.

1854 წლის დასასრულს გაწვალბულ გ. ერისთავს გამოეცხადა, რომ ქართულ თეატრს სუბსიდია ხაზინიდან აღარ მიეცემა, რამაც გ. ერისთავს მოთქინება დააკარგვინა, გული გაუტეხა, შიანება თავი თეატრს, თბილისს და სოფ. ხიდისთავში გადასახლდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახლად აღორძინებული ქართული თეატრის მოყვარული არტისტები ვერა სთმობდნენ თავიანთ საყვარელ საქმესა და ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რათა ქართული წარმოდგენები ეწარმოებინათ, მაინც მათ ვერ შესძლეს, რადგანაც ვორონცოვის შემდეგ მეფისნაცვალის კანცელარიის მმართველი ბებუთოვი და რუსული თეატრის დირექტორი ბოგდანოვი ყოველმხრივ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ფანატიკოსმა ქართველმა არტისტებმა ივ. კერესელიძის ხელმძღვანელობით სცადეს ერთი სეზონი ეწარმოებინათ ქართული პიესების მართვა. მართალია, ხალხი მრავლად და მხურვალე ინტერესითაც ესწრებოდა წარმოდგენებს, მაგრამ დარბაზი პატარა იყო, მაყურებელთა

<sup>1</sup> Театр в Тифлисе с 1845—1856 гг. 1888, გვ. 145.

მეტად მცირე რიცხვს იტევდა. ამიტომ შემოსავალი გასაჯალს ვერ ანაზღაურებდა.

არტიტთა შეუპოვარი ჯგუფი მაინც ფარ-ხმალს არა ჰყრიდა. მან კვლავ მიმართა მთავრობას ნება მიეცა რუსული თეატრის შენობაში გაეშართათ ქართული წარმოდგენები, მაგრამ რუსული თეატრის ანტრეპრენიორმა ივ. შადინოვმა, რომელსაც ევალეობდა ამ საკითხის მოწესრიგება, დაინტერესებულ პირთ გამოუცხადა, ქართულ წარმოდგენებს თეატრში დაეთმობა ერთი საღამო მხოლოდ იმ პირობით კი: რომ მათ მთავრობა არავითარ დასმარებას არ გაუწევდა.

ამით დამთავრდა გენერალ მურავიოვის მმართველობის დროს ცდები ქართული სცენის აღდგენისა.



გ. ერისთავის მიერ ნიჰიერად, დიდი ოსტატის ხელით შექმნილი ქართული საყოფაცხოვრებო თეატრი 1856 წლის დასასრულს შეწყდა. ქართული მუდმივი თეატრის არსებობა ქართველი საზოგადოების ღრმა და გადაუღებელი მოთხოვნილების მძლავრი შედეგი იყო. ამიტომ, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური პირობებისა, ქართული წარმოდგენები არ შეწყვეტილა. ქართული წარმოდგენები დროდადრო მაინც იღვკებოდა, მრავალ მაყურებელს იზიდავდა, ჩნდებოდნენ ახალგაზრდა ნიჰიერი სცენისმოყვარულნი — არტიტები, იზრდებოდნენ ახალგაზრდა დრამატურგები. თითქმის ყველა მათ გ. ერისთავის, როგორც ქართული საყოფაცხოვრებო დრამატურგიისა და თეატრის შემქმნელის, დიდი გავლენის ბეჭედი ემჩნეოდათ.

60—70-იან წლებში მუდმივი ქართული თეატრის არსებობა, როგორც ერთ-ერთი მძლავრი საშუალება ქვეყნის კულტურული აღორძინებისა და ხალხის გათვითცნობიერების საქმეში, ქართველი საზოგადოების გადაუღებელ მოთხოვნილებად იგრძნობოდა. ეს მოთხოვნილება, როგორც მძლავრი მოწოლა, განხორციელდა 1879 წელს, როდესაც შესდგა თეატრალური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია მუდმივი ქართული თეატრისათვის, ეზრუნა მისი სათანადო მოწყობისათვის, არტიტთა დასის შედგენისა და უზრუნველყოფისათვის.

სწორედ ამ ხანად წამოზვირთდა მძლავრი ბირთვი სცენიურ მოღვაწეთა — ნიჰიერი არტიტებისა და დრამატურგებისა. არტიტები: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ნატალია გაბუნია-ცაგარელიისა, ბარბარე ხერხეულიძე-ავალიშვილისა, და სხვე-

ბი. რომელთაც შექმნეს ბრწყინვალე პერიოდი ქართული თეატრის ისტორიაში.

მათ გვერდში ამოუდგნენ დრამატურგები: ავქს. ცაგარელი, ბარბარე ჯორჯაძისა, დავით ერისთავი, ვასო აბაშიანი, ვალერიან ვუნიანი, აზიანი, დავ. კლდიაშვილი და სხვანი. რომელთაც გაამდიდრეს ქართული თეატრის რეპერტუარი, განამტკიცეს ქართული თეატრის საყოფაცხოვრებო წამყვანი ხასიათი და რომელთაც გ. ერისთავის დიდი და უდავო გავლენა განიცადეს, ყველა ესენი გ. ერისთავის დრამატიული ნიჭისა და მის მიერ შექმნილი საყოფაცხოვრებო პიესების საბუდარში გამოიშუშნენ და დავაჟაცდნენ.

გ. ერისთავის გავლენა, უდავოდ, ამჩნევიათ საქართველოში მცხოვრებ სომეხ დრამატურგებსაც: გაბრიელ სუნდუკიანცს („პეპო“, „ნათაბლა“, „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“, და სხვ.), ალალო თუთაძეს („ფლავი ვის უღვა და იშტავისა აქვს!“).

სამართლიანია ვ. გუნია, როცა წერს: „ჩვენი სცენა დაიბადა ქვეყნად ღარიბად და უმწეოდ, მაგრამ სამაგიეროდ დაბადებისთანავე გაპოპულარული იმდენი ნიჭი, სიყვარული და გულქველობა, შრომის და ჯაფის ხალისი, მეცადინეობა და კუბუქისებური იმედი, შეუდრეკელი ხასიათი და პრძოლის უნარი, რომ მტერი არ გაახარა და მოყვარე არ აატირა“<sup>1</sup>.

ქართული სცენის მოყვარებებმა, განსაკუთრებით ქართველმა არტისტებმა, მართლაც, დიდი სიყვარული, გატაცება, საზოგადოებრივი შეგნება გამოიჩინეს; ისინი ხშირად დიდი მსხვერპლის გაწირვით ახერხებდნენ მეტად მძიმე, ხშირად მათი პირადი ინტერესებისა და თავმოყვარეობის შემლახველ პირობებთანაც კი, იდეურ ბრძოლას, იმ ღრმა რწმენით ეამსვენებულნი, რომ თეატრი ცხოვრების ცოცხალი სარკეა, რომ ის ხალხის მასების გათვითცნობიერებისათვის მძლავრი ტრიბუნაა და ამიტომ ის უკეთესი მომავლის ძიება-მოპოვების საქმეში ხალხის მასებთან მჭიდრო კავშირში მოწინავე მებრძოლი უნდა შეიქმნას, მაშინ ის, როგორც იტყოდა ვ. გუნია, „არამც თუ ათის, არამედ ასის და მეტის წლის ღვაწლსაც იღღესასწაულებს ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ და საბედნიეროდ“<sup>2</sup>.

და ასეც მოხდა, აღსრულდა მათი სანუკველი მისწრაფება! დღეს ჩვენი ქვეყნის დიადი მშენებლობის ეპოქაში, გ. ერისთავის თეატრის ასის წლის თავზე, ჩვენ გვაქვს მუდმივი ქართული თეატრი ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით სოციალისტური, არა ერთი და ისიც კვირაში ერთი წარმოდგენის უფლებით, არამედ რამდენიმე ათეული მუდმივი ქართული თეატრი ცენტრსა და

<sup>1</sup> ვალ. გუნია, ქართული თეატრი, 1953, გვ. 17.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 187.



პერიფერიებში, ხელოვნების მაღალ საფეხურზე აყვანილი და განვითარებული, სადაც თითქმის ყოველდღიურად, ხოლო კვირა-უქმეებში კი დილა-სალამოთი, იდგმება წარმოდგენები.

ასეთი ბრწყინვალე აყვავება და გაშლა ჩვენი თეატრალური ხელოვნებისა ასის წლის წინად ქართველ მოწინავე საზოგადოებასაც კი სიზმრადაც არ მოეჩვენებოდა.

## ილია ჭავჭავაძე ნიკო ნიკოლაძის კრიტიკის შუქზე<sup>1</sup>

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, განსაკუთრებით ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ რუსეთისა და მასთან თანდათან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებაც უჩვეულო აჩქარებით იწყებს განვითარებას. ესაა დიდი სოციალური ძვრების, ქართველი საზოგადოების გამოფხიზლება-გამოღვიძების, საქართველოს ახალი გზის დაძაბული ძიება-გამორკვევის ხანა. არამც თუ ყოველი ათეული, არამედ, შეიძლება ითქვას, ყოველი ახალი ხუთეული წელი ახალ-ახალი მოვლენის თუ მოვლენების მომტანია, ან უკვე მოტანილის ახალი გართულება-გაღრმავების მომთხოვნია: ცხადია, ასეთ გარემოებაში ქართული საზოგადოებრივი აზროვნებაც სწრაფად იცვლის სახეს, იწყება საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაცია და ჩნდება ახალი საზოგადოებრივი დაჯგუფებანი.

ქართველი ხალხის ცხოვრებისა და აზროვნების გამომხატველი ქართული ლიტერატურის ასპარეზიც, ბუნებრივია, ივსება ახლებურად, ახალი ცხოვრების პირობების ალღოს ამღები ახალი თაობის მოღვაწეებით. ჩნდება ახალი ყალიბის საზოგადო მოღვაწე-ინტელიგენცია, ე.წ. თერგდალეულთა მძლავრი რიგებით: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვ. მათ შესამჩნევად შეუტიეს ჩვენი მაშინდელი ცხოვრების წინმსვლელობის დამაბრკოლებელ, ჩამორჩენილ, დრომოკმულ, უარყოფით მოვლენებს როგორც სიტყვით და კალმით, ისე პრაქტიკული საქმიანობით. ასეთს გარდაშავალ პერიოდში, ბუნებრივია, მათ შორის წინააღმდეგობებიც ჩნდებოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საკითხში ისინი ინდივიდუალური აზროვნების თავისებურების შენარჩუნების ტენდენციის მატარებელნი იყვნენ, შესაძლებელია, ხანდახან პირადი ტენ-

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, 1965.

დენციის გამოყენება ზომზე მეტად კი თვალსაჩინო ხდებოდა, „ნოვოე“ შენახვაში უკიდურესობაშიც გადადიოდა, მაინც მათი მოღვაწეობის გზა თუ სარბიელი, როგორც მათი უმრავლესობა თვითონაც აცხადებდა, — ერთი, საერთო იყო — ქართველი ხალხის თავისუფლებისა და კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების გაძლიერება. სხვადასხვა საკითხში სხვადასხვა შეხედულება არც ერთს მათგანს ხელს არ უშლიდა ამ საერთო გზის გაჭრის საქმისათვის მუდამ განუხრელად, წმინდად ემსახურნა.

განსაკუთრებით მაშინ მელაგნდებოდა მათი მოქალაქეობრივი ბუნების მიზიდველობა, როცა საკითხი საერთო საეროვნო ინტერესს ესებოდა: პირადს საზოგადოებრივს უმორჩილებდნენ, შეთანხმებულნი, როგორც ერთი, აღდგებოდნენ საზოგადოებრივის დასაცავად.

ეს მშვენიერად ჩანს ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის ურთიერთობიდანაც. ეს ორი გოლიათი ნიჭიერი კალმოსანი, ერთს საერთო სამწერლო ფრონტზე ამომუშავენი ერთისა და იმავე გარემოს დამკვირვებელნი და გამომხატველნი არიან. ეს ორივე ერთი და იმავე ეპოქის თვალსაჩინო მოღვაწე, უდავოდ, კარგად გრძნობდა ერთმანეთის ღირსებასა და თავისი ქვეყნისათვის საჭიროებას. ამიტომ ისინი ერთმანეთს გასაოცარი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ერთმანეთის ღვაწლს ქვეყნისათვის მართებულად აფასებდნენ არა ერთმანეთის ამაღლება-დამდაბლებლის მიზნით, არამედ ქვეყნის კულტურული ცხოვრების სწორი, სასარგებლო განვითარების მიმართულებით.

მაგალითად, 1889 წლის 20 მაისის „ნოვოე ობოზრენიეში“ ნ. ნიკოლაძე წერს: „მის (ილ. ჭავჭავაძის — მ. ზ.) ბევრ შეხედულებას არ ვიზიარებ, მისი მოქმედება არ მომწონს, მაგრამ მიუხედავად ამისა. უდავოდ, ის კაცია, ის ძალაა“. აგრეთვე, მიუხედავად ნ. ნიკოლაძის ასეთი დამოკიდებულებისა, როდესაც 70-იანი წლების დასაწყისში წამოიჭრა საკითხი ქართველი მწერლების ძალების გაერთიანებისა. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინება-გაძლიერებისა, ნ. ნიკოლაძე ერთი პირველთაგანი იყო სხვებიც დაეჯერებინა და წასულიყვნენ ილია ჭავჭავაძესთან დუშეთში, სადაც იგი ამ დროს მსახურობდა, და ეთხოვნათ მისთვის, გადმოსულყო თბილისში და გაზ. „დროებასა“ და ჟურნალ „ქრებულს“ სათავეში ჩასდგოქოდა.

„საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი, — სწერს ნ. ნიკოლაძე ცნობილ პუბლიცისტს და კრიტიკოსს რ. ხომლელს, — და ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება განვიზრახე (1870-იანი წ.), ილია ჭავჭავაძე ...დუშეთს ცხოვრობდა, საცა მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინ-

დელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871-1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი (ლუარსაბ ანუ შაქრო მალალაშვილი, სანდრო ერისთავი „ამერიკელი“, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ლოლობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე). ბევრჯელ დავვიპატიუნა: მოდიოთ მეთაურად გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-მეთქი. განახლებული, გაღვიძებული „დროება“ და სხივ-მოსილი „კრებული“... საქართველოს საქმეს ვუძღვენი და ილიას ხელში ჩავაბარე“<sup>1</sup>.

ილ. ჭავჭავაძის წერილი (1873 წლის) ნიკო ნიკოლაძისადმი ამგვარსავე დამოკიდებულებას მისადმი მკვერამეტყველურად გვისაბუთებს.

ილ. ჭავჭავაძის ეს წერილი გამოწვეული იყო ნ. ნიკოლაძის მიერ 1873 წ. ნოემბ. გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილი ღია წერილით „მშვიდობით, მშვიდობით!“ ნ. ნიკოლაძის წერილი კი წარმოშვა მისი მოწინააღმდეგეების მიერ მისადმი ზურგს უკან მოუხრიდებელმა, დაუმსახურებელმა, უმადურმა მითქმა-მოთქმამ. ამ წერილით ნ. ნიკოლაძე, ერთგვარი უკმაყოფილო, ნაწყენი მიმართავს ქართველ მკითხველ საზოგადოებას, რომ ის სტოვებს, შორდება მას, ვინაიდან მან სიმართლით არა თუ ვერ შეაფასა, ვერ გაიგო მისი კეთილი ზრახვა-მოქმედებანი.

ილია იმ დროს საბანკო საქმეების გამო მოსკოვ-პეტერბურგს იმყოფებოდა. ნიკოლაძის ღია წერილით შემფოთებული ილია ნ. ნიკოლაძისადმი თავის წერილს პ. უმიკაშვილს უგზავნის და სთხოვს ადრესატს საჩქაროდ გადასცეს.

აი, ილიას ეს მეტად საგულისხმო წერილი, რომელსაც ეპოქალური ხასიათი აქვს.

„ძმაო, ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, — წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არა მჯერა. ნუთუ მართლა შენ დასწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათს ბზუილზე გაფრთხი? მე იმოდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრყევოს“<sup>2</sup>.

და ამ დაუჯერებლობას რომ უფრო ღრმა, შთამაგონებელი ძალა

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძის წერილი რ. ხომლეღისადმი, ეურნ. „განთიადი“, 1915, № 8; პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი); ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, 1951, გვ. XC VII.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, 1961, გვ. 44.

მისცეს, ილია, მისთვის ჩვეულებრივი გონიერულობით, ნ. ნიკოლაძის წერილის დაწერის მიზეზს შემდეგნაირად ხსნის: „მე მგონია, — განაგრძობს ის, — რომ ეგ ფელეტონი წუთიერი მღელვარების შედეგია და არა დამჭდარი გონების დასკვნა“. და რომ ეს არ არის დიდი ცოდვა და შესაძლებელია ბუნებრივია, ილია ამ გარემოებას ასე გახსნის: „წუთიერი მღელვარებით გატაცება შენისთანა მღულარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავაძარტლებ შენს ფელეტონს“.

ამის შემდეგ ამ წერილში ილია დიდი საზოგადოებრივი ჩაწვდომით იშვიათ მახვილ და სწორ დახასიათებას იძლევა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, განსაკუთრებით ჩვენი საზოგადოების ჩამორჩენილი ნაწილის და მასთან ნიკო ნიკოლაძის მნიშვნელობის, მისი ადგილის — პოზიციის გარკვევა-შეფასებას ახალი თაობის აქტიურ მოქმედ მოღვაწეთა ე. წ. თერგდალეულთა შორის.

ილია მეგობრული საყვედურით ომახიანად შესძახებს ამ შემთხვევაში წინდაუხედავად აჩქარებულს, საჭირო და სასარგებლო თანამებრძოლს: „ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? იქაო, ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებააო... მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ზრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირობს ვადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი, რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავანად გვეგულებოდი, ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნობაა“<sup>1</sup>.

ილ. ჭავჭავაძე ნ. ნიკოლაძეს, როგორც საიმედო, საყვარელ და საჭირო-სასარგებლო თანამოკალმე-თანამოღვაწეს, ჩაწვდომი კილოთი შოგანებს და გაუხზავს, რა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებით დაიწყეს მათ მოღვაწეობა, სამწერლო და საზოგადო ასპარეზზე, რა მოვალეობა აკისრია თანამედროვე ცხოვრების მძიმე და მოუწყობელ, უმსგავს პირობებში ნამდვილ კაცს, საზოგადო მოღვაწეს და ასე განაგრძობს შეგონებას: „განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზე, რომელსაც შენ დაადეგ. ათასი ვაივაგლახი, ბეზლი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხედებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალა გქონია, რომ მეკვდრებიც კი ააყაყანე, მეტი რა გინდა?... პირმოთენობაში ნუ ჩამომართმევ, — და შენ მე პატივს გცემდი როგორც ნიჭიანს, რიგიანს. გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცური-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა“<sup>2</sup>. მართ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თს. სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, 1961, გვ. 45.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 46.

ლაც. აქ მშენივრად, შეკუმშულად და დახვეწილადა მოცემული ნიკო ნიკოლაძის დახასიათება, როგორც ეპოქისათვის საჭირო და დიდი ფიგურის. საზოგადო მოღვაწისა.

ილიამ დაახასიათა რა ნიკო ნიკოლაძე, როგორც „მდულარე კაცი“, ე. ი. კეთილშობილი, აქტიური მოქმედი მოქალაქის ბუნების მქონე, მართლაც რა საზოგადოებრივ სიდუხჭირეზე და მოაგონა რა მოღვაწის როგორი მოვალეობის შეგნებით გამოვიდნენ ისინი სამოღვაწეო ასპარეზზე. თხოვნიდა თუ მეგობრული მტკიცე მოთხოვნით მიმართავს: „დარჩი მავ უბედურს ქვეყანაში; სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებ მას. რაც ვგრე რიგიანად, შენ თვითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე, — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შეველა და არავის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს. და შენ. ჩვენს მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს, გააბატიებთ წუთიერი სისუსტეს და სულმოკლეობას და თვით შეურაცმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეპ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წავიღოს; ვეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება“<sup>1</sup>.

ილია ქავჭავაძის ეს წერილი მშენივრად, დაკვირვებული მკითხველის გულში ჩაწვდომით გვიხსნის 60—70-იანი წლების ქართული მოწინავე საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების გულისტკივილს და ვითარებას. ეს წერილი შთაშაგონებლად გვაგრძობინება ამ თაობის სანუკვარ სურვილს, ყველა და ყველაფერი გასინჯოს და შეაფასოს მხოლოდ ქვეყნის გაჯანსაღება-წინმსვლელობის თვალსაზრისით. ამ პოზიციიდან ისინი არაფერსა და არავის ერიდებოდნენ, თავგამოდებით ფაფარაყრილ ვეფხვსავით იბრძოდნენ, გასაკიცხს კიცხავდნენ, დასათრგუნს — სთრგუნავდნენ, მოსაწონს — იწონებდნენ. ბრძოლის პირობებში მომეტებული სურვილებით გატაცებულნი, ბუნებრივია, უკიდურესობაშიაც ვარდებოდნენ, ერთმანეთსაც არ ინდობდნენ, აკრიტიკებდნენ, მაგრამ, როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკითხი როცა საერთო საქვეყნო ინტერესებს ეხებოდა, პირადს გამუდმებით საზოგადოებრივს უმორჩილებდნენ, ქვემარბიტებას არა ღალატობდნენ, იწოდნენ „ვით სანთელი“, როგორც აკაკიმ სთქვა.

ასეთია ილიას აღნიშნული წერილის არსი და მიზანდასახულობა, ასეთია მათი ურთიერთდაზოკიდებულება თუ შეფასება.

• • •

ნიკო ნიკოლაძის ნიჭი და მოღვაწეობა მრავალწახნაგოვანია და თვალსაჩინო: იგი ნიჭიერი და ფართო პორიზონტის პუბლიცისტი,

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, 1961, გვ. 46.

ასეთივე კრიტიკოსი, ჟურნალისტ-რედაქტორი, ფინანსისტი, პოლიტიკური მოღვაწე, პოლიტიკური პამფლეტისტი, გონიერი, შორსმჭვრეტელი ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე. ალღოიანი ორგანიზატორია სხვადასხვა სასარგებლო პრაქტიკულ-კულტურული წამოწყებებისა; მისი მოღვაწეობა ენციკლოპედიურია. ამჟერად, ჩვენი მიზანია მისი მოღვაწეობიდან მხოლოდ ერთი საკითხი განვიხილოთ — ილია ჭავჭავაძე, როგორც ლიტერატორი, ნიკო ნიკოლაძის კრიტიკის შუქზე.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ილია ჭავჭავაძის თანამედროვე, თანამგზავრი-თანამოკალმეა. იგი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის თანდათანობითი გაშლისა და მისი საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის უშუალო უახლოესი მოწმეა.

ნიკო ნიკოლაძე 60-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე თავის კალამს გაბედულად, ნაყოფიერად და მკვირცხლად ამოქმედებდა არა მარტო ქართული ცხოვრებისა და ლიტერატურის განხილვა-შეფასებაში, არამედ რუსულსა და უცხოურშიც.

ცნობილია, ნ. ნიკოლაძე, იღებს რა განათლებას რუსეთში, პეტერბურგის უნივერსიტეტში, მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან, მის ლიტერატურასა და აზროვნებასთან, მის აზრთა მფლობელ ნ. გ. ჩერნიშევსკისთან. შემდეგში იგი მიდის დასავლეთ ევროპაში. იქ უახლოვდება ა. გერცენს, ნ. ოგარევს, ხდება „კოლოკოლის“ თანამშრომელი — იღებს ფართო განათლებას, რამაც მისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი ასე შეავსო, გაამახვილა და დახვეწა, მისი ცოდნა გაამრავალფეროვანა. მისი კრიტიკული ნიჭიც, მისი მუდამ მოქმედი, მართებული მიმართულებისა და მოღვაწეობის გზის მაძიებელი „მღელარე“ ბუნებაც დახვეწა.

ამ ძიებაში ნ. ნიკოლაძე ერთ-ერთ ძირითად დამმზარე საშუალებად სთვლიდა ლიტერატურას. როგორც მკითხველი მასისადმი ცოდნის და სალი განწყობილების მიმართულების მიმცემ ძლიერ წყაროს. იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა აგრეთვე ლიტერატურულ კრიტიკას, როგორც დამმზარე აქტიურ ძალას. ლიტერატურულ ნაწარმოებში მრავლად ჩაქსოვილი აზრების, ცხოვრების მოვლენების სწორი გაგება-აანსნის შემფასებელს, ასეთი კრიტიკული ნიჭით ნ. ნიკოლაძე უხვად იყო დაჯილდოებული. ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა თავისი ნიჭიერი კრიტიკოსის თანამოკალმის ილ. ჭავჭავაძის ბრძნული თქმა — „რაც ცხავია ხევისათვის, ისიც კრიტიკაა ლიტერატურისათვის“.

70-იანი წლების მიწურულში ქართულ ლიტერატურასა და კულტურულ ცხოვრებას კარგად გაცნობილი ნ. ნიკოლაძე მკვ. „ობზორში“ გაბედულად და მოურიდებლად წერს: „ჩვენ კრიტიკა არა გვაქვს... ადვილი გასაგებია, რომ კრიტიკის უქონლობა. სერიოზული, ფილოსო-

ფილური კრიტიკისა. განვლილი გზისა და მისი გავრძელების. მორივი ამოცანების სარწმუნოდ დაჭაპების მაჩვენებლის, ქართულ ლიტერატურაზე მეტად არახელსაყრელ გავლენას ახდენს<sup>1</sup>. ნ. ნიკოლაძე ამ წერილში საპართლიანად აღნიშნავდა, რომ ჩვენი მწერლების ნაწარმ-ნაფიქრალს არაეინ აერთებს ერთ მთლიან ფოკუსში, არაეინ არ გააოჰ-ყოფს მწერალთა შემოქმედების მთაეარ ნიშნებს, რათა მათი შემწეო-ბით თანამედროვე ცხოვრების შესახებ გამოიტანოს — ჩვენში არ არის გარკვეული შემაერთებელი დასაბამი, საერთო ხაზი. აქედან ბუნებრი-ვია გონივრულად არ არის ახსნილი — განმარტებული ლიტერატუ-რული მიმართულება. ნ. ნიკოლაძის შესედულებით, აქ ამ მიმართუ-ლებით, მხოლოდ შემთხვევითი დაქუცმაცებული მუშაობაა, საიდანაც იშვიათად რომ ვინმემ სარგებლობა მიიღოს. ქართული ლიტერატურის-ათვის ყველაზე დიდ ნაკლად ნ. ნიკოლაძეს ის გარემოება მიაჩნია, რომ სერიოზული კრიტიკა ჩვენში ლიტერატურის საერთო მიმართულებას არასოდეს არ შეჰხებია.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ჩვენში მხოლოდ ერთხელ იყო ცდა, როდესაც ილ. ჭავჭავაძემ 1861 წელს ჟურნ. „ცის-კარში“ მოათავსა „ბაჰფლეთი მაშინდელ მოღვაწეთა მიმართ“ (იგუ-ლისხმება ილ. ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავ. რ. შ. ერის-თავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედ“ — მ. ზ.). „ეს ბაჰ-ფლეთი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ჰვიღავდა წვრილმანს. მწერალთა-ენას, მათ განუვითარებლობას, მათ ზრუნვას მარხვებისა და დღესას-წაულების შესახებ და ა. შ. მაგრამ ყველას ახსოვს, რომ ბეჰდვის სა-ერთო მიმართულების საკითხის ამ სუსტმა შეხებამაც, რა დაუფასებე-ლი სარგებლობა მოუტანა ქართულ ლიტერატურას. ასტყდა კიჟინა: ილ. ჭავჭავაძეს ლანძღავდნენ. სახელს უტეხდნენ, ღმერთმა უწყის, მის შესახებ რას სწერდნენ და ბეჰდავდნენ. მიუხედავად ამისა, ქართული ლიტერატურის ძველი მიმართულება ძირშივე შეიქმნა გადატეხილი და შეიცვალა უფრო ახლით, უფრო ხელშემწყობით, უფრო სასიცოცხ-ლოთი. ამ ცდის გარდა, ვამბობ, ქართულ ლიტერატურაში ჰერ კიდევ არც ერთხელ არ იყო ცდა მის საერთო მიმართულების საფუძვლებსა და ხასიათში კრიტიკული გარკვევისა“<sup>2</sup>.

გასაგებია ნ. ნიკოლაძის ამგვარი კრიტიკული შეტევა. აქ ნ. ნიკო-ლაძე შესანიშნავად უსვამს ხაზს ილ. ჭავჭავაძის კრიტიკული მოღვა-წეობის დიდ მნიშვნელობას, როგორც სალი მიმართულების მიცემის — საჰირბორტო საკითხების თუ მოვლენების გაბედული, გონივრული პერსპექტიული გაშლის თვალსაზრისით, ისე თვითონ ამ კრიტიკის ღირსებათა თვალსაზრისითაც. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ იმ

<sup>1</sup> «Обзор», 1880, 18 января, № 394.

<sup>2</sup> იქვე.



დროისათვის—1861 წ. ილ. ჭავჭავაძის ხსენებული წერილი არ იყო „სკესტი შეხება“. ჩვენი მწერლობისათვის ეს ფრიად სასარგებლო და დროული იყო. კრიტიკა სერაიოზულ საფუძვლებზე უნდა დამდგარიყო.

ასეთი კრიტიკის არსებობისათვის, ნიკო ნიკოლაძის სამართლიანი აზრით, საჭიროა: ა) კრიტიკოსის ზოგადი ფილოსოფიური განვითარება; ბ) კრიტიკოსის განზოგადების ნიჭი, მისი თანამედროვე აზროვნების მოძრაობის დონეზე ყოფნა და გ) მის მიერ ყოველი ჯგუფობრიობისა და პიროვნულობის უარისყოფა. სწორედ ასეთად ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია ილ. ჭავჭავაძის ხსენებული კრიტიკული წერილი, რომელიც, მისი სამართლიანი აზრით: ქართულ მწერლობაში ახალ, უკეთესობისაკენ მობრუნების ხანას იწყებს.

„ობზორის“ 1880 წლის 4 იანვრის ნომერში ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ასე საჭირო შეიქნა საზოგადოებრივი მტკივნეული საკითხების ახსნა-განმარტება, ქართული ლიტერატურა — პრესა არ იყო პოპულარული. ამაში ჩვენი კრიტიკოსი ბრალს დებს გაზეთებს — „ივერიას“, „დროებას“ და მათ ხელმძღვანელებს — ილ. ჭავჭავაძესა და ს. მესხს.

აღნიშნულ გარემოებას ნ. ნიკოლაძე ასე ხსნის: „ჩემი აზრით, ამ მიუწვდომელი საოცრების მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს. რომ ქართული ლიტერატურის ახლანდელი წარმომადგენელნი — უფ. უფ. ჭავჭავაძე და ს. მესხი თავის დროს ჩამორჩნენ. ისინი ქართველი საზოგადოების თანადროულობის საჭიროებისა და მოთხოვნილებისაგან შორს დგანან. ჩემის შეხედულებით, ამის საუკეთესო დამადასტურებელია თავ. ჭავჭავაძის გამოცემებში სიმრავლე წერილებისა და ბელეტრისტულ ნაწარმოებთა, აქამდე რომ ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძვიან და ჩვენი ცხოვრების საარქივო საკითხებს ეხებიან. უახლოეს დღიურ საარსებო საკითხებს, სამწუხაროდ, იშვიათად რომ გამოცემებში ოდესმე ეხებოდნენ და, თუ ეხებიან, უგერგილო და უვიცი ხელით, „სხვისი ხმით“<sup>1</sup>.

70-იანი წლების ქართული ლიტერატურის არაპოპულარობის მეორე მიზეზი, ნ. ნიკოლაძის თქმით, ის არის, რომ იმდროინდელი ხელმძღვანელები, განსაკუთრებით კი ილ. ჭავჭავაძე, ძალიან სცდებიან, რომ ნებაყოფლობით გზას იმოკლებენ თავიანთი ნაწარმოების გავრცელებაში. ეს მწერლები გაუბრძიან შეეხონ შეძლებულ წოდებათ, მაგალითად, თავად-აზნაურთა წარმომადგენლების პრივილეგიებს. რომელთა ეკონომიური ინტერესი ეწინააღმდეგება გლეხობისას; ესენი ფიქრობენ, რომ არ ღირს ამ აწეწილ ინტერესთა — „მიწისმოქმედთა მიწისმფლობელთადმი“ დამოკიდებულების — შებმა. ეს გარემოება ვითომც, ილ. ჭავჭავაძისა და ს. მესხის და სხვათა შეხედულებით, გამოიწვევს

<sup>1</sup> «Обзор», 1880, 4 января.

თავად-აზნაურთა მიერ ლიტერატურისა და კითხვისადმი ზურგის შექცევას.

70-იანი წლების ქართული ლიტერატურის არაპოპულარობის მესამე დაბრკოლებად ნ. ნიკოლაძეს ის გარემოებაც მიაჩნია, რომ ილ. ჭავჭავაძე — ეს „ქართული ლიტერატურის მეთაური“, ღირექტორია ბანკისა, რომელიც თავად-აზნაურობას ეკუთვნის. თავად-აზნაურთა ინტერესების შეხება მათ გაღიზიანებას გამოიწვევს, რაც თვით ილ. ჭავჭავაძისათვის სასარგებლო არ იქნება.

აქ, ამ საგულისხმო მოვლენის გარშემო ზოგ რამეს ნ. ნიკოლაძე. რა თქმა უნდა, არასწორად ხსნის. პრესაც და პრესის მოღვაწენიც ხომ განხილულნი და შეფასებულნი უნდა იქნენ ეპოქაში მცხოვრები საზოგადოების, მისი მომზადების დონისა და მისი სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინების მიხედვით. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, 70-იანი წლების არც ქართული ლიტერატურა და არც მისი მესვეურნი — ილ. ჭავჭავაძე, ს. მესხი და არც ზოგიერთი სხვა ქართველი მწერალი, არც გაზ. „დროება“ და „ივერია“ ეპოქას ისე ჩამორჩენილი არ იყვნენ, როგორც ამას ნ. ნიკოლაძე გვიხასიათებს. 70-იანი წლებს ქართული ლიტერატურისა და პრესის საკითხებია: ყმის საბოლოო განთავისუფლება, განთავისუფლებული გლეხის მოწყობა-დაბინავება, გლეხთა გაღვიძება-გათვითცნობიერება, შრომისა და მშრომელის მდგომარეობა-განთავისუფლება, ახალი უკეთესი ცხოვრებისაკენ ლტოლვა-ძიება, გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი თანაგრძნობა — ხელის შეწყობა: ამ საკითხებს 70-იანი წლების ქართული ლიტერატურაც და მისი მესვეურნიც, განსაკუთრებით ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი გარემოსა და პირადი შეძლებისდაგვარად აქტიურად აყენებდნენ. და თუ ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი პრობლემის პოპულარიზაციას უფრო მეტი ენერჯითა და მონდომებითაც აღვივებდნენ. ამასაც ეპოქის. ხალხის ყოფის გარემოება მოითხოვდა, ეს საკითხიც ეპოქისათვისაც ხომ აქტიური და გადაუდებელი იყო.

არც ქართული ბანკი და მასში ილ. ჭავჭავაძის ღირექტორობა იყო ქართული მწერლობისა და მისი პოპულარობის დამაბრკოლებელი. განა ილ. ჭავჭავაძემ სწორედ 70-იან წლებში ენერჯიულად და მოურიდებლად არ გაშალა ბრძოლა თავადაზნაურობის წინააღმდეგ? განა სწორედ ამ პერიოდში არ გამოვლინდა ილ. ჭავჭავაძის დემოკრატიულ-რევოლუციური მისწრაფებანი არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხებში, არამედ სოციალურშიც? განა 70-იან წლებში არ დასწერა ილ. ჭავჭავაძემ — „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით?“, „პასუხის პასუხი“, „კიდევ პასუხი“, მესამე ვარიანტი საგრძნობლად გადამუშავებული პოემისა „აჩრდილი“, „ცხოვრება და კანონი“, „1871 წ. 23 მაისი“, „სარჩობელაზედ“ და მრავალი

სხვა, განა ეს საკითხები მწვავე საზოგადოებრივი არ იყო ეპოქისათვის არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიც? ცხადია, ილიას ბანკის დირექტორობა ქართული მწერლობისა და მისი აღორძინების დაბრკოლება არ იყო, ყოველ შემთხვევაში იმ გაგებით, როგორც ეს მაშინ ნ. ნიკოლაძეს ეგონა და წერდა. ბანკი, როგორც საქართველიანად ფიქრობდა თვით ილია, ერთგვარი ხელშემწყობი იყო ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღორძინების საქმეში. მაგრამ ამ საკითხის დეტალური გარკვევა ამჯერად ჩვენთვის არაა სავალდებულო, ეს ჩვენი წერილის მიზანდასახულობას არც შეადგენს.

ამჯერად ჩვენ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, გვინდა გავარკვიოთ ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული კრიტიკის შუქზე როგორ გამოიყურება ილ. ჭავჭავაძე.

როგორც ირკვევა, ილ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შეფასებას ნ. ნიკოლაძე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის განვითარებასთან დაკავშირებით, დიდი ყურადღებით და მართებულად იძლევა. ჯერ კიდევ 1871 წლის გაზ. „დროების“ 26 №-ში ნ. ნიკოლაძე ნ. სკანდელის ფსევდონიმით ათავსებს კორესპონდენციას — „საქართველო — ქუთაისის ამბები“. დასახელებულ წერილში ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ფაზელს (მ. გურიელს) ქუთაისში მ. ლერმონტოვის „დემონის“ თავისი თარგმანი საჭაროდ წაუყითხავს. კორესპონდენტს მთლიანად თარგმანი, მისი ენა მოსწონს. ფაზელს იქვე წაუყითხავს აგრეთვე თავისი ორიგინალური ლექსებიც, რომლებსაც აგრეთვე ნ. ნიკოლაძეზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

კორესპონდენციაში ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს ქართველი მწერლები-სათვის, სამწუხაროდ, არაიშვიათად დამახასიათებელ ნაკლს — დაუდევრობას. „გამოვა თუ არა ხეირიანი სურათი — ნათქვამია კორესპონდენციაში — გამოითქმება თუ არა ნათელი აზრი, იმოქმედებენ თუ არა კაცის გრძნობაზე ამას ჩვენი ლექსების ფაბრიკანტები არ დაეძებენ... გასაკვირველი ისაა, — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — რომ ამ ცოდვაში ხანდახან ისეთი ნიჟიერი მწერლებიც ადგამენ ფეხს, როგორც აქ წერეთელია და ფაზელი“. ნიკოლაძე იქვე კმაყოფილებით შენიშნავს: „ჩვენს ლიტერატურაში ამ ცოდვაში უმანკო დარჩა მარტო ნ. ბარათაშვილი და ილ. ჭავჭავაძე. და მე მეტის-მეტი სიამოვნებით ვნიშნავ ფაზელის უკანასკნელი ლექსებიდან, რომ იმას ამ ცოდვაში ხელი გაუბანია და ამ მხრით დაამხანაგებია ამ უკანასკნელ პოეტებს“.

აქ ნ. ნიკოლაძეს მშვენივრად აქვს შენიშნული და გახაზული ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი სანიმუშოდ დამახასიათებელი თვისება — ნაწარმოების გულმოდგინებითა და ყურადღებით, სრული პასუხისმგებლობით დამუშავება, რასაც კრიტიკოსი სამართლიანად მხა-

ტარული შემოქმედებისათვის საჭირო, აუცილებელ მოთხოვნილებად მიიჩნევა. მართლაც. ილ. ჭავჭავაძე, სანამ ნაწარმოებს სათანადოდ არ დასვეწდა, სანამ თვითონვე არ დარწმუნდებოდა მის მხატვრულ-ესთეტიკურ და აზროვნულ ღირებულებაში, არ გამოაქვეყნებდა ხოლმე. როგორც ჩანს. ნ. ბარათაშვილსაც, უდავოდ, ასეთივე თვისება ახასიათებდა. ნ. ბარათაშვილის ყველა ლექსი, ვარიანტი, პოემა, კერძო წერალების ჩათვლითაც კი. რაც კი ჩვენამდე მოსულია, მართლაც-და უზადოდაა შესრულებული.

1873 წლის ეურნ. „კრებულის“ 5—6 №№-ში ნიკო ნიკოლაძე იმავე ნ. სკანდელის ფსევდონიმით ილ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის მთლიანი შეფასების სერიოზულ ცდას ვვაძლევს. ეს, ვფიქრობთ, ძირითადში გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ 1873 წლისათვის ილ. ჭავჭავაძე როგორც მწერალი-შემოქმედი საკმარისი სისრულითაა გამოვლინებული. ამ წლისათვის დამთავრებულია ილ. ჭავჭავაძის თითქმის ყველა ლირიკული ლექსი და ეპიკურ ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი. დაწერილია დრამატიული სცენები: „ქართლის დედა“, „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, მესამე რედაქცია პოემისა „აჩრდილი“, მოთხრობები: „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნამბობი“, „მგზავრის წერილები“, სატირული ლექსები: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ბედნიერი ერი“, პოლემიკური ლექსები: „პასუხის პასუხი“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და სხვ.

ნ. ნიკოლაძემაც, უდავოდ, დროზე საჭიროდ დაინახა ჩვენი ასალი ლიტერატურის მებაიარაღის მხატვრული შემოქმედების გაანალიზება, გარკვევა მისი და ეპოქის მოთხოვნილებათა პოზიციიდან, რა არის ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში დადებითი, მნიშვნელოვანი და რაა ნაკლი.

მკითხველი რომ გარკვეულ მდგომარეობაში ჩააყენოს და თავისი მსჯელობაც სისწორით მიმართოს, ნ. ნიკოლაძე დასაწყისშივე თავის შეხედულებას გვაცნობს — რა მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს მხატვრული ლიტერატურა და რა მნიშვნელობა აქვს მას სინამდვილეში. „ხელოვნური მწერლობის დანიშნულება, — წერს ნ. ნიკოლაძე, — იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველ საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება; დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათის და საჭიროების ნამდვილ გარემოებას და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და ავს მხარეებს სცნობდეს და თან იმ მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნია“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად არ კმაყოფილდება ლიტერატურის ამ-

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.

გვარი დანიშნულების მოთხოვნით, რადგანაც მოცემული გამმართვება მწერლობის დანიშნულების მხოლოდ ერთ მხარეს იძლევა. ის კარგად გრძნობს, რომ მწერალი — მისი მხატვრული შემოქმედება მართო არსებულის და წარსულის მდგომარეობის სწორ სურათს კი არ უნდა იძლეოდეს. არამედ აგრეთვე მომავალი ცხოვრების ტენდენციების მკაფიოდ მაჩვენებელი უნდა იყოს. ამიტომაც ნ. ნიკოლაძე მხატვრული ნაწარმოების დანიშნულების გაგება-განმარტებას ასე აღწევს:

„როგორც საზოგადოების ზნეობით ამაღლებისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ მწერლობას უკეთესი ცხოვრების და გაწყობილების ნათლად გამოხატული ძეგალი ჰქონდეს, იმნაირათვე აუცილებლათ საჭიროა, რომ ესევე მწერლობა მკითხველს თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას და ხასიათს აცნობდეს, რომ კაცმა იცოდეს, ხელში რა იარაღი ექნება და რანაირ მასალასთან ექნება საქმე, რანაირ გარემოებაში დასჭირდება შრომა, რა და რაგვარი შემთხვევა და დაბრკოლება დახვდება გზაზე, რა ხასიათის წინააღმდეგობა აუტყდება და რამსიდიდე ღონისა და ენერჯიის ხმარება დასჭირდება“<sup>1</sup>.

ადვილი მისახვედრია, რომ მხატვრული მწერლობის დანიშნულების ნიკოლაძისეული გაგება და ესთეტიკური შეხედულება იმავე უტილიტარულ საფუძველზეა გაშლილი, როგორზედაც ჩვენი მესამოციანელებისა საერთოდ და კერძოდ ილ. ჭავჭავაძისაც. ისინი ხომ ერთობ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლების — ჩერნიშევსკი-დობროლიუბოვის მიმართულებაში არიან გამოძეშულები; მათი უტილიტარული შეხედულებანი ხელოვნებაზე ჩვენი მესამოციანელებისთვისაც — ილ. ჭავჭავაძის. აკ. წერეთლის. ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლისა და სხვა მრავალთათვისაც მისაღები და სახელმძღვანელო იყო. ცხადია, ნ. ნიკოლაძე გამოთქმული აზრით ასაბუთებს და ამართლებს ჩვენს ლიტერატურაში ილ. ჭავჭავაძის მიერ კრიტიკული რეალიზმის მიმართულების განმტკიცებას. სკოლად ჩამოყალიბებას.

ნ. ნიკოლაძე მართებულად აფასებს, რომ ძირითადში ქართული და რუსული ლიტერატურის იდეალები XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც საერთოდ ერთგვარია, მაგრამ, თვითონვე ამ თავის დებულებას იქვე შეასწორებს, თუმცა არა სისრულით. ის კარგად გრძნობს, რომ ცალკე ამ ორი ქვეყნის ცხოვრებას თავისებურებაც ახასიათებს, ამიტომ როგორც ერთი ქვეყნის — რუსეთის, ისე მეორესი — საქართველოს მესვეურთა მისწრაფებებში დიდი განსხვავებაა, „პრაქტიკულად — წერს ნ. ნიკოლაძე — გასაჭირი და მისწრაფებანი ქართველი მოსახლეობისა, რომელთა უარყოფა ქართულ ლიტერატურას არ შეუძლია, თუ ის თავის გავლენას ხალხზე აფასებს, — გაცილებით ისეთი არაა, როგორც გასაჭირი და მისწრაფებანი რუსი საზოგადოებისა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.

<sup>2</sup> «Новое обозрение», 1888, 29 мая.

ნ. ნიკოლაძე იმაშიც მართალია, რომ როგორც რუსულ, ისე ქართულ ლიტერატურას ჰქონდა მრავალი საერთო მტკივნეული საკითხი და ერთი მათგანი ძირითადი იყო — გლეხის კაცად ცნობის, მისი გათავისუფლების საკითხი. „რუსულ ლიტერატურას. — წერს ნ. ნიკოლაძე, — უნდა გამოესაბა გლეხი მისი დღითი-დღიური საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ზასიათით, მისი გარემოებისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდორებული, უღონო და უპატრონო ცხოვრებით... უნდა ეჩვენებინა. რომ... ძალადობას, სიღარიბეს, უმეცრებას, განათლებული წოდებისაგან მიტოვებას ეს ღვთისაგან გაჩენილი ჩვენი მსგავსი და ტოლი ადამიანი დაუმდაბლებია, გაუბინძურებია... თითქმის პირუტყვად უქცევია“<sup>1</sup>.

აი ამ აღნიშნული დებულების პოზიციებიდან ნ. ნიკოლაძე იხილავს და აფასებს ილ. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებას. პირველ რიგში კრიტიკოსი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების უდიდეს ღირსებად სთვლის მათში მოცემულ რეალურ სინამდვილეს — ილ. ჭავჭავაძეში იგი ხედავს მხატვრული რეალისტური მიმართულებისათვის მებრძოლსა და დამამკვიდრებელს ქართულ ლიტერატურაში. იგი კმაყოფილებით წერს: „კაცია ადამიანში?!“ გამორჩეული საგანი სწორედ ისეა აწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლეხების განთავისუფლების სცენები“, ერთი მხრით, აწინააღმდეგავს ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას, აკმაყოფილებენ, და ჩინებულადაც აკმაყოფილებენ, და, მეორე მხრით, თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან აგრეთვე ოსტატურად და სურათების ძალით. ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“ ხომ ჩინებულად იმ დანიშნულებას ეთანხმებიან, რომელიც მწერლობის წუთიერ საჭირო და გავლენიან ნაწილს შეადგენს. მისი ლექსების გრძნობა და მისი სარკაზმის ძლიერება ამათში მეტის-მეტად სანუგეშო გავლენას წარმოადგენდნენ“<sup>2</sup>.

მისცა რა ილ. ჭავჭავაძეს და მის მხატვრულ შემოქმედებას ამგვარი, სრულიად მართებული დახასიათება, რითაც გაარკვია მისი ადგილი ქართული ლიტერატურის განვითარებაში, ნ. ნიკოლაძე გადადის მისი ცალკეული მხატვრული ნაწარმოების „გლახის ნამშობის“ გარჩევა-შეფასებაზე.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნამშობზე“ რუსი მწერლების — გრიგოროვიჩის, პისემსკის, ტურგენევის, მარკოვოვიჩის და სხვათა — გავლენა იგრძნობა. კრიტიკოსის არაუმარ-

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.

<sup>2</sup> იქვე.

თებულო აზრით, ეს რუსი მწერლები არ იყვნენ სავსებით განთავისუფლებული სანტიმენტალური ლიტერატურული მიმართულებისაგან; გლეხკაცობას ხატავდნენ არა ნამდვილ ცხოვრებისეულს, არამედ თითქოს საკუთარ თავს, გლეხის ფარაჯში შემოსილს. რადგანაც მათ გლეხკაცი არ ენახათ, არ იცნობდნენ; მათ გლეხკაცი გააზრებული ჰყავდათ პეტერბურგის კაბინეტში. ისინი ასე ფიქრობდნენ — ვინაიდან გლეხიც ადამიანია, ამიტომ იმასაც ჩვენისთანა გული და გრძნობები უნდა ჰქონდესო. „ამის გამო, — წერს ნ. ნიკოლაძე, — გლეხის პირით იმას თხზულებებში ხშირად ისეთი სიტყვები და აზრები გამოიჩემა, რომელთაც გლეხი კაცი არ იცნობს და არ ხმარობს... ნამდვილი... გლეხის მაგივრად... იღვა ნასწავლი კაცი გლეხურ სამოსელში, რომელიც... წიგნიდან ამოკითხულ ბაირონის და შილერის ფრაზებს ამბობდა და გამოთქვამდა“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძის შენიშვნით, ილ. ჰავჭავაძის „გლახის ნამბობს“ ეს ნაკლი დაჰკრავს (მას ძირითადად მხედველობაში აქვს გლეხი გაბროს სახე), მაგრამ გათვალისწინებული აქვს რა, რომ ილ. ჰავჭავაძეს არ ახასიათებს მიბაძვით წერა, ეს სანტიმენტალური სტილი, კრიტიკოსის მართებული გაგებით. მასში შენელებულია.

ნ. ნიკოლაძე ამ გარემოებას კარგი მიხედვრით ასე ხსნის: „ილ. ჰავჭავაძეს უგრძვნია ეს ნაკლოვანება და მის „გლახის“ ნასწავლ ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სიყრმიდანვე ერთ კეთილმოქმედ ღვდელს შეყრის, რომელიც იმას წერა-კითხვას ასწავლის, გრძნობისა და პატიოსნების ძალას აგრძნობინებს, და გზას უჩვენებს, „ვეფხისტყაოსანს“ აკითხებს, აყვარებს და აგებიხებს“<sup>2</sup>. ასეთს პირობებში აღზრდილ კაცში, ნ. ნიკოლაძის სწორი შეხედულებით. „ნასწავლი“ კაცის ლაპარაკი და გრძნობიერება „ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია“.

გარდა ნ. ნიკოლაძის მიერ აღნიშნული ილ. ჰავჭავაძის მიერ გამოყენებული ხერხისა თუ გარემოებისა, რომელშიც გლეხი გაბროსა ჩაყენებული გონიერ-იდეურ მღვდელთან შეხვედრითა და ურთიერთობით, რამაც გაბროსზე კეთილი გავლენა მოახდინა, აგრეთვე შეიძლება ილას პოეტური აღღოს სასარგებლოდ შემდეგიც ითქვას. „ვეფხისტყაოსანი“ და მასში გაშლილი ჰუმანური მსოფლმხედველობა ხელმისაწვდომი იყო არა მარტო ჩვენი პრივილეგიური წოდებისათვის, არამედ ისევე ჩვენი გლეხობისათვის, რომელიც დიდის გატაცებით ეწაფებოდა მას და რომელმაც ხალხური „ვეფხისტყაოსანიც“ შექმნა. ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმანიზმი, ადამიანთა ურ-

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.

<sup>2</sup> იქვე.

ოიერთდამოკიდებულების კეთილად მოწყობა-განმტკიცებისათვის, რაც საფუძვლად უძევს ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“ მთლიანად და კერძოდ გაბროს მსოფლგაგებას—ეს სრულიად ბუნებრივია ჩვენი გლეხის ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ვინაიდან ყველა ეს საკითხი თუ მოტივი მაქსიმალურად ჟღინთავს ჩვენს ხალხურ პოეზიას, რომელსაც ჰქმნიდა ჩვენი გლეხი თავისი პირადი დაკვირვების საფუძველზე და რომელზედაც ის გამუდმებით ხარბად იზრდებოდა.

„გლახის ნაამბობში“, გარდა აღნიშნული კარგად მოფიქრებული ბერძნისა, ნიკოლაძეს აგრეთვე იზიდავს — მოთხრობის მრავალი ღაღუბითი მხარე — მშვენიერი ყოფითი თუ პეიზაჟური სურათები, ენა, შედარებები, იგავები, ანდაზები, მარჯვედ, მოკლედ გამოთქმული დაკვირვებები, მოთხრობაში დიდი ნიჭიერებით, მიმზიდველად ჩაქსოვილი მაგრამ. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსის მტკიცებით, ნაწარმოები მკითხველში მაინც სტოვებს ბელ-ვენურობის შთაბეჭდილებას: „მკითხველს წიადაგ ის აზრა აქვს თავში, — გვეუბნება ჩვენი კრიტიკოსი, — რომ... ეს ამბავი „შეკეთებული“, შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებულიაო, ის ნაბდეილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო“...<sup>1</sup>

მიუხედავად ნ. ნიკოლაძის მიერ აღნიშნული ნაკლისა, რაც, უნდა ითქვას, ნაწილობრივ მაინც არაა სრულიად სიმართლეს მოკლებული, და ნიჭიერადაც გაანალიზებული, კრიტიკოსის მართებული შეხედულებითა და თქმით, ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ „ბევრ ხელოვნების მარგალიტს შევფერებით... თუნდაც იმ ადგილს მოვიყვანო, სადაც ღვდელი პეტრეს სწავლისა და ცოდნის სარგებლობას და საჭიროებას უხსნის გასაგები, უბრალო და გონიერი ენით, ჩინებული მაგალითებით და შედარებებით“.

თავის წერილში ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს მოთხრობიდან რამდენიმე ნიმუში. მართლაც, მხატვრულობის მხრივ შედეგრი, და აღფრთოვანებული ბოლოს კმაყოფილებით დაასკვნის: ყველა ამისთანა ჩინებული ადგილის ამოწერას თუ მოვინდომებთ, ნახევარი მოთხრობა თუ არა, მესამედი მაინც უნდა ამოვწერათო.

გარდა აღნიშნული ღირსებებისა, ნ. ნიკოლაძე სადი კრიტიკული და საზოგადოებრივი ალლოთი ილ. ჭავჭავაძის როგორც „გლახის ნაამბობში“, ისე მთლიანად მის მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებით შენიშნავს ნაწარმოების დამახასიათებელ და წამყვან დიდ ღირსებას — დემოკრატიზმს, მაღალ ჰუმანიზმს, რაც სინამდვილეში ასე მძლავრად ჟღინთავს ჩვენი დიდი ჰუმანისტი მწერლის მთლიან შემოქმედებით პროლექციას, რაც აგრეთვე ეპოქის ძირითადი და არსებითი მოთხოვნის ილუზია იყო.

ნ. ნიკოლაძე მოწონების ტონით წერს: მთლიანად თავის შემოქმე-

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.



დებამი, „როგორც „გლახის ნაამბობში“, ჩვენი ნიჭიერი პოეტი... გონოდის მაინც შესანიშნავ მწერლად და გრძნობით სავსე პოეტად. რომელსაც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს! ან ოხლად დაუტოვებია და მაღალი ლტოლვილება აქვს ყველაფრისადმი. რაც კაცის გულს აკეთილშობილებს. რაც საზოგადოებას ამალღებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს“<sup>1</sup>.

უნდა ითქვას, ნ. ნიკოლაძე პირველია, რომელმაც ილ. ჭავჭავაძის მთლიანი მხატვრული შემოქმედების მთავარი ხაზები სისწორით გაიგო და მისი მაღალი და მართებული შეფასებაც მოგვცა.

ნ. ნიკოლაძეს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების არა მარტო პროზა მოსწონს არამედ, აგრეთვე პოეზია — ლექსებიც, რაც ზოგიერთი ლიტერატორის მიერ დაწუნებული იყო და ჩვენს პერიოდულ გამოცემაში აღბეჭდილი. ნ. ნიკოლაძე 1872 წლის ჟურნ. „კრებულის“ X—XI—XII—№-ში მოთავსებულ წერილში „ჩვენი მწერლობა“ (კრიტიკული მიმოხილვა)“, მაღალ შეფასებას აძლევს რა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, მისი რედაქტორობით გამოცემულ „საქართველოს მოამბეს“ და მის ბრძოლას ჟურნ. „ცისკართან“, მწარედ აკრიტიკებს ამ ჟურნალის თანამშრომელს ანტ. ფურცელაძეს, რომელიც პუბლიცისტის თქმით, „საქართველოს მოამბეზე“ არამართებულ მტრულ აზრებს ავრცელებდა. ნიმუშისათვის მოჰყავს ანტ. ფურცელაძის სიტყვები: „ჭავჭავაძის ლექსები კი ოფლის ღვრაა, მათში ცრუ, მოგონილი გრძნობის მეტი არაფერია, მისი „მუშა“... „გუთნის დედა“ უხეირო ლექსია“ და სხვ.“.

ნ. ნიკოლაძე ქართული კრიტიკის დაბალ დონეს მწუხარებით რომ აღნიშნავდა და მოურიდებლად უკიყინებდა ძველ თაობას — „კრიტიკა არ გვაქვსო“, თითქოს ჟურნალ „ცისკარს“ და მის თანამშრომელს ანტ. ფურცელაძეს იმაშიც ბრალს სდებდა, რომ ისინი მკითხველს ილ. ჭავჭავაძის ლექსების უმართებულო შეფასებას აძლევდნენ. ამ საკითხს ნ. ნიკოლაძე შემდეგში უბრუნდება.

ილიას შემოქმედების აღნიშნულ განხილვაში ნ. ნიკოლაძე წერდა: „ესლანდელ მის (ილ. ჭავჭავაძის — მ. ზ.) ლექსებში. საზოგადოდ... სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა. სურათის უბრალოება და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა“.

ნიკო ნიკოლაძე ილიას ლექსების ღრმა. სერიოზულ და სწორ დახაუთებას გვაძლევს: „ეტყობა, რომ ილ. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალხის პოეზიისთვის ყური უთხოვებია, მის ხასიათს გასცნობია, მისი სულით აღვსილი, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო. აზრისა და გრძნობის გამოხატულება კარგა საფუძვლიანად დაუნახავს და შეუხსწავლია“. ამ-

<sup>1</sup> „კრებული“, 1873. № 5—6.

კარაა. ნ. ნიკოლაძეს კარგად უგრძობია და მკაფიოდაც გაუგია ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების ხალხური საფუძველი, რაც, უდავოდ, დასაფასებელია მწერლის შემოქმედებაში.

ნ. ნიკოლაძე ამ თავის გრძნობა-გაგებას მკაფიოდაც გამოსთქვამს. მისი რწმუნებით, პოეტის ნიჭი, რაც უნდა ის დიადი იყოს, აუცილებლივ ძირითადად უნდა საზრდოობდეს ხალხის ცხოვრებით, მისი დუღილით; ხალხის გენიის ნამოქმედარში მას ფესვები ღრმად უნდა ჰქონდეს გადგმული. „ეს, — დამაჯერებელი ტონით გვარწმუნებს ნ. ნიკოლაძე, — მეტის მეტად საქები და სასარგებლო საქმეა, ერთი მით, რომ ხელოვნურ მწერლობას ამით იარაღი უუქეთესდება და უძლიერდება და, მეორე მით, რომ მისი გავლენა და მნიშვნელობა ძლიერდება. ჩვენ მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მოაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკს და ენას გავეჩვევით და იშნაირ წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდე და გონებამდე მიწვევა შეეძლოს“<sup>1</sup>. ეს არა მარტო ილ. ჭავჭავაძის პოეზიისა და პროზის მართებული შეფასებაა, ეს საფუძველი არა მარტო XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთლიანი ქართული ლიტერატურისათვის სავალდებულო უნდა გახდარიყო, არამედ ეს მოთხოვნილება ყველა ეპოქის მწერლობისათვის უნდა ყოფილიყო და იყოს სავალდებულო. აქაა, ამგვარ ხალხურობის დასაბამშია დიდი ძალა, ღირებულება და მიზნიდევლობა როგორც ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების, კერძოდ მისი ლექსებისაც კი, ისე ნ. ნიკოლაძის მწერლობისა და სალი კრიტიკული ალღოსი.

1889 წლის 20 მაისის „ნოვოე ობოზრენიეში“ ნიკო ნიკოლაძე ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვას კვლავ უბრუნდება. ილ. ჭავჭავაძის ლექსებს, ადარებს რა აკ. წერეთლისას, წუნს სდებს (უნდა კი ითქვას, რომ 1873 წლის შემდეგ, ილიას ლირიკული ლექსი თითქმის არ დაუწერია—გარდა „ბაზალეთის ტბისა“), ნ. ნიკოლაძესაც ილიას ლექსები ახლა მიაჩნია მძიმედ, არამხატვრულად, რომლებშიც „ოფლი და რიტორიკა დიდი რაოდენობით“ იგრძნობა.

ნ. ნიკოლაძის ეს შეხედულება დამაფიქრებელია: თუ 1873 წელს ილია ჭავჭავაძის ლექსებში ნ. ნიკოლაძე კმაყოფილებით ხედავდა „ჩვენი ხალხის ენას“, ხელოვნური სიტყვის თლილობას, სურათის უბრალოებას და ძალას და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავ და მაინც „ლაზთიან გამოთქმას“, ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებო, რომ სწორედ ამ პერიოდში — 80-იან წლებში — ილ. ჭავჭავაძემ დაწერა მხოლოდ „ბაზალეთის ტბა“ და პოემა „განდევილი“, რომლებშიც იგრძნობა ავტორის დიდი პოეტობაც და მისი ლექსიც მაღალ მხატვრულ მწვერვალზეა ატანილი, საკითხავია, რატომ შეცვლილა ნ. ნიკოლაძის

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.

აზრი ილ. ჭავჭავაძის ლექსებზე? როდისაა ნ. ნიკოლაძე მართალი — 1873 წელს თუ 1889 წელს?

ვფიქრობთ, ნ. ნიკოლაძის ასეთი დახევა, წინათ გამოთქმული შეხედულების საწინააღმდეგო აზრი, შეიძლება აიხსნებოდეს ამ პერიოდში ლექსის სხვა ასპექტით გასინჯვის გამო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე წერილში ნ. ნიკოლაძე თავის ასეთ შეხედულებას ილ. ჭავჭავაძის ლექსებზეც თითქოს ასუსტებს და წერილის დასასრულს უყოყმანოდ დაასკვნის: „მიუხედავად თანამედროვე ქართული ლიტერატურის ორი კორიფის (ილიასი და აკაკის — მ. ზ.) შორის ბუნებრივი ნიჭიერების დიდი განსხვავებისა, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და არა თავ. აკ. რ. წერეთელი შეიქმნა მის მეთაურად და მისცა მიმართულება, ამასთან სავსებით სწორი და უკუმოუქცეველი“<sup>1</sup>. იქვე ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით გვეუბნება, რომ მხოლოდ ილ. ჭავჭავაძემ შესძლო მშობლიურ ლიტერატურაში გადატრიალება მოეხდინა არა მარტო ფორმისა, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებთან შინაარსის მხრივაცო.

ნ. ნიკოლაძე სწორად აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება ჩვენში საზოგადოებრივი გამოფხიზლება, ამოქმედება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ყველაზე მტკივნეული საკითხით გლახთა განთავისუფლებისა ბატონყმობის უღლისაგან. ამან ადგილობრივი მოსახლეობა დაინტერესა. ქართული ლიტერატურაც ამ მოვლენას ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით დიდის გულისყურითა და გონებით გამოეხმაურა. ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ეს აღძრული ინტერესი თითქმის მთავარ საფუძვლად შეიქმნა ქართული პრესის განვითარებისათვის როგორც ლიტერატურის, ისე საზოგადოებრივი აზროვნების აქტიურად ამოქმედებაში, მისი ჯანმრთელი მიმართულებას გასლაში.

ნ. ნიკოლაძის გაგებითა და განმარტებით, ამაში მთავარი ადგილი ილ. ჭავჭავაძეს მიეკუთვნება. „60-იანი წლების დასაწყისში, უმთავრესად თავ. ი. გ. ჭავჭავაძის ეკუთვნის პატივი ამგვარი გონიერი მიმართულების დაწყებისა. ის სწორედ ისეთ კაცად აღმოჩნდა, როგორც ქართულ ლიტერატურას სჭირდებოდა: მისი ტალანტი, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა სავსებით შეესაბამებოდა მაშინდელი დროის მოთხოვნილებებს... თავ. ჭავჭავაძემ შეძლო ამ მიმართულებას მტკიცე ფეხით სათავეში ჩასდგომოდა. შესძლო ფრიად საგრძნობი სარგებლობა მოეტანა ჩვენი ქვეყნის როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ისე საზოგადოებრივი განვითარებისათვის“<sup>2</sup>. ნ. ნიკოლაძის ასეთი მალალი და სწორი შეხედულებითა და დაფასებით უნდა აიხსნას მისი მრავალი კრიტიკული წერილი ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ.

<sup>1</sup> «Новое обозрение», 1889, 20 мая.

<sup>2</sup> «Обзор» 1880, 4 января.

დიდი ერუდიტი, ნიჭიერი დაკვირვების უნარითა და ფაქიზი გემოვნებით აღჭურვილი ნ. ნიკოლაძე ეძებს როგორც ქართული ლიტერატურის განვითარების მიმართულების საფუძვლებს, აგრეთვე ილ. ჭავჭავაძის მისდამი დამოკიდებულების არსს. ილ. ჭავჭავაძის დიდს მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის განვითარებაში ნ. ნიკოლაძე ხსნის არა მარტო მისი პოეტური, შემოქმედებითი ნიჭის სიდიადით, არამედ მისი პიროვნული სხვა ღირსებებითაც. დასახელებულ წერილში ის ამ საგულისხმო საკითხის ასეთს გაგებას იძლევა: „თუ თავ. ი. გ. ჭავჭავაძის სიმღერები (ლექსები — მ. ზ.) არ დავიდა ხალხამდე, რომლისადმიც, საბედნიეროდ, უმეშვეოდ და სწრაფად დავიდა თავ. აკ. წერეთლის სიმღერები (ლექსები — მ. ზ.), — სამაგიეროდ გონებრივ ცხოვრებაზე ქართველი ხალხისა და საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე მათ (სიმღერებმა — ლექსებმა — მ. ზ.), თითქმის მომეტებული გავლენა იქონიეს“<sup>1</sup>.

აღნიშნა რა გარკვეული ფაქტი, ნ. ნიკოლაძე საგულისხმო საკითხს სვამს. რატომ მოხდა ეს, რომ პოეტური ნიჭით ნაკლებს ილიას, ვიდრე აკაკის, მეთაურის როლი უჭირავს ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში? და იქვე დასძენს: „ილ. ჭავჭავაძის ჰქონდა ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე. ჰქონდა ცხოვრებაში მიზანი, ის შრომას არ შეუშინდა... ის სწავლობდა, სხვა მწერლებს კითხულობდა, ეცნობოდა ცხოვრების საკითხებს და თავისი გონება, თავისი დროის განათლებული ადამიანების საერთო დონემდე განავითარა. შესაძლებელია აქ ის საზღვარს კარგად გასცდა (махнул) — მისცა რა თავი იმას, რაც მას გონებრივ შრომაში ყველაზე ძნელად ეხერხებოდა, ვიხიდან მისი გონების ბუნებრივ თვისებებს ეს ყველაზე ნაკლებ შეეცაბამებოდა — გრძნობა და ფილოსოფია“<sup>2</sup>.

აქ ნიჭიერი და დიდი მცოდნე კრიტიკოსი, უდავოდ, სცდება. ილ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, პოეტური ნიჭიც დიდი ჰქონდა და ბრძნობის — მსჯელობისა და ფილოსოფიისადმიც დიდი უნარიც ახასიათებდა. მაგრამ ამგვარად ამ საკითხს არ ვეხებით და, ვფიქრობთ, ახლა ეს არცაა სადავო.

ჩვენთვის საგულისხმოა, ნიკოლაძის მიერ გამოთქმული შეხედულების გაგრძელებას გავეცნოთ. ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში ილიას — მეთაურის როლის ახსნას იგი ასე იძლევა: „მაგრამ საქმე ამაში არ არის. მთავარი ის არის, რომ ის (ილ. ჭავჭავაძე — მ. ზ.) ცოდნით შეიარაღებული შრომობდა, მტკიცედ ახსოვდა, რომ მხოლოდ ასეთი გზით ბუნებრივ გონებას შეუძლია თანამედროვეობაში მეთაურობა, შთამომავლობაზე გავლენა იქონიოს და

<sup>1</sup> «Новое обозрение», 1889, 20 мая.

<sup>2</sup> იქვე.

მან (ილ. ჭავჭავაძემ — მ. ზ.) ყველაფერში წარმატებას მიიღწია იმიტომ, რომ თავის თანამემამულეებში შეიძლება ის ერთადერთი მოღვაწეა ნებისყოფით, ხასიათის სიმტკიცით, შრომისმოყვარეობით“<sup>1</sup>.

ილ. ჭავჭავაძის ამგვარ დახასიათებაში ნ. ნიკოლაძე, უდავოდ, ბევრს სწორს და მართალს აღნიშნავს, მაგრამ მასში მაინც შინაგანი წინააღმდეგობა იგრძნობა. თითქოს ამ წინააღმდეგობას თვითონ კრიტიკოსიც გრძნობს; თითქოს მას შოაგონდა, რომ მან ილ. ჭავჭავაძეს პოეტური ნიჭიც და განსაკუთრებით „ბრძნობისა“ (мудрствование) და ფილოსოფიური მსჯელობის უნარიც დააკლო თუ დაუწუნა და ასე ათავებს თავის აზრს — „მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის (ილ. ჭავჭავაძე — მ. ზ.), ექვ გარეშეა, კაცია, ის — ძალაა“<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძის მიერ მოცემულ ილ. ჭავჭავაძის პირადი ღირსების დახასიათებაში რომ მართლაც წინააღმდეგობაა, ეს შშვენიერად ჩანს „ტიფლისკი ლისტოკის“ რეცენზენტის კრიტიკიდან. რეცენზენტი, ეკამათება რა ნიკოლაძეს ილია ჭავჭავაძის ღირსებათა შეფასებაში, აღნიშნავს, რომ ნებისყოფა, მტკიცე ხასიათი და შრომისმოყვარეობა არაა საკმარისი, რომ მოღვაწე საზოგადოებრივ ცხოვრებაში წამყვან ძალად იქცეს, რომ საჭიროა საამისო ნიჭი — ტალანტი, რეცენზენტი ასეთ დებულებას გვთავაზობს: „შრომა და ტალანტი არ თავსდებიან“.

ნ. ნიკოლაძეს თავის ვალად მიუჩნევია იმავე 1889 წლის 9 ივნისის „ნოვოე ობოზრენიეში“ რეცენზენტისათვის პასუხი გაეცა და თავის წინათ გამოთქმულ აზრს ასეთს განმარტებას აძლევს: „ტალანტი რამდენადაც ძლიერია, ტვინი რამდენადაც ღრმაა, მით უფრო მათში ცხოველია ცნობისმოყვარეობა, მაძიებლობა, წყურვილი ბუნების საიდუმლოებებში ჩაწვდომისა, ეს თანდაყოლილი თვისება ყოველი ცოცხალი ქმნილებისა, ყოველი ორიგინალური ტვინისა, ჩვეულებრივ, ამოძრავებს ნიჭს შრომის, მოქმედების მიმართულებით“<sup>3</sup>.

აი, სწორედ ამ „ორიგინალური ღრმა ტვინით“, „ძლიერი მაძიებელი ტალანტით“ (რომელიც მარტო შრომით. ცნობისმოყვარეობითა და ნებისყოფით არ იქმნება) დაჯილდოებული იყო ილ. ჭავჭავაძე, რომლის მეოხებითაც ასე მძლავრად ამოძრავა და მიმართა ქართველი საზოგადოებრივი აზროვნება განახლებისა და განვითარების გზით და ქართველი ხალხის ისტორიაში წარუშლელი კვალი დასტოვა, რასაც ნ. ნიკოლაძეც რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავდა თავის წერილებში. ილ. ჭავჭავაძის შესახებ.

<sup>1</sup> «Новое обозрение», 1889, 20 мая.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ნიჭიერი, განათლებული, ილ. ჭავჭავაძის ქმედითი თანამოკალმე და თანამგზავრი ქართველი ხალხის ცხოვრების კულტურული აღორძინების სარბიელზე, კარგად ხედავდა, რომ ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა მართო მისი მხატვრული შემოქმედებით არ აპოიწურებოდა; კარგად ესმოდა, რომ ილიას მოღვაწეობა მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანი იყო: კარგად და თვალსაჩინოდ რწმუნდებოდა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში, სადაც კი ნაპრალი თუ ხარვეზი შეიმჩნეოდა და ილიას ხელი მიუწვდებოდა, მუდამ აქტიურ და გონიერ შემსრულებლად ჩნდებოდა.

ამიტომ, ბუნებრივია, ნ. ნიკოლაძემ თავის კრიტიკულ წერილებში აკრებულ ალბეჟად ილ. ჭავჭავაძის მდიდარი მოღვაწეობის ზოგიერთი სხვა მხარეც, რასაც არსებითი ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოებრივი კულტურულ-შეგნებული ცხოვრების წინ წაწევის საქმეში.

ნ. ნიკოლაძე თვითონ ნიჭიერი. მარჯვე კალმის ჟურნალისტი, ბუნებრივია, ილ. ჭავჭავაძეს, როგორც ჟურნალისტ-რედაქტორს, ახალი საზოგადოებრივი აზროვნების სათავის დამდებსა და მიმართულების მომცემს, მართებულ მაღალ შეფასებას აძლევს.

1872 წლის ჟურნ. „კრებულის“ X—XI—XII №-ში ნ. ნიკოლაძე ათავსებს წერილს „ჩვენი მწერლობა (კრიტიკული მიმოხილვა)“, რომელშიც იძლევა 1872 წლის ჟურნალ „მნათობის“ № 8—9-ის შეფასებას. არსებითად კი კრიტიკოსი ილ. ჭავჭავაძის ჟურნ. „საქართველოს მოამბისა“ და თვით მისი რედაქტორის, ილ. ჭავჭავაძის, მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს.

მოვუსმინოთ რას წერს ნ. ნიკოლაძე: „დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 (წელს) იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექნა ახალი სასიყვარულო მიზანი — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავე სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეცრებას და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისათვის შრომას, თავის დადებას. მაშინ, როგორც ეხლა, ყოველ პატიოსან კაცს მიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო იმ სიტყვის გავრცელება და მისი ძლიერების მომატება ახალგაზრდობაში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „კრებული“, 1872, № X—XII.

მართლაც, ასეთი დიდი საზოგადოებრივი, საქვეყნო მნიშვნელობა და რეზონანსი ჰქონდა ჟურნ. „საქართველოს მოამბეს“, რომლის სულის ჩამდგმელი, სინამდვილეში მართლაც ილ. ჭავჭავაძე იყო. ეს მაინც ჩვენ კრიტიკულ ლიტერატურაში ახლა ნათლადაა გარკვეული.

ასეთი მაღალი, დამსახურებული, ობიექტური შეფასების მიცემა თანამედროვე-თანამოკალმისა, რომელიც შესაძლებელია რედაქტორს ილ. ჭავჭავაძეს თვითონ ბევრ რამეში არ ეთანხმება, დამახასიათებელია ისეთი დიდი ბუნებისა, ნიჭისა და დიდი საზოგადოებრივი დამსახურების მქონისათვის, როგორც იყო თვითონ ნ. ნიკოლაძე.

ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთ-ერთი აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი და თვალსაჩინო მხარე იყო ქართული სალიტერატურო ენის რეფორმის გატარება — სალიტერატურო ენის გახალსურების პროცესის დაგვირგვინება-განმტკიცება, რაც საბოლოოდ მოხდა ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“. ჩვენი მწერლობის ახალი თაობა ამ მიმართულებითაც ადვილად გაჰყვა ილ. ჭავჭავაძეს და საერთო მყარი გაბედული შრომით მალე გაიმარჯვა.

ნ. ნიკოლაძეს ძალიან კარგად ესმოდა სალიტერატურო ქართული ენის გახალსურების მნიშვნელობა მკითხველთა რიგების გამრავლება-აღზრდაში, ბასების გათვითცნობიერებაში, ქვეყნის აღორძინებაში. იგი დიდი მონღომებით უსვამს ხაზს ამ საჭირო-სასარგებლო წამოწყებას და ცდილობს ხელი შეუწყოს მის ჩვენს მწერლობაში დახვეწას, გავრცელებასა და საყოველთაო მიღებას.

1877 წ. გაზ. „დროების“ 26 №-ში ნ. ნიკოლაძე ათავსებს ილ. ჭავჭავაძის მიერ გამოცემული გაზ. „იერიის“ პირველი ნომრის შესახებ რეცენზიას; აღნიშნავს მის ღირსება-ნაკლოვანებას. შემდეგ ახალი ქართული სალიტერატურო ენის გამარჯვებანი ილ. ჭავჭავაძის დამსახურების შეფასებაზე გადადის და წერს: „1861 წ. უფ. ილია ჭავჭავაძემ დიდი და დაუეჩიწყარი სამსახური გაუწია ჩვენს მწერლობას, უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდნენ მკვდარ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჭავჭავაძემ პირველად დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს. ამით იმან ზურგი გაუმაგრა იმ მწერლებს, რომელთაც მასზე უწინ სახალხო ენაზე წერა დაეწყათ. „საქართველოს მოამბის“ შემდეგ ქართულმა მწერლობამ ერთი-ორი ნაბიჯი მაინც წინ წადგა და უფრო და უფრო მითთვისა სახალხო ენა, რომელიც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამდიდრდა საქართველოს სწავლასხვა პროვინციულური დიალექტების სიმდიდრეების ჩართვით ქართულ მწერლობაში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „დროება“, 1877, № 26.

აქ. ნ. ნიკოლაძე ჩანს ავრეთვე, როგორც განათლებული კრიტიკოსი-ჟურნალისტი. იგი წერილში წარმოდგენილ საკითხს, რომლის გაშუქებასაც იძლევა, ყოველმხრივ უკვირდება, ბეჯითად სწავლობს და მხოლოდ ამის შემდეგ უზიარებს მკითხველთ თავის შეხედულებას.

აღსანიშნავია, რომ ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმის არა მარტო ფართო საზოგადოებრივი საკითხების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, არამედ ვიწრომკვიწრული სპეციალური საკითხებისაც, ამ შემთხვევაში ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დახვეწის საქმეში რა არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის დიალექტებს და მათ სალაროდან მასალის გონივრულ სარგებლობას.

დიდ დამსახურებად ჩაუთვალა რა ილ. ჭავჭავაძეს ქართული სალიტერატურო ენის რეფორმის გატარება-განმტკიცება, როგორც თავისი პირადი შემოქმედებით, ისე ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ დაარსება-ხელმძღვანელობაჲ, ნ. ნიკოლაძე სავალდებულოდ თვლის, ყველა განუხრელად ამუშავდეს ამ დიადი საქმის საუკეთესოდ დაგვირგვინებისათვის და პირველ რიგში ასეთს დამოკიდებულებას მოითხოვს ილ. ჭავჭავაძისგან, როგორც ამ დიდი საქმის მებაირახტრისაგან. დასახელებულ წერილში, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს რა ილ. ჭავჭავაძის დიდ დამსახურებას ქართული სალიტერატურო ენის ვახალბურებაში, მას ბრალს სდებს, რომ იგი გაზ. „ივერიაში“ ენის მძიმართულებით ძველისაყენ იხვეს. ამხედრებული კრიტიკოსი ნიმუშისათვის იღებს ილიას „კაცია ადამიანიდან?!“ ლუარსაბ თათქარიძის პორტრეტს, რაც კრიტიკოსის მტკიცებითაც, ნამდვილი ხალხური ენითაა დაწერილი, და ამ ნაწყვეტს, ენის მხრივ, უდარებს გაზ. „ივერიაში“ გამოყენებულ შემდეგ თქმას: „ვიდრე ამ აღსნას შევეუდგებით, საჭიროდ ვრაცხთ მოვიხსენიოთ, რომ ნაყუევთა გარეთად ჩვენის გუბერნიის გლეხობას შეადგენენ საეკლესიოს, რომელნიც (ეხლა სასასოდ არის ჩარიცხულნი) და სახასო გლეხნი, რომელთაც როგორც ვენახები, ისე სახნავ-სათიბი მიწები უფრო უხეადა და ბლომად აქვსთ“<sup>1</sup>. გამოყენებული სიტყვების (ვიდრე, ვრაცხთ, გარეთად და სხვ.) და ნ-იანისა და ი-ანის ძველი აკორმას სიტყვათა ხმარებას ნ. ნიკოლაძე ილ. ჭავჭავაძეს რეგრესად, უკან დახევად უთვლის და წერს: „ყოველგან მწერლობა თანდათან უფრო და უფრო უახლოვდება ცოცხალ ენას და თავის გრამატიკას ამ ენის თვისებებზე იდგენს და არა ძველ ნაწერებში ეძებს“.

ნ. ნიკოლაძე თავისი შეხედულების გამაგრებას განაგრძობს და მიუთითებს, რომ რუსეთში აქსაკოვმა და შიშკოვმა, ბევრად უფრო ნიჭიერებმაო, სცადეს ძველი რუსული მწერლობის ენის აღდგენა. მაგრამ ვერა გაარიგესრაო. ამიტომაც ნიკოლაძე ილიას ურჩევს, როგორც ნი-

<sup>1</sup> „დროება“, 1877, № 26.



ჭიერ კაცს, „თავისი ღონე და მეცადინეობა სხვა, უფრო სახიერო და მომავლიან შრომას მოახმაროს“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ მოტანილ ამონაწერში ილ. ჭავჭავაძეს გამოყენებული აქვს არქაული ფორმები (თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ მათში ბევრი ისეთი ფორმაა, რომლებიც ცოცხალ ენაში იმ დროს იხმარებოდა). რა თქმა უნდა, არქაული ფორმების იმარტებას უნდა ვერიდოთ; იგი დასაშვებია მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაში, სადაც არქაული ფორმა საგნის ან მოვლენის უფრო მძაფრ ასახვაში თუ გვეხმარება. ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ ილ. ჭავჭავაძესაც ეს გარემოება ასევე კარგად ესმოდა, მაგრამ მან მიუთითა იმიტომ, რომ ილ. ჭავჭავაძეს მისდევდა და მისგან სწავლობდა ჩვენი ახალგაზრდობა, მკითხველთა მასა და ამიტომ ილიას მიერ დაწყებული დიდი საქმე — ენის გახალსურების სისწორითა და სიწმინდით გატარება-განმტკიცება, პირველ რიგში, ილიასავე ავალდებულებდა ამ მართულებით მეტი სიფრთხილით მოქცევას.

მაგრამ ნ. ნიკოლაძის მითითება აქსაკოვსა და შიშკოვზე არაა მართებული; ჭერ ერთი, რუსი მწერლები აქსაკოვი და შიშკოვი არამეტე ილიაზე ბევრად უფრო ნიჭიერები არ იყვნენ, არამედ გაცილებით დაბლა იდგნენ. მათ შორის მიმართულების მიხედვით შეუძლებელია რამე საერთო მოინახოს. აქსაკოვიც და შიშკოვიც სლავიანოფილური იყვნენ, ძველისაკენ დაბრუნებას მოითხოვდნენ, ძველი ყოფა-ცხოვრებისა და ძველი მკვდარი ენის აღდგენას ცდილობდნენ, ახალს წინააღმდეგობას უწევდნენ, ილ. ჭავჭავაძე კი ახალ გზას ეძებს. ახალ „ვარსკვლავს“ მისდევს და სხვათაც მოუწოდებს; მან გაბედულად გამოაცხადა სალიტერატურო ენის ახალი რეფორმა, მთლიანად ხალხური ენის საფუძვლებზე გამაგრება-გამდიდრება მოითხოვა. ამასვე ასე ენერგიულად ქადაგებდა და სანიმუშოდ ატარებდა როგორც თავის პირად შემოქმედებაში, ისე მისი რედაქციით გამოსულ ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“ და გაზ. „ივერიანში“.

ნ. ნიკოლაძის არც მეორე რჩევაა მართებული: „ნუ მოსთხოვს, — ურჩევს ჩვენი კრიტიკოსი ჭავჭავაძეს, — იმას (თავის თავს) ემისთანა რამეს, რისი მიცემა მის ნიჭს არ შეუძლია. მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა. ამაებში უხეირო ფრაზების მეტს მისი ნიჭი ვერას მოგვეცემს. მიუბრუნდეს ისევ მოთხრობებს, ბელეტრისტიკას — ამ მხრით მისმა ნიჭმა დიდი დავალება დაადვა ჩვენს მწერლობას და იქნება კიდევაც შეეძლოს ახალი დავალების დადება... თუ მოთხრობების წერა ეძნელება, გვიწეროს იმისთანა სტატიები. საკუთარი მსაჯულობის პრაქტიკიდან, როგორცია სტატია „ცხოვრება და

<sup>1</sup> „ღრობა“, 1877, № 26.

კანონი“. ამით „რევრის“ მნიშვნელობაც შეეძინება და მკითხველებიცაო“<sup>1</sup>.

აქ ნ. ნიკოლაძე — ეს დიდად განათლებული და ალლოიანი კრიტიკოსი — არამცთუ სათანადოდ ვერ აფასებს ილ. ჭავჭავაძის შესაძლებლობას, არამედ თითქოს თავის თავსაც, მის მიერ აღრე და შემდეგაც გამოთქმულ შეხედულებას ეწინააღმდეგება, თითქოს რაღაცით უკმაყოფილო კრიტიკოსი, ცდილობს ილიას დიდი ღვაწლი და მნიშვნელობა მიჩქმალოს, დაამციროს. საქმე ისაა, რომ ილიას ნიჭი და მოღვაწეობა სწორედ აღნიშნულ პერიოდში არავითარ საბუთს არ იძლეოდა ნ. ნიკოლაძის რჩევისათვის, — რომ „მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია. მაღალი ფრენა. ამაებაში უხეირო ფრაზების მეტს მისი ნიჭი ვერას მოგვცემს“. რომ „მიუბრუნდეს ისევ მოთხრობებს“ და „თუ მოთხრობების წერა ეძნელება“, გვიწეროს იმისთანა სტატიები, როგორიც „ცხოვრება და კანონია“.

ილ. ჭავჭავაძისათვის რომ მოღვაწეობის დასაწყისიდანვე არც მეცნიერება და არც ფილოსოფია უცხო და დაუძლეველი არ იყო, ამას აშკარად ამტკიცებს მისი წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რ. შ. ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედ. რომელიც ჟურნ. „ციცქარში“ 1861 წლის აპრილის ნომერშია დაბეჭდილი, თერგდალეულთა მიწართულების არსის მომცემი წერილი „საქართველოს მოამბეზედ“ 1863 წ. ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში მოთავსებული. სხვა მრავალნიც რომ არ აღვნიშნოთ, ილ. ჭავჭავაძის მეცნიერულ-ფილოსოფიური წერილებიდან საკმარისია დავასახელოთ კადვე „აი ისტორია“, მისი პოლემიკა ნ. ჟორდანიასთან, ა. ჯორჯაძესთან, ივ. გომართლთან და სხვებთან, რომ ნიკოლაძის რჩევის არამართებულობა და მიუღებლობა ცხადი გახდეს.

ამის გარდა, ილ. ჭავჭავაძის ნიჭი და უნარი არც პოეზიაში და არც პროზაში ამ დროს სრულიადაც რომ არ იყო შესუსტებული ამას მკვერმეტყველურად ადასტურებს ის, რომ ნ. ნიკოლაძის სწორედ ამ წერილის შემდეგ ილ. ჭავჭავაძე წერს თავის პროზის შედეგებს — „სარჩობელაზე“ და „ოთარაანთ ქვრივს“.

პოეზიაში „დიმიტრი თავდადებულს“, „განდეგის“ და „ბაზალეთის ტბას“. ყველა ეს, რა თქმა უნდა, უტყუარი საბუთია იმისა, რომ ამ შემთხვევაში ან კრიტიკული ალლო და ესთეტიკური გემოვნება პლატატობს ნ. ნიკოლაძეს, ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, კრიტიკოსის ამ შეცდომის მიზეზი დროებითი პოლემიკური განწყობა უნდა იყოს. ეს გარემოება, უდავოდ, მათ შორის რომელიმე უსიამოვნო მომენტი უნდა აიხსნას. მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძე ილიას

<sup>1</sup> „დროება“, 1877, № 26.

დიადი, მრავალწახნაგოვანი ნიქის მრავალფეროვან გამოვლინებას შემდეგშიც კვლავ სხვა მიმართულებითაც აშუქებს.

\* \* \*

ნ. ნიკოლაძე ფართო განათლების მწერალია, აქედან მისი კრიტიკული წვდომის დიაპაზონიც ფართოა, მრავალფეროვანია. ის გატაცებით ჩაბმულია ჩვენი საზოგადოებრივი ცნობრების აღორძინება-საქმიანობაში. ყოველი ახალი მოვლენა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ-სასარგებლო, ქვეყნის საერთო კულტურული წინწამწევი, მის ყურადღებას გატაცებით იზიდავდა, ისიც არ აყოვნებდა ახალი მოვლენისადმი თავისი რეაგირება, დამოკიდებულება მკითხველი საზოგადოებისათვის გაეზიარებინა.

70—80-იან წლებში ქართული ხალხური ზეპირშემოქმედებებს შეკრება-ჩაწერის პრობლემა ჩვენს მოწინავე მწერლობაში სავრძნობი აქტიურობით დაისვა. ცნობილია, ამ დროს რუსეთში მეცნიერ-მკვლევრები რუსული ხალხური ზეპირშემოქმედების ჩაწერა-შეგროვებას გაცხოველებული და თვალსაჩინო წარმატებითაც აწარმოებდნენ. დასავლეთ-ევროპაში ეს საქმე თითქმის მოთავებული იყო. ამ უღარესად სერიოზული და გადაუდებელი საქმიანობის დასაწყისს ბიძგი მისცეს და წალისითა და ნაყოფიერებით ჩაებნენ კიდევ ჩვენი დიდი მოღვაწეებიც: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ხიზანაშვილი, თედო რაზიკაშვილი და სხვანი.

ნ. ნიკოლაძეც ამ მეტად სასარგებლო საქმის წამოწყებას დასაწყისშივე ენერგიულად გამოეხმაურა. „ობზორის“ 1878 წლის 9 ივლისის ნომერში ჩვენი კრიტიკოსი ათავსებს ფრიად სერიოზულ წერილს — ბიბლიოგრაფიას — «Книга мудрости и лжи (Грузинские басни и сказки XVII—XVIII стол.)». С. С. Орбелиანი, перевод и объяснения А. Цагарели.

ნ. ნიკოლაძე ერთგვარი გულნაკლულობით აღნიშნავს, რომ ჩვენში მდიდარ ხალხურ ზეპირშემოქმედებას და მის შეკრება-ჩაწერას სათანადო სერიოზული ყურადღებით არ ეკიდებიან. მისი სამართლიანი აზრით, ყველას არ შეუძლია ამ საქმის სათანადოდ და სასარგებლოდ გაკეთება. ხალხური ზეპირშემოქმედების შემკრები, ნ. ნიკოლაძის მართებული გაგებით, გარდა ცოდნისა, მასალა როგორ უნდა ჩაიწეროს, რა მოთხოვნილებები უნდა დაიცვას, აუცილებლივ „მცირე პოეტური ალლოთი“-ც უნდა იყოს დაჭილდობილი.

ნ. ნიკოლაძე ამ წერილში მაგალითისათვის ასახელებს ხალხური ზეპირშემოქმედების ცნობილ შემკრებთ — პ. უმიკაშვილს, ი. გოგება-

შვილს. რომელთა მიერ ამ საქმის წარმოება მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია. იგი წერს: ხალხური პოეტური თქმულებებისა და სიმღერების შესაკრებად სულ მცირე პოეტური ალლო მაინცაა საჭირო. განუპარტოთ ეს მაგალითით: ყველა სიმღერა უფ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი და უფ. გოგებაშვილის მიერ სახელმძღვანელოებში დაბეჭდილი... მაშლიანად აღებული ვერ გადასწონის იმ ორიოდ-სამი ხალხური სიმღერის ღირებულებას თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს რომ ჩაუწერია დუშეთში და დაბეჭდა ქურნალ „კრებულში“. „ეს იმიტომ, — განმარტავს ნ. ნიკოლაძე. — რომ თავ. ჭავჭავაძემ იცის, თუ როგორ გაარჩიოს ძველი—ხალხური მწერლებისაგან, პოეტური — გამოკოპიებულისაგან, დაახასიათებელი — უფერულისაგან“<sup>1</sup>. და ბოლოს ნ. ნიკოლაძე დაასკვნის: „როცა შეკრების ასეთი კრიტერიუმი არ გააჩნიათ, გამოდის არა კარაჩიჩის კოლექცია, არამედ რაღაც დომხალი, რომელიც უფრო აბნელებს. ვიდრე გამოიკვლევდეს ამ ხალხის პოეტურ შემოქმედებას“<sup>2</sup>.

აღნიშნულ წერილში — ბიბლიოგრაფიაშიც ნ. ნიკოლაძე მართებულად უსვამს ხაზს ილ. ჭავჭავაძის ცოდნასაც, ალლოსაც, ნიჭს ხალხური ზეპირშემოქმედების გაგება-დაფასებაშიც, მაგრამ კრიტიკოსი პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის ამ მიმართულებით მოღვაწეობას არაპარტებულად ჩრდილს აყენებს. პ. უმიკაშვილი არ იყო მოკლებული „მცირე პოეტურ ალლოსაც“, თავის დროისათვის ხალხური სიტყვიერების ერთი საუკეთესო შემკრებთაგანია. მან კარგი მასალა ჩაწერა — შეაგროვა და დაგვიტოვა, რომლის ნაწილი განსვენებულმა პროფესორმა ფ. გოგიჩაიშვილმა გამოსცა 1934 წელს — თავისი წინასიტყვაობითა და კომენტარებით<sup>3</sup>. ამ მიმართულებით არც ი. გოგებაშვილის მოღვაწეობა იყო „მცირე პოეტურ ალლოს“ მოკლებული, ის საგრძნობი გემოვნებით ათავსებდა თავის სახელმძღვანელოებში ხალხურ ზეპირშემოქმედებით მასალას.

პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის, როგორც ხალხური ზეპირშემოქმედების შემკრებლების დაწუნება უნდა აიხსნას ნ. ნიკოლაძის მიერ ფოლკლორული მასალის შეკრება-შესწავლისათვის უფრო დიდი მოთხოვნილებების წაყენებით, რაც, რა თქმა უნდა, არაა სრულიად საფუძველს მოკლებული.

ნ. ნიკოლაძის ეს წერილი ჩვენ გვაინტერესებდა, ჯერ ერთი, იმდენად, რამდენადაც ავტორი თავის კრიტიკაში ილ. ჭავჭავაძის ნიჭს, ალღოს და დამსახურებას ხალხური ზეპირშემოქმედების ჩაწერა-შეკრება-დაფასებაშიც მართებულად აფასებს, ხოლო, მეორეც, ნ. ნიკოლაძის

<sup>1</sup> «Обзор», 1878, 9 июля.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალის საგრძნობი ნაწილი ახლა გამოიცა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში.

მრავალფეროვანი კრიტიკული ნიჭის გამოვლინებაზეც მიგვეთითებინა. ამრავალ, გავიცანით რა ილია ჭავჭავაძის შესახებ ნ. ნიკოლაძის კრიტიკული წერილების მთელი სერია, გარკვევით ამგვარი შთაბეჭდილება რჩება: როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე ნ. ნიკოლაძე XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოღვიძებული ქართველი ხალხის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე მოქმედი ახალი თაობის — თერგდალეულთა წრის დიდად ნიჭიერი, განათლებული და აქტიური წევრები არიან. ისინი ლიტერატურას აფასებდნენ როგორც საბრძოლო იარაღს; ხელში კალამს რომ აიღებდნენ, ისე გრძნობდნენ, თითქოს მძიმე ბრძოლას იწყებდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ თუ ხელოვნებას ხელი მოკიდებდა, მაშ აუცილებელია მღუღარე და ვნებიანი გულის განუხრელად მოქმედება. ამიტომ ისინი დაუშვრეტელი და დაუზოგველი ენერჯით და გატაცებით იღვწოდნენ ჩვენი ხალხის ნიჭისა და უნარის აღვიძება-გაძლიერების, ჩვენი ბედკრული ხალხის მდგომარეობის გამოსწორების, წინ წაწევის, უკეთესი ყოფის შექმნის მიზნით. მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამსჭვალულნი, ისინი აღებული ტვირთის სიმძიმეს კარგად ითვისებდნენ, ერთმანეთის ძალას შეგნებულად აფასებდნენ და პირველ რიგში ერთმანეთს დიდ მოთხოვნილებას უყენებდნენ. მოთხოვნილებებში ხანდახან, მართალია, კიდევ აჭარბებდნენ, მაგრამ ეს თითქმის ყოველთვის ხალხისადმი ვალის უკეთესად მოხდის, მეტის და უფრო კარგად გაკეთების სურვილით იყო გამოწვეული.

ნ. ნიკოლაძის კრიტიკის რუქზე, როგორც ზემოთქმულიდან შეიძლება დავინახოთ, ილია ჭავჭავაძის, როგორც ლიტერატორის, მრავალწახნაგოვანი, თავისი ქვეყნის ცხოვრების წამყვანი დიადი ნიჭი, ძალა და ფრიალ ნაყოფიერი, სასარგებლო მოღვაწეობა მთელი სიდიადითაა მოცემული.

## პარიზის კომუნის გამოცხილი ქართულ მწერლობაში<sup>1</sup>

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის ისტორიული განვითარება ახალი გზით წავიდა. ჭერ კიდევ ფეოდალურ საფუძვლებზე მყოფი საქართველო, გარეშე მტრების მკაცრი მოწოლისა და შინაგანი რღვევის გამო, იძულებული შეიქნა რუსეთს შეერთებოდა. ბიუროკრატიული მეფის რუსეთის საქართველოში დამკვიდრება ხდება უხეში კოლონიური პოლიტიკის გატარების საფუძველზე.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა შეერთების მტკივნეული პერიოდის განვლის შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე აშკარად განჰკრიტა, რომ გზა ისტორიული განვითარებისა მას ამიერიდან რუსეთთან ერთად აქვს, რომ ძველი გზა და ძველზე ტირილი მას აღარ გამოადგება. მან კარგად და სწორად გადაწყვიტა, რომ ის რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან ერთად ხელიხელჩაკიდებული, საერთო ბრძოლით უნდა წასულიყო მონარქიული წყობილების დასანგრევად და უკეთესი, სამართლიანი მომავლის გზის გამოსანახავად და გასაჭრელად. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის ასეთი განწყობილება საკმარისი სიმკვეთრითა და სიცხადითაა გამოთქმული ილ. ჭავჭავაძის მიერ 60-იანი წლების წინა ხანებში:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ესლით ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“<sup>2</sup>.

ილ. ჭავჭავაძე ქართველის დედას ამოცანადა და ვალდებულებად უსახავდა აღეზარდა შვილი ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად:

„შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. № IX, 1952.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1, გვ. 30.

ასეთი გზით სიარულის, ასეთი მებრძოლი განწყობილების მქონე მოქალაქეების აუცილებლობა განსაკუთრებით მტკივნეულად დაისვა 60-იან წლებში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, როდესაც კაპიტალისტური განვითარების გზის აუცილებლობა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეშიც მეტად მტკივნეულად გაიშალა. ამასთან ერთად მოწინავე საზოგადოებაშიც მტკივნეულად დაისვა საკითხი, რა გზით უნდა წარიმართოს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრება? როდესაც დაისვა საკითხი: ხალხი თავისუფალია, მაგრამ ბედნიერია ის? პასუხი იყო ერთი და ისიც უარყოფითი.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ახალგაზრდობა 60-იანი წლებიდან უფრო ახლო მიდის რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, იქ იღებს განათლებას, რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში იღებს საზოგადოებრივ ნათლობას, ეწაფება მოწინავე საზოგადოებრივ იდეებს. ორი დიდი საზოგადოებრივი დაჯგუფება ქართველი ინტელიგენციისა — თერგდალეულები და ხალხოსნები — რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის დიდი გავლენის ქვეშ აღიზარდა. აი რასა წერდა ილ. ჭავჭავაძე გავლენის პერიოდის კარგა ხნის განვლის შემდეგ, 1889 წლის 15 მარტს: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულეურს ძალღონეს შეადგენს, და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი აკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო ამიტომაც საბუთი გვაქვს ესთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევი“<sup>2</sup>. დაახლოებით ამგვარი აზრი აქვთ გამოთქმული სხვა ქარ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1. გ. 30.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 332.

თველ მოღვაწეებსაც: აკ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს და სხვათა.

ქართველი ხალხის მიერ თავისით დამოუკიდებლობის დათმობა გამოწვეული იყო მისი გარდაუვალი სურვილით დამშვიდებული ცხოვრების პირობები შეექმნა, რათა დასწაფებოდა კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართა და მის საფუძველზე გაეშალა თავისი ნიჭი და ცხოვრება. მაგრამ თვით რუსეთის მოწინავე საზოგადოება და მისი მისწრაფებანი უხეშად იყო შევიწროებულ, დაბორკილი მონარქიულ-პოლიციური სახელმწიფოებრივი რეჟიმით. ესევე რეჟიმი უფრო მეტი სიმკაცრით ბორკავდა ქართველი საზოგადოების განვითარებას. ასეთი ვარემოება ქართველ მოწინავე საზოგადოებას უფრო მკიდროდ აახლოებდა რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილთან, განსაკუთრებით კი 60-იანი წლების რუს განმანათლებლებთან — ჩერნიშევსკისთან, დობროლიუბოვთან, გერცენთან, პისარევთან და სხვებთან. მათი რევოლუციური დემოკრატიული ორგანოები „Современник“ და „Колокол“ ჩვენი 60-იანელებისათვისაც მაგიდის წიგნად იყო გადაქცეული. რუსეთის განმათავისუფლებელი შოძრაობა საერთო გახდა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილისათვის.

ყველა დიდ ისტორიულ მოვლენას, პრაქტიკული იქნებოდა თუ იდეური. ან ორივე გაერთიანებული, რაც შეარყევდა ძველ, დახვეწებულ წყობილებას. დაანგრედა მსაგვრელთა ძალაუფლებასა და გზას მისცემდა სმართლის ხმის გაძლიერებას, სამართლიანი ცხოვრების მოპოვების შესაძლებლობას, ჩვენი მოწინავე საზოგადოება, მოწინავე რუს საზოგადოებასთან და კაცობრიობასთან ერთად, დიდი გატაცებით თანაუგრძნობდა და ცდილობდა ჩვენში მათ პოპულარიზაცია-პროპაგანდას. უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ჯოჯოხეთური, პოლიციური და მკაცრი ცენზურული პირობებისა, ჩვენი მოაზროვნე-მოღვაწენი მაინც ახერხებდნენ ასეთი მოვლენებისადმი თანაგრძნობის აღბეჭდვას თავიანთ შემოქმედებაში, დაბეჭდვის გზით ფართო მასებში გატანას.

ერთი ასეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა პარიზის კომუნა, — საფრანგეთისა და კერძოდ პარიზის მშრომელთა თავგანწირული გმირული ბრძოლა ძველი წყობილებისა და მის დამცველთა წინააღმდეგ, გაშლილი ახალი, სამართლიანი ქვეყნის დამყარების მიზნით.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, როგორც ირკვევა, დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ დიად ისტორიულ მოვლენას. ამ ყურადღებისა და თანაგრძნობის ცხოველი კვალი, მიუხედავად ხელისშემშლელი პირობებისა, აშკარად მოჩანს მაშინდელი პერიოდული გამოცემის ფურცლებზე და მწერლების მხატვრულ შემოქმედებაში.

მეტად საგულისხმოა „დროების“ 1871 წლის მარტის, აპრილისა და მაისის ნომრები. მკვლევარი ადვილად რწმუნდება, რომ „დროე-



ბის“ რედაქცია და მკითხველთა ის ნაწილი, რომელიც გაზეთის გარ-  
შემო იყო შემოკრებილი, დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს  
პარიზის კომუნის განვითარებას. დღიდან პარიზის აჯანყებისა გაზ.  
„დროება“ სისტემატურად ათავსებს თავის ფურცლებზე მის შესახებ  
მეტად დაწვრილებით ცნობებს. ეს ქრონიკა კი არ არის, ან დეპეშით  
მოსული ცნობის გადმოცემა, არამედ ამბების ვრცელი, დაწვ-  
რილებითი გადმოცემა; ამასთან ერთად ეს ობიექტური გადმოცემა კი  
არ არის მშრალი ცნობებისა, არამედ კომუნარებისადმი თანაგრძნობით  
სავსე წერილებია. ამ წერილებს რედაქცია მოხერხებულად ურთავს  
კომუნარების პროკლამაციებისა და მათი სამართლიანი პოზიციისა და  
გამარჯვების მტკიცე, ურყვე რწმენას. გაზ. „დროებაში“ მოთავსებული  
ვრცელი ცნობები მკითხველს საკმარისად ამომწურავად აცნობს ამ  
დიადი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის გამომწვევ მიზეზებსაცა  
და მნიშვნელობასაც.

„დროების“ 26 მარტის მე-12 ნომერში სხვა ცნობათა შორის ვკი-  
თხულობთ: „წინანდელ ნომერში იყო მოხსენებული, რომ აჯანყებუ-  
ლები გამაგრებულან მონმარტირის უბანში, ზარბაზნები დაუქერიათ  
და ემორჩილებიან მმართველობის<sup>1</sup> განკარგულებას. მარტის ხუთს მმ-  
ართველობას გაუგზავნია ჯარები მონმარტირის დასამშვიდებლად და  
აჯანყებულებისათვის ზარბაზნების წასართმევად. უანდარმებს ოთხასი  
კაცი დაუტუსაღებიათ. მაგრამ მეორე დღეს ნაციონალური გვარდიის  
საღდათები წასულან ბელვიის უბნიდან და ყველა დატუსაღებული  
გაუთავისუფლებიათ სატუსალოდან. ვინუას (მთავრობის პარიზის ჯა-  
რების მთავარსარდალი — მ. ზ.) გაუმწკრივებია ჯარი და ზარბაზნები,  
მაგრამ თვითონ ჯარს დაუტოვებია ადგილები, ხალხის მხარე დაუქე-  
რია და ზარბაზნები იმათთვის დაუნებებია. ამის შემდეგ ნაციონალური  
გვარდიელები თოფებით მხარზე წავიდნენ მონმარტირისაკენ, აჯანყე-  
ბულებს მიემხრნენ და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკასო“<sup>2</sup>.

ასეთი ცნობის მოცემის შემდეგ „დროება“ მკითხველს აცნობს ჯა-  
რისა და მშრომელი ხალხის სიმპათიას კომუნარებისადმი; ბრალს  
სდებს მმართველობას, მათ შორის ვინუას, რომელმაც 6 რესპუბლიკუ-  
რი გაზეთი დახურა, რადგანაც ეს გაზეთები ხშირად მთავრობის გან-  
კარგულების წინააღმდეგ იყო. „დროებას“ ასეთი გზა მმართველთა არ  
მიაჩნია სწორად და ქვეყნისათვის სასარგებლოდ: „გამოუძიებლად და  
განუკითხავად, — წერს გაზეთი, — მოსპობა მმართველობის წინააღმდეგ  
გაზეთებისა, უეჭველია, უფრო მომეტებულ თანაგრძნობას მოუპოვე-  
ბენ თვითონ იმათ რედაქციებს და თანამშრომლებს“. ჩანს, „დროებას“

<sup>1</sup> სადაც მმართველობა მოხსენებული, ყველგან ვერსალის მთავრობა იგულისხ-  
მება.

<sup>2</sup> „დროება“, 1871, № 12.

უნდა ისარგებლოს შემთხვევით, რათა თავისი დემოკრატიული იდეებზე გატანა შესძლოს მკითხველთა მასებში.

„დროება“ აღნიშნულ კორესპონდენციაში ხაზს უსვამს, რომ „აჯანყების ცენტრალურ კომიტეტს“ სრულიად აზრად არა ჰქონდა არეულობის მოხდენა, მას მხოლოდ უნდოდა გვარდიას ამორჩეული უფროსი ჰყოლოდა და არა დანიშნული, ვინაიდან ასეთი გვარდია რესპუბლიკას უკეთესად დაიცავს.

რედაქციას სურს მკითხველს დაანახოს ფრანგი მოსახლეობის თანავრძნობა კომუნარებისადმი, ხაზი გაუსვას აჯანყებულების სწორ საქმიანობას, ამიტომ შემდეგ ცნობას გადმოსცემს: „განდგომილ ნაციონალურ გვარდიელებს დაუპერიათ რატუშა, რომელიც იმწამსვე თავისი ცენტრალური კომიტეტის სამყოფად გადაუქცევიათ და ზედ წითელი დროშა (რესპუბლიკის ემბლემა) დაუმაგრებიათ. ამ კომიტეტმა გამოსცა ორი პროკლამაცია: პირველ პროკლამაციაში კომიტეტი აცნობებს ხალხს განდგომილების გამარჯვებას და ამასთანავე მაზრებში ახალ ამორჩეველებს ნიშნავს. მეორე პროკლამაციაში ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ გათავდება თუ არა არჩევნები, ის იმწამსვე გადასცემს ხალხს თავის უფლებას“<sup>1</sup>.

„დროების“ რედაქცია და მის გარშემო შემოკრებილი მკითხველი საზოგადოება რომ კომუნარების მოძრაობას თანაუგრძნობენ, რასაც ხშირად ვერა მალავენ, ეს ამ ვითომც და სრულიად ობიექტურ, უპარტიო კორესპონდენციებიდანაც აშკარადა ჩანს. „მმართველობამ, — ვკითხულობთ ზემოთ აღნიშნულ კორესპონდენციაში, — გამოაცხადა, რომ იმას ჰსურს რესპუბლიკა დაამკვიდროს საფრანგეთში, მაგრამ არა გვეგონია იმან აასრულოს თავისი წადილი, თუ ისეთს ცუდსა და შემავიწროებელ საშუალებებს მოჰკიდა ხელი, როგორც მიცვალებული მეორე იმპერია შვრებოდა“. ასეთი შეხედულების დასადასტურებლად რედაქცია იმავე წერილში აღნიშნავს მთავრობის დამოკიდებულებას გამოჩენილი რევოლუციონერი ბლანკისადმი, რომელიც 1839 წლიდან დაწყებული დღემდე თითქმის მუდამ სატუსალოში იჯდა თურმე სხვადასხვა „პოლიტიკური დანაშაულებისათვის“. გაზეთი „დროება“ — ხშირად ერთ ნომერში სხვადასხვა სათაურით — „უცხო ქვეყნები“ — „საფრანგეთი“, „ამ კვირის ტელეგრამები“, „ნარევი“ — ცდილობს მკითხველს მისცეს მთელი სურათი პარიზის კომუნის მოძრაობისა და მისი გავრცელებისა. საფრანგეთის არეულობის შესახებ ცნობები ხშირად „დროების“ მოწინავე წერილის მაგივრადაც არის პირველ გვერდზე.

„დროების“ № 14-ში (9/IV) რედაქცია ფართოდ ესაუბრება მკითხ-

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 12.

ველთ არა მარტო პარიზის აჯანყების გარეგნული გამოვლინებების, მისი გარეგნული ხასიათის შესახებ, არამედ ცდილობს მკითხველს ამ აჯანყების ნამდვილი გამომწვევე მიზეზებიც გაურკვეოს. „არეულობა პარიზში, — ვკითხულობთ ხსენებულ ნომერში, — რომელიც 6 (18) მარტს დაიწყო და რომელზედაც წინანდელ ნომერებშიც იყო ნათქვამი, მას შემდეგ ძალიან გაძლიერდა, ასე რომ ამჟამად მთელი პარიზი აჯანყებულთა ხელშია. აჯანყებულნი არიან ნაციონალური გვარდიის ჯარი და იუზა ხალხი, რომელთაც ეშინიანთ, რომ ახლანდელი მმართველობა და ახლანდელი ნაციონალური კრება, რომელიც მონარხიელი დეპუტატებისაგან არის შემდგარი, უღალატებს რესპუბლიკის პრინციპს. ამას გარდა... აჯანყებული ნაციონალური გვარდია თხოვლობს ამასთანავე, რომ ჩვენი უფროსები ჩვენ უნდა ავირჩიოთო. მმართველობისაგან დანიშნული პირების ნდობა ჩვენ არა გვაქვსო, ისინი ვერ დაიცავენ საფრანგეთის რესპუბლიკასო“.

მაგრამ „დროების“ რედაქცია უფრო ღრმად იხედება ამ მოვლენის ხასიათში და ცდილობს მკითხველთა აჯანყების ნამდვილი მიზეზი გაურკვეოს. ის წერს: „ნამდვილი მიზეზები კი განხეთქილებისა, — როგორც თითქმის ყოველთვის, — ლუკმა პურის საქმეა: მუშებს არა აქვთ ნდობა ახლანდელი მმართველობისა, რომელნიც მდიდრებისაგან და ბურჟუაზიული პარტიის მომხრეებისაგან არის შემდგარი: ამათ იციან, რომ ამისთანა პირები უფრო ხშირად თავისი საკუთარი სარგებლობისათვის მოქმედებენ, ვიდრე საზოგადოებისათვის და მდაბიო ხალხისათვისო“<sup>1</sup>.

რედაქცია კარგად ახერხებს მკითხველი იყოლიოს აჯანყებულთა „ცენტრალური კომიტეტის“ პასუხისმგებლობის დიდი შეგნებით წარმოებული მუშაობის კურსში. აღნიშნულ კორესპონდენციას რედაქცია, რათა მკითხველთა გაურკვეოს „ცენტრალური კომიტეტის“ სამართლიანი მოქმედების სწორი ხაზი, ჩურთავს არჩევნების წინააღმდეგ „ცენტრალური კომიტეტის“ მიერ გამოცემულ პროკლამაციას. რედაქცია ფრთხილობს თავისი აზრი — დამოკიდებულება აშკარად გამოთქვას, და ვითომც და მას მხოლოდ ცნობის სახით მოაქვს პროკლამაციის ტექსტი, სინამდვილეში კი მას სურს მკითხველს ამგვარი დოკუმენტით ნათლად და დამარწმუნებლად დაანახოს კომუნართა აჯანყების სამართლიანი გზა. აი „დროებაში“ მოტანილი ეს პროკლამაცია შემოკლებით:

„ისეთი პირები ამოირჩიეთ, — ეუბნება კომიტეტი ამომრჩევლებს, — რომელნიც თქვენი ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელნიც თქვენსავით გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ნუ დაენდობით იმათ, ვინც მუდამ თავის თავზე და თავის სარგებლობაზე ფიქრობენ. ნუ დაენდობით

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 14.

ნურც იმ მკვერმეტყველ ორატორებს, რომელთაც საქმის გაკეთების მაგივრად ლამაზ-ლამაზი სიტყვების წამოსროლა იციან. მოერიდეთ აგრეთვე იმათ, ვისაც ბედმა გაუღიმა და სიმდიდრე შეიძინა: მდიდარი მუშა ხალხს როგორც თავის მტერს ისე უყურებს. მოძებნეთ თვითონ ხალხში ისეთი პირები, რომელნიც წრფელი აზრის, პატიოსანი, მოქმედი და გამბედავნი არიან, ამოირჩიეთ ისეთი პირები, რომელნიც თვითონ-კი არ ყვირიან, ჩუმაღ მოქმედებენ თქვენსავე სჯარაგებლოდ<sup>1</sup>.

„დროების“ რედაქცია კმაყოფილების კილოთი აუწყებს თავის მკითხველთ, რომ 26 მარტის არჩევნებმა გამოამჟღავნა მოსახლეობის თანაგრძნობა აჯანყებულთადმი; არჩეულ იქნენ მუშები და ცნობილი რესპუბლიკელები, რომელთაც 28 მარტს გამოაცხადეს პარიზში კომუნა დაარსდაო. აგრეთვე აღნიშნულია, რომ მმართველობის ყველა მინისტრი ტიერითურთ სასამართლოს გადაეცემა და მათ ხალხის მმართველობის წინაშე უნდა გაიპართონ თავიო.

რედაქცია მკითხველთ, უდავოდ მკითხველთა მასებში ფართოდ გატანის მიზნით, აცნობს სხვა სასარგებლო წამოწყებებს, დეკრეტით დაკანონებულთ, როგორიცაა: სახელმწიფო არ გაერევა საეკლესიო საქმეებში და არც ეკლესიას აქვს უფლება სახელმწიფო საქმეებში გარევისა. საეკლესიო უწყებებისათვის მმართველობა არ გაიღებს ფულს და ყველა საეკლესიო მამული სახელმწიფო ქონებად უნდა ჩაირიცხოს. აგრეთვე ხაზი აქვს გასმული კომუნის. შემდეგ გადაწყვეტილებას: „ასეთი კომუნა საფრანგეთის ყველა ადგილში უნდა დაწესდეს და ამგვარად საფრანგეთი კონფედერაციულ სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს, რადგანაც, იმათი აზრით, მარტო ამნაირად შეიძლება იქაური ღარიბი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება“.

ამასთან ერთად რედაქცია ცდილობს მკითხველს კომუნა გააცნოს როგორც მშვიდობისმოყვარე, სამართლის მაძიებელი ორგანო.. „არეულობის ნომხდენნი, — წერს რედაქცია, — თავიდანვე აცხადებენ: ჩვენ სისხლის დაღვრა არ გვინდა; რასაც ვთხოვლობთ, ის მოგვცენ და ხმას აღარ ამოვიღებთო“. მკითხველთა განწყობილება რომ კომუნარებისადმი გადახაროს, რედაქცია, ვითომც და ობიექტურობისათვის, აღნიშნავს არეულობის განვითარების ფაქტიურ მასალას და აცნობს მკითხველთ, რომ იყო ძოლაპარაკება მორიგებაზე აჯანყებულთა და მმართველობას შორის. „დროების“ რედაქცია აღელვებით წერს, რომ ნაციონალური კრების მონარქიული დეპუტატები არ დაეთანხმნენ, ისინი არ არიან დანტერესებულნი მშვიდობიანობით დამთავრდეს ეს ბრძოლა;

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 14.

მათი აზრით, მმართველობამ ძალით უნდა დაამშვიდოს არეულობა და აჯანყებულებს სასტიკად მოექცეს.

რედაქცია მოხერხებულად სარგებლობს ისე აგეგმოს ცნობების გადაცემა მკითხველთაგან, რომ თვალსაჩინო გახადოს ტიერის მთავრობის სისხლისმსმელობა, მის მიერ ხალხის — მოსახლეობის გაუფრთხილებლობა, არდასოგვა, შეძლებულთა ინტერესების დაცვა, ხოლო წამოსწიოს ინსურგენტების (აჯანყებულების) სამართლიანი, ქვეყნისა და მშრომელთათვის სასარგებლო წამოწყებაანი და ჰუმანური მიმართულება. მაგალითად: „დროების“ მე-15 ნომერში ვკითხულობთ: „მმართველობის ჯარის უფროსი მარსელში შემდეგ ამბავს იწერება ამ ქალაქიდან: „მარტის 23 (4 აპრილს) ჩვენ დავეციტ ქალაქს, რომელიც ინსურგენტებმა ჩაიგდეს ხელში. მთელი დღის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლა გვქონდა... 500 ინსურგენტი დავიჭირეთ, დანარჩენნი გაიქცნენ ქალაქიდან, ამ შეტაკების დროს ბევრი დაიწოცა“.

მმართველობის ასეთი მიუღებელი მოქმედება რომ უფრო დამაჯერებელი გახადოს, იმავე წერილში რედაქცია ათავსებს შემდეგ ამალელებელ ფაქტს: „ტიერს ჰკითხეს ნაციონალურ კრებაში — „როგორ ასრულებს თავის მოვალეობას (ინსურგენტების დამშვიდებას) ჩვენი ჯარიო“... ტიერმა უპასუხა თურმე: „ამჟამად ჩვენი ჯარი სამაგალითოდ მოქმედებს. საფრანგეთმა ბოლოს მონახა თავისი შესაფერი ჯარიო“. და რომ ასეთი შედეგური, ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო განცხადება ტიერისა გააშიშვლოს და შესაძლებლობა მიეცეს თავისი შეფასება და განწყობილება მკითხველს ამცნოს, რედაქცია ასეთ ცნობას დაურთავს ზემოთ მოყვანილ ამბავს; „ამაზე ერთი რესპუბლიკური გაზეთი ამბობს: „ტიერისთანა კაცები თავის თანამემამულეების დასახოცავად ყოველთვის მონახავენ კაცებს, მაგრამ, როცა ნამდვილი მტერი მიაღდება იმათ, მაშინ კი უკან იწვევენ და მუდამ დამარცხებული არიან“<sup>1</sup>.

რედაქცია ხაზს უსვამს, რომ ინსურგენტები არ იყვნენ წინააღმდეგნი მორიგებით დამთავრებინათ აჯანყება, მხოლოდ თხოულობდნენ თავიანთი პირობების შესრულებას. განსაკუთრებით ისინი მოითხოვდნენ ნაციონალურ გვარდიას მიეცეს უფლება თავისი უფროსების არჩევისა და მარტო მას უნდა მიენდოს პარიზის დაცვაო. რედაქცია უკმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ტიერი ასეთ დათმობაზე არ მიდის. ტიერი მხოლოდ დაჰპირდა აჯანყებულებს: „ვინც თოფ-იარაღს დაყრის, მას მმართველობა აპატიებს ყოველ დანაშაულსო“. „დროება“ კმაყოფილების შეგრძნებით გადასცემს მკითხველთ, რომ ტიერის ამ განცხადებას საღამოს გაზეთები ჰკიცხავდა. მას მოჰყავს კომუნის ერთ-ერთი

<sup>1</sup> „დროება“, 1671, № 15.

გაზეთის პასუხი ტიერის ამ „დაპირებაზე: „საზოგადოდ, როგორც ჩანს, ტიერს 300 000 ფრანკუზის მოკვლა ურჩევნია, ვიდრე პარიჟს მუნიციპალური უფლებები მისცეს. ჩვენ კი ჩვენი პარიჟის კარების წინ სიკვდილს ვაძვობინებთ და ამ წესს კი არ დავმორჩილდებით, რომლითაც ჩვენ პარიჟში ხელახლად დაიწყება ქალაქის სერჟანტების და პოლიციის მშობნების მეფობა“.

კომუნარების გაზეთის ამ ცნობას რედაქცია, თავის მხრით, შემდეგს დასძინა: „ერთ თვეზე მეტია, რაც ეს საშინელი ბრძოლაა საფრანგეთში მუშა ხალხსა და ბურჟუაზიულ მმართველობას შორის და თუმცა ვერსალის ნაციონალურმა კრებამ თავიდანვე გამოაცხადა, რომ პარიჟის არეულობას რაც შეიძლება მალე დავამშვიდებთო და იქაური აჯანყებულები სასტიკად უნდა დავსაჯოთო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერ ვერ აასრულეს ეს თავისი დაპირება და საფიქრებელია, რომ ჯერ არც ამ მოკლე ხანში აასრულებენ, რადგანაც 74 ათასი ჯარისკაცის მეტი არა ჰყავთ თოფ ქვეშ“. რედაქციას ეს ციფრი მმართველობის ჯარისკაცთა ნოაქვს იმ მიზნით, რომ მკითხველებს დაანახოს აჯანყებულთა წინააღმდეგობის ძალა.

რედაქცია ამ ცნობას შემდეგსაც დაურთავს: „მართალია, ვერსალიდან მუდამ იწერებიან, რომ ახალი ჯარი ბრუნდება გერმანიიდან და როცა ამნაირად საკმარისი ჯარი გვეყოლება, მაშინ ერთბაშად დავეცემით პარიჟს და დავიმორჩილებთო. მაგრამ დღემდე, თუმცა ბევრჯელ სპონდრათ შეტაკება. მაგრამ უმეტეს ნაწილად აჯანყებულები არიან გაპარჯებულნი“<sup>1</sup>.

„დროება“ კვალდაკვალ მისდევს აჯანყებულთა მოქმედებას. მკითხველთ აცნობებს, რომ აჯანყებულთა ჯარი ამ უკანასკნელ დროს რამდენჯერმე დაამარცხა მმართველობის გაძლიერებულმა ჯარმა, მაგრამ ინსურგენტების თავგანწირულება განსაცვიფრებელია. თავისი ასეთი აზრის დასამტკიცებლად რედაქციას მოჰყავს ინსურგენტების კერპი განცხადება: „პარიჟის გარშემო ფორტები და სოფლები თუ წაგვართვის, ჩვენ ყოველ ქუჩაზე ბარიკადებს გავუმართავთო, ყოველ ქუჩის ქვეშ მიწებს გავიყვანთ და უკანასკნელ ღონისძიებამდე ვიბრძოლებთ ჩვენ ახალს, პრუსიელებზე უარეს, მტერთანაო“.

„დროების“ რედაქცია კვლავ სარგებლობს ამ საგულისხმო მდგომარეობით და ცდილობს მკითხველთ ამ ბრძოლის ძირითადი, გამომწვევი მიზეზები განუმარტოს და შემდეგ წერს: „ეს ახლანდელი ბრძოლა ლექვა პურისათვის ბრძოლაა და ამიტომ არის ასე გაცხარებული: ბურჟუაზიას (ვერსალის მმართველობას) სურს ჩაიგდოს ხელში საფრანგეთის საქმეების გამგებლობა და უწინდებულად ისარგებლოს მუ-

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 16.

შა-ხალხის შრომით; მუშა-ხალხს კი თავის მხრით სურს თავისი საქმეები თვითონვე (ნამდვილი რესპუბლიკის საშუალებით) განაგოს და არავის არ მისცეს თავისი შრომით სარგებლობის ნება. აი ნამდვილი მიზეზი ახლანდელი არეულობისა. როდესაც პარიელები თავიანთთვის სსვადასხვა უფლებებს თხოულობენ, იმათ მხოლოდ ის მიზანი აქვთ მხედველობაში, რომ შემდეგში კაპიტალისტებისაგან დამოკიდებულებას ამორდნენ“<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულება და გაგება კომუნარების აჯანყებისა რომ უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი გახადოს, „დროებას“ მოაქვს კომუნარების დეკრეტები, ხან მთლიანად, ხან ნაწილობრივ, რის საფუძველზედაც ისინი მზად იყვნენ მოლაპარაკება ეწარმოებინათ ვერსალის მმართველობასთან. სანიმუშოდ მოვიყვანთ კორესპონდენციაში ჩართულ შემდეგ დეკრეტს: „პარიეს სურს, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა დამყარდეს. პარიეს სურს, რომ საფრანგეთის ყველა ქალაქს, ყოველ სოფელს, ერთი სიტყვით, ყოველ კომუნას მიენიჭოს უფლება თავის საკუთარ საქმეების გამგეობისა. ყოველ კომუნას გადასახადის განაწილებისა და მოხმარების უფლება უნდა ჰქონდეს; იმის ხელში უნდა იყოს სახალხო განათლება, ყოველგვარი თანამდებობის პირის ამორჩევა, დაყენება და მშვიდობიანობის დაცვა (პოლიცია); ყოველი კერძო პირი დაცული უნდა იყოს უკანონო მოპყრობისაგან, ბურჟუაზიისაგან და სინიღისის ძალდატანებისაგან; ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ხმა, რომ საზოგადო საქმეებში გარევა შეეძლოს: ბეჭდვა და კრება თავისუფალი უნდა იყოს. აი ამას ვთხოულობთ ჩვენ, ჩვენი მტრები კი აშინებენ ხალხს, ვითომც პარიეს სურდეს მთელი საფრანგეთის ხელში ჩაგდება და ყველაფრის მითვისება“<sup>2</sup>.

„დროების“ რედაქცია თავის აღნიშნულ ფართო საინფორმაციო წერილში ხაზს უსვამს, რომ ვერსალის მთავრობა არ იცავს რესპუბლიკის კანონებს, რომ საფრანგეთში არ არსებობს რესპუბლიკა; არც ვერსალის ნაციონალური კრება იცავს რესპუბლიკის კანონებს. გაზეთის ცნობითა და რწმენით, საფრანგეთის სხვა ქალაქებსაც უნდათ კომუნარებსა და მთავრობას შორის მოხდეს მოლაპარაკება, მაგრამ ისე კი, რომ კომუნამ არ დაუთმოს. გაზეთი იძლევა ცნობას, რომ საფრანგეთის სხვა ქალაქებიც მხარს უჭერენ კომუნას: „ისინი, — ვკითხულობთ აღნიშნულ წერილში, — ურჩევენ თურმე კომუნას, თავის პირობაზე ნუ გადადგება და თუ ვერსალის მმართველობა არ დაგვეთანხმება, მაშინ ყველა დიდი ქალაქები პარიეს მხარეს დაიჭერსო“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „დროება“. 1871, № 17.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

„დროების“ რედაქციას აგრეთვე სურს მკითხველს გააცნოს და გააგებინოს, რომ კომუნარების მოქმედებას ფართო საზოგადოებრივი ინტერესი აქვს და მათ საქციელს ბევრი მიმდევარი უხდება არა მარტო საფრანგეთში, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც. „დროების“ საინფორმაციო წერილები იძლევა ცნობას, რომ ინგლისსა და გერმანიაშიც აღმოჩნდა მრავალი მოხალისე ყმაწვილი, რომელნიც მოდიან პარიზში ნაციონალური გვარდიის ვოლონტერებად და პარიზელებს ეხმარებიან მმართველობასთან ბრძოლაში. ვოლონტერთა რიცხვი, გაზეთის ცნობით, აღწევს 25—30 000 უცხოელს: 18 000 გარიბალდელები, 7 000 ინგლისელი და ირლანდიელი; 1 200 ბერძენი, 600 ავსტრიელი, 600 ნემეცი; პოლონელების რიცხვიც თვალსაჩინოა!.

„დროების“ თანამშრომელი ცნობილი პირობების გამო არა წერდნენ ინდივიდუალურ წერილებს. რომლებშიც აშკარად იქნებოდა კომუნარებისადმი თანაკრძობა. ამის სამაგიეროდ გაზეთი ფართო საინფორმაციო წერილებში ათავსებდა დოკუმენტალურ მასალას, რომელიც მკაფიოდ ააშკარავებდა კომუნარების მოთხოვნათა სამართლიანობას, რაც „დროების“ რედაქციასაც უკომენტაროდ მისაღებად და სასურველად მიიჩნდა, რის ფართო გატანასა და დანერგვასაც ადგილობრივ მოსახლეობაში რედაქცია და მისი თანამშრომელი საჭირო და გადაუდებელ ამოცანად ისახავდნენ. იმ მძიმე პოლიტიკურ და ცენზურულ პირობებში „დროება“ ამ იდეების პროულარიზაციას ნაყოფიერად უწყობდა ხელს.

1871 წლის 9 მაისის „დროება“ მე-18 ნომერში მოთავსებულია „რესპუბლიკის ლიგის“ მიერ გამოცემული პროგრამა, რომლის ხელის მოწერას ლიგა ავალდებულებდა მოძავალი მუნიციპალური რჩევების ყოველ კანდიდატს და სთხოვდა დაეცვა საფრანგეთის რესპუბლიკა, თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. გაზეთში ეს პროგრამა მოყვანილია მუხლობრივ შემდეგი სახით: „1. ყოველი საშუალებით რესპუბლიკის დაცვა. 2. თავისუფლება კომუნებისა: ცენტრალური უფლება არ უნდა გაერიოს კომუნების შინაგან საქმეებში, ყველა კომუნებს ერთმანეთში კავშირი ექნება (ფედერაცია). 3. შერები (ქალაქის უფროსები — ლუბერნატორები) და იმათი თანაშემწეები მუნიციპალურმა რჩევამ უნდა ამოირჩიონ (ქალაქის დეპუტატებმა). 4. ნაციონალური გვარდია მუნიციპალური რჩევის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს. 5. ამისვე ხელში იქნება პოლიცია. 6. ხარჯის გაწერა და იმისი განაწილება მუნიციპალური რჩევის ხელშია. 7. ყველა სახალხო სკოლებში სწავლა უფასო და ვალდებულებითია; საღმრთო წერილის სწავლა სკოლებშია.“

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 17.



აკრძალულია. 8. კანდიდატები (ხალხის წარმომადგენლები) ორი წლით ამოირჩევიან. 9. ყოველი დეპუტატი ვალდებულია პარლამენტში სხდომების დაწყებამდე ერთხელ მაინც გამოეცხადოს თავის ამომრჩევლებს იმისათვის, რომ წარუდგინოს თავის მოქმედების ანგარიში და წერეთ მხრით მიიღოს იმათგან ახალი ინსტრუქცია“.

აშკარაა, ეს პროგრამა „დროების“ რედაქციისათვისაც სრულიად მისაღები და სახელმძღვანელოა, მკითხველნიც ამ მიმართულებით სურს დარაზმოს. მაგრამ „დროება“ აქ არა სევამ წერტილს, მას უნდა უფრო მკვეთრად გამოაშკარაოს კომუნარების თავგანწირული ბრძოლის სიმტკიცე, იდეურობა და მიმზიდველი ძალა. ამ მიზნით ეს მკითხველთ აწვდის დიდი მნიშვნელობის დოკუმენტებს, მათ შორის აღსანიშნავია „პარიჟის დამცველი ქალების საზოგადოების“ პროკლამაცია. წინააღმდეგ ქალთა ერთი ჯგუფისა, რომელიც მიმართავდა მმართველობის სულგრძელობასა და დაუყოვნებლივ მორიგებასა სთხოვდა, ქალთა ეს საზოგადოება მოითხოვდა ბრძოლის, შეურიგებელი ბრძოლის გაგრძელებას. „არა, — აცხადებდნენ პარიზის დამცველი ქალები, — მშვიდობას კი არა, ბრძოლას, გაუწყნარებელ ზრძოლას თხოულობენ პარიჟის მუშები. მორიგება და მუშების საქმის დაღატი აქლა ერთი იქნებოდა. მორიგებას ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ჩვენ დავემორჩილეთ ბედს, რომ ჩვენ, მუშები, აღარ ვთხოვლობთ არც ჩვენი სოციალური მდგომარეობის შეცვლას, არც ჩვენი დამამკირებელი და დამღუპველი კანონებისა და დაწესებულების მოსპობას, არც კაპიტალის დამოკიდებულებისაგან შრომის განთავისუფლებას... პარიჟი არ დაუთმობს, იმიტომ რომ იმისი დროშა მომავლის დროშაა. მოიწია ანგარიშის მოთხოვნის ჯრომ... ადგილი მუშებს!.. ნუ გეშინიანთ, ჩვენებო, თავისუფლების ხე, იმის დამცველების სისხლით მორწყული, თანდათან იზრდებოდა... მუშა-ქალს და მუშა-კაცს ერთი და იგივე მტერი ჰყავს — კაპიტალი და ამიტომ ორივენი შეერთდნენ ამ მტრის დასამხობად. გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას, კომუნასა და შრომას!“<sup>1</sup>.

მმართველობის მკაცრ ზომებს, მის დაუნდობელ და დაუზოგველ მოპყრობას არა მარტო აჯანყებულებისადმი, არამედ მოსახლეობისადმიც, კომუნარები მკაცრადვე უპასუხებდნენ. ამ გარემოებასაც „დროება“, როგორც სანიმუშოს, მკითხველს ყოველი საშუალების გამოყენებით უჩვენებს. „საზოგადოების დაცვის კომიტეტმა“, რომელიც უკანასკნელი უზენაესი მმართველობა იყო კომუნისა, რეაქციის წინააღმდეგ პროკლამაცია გამოუშვა. „დროების“ რედაქცია ამ პროკლამაციის შემდეგ დამახასიათებელ ნაწილსაც ბეჭდავს: „მივიღეთ რა მხედველო-

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 20.

ბაში, რომ უფ. ტიერი ვერსალში დაბეჭდილ პროკლამაციაში თუმცა ამბობდა პარიჟს ყუმბარებს არ დაუშენო, მაგრამ. იმის განკარგულების წყალობით. ყოველ დღე რამდენიმე ქალი და ბავშვი იხოცება პარიჟში ვერსალის ზარბაზნების ყუმბარებით. ჩვენ შემდეგი გადაწყვეტილი: 1) ყოველი მოძრავი ქონება ტიერისა უნდა შეირიცხოს სახელმწიფო საკუთრებად; 2) ტიერის სახლი, რომელიც უორჟის მოედანზე დგას, ძირიანად უნდა დაიქცეს“<sup>1</sup>.

პარიზის კომუნარების დაძლევა 23 მაისიდან დაიწყო. „დროება“ აუწყებს ამ ცნობას მკითხველთ. „დღევანდელი ტელეგრამიდან მკითხველი ვიგებს, რომ ვერსალის ჯარები შესულან პარიზში და კომუნის მომხრეები კი მირბიან თურმე იქიდან... მაშასადამე, აქედან ჩანს, რომ პარიჟის არეულობა თითქმის გათავებულია“. მართლაც, პარიზის კომუნის დამარცხება აქედან, 23 მაისიდან, დაიწყო და რეაქციულმა ძალებმა მალე შესძლეს ქვეყნის „დაწყენარება“.

\* \* \*

პარიზის კომუნის, მისი მოძრაობისა და მამოძრავებელი პრინციპებს გამოძახილი ქართველ მოწინავე-მოაზროვნე საზოგადოებაში მარტო „დროების“ სარედაქციო-საინფორმაციო ფართო საყურადღებო წერილებით არ ამოიწურება.

„დროებისა“ და სხვა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე 1871-სა და შემდეგ წლებში იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც აშკარად მოჩანს კვალი პარიზის კომუნის იდეებისა: ნ. ნიკოლაძე, ანტ. ფურცელაძე, დ. ბაქრაძე, გ. თარხან-მოურავი, ს. მესხი და სხვანი სოციალ-დემოკრატიული პრობლემების, მშრომელთა ცხოვრების სამართლიანი მოწესრიგების საკითხის შესახებ დაწერილ წერილებში ამჟღავნებენ პარიზის კომუნის გავლენის კვალს.

ნიმუშისათვის: „დროების“ 1871 წლის 27-ე ნომერში მოთავსებულია სტატია: „რა მოსპობს სიღარიბეს?“, რომელშიც იმ დროისათვის მეტად საგულისხმო ახსნა-განმარტებას ვხვდებით: „სიღარიბის როგორც სხვა ყოველგვარი კაცობრიობის უბედურების, მიზეზი ქვეყანაზე არის ქონებისა და ცოდნის უთანასწოროდ გავრცელება. იმ დროს, როდესაც ერთი ისე მდიდარია, რომ არ იცის, როგორ მოიხმაროს თავისი სიმდიდრე, ათასი სხვა უსახლკარობისა და შიმშილისაგან კვდება; იმ დროს, როდესაც ერთი სწავლული და მცოდნეა და ამით პოულობს საცხოვრებელს, ღონისძიებას, ათი-ათასი სხვა უბედურებაში და ცრუმორწმუნეობაშია ჩავარდნილი... ქალაქის მუშა დიდიდან საღამომდე რომელსავე ფაბრიკაში მუშაობს და იმის შრომით სარგებლობს ფაბ-

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 20.

რიკის პატრონი, რომელიც ამრიგად სხვისი შრომით მდიდრდება. ცოტად თუ ბევრად ყველგან ამნაირადაა ახლანდელ დროში განწყობილი ადამიანის ცხოვრება და რა გასაკვირია, რომ ქვეყანაზე ღარიბები მოიპოვებიან?<sup>1</sup>.

ამავე საკითხითაა დაინტერესებული და ასევე ღრმად განიცდის ამ მტკივნეულ მოვლენას ანტ. ფურცელაძე.

„ყოველი უბედურება, — ამბობს ის, — წარმოსდგება იქიდან. რომ ხალხს ნამდვილ ხალხს არ ეჭირა არასოდეს უფლება ხელში და ხალხი აძლევდა თავის თავსა და თავის ქონებაზედ უფლებას თითო-ოროლათა, რომელთაც ძალაც ხელში ეჭირათ ხალხისა და სამართალიცა. მაშასადამე, არც არაფერს შეეპუებოდნენ ხალხის სურვილსა და არც შეასრულებდნენ ხალხის საჭიროებას, რადგან ხალხის სურვილისა და საჭიროების შესრულება იყო მათი საზარალო და სავნებელი. რაკი ეს სცნეს მეციხერთა, რაკი ეს სცნეს გამოკვლევით ხალხისათვის თავგამოდებულთა, მაშინვე დაუწყეს ამისი ხალხს შეგონება. იმათ პირდაპირ დაუწყეს ამისი ხალხს ქადაგება, რომ მანამ შენი საქმეები; შენი თავი, შენი ჯანი და შენი ქონება არ იქნება შენს ხელში, მანამ სახალხო გამგეობა და ხალხის ძალა არ გეპყრობა შენა, მანამ არ მოგელის არავითარი კეთილი, მანამ იქნები შენ შემძლე და ძლიერთ კაცთ ხელთ პირუტყვზედ უხმო და უსულო მაშინასავით სახმარი; მანამ შენცა და შენი შთამომავალიც იქნებით ნიადავ შვიერმწყურვალი და მოგელით ტანითა და გონებით გაწრიოკება და ბოლოს გიწერია სრული ჭკუით და სხეულით... მოსპობა“<sup>2</sup>.

აღნიშნული წერილების ავტორები და, მაშასადამე, რედაქციებიც მტკივნეულად განიცდიან კომუნარების საბრძოლველ საკითხს — ეკონომიურ უთანასწორობას. აღნიშნულ წერილებში გარკვეულადა და მკაცრად არიან დაპირისპირებულნი შეძლებული და ღარიბი, მძღარი და მშვიერი, უფლებამოსილი და უფლებააყრილი. ერთი შრომობს, მეორე კი სხვისი ნაშრომით ცხოვრობს. მართალია, „ღროება“ — „კრებულის“ პუბლიცისტები უტოპიური სოციალისტების გავლენის რკალშიც არიან მოქცეულნი, მაგრამ პარიზის კომუნარების იდეებისა და მოქმედების გავლენაც მათზე უდაოდ დიდია.

„ღროების“ ნიჭიერი თანამშრომელი დ. ბაქრაძე გაზეთის ფურცლებიდან იბრძვის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამის საშუალებად მას მიაჩნია ასოციაციების ჩამოყალიბება. დ. ბაქრაძე პარიზის კომუნარებსავით ხედავს, რომ კაპიტალი და კაპიტალისტი მტერია მუშისა და უკანასკნელი უნდა იქნეს მისგან განთავისუფლებული. „ჩვენ დროს, — წერს დ. ბაქრაძე, — კაპიტალისტებს სრულებით

<sup>1</sup> „ღროება“, 1371, № 27.

<sup>2</sup> ანტ. ფურცელაძე, მამულის საერთო მფლობელობა, გვ. 113—114.

ხელში უჭირავთ ყოველივე საქმე. ყოველივე შრომა. კაპიტალისტი მტერია მუშათა ხალხისა. ეს არ უნდა იყოს. როდესაც მუშა ასოციაციების შუამავლობას მიჰპართავს, მაშინ კაპიტალისტა დაჰკარგავს თავის ძალას, შრომა მონობისაგან გამოვა, თავისუფალი გახდება და თვითონვე შეიძენს კაპიტალს“<sup>1</sup>.

ასეთსავე შეხედულებებს ავითარებენ „დროება“ — „კრებულში“ ს. მესხია. უ. პეტრიაშვილი, გრ. თარხან-მოურავი და სხვანი.

ამ საკითხის შესახებ მეტად საგულისხმო წერილს ათავსებს ნ. ნიკოლაძე „ტიფლისკიე ვესტნიკში“, რომელშიც ის მხარს უჭერს ა. ნიკოლსკის პროექტს მიწათმოქმედების სარტელთა ნიადაგზე მოწყობას შესახებ. ამ პროექტის შინაარსი, ნ. ნიკოლაძის ინტერპრეტაციის მიხედვით, შემდეგია: „მთელი სათემო მიწა, როგორც სათიბი ისე სახნავი, — ნაფუძრების. ბოსტნებისა და ბაღების გამოკლებით, — ერთიანდება. ყოველგვარი სამიწადმოქმედო სამუშაო წარმოებს არტელური წესით, ხოლო უკვე დამზადებულ პროდუქტს — მარცვლეულს, თივას და სხვ. — არტელის წევრები იყოფენ ერთმანეთს შორის. კალო, კარაბანი, საპურე ბელლები და სასწორი ეწყობა საერთო... ყოველგვარ მუშაობის მსვლელობას და ანგარიშ-წარმოებას განაგებს არჩეული პირი, ხოლო მნიშვნელოვანი საქმეები ირჩევა მთელი არტელის მიერ“<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძე, აღნიშნავს რა ა. ნიკოლსკის პროექტის ძირითად საფუძვლებს, სამართლიანად ხაზს უსვამს, რომ არტელის უმნიშვნელოვანესი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას აძლევს ადამიანს ისარგებლოს კოლექტიური შრომის მთელი „დომგებიანობით და ამვე დროს უტოვებს მას სრულ თავისუფლებას, რომელიც კი შესაძლებელია ადამიანთა საზოგადოების წევრისათვის“.

ამ აზრს ნ. ნიკოლაძე შემდეგნაირად ავითარებს აღნიშნულ წერილში: „თუ ახლო განვიხილავთ სამიწადმოქმედო არტელის ყველა ხელსაყრელ მხარეს, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ არტილურ მეურნეობის დროს სრულებით არ ექნება ადგილი სხვადასხვა ადგილას მდებარე დაქუცმაცებულ მიწის მფლობელობას, მთელი მათი საზიანო შედეგებით; არ ექნება ადგილი აგრეთვე მიწისადმი დაუდევარ მოპყრობას, რადგან დაუდევრობა თვითნებურ არტელის წევრის მიერ ვნებას მოუტანს მთელ კორპორაციას, და ამიტომ არტელი იძულებული იქნება თვალყური ადევნოს თავის წევრთა წესიერ მოქმედებას. ინტერესთა სოლიდარობის შეგნება და აქედან გამომდინარე მკაცრი საურთიერთო კონტროლი წარმოადგენს სრულიად ზაკმაო

<sup>1</sup> დ. ბაქრაძე, ისტორიული მოძრაობა. განათლებისა. „დროება“, 1876, № 17.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 11, 1932, გვ. 241—242.

ზღუდეს, რომელიც წინააღმდეგა ამ ინტერესებისადმი დაუდევარ მოპყრობას. გლეხურ ყოფაცხოვრების ისეთს ჳირს, როგორც არის „ქვეყნის მკამელები“ და კულაკები, შრომისა და გასამრჩელოს თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ არტელში არავითარი ძალა არ ექნება; ერთის მხრით იმიტომ, რომ კულაკებს მათი მთავარი შემოსავალი წყარო — ღარიბთა „ნადელები“ — არტელურ მეურნეობის დროს აღარ ჩაუვარდებათ ხელში; ხოლო, მეორეს მხრივ, წესიერად მოწყობილი არტელი უსათუოდ შეიცავს საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების დასაწყისს უბედურ შემთხვევების დროს, და სწორედ ასეთ უბედურ შემთხვევებში იჭერს კულაკი და „ქვეყნის მკამელი“ თევზებს“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ავითარებს სამიწათმოქმედო არტელების უპირატესობას თემურ წყობილებასთან შედარებით, რადგანაც არტელში შეერთება, წინააღმდეგ თემისა, ხდება ნებაყოფლობით, ამიტომ ურთიერთთავდებობა (круповая порука) არტელში ნებაყოფლობით შეთანხმებაზეა დაყარებული. ამ ურთიერთთავდებობას, ნ. ნიკოლაძის სამართლიანი განმარტებით, არტელში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს; არტელი თავს უყრის და აერთიანებს წვრილ, დაცალცალკებულ და ამის გამო სუსტ ეკონომიურ ერთეულებს, როგორცაც წარმოადგენენ გლეხური მეურნეობანი, ამით არტელი ქმნის „სერიოზულ ეკონომიურ ძალას“, რის მეოხებით არტელს ადვილად შეუძლია იშოვნოს კრედიტი ისეთი რაოდენობით, რაც მიუღწეველია თვითეული ცალკე მეურნეობისათვის.

ამას გარდა, ნ. ნიკოლაძის აგრეთვე სწორი განმარტებით, ურთიერთთავდებობას, დაყარებულს თავისუფალი შეთანხმების სრულიად რაციონალურ პრინციპზე, გავლენა აქვს გლეხური თვითმმართველობის მოვლენებზე.

ნ. ნიკოლაძე, როგორც თემურ წყობილებასთან შედარებით არტელის უპირატესობის ამლიარებელი, აღნიშნავს იმასაც, რომ „გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გამოყენება, გაუმჯობესებული მიწის გაპოხიერება და სხვა“ ხელმისაწვდომია ყველასათვის. რადგანაც მასში „სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (პირუტყვის გარდა) შესაძლებელია და კიდევაც უნდა იქნეს მთელი კორპორაციის საერთო საშუალებით შექმნილი“<sup>2</sup>.

ამგვარი აზრების განვითარებას 70-იან წლებში ხშირად აქვს ადგილი ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე, რაც, ჩვენი გაგებით, პარიზის აჯანყებითაც იყო გამოწვეული და გაღვივებული.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 11, 1932, გვ. 242—243.

<sup>2</sup> იქვე.



მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ცენზურული პირობებისა, ქართულ მხატვრულ მწერლობაშიც გვაქვს იმ დროისა და პირობებისათვის არაჩვეულებრივი მკვეთრი გამოძახილი პარიზის კომუნისა.

როგორც ჩანს, თავდავიწყებულსა და უშემაღლითო ბრძოლას, რომელიც ძველი ქვეყნის დასაბრუნებლად აწარმოეს პარიზის კომუნარებმა, ჩვენი მხატვრული მწერლობის წარმომადგენელიც გაფაციცებით აღევნებდნენ თვალყურს და მის მიმართ დიდი სიმპათიით იყვნენ აღვისილნი. ეს გარემოებაც, რა თქმა უნდა, აგრეთვე გვიხასიათებს ჩვენი მოწინავე საზოგადოების განწყობილებას.

ილია ჭავჭავაძე, ეს ბრწყინვალე წარმომადგენელი ჩვენი 60—80-იანი წლების მოწინავე საზოგადოებისა, პარიზის კომუნისადმი თავის დამოკიდებულებას დიდი მღელვარებით აღბეჭდავს ლექსში „1871 წელი. 23 მაისი“ — ფრჩხილებში იძლევა განმარტებას — ქვესათაურის სახით — („კომუნის დაცემის დღე“) <sup>1</sup>. ეს ლექსი დაწერილია 1871 წლის 29 მაისს. იგი ცენზურული პირობების გამო, ისიც დიდი ბრძოლის შედეგად, დაიბეჭდა „პარიზის“ სათაურით. თავისი ნამდვილი სათაურით ეს ლექსი მხოლოდ 1925 წელს დაიბეჭდა.

აღნიშნულ ლექსში ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევს პარიზის აჯანყებულთა ღვაწლს, როგორც არა მარტო საფრანგეთის, არამედ კაცობრიობის ცხოვრების მოწესრიგების დიად ცდას დიდი მსხვერპლის გმირული გაწირვით.

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი  
დიდი დრომა დაიშალა...  
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ  
ივი დრომა დასცა დაბლა.  
კვლავ ეწეშა მოყვასთათვის  
საოცარი იგი ერი,  
კვლავ დაიდგა დიდ წამების  
მან გვირგვინი მშვენიერი.  
კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა  
წმინდა სისხლი წამებულის  
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე  
ყოვლად მხსნელის სიყვარულის“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძე აღშფოთებულია რეაქციის შავი, „მჩაგრავი“ ძალებით, რომელთაც მოინდომეს ამ დიდი მოძრაობის განადგურება და კიდევ ზეიმობენ გამარჯვებას. მაგრამ პოეტი ღრმა რწმენითაა გამსჭვალული, რომ მტარვალები ქვეყნის მხსნელი ამ წმინდა მცნების აღ-

<sup>1</sup> არსებითად პარიზის კომუნის დაცემა დაიწყო 1871 წლის 23 მაისიდან.  
<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 77.

მოფხვრას ვერ შესძლებენ, მათ ის მხოლოდ შეაფერხეს, დროებით შეაჩერეს.

„კვლავ ბირს დასკენ იგი მცნება,  
ქვეყნის ხსნად მოვლინებული...  
კვლავ შეფერხდა ისტორია,  
განახლების შესდგნენ ძალნი,  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი“<sup>1</sup>.

არაა გამორიცხული, რომ ილია ჭავჭავაძე პარიზის კომუნის მოძრაობას ეროვნული თვალსაზრისითაც უყურებდა და აფასებდა. ილია ჭავჭავაძეს სწამს, რომ საჭიროა ქვეყნის ძირფესვიანი შერყევა ცხოვრებაში არსებული უსამართლობის მოსასპობად. ეროვნული ჩაგვრა, მწერლის შეხედულებით, ხომ ჩაგვრის უსაძაგლესი ფორმაა. ილიას თანაგრძნობა მთლიანად აჯანყებულთა, დამონებულთა, უფლებაწართმეულთა მხარეზეა.

პარიზის კომუნის იდეების გამოძახილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მარტო ამ ლექსით არ ამოიწურება. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში 70-იან წლებში უფრო მწვავედ დადგა შრომისა და მშრომელის განთავისუფლების საკითხი. პოეტი ამ მიმართულებით სწორედ 1871—72 წლებში ენერგიულად მუშაობს პოემა „ა ჩ რ დ ი ლ ი“—ს ახალ ვარიანტზე. პოეტის მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ ის ხალხს ვერ ხედავს ჩვენს ისტორიაში. „ამ აჩრდილმა“, — წერს ილია დავით ერისთავს კერძო წერილში, — ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ბიჭი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი, რა ექნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დაეანებო მეტქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არის“<sup>2</sup>. ვფიქრობთ, პარიზის კომუნარების აჯანყებამ და მისმა წამყვანმა იდეებმა პოეტში გააცხოველეს იმპულსი მუშაობისა ამ პოემაზე და 1872 წ. ილია წერს თავისი პოემის ახალ რედაქციას, რომელშიც ფართო ადგილს უთმობს მშრომელისა და შრომის საკითხს (XIII—XIV თავები). ილია ჭავჭავაძე აშკარადა გრძნობს, რომ ეს პრობლემა — „შრომის ახსნა“ — ძლევა მოსილადა დგას გადასაწყვეტად ამ (XIX) საუკუნის წინაშე და ეცდებოდა მის „ასახსნელად“ მედგრად იბრძვის.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 77.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, გვ. 347.

„აღლო აილო ქვეყანამ ძველმა,  
რომ დღე-და-ღღე მის წყობა ირღვევა,  
და ამ ზვიადმა საუკუნემა  
უნდა შევას იგი შრომის სუფევა“<sup>1</sup>.

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პურობილი,  
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,  
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი  
და დასამსხვრევლად გამზადებულა.  
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძღვეამოსილის ამ საუკუნის,  
კაცთა ღლევისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძე ხედავს და სწამს კიდევ ეს ძირითადი საკითხი — შრომისა და მშრომელის ცხოვრების მოწესრიგების საკითხი — დადებულიად, მშრომელთა სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; უნდა დაითრგუნოს მისი შემფერხებელი ძველი ქვეყნის პირობები:

„ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლას,  
ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველი  
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღყავდების“<sup>3</sup>.

პოეტს სწამს, რომ აყვავებულ ქვეყანაში გამეფდება შრომა და მშრომელი. პოეტის სამართლიანი გაგებით, შრომა გაზრდის, აამაღლებს კაცს, შრომის შეილს, შეაგნებინებს მას ცხოვრების მოწყობას „ძმობაერთობა-თავისუფლებისა“ და შრომის საფუძვლებზე.

„შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ქეშმარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცდება სოფელსა შინა  
კაცთ მოყვარების სახიერებით...  
მაშინ, მაშვრალნო, შენც განკადები,  
წართმეულთ ნიჰთა კვლავ მოიპოვებ,  
სხეას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
არც ვის ემონვი და არც იმონებ“<sup>4</sup>.

ილია ჭავჭავაძე, როგორც სხვა წარმომადგენელი ჩვენი 60—80-იანი

<sup>1</sup> ხაზი ჩვენია, — მ. ზ.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 141.

<sup>2</sup> იქვე; გვ. 140.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 141.



წლების მწერლობისა, სათანადოდ ვერ ამხვილებს კლასთა შორის წინააღმდეგობას, ვერ აფასებს მის ისტორიულ მნიშვნელობას და შრომის სუფევა წარმოდგენილი აქვს როგორც უწოდებრივო წყობილების ქვეყანა. რომელიც შეაერთებს საერთო ცხოვრებაში „ცხვარსა და მგელსა“ და ამ გზით მოუპოვებს სრულ გამარჯვებას მშრომელსა და შრომას. აქ როგორც ილია ჭავჭავაძეზე, ისე სხვა წარმომადგენლებზე უტოპისტების გავლენის კვალიც, რა თქმა უნდა, აშკარაა.

„მგზავრის წერილები“, რომელიც ილია ჭავჭავაძის პოეტურ თავისებურებათა, მის პოლიტიკურ შეხედულებათა და აგრეთვე პრაქტიკული მოღვაწეობის მიმართულების გამომხატველია, ამავე 1871 წელს გამოქვეყნდა. „მგზავრის წერილების“ წერა, როგორც ირკვევა, ილიას 1861 წელს დაუწყია, მაგრამ ვინაიდან მისი დაბეჭდვა მაშინვე ვერ მოუხერხებია, მასზე მუშაობა უწარმოებია ათი წლის განმავლობაში, 1871 წლამდე.

მხოლოდ 1871 წელს მიეცა ილიას საშუალება ჟურნ. „კრებულის“ № № 2—5-ში დაებეჭდა ეს ნაწარმოები (რა თქმა უნდა, ცენზურის სისასტიკის გამო შეკვეცილი, დამახინჯებული სახით). „მგზავრის წერილების“ ვარიანტები ჩვენამდე შენახულია, სამწუხაროდ, მხოლოდ 1871 წელს დაწერილი სამი რედაქციით. წინა წლების რედაქციები ჩვენამდის არ არის მოღწეული. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების აკადემიური გამოცემის რედაქტორი პ. ინგოროყვა თავის შენიშვნებში სამართლიანად აღნიშნავს: „რა ცვლილებანი შეიტანა ილიამ ამ თხზულებაში („მგზავრის წერილებში“ — მ. ზ.) 1861—1871 წლების განმავლობაში, ამის გამორკვევა, სამწუხაროდ, შეუძლებელი ხდება, რადგან ხელნაწერი „მგზავრის წერილების“ პირველი რედაქციისა, რომელიც უცვლელის სახით შეიცავდეს 1861 წელს დაწერილ ტექსტს, ჩვენ დრომდე აღარ გადარჩენილა, ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის, ილიას ჩვენ დრომდე მოღწეული ხელნაწერები გადათვრებულ-გადაწერილია 1871 წელს“<sup>1</sup>.

ჩვენი ფიქრით, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებშიც“ აშკარად ჩანს პარიზის კომუნის კვალი. ვფიქრობთ, რომ ქვემოაღნიშნული ადგილი „მგზავრის წერილებში“ სწორედ პარიზის კომუნის გავლენითაა შეტანილი. რუსეთიდან დაბრუნებისას ილიამ სტეფანწმინდაში თავის ქვეყნის სიო რომ იგრძნო, ფიქრებმა გაიტაცა. „მრავალნაირი ფიქრები... თვალ-წინ წარმომიდგნენ, — აგვიწერს თავის განცდას ილია, — მაგრამ ელვის უმაღეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთი-და-იგივე საგანზედ ერთ წუთსაც

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა, ილიას ნაწერების კომენტარი. იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 11, გვ. 581.

ვცრა გავაჩერე — ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს. აირიოს-დაირიოს და მერე დაწმენდება ხოლმე. ესა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ<sup>1</sup>.

მოყვანილი ნაწყვეტი მრავალმხრივ საგულისხმოა. უპირველესად იმ-ო, რომ ილია ჭავჭავაძეს რევოლუცია მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალურ, ძირიან-ფესვიან მოძრაობაში მომყვან ძალად — „ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში“. აქ იგრძნობა ილიას სოციალური შეხედულების პოეტური განსახიერება: რევოლუციამ უნდა მოსპოს მადალაბლობა არსებულ სოციალურ ცხოვრებაში. შემდეგ ილია აფრთხილებს მკითხველს, რომ რევოლუცია საშინში მოვლენა კი არ არის, არამედ სამშვიდობო, სასარგებლო და აუცილებელია — „რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, — შთაგონებით წერს ილია, — რომ მშვიდობიანობა მოაქვს“. რომ ასეთი დადებითი, მისაღები შეხედულება მკითხველისათვის ცხადჰყოს, შემდეგი გასაგებ-დამარწმუნებელი შედარების საშუალებით ათვალსაჩინოებს ილია თავის მტკიცების არსს: „ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმენდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“. ილიას მიერ რევოლუციის ასეთი დადებითი გამოხატვა მკითხველისათვისაც ცხადი, დამაჯერებელი და მისაღები ხდება.

ილია ჭავჭავაძე ჩვენს ლიტერატურაში პირველია, რომელიც რევოლუციას დადებითად აფასებს, მისაღებად თვლის და აუცილებლად მიაჩნია ცხოვრების დასამშვიდებლად, დასაწმენდად, მოსაწესრიგებლად.

პარიზის კომუნის გამოძახილი საკმარისი სიმკვეთრითაა მოცემული ანტ. ფურცელაძის რომანშიც „ვ ა ი მ ა რ თ ა ლ თ ა“. ამ რომანში მთავარ გმირად გამოყვანილია განათლებული ქართველი ახალგაზრდა მიხეილ ზახარიჩი. თავის ქვეყანაში დაბრუნებული, ის თავის დას ნატოს და ტრფობის საგანს ლიზას გატაცებით ესაუბრება შრომაზე, მშრომელებზე, არწმუნებს მათ, რომ კაცი თავის შრომით უნდა ცხოვრობდეს.

მიხეილი მათ უკითხავს წიგნებს, უხსნის ისტორიას, განსაკუთრებით გატაცებულია საფრანგეთის ახალი ისტორიით. მიხეილმა, — გადმოგვცემს ანტ. ფურცელაძე, — „აღუწერა ხალხის აღძვრა და ძალა ხალხისა, როდესაც იმან, გამოყვანილმა მოთმინებიდან მეტის გაჭირვებით.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 11, გვ. 11.

დაიწყო საფრანგეთში მოძრაობა და მაშინ ველარა აღუდგარა. უჩვენა მიზეზები, რომლითაც იძულებულ ჰყვეს ხალხი, რომ მიემართნათ თავის ძალისათვის და თავათ ეპატრონებინათ თავის თავისათვის... უჩვენა ის აზრი და ლტოლვილებანი, რომელიც დაჰბადა და გააღვიძა ამ ხალხის მოძრაობამ, როდესაც ყველას მიეცა ნება თავისუფლათ აქოსუნთქვისა და თავის აზრების წარმოთქმისა. უჩვენა, როგორც ამ ხალხის მოწინავე პირნი და მთელი ევროპის სახელმწიფოთა უფლებების მწონველნი უკანასკნელს ძალას ჰმხარობდნენ, რომ დაემხოთ საფრანგეთის მოძრაობა და ძარწივე ამოეთხარათ თავის ქვეყანაშიაც შეპარებული ფრანციკული აზრები... მარტო ცოცხალმა და შეუღრეკელმა ფრანციის ხალხმა აღმართა დროშა სიმართლისათვის... მათი აღძრული სწავლა და საქმენი გავიდნენ ხალხებში. ...და დღეს არის თუ ხვალ, ხალხნი მოიყვანენ ამ აზრთ აღსრულებაში<sup>1</sup>. მიხეილს (ავტორს) აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს კომუნართა თავდადებული ბრძოლა.

მიხეილს ანტ. ფურცელაძე საფრანგეთში წაიყვანს და პარიზის კომუნარების აჯანყების მონაწილედ გახდის, მას ბარკადებზე მოჰკლავს და ერთგვარი დაუკმაყოფილებელი გრძნობით ათქმევინებს: „აქ უნდა მომკვდარიყო ლიზაც ...აქ იყო მისი ადგილი“... ეს ადგილი, მართალია, მსატერულობის თვალსაზრისით სუსტია, მაგრამ მწერლის აზრს, განწყობილებას კი მკვეთრად გამოხატავს.

ამას გარდა, ამავე მოთხრობაში მეტად საგულისხმოა ის თანაგრძნობის კილო, რომლითაც ანტ. ფურცელაძე ხატავს მოხუცი კომუნარის მოწოდება-მიმართვას ახალგაზრდებისადმი.

ვერსალის ჯარმა შეავიწროვა კომუნარები. უკანასკნელნი იხევენ დიდი გმარობით, ადვილად არ უთმობენ პოზიციებს უხეშ ძალას. კომუნარების ერთ ჯგუფს მიუძღოდა შუატანის მოხუცი; თეთრის წვერითა და საშინელი მხნე და გამბედავი სახით. ამას მისდევდნენ სისხლსა და თოფის წამალში ამოსვრილნი კომუნის სხვა გადარჩენილი მოთავეთაგანი.

— „უშველეთ თქვენ თავს! — მიუბრუნდა უცებ ამათ ის მოხუცი, როდესაც ისინი დადგნენ ერთს მოყუდროებულ კუთხეში, — საქმე წაგებულია! ეხლა ჩვენ ველარას ვუშველით! თქვენ ისევ ყმაწვილები ხართ და კიდევ საჭირონი იქნებით ამ ჩვენი საქმისათვის, თქვენ კიდევ დასჭირდებით საფრანგეთს და კაცობრიობის საქმეს!... თქვენი გადარჩენით მოიგებს კიდევ საქმე. მაგრამ მე, რომელსაც გამომივლია ამდენი წამება... მე, რომელმაც ნახევარი ჩემი დღენი გავატარე საპყ-

<sup>1</sup> ანტ. ფურცელაძე, ვი მართალთა, 1891, გვ. 85—86.

რობილესა და დევნილებაში... მე, რომელსაც აღარ შემწევს ხანი. რომ, ერთი კიდე ვნახო საფრანგეთის დამცირება, თავისუფლების დაკარგვა და უბედურება, — მე უნდა მოვკვდე. — გაუმარჯოს კაცობრიობას! შემოძახა აქ იმან მალლა ქუდის ქნევით და გადაერია ბარიკადებისაკენ... გმირი დელეკლუზე, — ათავენს ანტ. ფურცელაძე აღწერას, — დაქრილი მძიმეთ იდგა ამართულ ბარიკადებზე ყველას წინ და უშვერდა კიდე ტყვიებს გულსა და ამხნევებდა მეომართ<sup>1</sup>.

ანტ. ფურცელაძე პარიზის კომუნარებს თვლის საყოველთაო-საკაცობრიო ბედნიერი ცხოვრების მოციქულებად, ხოლო მათი დამარცხება მას, როგორც ილია ჭავჭავაძეს, მიაჩნია ამ დიადი საქმის დროებით შეჩერებად, შეფერხებად. ანტ. ფურცელაძე მომავალშიც ამგვარი მოქმედი ძალების ფართო და მიმზიდველ პერსპექტივას ხედავს. ამ ფართო პერსპექტივისაკენ მოუწოდებს აღტყინებული მწერალი თავის ჰკითხველსაც.

ჩვენ არ გავაგრძელებთ ქართული მწერლობიდან სხვა მასალების დამოწმებას. ნათქვამიდანაც ცხადია, რომ ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი და მისი მხატვრული ლიტერატურა 70-იან წლებშივე ღრმად დაინტერესებულნი არიან, შესაძლებელია არა ზუსტი გაგებით, პარიზის კომუნის მაღალი პროგრესული იდეებითა და მათი პოპულარიზაციით, რათა მკითხველთა მასები დარაზმონ ბედნიერი ცხოვრები-საკენ გზის გასაჭრელად.

---

<sup>1</sup> ანტ. ფურცელაძე, ვაი მართალთა, 1891, გვ. 118—119.

## სიზმარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში<sup>1</sup>

ცნობილია, მთიელი, რომელიც ერთ-ერთი ძირეული ობიექტი-ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა, დიდი გულისხმიერებითა და რწმენით ეკიდება სიზმარსა და წინათგრძნობას. ორივე ეს ფსიქიური მოვლენა, ცხადია, მეტად სუბიექტურია, პიროვნებისეული და ამასთან მეტად ბუნდოვანი, შეიძლება ითქვას, მეტად ბნელი. ძალაუნებურად გაგონდება და ძალაში რჩება შექსპირის მიერ ჰამლეტის პირობით გამოთქმული უკვდავი ჰეშმარიტება: „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიან“. ასეთ მოვლენათა კატეგორიას მიეკუთვნება სიზმარიც.

მეცნიერება კარგა ხანია დაინტერესებულია ადამიანთა შორის ამ ფრიად გავრცელებული საიდუმლოებრივი მოვლენით და დიდი მოწადინებით იკვლევს მას კიდევ; მრავალი სხვადასხვაგვარი სახე და ახსნაა სიზმრისა აღნიშნული, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ საიდუმლოდ რჩება.

უკანასკნელი დროის კვლევის შედეგად კი ერთი რამ აშკარა ხდება: სიზმარი ძირითადად გამოავლენს პიროვნების შინაგან განწყობილებას, სწრაფვას, მდგომარეობას.

სიზმარს, როგორც ადამიანთა შორის გავრცელებულ მოვლენას და მის ერთგვარ გავლენას ადამიანზე, ჩვენი დიდი მწერალი ვაჟა-ფშაველაც თავისებური გარკვეული გაგებით იყენებს, განწყობის თეორიას რომ ამართლებს. ამასთანავე სიზმარს ვაჟა-ფშაველა მიმართავს, როგორც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ ხერხს — ნაწარმოების სიუჟეტის და გმირის ხასიათის გაშლის მიზნით.

\* \* \*

სანამ უშუალოდ აღებული ძირითადი საკითხის ახსნა-გარკვევაზე გადავიდოდეთ, ზედმეტი არ იქნება მოკლედ გავიხსენოთ სიზმრის

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: ვაჟა-ფშაველას (კრებული), 1966, თბილისი.

ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური ბუნება, როგორც ეს თანამედროვე ბეცნიერებაშია ცნობილი.

სიზმრის უცნაური ბუნება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი ხანია მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე-მეცნიერის კვლევა-ძიების საგნადაა გადაქცეული. „ვინ არ იცის, — სამართლიანად აღნიშნავს ჩვენი ცნობილი ფსიქოლოგი დიმ. უზნაძე, — რომ სიზმარში საოცარი აზვებისა და შემთხვევების მოწმენი ვხდებით. იქ ემპირიულად შეუძლებელია და წარმოდგენელიც რეალური სინამდვილის სახეს ღებულობს: იქ ყველაფერი ხდება და ხშირად ბევრი რამ ისეთიც, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის აზროვნებას, სურვილების — ნებელობის მოთხოვნილებას და მისდამი კრიტიკული დამოკიდებულების ნასახიც არ შეიძლება“<sup>1</sup>. და ეს მით უფრო საკვირველია, დავუმატებთ ჩვენ, რომ ყველაფერ ამას ჩვენ ხშირად ვღებულობთ როგორც საოცარს, დაუჭერებელს, მაგრამ ამასთან, როგორც უმკველ ფაქტს.

სიზმარი ძილთანაა დაკავშირებული. ცნობილია, ძილს ადამიანთა (საერთოდ ცხოველთა) ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ძილის დროს ადამიანი ობიექტურ სინამდვილესთან ფსიქიკურ კავშირს წყვეტს, გარემოსაგან ითიშება, ძილის მდგომარეობა ადამიანისათვის საღი და აუცილებელი დასვენებაა. ესაა ცენტრალური ნერვული სისტემის, ტვინის სრული დასვენების ერთადერთი საბე. ძილი ორგანიზმის მოქმედების ჩვეულებრივი ინსტინქტური შეჩერებაა, რაც აუცილებელი, ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა ყოველი ცოცხალი არსებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი სისრულით ისვენებს მხოლოდ უსიზმრო ძილში. ამიტომ საღი და სანატრელია უსიზმრო ძილი.

მაგრამ ყოველი ძილი არაა უსიზმრო, ხშირად იშვიათიცაა. აქედან ცხადია, რომ ძილის დროს სიზმრის მნახველი პიროვნება სინამდვილისაგან მთლიანად არაა გამოთიშული. მისი დიდი ტვინის ქერქში, ამ „ფსიქიკის ორგანოში“, გრძელდება გაღიზიანება, აღზუნება. ტვინის ქერქის ასეთი გარემოება იწვევს სიზმარს — არარეალური სინამდვილის ასახვის სახით.

ადამიანი ნორმალურ ფიზიკურ მდგომარეობაში გარემო სამყაროს უშუალოდ განიცდის; ის მხედველობის, სმენის, შეხების, ყნოსვის, გემოს მეოხებით შეიგრძნობს, აითვისებს გარემო სამყაროს საგნებს, მათ თვისებებს; მათ შორის ურთიერთობას ითვალისწინებს, სინამდვილეში რაც უნახავს, მოიგონებს, წარმოიდგენს. ამაშია ხომ ფსიქიკური პროცესების (შეგრძნების, წარმოდგენის, გაგების) მნიშვნელობა.

<sup>1</sup> დ. უზნაძე, ძილი და სიზმარი, 1936, გვ. 34—35.

სულ სხვა სიზმარში განცდის ბუნება. სიზმრის ფსიქოლოგიური პროცესები ფსიქიკურ პროცესთა ძირითად ფუნქციას კი არ ასახავენ, არამედ სიზმრის დროს ჩვენ გვეჩვენება, რომ სიზმრის წარმოდგენები ჩვენი წარმოდგენები კი არ არის, არამედ რეალური, ობიექტური სინამდვილეა.

ცნობილია, როგორც ცხადში, ისე სიზმარში შინაარსს ძირითადად გრძნობები და წარმოდგენები იძლევიან. მაგრამ სიზმარში, როდესაც შეგრძნების ორგანოებზე ობიექტები არ მოქმედებენ, ადამიანი წარმოდგენებს სულ სხვანაირად განიცდის. წარმოდგენა ძირითადად ორგვარია: ერთი, როდესაც ადამიანი მეხსიერების საშუალებით წარმოადგენს თუ აღადგენს იმას, რაც გარემოდან შეუგრძენია, და მეორე, როცა ადამიანი არნახულ საგანს თუ მოვლენას ფანტაზიის საშუალებით წარმოიდგენს. ყოველი ამგვარი წარმოდგენა საგნისა თუ მოვლენისა, რომელიც ადამიანს გარემო რეალურ ცხოვრებაში არ უნახავს, არ განუცდია, ფანტაზიის ამოქმედების შედეგად იქმნება, ე. ი. ნახულის — განცდილის ფანტაზიის საშუალებით გადამუშავების გზით. მასალა (ინვენტარი), რომლის საფუძველზე ფანტაზია ქმნის უნახავ წარმოდგენებს, ადამიანს მიღებული აქვს შეგრძნების გზით სინამდვილიდან. „ობიექტურ სინამდვილეში, — წერს რ. ნათაძე, — მოცემულ თვისებათა შეგრძნებები აძლევენ ადამიანს იმ მასალას, რომლიდანაც მისი გადაკეთებისა და გადამუშავების გზით ფანტაზია ააგებს ახალს, უნახავ წარმოდგენას“<sup>1</sup>.

ამრიგად, როგორც ცხადში, ისე სიზმარშიც, ორივე თვისების წარმოდგენები გვხვდება: მეხსიერების წარმოდგენები — სუბიექტი სიზმარში ხედავს, რაც მას სინამდვილეში უნახავს, განუცდია, — და ფანტაზიის წარმოდგენები, რომლებიც უნახავი, ხშირად უცნაური და ფანტასტიკური ამბების, მოვლენების, მოქმედებისა და საგნების სურათს გამოხატავენ. სიზმარში მეხსიერების წარმოდგენებს, როგორც სინამდვილის რეალურ მასალას, ფანტასტიკური ელემენტი შეერთვის, ასევე ფანტაზიის წარმოდგენებშიც შენარჩუნებულია სინამდვილის ელემენტი. ის გარემოება, რომ ძილში რეალურ სინამდვილესთან კავშირი გაწყვეტილია, ფანტაზიის მუშაობას არამც თუ არ აბრკოლებს, არამედ, პირიქით, გაზვიადებულადაც კი აცხოველებს. სიზმარი ძირითადად ფანტაზიის მოქმედების შედეგს წარმოადგენს. „სიზმარი, — წერს რ. ნათაძე, — ჩვეულებრივ სწორედ იმით გვაკვირვებს, რომ მისი შინაარსი ფანტასტიკურია, არაჩვეულებრივია: სიზმარში ჩვენ ვხედავთ უცნაურ ამბებს და მოქმედებებს — მაგალითად — დაფორინავთ, ვხედავთ ძალს, რომელიც

<sup>1</sup> რ. ნათაძე, რა არის სიზმარი?, 1948, გვ. 18.

ლაპარაკობს; სიზმარში უცნაურად იცვლებიან ნაცნობი საგნები და ადამიანებიც... ყველა ამ უცნაურ წარმოდგენებს ძილის დროს ჩვენი ფანტაზია ქმნის“<sup>1</sup>. და ამასთან ისაა არსებითი, რომ ყველა ეს უცნაური წარმოდგენა განიცდება რეალურად. სიზმრის შინაარსი, მისი ხილვის სიმდიდრე თუ სიღარიბე გაპირობებულთა მძინარის ფანტაზიის უნარით. ამით აიხსნება, რომ სიზმარი გულუბრყვილო ადამიანს, განსაკუთრებით კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომს, ეჩვენება მისტიკურად და ზენუნებრივად. რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი.

სიზმრის ახსნის სხვადასხვა ცდა თუ თეორია არსებობს; მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნაურობად და საიდუმლოებად რჩება. კემპბერიტების გარკვევასთან, ჩვენის აზრით, ყველაზე ახლოა და დამაჯერებელი განწყობის თეორია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიმ. უზნაძემ. „თანამედროვე ფსიქოლოგიაში საკმაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანის ცხოვრების შინაარსს ხშირად მისი განწყობა წარმართავს... სიზმრის შინაარსი განწყობის ნიადაგზე აიგება. მაშასადამე, სიზმრის ცნობიერების მიმართება სუბიექტის აზრების ან სწავა მისი განცდების ზეგავლენით კი არ განისაზღვრება, არამედ მისი ამა თუ იმ განწყობის ზემოქმედებით“<sup>2</sup>.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში განწყობას უწოდებენ ამა თუ იმ მოქმედებისათვის პიროვნების შინაგან მომზადებას, მზადყოფნას, რომლის მეოხებით თუ საფუძველზე ესა თუ ის კონკრეტული მოქმედება უშუალოდ, შეიძლება უნებლიედაც, გაიშალოს. პართლაც, ამა თუ იმ მოთხოვნილების საფუძველზე ადამიანმა კონკრეტული სახის მოქმედება რომ გაშალოს, თუნდაც თავისი ფანტაზია რომ ამუშაოს, აუცილებელია პიროვნება შინაგანად შესაფერისად მომზადდეს, განეწყოს. აი ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მომზადებას. — შინაგან ძალთა ერთგვარ მომართვას განწყობა ეწოდება.

ცნობილია, ყოველ ადამიანს მოქმედების გამომწვევ მიზეზად რაიმე სახის ბიოლოგიური ან მალალი კულტურული მოთხოვნილება უჩნდება (კვების, თავდაცვის, გონებრივი, ზნეობრივი და ა. შ.). სწორედ ამგვარი მოთხოვნილება წარმართავს მის მოქმედებას. სინამდვილეში დაუკმაყოფილებელი ესა თუ ის მოთხოვნილება ადამიანში შესაფერ მიმართებას ქმნის. ამ საფუძველზე იქმნება მისი განწყობა, რომელიც მის სწრაფვას, ფანტაზიას ამოძრავებს. პიროვნებაში შექმნილი განწყობა თხოულობს მის განხორციელებას შესაფერ მოქმედებაში ან გამოვლინების შესაფერ ფსიქიკურ პროცესში.

<sup>1</sup> რ. ნათაძე, რა არის სიზმარი?, 1948, გვ. 19—20.

<sup>2</sup> დ. უზნაძე, ძილი და სიზმარი, 1936, გვ. 74.



ისიცაა ცნობილი, რომ სიზმარი თავისი შინაარსით ხშირად ფრიად გაუფორმებელ, ჩამოუყალიბებელ განცდებს წარმოგვიდგენს. მიუხედავად ამისა, სიზმარი მაინც ამა თუ იმ პიროვნების მთლიანი შინაგანი მდგომარეობის, მის მოთხოვნილებათა და განწყობის დაღის მატარებელია. „როგორც ცნობილია, — წერს დ. უზნაძე, — სიზმარი სუბიექტის ისტორიას, მის ბედს გვიხატავს; სუბიექტი სიზმრის შინაარსთან ყოველთვის ინტიმურ კონტაქტში იმყოფება; იგი მის თავგადასავალს წარმოგვიდგენს“<sup>1</sup>. თითქმის ასეთსავე აზრს გვთავაზობს რ. ნათაძე. „სიზმარი, — წერს ის, — როგორც მთელი, მაინც პიროვნების შინაგანი მდგომარეობის გამოვლინებაა, ხშირად ალღეგორიული, არა პირდაპირი, ისე რომ ძნელი ხდება მისი პიროვნებისეული მნიშვნელობის ამოკითხვა, მაგრამ მაინც შინაგანი ძალებით ამოწრავებული და, მაშასადამე, პიროვნებისეულია“<sup>2</sup>.

მაშასადამე, სიზმარი ცხადში დაუკმაყოფილებელი ბიოლოგიური თუ ფსიქიკური მოთხოვნილება-სწრაფვის საფუძველზე გამომუშავებული განწყობის გამოვლინებაა, რომელიც ხშირად უცნაური, ფანტასტიკური, მაგრამ ასახსნელი, პიროვნებისეული გადაწყვეტის, დაკმაყოფილების თუ წინააღმდეგობის შინაარსის მქონეა.

ასეთია მოკლედ, სქემატურად სიზმრის ბიოლოგიურ-ფსიქიკური ბუნება. ჩვენ განზრახ არ ვარჩევთ სიზმრის ახსნის სხვადასხვა თეორიებს, არც სიზმრის განწყობის ძალთა კლასიფიკაციას ვეძებთ. ამჯერად ჩვენთვის საგულისხმოა ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიის თანამედროვე მეცნიერულ კვლევა-ძიებაში განწყობის თეორია სიზმრის მართლაც მრავალ შემთხვევაში დამაჯერებლად ხსნის. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამჟამად ზოგიერთი სიზმრის აუხსნელობა განწყობის საფუძველზე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მეცნიერებას ადამიანსა და გარემოს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ ზუსტად და ამომწურავად ვერ შეუსწავლია.

• • •

სიზმრის პრობლემამ ამჟამად ჩვენ დაგვაინტერესა, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა მხოლოდ თავისი პირადი უშუალო დაკვირვების, შთაბეჭდილებისა და გააზრების ნიადაგზე სიზმრის წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევს სუბიექტში შექმნილი განწყობის, სიზმრის პიროვნებისეული ბუნების თეორიას.

სიზმარი (როგორც ამას ქვემოთ კონკრეტული მასალის გამოყენ-

<sup>1</sup> დ. უზნაძე, ძილი და სიზმარი, 1936, გვ. 67.

<sup>2</sup> რ. ნათაძე, რა არის სიზმარი?, 1948, გვ. 56.

ნების საფუძველზე დაინახავთ) ვაჟა-ფშაველას ჩვენებითაც, იმ-  
ლება სუბიექტის დაუქმყოფილებლობის, მოთხოვნილების ნიადაგზე;  
რაც სიფხიზლეში. სინამდვილეში მის შეგნებას ძალუმად იპყრობს,  
ის გრძელდება. აქტიურდება ძილშიც და სუბიექტის ფანტაზიის სათა-  
ნადო მუშაობის მეოხებით მასში რეალიზდება. სიზმარი ხომ არა-  
ცნობიერი ტენდენციების თუ სურვილების ცხოვრებაში შექრასა და  
ამ სახით მათი რეალიზაციის პროდუქტს წარმოადგენს. იგი ხომ გან-  
დევნილი თუ დაბორკილი, შეზღუდული სურვილების ასრულებაა.  
„არაცნობიერი შინაარსი, — წერს დ. უზნაძე, — განდევნილი სურვი-  
ლები და მისწრაფებები თავისი ნამდვილი სახით მაინც ვერ ახერ-  
ხებენ ცნობიერებაში შექრას: იგინი სახეს იცვლიან, ნილაბს იფარე-  
ბენ და ცნობიერების შინაარსთან ქცევას მხოლოდ ამ შეცვლილი  
სახით ახერხებენ“<sup>1</sup>.

დაუქმყოფილებელი, გამსაკუთრებით მძლავრი მოთხოვნილება  
სუბიექტში იწვევს შესაფერ განწყობილებას, რომელიც სუბიექტის  
ფანტაზიას მიმართავს იმის მსგავსად, როგორც ეს მას ოცნებაში ეხა-  
ტება. სწორედ ამ დაუქმყოფილებელი განწყობით ქმნის ფანტაზია  
მოთხოვნილების შესატყვის მოვლენებს, ამბებს, საქმიანობას, რომ-  
ლისკენაც დაუქმყოფილებელი სუბიექტი ისწრაფვის, და ვინაიდან  
სიზმრის მნახველს ძილში რეალობის გრძნობა, აზროვნება და კრი-  
ტიკული დამოკიდებულება ამ წარმოდგენებისადმი დაკარგული აქვს,  
ამიტომ ფანტაზიის უცნაურ არარეალურ წარმოდგენებს რეალურად  
მიიჩნევს.

საგულისხმოა ისიც, რომ ვაჟა-ფშაველა სიზმრისათვის განწყობის  
სხვადასხვა სახესაც რელიეფურად ავლენს იმისდა მიხედვით, თუ  
გმირის სწრაფვის, დაუქმყოფილებლობის რა ნიუანსი უნდა წინ წა-  
მოსწიოს. ვაჟა-ფშაველას მკვეთრი, დამაჯერებელი ჩვენებით, სიზმარი  
მთელი თავისებურებით სუბიექტის განწყობაზეა აგებული თუ აღმო-  
ცნებული, ის პიროვნებისეულია. ეს აზრი სავსებით ეთანხმება  
თანამედროვე მეცნიერ-ფსიქოლოგების შეხედულებას აღნიშნულ  
საკითხზე.

ვაჟა-ფშაველასათვის სიზმრის მეცნიერულ-ფსიქოლოგიური ახსნა  
თუ გარკვევა არაა არსებითი. მეტიც შეიძლება ითქვას, მისთვის ეს  
პრობლემა სასხვათაშორისოა, როგორც ეს ჩვეულებრივ ახასიათებს  
დიდ შემოქმედს, რომელსაც მუშაობის პროცესში გზადაგზა ხვდება  
სხვადასხვა მოვლენა და ისიც საღი ალლოთი მათაც ჰფენს თავის  
შუქს.

ამიტომაც აღნიშნული მოვლენა თუ საკითხი ჩვენი კვლევის ძი-

<sup>1</sup> დ. უზნაძე, ძილი და სიზმარი, 1936, გვ. 50.

რითადი ამოცანა არ არის, თუმცა მასზედაც შეეჩერდებით. წინამდებარე წერილში ჩვენ უფრო გვაინტერესებს სიზმარი, როგორც ვაჟას შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტილისტიკური ნიშანი.



სიზმარს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თავის თავად იფუნქცია აქვს. სიზმარი მწერალს გამოყენებული აქვს, როგორც მხატვრული ხერხი მოქმედი პირის დახასიათების ან ხასიათის ამა თუ იმ თვისების გამკვეთრებისათვის, ნაწარმოების ფაბულა-სიუჟეტის შეკუმშვა-დახვეწისათვის, აგრეთვე ნაწარმოების შინაარსისათვის ადგილობრივი კოლორიტის შესანარჩუნებლად.

ნიმუშისათვის ავიღოთ ვაჟა-ფშაველას პატარა მოთხრობა — „სიზმარი ობლისა“. ობლი დედის დაკარგვას, განსაკუთრებით დედინაცვლის სახლში მოყვანის შემდეგ, მძიმედ განიცდის. მას აკლია ნამდვილი დედური გრძნობა; თბილი, მოსიყვარულე დამოკიდებულება, ზრუნვა, ალერსი, — იქნება ეს დარიგება-გაფრთხილების თუ გაწყრომა-დატუქსვის სახით გამოხატული. ობოლს ყველაფერი ეს როგორც ჰაერი ისე სჭირდება. იგი მწვავედ განიცდის განსხვავებას დედასა და დედინაცვალს შორის და რაღაც დაუოკებელი ნატვრით ამბობს: „დედას სულ სხვა სახე და თვალები ჰქონდა, სხვა ხმა, სხვა ყოფაქცევა; ნეტავი დედა ერთხელ, ერთხელ კიდევ მაჩვენა თვალთ, როგორ ჩავკოცნიდი, მოვეხვეოდი ყელზე, აღარ გავუშვებდი, აღარ დავანებებდი თავს, სულ დავუკოცნიდი ხელ-ფეხს, თმას, თვალებს... აახ! ნეტა ვერ წავალ იქ, სადაც დედაჩემია?.. თითქოს ვუყვარდი, მკოცნიდა, მიალერსებდა. რად მოხდა ასე? იქნება, ვაწყენინე, გავაჯავრე და თავი იმიტომ დამანება?“<sup>1</sup>

ასეთია ობლის შინაგანი დაუცხრომელი წვა, მისი გოდება. ობლის გული და გონება, — სამართლიანად და დიდი თანაგრძნობით გვეუბნება მწერალი, — მიფრინავს „იქ... იქ.. სადაც ბრწყინავს მშობელი დედის სახე“.

დედის ალერსს, სიყვარულს, დედურ დამოკიდებულებას შმაგად მოწყურებული ობლის ფსიქიკაში იწვევს დედის ნახვისაკენ მისი ძალუმი სწრაფვა. აი, სწორედ ამ ნიადაგზე იქსოვება ობლის სათანადო განწყობა — დაიბრუნოს, დაიკმაყოფილოს დაკარგული მოთხოვნილებანი.

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, თხულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, 1964, გვ. 90.

უა ამ ვანწყობის საფუძველზე ობოლს ესიზმრება: მას „დიდი უბარმაზარი ფრინველი დაეცა, ჩასკიდა ბრჭყალები და წაიღო. ჯერ დაბლა-დაბლა მიწის პირად მიჰქონდა. გზაში შექხვდათ დიდი, გრძელი. სპეტაკ თოვლივით თეთრი შენობა, საიდანაც მშვენივრად ჩაცმული დედა ობლისა გამოჩნდა და თმაგაწეწილი, ხელებგაშლილი, გააღორებული მიესია ფრინველს, დედის დანახვაზე ობოლი ტკივილს აღარ ვრძნობდა. სახე გაუბრწყინდა.

— წყულო, წყულო, შეჩვენებულო! — დაიკვილა მან — სად მივაქვს. სად, ჩემი გულ-მკერდით გაზრდილი შვილი? — დაწვდა კისერში ფრინველს. ბავშვი ხელში შერჩა, ხოლო კისერმოგრებილი ფრინველი მიწაზე გაერთხო. — მოდი ჩემთან, ჩემო სიცოცხლე, ჩემო თვალის ჩინო — ეუბნება დედა შვილს. ობოლი ვერაფერს ამბობს, სიხარულისაგან ენა ჩაუვარდა. მხოლოდ ჰკოცნის დედას, ეხვევა ყელზე, თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის დაბალუბით“<sup>1</sup>.

მართლაც, ობლის ეს სიზმარი რა იშვიათი ზედმიწევნით, სიმახვილით ესიტყვება ობლის მდგომარეობასა და დედისადმი მის დაუძლეველ წმინდა სწრაფვას!? ამან შექმნა ობლის განწყობა სიზმარში ნახულის რეალობად მიღებისათვის. მწერლის მიერ ობლის მდგომარეობის ხილვა ამით არ ამოიწურება. ის განაგრძობს ობლის განწყობის გაშლა-გაღრმავებას, დიდი გულთამხილაობით ხსნის ფარდას ობლობით გამოწვეულ, ობლის ტკივილებით აფორიაქებულ სულიერ სამყაროს და ზედმიწევნითი სიმკვეთრით ავლენს მის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებათა სხვა ნიუანსებსაც.

ობლის სიზმარი ფერს იცვლის: „თეთრი სპეტაკი სახლი გაქრა... გაქრა ის საზარელი ფრინველიც. ეხლა ორივე — დედა და შვილი — თავის ქოხში, საკუთარი კერის პირას იხსდენ. შვილი დედას ყელზე ჩამოჰკონწიალებია, მშვენივრად იყო მისი დედა ჩაცმული. დიდრონი ბოხჩა გახსნა დედამ ბოლოს, ამოართვა შვილს სულ ახალ-ახალი ტანისამოსი: კაბა, ფეხსაცმელები, თავმოსახვევი, საყურეები და სხვ. ათასნაირი ხილი გაუფინა დედამ შვილსა, ობოლი სიხარულით, ბედნიერებით ცას ეწეოდა. ჩააცვა ტანთ დედამ შვილს ახალი ტანთსაცმელი. მორთო, მოალამაზა...

— ოჰ, რა კარგია!.. ოჰ, თუ თავს აღარ დამანებებ, შენი გულის ჭირიმე! — ეუბნებოდა ობოლი დედას.

— აღარ დაგანებებ თავს, შვილო, აღარ, ამიერიდან სულ შენთან ვიქნები, არ მოგაკლებ ახალ ტანსაცმელს, გაგახარებ და გავიხარებ შენგან, — უპასუხა დედამ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, 1964, გვ. 90.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 91—92.

ობლის ამ სიზმარში შთამაგონებლადაა გაგებელი ობლის დაუკმაყოფილებელი ბუნების მოთხოვნებიანი და მისი სწრაფვის ძალა: ობოლს, პირველ რიგში დედის აღერსი. სითბო და ზრუნვა სჭირდება. ამასთანავე დიდი ჩაწვდომითაა დანახული, რომ ობოლ ბავშვს დედა ენატრება არა თვით — სპეტაკ სასახლეში, არამედ თავის ღარიბ, მაგრამ მშობლიურ ქოხში.

ვკა-ფშაველა ობლის უკმაყოფილების სხვა მხარეებსაც არ ივიწყებს. ობოლს სინამდვილეში შხამავს. შეიძლება შეუტყობლად, ისიც, რომ დედის საღდაც მოუსახლეოში წასვლის შემდეგ, დედინაცვალი („კარგი“ დედინაცვალიც კი) მას ცეზად, გულგრილად, უსიყვარულოდ ეკიდება. სიზმარი ერთი ხაზის მოსმით ერთუნტელის მომგვრელი სინამდვილით იძლევა ობლის შინაგან სამყაროში გაშლილ მტანჯველ ვანსხევებას დაკარგული დედის მოპყრობასა და დედინაცვლის გულგრილ დამოკიდებულებას შორის. ვკა-ფშაველას ობლის ეს ურვაე კარგად ესმის, მასაც არ ივიწყებს, როგორც ობლის ტრაგედიის არსებით ნაწილს.

არც ამით კმაყოფილდება მწერალი. მას უნდა ობლის გაწამებული ხულიერი სამყარო მთლად გააშიშვლოს და სიზმარს აგრძელებს, მას ფერს უცვლის: „დედა-შვილი რომ ტკბილად ჭუჭუჭუკებდენ, სწორედ ამ დროს გაჩნდა დედინაცვალი, ობლის ახალ კაბაზე ხელი მოპყრა. მერე იმავე ხელით საყურეებს შეეხო და სთქვა: „ვინ მოგცა, გოგო, შენ ესენი? გაიხადე ეხლავე კაბა! გამოიწრე ეგ საყურეებიც!“ ობოლი შეერთა. თვალები გააჭყიტა, ხელებს ფათური დაუწყო, დედას ეძებდა. დაბარბაცებდა კუთხიდან კუთხეში, აპოტინებდა ხელებს და ლულულულებდა: „დედავ, დედავ, დედავ! სადა ხარ, დედი? სად დამეძალე, დედი, დედიიი, შენი ჭირიმე!“ პასუხი არ მოესმა არსაიდან. ხელებგაფარჩხული მიწის იატაკზე გაერთხა და გაისმა საზარელი გულსაკლავი ქვიტიინი“<sup>1</sup>.

თუ ობლის სიზმრის პირველი ორი ნაწილი სასურველი, სანატრელი სიზმრის სახეა, სიზმრის უკანასკნელი, მესამე ნაწილი არასასურველი სიზმრის სახეა. ესენი ერთიერთმანეთს ავსებენ და ობლის ტრაგიკულ ბედს რეალურ ფერებში ხატავენ.

მოთხრობაში სიზმრის ჩაქსოვით ვკა-ფშაველა თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ ობოლს სიზმარი აკინძულა მის განწყობაზე, რომ სიზმარი სუბიექტის, სიზმრის მნახველის განწყობის საფუძველზე იქმნება.

მაგრამ აღებული პრობლემის გარკვევისათვის ეს მხოლოდ ერთი

<sup>1</sup> ვკა-ფშაველა, თხზ., ტ. VI, გვ. 92.

მხარეა. სიზმარმა მარტო ეს არ გვაჩვენა, მარტო ეს არ დაგვიდასტურა.

ჩვენთვის მთავარი და უფრო საგულისხმო ის არის, რომ ამ მცირე მოცულობის ნაწარმოებში სიზმრის ჩაქსოვით ვაჟა-ფშაველა იშვიათი ოსტატობით ახერხებს „ფეხშიშველა, ჩამოგლეჯილი კაბის აპარა“, ქილოზე მიგდებული, მძინარე, დედის სანატრელ ალერსსა და მზრუნველობას მოკლებული, გაწამებული ობლის სახე მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა-ვებებით მკითხველის წინაშე. შთამაგონებლად და მიმზიდველად გამოაქანდაკოს. სიზმარმა ვაჟა-ფშაველას მშვენიერი შესაძლებლობა მისცა მოთხრობის ფაბულა — ობლის რთული ურთიერთობა დედინაცვალთან და სხვა მახლობლებთან შთამაგონებლად მოეცა ორიოდე ტიპური ხაზის შემწეობით. ამ მცირე მოცულობის სიზმარში მოცემულია მოთხრობის თითქმის მთელი სიუჟეტი. მოთხრობაში ყველაფერი სიზმარამდე მოცემულ ექსპოზიციას განეკუთვნება. სიუჟეტს სიზმარი კი არა ტვირთავს, არამედ ხელს უწყობს მის განვითარებას. ასე ჩამოყალიბდა თავზარდამცემი სახე ობლისა. სიზმრის მოშველიებით მწერალი ასე ახერხებს აღებული რთული პრობლემა ობლობისა სამგვერდიან მოთხრობაში მაღალი მხატვრულობითა და დიდი დამაჯერებლობით ადვილად მიიტანოს მკითხველთან.

დაახლოებით ამავე ტიპის სიზმარია მოცემული ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ს ი ზ მ ა რ ი“.

პატარა სოფელი ვანო სასწავლებლად ქალაქში ჩამოუყვანიათ. საცხოვრებლად მშობლებს ის მოუთავსებიათ ქვრივ ქალთან — სალომესთან თვეში ერთ თუმნად. ვანო ქალაქში შეუჩვეველ გარემოში მოხვდა. მან კარგად იცის მშობლების სურვილი: მან უნდა ისწავლოს, ისიც გულმოდგინედ ეკიდება სწავლას.

აი, მოახლოვდა საახალწლო არდადეგები. მას დიდი სურვილი აქვს არდადეგები სოფელში მშობლებთან, შეჩვეულ ამხანაგებსა და გარემოში გაატაროს. ვანო მშობლებს წერილს სწერს, ატყობინებს, რომ ის კარგად სწავლობს, სთხოვს ცხენი და ფული გამოუგზავნონ, რომ არდადეგები მათთან გაატაროს.

მაგრამ, აი, შობამ გაიარა, ხვალ ახალი წელია. მშობლებისაგან კი პასუხი არა ჩანს. სალომეს წუწუნმა და გოდებამ თავის სიღარიბეზე და ვანოს მშობლებისაგან ბიჭის შენახვის ფულის დროზე გადაუხდებლობაზე ყმაწვილს დარდი გაუძლიერა.

ახალი წლის წინა ღამეა. სალომეც შეუდგა სადღესასწაულო მზადებას. ვანო ფიქრით მთლად სოფელშია, მშობლებთან. მოაგონდა თავისი ოჯახი, გაჩაღებული ბუხარი. ვინ იცის, მისი დედა რა მზადე-

ბაშია. ვანო გულხელდაკრეფილი, თავჩაქინდრული ზის თუნუქის ლუმელთან, ხმას არ იღებს.

სალომე მზადებას რომ მორჩა, ვანოც ჩუმად დაწვა, საბანი წაიხურა და თვალცრემლიანმა ამოიოხრა. სუნთქვა უძნელდებოდა, ერთ გვერდზე ვერ ისვენებდა, ლოგინში ტრიალებდა. „ცდილობდა თავიდან მოეშორებინა შემაწუნებელი ოცნება“. მაგრამ ის წყეული ფიქრი ვანოს არ შორდებოდა, „აფორიაქებდა, აღონებდა“ — გვეუბნება მწერალი. ასეთი განწყობილებით ჩაეძინა ვანოს და შესატყვისი სიზმარიც ნახა:

ვანოს ესიზმრება: „იმათი წალმით დახურული სახლი, ანუ უკედ რომ ესთქვათ, ქოხი, გადიდებულიყო... სრულიად გამოცვლილიყო; აღარ გახლდათ ფიცრული, არამედ ქვიტირისა, ორსართულიანი, თუნუქით დახურული, ისეთი, რომლის მსგავსს მხოლოდ ქალაქში თუ შეხვდებით. მისი მამა, ეფრემა დიაკვანი აღარ გახლავთ ის დაგლეჯილი ჩოხით და დაბანდულ ჩუსტებით მოსიარულე, მეოთხედზე მცხოვრებელი, არამედ კურთხებულა მღვდლად, ანაფორას აფრიანებს, გულზე ძეწკვით ჭვარი ჰკიდია. იმათ სახლში მოუყრია თავი აუარებელ ხალხს. ვინც მოვა, იძახის: „დილა მშვიდობისა, შენდობა, მამაო, მოგვილოცნია ახალი წელი, დაესწარით მრავალს თავის მეუღლით, შვილებით!“.

„თამადა სადღეგრძელოს ამბობს: „... ღმერთმა აღღეგრძელოს, მამაო, თქვენი შვილი ვანო, სკოლაში რომ სწავლობს, იმის მღვდლობასაც შეგვასწროს!“ — „ამინ, ამინ!“.. — ისმის ხმა აქეთ-იქიდან... მღერიან თავისებურად, გლეხურად. სადარბაზო ოთახი გაჩირაღდნებულია.

ვანოს დედაც იღებს ჭიქას, დაწვებზე ცრემლი ჩამოსდის და თან ამბობს სადღეგრძელოს: „აცოცხლოს ჩემი ვანო!“.. უნდა ბევრი რამ სთქვას, მაგრამ ცრემლი არჩობს, სიტყვები ვეღარ გამოუთქვამს... მხოლოდ ბოლოს ეს წარმოსთქვა: „ეხლა განა აქ არ უნდა იყოს?!“ და ამ სიზმარმა ისეთი მძლავრი განცდა აღძრა მძინარე ვანოში, რომ მან ხმამალა წამოიძახა: „აქა ვარ... ააქა, ...აქა ვარ!“... და თავისივე ძახილმა ვანოცა და სალომეც გამოაღვიძა.

ეს სიზმარიც, რა თქმა უნდა, გარკვეული, დამაჯერებელი შედეგია ვანოს დაუქმყოფილებელ მოთხოვნილებათა, დაფარულ სწრაფვათა საფუძველზე შექმნილი განწყობისა.

ვანოს ამ სიზმარში მარტო არდადეგებზე სოფელში წასვლის სურვილი და მშობლებთან ერთად საახალწლო მზადებაში მონაწილეობის მიღება არაა მოცემული. ეს სიზმარი დიდი ოსტატობით ავსებს, გამო-

<sup>1</sup> ვაჟ ა-ფ შაველა, თბზ., ტ. VII, გვ. 9.

ხატავს ვანოს ფარულ სწრაფვას. სიზმარი შეკუმშულად. ლაკონიურად, რამდენიმე დამახასიათებელი ნახით შლის სოფელში ღარიბად მცხოვრები ოჯახის ყოფას.

ვანოს სიზმარი სოფლის ყოფის სურათს გვაგებინებს. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა „სახალწლო სიზმარი“ სამ გვერდს არ აღემატება.

ცხადია, მოთხრობაში ჩაქსოვილმა სიზმარმა ნაწარმოების ფაბულა კი არ დატვირთა, პირიქით, შეკუმშა, დახვეწა, განტვირთა, სიუჟეტის დინამიურ განვითარებასაც შეუწყო ხელი; მოთხრობის სიუჟეტი თითქმის მთლიანად სიზმარშია მოცემული. ამ გზით მწერალმა მოთხრობის იდეა დიდი ემოციურობითა და დამაჯერებლობით მკითხველამდე ადვილად მიიტანა. ყოველივე ამან ნაწარმოები მაღალ მხატვრულ სიმაღლეზე აიყვანა.

\* \* \*

განვიხილოთ კიდევ სიზმრის ერთი სახე, მოცემული ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ერე მ-ს ერე მ-ს ურემიანი“. თვითონ მოთხრობა ღრმა საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მასში გამოყვანილია სამი ძმა: ერემი, სერემი და სურემი, — ზარმაცი, ზანტი უნიადაგოდ მეოცნებე ადამიანები. უსაქმური გამუდმებით ფანტასტიურ პროექტებს აგებენ: რა ხდება მათ გარშემო, პირადად მათ მიმართაც კი, ისინი არა თუ ვერ აფასებენ, არამედ არც ცდილობენ ამას. თავს დატეხილი უბედურების თავიდან ასაცდენად რეალური ზომების მიღების ნაცვლად, ისინი უაზრო მსჯელობასა და ფუჭი პროექტების შექმნაში არიან.

ფანტასტიკური მსჯელობისა და ოცნების ტყვეობაში მყოფი ძმები ვადაწყვეტენ ბედის საქებნელად იმოგზაურონ, თუმცა არ იციან და არც ზრუნავენ, როგორ უნდა განახორციელონ ეს მიზანი; ისინი სიზმრებს ხელავენ და ერთმანეთს უზიარებენ.

უფროსი ძმა ერემი პირველი უამბობს ნახულ სიზმარს: „მე წუხელი. სიზმარში. ოსმალეთში ვიყავი... გაეგო მთელს ოსმალეთს ჩემი იქ ყოფნა და შეძრულიყო მთელი ოსმალეთის სამეფო, თურმე მეფის ამორჩევა უნდოდათ და კაცი ვერ ეშოვნათ. შემომხეცია გარს ოსმალთა დიდებული კაცები და მუხლმოდრეკით მოთხოვედნენ: თუ გწამთ დიდი ალღაბი, გვიშველე რამ, გვიპატრონე, ვიღუპებით, ვრჩებით უპატრონოდ, უმეფოდ.“

მე ჯერ უარზე დავდექი და ვუპასუხე: სადა მაქვს. იმდენი დრო და მოცალობა თქვენი საქმეები ვაკეთო, ვასწორო-მეთქი, სამგზავროდა ვარ წამოსული მეთქი. მაგრამ ბოლოს დავთანხმდი, რადგანაც



გადამეკიდენ და თავს აღარ მანებებდენ. დავჯექი სულთანის ტახტზე. გამართა დიდი მეჯლისი და სმა-ჭამა. სუფრაზე სულ თათრული საჭმელები მოდიოდა: ქუფთა, ქაბაბი, ფლავი, და სხვადასხვა, ხოლო ღვინო არსადა სჩანდა. მე გაეწყერი და შეეძახე, — უღვიწოდ პურის ჭამა სადა თქმულა, გაკონილა!.. რატომ სუფრაზე ქართული შოთები არ არის-მეთქი. მე ლავაშის ჭამას დაჩვეული არ გახლავარ-მეთქი.

რასაკვირველაა, ჩემი ბრძანება მყისვე ასრულდა. ერთი რუმბი წითელი ღვინო შემოათრიეს და გვერდებდაბრაწული შოთებიც მალე გაჩნდა. ბოზბაში ფრიად მიამა, — იმათაც სცოდნიათ ამ საჭმლის კეთება.

სადილის შემდეგ უნდა ხელით ვექანებინე ოსმალეთის დიდებულთა. გამიმართეს, ე. ი. წინაღვე გამართული ჰქონდათ მეფისთვის საქანელა საკაცის მსგავსი, ძვირფასის ფარჩისა, იმაზე დამაწვინეს და ხელით მადლა-მადლა მისროდენ, ხოლო მადლიდან ისევ საკაცეზე ჩამოვეშვებოდნენ ხოლმე. ესე ქანაობა ფრიად სასიამოვნო იყო ჩემთვის, რომ უბედურებით არ დასრულებულიყო... ერთმა ვეზირთაგანმა — ალბათ დაიღალა — მადლიდან უნდა ბუმბულის ლეიბზე დავცემულიყავ — იმ დროს ხელი გაუშვა საკაცის ტარს და დაბლა დავეცი.. შექმნეს უსიამოვნოდ ძახილი. იწყინეს ყველა ვეზირებმა ეს თავის ამხანაგის მარცხი და სულთანის შეურაცხყოფა, ყველანი ჩემთან ერთად დაემხვენ პირქვე, მე, შემკრთალს, გამომეღვიძა<sup>1</sup>.

მეორე ძმამაც, სერემმა, სიამოვნებით განაცხადა, რომ მანაც მსგავსი სიზმარი ნახა და ძმებს უთუოდ რაღაც საერთო ბედნიერება მოეკლით.

„მე, — დაიწყო სერემმა, — ფრთები გამომსვლოდა და ჰაერში დავფრინავდი. გამიტაცა ქარმა, სადღაც ერთს კუნძულზე ჩამოვეშვი. მისვლა ჩემი, და დაიწყო აუარებელმა ხალხმა მოდენა. მოჰქონდათ ლანგრებით ოქრო და ვერცხლი, იაგუნდი და ლალი: ვინც ღარიბი იყო, სანოვანს ეზიდებოდნენ ძღვნად: ღვინოს, გაფუფქულ გოკებს, ინდაურებს, ბატებს და ზედ, ვისაც არ შეეძლო ტაბლასთან ნახუქების მოყოლება, მჭადი მოჰქონდა. მცემდნენ თაყვანს, მიკრავდნენ თავს, მოწიწებით მეპყრობოდნენ. არ ვიცი, რა ვეგონე? ვგონებ იმათაც უნდოდათ ხელმწიფედ ამოვერჩიე, მე ნელ-ნელა პურსა და ქათმის, ინდაურის ხორცს შევექცეოდი და თანაც ბოდიშს ვიხდიდი, წყნარ-წყნარად ღვინოს ვაყოლებდი. ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს. დიდი ვაკე-მინდორი ჩემთვის მორთმეულის ძღვნით და თვალმარგალიტით იყო გავსებული.

<sup>1</sup> ვაკე-ფშაველა, თხზ., ტ. V, გვ. 239—240.

უცებ ხალხმა მალა ცას შეხედა, ყველამ ერთხმად დაიძახა: ვაჰიმე, შავი ღრუბელი მოდის, აგერ გამოჩნდა ცაზეო! ყველანი შემომეფანტნენ გარშემო. დავრჩი მე მარტოკა ამ აუარებელი სიმდიდრით გარშემორტყმული, ვსიამოვნებდი და აღარ ვიცოდი, სად წამელო და როგორ მომეველო. გამოვეკიდე ხალხს უკან და ვეძახდი, მინდოდა ერთი-ორი კაცი ჩამეგდო ხელში, რომ იმათთვის წამელებინა ეს თვალ-მარგალიტი იქ, სადაც მე მოვისვენებდი. მე თქვენ გიბრძანებთ, გაჩერდით-მეთქი, მივძახოდი კვალდაკვალ. უცებ ფეხი რალაცას წამოვკარ და ქვას თავი ვახალე. შემკრთალს გამომეღვიძა. თავი მტკიოდა<sup>1</sup>.

ძმების — ერემის და სერემის სიზმრები ერთგვარია და, ცხადია, გაშლილია ძმების დაუკმაყოფილებელ მოთხოვნათა და მათ ლტოლვათა საფუძველზე შექმნილი განწყობით. ძმებისათვის სიზმარში ნახი მდგომარეობა სასურველია, სანატრელი.

ძმების სიზმრები მშვენივრად გვიდასტურებენ, რომ სიზმარი, რაც უნდა ფანტასტიკური და უცნაური იყოს, მაინც პიროვნებისეულია. ეს გარემოებაც სიზმრის განწყობის თეორიას ამტკიცებს.

მაგრამ, ამას გარდა, ჩვენთვის უფრო საგულისხმოა, რომ ძმების სიზმრები შთამაგონებლად მკვეთრი ლაკონიზმით აღრმავებს და ხსნის პერსონაჟთა ხასიათს, მათ წამყვან თვისებებს: სიზანტეს, სიზარმაცეს, უმოქმედობას, უქნაზობას, ცხოვრების სრულიად არცოდნას და მათი ფანტასტიკური მსჯელობებისა და სურვილების უნიადგობას. ამასთან მოცემულია ძმების ბუნებრივად განვითარებული პატივმოყვარეობა, მათი სიმდიდრისა, ძალა-უფლებისა და ფუფუნებაში ცხოვრებისადმი დიდი სწრაფვა და ყოველივე ამის ხელგაუწყველად, მზამზარეულად მიღება. ძმების ხასიათის ეს მამოძრავებელი თვისებები გამომუშავებულია მათი აღზრდით, მუდამ სხვის ხარჯზე ცხოვრებით.

ყველაფერი იშვიათი სიმკვეთრითა და ზედმიწევნით გვიხასიათებს ერემის ბუნებას, პიროვნების ხასიათის ძირითად, მამოძრავებელ ნიშნებს.

ასევე მკვეთრია და ბევრის მთქმელი მეორე ძმის — სერემის სიზმარიც. კუნძულზე, სადაც სერემი ქარმა მიიტანა, მისვლისთანავე აუარებელმა ხალხმა დაიწყო დენა. მოჰქონდათ ლანგრებით ოქრო და ვერცხლი, იაგუნდი და ლალი; ხოლო ღარიბები სანოვაგეს ეზიდებოდნენ ძღვნად: ღვინოს, გაფუფქულ გოჭებს, ინდაურებს, ბატებს და სხვ. ხალხის მიერ აურაცხელი დოვლათის მოტანით კმაყოფილი სერემი ხარობს. მაგრამ ხალხს უცებ ცაზე შავი ღრუბელი მოეჩვენება და

<sup>1</sup> ვ ა ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა , თ ხ . , ტ . V , გვ . 240—241.

შიშით გაიფანტება. ამ უცნაურობით დაბნეული სერემი გაქცეულთ ბრძანებით-ლა მიპკვივის: ერთი-ორი მაინც შეჩერდეს, რომ ღიმილდრე მათ წაალებინოს. თვითონ კი ვერ ახერხებს, რაც შეუძლია მას პირადად, ის მაინც წაიღოს. ამაშიც კი სერემი უქნარი აღმოჩნდა.

აი, ასეთი დამაჯერებლობით გვიხატავს მოთხრობაში ჩართულ-ორივე სიზმარი ძმების ხასიათსა და მათ გარემოს.

ჯუა-ფშაველას მოთხრობის „ერემ-სერემ-სურემიანის“ იდეისა და მიზანდასახულობის სისრულით გაგებისათვის, ვფიქრობთ, საჭირო იქნება მესამე ძმის — სურემის სიზმარიც გამოვიყენოთ. „ჩემი სიზმარი, ჩემდა საუბედუროდ, — დაიწყო სურემმა, — თქვენს სიზმარს არ შეეთანხმება. ძმებო,... ფრიად ცუდი სიზმარი ვნახე: ჩვენ სამივე ძმები, ვითომ, სამგზავროდ წავსულიყავით და მოვემწყვდიეთ აფრიკაში, სახარის უდაბნოში. გზა დაეკარგეთ და ვხეტიალობდით უგზო-უკვლოდ, ჟამ-კარ-არევე-გადარეულნი. უცბად შევხედეთ და ერთი უზარმაზარი ტანის დევი შეგვეჩეხა წინ, ცალი ფეხით კოჭლი იყო.

— აქ რას დაეხეტებით, თქვე ღურაკებო, თქვენაო? — მოგვადანხა, — ნუთუ არ იცით ეს ჩემი სამეფოა და ჩემს ნებადაურთავად არავის შეუძლიან დაადგას ფეხიო?! ნუთუ არა გაქვსთ თავის სამშობლო, თქვენი მიწა-წყალი? მე რომ ვიცი, გაქვთს, და ისიც ვიცი, ვინცა ბრძანდებით, მაგრამ როცა ღურაკები ხართ და რა იქნება?!... თქვენ ერემ-სერემ-სურემი არა ბრძანდებით, დიდთა გამოჩენილ გმირთა ჩამომავალნი? თქვენმა მამა-პაპამ დიდი ზიანი მისცა ჩემს მამა-პაპას და ახლა კაი დროს მოგატანეთ აქა.

— ნუ დაგვბოც, შეგვიწყალე, რა იქნება, შენს სასულიერედაო! — ჩვენ ვეუბნებოდით, — ოღონდაც ნუ დაგვბოც და როგორც გენებოთ გეტანჯე და გგვემეო.

— აფსუსს, ბადრისა და უსუპის ჯიშო, როგორ წამხდარხართ და გაფუჭებულხართ! შეგარცხვინოთ ღმერთმა!... — მოგვადანხა, დაპკრა ფეხი ძლიერად ქვიშობს დედამიწას და სამივეს ფეტვი გადმოგვაცარა თავზე; თითონ კი გაპქრა სადლაც.

სურათი ჩვენის მდგომარეობისა გამოიცვალა: ჩვენს გარშემო გაკეთდა დიდი ჭაობები და უცბად შიგ ბაყაყებმა ასტეხეს ყიყინი; მე და სერემი ვეყარენით ამ ჭაობში ტიტლიკანები, ტანზე ბაყაყები გვაცოცდებოდენ; ერთნაირი მწერები დაგვესიენ და სისხლსა გვსუტავდნენ. საზარელი იყო ჩვენი ტანჯვა.

<sup>1</sup> ჯ ა ე ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V, გვ. 241—242.

— შენ, ერემო, იქითკენ იჯექი პატარა ქვაზე, ტანიდან ჩირქი გდი-  
ოდა და ძალები გლოკავდნენ ამ ჩირქსა. შენმა ყოფამ მრავალტან-  
ჯულ იობის მდგომარეობა მომაგონა. ძლიერ შეწუხებული ვიყავი,  
ვიტანჯებოდი, ვიღმობოდი, ვიგრიხებოდი, შველა არსაიდან იყო.  
ამ ტანჯვა-წვალებასი გამომეღვიძა!<sup>1</sup>.

სურემის სიზმარი არასასურველი სახის სიზმარია. მასში  
ნათლად ჩანს ძმათა სამარცხვინო უსაქმურობა, უქნარობა. — რის  
შეგრძნებაც მათ ალბათ სადღაც ქვეცნობიერებაში ხანდახან მაინც  
გაუელებს ხოლმე და იქვე — ქვეცნობიერებაშივე რჩება არშეცნო-  
ბილი შიშისა და სირცხვილის, თვითუკმაყოფილების ერთგვარი მკრთა-  
ლი სახით. ეს საკმარისი რელიეფურობით ადგილს პოულობს მესამე  
ძმის სიზმარში.

რა თქმა უნდა, ამ სიზმრების ჩართვით ვაჟა-ფშაველა ნიჰიერად  
ახერხებს მოთხრობაში „ერემ-სერემ-სურემიანი“ ფართო საზოგადო-  
ებრივი დახასიათების მოცემას. ეს ნაწარმოები მწვავე სატირაა მწე-  
რლის თანამედროვე საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმართ.

სურემის სიზმარი სიმპტომატურია.

ძმების სიზმრები გმირთა გარემოსა და მათი პირადი ცხოვრების  
მთელი ისტორიის გადმოცემის მაგიერობას ასრულებს. ეს მწერალს  
შესაძლებლობას აძლევს ნაწარმოებზე ფაბულა დახვეწოს, ამბის გა-  
წვ-თარღვას დინამიკურობა მისცეს, ნაწარმოების იდეა მკითხველთან  
ადვილად და შთამაგონებლად მიიტანოს იმდროინდელი მკაცრი ცენ-  
ზურის პირობებში.

\* \* \*

ახლა განვიხილოთ ბახას დედის — ჯავარას სიზმარი  
(„მოკვეთილი“).

მთელმა ჩონთამ თავის მეზობელ ბახას დანიშნული მზევინა-  
რი მოსტაცა, ცოლად შეირთო. მთის ადათის მიხედვით, ბახა თავს  
შეურაცხყოფილად თვლის. მასა და ჩონთას შორის მტრული ურთი-  
ერთობა მყარდება. ჩონთა კარგი ვაჟაკია. ბახას სჯობნის კიდევ. ბა-  
ხა წონასწორობიდანაა გამოსული. შურისძიების სისრულეში მოყვანის  
მზნით ბახა ქისტებს დაუახლოვდება. ქისტები ფშავს დაეცემიან. ბა-  
ხა მათ გზას უჩვენებს, თუმცა მას მხოლოდ ჩონთასადმი შურისძიება  
ამოძრავებს და არა თემისადმი.

ბახას ასეთი საქციელი თემს მის წინააღმდეგ აამხედრებს. საერ-  
თო ყრილობაზე ბახას თემი მოიკვეთს, მასთან ყველა კავშირს წყვეტს,  
ბახას თემში აღარ ედგომება.

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, გვ. 241—242.

ბახას დედა ჯავარა შვილის ამგვარი მდგომარეობით შეძრწუნებულია. მან იცის და ღრმადაც სწამს, რომ მისი შვილი ბახა თემის წინააღმდეგ არაა განწყობილი. პირიქით, თემს კვლავინდებურად პატრეს სცემს, თემა კი ის მოიკვეთა, განდევნა.

ჯავარა სიზმრებს ხედავს და შვილს უზიარებს: „წუხელაც ვნახე ძანაშენი. როგორ დაღონებული იყო ის ბეჩაე! ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი, არც ხმალი იმის ტანზე, არც ფარი, არც ხანჯარი. მიკვირდა კიდევ: იარაღს არც როდის არ მოიშორებდა ტანზეით, სახე დაკაწრული ჰქონდა და სისხლი ჩამოსდიოდა. ვითომ ისევ ლაშარი-ჯვარის ხევისბერად კი იყო. რა არის, შე ბეჩაო, სად სძვერ ეკლებში და ჯაგებში, რო ეგრე გადაკაწრული სახე გაქვსო? — ვკითხე. — ლაშარსა მცესო, მითხრა... წამოვალ თქვენ სანახავად, ქისტეთ არიან შენი ცოლშვილიო, მითხრეს. რად დაანებეთ სახლს თავი, რაზე გამიტიალეთ და გამოიხრეთ ჩემი აშავიო“<sup>1</sup>.

ჯავარას ეს სიზმარი აშკარაა, გარკვეულ განცდათა საფუძველზე აღმოცენებული განწყობილებითაა გამოწვეული. ბახა მართებულად სსნის დედის ასეთ გაზშირებულ სიზმრებს: „ცოტა იფიქრე, დედავ.— ერთგვარი თვითდანაშაულობის შეგრძნებით ურჩევს ბახა დედას. — ცოტა იღარდე და მკვდრებიც ეგრე აღარ დაგაღონებენ. იმათ იციან, რომ შენ დადარდიანებული ხარ და უფრო თავის მოსვლით ჯავრს ვიათქეცებენ“<sup>2</sup>.

ასეთივეა მეცნიერული ახსნა ამგვარი სიზმრებისა. აი რასა წერს რ. ნათაძე ამ სახის სიზმრების შესახებ: „სხვადასხვა განწყობის აღმოცენება ჩვენში მაშინაც ხდება, თუ დღის განმავლობაში ჩვენ ვღებულობთ ძლიერს ან მრავალჯერ შთაბეჭდილებებს და ამ ძლიერი შთაბეჭდილებებით განმტკიცებული განწყობილებების მოქმედება შეიძლება თავისთავად (ჩვენდა უნებურად) ხდებოდეს არა მხოლოდ სიფხიზლეში ოცნების სახით, არამედ ძილის დროსაც სიზმარში... საკმე ის არის, რომ განწყობა გარკვეულ აქტივობისათვის შინაგანი მზაობაა... რომელიც ძილის მდგომარეობაშიც შეიძლება იყოს შენარჩუნებული და სათანადოდ მოქმედებდეს კიდევაც“<sup>3</sup>.

ჯავარას სიზმარი მის სიფხიზლეში გამტკიცებული განწყობის გაშლას თუ ამოქმედება ძილისას.

ამას ფარდა, ცხადია, ჯავარას სიზმარი მწერალს ეხმარება დიდი სიცხადით და შთამაგონებლად გამოხატოს ჯავარას ხასიათის ძირითადი წამყვანი თვისებები: მისი დედური ბუნება, მოვალეობისა და პა-

<sup>1</sup> ვ ა ე ა ე შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. VII, გვ. 298.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> რ. ნათაძე, რა არის სიზმარი?, 1948, გვ. 58.

სუხისმგებლობის სწორი, გამახვილებული გავება. ჯავარას სიზმარი დედის მიმზიდველ სახეს აქანდაკებს, პირველ რიგში მთიელი დედის სახეს. ვარდა ამისა, ჯავარას სიზმარში ჩაქსოვილია მთიელთა ცნობიერებაც: დარჩენილთა დამოკიდებულება გარდაცვლილებისადმი — ცოლის ქმრისადმი, შვილის — მშობლებისა და ძმებისადმი; დარჩენილთა ვალდებულება დატოვებული სახლ-კარისადმი, საცხოვრებელი ბუდისადმი. ყველაფერი ეს პიესის ადგილობრივ კოლორიტს სათანადოდ აძლიერებს.

ამასთან, სიზმრის საშუალებით ვაჟა-ფშაველა ზედმიწევნით ბუნებრივი ზომიერებით ახერხებს პიესის შინაარსი განტვირთოს და სიუჟეტ-ს სისრულითა და დინამიურობით გაშლასაც ხელი შეუწყოს. ყოველივე ეს კი, ცხადია, ნაწარმოების მხატვრულობას საგრძნობლად აძლიერებს.

\* \* \*

შევჩერდეთ კიდევ სხვა ხასიათის სიზმარზე, რომელიც მოცემულია ვაჟა-ფშაველას ლექსში „ერეკლეს სიზმარი“. ჩვენი შავბედიით ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ერეკლე თავდადებული, ხალხთან ახლოს მყოფი და დიდი პატრიოტი მეფე იყო.

აურაცხელ მტერთან ბრძოლაში ჩაბმულ ერეკლეს არაერთხელ გაუცრუეს იმედი არა მარტო დიდგვაროვანმა ფეოდალებმა, არამედ საკუთარმა შვილებმაც. გაწამებულ მეფეს ხშირად კბილით საკუთარი ხორცი აგლეჯინეს. ერეკლე მუდამ იმის შიშშია, რომ არა მარტო გარეშენი, არამედ შინაურებიც მას საბედისწერო მომენტში უღალატებენ, ქვეყანასა და ხალხს გასწირავენ და მტერს დაანებებენ. ერეკლე ერთგულთ, ქვეყნის ნამდვილ დამცველთ ხალხის დაბალ ფენებში ხედავდა. ასეთი წარმოდგენაა შემონახული ჩვენ ხალხურ ზეპირ-შემოქმედებაში, და ეს შესისხლხორცებული ჰქონდა ვაჟა-ფშაველასაც. „ერეკლეს სიზმარში“ ის მკვეთრად ახასიათებს ერეკლეს და მისი სახით მთელი ჩვენი ქვეყნის ტრაგედიას.

ომგადახდილ, „მიგდებ-მოგდებას ჩვეულ“ პატარა კახს, — უნაგირზე თავმიყრდნობილს, ტანზე ნაბადგადახურულს, — ასპინძის ველზე ჩასძინებია. დარაჯად მას შვიდი ხევსური ადგა. იქვეა ცნობილი ხიმიკაური. ძილში ერეკლე ბორგავს, ქვითინებს. „შეშფოთებული ხევსურები მეფის გალვიძებას ვერ ბედავენ, მხოლოდ ჩურჩულებენ. მეფეს ეს ჩურჩული გამოაღვიძებს და შესძახებს: „ეინა ხართ მანდა?“ ხიმიკაური მოახსენებს, რომ მისი მცველნი ხევსურნი არიან, რომელნიც ძილში მისმა წუხილმა შეაშფოთა. ხიმიკაური მეფის ამ წუხილს

ასე ხსნის: — ალბათ „ღვთისაგან წყეულ ეშმაკს შექმურდა დღეს ჩვენი გამარჯვება და გულ-გონება სურს მოგვიწალოს“. კაეშნიანი სახით ეტყვის ერეკლე: „ეგ ღმერთმა იცის, მაგრამ სიზმარი კარგი ვერ ვნახე“ და სიზმარს უამბობს:

„მე ის მესიზმრა, რომ საქართველოს  
თავით ბოლომდე ცეცხლი ეკიდა,  
თვით ჩემს სრა-სახლსა, სამეფო ტახტსაც...  
მტერი სთელავდა ხალხსა ფეხითა.  
ჩემი ლაშქარი აბჭარაყრილი  
იღგა უძრავად და არა სწუხდა.  
თუმცა ვიძახდი: „აბა ბიჭებო,  
უჭირს ქვეყანას!“ ხმა ჩემი ქუხდა.  
გაქვავებულან, თითქოს სტებებიან,  
რომ საქართველო ცეცხლშია სდულდა“...  
„რომ ვერ ვასმინე ვერავის სიტყვა,  
ვიმუქრებოდი, ვსწუხდი, ვყვიროდი, —  
„რამ მომიხიბლა ერი ერთგულო?“  
თავსა ვკითხავდი, დილად ვყვირობდი.  
რომ ვერას გაეხდი, ბრახმორეულსა  
გამომელვძია... თურმე ესტიროდი“<sup>1</sup>.

ვაჟა-ფშაველა დამაჯერებლად გვაჩვენებს, რომ ერეკლეს სიზმარი აღმოცენებული და გაშლილია ობიექტური გარემოებით შექმნილ განწყობაზე. მასში მოკლედაა გადმოცემული ქართველი ხალხის ისტორიული ტრაგედია — გამუდმებული უთანასწორო ომები გარეშე მტრებთან და შინაური აწეწილობა. აი ეს რეალური ვითარება ჩაქსოვილი ამ სიზმარში.

ამავე სიზმარში მოცემულია თვით ერეკლესათვის დამახასიათებელი ნიშნები: ცხოვრების სპარტანული სისადავე და უშუალო კავშირი ხალხის დაბალ ფენებთან. ნაწარმოებში სიზმრის ჩაქსოვა დაეხმარა ვაჟა-ფშაველას მეტი სისრულით წარმოედგინა მეფე ერეკლეს სახე როგორც სახე დიდი პატრიოტის, თავდაუზოგველი ნიჭიერი მხედრისა, ქართველი ხალხის უკეთესი ბედის თავდავიწყებით მაძიებელი მეფისა. ამ სიზმარმა უდაოდ მალალ მხატვრულ საფეხურზე აიყვანა ნაწარმოები.

• • •

ავილოთ კიდევ სხვა ტიპის განწყობის საფუძველზე აღმოცენებული სიზმარი. ეს არის მზიას სიზმარი პოემაში „გველი სმკამე-ლი“.

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. II, გვ. 150—151.

მინდიას თვალსაზრისით კაცი თავის მოთხოვნილებებს ისე უნდა იკმაყოფილებდეს, რომ სხვას ზიანი არ მიაყენოს, სხვა არ დაჩაგროს. აქედან გამომდინარე „გამისინებული“ (მწერლის გაგებით, ნამდვილ კაცად გადაქცეული) მინდია თემს ასე ურჩევს: „კაცებო, მოდით, ნუ პშვრებით ცოდვასა; ნუ მოსპრით ხესა, დაჯკერდეთ ჯოყრებს, ხბელს წიწვებს ცოტასა“. ეს ასე უნდა გვესმოდეს: დაკმაყოფილდეთ, რაც აუცილებელია სადი სიცოცხლისათვის, ნუ გაყვებით ადამიანთა გზვიადებულ მადანსილობას, რომელიც სხვის მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს, მზადაა სხვა შეავიწროვოს, გაანადგუროს, ოღონდ თავისი ზომადგადასული მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

ასეთი გაგების ნიადაგზე ჩნდება მწვავე წინააღმდეგობა მინდიასა და თემს შორის, რომლის ადათები მინდიას მაღალ კაცთმოყვარებით გაუღენთილ აჯალ მსოფლმხედველობას არ ეთანხმება.

ამავე ნიადაგზე წარმოიშობა ცოლთან მინდიას კონფლიქტი. მინდია ასეთი ფართო პუმანური შეხედულებების მიღების შემდეგ რწმუნდება, რომ კაცი, განსაკუთრებით ვაჟკაცი, „კაი ყმა“, რომელიც სხვათათვისაც მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს, ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ ოჯახისა და თუნდაც თემის ინტერესების სამსახურით, მას უნდა ამოქმედებდეს მოთხოვნილება მთელ „ქვეყანას არგოს“.

მინდიას ცოლი მზია ჩვეულებრივი ოჯახის ქალია. ის ქმრისა და შვილების ერთგული, მზრუნველი, პატივისმცემელი, მოსიყვარულე ქალია. მზია ცდილობს, რომ მისი ოჯახი ყველაფრით უზრუნველყოფილი იყოს. ასეთია ოჯახის ქალის ვალდებულება, ასეთია მზიას მისწრაფებაც.

სწორედ აქ იკვანძება მინდიას წინააღმდეგობა და მწვავე კონფლიქტი ცოლთან. მინდია მზიას ასე საყვედურობს:

„ბერდიას რამდენ შუშა აქვ,  
როგორს ცეცხლს ანთებს, პნახოდი,  
ცხოვრების მაგალითადა  
ბრიყვები დამისახოდი“<sup>2</sup>.

მზია გაკვირვებულია, მას უსამართლოდ და უცნაურად მიაჩნია მინდიას საყვედური. მას ვერ გაუგია, რომ კაცის ინტერესი არ უნდა განასაზღვროს მხოლოდ ოჯახის ვიწრო მოთხოვნილებებით. ის ცხოვრების საკეთილდღეო ფართო შარავზაზე უნდა იდგეს, იღვწოდეს.

მზიას ყვედრება-წუწუნმა მინდიას ნებისყოფა თანდათან გატეხა. მინდიამ დაუთმო მზიას მოთხოვნას, ის რწმენასთან კომპრომისს გზა-

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IV, გვ. 12.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 20.



ზე შედგა. ასეთმა დათმობამ მინდია დაცალა ნიქისაგან, მას აღარა აქვს აღრინდელი ცოდნა და ძალა. ასეთი მდგომარეობა კაცისათვის, მინდიას გაგებით და თქმით, მკვდრის მდგომარეობაზე უარესია. „რითი ღა ვარგო ქვეყანას, დავცარიელდი ცოდნითა“ — ქვითინით და საყვედურით აცნობს მინდია მზიას. თავის ჯოჯოხეთურ ტანჯვას.

მზიაც ქმრის ტანჯვა-უემყოფილებით ფრიად დამწუხრებულია. მისი „სულ-ხორცის ამშფოთები, გონების ამაზრზინაფი“ მდგომარეობა მშვენიერადაა მწერლის მიერ ნაჩვენები მზიასა და სანდუას საუბარში.

ამგვარი განცდების საფუძველზე მზიას გამოუმუშავდება სათანადო განწყობა, რაც მას ძილშიც თან სდევს. ეს პოულობს გამოხატულებას იმ სიზმრის შინაარსში, რომელსაც მზია სანდუას უამბობს:

მოვარდნილიყო ღვარები,  
როგორც ღვეები მქინაფი;  
თან მარღვედნენ მთა-ბარსა,  
იღვა დგანდგარი, ღრიალი,  
ცა-ხმელთა დაქცევას ჰგვანდა  
ისეთი ისმის გრიალი.  
მთებსა სტყდებოდა წვერები,  
დაბლა ხეებში წვებოდნენ;  
მთებთან ერთადა კლდეებიც  
თოფებივითა ტყვრებოდნენ.  
ცა ისეთი ჩნდა, ვით კუპრი,  
შავად ჰღელავდა, შხიოდა,  
კუპრს აწვიმებდა მიწასა,  
ცხელი წვეთები სცვიოდა,  
ღვარები ისევ საზარლად,  
შეუპოვარადა დიოდა.  
„გვიშველეთ, ვიღუპებითო“,  
ათასგნით ხალხი ჰკვიოდა.  
მართლაც ეუყურებ, რომ მოაქვს  
წყალს ხალხი, ფარი, ხმალი,  
ათასგან ციხე ირღვევა,  
ჭავ-ციხეებთან სახლია;  
ამოდენს საბრალობას  
მარტო მოზარე აკლია.  
ჩვენ ვითომ არა გვიქირდა,  
ვითომ უვნებლად ვიყვენით,  
ბოლოსა ენახე სახლ-კარით  
რომ ჩვენაც გავირიყენით.

მოსკდა ღვარი ზენათ,  
ლიბო მაჰლიჯა ციხესა  
და შეურა ისიცა  
დაბლა არაგვის რიყესა.  
სახლიც წაიღო ჰერბოთურ,  
გაგვიყოლია ჩვენაცა,  
მინდა ვიძახო — მიშველეთ,  
ველარ ვაგებდი ენასა.  
ბალღებს კი გულში ვიკრავდი,  
ხატს-ღმერთსა ეთხოვდი შველასა.  
თან გამოსვლასა ვცდილობდი  
ვევანებოდი კიდესა;  
ბალღებს ვაფარებ ჰირიბზე  
შავი-მანდილის რიღესა.  
და რამდენჯერაც მივჭარდი  
ნაპირს, იმდენჯერ მქინია.  
კაცების სახე წინ დამხვდა  
შავები, როგორც ფისია.  
ხელი მკრეს, წყალში ჩამაგდეს,  
თან გადმომძახეს ისია:  
„სად მოხვალ? წადი, წყალს გაჰყენ,  
ბრძანება არის ღვთისია!“  
და ამ დროს ენახე, ჩვენს წინა  
წყალს მიაქვს ჩვენი კაცია;  
შამომიბრუნდა და მითხრა, —  
ტყბილი ხმა ჰქონდა, ნაზია, —

„გთხოვ მაპატიო, მზიარ,  
რაც გლანძღე, გავაბრაზია;  
რასაცა ჰხედავ ჩემს თავზე,

ღირსი ვარ, სწორედ ახია,  
ბალები არ დამიჩაგრო  
გთხოვ, კარგად შემიწახია“.

ეს სიზმარი, უდაოდ, შეესატყვისება ქმრის საყვედურით, მისი შეუვალი ტანჯვით ნაწამები მზიარს აფორიაქებულ შინაგან გაცდებს.

მზიარს სიზმარი, უდაოდ, ავსებს პომეის სიუჟეტს და მკითხველსაც ბუნებრივად ამზადებს დასასრულისათვის — თემის დამარცხებისა და „მადლით დაცლილი“ მინდიას თვითმკვლელობისათვის.

ამას გარდა, მზიარს სიზმარი უფრო აღრმავებს თუ რელიეფურად გვაჩვენებს როგორც მინდიას, ისე მზიარს ხასიათის არსებით ხაზებს: სიზმარში მაქსიმალური სიმართლითაა გახსნილი თემის ადათებით შებოკილი მზიარს სახე.

\* \* \*

მოვიშველით კიდევ ალუდა ქეთელაურის ცნობილი სიზმარი. ხევსური ალუდა ქეთელაური კარგი ყმაა. ის თემის ინტერესებს, ტრადიციებს თავგამოდებით იცავს, ხალხის გაგებით, თემის ბაირალია. ამიტომაც მას თემი პატივს სცემს, მისით ამყობს. მასზე ღრმა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მუცალის გმირული ქცევა. ალუდას ატყევეებს მუცალის სიმტკიცე და შეუპოვრობა. ამიტომ ალუდას შეგნებაში დაირღვა დრომოკმული შეხედულება: „წესი არ არის მტრის მოკლა. თუ ხელ არ მასკერ დანითა“. თემის ამ მოთხოვნას ალუდა ახლა დაცინვითა და მწარე სინანულით ასე აფასებს: „ვთქვარს სამართალს, მონათლულს ცოდვა ბრალითა“.

ალუდას არ შორდება მუცალთან ბრძოლის სურათი, მისი სიკვდილი. ამ ფიქრებით გაოგნებულს მუცალის ბედი ისე აწვალებს, რომ ჭამაც კი ავიწყდება. დედისა და დის ხვეწნაზე, პური ჭამოს, ალუდა უარს ამბობს, გულის შეეკვრას უჩივის და ამას სიზმარსაც აბრალებს.

ალუდა თავის სიზმარს ასე გადმოგვცემს:

„წუხედ ცულ სიზმრები ვსინჯე,  
როგმი ვიყოდი სადამე.  
წინ გვედვა მიცვალებული  
ხევსურნ შაწყენით ისხდენა.  
სალაშქროდ დამზადებულნი,  
ზოგნი კარებზე იდგენა.  
მენაც იქ ვიყავ, ესტიროდი.  
როგორც წესია კაცისა.  
გუმანი მქონდა სალაშქროდ,  
ხანიც მოვიდა წასვლისა.

ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,  
ტარი ჩამიღვა ხანჯრისა,  
შეხედენ, მუცალი იყო,  
ტანთ ეცვა ჯაჭვი რეალისა,  
გულზე ემჩნივა ნიშანი  
მე-დ იმის ბრძოლის წამისა,  
ეფინა ნატყვიარშია  
ლევა საფევი ბრძამისა.  
კლდედ იდგა, გაუტებლად,  
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.

<sup>1</sup> ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, თხზ., ტ. IV, გვ. 33—34.

„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,  
მამკალი — შიშხრა ხვეწნითა.  
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,  
მე კი წავიდე ქვეყნითა.  
დაძლით, ხევსურთ შვილებო,  
ლაშქრობით, ხმლების ქნეითა“.  
დავქე, ჯამ ვინამ დამიდგა,  
კაცის ზორც იყო წვნიანი,  
ესპამდი, მზარადა თუმცაღა  
კაცის ხელ-ფეხი ძელიანი.

რასა ესჩადიო, ესჯაერობდი,  
უმსგავსი, შაჩვენებული.  
„კამეო, — რამამ მიძახა,  
ნუ ჰხდები გაშტერებული:  
კიდეე მიმირთვით ალუდას  
წვენ-ხორცი გაცხელბული“.  
მიმატეს კაცის უღვაშით  
წვენ-ხორცი შანელბული...  
„იზმარო დამტანჯეს, იმით ვარ  
გუნება-აღლვებული“<sup>1</sup>.

ეს სიზმარი გაშლილია ალუდას განწყობის საფუძველზე. იგი გამოწვეულია მუცალთან ბრძოლაში მიღებული მისი განცდებით და ახალი ჰუმანური გრძნობის გაჩენით. ალუდას სიზმრის ყველა ელემენტი — იქნება ეს ალუდას რიგში ყოფნა, სალაშქროდ გამზადებულ ხევსურთა „შაწყენის“ სხდომა, ალუდას ტირილი, ალუდასთან ბრძოლაში მუცალის გულზე ნამჩნევი ნიშანი, მუცალის სიკერპე, უშიშრობა, სიმტკიცე, საყვედური ხევსურთადმი, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ სხვისი წასვლა „ქვეყნითა“, ალუდას წინ კაცის ხელ-ფეხით, უღვაშით სავსე წვნიანი ჯამის დადგმა — ეს ყველაფერი არის მუცალთან დამოკიდებულებაში შექმნილი ფანტასტიკური რეალობა, შეცვლილი სახით ფანტაზიასთან შექსოვილი რეალობა.

გარდა ამისა, ალუდას სიზმარი ავსებს და ამასთან ხვეწს კიდეც პოემის შინაარსს: სიზმარი მკაფიოდ და ლაკონიურად გვიხატავს ადამიანთა ურთიერთობის ახალ გაგებას, ცხადლივ თუ ძილში ალუდას დატყვევებას ახალი განცდებით.

ალუდას სიზმარი აგრეთვე მშვენიერად ეხმარება მწერალს, გააღრმავოს და გაამკვეთროს ალუდას სალი, მდიდარი, ჰუმანიური და მგრძნობიარე ბუნება, მისი ხასიათის თვისებები.

ზემონათქვამის შესახებ სათანადო მასალის სხვა გზით შეტანა ნაწარმოების ფაბულასაც, ვფიქრობთ, ფრიად დაამძიმებდა და სიუჟეტის განვითარებასაც საგრძნობლად შეაფერხებდა. ამას, რა თქმა უნდა, კარგად გრძნობდა ვაჟა-ფშაველაც, ამიტომ მან დიდი მხატვრული ზომიერებით გამოიყენა აღნიშნული სიზმარი.

\* \* \*

შეჩერდეთ კიდეც იმ სიზმრის ნიმუშებზე, რომლებიც მომავალს გვიხატავენ. ესაა კვირიას სიზმარი („ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი“).

მხარზე თოფგადაგდებული, „დანჯღრეულ ქარქაშიან“ ხმალ-წნე-

<sup>1</sup> ვ ა ჯ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. III, გვ. 66—67.

ლათ წელს შემორტყმული, „ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი უშნო“, ობო-  
ლა კვირია, თვითონ ფშაველი, მაგრამ მტრებისაგან უთვისტომოდ,  
ეულად გამხდარი, ოცი წელი ფშავს მოშორებული, ფშავში გამო-  
ჩნდება.

კვირია კახეთის მდგომარეობას სანათას აუწერს; თავის მხრივ სა-  
ნათა ოქში გმირულად დაღუპულ ქმარსა და შვიდ ვაჟსაც სხვებთან  
ერთად დიდი მწუხარებით მიატირებს.

სანათას რომ შეუმსუბუქოს მწუხარება, უბედურ ბედს რომ შეა-  
რავოს, კვირია მას ეუბნება:

რქნება ამ ორს კვირაზე  
შავხვდელ შავეთის კარზედა.  
მანამა ვცოცხლობთ, მტერი გყავ,  
ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა.  
როცა დრო მოვა... დე, გაქრეს  
ბედის ვარსკვლავი ცაზედა!  
ცოცხალს კი უნდა ეხუროს  
ვაკაცსა ქული თავზედა.  
სიცოცხლეს აუგინასა  
სიკვდილი მიჯობს ხმაღზედა<sup>1</sup>.

ასეთია კვირიას განწყობა, ასეთია მისი ფიქრი და სწრაფვა.  
ამგვარი განწყობის საფუძველზეა წარმოშობილი კვირიას  
საზმარი:

რღლე იყო მეტად მრისხანე,  
ცა ნორბუბლული, მკეხარო...  
მაკუღვიარ ტრიალს მინდორზე  
თავმოწონარი მხედარი  
შავს ცხენზე ვიჯე, მიპქროდა,  
მეგონა ვზივარ ქარზედა.  
საპი დაენტოო სანთელი  
ჩემის ფრანგულის ტარზედა.  
ნექი ციერი ჯვარადა  
განოქესახა ფარზედა.  
მინდორი იყო ტრიალი,  
აჰა რაი ჩნდა მახედა,  
ჯოილი, ხშირი ყოილი  
დაჟენილიყო გზაზედა...  
გაკუბდე, მინდვრად მოცურავს  
შავი ვემაპი შექნითა,  
ყოილთა მიწას მაპლოკდა

ცეცხლის მსროლელის ენითა.  
პირითაც ცეცხლი სდიოდა,  
საზარელ იყო მეტადა.  
მანახა, გულზევადად მომმართა,  
ეუნდოდი დასაკენეტადა.  
პირი დაალო ვეება,  
ჩასაყლაპავად მიტია,  
მაგრამ ხმლითა ვეც, გავუპე  
თავი, როგორაც ფიტია.  
მოკლულმა შემომანთხია  
ბოროტი სისხლი პირზედა.  
ცხენი წამექცა, თვითონაც  
მიწას დავეცი ძირზედა.  
გონი წამსვლიყო... გონთ მოვედ,  
მეოცა სახილებელი:  
ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი,

<sup>1</sup> ვაკ ა-ფ შაველა, თხზ., ტ. III, გვ. 148.

უკბილადა საძინებელი;

წითლად გაწირა ხოლოდა  
ობოლი სხივი მთაზედა.

მხეც ამობრწყინდა... მეჩვენა,  
მნახა, გაბრუნდა წაშვედა.

ვაბრუნდა, თვალთ დამიხნელდა  
და მიმეძინა მკლავზედა<sup>1</sup>.

კვირიას ეს სიზმარი მომავლის მაჩვენებელი სიზმარია. ამგვარი სიზმარი ხშირად ჩნდება სუბიექტის გარკვეული განწყობის საფუძველზე. შინაგანად აფორიაქებული სუბიექტი მომზადებულია რაიმე დიდ სადავოდარბოთ, საბედისწერო ბრძოლისათვის. სუბიექტის ფანტაზია ძილში ქმნის მომავლის სურათს, რომელსაც, მართალია, პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ვადატანით შეეფარდება სუბიექტის განწყობას. „ერთი და იმავე განწყობის... საფუძველზე ფანტაზიამ შეიძლება დახატოს განსხვავებული შინაარსის სურათი, მაგრამ ისეთი სურათი, რომელიც მაინც ამავე შინაგანი მდგომარეობის, მაგალითად, იმავე განწყობის გამომხატველია. ამ შემთხვევაში სიზმრის შინაარსს პირდაპირი და თავისთავადი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ ალგორითული, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სიმპტომატური მნიშვნელობა აქვს... იგი ამჟღავნებს სუბიექტის შინაგან მიდრეკილებას, იგი მაჩვენებელია, სიმპტომა ადამიანის შინაგანი მდგომარეობისა“<sup>2</sup>.

კვირიას სიზმარმა ყველა დაალონა.

დამსწრენი სხვა უცხო სანახავეა გამოარკვია. მათ თავს წამოადგა ცხენზე მამაცურად მჯდარი ქალი.

ლელაც სიზმრითაა გატანჯული. ლუხუმისა და ჯარის ერთობლივ ჩრევაზე, რომ ის დაბრუნდეს სახლში და მოუაროს დაავადებულ მამას, „განაცრებული“ ლელა „ცრემლების ჩამოდენით“ ამბობს:

„როგორ წაიღე? ვერ წავალ;  
სიზმრებსა ესინჯავ ავებსა...  
კაცი რამ მოღის კუპრივით,  
დაათრევს კაცის თავებსა;  
მოღის, წინ მიწყობს ღრეპითა  
ჩემთ ძმათ სისხლიანს მკლავებსა.

ის რო წავა და სხვა მოვა  
ღიაცი მზისა ფერია,  
მეტყვის: უთხარ რამ, ლელაო,  
ეგ არის თქვენი მტერია!  
ამ ტანჯვაში ვარ სულ მუდამ  
ძილი არაა ჩემთვისა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ე ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. III, გვ. 157—158.

<sup>2</sup> რ. ნათაძე, რა არის სიზმარი?, 1948, გვ. 62—63.

<sup>3</sup> ე ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. III, გვ. 163.

ორივეს, კვირიასა და ლელას, აღრჩობს მტრის მიერ მათი ქვეყნის უდიერი ქელვა, განადგურება; ორივეს სურს დაღუპულ მახლობელთა სისხლი აიღოს, მტერს სამაგიერო მიუზღოს. ორივეს კარგად ესმის, რომ ამისათვის მსხვერპლის გაღება გარდაუვალია, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შეიძლება თვითონ შეეწირონ სამშობლოს.

ამას გარდა, ორივე სიზმარს დიდი მხატვრული ღირებულებაცა აქვს. ორივეს ბუნებრივად, შეხამებულად ავსებს მთაში გამტკიცებული მითური რეალების ჩვენება: შავი ვეშაპი (ბოროტების სიმბოლო), ვეშაპის მიერ ენითა და პირით ცეცხლის სროლა, ადამიანის შერკინება ვეშაპთან, ვეშაპის დამარცხება, ამ ბრძოლაში თვითონ ადამიანის დაღუპვა; პატრონისადმი ცხენის ერთგულება, ქედანის (სიკეთის სიმბოლო) ვაჟკაცის თავზე დაღუღუნება, კუპრივით შავი კაცი (ავის სიმბოლო), კაცთა თავებს რომ დაათრევს, ლელას მოკლული ძმის სისხლიან მკლავებს რომ წინ დაუწყობს, „მზისა ფერი დიაცი“ (სიკეთის სიმბოლო), რომელიც მტერს გამოავლენს და სხვ. ამ მითური რეალების სიზმარში მოხდენილი ჩაქსოვა სიზმრის სიმპტომატურობას ამახვილებს, პოემის შინაარსის ადგილობრივ კოლორიტსაც სათანადოდ აძლიერებს, რითაც პოემის მთლიან მხატვრულობასაც, ექვს გარეშეა, ხელს უწყობს.

კვირიასა და ლელას სიზმრების გამოყენებით ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონის“ შინაარსიც — ფაბულა და სიუჟეტი — მრავალი წვრილმანისაგან განტვირთა და მას უფრო მეტი მხატვრული ღირებულება შესძინა.

\* \* \*

შევჩერდეთ კიდევ ამავე სახის სიზმარზე, მხედველობაში გვაქვს გიგლიას დის — თამარის სიზმარი, პოემაში „გიგლია“.

ფშავლებს ლეკებმა ზიანი მიაყენეს: სოფელი ახადი აიკლეს და ტყვეები წაასხეს. ლეკების წინააღმდეგ ფშავლებიც ამხედრდნენ. ვაჟაკი გიგლიაც საბრძოლველად მხნედ და ხალისიანად ემზადება. დედა, მეზობელი ქალიც გიგლიას ამხნეებენ და გზას ულოცავენ.

თამარი კარგად იცნობს თავის ძმას, იცის, რომ გიგლია ვაჟაკია და როგორც ასეთი, ის მტერს პირველი შეერკინება.

ასეთი განცდების საფუძველზე თამარს შეეკმნება სათანადო განწყობა მომავალი ბრძოლის ავი სურათისა. ამ ნიადაგზე ამოქმედებული თამარის განწყობა შესაფერისად წარმართავს მის ფანტაზიას სიზმარში. თამარი თავის სიზმარს დედას ასე გადასცემს:

„შე ისი ვნახე, დედო,  
სხივნი გამქრალიყვენ მზისანი;  
დალენილები ეყარნენ  
აბჯარნი ჩემის ძმისანი.  
ჩვენ სახ-კარ ჩამოშლილიყო  
იდგა ოხერი, ტიალი,

თავს დაპბრუნავდნენ ყორნები, —  
ჩხაოდენ, ედგათ გრიალი. —  
ვტროდი, ვაჰმეს ვიძახდი,  
თმანიც სულ ჩამოდლიოდა;  
ჩვენის გივლიას ლურჯაი  
კალაზე შამოპხვიოდა“<sup>1</sup>.

ეს სიზმარი, რა თქმა უნდა, ბუნებრივად იშლება აღნიშნული ობიექტური გარემოებით თამარში შექმნილი განწყობის საფუძველზე.

სიზმარი თითქოს პოემის კომპოზიციაში პრემამულაა; ის ორგანულადაა დაკავშირებული ნაწარმოების სიტუაციებისა და პასაჟების განვითარებასთან.

გივლიას დის სიზმარში გამეტებული, შეუპოვარი ბრძოლა, ტრაგიკული შედეგებით რომაა მოცემული, მშვენივრად ეხამება ფშავლებსა და ლეკებს შორის გააფთრებულ შეტაკებას და პოემის მიღება-გაზარებისათვის მკითხველს ნიადაგს უმზადებს.

ამასთან მეტად შეკუმშულ ხაზებში თამარის სიზმარში მაღალი მხატვრული ზომიერებით ჩაქსოვილია ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მასალაც (ვაჟკაცთა შერკინება, გლოვა ბრძოლაში დაღუპული გმირისა და ა. შ.).

სიზმრის გამოყენების აღნიშნული ხერხის მეოხებით ვაჟა-ფშაველამ მაქსიმალურად დაწურა შინაარსი და დიდად გაზარდა ნაწარმოების მხატვრული ღირსება.

ასეთივე ხასიათისაა ვაჟა-ფშაველას მიერ სიზმრის გამოყენება სხვა ნაწარმოებებში („მონადირე“; „საშობაო სიზმარი“, „ზაფხულის სიზმარი“ და სხვ.).

ამრიგად, როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც შეიძლება ადვილად დაეინახოთ, სიზმარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში არა მარტო სიზმრის განწყობის თეორიის მართებულებას, სიზმრის პიროვნებისეულ ბუნებას ადასტურებს, არამედ სიზმარი გამოყენებულია,

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. III, გვ. 18.

როგორც მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი, თავისებური, მხატვრული, სტილისტიკური ნიშანი.

სიზმარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მრავალ ნაწარმოებში კომპოზიციის ქმედითი აომპონენტია, რომელიც ხელს უწყობს ნაწარმოების ფაბულის დახვეწას და სიუჟეტის დინამიურ განვითარება-გაშლას.

ამასთან სიზმარში ვაჟა-ფშაველა ხშირად დიდი მხატვრული ზომიერებით აქსოვს ფოლკლორულ, მითურ და ეთნოგრაფიულ მასალას, რაც ნაწარმოების შინაარსს ადგილობრივ კოლორიტს უნარჩუნებს და ნაწარმოების მხატვრულობასაც აძლიერებს.

აი, ამაშია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიზმრის *raison d'être*, ამაშია მისი მხატვრული ძალა და მნიშვნელობა.



## ბესარიონ ბელინსკი როგორც პუბლიცისტი ; და მისი კვალი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში<sup>1</sup>

გენიალური რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი ხშირად იტყოდა: „არა, მე კრიტიკოსი არა ვარ, მე პუბლიცისტი ვარო“. ეს თქმა დიდი კრიტიკოსისა ბევრს უცნაურად თუ პარადოქსად მიაჩნდა, მაგრამ ბელინსკის მოღვაწეობისა და შემოქმედების ახლო გაცნობა ყველას ადვილად არწმუნებს, რომ ამ თქმაში დიდი სიმართლეა. ბეს. ბელინსკი ისეთ გენიოს ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა მრავალწახნაგოვანი ბუნება მოთხოვნილებებისადა მიხედვით ხან ერთი მხრით მელავნდებოდა და ხან მეორეთი. ბელინსკის უხვად დაჯილდოებული ბუნება მრავალნაირად გამოკრთოდა და თავისი ეპოქის უღრობის მძიმე წყვედიადს მრავალმხრივად ანათებდა. ბელინსკი ერთი უდიდესი წარმომადგენელია და გამომხატველი მეტად დაჭიმული ცხოვრებისა განახლების გზაზე შემდგარი „ახალი“ თუ „ახალგაზრდა“ რუსეთისა, ასეთი მიმზიდველი გაწირვის გზით რომ ირაზმებოდა, განსაკუთრებით დეკაბრისტების შეთქმულება-აჯანყების დროიდან.

რუსეთი, რა თქმა უნდა, „ახალგაზრდა“ რუსეთი, თავისი დამოუკიდებელი განვითარების ისტორიულ გზას ეძებს. 30 — 40-იანი წლების რუსეთის ცხოვრებაში, ერთი მხრით, ნიკოლოზ I ბნელი რეაქცია თანდათან გააფთრებული მძვინვარებდა და ყოველივე თავისუფალ აზრს დასაბამშივე ანადგურებდა, მეორე მხრით, განმათავისუფლებელი მოძრაობაც, როგორც პირველის შეურიგებელი წინააღმდეგობა, საგრძნობლად ვითარდებოდა. რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია კა-

<sup>1</sup> წინამდებარე შრომა იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 47, 1952.

ცობრობის ისტორიაში თავისუფალი აზრის ბრძოლას ადამიანის განთავისუფლებასათვის.

და აი, რუსეთის ამ განმათავისუფლებელი მოძრაობის გრეხილში ბელისკის წარმტაცი, გასხივოსნებული სახე სიდიადითა და მიმზიდველობით გამოიყურება.

რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი მტკივნეულად განიცდიდა იმ დროის რუსეთის მდგომარეობის ჩამორჩენილობას, დრომოკმულობას. მის შეუფერებლობას ხალხის ინტერესებთან; მის წინაშე მთელი სიმწვავეით ისმება საკითხი: რა გზით უნდა წავიდეს რუსეთის განვითარება. ამ საკითხთანაა დაკავშირებული რუსეთის ყოველი მოწინავე მოაზროვნის მოღვაწეობა და შემოქმედება ყოველ დარგში.

ცხადია, ეს საკითხი სიმძაფრით უღინთავდა საზოგადოებრივი ტყვილით გულდასერილ დიდებულ კრიტიკოსს. ამით აიხსნება, რომ მის ფილოსოფიურ ძიებასაც, მის კრიტიკულ შემოქმედებასაც და ეურნალებში მოღვაწეობასაც სარჩულად, გამომწვევ მიზეზად საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხებისათვის პასუხის მონახვა და გაცემა ედვა. ბელისკის მრავალმხრივი მოღვაწეობა საზოგადოებრივი იმპულსით იყო გამოწვეული, საზოგადოებრივი თვალთახედვით ამოკრეფილი და საზოგადოებრივი გრძნობით გამთბარი. ამიტომაც, რომ მის მრავალფეროვან შემოქმედებას მძლავრი პუბლიცისტური დალი აზის, ამას თვითონ ბელისკი კარგადა გრძნობდა და არამც თუ არ გაუბროდა, პირიქით, ამას თავის მოწოდებად და მოვალეობადაც სთვლიდა.

ამით აიხსნება, რომ ბელისკი ყველაფრით: მხატვრული ლიტერატურით, თეატრით, ფილოსოფიური თეორიებით და სხვით, რის შესახებაც კი უხდება მას საუბარი თუ წერა, სარგებლობს, რომ პასუხი გასცეს საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოყენებულ მწვავე საჭირბოროტო საკითხებს. თავისი შემოქმედების ამგვარ მიმართულებას, დიხაც, ჭეშმარიტად პუბლიცისტურს, ბელისკი დაუზოგველი, მისთვის დამახასიათებელი, უანგარო გატაცებით ეძლეოდა.

ბელისკისათვის ძირითადი იყო ჭეშმარიტების პოვნა, მისი გაგება და ფართო მკითხველთა მასისათვის მისი გადაცემა: ჭეშმარიტება კი, მისი გაგებით, „უმადლესი სინამდვილეა“. მაშასადამე, გამოსავალი წერტილი ბელისკისათვის იყო სინამდვილის არსის სწორი გაგება და შეფასება, და მკითხველთა ფართო წრეების დარაზმვაც ამ მიმართულებით, მათში, სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ფართოდ შთანერგვა, რაც ასე საჭირო, თუმცა ძნელი იყო ნიკოლოზ I საშინელი რეაქციის ხანაში.

ამ მიზნით ბელინსკის საჭიროდ მიაჩნია იბეჭდებოდა „მიმოხილვები“, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების მდგომარეობის გამომჟღავნებას ექნება ადგილი. აი, რასა სწერს ბელინსკი 1840 წ. უურნალში „Отечественные записки“ „მიმოხილვების“ საჭიროებისა და ხასიათის შესახებ: „ჩვენ რომ მიმოხილვის ღირსი არაფერი გვქონდეს, მაშინ უფრო უნდა მიმოვიხილოთ, იმიტომ, რომ ჩვენ მაშინაც კი მოგებაში ვიქნებით, როდესაც საბოლოოდ გავიგებთ, რომ ჩვენ არაფერი გვაქვს... ჩვენ უკვე გვჭირია არა ოცნება, არამედ სინამდვილე... ერთი სიტყვიც, ჩვენთვის დადგა შეგნების ხანა... ამიტომ ჩვენი დროის „მიმოხილვა“ უნდა იყოს, ასე ვთქვათ, უფრო საფუძვლიანი, უფრო საიმედო: ვინაიდან მათი მიზანია... არსებითი საკითხის გამოამკარავება, ფაქტის შეცნობა“<sup>1</sup>.



ბელინსკი კარგადა ხედავს, რომ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება გარდატეხის ღერძზე დგას. გრძნობს რაოდენ რთულია ეს გარდაავალი ეპოქა, ასეთ მომენტში ყოველი შეგნებული მოქალაქე როგორი სიფრთხილით, წინდახედულობით უნდა მოიქცეს. ბელინსკის კარგად ესმის, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ზრდა ახალ, უფრო სერიოზულ ფაზაში შედის, მკითხველს ეხმარება ამ ეპოქის წინააღმდეგობებში სათანადოდ გაერკვეს. „ცხოვრების გამოცდილებით გამდიდრებულს, — არწმუნებს მკითხველს ბელინსკი, — მისი წინააღმდეგობის განმცდელ კაცს... არ უნდა ეზიზღებოდეს ძველი იმიტომ მხოლოდ, რომ ის ძველია, და არ უნდა იზიზღებოდეს ახლით, იმიტომ რომ ის ახალია“<sup>2</sup>.

ბელინსკი ჰკიცხავს მათ, ვინც წარსულისაკენ იყურება და ახალის გამოჩივრებით მხოლოდ წარსულში ჰხედავს კარგსა და საიმედოს, ხოლო ახალში არაფერი არ უნდა დაინახოს. ის მიუთითებს, რომ რუსულ ლიტერატურაში არსებული ასეთი მიმართულება მიუღებელია და მავნებელიც. მისი ღრმა გაგებით, ლიტერატურას როგორც მხატვრულს, ისე პუბლიცისტურს საზოგადოებრივი ცხოვრების საღი და ქეშმარიტი საფუძვლების გაგება-გაშუქება უნდა ახასიათებდეს; ის გამუდმებით ცხოვრებას უნდა ეხმარებოდეს.

<sup>1</sup> В. Белинский, Русская литература 1840 г.: Сочинения, т. V, стр. 462—463. изд. 1901.

<sup>2</sup> იქვე, стр. 463. изд. 1901.

აი რას წერს ის: „ჩვენი დროის კრიტიკაში მეტად, ვიდრე რომელიმე სხვაში, გამოიხატა დროის სულიერი განწყობილება... ახლა აზროვნების ელემენტი შეუერთდა მხატვრულ ნაწარმოებს... ახლა საკითხი იმის შესახებ, თუ რას იტყვიან შესანიშნავ ნაწარმოებზე, ნაკლები მნიშვნელობისა არაა, ვიდრე თვით შესანიშნავი ნაწარმოები“<sup>1</sup>.

ბელინსკის, როდესაც ის ლაპარაკობს ლიტერატურაზე, კერძოდ მხატვრულ ლიტერატურაზე, მის შინაარსზე, მის რაობაზე, გამუდმებით მხედველობაში აქვს რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი მიმართულება, მისი რაობა. ცნობილია, რომ იმ დროს საზოგადოებრივი იდეები გამოითქმოდა თუ გამოიხატებოდა ლიტერატურულ სახეებით. მხოლოდ ლიტერატურის საშუალებით შეეძლო იმ მძიმე რეაქციის ხანაში რუს მოწინავე მოაზროვნეს, ხშირად ფარულად, მიეწოდებინა თავისი ცოცხალი აზრები; შეეძლო ასე თუ ისე თავისუფლად გამოლაპარაკებოდა მკითხველთა ფართო მასას. ამისთანა გარემოებაში, ბელინსკისავე თქმით, ლიტერატორი, კრიტიკოსი მ ე ბ რ ძ ო ლ ა დ ი ქ ი ნ ე ბ ო დ ა. ამით აიხსნება, რომ ბელინსკის შესახებ მისი მახლობელი მეგობარი ვ ი ა ზ ე მ ს კ ი სამართლიანად სწერდა შევირი ე ვ ს: „ის (ე. ი. ბელინსკი — მ. ზ.) ლიტერატურული მემბოხეა, რომელიც, მოედანზე ამბოხებისათვის ადგილის უქონლობის გამო, ამბოხებული იყო ჟურნალებში“. სწორედ ჟურნალში მოღვაწეობა ბელინსკის შესაძლებლობას აძლევდა თავისი მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა და, როგორც უშიშარ რაინდს, დაუღალავადა და უანგაროდ ემსახურა რუსი ხალხის ინტერესებისათვის. მისი განვითარების ბრწყინვალე იდეებისათვის. ბელინსკის ნიჭი „ძილის დროსა არ იშლიდა ქუხილს და სიბნელის დროს ელვას“; ის რუს საზოგადოებრივ ცხოვრებას უშიშრად, მედგრად ედგა ფიზიკურ გუშაგად და მოურიდებლად და დაუზოგველად ეხმარებოდა რუსეთის ცხოვრების ყოველივე საჭირბოროტო საკითხს.

ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს ა ს ე თ ი პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი განწყობილებით აიხსნება მისი შეხედულება ლიტერატურის მნიშვნელობაზე: „საზოგადოებისათვის, — წერს ის, — ლიტერატურაზე მეცადინეობა ცხოვრების ზრუნვისაგან დასვენება არაა, არც მსუქანი სადილის შემდეგ ელასტიკურ სავარძელში ტკბილი თვლენა... არა, ლიტერატურაზე მეცადინეობა ჩვენთვის *res publica*, საზოგადო საქმეა, დიდი საჭირო; წყაროა მაღალი, მორალური დატკობისა, ცოცხალი აღტაცებისა“<sup>2</sup>. დიდებული კრიტიკოსის გაგებით, თანამედროვე ლიტერა-

<sup>1</sup> В. Белинский, Русская литература 1840 г.: Сочинения, т. V, стр. 463, изд. 1901.

<sup>2</sup> В. Белинский, Речь о критике, Сочинения, стр.: 235, изд. 1947.

ტურის განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს ცხოვრებასთან, სინამდვილესთან მჭიდროდ მისვლაში, მის ცოცხლად ასახვაში. მას კარგად ესმის, რომ ყოველი მოვლენა და, კერძოდ ლიტერატურა-ხელოვნება, ისტორიული განვითარების პროცესს ემორჩილება, ამიტომ თანამედროვე ლიტერატურა მხატვრულ სახეებში იძლევა თანადროულობას, „მხოლოდ ფრინველი მღერის იმისათვის, რომ მას ემღერება გარეშე თავისი მოდგმის მწუხარებისა, სიხარულისა... რა სამწუხაროა აზრი, რომ ადამიანთა შორისაც... არიან ფრინველები!“<sup>1</sup> —მძიმე ტკივილით შთააგონებს ბელინსკი მკითხველს. ამიტომ ის ებრძვის ხელოვნების ისეთს გაგებას, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას არ გამოჰხატავს და მის განვითარებას არ ემსახურება. „ჩვენი საუკუნე, — წერს ბელინსკი, — გადაჭრით უარყოფს ხელოვნებას ხელოვნებისათვის, სილამაზეს სილამაზისათვის“<sup>2</sup>.

\* \* \*

ბელინსკის კარგად ესმის, რომ რუსეთში ობიექტური პირობების გამო ლიტერატურას თავისებური ხასიათი და მიმართულება აქვს; რომ ლიტერატურას, გარდა წმინდა ლიტერატურისა, კიდევ ახლავს სხვა დანიშნულება — საზოგადოებრივი, რომლითაც განსაკუთრებით XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა განსხვავდება სხვა ხალხთა ლიტერატურისაგან: „მისი (ე. ი. ლიტერატურის — მ. ზ.) ისტორია, — წერს ბელინსკი, — როგორც თვით რუსეთის ისტორია, არა ჰკავს არც ერთი სხვა ლიტერატურის ისტორიას. ამიტომ ის წარმოადგენს ერთადერთს, განსაკუთრებულს სანახაობას, რომელიც უმალ ხდება უცნაური, გაუგებარი, თითქმის უაზრო, თუ იმას ისე გავსინჯავთ, როგორც ევროპის რომელიმე სხვა ლიტერატურას“<sup>3</sup>.

ბელინსკი თანამედროვე საზოგადოებაში ვერა ხედავდა სწორედ ასეთს გაგებას, ასეთს დამოკიდებულებას კრიტიკა-ჟურნალისტიკასა და ლიტერატურისადმი. ეს გარემოება მას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება-ზრდაში დიდ დაბრკოლებად მიაჩნდა. ის არაერთხელ აღნიშნავდა ამ ნაკლს, რათა რუსი საზოგადოება გაერკვია, გამოეფხიზლებინა და მისთვის სწორი გზა ეჩვენებინა. ბელინსკი მოურიდებლად უკიყინებდა ფართო მკითხველთ, რომ კრიტიკის, ჟურნალისტიკის მნიშვნელობა და დანიშნულება მას სისწორით არ ესმის; რომ მას

<sup>1</sup> В. Белинский, Речь о критике, Сочинений, стр. 240, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 239.

<sup>3</sup> В. Белинский. Взгляд на русскую литературу 1846 г.: Соч., стр. 542. изд. 1947.

(რუს მკითხველ საზოგადოებას) მოსწონს ისეთი კრიტიკა, რომელიც „ბევრს ლაპარაკობს და არაფერს ამბობს“, „ლაპარაკობს ისე სუბუქად, რომ არც ერთს აზრს არ წააწყდებით, არაფერი არ დაგაფიქრებთ“. მაგრამ, თუ „ეურნალში გამოჩნდება წერილი — ნაყოფი ღრმა რწმენისა, ცოცხალი გრძნობისა, გამონატულება იმ შინაგანი სულიერი ინტერესებისა, რომელნიც ცხადლივ იკავებენ ადამიანის მთელ არსებას, აშფოთებენ მის ძილს, გარეშე ცხოვრების სარგებლობას, თავის პირად კეთილმდგომარეობაზე ზრუნვას აცილებენ, აიძულებენ მას მთელი თავისი სიცოცხლე გაწიროს... თუ წერილში — ახალი შეხედულებებია, იდეები, რომლებიც წინათ არ გამოთქმულა — და რა? — მას მეტად ცივად უყურებენ, მის წინააღმდეგ ყვირიან“<sup>1</sup>.

ბელინსკი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ასეთი ზერელე, არამართებული შეხედულება ახასიათებს განათლებულ მოწინავე ნაწილსაც. ეს ნაწილიც, ბელინსკის შენიშვნით, სათანადოდ არ აფასებს ეურნალის დიდ საზოგადოებრივ ღირებულებას და მნიშვნელობას, არ უწყობს ხელს ეურნალი დამოუკიდებელი იადაგზე იდგეს, პირდაპირ, დაუფარავად აღნიშნავდეს, რაც მას სწორად მიაჩნია და არ იყოს დამოკიდებული სხვადასხვა ძალაუფლებიან პიროვნებაზე. ბელინსკი მწუხარებით შენიშნავს, რომ ხშირად ეს განათლებული პირებიც ისეთი უცნაური საყვედურით ლაპარაკობენ ლიტერატურასა და კრიტიკა-ეურნალისტიკაზე, რომ კაცი აშკარად რწმუნდება ყოველი საქმიანობის სიცალიერესა და არარაობაში. და გულის სიღრმიდან ამოსკდება: „არაფრისათვის არ ღირს ცდა, დროისა და ძალების ხარჯვა“<sup>2</sup>.

აღნიშნავს რა რუსი საზოგადოების ამ მეტად სავალალო მდგომარეობას, ბელინსკი, მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და სიმკვავით, რუს ფართო საზოგადოებას ასე მიმართავს: „ყოველ შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ პატივი სცეთ დამოუკიდებელი შეხედულებისა და თავისთავადი აზრის ეურნალს, თუნდაც თქვენი შეხედულებისა და აზრის მოწინააღმდეგეს, და განასხვავოთ ის იმ ეურნალებისაგან, რომლებშიც არც შეხედულებაა და არც აზრი“<sup>3</sup>.

\* \* \*

ბელინსკი აღშფოთებით აღნიშნავს, რომ რუს განათლებულ მკი-

<sup>1</sup> В. Белинский, Русская литература на 1840 г.: Соч., т. V, стр. 489, изд. 1901.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 491.

<sup>3</sup> იქვე.

თხველ საზოგადოებასაც კი არა აქვს თავისი და თავისიანების ძალისა და ღირსების საკმარისი შეგნება. რუსი საზოგადოება საკმარისი სიღირსებით ვერ იხედება რუსი საზოგადოებრივი ცხოვრების წიალში, პირიქით, ხშირად ვერაპხედავს მის დადებით მოვლენებს და ბრმად ქედს იხრის უცხოთა ცხოვრებისა და კულტურის წინაშე. ამ მანენ მოვლენის დასახსიათებლად ბელინსკი აღნიშნავს ამ განათლებული საზოგადოების უცნაურ-უსაფუძვლო საყვედურს ეურნალ „Отечественные записки“-სადმი. „იმისათვის, — თავშეკავებული, მაგრამ გესლიანი კილოთი წერს ბელინსკი, — „Отечественные записки“ რომ პუშკინს მსოფლიო პოეტს უწოდებს, გოგოლის თხზულებებში გენიალურ, შემოქმედებით მოღვაწეობას ხედავს, ხოლო მის „Ревизор“-ში შესანიშნავ მხატვრულ ქმნილებას... რით შეურაცყოფს ამ, სხვათა შორის, ჭკვიან და კეთილშობილ ხალხს, ეს ჩვენი ქება? — მათი, — ამბობენ ისინი, — გადაჭარბებითო...“<sup>1</sup>.

ასეთი იყო და უფასებლობა რუსი, ეგრეთ წოდებული, „განათლებული“ საზოგადოების მიერ თავისი ეროვნული შემოქმედებითი ძალისა, უნარისა, თავისი გენიალური მწერლებისა კი. ისინი არ უკვირდებოდნენ თავიანთი ცხოვრების საამაყო მოვლენებს, მათ არც კი სჯეროდათ, რომ მათ ცხოვრებასაც შეუძლია დასავლეთ ხალხთა ცხოვრების კულტურული მოვლენების თანადირებულეზიანი რამ, თუნდაც გენიალური მწერლების სახით, მისცეს კაცობრიობას, მაშინ, როდესაც უცხოეთის (დასავლეთ ევროპის ხალხთა) მეორეხარისხოვან მწერალს, ადვილი შესაძლებელია, ისინი ხშირად აღტაცებაშიც კი მოჰყავდა. ბელინსკი ამ მოვლენას აფასებს, როგორც მანენს, შემაფერხებელს რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. ის ნიჭიერად და სამართლიანად ჰკიცხავს დასავლეთ ევროპისადმი ქედის მოხრას, ხოლო იგნორირებას, არცოდნას და არდაფასებას თავისას.

ბელინსკი გულისწყრომით, დამაჯერებლად და დაბეჭითებით თვალს უხელს მკითხველს ამ მოვლენაზე და მტკიცედ ეუბნება: „უკვე სამუდამოდ ჩაჰბარდა წარსულს ის დრო, როდესაც უცხოური ყოველი შუათანაც კი რუსის ყოველ ტალანტზე მაღალი გვეჩვენებოდა. რუსმა საზოგადოებამ, იცის რა ღირსეული დაფასება უცხოისი, იცის დაფასება თავისისაც, ერთნაირად ერიდება როგორც ბაჭიობა-

<sup>1</sup> В. Белинский. Русская литература 1840 г., Соч., т. V, стр. 491, изд. 1901.

სა, ისე თავის დადაბლებასაც. ერთსა და იმავე დროს სხვისი უპირატესობის ცნობა თავისზე და მაინც თავისის გულთან ახლო მიტანა არ არის ყალბი პატრიოტიზმი, არ არის განსაზღვრული მიკერძოება, აქ მხოლოდ კეთილშობილი და კანონიერი მისწრაფებაა თავის თავის შეცნობისა<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულება იმ დროის რუსი „განათლებული“ საზოგადოების შესახებ ბელინსკისთვის სადღეისო, მეტად საჭირობოროტო საკითხად ყოფილა გადაქცეული. ბელინსკი კარგად გრძნობს, რომ ასეთი შეხედულება ადუნებს რუსი საზოგადოების შემოქმედებით ძალებს, აფერხებს მისი შემოქმედებითი ნიჭის გამომჟღავნებას, გაშლას, განვითარებას. რუს ინტელიგენციას აცილებს რუსეთის სინამდვილეს, რუსი ხალხის ცხოვრებას; ბევრს მათგანს უნიადაგოდ, „ზედმეტ აღამაზნებად“ ხდის.

ამიტომ ამ შეხედულებას, საკუთარი ძალისა, ღირებულების პატრულისკემას, ბელინსკი არაერთხელ უბრუნდება, რომ თავისი ვადამდები განწყობილება ფართოდ გაიტანოს მკითხველთა ფართო მასებში. აი რა საგულისხმოდ და მკაფიოდ, თავის ეროვნული ღირებულებისა და ძალების შეგნებით წერს ბელინსკი გოგოლის „მკვდარი სულების“ განხილვისას: „იყო დრო, როდესაც რუსეთში არავის არ სურდა ეწამა, რომ რუსული ტვინი, რუსული ენა რაიმესათვის სასარგებლო იქნებოდა. ყოველი უცხოური აბდაუბდა წინინდა რუსეთში ადვილად გადიოდა, როგორც გენიალური, ხოლო ჩვენი, რუსული, თუნდაც მაღალი ნიჭით აღბეჭდილი, ზიზღს იწვევდა, მხოლოდ იმისათვის, რომ ის რუსულია. ეს დრო, მაღლობა ღმერთს, წავიდა, ახლა დადგა სხვა, როდესაც ჩვენთვის აღარაფერია არც ჰომეროსები, არც შექსპირები, არც ბაირონები, იმისათვის, რომ ჩვენ უკვე ჩვენები გვყავს“...<sup>2</sup>.

\* \* \*

ბელინსკი ისეთ შემოქმედ მოქალაქეთა ბუდიდანაა, რომელიც თვალთა უყურებს გარემო სინამდვილეს, კარგად ხედავს გარემოცვას, მაგრამ ასევე კარგად იხედება შორს მომავლისაკენ, მომავლის პერსპექტივებსაც ცხადლივ სჭვრეტს. ამიტომ მას არ ეშინია და აანგარიოს არსებულის, რათა უკეთესი აავგოს, მომავალს მომზადებულად დახედეს. თუ ის ერთი ხელით

<sup>1</sup> В. Белинский, Взгляд на русскую литературу 1846 г., Сочинения, стр. 547. изд. 1947.

<sup>2</sup> В. Белинский. Похождение Чичикова или Мертвые души. Соч., стр. 218. изд. 1947 г.



ანგრევს, მეორეთი უფრო მტკიცედ ყრის მომავლის მყარ საფუძველს. აი ასეთი განწყობილებით აიხსნება, რომ წინააღმდეგ რუსეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განწყობილებისა, რომელიც მონურ წარსულს აიდელალებდა, უცხოს წინაშე ქედს იხრიდა, აწმყოთი — მონური აწყმითი სრული კმაყოფილი იყო, ბელინსკი მოურიდებლივ გამოსთქვამს სწორ და გაბედულ დებულებას: „ჩვენი ლიტერატურის წარსული ბრწყინვალე არ არის, აწმყო ბუნდოვანია, მაგრამ მომავალზე სრულიადაც არ უნდა ვიყოთ უიმედო... ვიმეორებთ: ჩვენ ჭერ არა გვაქვს ლიტერატურა, გამომხატველი ხალხის სულისა და ცხოვრებისა, მაგრამ ის უკვე იწყებს განვითარებას, — და ეს, ასეთი მოკლე დროის განმავლობაში, — წარმატებაა და დიდი წარმატებაც, რომელიც საწინდარია დიდი იმედებისა მომავალში“<sup>1</sup>.

აი ეს მომავლის იმედია, რომ ამოძრავებს დიდ მოქალაქეს — ლიტერატორ-კრიტიკოს-პუბლიცისტს. ამისკენაა მიმართული მისი მრავალფეროვანი გენიალური ნიჭისა და გონების ძიება.

ნაწარმოებში „სიტყვა კრიტიკის შესახებ“, ბელინსკი დიდი გაგებით, ახასიათებს რა XIX საუკუნის მძლავრი ძიების ძალას, მის მივე პოულობს თავისი პირადი ბორგვისა და ძიების გასაღებსაც და თანხმობასაც. „ჩვენი საუკუნე, — ამბობს ის, — მთლიანი კითხვაა, მთლიანი მისწრაფებაა, მთლიანი ძიებაა და სევდა ჭეშმარიტებისათვის... მას არ ეშინია, რომ მას ჭეშმარიტება შეაცდენს, მაგრამ მას ეშინია სიყალბის, რომელიც ადამიანთა განსაზღვრულობას ხშირად ჭეშმარიტებად იღებს“<sup>2</sup>.

აი სწორედ ჭეშმარიტების ძიებას უანგაროდ შეალოა დიდმა მოქალაქე — კრიტიკოს-პუბლიცისტმა თავისი თემცა ხანმოკლე, მაგრამ შარავანდდით მოცული შინაარსიანი და ლამაზი სიცოცხლე. ბელინსკი მძაფრად დაჭიმული ყურადღებით თვალყურს ადევნებდა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ფხიზლად შენიშნავდა მის ნაკლსაც და ღირსებასაც და თავისი მახვილი კალმით თუ სიტყვით მოურიდებლივ და მტკიცედ მკითხველს უთითებდა.

ბელინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანა გარდამავალი ხანაა. სავსე წინააღმდეგობებითა, ძიებითა. ასეთს პერიოდებში ადამიანთა ცხოვრება-ქცევაში მრავალ ახომალისა აქვს ადგილი. ეოთი ებღაუ-

<sup>1</sup> В. Белинский, Русская литература 1840 г., Соч., т. V, стр. 301—502, изд. 1901.

<sup>2</sup> В. Белинский, Речь о критике, Соч., стр. 234, изд. 1947 г.

ჭება ერთხელ მიღებულ პრინციპს, ვერ ამჩნევს მის დრომოკმულო-  
ნას, უსაფუძვლობას; მეორე — რყევაშია, არ იცის, რას ან ვის მიე-  
კედლოს, რა მიიჩნის ცხოვრებაში დასაყრდენად; მესამე, სათანადო  
სერიოზული შეფასების გარეშე, ახალს ეტანება, არა იმიტომ, რომ  
მან ეს ახალი იწამა, გაიგო მისი ცხოვრების წინმსვლელობისათვის  
აუცილებლობა, არამედ იმისათვის, რომ პირადი მდგომარეობა გაი-  
უჭკობესოს. ბელინსკიმ კარგად იცის, რომ ცხოვრებას ადამიანები —  
კადრები ჰქმნიან. მან კარგად იცის, რომ ადამიანის მიერ ცხოვრება-  
ში აღებული სწორი გზა ჰკვალავს საზოგადოების ბედნიერი მომ-  
ავლის შარავზას. იმიტომ ადამიანის, შეგნებული მოქალაქის ცხოვრე-  
ნა-ქცევას აუცილებლივ სარჩულად უნდა ედგას საზოგადოებრივი  
ინჰანდასახულება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნება.

ბელინსკიც, ამგვარი გაგებით აღჭურვილი, თავის წერილებში გზა-  
დაგზა აღნიშნავს რა საზოგადოების მდგომარეობას, მის საჭირობო-  
ტო საკითხებს, გამუდმებით სარგებლობს შემთხვევით, რათა მკი-  
თხველს ასწავლოს, თვალი აუხილოს, სინამდვილე დაანახვოს, რად-  
განაც სინამდვილე უმაღლესი ჰეშმარიტებაა, ხოლო ჰეშმარიტება მი-  
სთვის ყველაზე მაღლა დგას. „ერთი, — წერს ბელინსკი, — აიძუ-  
ლებენ თავიანთ თავს ძალით იწამონ ის, რაც ძველად თავისუფლად  
სწამდათ, ხოლო რის რწმენა ახლა აღარ შეიძლება. ისინი ფიქრობენ,  
რომ თავს იმდაბლებენ, თუ ერთს რწმენაზე უარს იტყვიან მეორის  
სასარგებლოდ; ისინი ივიწყებენ, რომ ეს მეორე ჰეშმარიტებაა, ხო-  
ლო ჰეშმარიტება კაცზე მაღლა დგას. სულ სხვაა, როცა ერთი  
რწმენიდან მეორეზე გადადის კაცი გარე ანგარიშების ზეგავლენით,  
ეგოისტური სულისკვეთებით: ეს თავის დამდაბლებაა და უნამუსო-  
ბა“<sup>1</sup>.

ამ განმარტებაში, სხვათა შორის, ბელინსკი გულწრფელად იძლე-  
ვა თავის შეხედულებათა ცვლის ახსნასაც, როდესაც ის ჰეგელის  
ფილოსოფიის ზეგავლენით აღიარებდა, რომ „ყოველივე არსებული  
გონიერია და ყოველი გონიერი არსებულია“. ამ რწმენის ზეგავლენით  
ბელინსკიმ რუსეთის წყობილების გონიერებაც აღიარა; დროებით  
შეუთრიდა მას, მაგრამ, როცა კი დარწმუნდა ამ რწმენის მცდარო-  
ბაში, მან მოურიდებლივ, მისთვის დამახასიათებელი მძვინვარებით,  
დაიწყო თავის მცდარ შეხედულებათა უარყოფა. თავისი ასეთი მდგო-  
მარეობის შესახებ აი რა საინტერესო ცნობას გვაძლევს ბელინსკი  
ვ. ბოტკინისადმი მიწერილ წერილში: „შენ ხომ იცი ჩემი ბუ-  
ნება: ის ყოველთვის უკიდურესობაშია... მე ძნელად და ტკივილებით

<sup>1</sup> В. Белинский, Речь о критике, Соч., стр. 238, изд. 1947.

ვწორდები ძველს იდეას, უარყოფ მას, რამდენადაც კი შესაძლებელია, ხოლო ახალში პროზელიტის ფანატიზმით გადავივიარ<sup>1</sup>.

ბელინსკი კარგად ხედავდა, რომ რუსი ხალხი, მისი გლეხკაცობა, მშრომელი მასა თანადროულ კულტურას ჩამორჩენილია. მომავლის გზის გაკაფვა უნდა ხდებოდეს ხალხის ამ მასების საერთო შემოქმედებითს მუშაობაში ჩაბმით. საჭიროა ამ მასის გამოვლიძება, გამოფხიზლება. ამ მიზნის მისაღწევად იმ უდროობის ხანაში, ნიკოლოზ I მძიმე რეაქციის ხანაში, ბელინსკის საუკეთესო და მასთან შესაძლებელ საშუალებად მიაჩნდა განათლება. ბელინსკის შეხედულებით, რუსი საზოგადოების ფართო მასების განათლება მისი მძლავრი წინმსვლელობის საღი და მყარი საწინდარია. ამიტომ იყო, რომ ნიკოლოზ I-მა ყველა ტიპის სასწავლებლები საშინლად შეავიწროვა. ყველგან ყაზარმული წესი დაამყარა, უმაღლესი სასწავლებლებიც კი პოლიციას დაუქვემდებარა. მიუხედავად ამისა, ხალხის გულის განსამაგრებლად ბელინსკი ერთ-ერთ თავის წერილში აღნიშნავს, რომ განათლება რუსეთში უკვე ფეხმოკიდებულია; თუმცა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გავრცელებული, მაგრამ მისი ფესვები ისე ღრმადაა, რომ ვერავითარი გრიგალი, ვერავითარი ძალა მას ვერ ამოკვლევს: „როდესაც ვლაპარაკობთ, — წერს ბელინსკი, — ჩვენი საზოგადოების წარმატებაზე, ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი ლიტერატურის წარმატებებზე, ვინაიდან ჩვენი განათლება ჩვენი ლიტერატურის უშუალო მოქმედებაა საზოგადოების ზნე-ჩვეულებაზე და წარმოდგენაზე. ჩვენმა ლიტერატურამ გამოიმუშავა ჩვენი საზოგადოების ჩვეულებები, უკვე რამდენიმე თაობა აღზარდა... შექმნა საზოგადოებრივი აზრის მაგვარი“<sup>2</sup>.

ლიტერატურაზე და აქედან მწერალზე სწორედ ასეთი წარმოდგენიდან გამომდინარეობს ბელინსკის მიერ მაღალი შეფასება გოგოლის შემოქმედების პირველი პერიოდისა, გოგოლის, როდესაც ის გენიალური გამკიცხავი — მხატვრის როლშია, როდესაც ის ძველი, დახავსებული რუსეთის გენიალური მაჩვენებელი შეიქმნა, როდესაც მან რუსეთის, სახელმწიფოებრივი წუშპე გამგმირავი სინამდვილეთ განასახიერა თავის შემოქმედებაში მთლიანად, განსაკუთრებით „შინელიში“, „შეშლილის წერილებში“, „რევიზორში“, „მკვდარ სულებში“.

ბელინსკი მისთვის ჩვეულებრივ მკვეთრსა და ზუსტს დახასია-

<sup>1</sup> Письмо В. Белинского к В. П. Боткину от 8 сентября 1841 г., Соч., стр. 645, изд. 1947.

<sup>2</sup> В. Белинский, Мысли и заметки о русской литературе, Соч., т. V, стр. 256, изд. 1901.

აუბას იძლევა გოგოლის „მკვდარი სულებისას“. „მისი პოემის ყოველ სიტყვაზე, — წერს ბელინსკი, — მკითხველს შეუძლია თქვას: „აქ რუსული სულია; აქ რუსეთი იგრძნობა! ეს რუსული სული, — განავრძობს ბელინსკი, — იგრძნობა პიუმორშიც, ირონიაშიც, ავტორის გამოთქმებშიც, გაშლილი გრძნობის ძალაშიც, წილსვლათა ლირიზმშიც. მთელი პოემის პათოსში, მოქმედ პირთა ხასიათშიც“<sup>1</sup>.

თავის ცნობილ „წერილში გოგოლთან“ მართლაც „მკვლევარე ბესარიონი“ უფრო მკვეთრად აფასებს გოგოლის პირველი პერიოდის შემოქმედების საზოგადოებრივ ღირებულებასა და გაბედულად ახასიათებს თავისი დროის ბატონყმური რუსეთის უარყოფით პირობებს; გარკვეულად ამბობს, რა სტიკია, რა აწუხებს რუს ხალხს და მის ცხოვრებას და როგორ უნდა დაკმაყოფილდეს ის, რით და როგორ უნდა წარიმართოს შეგნებულ მოქალაქეთა გულისყური და მოქმედება. „წერილი გოგოლთან“ რუსმა მოწინავე საზოგადოებამ მიიღო, როგორც წმინდა ანდერძი — საბრძოლველი საკითხები და მათთან შეურიგებლობა — მომავლადვის სარეცელზე მწოლი, დიდი მოქალაქის, გენიოსი პუბლიცისტი-კრიტიკოსისაგან.

„დიდებულმა მწერალმა, — წერს ბელინსკი გოგოლს მისვე დახასიათებას, — თავისი საოცარი მხატვრული, ღრმად ჰუმანიტი ქმნილებებით ასე მძლავრად შეუწყო ხელი რუსეთის გათვითცნობიერებას. მისცა მას შესაძლებლობა თავის თავი, როგორც სარკეში, დაენახა“<sup>2</sup>; და აღშფოთებულია მკითხველი, როცა ასეთმა მწერალმა, ე. ი. გოგოლმა, გამოსცა თავისი «Выбранные места из переписки с Пушкиным», სადაც ბელინსკის მწარე გაკიცხვით, გოგოლი „ქრისტესა და ეკლესიის სახელით ბარბაროს-მემამულეს ასწავლის მეტი ფული გამოიჩინოს გლეხებს, უძახოს მას დაუბანელი დინგი“<sup>3</sup>. ამ გარემოებამ ბელინსკი სამართლიანად აღაშფოთა. მას ცენზურის გამო არ ნიუცა საშუალება სიმართლედ ახდილად, ბეჭდვის საშუალებით გამოეტანა ფართო მკითხველთა მასაში, თუმცა კი სცადა მან ეს. ამიტომ კერძო წერილში ის მოურიდებლივ ამხელს გოგოლს: „შეუძლებელია გაჩუმება, როდესაც რელიგიის საფარ ქვეშ და მათრახის დაცვით ქადაგობენ სიცრუეს და უზნეობას, როგორც ჰუმანიტებისა და სიკეთეს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> В. Белинский. Похождение Чичикова или Мертвые души, поэма Гоголя. Соч., стр. 213, изд. 1947.

<sup>2</sup> В. Белинский, Письмо к Гоголю, Соч., стр. 616, изд. 1947.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

ამ გულისწყრომას, მიმზიდველი სისპეტაკის გაგებას იძლევა ამავე წერილში ბელინსკისათვის დამახასიათებელი შემდეგი თქმა: „დიახ, თქვენ რომ გამოგეაშკარავებინათ ჩემი სიცოცხლის მკვლელობის ცდა, მაშინაც კი მეტად არ შეგიძლებდით, ვიდრე ამ სტრიქონებისათვის“<sup>1</sup>.

ბელინსკის პუბლიცისტური ნიჭი იშვიათი სიმძაფრითაა გამოვლინებული გოგოლისადმი ამ წერილშიც. ბელინსკი, როგორც რუსეთის ცხოვრების ჭეშმარიტი არსის გენიალური შემგრძნობი და გამომხატველი, გენიალური ჩაწვდომით ხსნის მწერლის, გოგოლის, ასეთს მავნე გარდატეხას მით, რომ გოგოლი დიდი ხანია რუსეთს უცქეროდა და ზედავდა „მშვენიერი შორეულიდან“, თავის თავში ჩაკეტალი, სრულიად უცხო, გათიშული რუსეთის სინამდვილისაგან. აი ამის გამო, ბელინსკის სამართლიანი გაგებით, გოგოლმა ვერ შენიშნა, რომ რუსეთი ხსნას ზედავს „არა მისტიციზმში, არა ასკეტიზმში, არამედ ცივილიზაციის, განათლებისა და ჰუმანურობის წარმატებებში“.

ბელინსკი სარგებლობს გარემოებით, რომ მკაფიოდ გამოსთქვას რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საარსებო საკითხები და მტკიცედ განაგრძობს გოგოლის მცდარი პოზიციის მზილებას. მას, რა თქმა უნდა, გოგოლიც აინტერესებს. მაგრამ გოგოლი აქ იმდენადაა საგნად აღებული, რამდენადაც მას და მის შემოქმედებას ფართო საზოგადოებრივი ხასიათი და მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მას, ერთხელ კიდევ შესაძლებლობა ეძლევა მძაფრად გამოსთქვას საარსებო საჭიროებანი რუსეთის წინმსვლელობისათვის, მასებისათვის ადამიანური ცხოვრების პირობების შექმნისათვის. ბელინსკი მტკიცედ განაგრძობს გოგოლის მზილებას: „მას (ე. ი. რუსეთს — მ. ზ.) — წერს ბელინსკი, — ესაჭიროება არა ქადაგებანი... არა ლოცვები... არამედ ხალხში ადამიანური ღირსების გრძნობის გაღვივება, ამოდენა საუკუნეთა მანძილზე დაკარგულსა ლაფსა და ნებზე, — უფლებები და კანონები არა ეკლესიის სწავლებასთან შეფარდებული, არამედ საღ აზრსა და სამართლიანობასთან, და მათი შეძლებისადგვარად მტკიცე შესრულება“<sup>2</sup>.

ეს მოთხოვნა მარტო ბელინსკისა კი არ იყო, არამედ მთელი სალი „ახალგაზრდა“ რუსეთისა.

• • •

ასეთ მოთხოვნილებას უყენებს ბელინსკი რუსეთის ყოველ საღ მოაზროვნე მოქალაქეს და განსაკუთრებით მის გენიოს მწერალს

<sup>1</sup> В. Белинский, Письмо к Гоголю, Соч., стр. 615, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე.

გოგოლს. ამ მოთხოვნების ბუნებრიობისა და კანონიერების აუცილებლობა ხალხის ცხოვრებისათვის რომ თვალსაჩინო და დამარწმუნებელი გახადოს, ამავე წერილში ბელინსკი იძლევა ბატონყმური, მონარქიული რუსეთის ცოცხალ და მკვეთრ დახასიათებას: „ის (ე. ი. მონარქიული რუსეთი — მ. ზ.) — უხსნის ბელინსკი გოგოლს, — წარმოადგენს საშინელი სანახაობის ქვეყანას, სადაც ადამიანები ვაჭრობენ ადამიანებით და ის გამართლებაც კი არა აქვთ, რითაც გერაგულად სარგებლობს ამერიკელი პლანტატორი, როდესაც ამტკიცებს, რომ ზანგი ადამიანი არ არის... — ქვეყანას, სადაც არ არის არა მარტო არავითარი გარანტიები პიროვნებისა, პატიოსნებისა და საკუთრებისა, არამედ არ არის პოლიციური წეს-წყობილებაც კი; არის მარტო სხვადასხვა მოსამსახურეთა მძლავრი კორპორაციები ქურდებისა და მძარცველებისა“<sup>1</sup>.

რუსეთის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მდგომარეობის ასეთი დახატვის შემდეგ ბელინსკი ბუნებრივად წამოაყენებს, როგორც გადაუდებელ ამოცანას, რუსეთის ყოველი მოაზროვნე-მოქალაქისათვის შემდეგი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას: „ყველაზე ცხოველი თანამედროვე ნაციონალური საკითხები რუსეთში ახლას: ბატონყმობის მოსპობა, ფიზიკური სასჯელის მოსპობა, შეძლებისდაგვარად მკაცრი ასრულება იმ კანონებისა მაინც, რომელიც უკვე არის“<sup>2</sup>.

მოთხოვნათა ამ მინიმუმის გადაუდებლობა ყველასათვის, ბრმისთვისაც და თვალხილულისთვისაც აშკარაა. ბელინსკი იქვე შხამიანად უმატებს: „ამას თვით მთავრობაც კი გრძნობს, რაც მტკიცდება მისი იშვიათი და უნაყოფი ნახევარზომიერებით თეთრკანიანი ზანგების სასარგებლოდ და კომიკური შეცვლით ერთკუდიანი შოლტისა სამკუდიანი მათრახით“.

რა ნიჭიერად, მკვეთრადაა გამათრახებული ბელინსკის დროის რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობა! რა სიმკვეთრითაა გამოთქმული ადამიანური ცხოვრების საშინელი უადამიანო პირობები! თუ რა იყო საბრძოლველი მინიმუმი და რაზე უნდა ეღვარა სისხლის ცრემლი პატიოსან მოქალაქეს, რომ მოქმისათვის შთაეგონებინა ბრძოლის საჭიროება ცხოვრების მკვდარი წერტილიდან დაძვრისათვის, — ეს საკითხები ძლევამოსილად იდგა მთელი რუსეთის წინაშე, დაჟინებით თხოულობდა გადაწყვეტას, და დიდი გამბედაობა იყო საჭირო, რომ ამაზე ელაპარაკათ ან ეწერათ. ბელინსკის ეს წერილი მხოლოდ არა-ლეგალურად ვრცელდებოდა მოწინავე საზოგადოებაში. ცნობილია,

<sup>1</sup> В. Белинский, Письмо к Гоголю, Соч., стр. 616, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 616.

გამოჩენილ რუს მწერალს დოსტოევსკის იმისათვის, რომ მან პეტრაშევსკის წრეში ბელინსკის „წერილი გოგოლთან“ წაიკითხა, მიესაჯა კატორღა.

აღნიშნულ წერილში ბელინსკის დაგუბებული ბოღმა დიდი სიმკვეთრით გამოხატავდა არა მარტო რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის სულისკვეთებას, არამედ ხალხისას. ის ვერ ჩერდება, აღშფოთებით მიმართავს გოგოლს: „გამოთქმა: „ე, შენ, დაუბანელო დინგო!“ რომელი ნოზდრიოვისაგან, ან რომელი სობაკევიჩისაგან გაიგონეთ ის, რომ გადაგეცათ ქვეყნიერებისათვის, როგორც დიდი აღმოჩენა გლახთა სასარგებლოდ, რომელნიც ისედაც იმიტომ არ იბანენ პირს, რომ, ერწმუნენ რა თავიანთ ბატონებს, თავიანთ თავს ადამიანებად არ სთვლიან? ხოლო თქვენი წარმოდგენა ნაციონალურ რუსულ სასამართლოზე და გასამართლებაზე, რომლის იდეალიც თქვენ გამონახეთ პუშკინის მოთხრობის ბრიყვი დედაბრის სიტყვებში, იმ დედაბრის, რომლის ვაგებით საჭიროა გამათრახება მართალისა და მტყუანისაც! ეს ხომ ჩვენში ისედაც ხშირად ხდება, თუმცა უფრო ხშირად ამათრახებენ მართალს, თუ მას არაფრით შეუძლია თავის გამოსყიდვა — დეე იყოს უდანაშაულო დამნაშავე“<sup>1</sup>.

ბელინსკის დრტივინვა მით უფრო ძლიერია, მით უფრო შხამიანია და დაუნდობელი, რომ მისი სათაყვანებელი მწერალი, რომელმაც მთელ რიგ მარგალიტ ნაწარმოებში გენიალური უნარიანობით გაიგო და დაანახვა მკითხველს ბატონყმური, მექრთამე, გამოძალკევი და ხაზინის ქურდი მოხელეების ხელში გაძაბრული განადგურებული სახელმწიფო და ხალხი, სწორედ ის ვეღარ ხედავს გარემოცვის საშინელ მდგომარეობას. ამით აღელვებული, თავის საუკეთესო, უწმინდეს გრძნობებში გაცრუებული და შელახული ბელინსკი ვეღარ იბაგრებს მოწოლილ აღშფოთებას და საშინელი მძვინვარებით შემდეგნაირად მიმართავს გოგოლს: „მოლტის მქადაგებელო, უციცობის მოციქულო, გონების სიბნელისა. და ბნელეთის მოციქულო, თათრულ ზნე-ჩვეულებათა პანეგირისტო — რას შერებით! დაიხედეთ ფეხქვეშ — თქვენ უფსკრულის წინაშე დგახართ“<sup>2</sup>.

• • •

აღშფოთება ბელინსკისა დაუძლეველია. მას უნდა გოგოლის ასეთ საბედისწერო გარდატეხის ახსნა რუსეთის ცხოვრების უარყოფით მხარეებში გამოძებნოს.

ბელინსკი გოგოლის ასეთ მიუღებელ, რეაქციულ განწყობილებას

<sup>1</sup> В. Белинский, Письмо к Гоголю, Соч., стр. 616, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე.

ხსნის მით, რომ გოგოლი ეყრდნობა მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც, ბელინსკის გაგებით, „ყოველთვის დასაყრდენი იყო მათ-რახისა და დესპოტიზმის წინაშე მლიქვნელი“. ბელინსკი მართლმადიდებელ ეკლესიის ხალხისადმი არაკეთილსინდისიერ მოქმედებას აღნიშნავს და მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შემფასებლის როლში გამოდის. ბელინსკი თავისებური მოურიდებლობით ხსნის ნიღაბს ეკლესიას და მის მსახურთ, რომელნიც რეაქციულ ხელისუფლებას უფრო ემსახურებოდნენ, ვიდრე ქრისტიანულ რწმენას. „ნუ თუ მართლაც, — წერს გოგოლს ბოლშაქოვური ბელინსკი, — თქვენ არ იცით, რომ ჩვენი სამღვდლოება ჯღირსად მიაჩნია რუს საზოგადოებასა და რუს ხალხსაც?... განა ხუცესი რუსეთში ყველა რუსისათვის გამოხატველი არ არის ღორმუცლობისა, სიძინწისა, თავის დამცირებისა, უსირცხვილობისა? და თითქოს ყველა ეს თქვენ არ იცით? საკვირველია!“<sup>1</sup>.

ბელინსკი, როგორც დიდი დემოკრატი, თავისი დროისათვის მეტად დამოუკიდებელს, რევოლუციურს და მასთან ერთად სამართლიან პროგრესულ შეხედულებას გამოსთქვამს რუსი ხალხის რელიგიურობაზე. ის არ ეთანხმება მათ, ვინც ფიქრობს, რომ რუსი ხალხი ყველაზე მორწმუნე ხალხია მსოფლიოში. მას ეს სიცრუედ, რუსი ხალხის ბუნებისა და ცხოვრების არცოდნად მიაჩნია. პირიქით, მისი დახასიათებით, რუსი ხალხი უაღრესად ათეისტია.

აი ის რუს ხალხს რა საგულისხმიერო დახასიათებას აძლევს: „დააკვირდით მას უფრო ფხიზლად და თქვენ დარწმუნდებით. რომ... მასში ჯერ კიდევ ბევრია ცრუმორწმუნეობა, მაგრამ სარწმუნოების კვალიც კი არ არის... მას ამისათვის საკმარისად ბევრი აქვს საღი აზრი, ნათელი და დადებითი გონება, აი ამაში შეიძლება არის მისი დიდი ისტორიული მდგომარეობა მომავალში“<sup>2</sup>.

თავისი ასეთი, არა მარტო გოგოლისათვის, არამედ იმ დროს ბევრათათვის მიუღებელი დებულება დამაჯერებელი რომ გახადოს, ბელინსკი რუსი სამღვდლოების მეტად მკვეთრ და სწორ დახასიათებას იძლევა: „სარწმუნოება მასში (ე. ი. რუს ხალხში — მ. ზ.) სამღვდლოებაშიც კი ვერ დაემყნო, რადგანაც რამდენიმე ცალკეული განსაკუთრებული პიროვნება, მშვიდი, გაციებული ასკეტიური ჰერეტიით რომ ხასიათდება, არაფერს არ ამტკიცებს. ჩვენი სამღვდლოებას უმრავლესობა კი ყოველთვის გამოირჩევიდა გასიებული ფაშვით, სქოლასტიკური პედანტობითა და ველური უვიცობით. ცოდვა იქნება მას ბრალი დაედვას სარწმუნოებრივ აუტანლობისა და ფანატიზმში,

<sup>1</sup> В. Белинский, Письмо к Гоголю, Соч., стр. 617, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე.



უფრო შეიძლება შექმნილი იყოს სარწმუნოებრივ საქმეებში სანიმუშო ინდიფერენტობისათვის“<sup>1</sup>.

ბელინსკი, აღშფოთებული მთელი თავისი გიგანტური მგრძობიარე გულით, გოგოლს უსაყვედურებს. რომ მას დაუკარგავს გაგების სალი ალლო რუსი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელშიც დღეს ცოცხალი ძალები და, მიუხედავად მძიმე ჩაგვრისა, ლამობს გამოსავალი იპოვოს. ბელინსკი გოგოლს აფასებს, როგორც გენიალურ მწერალს, ბელინსკი კარგად გრძნობს, რა დიდი საზოგადოებრივი ძალაა გოგოლის მხატვრული შემოქმედება. რამდენად ის ხელს უწყობს ხალხის გათვითცნობიერებას. მას უნდა შთააგონოს გოგოლს, რომ ხალხის სიყვარული და პატივისცემა მას მოხვეჭილი აქვს, როგორც მწერალს, და ეს გარემოება მწერალს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს. „პოეტის სახელმა, ლიტერატორის წოდებამ, — წერს ბელინსკი, — ჩვენში დიდი ხანია დაჩრდილა ეპოლეტებისა და სხვადასხვა ფერი მუნდირების ზიზილბოილები... და აქ საზოგადოება მართალია: ის რუს მწერლებში ხედავს თავის ერთადერთ ბელადებს, მფარველებსა და მხსნელებს რუსეთის თვითმპყრობელობისაგან... ის ყოველთვის მზადაა მწერალს აპატიოს სუსტი წიგნი, მაგრამ არასოდეს არ აპატიებს მას ბოროტ წიგნს. ეს კი იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენია ჩვენს საზოგადოებაში, თუმცა ჯერ ჩანასახში, ცოცხალი, სალი ალლო, ესევე იმის მაჩვენებელია, რომ მას მოკავალი აქვს“<sup>2</sup>.

რუსი საზოგადოების შესახებ ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე, თვითონ ბელინსკიც როგორც ცოცხალი ნაკეთი ამ საზოგადოებისა, ღრმა და შეურიგებელი გულისწყრომით უსაყვედურებს გოგოლს, რომელიც რუს ხალხს აწერს ქედის მოხრას, დითირამბის გალოპას თავის მბრძანებლებისადმი, ვითომც და მოსიყვარულე დამოკიდებულებისათვის. „პირდაპირ გეტყვი: — სწერს ბელინსკი, — ამ დითირამბმა არავისში არ ჰპოვა თანაგრძნობა და თქვენ დაგამცირათ იმათ თვალშიც, ვინც თქვენთან სხვა მხრივ მახლობელი არიან. რაც შეეხება მე პირადად, თქვენ სინდისს ვანდობ დატყბეს ღვთაებრივი სიმშვენიერით თვითმპყრობელობისა (ის მშვიდია, და აგრეთვე, ამბობენ, თქვენთვისაც სასარგებლო), მხოლოდ განაგრძეთ კეთილგონიერად მზერა თქვენი „მშვენიერი შორეულიდან: ახლო ის არც ისეთი მშვენიერია და ისე უშიშარი“...<sup>3</sup>.

მაშინდელი ხელისუფლება, მეფის თვითმპყრობელობა რომ უფრო

<sup>1</sup> В. Белинский, Письмо к Гоголю, Соч., стр. 617, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 618.

<sup>3</sup> იქვე.

გააწილოს და თვით გოგოლსაც შეაგნებინოს წიგნში «Выбранные места из переписки с друзьями» გამოთქმული მისთვის შეუფერებელი აზრები და მკითხველთა მასასაც დაუკარგოს მათდამი ნდობა, ბელინსკი სავსე შხამითა და, რა თქმა უნდა, სინამდვილის სწორი გაგებითა და შეფასებით, შემდეგნაირად ახსნის ამ გარემოებას: „ჩვენში — შხამით სავსე ტონით წერს ბელინსკი — დაემართება კაცს (წესიერსაც კი) ავადმყოფობა ფსიქიატრ-ექიმებთან რომ ცნობილია სახელწოდებით religiosa mania, ის მაშინვე მიწიერ ღმერთს უფრო უკმევს, ვიდრე ზეციერს, და ისეთს უკიდურესობაშიც კი გადავარდება, რომ მას (მიწიერ ღმერთს — მ. ზ.) უნდა კიდევ დააჯილდოვოს მონური ერთგულებისათვის, მაგრამ ხედავს, რომ ამით საზოგადოების თვალში სახელს გაიტეხს... გაიძვერაა ჩვენი ძმა, რუსი კაცი!“<sup>1</sup>.

ბელინსკი აღარ ერიდება თავის სათაყვანებელ მწერალს. ის დაუნდობლად ამკლავნებს, თუ რა აბსურდამდე მივიდა გოგოლი მბრძანებლებისადმი მონურ გუნდრუკის კმევაში: „თქვენ წიგნში — მიმართავს ბელინსკი გოგოლს, — თქვენ ამტკიცებთ, როგორც დიდებულ და უცილობელ ჭეშმარიტებას, თითქოს მდაბიო ხალხისათვის სწავლა არამც თუ სასარგებლო არ არის, არამედ გარკვეულად მავნებელია“<sup>2</sup>. „რა უნდა გითხრათ ამის შესახებ, — დაუძლეველი გესლიანობით მიჰმართავს ბელინსკი გოგოლს: — „დეე, გაპატიოთ თქვენ თქვენმა ბიზანტიელმა ღმერთმა ასეთი ბიზანტიური აზრისათვის, თუ, როცა ის ქაღალდზე გადაგქონდათ, არ იცოდით, რას ლაპარაკობდით“<sup>3</sup>.

ხსენებულ წერილში გოგოლთან ბელინსკი გამომკლავნებულია არა მარტო როგორც ნიჭიერი, გენიალური პუბლიცისტი, მოქალაქე ზედმიწევნით მცოდნე რუსი ხალხის სულისკვეთებისა, მისი ჰირისა, ვარამისა, მისწრაფებისა, მდგომარეობისა, არამედ აგრეთვე არაჩვეულებრივი სიცხადითაა გამომკლავნებული მისი დაუდგრომელი ტემპერამენტი, ჭეშმარიტებისა და ხალხისათვის სიკეთის მაძიებელი ბუნებაც.

\* \* \*

ბელინსკის მიერ გოგოლის წიგნის «Выбранные места из переписки с друзьями» ასეთი მკაცრი, პირუთვნელი შეფასება მით უფრო გასაგები ხდება, რომ 40-იანი წლებიდან მტკივნეულ ძიებათა ქარტახილგამოვლილი „მძვინვარე ბესარიონი“ გამოფხიზლებულია..

<sup>1</sup> В. Белинский, Письмо к Гоголю, Соч., стр. 617, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 618.

<sup>3</sup> იქვე.

ის განთავისუფლდა ჰეგელის ფილოსოფიის მავნე გავლენისაგან.

აი რა საგულისხმოდ უმელავენებს ბელინსკი ვ. ბოტკინს. ამ გამოფხიზლების მწვავე განცდებს — რა დიდი და საშინელი ფასით იყიდა მან მწარე ჰეგელმარიტების გაგება, რომ ყველაფერი, განსაკუთრებით, რაც მის გარშემოა, უმსაგავასობაა. „გამომეღვიძა, — მოსაგონადაც საშიშია ეს ჩემი სიზმარი... აი ეს ნაძალადევი შერიგება რუსეთის საზიზღარ სინამდვილესთან, ამ ჩინურ სახელმწიფოსთან მატერიალური პირუტყველი ცხოვრებით, ხარისხის მოყვარულობით, ჯვრების მოყვარულობით, ფულის მოყვარულობით, მექრთამეობით, გარყვნილებით, სულიერი ინტერესების უქონლობით, უსინდისო და თავხედი სისულელისა, და უნიჭობის ზემოთ, — სადაც ყოველ ადამიანს, რამდენადმე გონიერს, კეთილშობილს, ნიჭიერს მოელის განადგურება, ტანჯვა, სადაც ცენზურა გაქცეულ ახალწვეულთა სამხედრო წესდებადაა გადაქცეული, სადაც თავისუფალი აზრი განადგურებულია... სადაც პუშკინი სილარიბეში ცხოვრობდა და დაიღუპა, როგორც მსხვერპლი უნამუსობისა, ხოლო გრეჩი და ბულგარინი ლიტერატურას მთლიანად მართავენ დაბეზლების საშუალებით და კმაყოფილებით ცხოვრობენ... არა, ღვეე გახმეს ენა, რომელიც გაბედავს ყველა ამის გამართლებას, — და თუ ჩემი გახმება, — არ ვიჩივლებ“<sup>1</sup>.

ამ გამოფხიზლების შემდეგ ბელინსკიმ მთელი სიამჟარავით დაინახა ნიკოლოზ I-ის მეფობაში გაბეგრილი, დაშინებული, მძიმე მარწუხებში ჩაჭედილი, უფლებააყრილი რუსი ხალხი. ამ სინამდვილის დანახვით მისთვის აშკარა შეიქმნა, რომ ამ პირობებში კაცი კმაყოფილებას ვერ მიეცემა და რომ მიეცეს კიდევ, ეს ბოროტება იქნება. საჭიროა რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება, მოქმედება, „რომ შემდეგში, — წერს ვ. ბოტკინს ბელინსკი, — სხვებს უკეთესად შეეძლოთ ცხოვრება“. „როგორ უნდა ვიმოქმედოთ?“ — სვამს ბელინსკი საკითხს და თვითონვე იძლევა პასუხს: „მხოლოდ ორი საშუალებაა: კათედრა და ყურნალი — სხვა ყველაფერი ფუჭია“<sup>2</sup>.

მძიმედ გაბორკილი, შევიწროებული ბელინსკი, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობათ იმავე წერილში სწერს ბოტკინს: „წერა შესაძლებელი რომ იყოს, „მამინ მე დასტა ქაღალდზე მოგკედებოდი

<sup>1</sup> Письмо В. Белинского к В. П. Боткину, от 11 декабря 1840 г., Соч., стр. 637, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 639.

და თუ მელანი აღარ იკმარებდა, გავსნიდი ჩემს ძარღვს და სისხლით დაწვერიდი“<sup>1</sup>.

ამაში მოცემულია უტყუარი, სამართლიანი, თავგანწირული დიდი პატრიოტი — მოქალაქის ბელინსკის სულისკვეთება. მაგრამ ეს მარტო ბელინსკის განცდა არ არის. ამგვარივე ტიპილი ჰკოდავდა რუსეთის საზოგადოების საუკეთესო მოწინავე ნაწილს. ბელინსკის ეს მძიმე ბორცვა გულშემზარავი გოდება. იყო რუსეთის მოწინავე საზოგადოებისა. ასე უხუთავდა გულსა და ტვინსა მოაზროვნე საზოგადოებას ნიკოლოზ I მეფობის რუსეთის ფილისტერული სინამდვილე.

ამ გამოფხიზლების შემდეგ ბელინსკიმ გამოარკვია თავისი მამოძრავებელი ტიპილიც, ასე მძაფრად, მტანჯველად მას ერთი უკიდურესობიდან მეორეში რომ აგდებდა. ბელინსკი ამ ტიპილს ვ. ბოტკინისადმი წერილში ასე გამოსთქვამს: „მე ბედნიერება მუქთადაც არ მინდა, თუ დამშვიდებული არ ვიქნები ყოველი ჩემი ღვიძლი ძმის მიმართ, რომელიც არის ძვალი ძვალთაგან ჩემთა და სისხლი სისხლთაგან ჩემთა“<sup>2</sup>. შემდეგ წერილში ვ. ბოტკინისადმივე ბელინსკი უფრო გარკვეულად გამოსთქვამს თავის ამ ახალ რწმენას, რომელმაც მთლიანად დაიპყრო და გაიტაცა მისი ცეცხლოვანი ბუნება: „მე ახლა, — წერს ის ვ. ბოტკინს — ახალ უკიდურესობაში ვარ, — ესაა იდეა სოციალიზმისა, რომელიც ჩემთვის შეიქმნა იდეათა იდეად, ყოფის ყოფად, საკითხის საკითხად, რწმენისა და ცოდნის აღფა და ომეგად. ყველაფერი იქიდანაა, მისთვის და მისკენ... ამიტომ ახლა ამით ვსხნი ჩემს ცხოვრებას. შენსადაც და ყველა იმათსაც ვისაც კი ვხვდებოდი ცხოვრების გზაზე“<sup>3</sup>.

ბელინსკის სისხლით დაწერილ წერილებში ისმოდა თავგანწირულის კივილი. ეს წერილები სათანადო გავლენას ახდენდნენ მის თანამედროვეებზე, მის მოწინავე ნაწილზე მაინც, რადგანაც ბელინსკის წერილებს სშირად ინტიმური ხასიათი კი არა ჰქონდათ, არამედ პუბლიცისტური წერილის ფართო ხასიათი.

რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობით, მისი მძიმე უმსგავსი გამოვლინების ხილვით შეძრწუნებული ბელინსკი ასე გადმოანთხევს დაგუბებულ ნალველს: „მწუხარება, მძიმე მწუხარება მიპყრობს, როდესაც ვხედავ ფეხშიშველა, ქუჩაში მოთა-

<sup>1</sup> Письмо В. Беллинского к В. П. Боткину, от 11 декабря 1840 г., Соч., стр. 639, изд. 1917.

<sup>2</sup> Письмо В. Беллинского к В. Боткину, от 1 марта, 1841 г., Соч., стр. 640—641, изд. 1947.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 645.

მაშე ბიჭებსაც, დაკონკილ მათხოვრებსაც, მთვრალ მეეტლესაც, საყარაულოდან დაბრუნებულ სალდათსაც, ილღის ქვეშ ამოჩრილი პორთფელით სიჩქარით მიმავალ მოხუცსაც, თავის თავით კმაყოფილ ოფიცერსაც და ამაყ დიდუცასაც. როდესაც სალდათს გროშს ვაძლევ, მე კინალამ არ ვსტირი, როდესაც მათხოვარს ვაძლევ გროშს, გავრბივარ მისგან თითქოს რაღაც ცუდი ჩავიდე, თითქოს არ მინდა მესმოდეს ჩემი ნაბიჯების ხმაც კი. და ეს ცხოვრება! კონკეებში იჭდე მთელი დღე, სულელური გამომეტყველებით, დღისით რამდენიმე გროში შეაგროვო, რომ საღამოს ლუღხანაში დაითვრე — ადამიანები ამას ხედავენ, და არავის ეს არ აწუხებს“<sup>1</sup>.

შემადრწუნებელი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი კენესა და ცრემლია ბელინსკის ამ სიტყვებში, აღმაშფოთებელი უადამიანო მდგომარეობით გამოწვეულ ტანჯვათაგან გამონაჟონი. იშვიათი პუბლიცისტური ტრაქტატი შესძლებს არამც თუ მეტის, არამედ ამოდენის თქმას იმ დროის პოლიტიკურ-მონარქისტული რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების დახასიათებისათვის.

\* \* \*

ბელინსკი პირადი ცხოვრების გამოცდილებამ და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობაზე დაკვირვებამ მიიყვანა იმ ჭეშმარიტ დასკვნამდე, რომ ცხოვრებაში ძირითადია ადამიანი, მისი კეთილი და სამართლიანი გამოყენება. მისი გაგებით, ცხოვრებაც ისე უნდა მოეწყოს, რომ ძირითადი საზრუნავი გახდეს ადამიანი, შეიქმნას ისეთი ცხოვრების პირობები, რომ მას საშუალება მიეცეს თავისი პიროვნება ბუნებრივად განავითაროს, შეიქმნას მოქმედ ძალად. მხოლოდ ასეთს პირობებში, ბელინსკის გაგებით, შეიძლება ცხოვრებას ცხოვრება ეწოდოს, ადამიანმა თავისთავი პიროვნებად იგრძნოს. „ადამიანის პიროვნება, — წერს ბელინსკი ვ. ბოტკინს, — შემქმნა პუნქტად, რომელზედაც მეშინია ჭკუიდან არ შევიშალო. რა უფლება აქვს ჩემს თანაგვარ ადამიანს კაცობრიობაზე მაღლა დადგეს, გამოეყოს მას რკინის გვირგვინითა და მეწამული მანტიით, რომელზედაც როგორც ჩვენი საუკუნის ტიბერი გრაკხმა, შილერმა სთქვა, მოჩანს პირველი კაცისმკვლელის სისხლი? მე ვგრძნობ, მე რომ მეფე ვიყო, უეჭველად ტირანად გადავიქცეოდი... ჰეგელი ოცნებობდა კონსტიტუციონალურ მონარქიაზე, როგორც

<sup>1</sup> Письмо В. Беллинского к В. П. Боткину, от 28 сентября 1841 г., Соч., стр. 647, изд. 1947.

სახელმწიფოს იდეალზე, — რა ვიწრო ცნებაა! არა, მონარქები არ უნდა იყვნენ, ვინაიდან მონარქი ძმა არ არის, ის მათგან ყოველთვის განცალკევდება, თუნდაც ცარიელი ეტიკეტით, იმას ყოველთვის ფორმის გულისათვის მაინც თავს დაუქრავენ. ადამიანები ძმები უნდა იყვნენ და ერთმანეთი არ უნდა შეურაცხყოფი რაიმე გარეგანი და ფორმალური უპირატესობის აჩრდილითაც კი<sup>1</sup>.

აი სწორედ ადამიანთა უთანასწორობაა ძირითადი საფუძველი ბელინსკის სულიერი ტრაგედიისა, მისი გაწამებული ბორჯვისა, მძვინვარებისა, თავდავიწყებით ძიებისა; ის გაბოროტებული განწყობილებით, საკუთარი სისხლითა და უხილავი ცრემლით წერს თავის მეგობრებს იმას, რაც მას ასე ჯადოსნურად სტანჯავს, რის თქმაც მას უნდა ფართო მკითხველისადმი, მაგრამ რასაც, ჯალათური ცენზურული პირობების გამო, ვერ ახერხებს. ამით აიხსნება ის ვრცელი, მტკივნეულ განცდათა გამა, მის კერძო წერილებში ასე ხშირად და მკითხველზე გადამდებად რომ ისმის.

ბელინსკის წერილები, რა თქმა უნდა, მარტო ადრესატებს არ ეკუთვნოდათ; მათ მარტო ადრესატები არ კითხულობდნენ, არამედ იმ დროის მოწინავე ნაწილი, რომელიც ბელინსკის ავტორიტეტს იღებდა, მისდამი მოწიწი სიყვარულითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული, რომელსაც გატაცებითა და შეგნებით მისდევდა არსებულის უარყოფაში, უკეთესისკენ ლტოლვაში. ამიტომ ბელინსკის კერძო წერილები უდავოდ ატარებდა არალეგალური პუბლიცისტური ლიტერატურის ხასიათს. ამ წერილებზე იზრდებოდა რუსი რევოლუციონერად განწყობილი ახალგაზრდობა. თვითონ ბელინსკიც, ეჭვს გარეშეა, ასე უყურებდა თავის კერძო წერილებს და ისტორიული პასუხისმგებლობით სწერდა მათ.

\* \* \*

ბელინსკი კარგად ხედავდა, რომ რუსეთში იმარჯვებდა კაპიტალიზმი. ბურჟუაზია თანდათან სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს და ლამობს ხელთ იგდოს სახელმწიფოებრივი ძალაუფლება. ბელინსკი კარგადა გრძნობს, რომ ბურჟუაზია არ არის ის ძალა, რომელიც სათანადოდ მოაწესრიგებს ადამიანთა ცხოვრებას, რომელიც შესძლებს შექმნას პირობები თანასწორუფლებიანი ადამიანური ცხოვრებისა. ამის შესახებ ბელინსკი არაერთხელ გამოსთქვამს თავის შეხედულებას.

<sup>1</sup> Письмо В. Белинского к В. П. Боткину, от 28 сентября 1841 г., Соч., стр. 644, изд. 1947.

„უბედურებაა სახელმწიფოსათვის, — წერს ის ვ. ბოტკინს, — რომელიც კაპიტალისტთა ხელშია; ამ ადამიანებს არა აქვთ პატრიოტიზმი, არც მაღალი გრძნობები. მათთვის ომი ან ზავი ნიშნავს მხოლოდ ფონდების აწევას ან დაწევას, — ამის იქით ისინი არაფერს ხედავენ... მეწერილმანეს არ შეიძლება ჰქონდეს ინტერესები გარეშე თავის ჯიბისა. მისთვის ფული საშუალება კი არ არის, არამედ მიზანი, და ადამიანებიც — მიზანია; მას მათდამი არა აქვს სიყვარული, ის ყველა საშუალებით სარგებლობს; ბავშვებს თავის სამუშაოზე ჰღუპავს, მუშებს შიმშილით, სიკვდილის შიშით ავიწროებს, მათხოვარს ვალში პერანგს ხდის, გარყვნილობით სარგებლობს და მას ემსახურება, ღარიბების ხარჯზე მდიდრდება“<sup>1</sup>. უდაოდ გენიალური გაგებაა კაპიტალისტური წყობილების ბუნებისა.

ამავე წერილში ბელინსკი დიდი ჩაწვდომით ახასიათებს კაპიტალისტური განვითარების გზას და შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „მე ვიცი, რომ მრეწველობა — წყაროა დიდი ბოროტებისა, მაგრამ ვიცი, რომ იგივე — საზოგადოებისათვის წყაროა დიდი სიკეთისაც. კაცმა რომ თქვას, ის მხოლოდ უკანასკნელი ბოროტებაა კაპიტალის ბატონობაში, მის ტირანიამში შრომაზე“<sup>2</sup>.

ბელინსკის სიდიადე და მისი ჩვენი დროისათვის სიახლოვე იმაში მდგომარეობს, რომ ის არა მარტო ბატონყმური და ბურჟუაზიული რუსეთის უარყოფით მხარეებსა და მიუღებლობას ჰხედავს მკვეთრად, სისწორით აფასებს მათ, მტკივნეულად განიცდის და დაუნდობლად, უშიშრად აკრიტიკებს, არამედ მათ შორის სამკვდროსასიცოცხლო ჭიდილის იქით ბელინსკი მომავალ თავის უფალსა და ბედნიერ რუსეთსაც აუცილებლობითა და სიაშკარავით ხედავს. ბელინსკი თავის ამ განცდასა და რწმენას აი რა სიმკვეთრითა და საგულისხმოდ გამოსთქვამს: „მე ღრმადა მწამს, დადგება დრო, როცა არავის აღარ დასწვავენ, არავის თავს აღარ მოჰკვეთენ, როდესაც აღარ იქნება უაზრო ფორმა და ჩვეულება, აღარ იქნება ხელშეკრულება და პირობები გრძნობაზე... დედაკაცი არ იქნება მამაკაცისა და საზოგადოების მონა... აღარ იქნებიან მდიდრები, აღარ იქნებიან ღარიბები. არც მეფეები, არც ქვეშევრდომნი, არამედ იქნებიან ძმები. იქნებიან ადამიანები“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Письмо В. Белинского к В. П. Боткину, от декабря 1847 г., Соч., стр. 660, изд. 1947.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 661.

<sup>3</sup> Письмо В. Белинского к В. П. Боткину, от 8 сентября 1841 г., Соч., стр. 648, изд. 1947.

აი აქეთყენაა ბელინსკის თავგანწირული სულისკვეთება მიმართული. აქეთ უძახდა მთელი თავისი გენიალური ნიჭის ძალით ბელინსკის „ბუკი და ნაღარა“ რუს მოაზროვნე საზოგადოებას. ამით აიხსნება, რომ ბელინსკის აჩრდილიც კი მისი სიკვდილის შემდეგაც დიდი ხსნის განმავლობაში ზრდიდა, მაღალი მისწრაფებებით აღაფრთოვანებდა რუს მოწინავე საზოგადოებას.

დღესაც ბელინსკი მძლავრად ეხმაურება ჩვენს დიად ეპოქას. ბელინსკში დღეს ჩვენ ვხედავთ ჩვენს კაცს, ჩვენი ცხოვრების მოქალაქეს.

ამიტომ, რომ ბელინსკი არასოდეს არ ყოფილა ისე გაგებული, მახლობელი და ისე ღირსეულად დაფასებული, როგორც ჩვენს დროში.

\* \* \*

ბელინსკი აზრთამფლობელი შეიქმნა თავისი მაღალი მისწრაფებით არა მარტო თანამედროვეთათვის 30—40-იან წლებში, არამედ შემდეგაც. მთელი XIX საუკუნის მანძილზე მას არ დაუკარგავს თავისი დიდი საზოგადოებრივი ღირებულების მნიშვნელობა. განსაკუთრებით 60-იან წლებში ბელინსკი შეიქმნა პოპულარული. 60-იანი წლების მოწინავე რუსი ინტელიგენცია (ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლუბოვი, ნ. ნეკრასოვი, დ. პისარევი, ზაიცევი და მრავალი სხვა) აღიზარდა ბელინსკის მდიდარ და მრავალწახნაგოვან მემკვიდრეობაზე. მან რუსეთის ცხოვრებაში ფართოდ და უხვად გაიტანა ბელინსკის მიერ გამახვილებულ იდეათა საღაროდან ნაყოფიერი თესლა.

რუსეთის 60-იანი წლების აბობოქრებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების საბუღარში აღიზარდა და დავაჟკაცდა ჩვენი 60-იანი წლების მოწინავე ახალგაზრდობაც: ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. ცხოვრების ახალი, უკეთესი გზის გამონახვისათვის მებრძოლი მოწინავე მოაზროვნე ქართველი საზოგადოებისა, რომელმაც ნათლად გაითვალისწინა განვლილი მძიმე დაბრკოლებანი და ტკივილები, დარწმუნდა, რომ ერთადერთი გზა უკეთესი მდგომარეობის შექმნისა და ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისა — ესაა ახალ მდგომარეობასთან შეგუება, რუსი საზოგადოების მოწინავე ნაწილთან მჭიდრო კავშირის დაჭერა, მასთან ხელისხელ ჩაკიდებული ბრძოლა საერთო მტერთან — რეაქციულ ძალასთან და ხალხისათვის უკეთესი ბედნიერი მომავლისაკენ მედგრად წასვლა.

ილია ჭავჭავაძის თქმა —



„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“

(„ქართლის დედას“)

ჩვენი მაშინდელი ამღვრეული ცხოვრების მორევშია ამოკითხული. ილიას ეს განცდა საერთოა 60-იან წლების მოწინავე თაობისათვის.

ამ ვარსკვლავის გამონახვა მიერეკებოდა ჩვენ მოწინავე ახალგაზრდობას რუსეთისაკენ. იქ გატარებულ პერიოდში იკვანძებოდა მისი მომავლის საქმიანობის კვირტი.

აი ილია ჭავჭავაძე როგორ აფასებს 1889 წ. რუსეთის მოწინავე აზროვნების მნიშვნელობას ქართველთათვის, როდესაც ის გადახედავს განვლილ გზასა და მოღვაწეობას როგორც თავისას, ისე სხვათა მთელი XIX საუკუნის მანძილზე.

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძაღღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არს დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმიანათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოუჩნევი“<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, როგორც თვით ილ. ჭავჭავაძე სამართლიანად აღნიშნავს, ეს „ზედმოქმედება“ მხოლოდ იმაზე იმოქმედებდა კეთილად, მხოლოდ იმას მისცემდა საღსა და სასარგებლო მიმართულებასა და შინაარსს, რომელიც რუსული ლიტერატურის „ყოველ

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VIII, გვ. 332.

გამონარკვევს“ გასჩხრეკდა, ასწონდასწონიდა თავისი პირადი კრიტიკისა, თავისი პრაქტიკული ცხოვრების ობიექტური პირობების მოთხოვნილებების მიხედვით, თავისი შესაძლებლობისა და სარგებლობის პრიზმაში გაატარებდა, „ბრმად არ იწამებდა, ბრმად არ მიიჩნებდა“ და არ გამოიყენებდა მათ ცხოვრებაში ნაკლები წინააღმდეგობით სასიარულოდ; თუ ყოველი მიღებული აზრი მიმღების მიერ არ იქნებოდა გადამუშავებული, „გამოფოლადებული“ და ისე შეთვისებული; და არა მხოლოდ ლიტონი დაზეპირებული სიტყვა იქნებოდა, რომელიც არც მას პირადად შესძენდა ჩასმეს და, მით უმეტეს, არც მის საზოგადოებას, რომელიც არამც თუ სასარგებლო საქმედ არ იქცეოდა, არამედ შეიძლება ბოროტადაც მოვლინებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას.

საბედნიეროდ როგორც ილ. ჭავჭავაძე, ისე ბევრი სხვა ჩვენი საზოგადოების წარჩინებული წარმომადგენელი ამ აუცილებელ „ზედმოქმედებას“ იღებდნენ შეგნებულად, აქტიურად. ყველაფერს სჩხრეკდნენ და გამორჩევით ითვისებდნენ თავისი ქვეყნის წინ წაწევის მიზნით და მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებაში ამავე განზრახვით გაჰქონდათ. სწორედ მათი მოღვაწეობა თვალსაჩინოდ ნაყოფიერი შეიქმნა და თვალსაჩინოვე კვალი დასტოვა ჩვენი ხალხის ცხოვრების სინამდვილეში.

სწორედ ასეთი გზითაა შეთვისებული ბელინსკის ლიტერატურული და იდეური ზეგავლენაც ილ. ჭავჭავაძისა და სხვათა მიერ.

\* \* \*

ილ. ჭავჭავაძე და საერთოდ ჩვენი თერგდალეულნი ნიჭიერადა და რაციონალურად იყენებენ ბელინსკის იდეურ მემკვიდრეობას ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად და მისი გაჯანსაღებისა და სწორი გზით მიმართვის მიზნით. წინამდებარე წერილში ბელინსკის (მხოლოდ როგორც პუბლიცისტის) შეხედულებათა კვალს აღვნიშნავთ ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ვინაიდან ილ. ჭავჭავაძე ტაბიური წარმომადგენელია ჩვენი 60-იანი წლების მწერლებისა და რაც ითქმის ილ. ჭავჭავაძის შესახებ, დაახლოებით ერთგვარი მეტნაკლებობით იგივე შეიძლება განვავრცოთ სხვებზედაც.

ილია ჭავჭავაძისათვის მხატვრული შემოქმედებაც კი პუბლიცისტური ხასიათის მატარებელია. თუ ბელინსკის შეეძლო

ეთქვა: „არა, მე კრიტიკოსი არა ვარ, მე პუბლიცისტი ვარო“, ილ-  
ჭავჭავაძესაც თამამად შეეძლო ეთქვა: „არა, მე პოეტი არა ვარ, მე  
პუბლიცისტი ვარო“. მართლაც, ბელინსკის შეხედულება, რომ ლიტე-  
რატურა უპირველესად ყოველდღიური საჭირობო საკითხებს უნდა  
ეხმარებოდეს, მათ უნდა არკვევდეს და სათანადოდ სწავებდეს, სის-  
რულით იქმნა ათვისებული და გამოყენებული ილ. ჭავჭავაძის მიერ.  
ილია ჭავჭავაძის მთლიანი განწყობილებაც და ლიტერატურული მოდ-  
ე ა წ ე ო ბ ა ც ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი მ ი-  
მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი ა. თავისუფლად შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ ილ. ჭავჭავაძის არა მარტო წმინდა პუბლიცისტუ-  
რი, პოლემიკური, ისტორიულ-მეცნიერული და პედაგოგიკური წე-  
რილები, არამედ თვით მისი მხატვრული შემოქმედებაც აშკარად და  
უაღრესად პუბლიცისტური ხასიათისაა.

ილ. ჭავჭავაძე ლიტერატურას უყურებს როგორც საზოგად-  
ოებრივი აზრის გაღვივებისა და მისი უკეთესობისაკენ მიმართვის იარაღს. ილიას „პოეტი“  
მთლად გაუღენთილია პუბლიცისტური განწყობილებით. პოეტი ხა-  
ლხის წინამძღოლია. პოეტური ცეცხლი მასში მისთვის ღვივის,  
„რომ ერისა მოძმედ იყოს კმუნვასა და სიხარულში“, მხოლოდ ხა-  
ლხის ცხოვრება იწვევს მასში მიზეზს ღიმღერისა, რომლითაც ის  
„მოსწმენდს ერსაც ტანჯვის ცრემლსა“.

ილიამ, ნაზიარებმა ბელინსკის მსოფლმხედველობას, კარგად  
იცის, რომ მწერლის ცხოვრება გამუდმებული წვაა ცოცხალი მოძ-  
რავი აზრისა და იმედისა ქვეყნის წინმსვლელობით ამოქმედებული.  
აი რასა წერს ის მთელი ჩგუფის სახელით საპროგრამო წერილში  
მოღვაწეობის დასაწყისშივე, ეურნალში „საქართველოს  
მოამბე“: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თა-  
ვის დღეში არა“. „გრეხილი აზრისა განუწყვეტელია: ერთს ზედ  
მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, — ამას-  
თანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს — მეცნიერება  
და ხელოვნება, სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს... რომ  
ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავიბელი ნდომა უკეთესობისა — შე-  
დგება ის ძალა, ის იღუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის  
ადამიანს: წინ წადე! წინ წადე!... ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც  
არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთე-  
სობის ნდომა“<sup>1</sup>.

თავისი ხალხის ცხოვრების ამ „უკეთესობის ნდომას“, „წინ წა-  
დევს“ შეაღია როგორც ბელინსკიმ, ისე ილია ჭავჭავაძემაც თავისი

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 58.

სიცოცხლეს, თავისი ნიჭიცა და კალამიც. ილ. ჭავჭავაძე კარგად ჩახედული თავისი ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებაში, მის მოთხოვნილებებში, როგორც ფიზიკელი და შეუპოვარი გუშაგი, მსგავსად ბელინსკისა, დგას ხალხისა და ქვეყნის „უკეთესობის ნდომის“ სადარაჯოზე და გარკვევითა და დაუინებით დადადებს ქვეყნის გადაუდებელ საჭიროებებზედ და მათი მოხსნის საშუალებებზე: „საჭიროა, — წერს ილია ხსენებულ საპროგრამო წერილში, — სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაყუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა, ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა“<sup>1</sup>. ასევე უყურებდა ბელინსკიც!

ამით აიხსნება ის აღშფოთება, რომელსაც ილია ბელინსკის სატყუებით გამოსთქვამს და მათ წაუძღვარებს თავის „პასუხს“ ძველი თაობის წინააღმდეგ, რომელმაც გუნდობრივი შეტევა მოაწყო ძველის დასაცავად და ილიას მიერ წამოყენებული ახალი ქვეყნის წინააღმდეგ აზრების შესაბაღლაავად. «Из нашей литературы хотят устроить бальную залу и уже зазывают в неё дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество-щеголеватостью, критику — комплиментами» (Белинский).

ილ. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოკალმეებმა (აკ. წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა და სხვებმა), როგორც ბელინსკიმ, მთელი თავისი დიადი ბუნებით, ნიჭითა და უნარიანობით გააჩაღეს ბრძოლა, ერთის მხრით, ძველის, დროშოკმულის, საზოგადოებრივი ცხოვრების შემფერხებელ ჩვეულებათა წინააღმდეგ, ხოლო, მეორის მხრით, რეალისტური მსოფლმხედველობისა და ლიტერატურაში რეალიზმის განმტკიცებისათვის. ილ. ჭავჭავაძე სტატიაში „საქართველოს მოამბეზე“ შემდეგნაირად განმარტავს თავისსა და თერგდალეულთა ჭგუფის მო-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 64.

ღვაწეობის გამოსავალ საფუძველს: „...ყოველი საჭიროება ცხოვრებ-  
ბიდან წარმოდგება, თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მია-  
მყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარ-  
ტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრება-  
შია გამოკეანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოი-  
ტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უღელდამიწოდ“<sup>1</sup>.

ილიამ კარგად იცის, რომ ცხოვრება კაცისაგან „მოგონილ რიკრი-  
კაზედ“ არ გამოიჭრება, რომ ცხოვრებას თავისი ურყევი კანონები  
აქვს და ადამიანის გონების დანიშნულებათა ცხოვრების ეს ურყევი კა-  
ნონები გაიგოს და გარკვეულად, სხვათა-თანამომქმეთა გასაგებად გამო-  
თქვას ან გამოხატოს: „მეცნიერება და ხელოვნება, — წერს იმავე  
წერილში ილია, — ...იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ  
ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა  
გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ  
რაც მათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადა-  
დის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრე-  
ბასა“<sup>2</sup>. ილიას კარგადა აქვს შეთვისებული, რომ ცხოვრებაში უც-  
ვლეული არაფერია, ყველაფერი განვითარებაშია, ზრდაშია, ცვლილე-  
ბაშია, იცვლება ყოველი მოვლენა, იცვლება კაცი, იცვლება მისი  
მსოფლმხედველობა, იცვლება მისი ენაც. „კაცის ენა კერძო პირ-  
სავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ  
კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები,  
ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უფარგისნი არიან ხოლმე; ამიტო-  
მაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა  
ჰგავს ძველ კაცსა“<sup>3</sup>. ამიტომ ილ. ჭავჭავაძეს, ბელინსკის მსგავსად,  
თაობათა შორის ბრძოლა ბუნებრივად მიაჩნია. მაგრამ ეს ბრძოლა  
ბრმა მიბაძვით კი არ უნდა წარმოებდეს, არამედ უნდა ადგილობრივი  
სინამდვილიდან გამომდინარეობდეს, მის შესაბამისად უნდა იშლებო-  
დეს, დასებად დაყოფა უნდა ხდებოდეს არა ასაკის მიხედვით (ილ.  
ჭავჭავაძეს არ მიაჩნია სწორად ცნება „მამათა“ და „შვილთა“ ბრძო-  
ლა), არამედ მსოფლმხედველობის მიხედვით — კონსერვატორები,  
რომლებიც ძველს უკვე ხანგადასულს საფუძველებს რომ ებღაუჭები-  
ან, და ლიბერალები, რომლებიც ცხოვრების წინ წაწევისათვის, უკე-  
თესი მომავლისათვის იბრძვიან. ილ. ჭავჭავაძესაც, ბელინსკის მსგავ-  
სად, თაობათა ბრძოლის პროცესში საჭიროდ მიაჩნია მარტო სიახლე  
კი არ იყოს მიღებული მხედველობაში, არამედ ქვეყნის, ხალხის მო-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 65.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 40.

მავალი ცხოვრების სარგებლობის პრინციპი უნდა შეიქმნას მამოძრავებელი.

\* \* \*

ბელინსკი აღმფოთებული იყო რუსი „განათლებული“ საზოგადოებით, რომელსაც, მისი გაგებით, არა ჰქონდა თავისი და თავისიანების ძალისა და ღირსების შეგნება, ვერ აფასებდა თავისსა და თავისი ხალხის დადებით მხარეებს და ბრმად ქედს იხრიდა უცხოთა ცხოვრებისა და კულტურის წინაშე და თავისას თრგუნავდა. ამ საკითხის წინ წამოწევა ერთ-ერთ მთავარ საბრძოლველ პრობლემად გადაიქცა ილ. ჭავჭავაძისათვის და მის თანამოკალმეთათვის. ილ. ჭავჭავაძემ ნიჟიერად ასახა ეს თავის უჭკნობ ეპოქალურ სატირაში „ბედნიერი ერი“. ილიამ და მისმა თანამოკალმეებმა სათანადო განგაში ასტეხეს მკითხველში ჯანსაღი პატრიოტიზმის, როგორც კეთილშობილი და კანონიერი მისწრაფების თავის თავის შეცნობის გასაღვიძებლად და ამ მიმართულებით ყურნალიცა და, თავისი პუბლიცისტ-მხატვრის ნიჟიც საგრძნობლად გამოიყენეს. აი რას აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე თავისი გამჭრიახი თვალთ ერთ-ერთ თავის „შინაურ მიმოხილვაში“.

„თუმცა „მამებისა და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილკაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეს ბრძოლა ჩვენშიც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილკაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზე“<sup>1</sup>.

ახალგაზრდობის ეს ნაწილი დააკვირდა ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახა, რომ ჩვენ ქვეყანას სხვა ტკივილებიც ჰქონდა და სხვა ფათერაკიც სდევდა, ამიტომ თავისი მოღვაწეობის საფუძვლად მან მიიჩნია — „დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან... ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის... ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეეფურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი... აი ქეშმარიტის ლიბერალის საქმე რარის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მალადადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურხ მოუ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 95.

ყრუებს და არ აპყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის“<sup>1</sup>.

ილიას მოწმობით, ამ „ახალმა გუნდმა და მისმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა“. ილია ასახელებს იმ ლიტერატურულ კერებს, სადაც ეს გუნდი მოღვაწეობდა, სახელდობრ — „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „ღრობა“ და „ივერია“.

ასეთი შეხედულების საფუძველზე ილია ჭავჭავაძისათვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო დრომოკმული, ცხოვრების გარე არსებული, უსარგებლო ლიტერატურული მიმართულებანი სანტიმენტალიზმ-რომანტიზმი. ამიტომ ილ. ჭავჭავაძემ მოურიდებელი და დაუზოგველი ბრძოლა გამოუცხადა ამ მიმართულებებს მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. „დროა, — გესლიანად წერს ილია, — ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებს სწვავს და ცრემლს ადენსო, დროა ხელოვნებამო თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრს მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აწინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა“<sup>2</sup>.

ილ. ჭავჭავაძე, როგორც ბელინსკი, ლიტერატურასაც აფასებს პუბლიცისტური თვალსაზრისით. ილ. ჭავჭავაძე დაყენებით მოითხოვდა მეცნიერებაცა და ხელოვნებაც, კერძოდ მხატვრული ლიტერატურაც, ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ო დ ე ს, გ ა მ ო ა ვ ლ ი ნ ე ბ დ ე ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს, ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს. ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა რ ს ს: „დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი ამოპყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ“<sup>3</sup>.

ასეთი შეხედულებების საფუძველზე ილ. ჭავჭავაძე ბელინსკის მსგავსად უარყოფითად უყურებს თეორიას, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მასთან ბრძოლას თავისი მოღვაწეობის პროგრამის ერთ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 95—97.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 68—69.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 70.

ერთ დებულებად აცხადებს ცნობილ წერილში „საქართველოს მოამბე-ზედ“. „დაე, ... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელით უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატყეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავეწევთ“<sup>1</sup>.

ასეთსავე შეხედულებას ილ. ჭავჭავაძე გამოხატავდა თავის პოეტურ შემოქმედებაში, რომელშიც არკვევდა პოეტის დანიშნულებას:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა;  
არა მარტო ტბილ ხმებისთვის  
გამომგზავნა ჭვეყნად ცაში“.

(„პოეტი“).

ილ. ჭავჭავაძე, როგორც ბელინსკი, დაჟინებით მოითხოვს ლიტერატურაში, მხატვრული იქნება ის თუ პუბლიცისტური, მოურიდებლად გამოამჟღავნოს, საყოველთაოდ დასანახავად გამოიტანოს, რასაც ვერ ხედავენ უღარდელი თვალები. მკითხველს თვალი აუხილოს, სინამდვილე დაანახოს, უკეთესობის სურვილი აღუძრას. აი როგორ განუმარტავს მკითხველს ილ. ჭავჭავაძე თავის მოთხოვნის „კაცია ადამიანი?!“ მიზანდასახულობას: „მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ... ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს, რამოდენადაც შეძლება აქვს—შენი ცული, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო... რაცა მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე“<sup>2</sup>. ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს პერიოდული გამოცემა, ჟურნალი. ამავე მიზნისათვის ილ. ჭავჭავაძე ცდილობდა ჰქონოდა თავისი ორგანო ახალთაობის იდეების გამოსატანად. „...ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი, — აცნობს მკითხველს ილია, — აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა. სრულის ვითარებითა რამდენად შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას — მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისთვის გამომცდელი. ჩვენ წინადავე ვერას ვიტყვი ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჭა-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 68.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 222—223.



დოებულსავეით გაჩერებული, — არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენ. „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“... აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავეალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვის თესლი ურევია, როგორც წარსულში ერივა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხეალისათვისა. რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი“<sup>1</sup>.

გაზეთ „ივერიის“ წინასიტყვაობაში“ (1877 წლის 1 №-ში) ილია უფრო კონკრეტულად არკვევს ჟურნალ-გაზეთების საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და ღირებულებას: „...ჟურნალ-გაზეთებს, — წერს ის, — ორ-გვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით, იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ქეშმარიტებისა. მეორის მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა, მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა“<sup>2</sup>.

\* \* \*

ჭევეყნის ასეთი სამსახურისათვის, უკეთესობისაკენ გზის გაკვალვისა და გაფართოებისათვის ილია, მსგავსად ბელინსკისა, გამუდმებით იყენებდა ჟურნალსა და გაზეთს და თავის პოეტურ-პუბლიცისტურ ნიჭს, თუმცა მძიმე, ჯოჯოხეთურ პირობებში უფლებააყრილი, დაშინებული საზოგადოების ყოფნა ილიას, როგორც ბელინსკის, სულს უხუთავდა, გასაქანს არ აძლევდა. მოიგონეთ გულშემზარავი განდობა ბელინსკისა ვ. ბოტკინისადმი: „წერა შესაძლებელი რომ იყოს, მაშინ მე დასტა ქალაღდზე მოკვეცდებოდი, და თუ მელანი აღარ იქმარებდა, გავხსნიდი ჩემს ძარღვს და სისხლით დავწვრიდი“<sup>3</sup>.

ასეთსავე ტკივილებს განიცდის ილ. ჰავეჰავეცი. აი როგორ ამცნობს მკითხველს ის თავის მძიმე განწყობილებას ერთ-ერთს თავის „შინაურ მიმოხილვაში“. „იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი,

<sup>1</sup> ი. ჰავეჰავეცი, თხზ., ტ. III, გვ. 67.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 257.

<sup>3</sup> Письмо Белинского к В. П. Боткину, от 1 марта 1841 г., Соч., изд. 1947, стр. 640—641.

უცნაური სენი დაჰჩემდა. ამბობენ, ეს სენი მარტო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვიო, ყველას, ვისაც ჰკუთხათან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დაფვიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩავუკვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ. ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალ-წინ და არა მშორდება... ეხლაც თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის. რა მემართება არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალ-წინ როგორღაც უხეიროდ, წალმა-უკულმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო... ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მინამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცბად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი.

ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამაჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდეც თუ არა. ვზივარ და შეეცურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილს. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!“...!

აი ამ მეფის რუსეთის სულთა მხუთავი სინამდვილის (რაც საქართველოსათვისაც იყო სინამდვილე, უფრო მძიმე პირობებში) მძლავრ და საღ კრიტიკულ გამოვლინებაში ბელინსკი ხედავდა რუსული ლიტერატურის გამაჯანსაღებელ ძალას და დიდს საზოგადოებრივ მნიშვნელობას. რუსეთის — ძველი რუსეთის ასეთს დაუნდობელ ჭეშმარიტ გენიალურ განსახიერებაში ჰხედავდა ბელინსკი გოგოლის, როგორც მწერლის, დიდ ღირებულებასა და დამსახურებასაც.

ასევეა ილ. ჭავჭავაძეც, მისი მხატვრული შემოქმედებაც მოურიდებელი, გაბედული და საღი კრიტიკა იყო მისი დროის მიძინებულის, უიღქმოდ მყოფი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ილ. ჭავჭავაძის მთელი მხატვრული შემოქმედება რაა, თუ არა გამაჯანსაღებელი, თვალისა, ყურისა და გონების გამომფხიზლებელი კრიტიკა. „ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, გულჩვილი და ლმობიერი; თვალაბმული, თავყარული, პირს ლაგამი ზომიერი; ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ჰკვადამჯდარი გულხმვიერი; მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუდლუტი და მანკიერი“ — ძველი თაობისა, ხოლო განსაკუთრებით კი მისი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ბედნიერი ერი“, „პასუხის

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 332—333.

პასუხი“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, „კაცია აღამიანი?!“ და სხვ. ასეთსავე გაკიცხვისა და განქიქების ამოცანას უსახავდა ილ. ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც, რასაც მან, შეიძლება ითქვას, თავისი შემოქმედებითი უნარის უმეტესი ენერგია შეაღწია. „ვიცინოთ თუ ვიტყვით“, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ და მრავალი სხვა.

ასეთსავე ამოცანას უსახავს ილ. ჭავჭავაძე ჟურნალ-გაზეთობაში მოღვაწეობას, კერძოდ აი რასა წერს „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში: „როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰქვენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვაჰს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცრუე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისის მეჭონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარი იქნებიან“<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულებით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძე, მსგავსად ბელინსკისა, დიდს მნიშვნელობას აძლევდა „მიმოხილვებს“ როგორც შინაურს, ისე უცხოეთისას. ილ. ჭავჭავაძეს, როგორც ბელინსკის, საქიროდა და სასარგებლოდ მიაჩნდა „მიმოხილვის“ წარმოება მაშინაც კი როდესაც „მიმოხილვისათვის“ სათანადო მოვლენა არა გვქონდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. როდესაც კითხულობთ ილ. ჭავჭავაძის „შინაურ მიმოხილვებს“, გგონიათ ავტორს ხელთ აუღია ანთებული ჩირაღდანი, გაფაციცებით იხედება ქართველი ხალხის ყოველ კუნჭულში და, საცა კი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულს, უარსაყოფსა და მავნე მოვლენას შეინიშნავს, უმალ მოურიდებლად და უშიშრად ამხელს, რათა მკითხველში (და პირველ რიგში ქართველ მკითხველში) გააღვიძოს საზოგადოებრივი გრძნობა და საზოგადოებრივი საქმისადმი სიყვარული და ზრუნვა. როდესაც ეცნობით ილ. ჭავჭავაძის „შინაურ მიმოხილვებს“, განცვიფრებაში მოდიხართ, რანაირადაა დაჭიმული, გამახვილებული მწერლის თვალყური და გონება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გარშემო. მისი ყურადღებისა და განსაცვიფრებლივ საღი შეფასების გარეშე არ რჩება არა მარტო დიდი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები, როგორცაა მაგ., ქა-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 69.

რთველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და მისი ყოველდღიური მუშაობა, ქართული თეატრის დაარსება, დასის შედგენა, თეატრის შენობა, ბანკის დაარსება-მოვლა, როგორც ქართული კულტურული ცხოვრების აღორძინების საღსარი, ქართული საშუალო სკოლის დაარსების გადაუდებელი საჭიროება, უმაღლესი სკოლის დაარსება თბილისში, წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლა და ამგვარი ბევრი სხვა, არამედ წვრილმანიც კი, როგორც მაგალითად: თეატრის ბუტაფორიის წვრილმანების შექმნა, ამისათვის ფულის გამოთხოვა, შეგროვება, გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულთა შორის ქართველთა მეტად უმნიშვნელო რიცხვის (ხან სრულიად არც ერთი) აღნიშვნა და მრავალი ამგვარი და უფრო წვრილმანიც. ამგვარ უარყოფით წვრილმანებში ილ. ჭავჭავაძე ხედავდა ქართული ეროვნული თვითშეგნების დასუსტებისა და ქვეყნის კულტურულად დაქვეითების ნიშნებს. ამიტომ ეს წვრილმანები ილ. ჭავჭავაძის შეგნება-შემოქმედებაში გათვალისწინებული იყო: ქართველი საზოგადოების ცხოვრების მთლიანობაში და აღნიშნული წვრილმანები, სამართლიანად, დიდი ეროვნული ნაკლისა და მნიშვნელობის ხასიათს იღებდა.

ილ. ჭავჭავაძე ასეთსავე დიდ ყურადღებას აქცევს უცხოეთის ცხოვრების „მიმოხილვებს“, უცხოეთის ცხოვრებასაც ილია ხედავს და სინჯავს ჩვენი შინაური ცხოვრების თვალსაზრისით. ის უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს იმ მოვლენებისადმი, რაც ქართველი საზოგადოებისათვის იქნებოდა ჭკუის სასწავლებელი, ცხოვრებაში გამოსაყენები, რაც ხელს შეუწყობდა ქართველი საზოგადოების მიერ სწორი გზის გამოჩვენებას, უკეთესისაკენ წინ წაწევას, რაც მას დამიზნებული მომავლისაკენ სვლის მაგალითსა და გამოცდილებას მისცემდა. იქნებოდა ეს „ირლანდია და ინგლისი“, „მილიტარობა ევროპაში“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, „ახია წინად და ახლა“, „დღევანდელი სპარსეთი“, „მაჰმადიანთა გაერთიანების საკითხი“, „ბალკანეთის საქმეები“, „აშლილობა კრიტის კუნძულზე“, „ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“, „ოსმალეთის არეულობა და ევროპა“, „ოსმალეთის სომეხთა გაწირვა“, „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის საკითხი“, „ახლო და შორი აღმოსავლეთის საკითხები“, „მუშათა ყოფაცხოვრების საკითხები ევროპაში“, „ქალების არჩევნების უფლება და ინგლისის პარლამენტი“, „პოლიაკების განდევნა პრუსიიდან“, „სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბულგარეთში“ და მრავალი სხვა.

ილ. ჭავჭავაძის „უცხოეთის მიმოხილვებს“ მკითხველი განცვიფრებაში მოჰყავს ავტორის დიდი გამჭრიახი ინტერესით, ყურადღებითა და გონიერების ხედვის ძალით; მკითხველი ადვილად რწმუნდება, რადენი სარგებლობის მომტანი და გამაფხიზლებელი იქნებოდა და იყო ქართველი საზოგადოებისათვის ილ. ჭავჭავაძის შინაური და უცხოეთის „მიმოხილვები“. როცა ეცნობით ილ. ჭავჭავაძის „მიმოხილვებს“, ილია გეხატებათ როგორც გოლიათი მუშა, რომელიც ხან ხელში ნიჩბითა და წერაქვით ანგრევდა დახავსებულს, დრომოკმულ, დამაბრკოლებელ მოვლენებს და სწმენდა და ჰკვერავდა მომავლის; უკეთესი მომავლის ახალ გზას, ხანაც როგორც თავდადებული, ენერგიული კალატოზი, გადამდები გატაცებით იზიდავდა თანაზიართ და ჰყრიდა მკვიდრ საძირკველს უკეთესი ცხოვრების დიადი სასახლისას, სადაც სხვა ერებთან ერთად თავისუფალი ქართველი ხალხიც შესძლებდა გაეშალა თავისი შემოქმედებითი უნარი. და თავის კალამს, ნიქსა და ჟურნალ-გაზეთებსაც ამ მიზნისათვის დაუზოგავად იყენებდა, როგორც დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა.

## ბესარიონ ბელინსკი – თეატრალური რეცენზენტი<sup>1</sup>

1

ბელინსკი რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში ბუმბერაზი მოვლენაა. ის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდა 30—40-იან წლებში. ეს წლები რუსეთის განვითარების ისტორიაში მეტად საგულისხმო საზოგადოებრივ ძალთა დიდი დაქიმვას ხანაა.

რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება დეკაბრისტების აჯანყების ბარბაროსული ჩაქრობის შემდეგ ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდება: რეაქციონურით — ნიკოლოზ I-ის მკაცრი მმართველობის მფარველობით და ოპოზიციონურით — მცირე ჯგუფის (უფრო უნივერსიტეტში მოსწავლე) მოწინავე ნაწილის მოღვაწეობის მეოხებით. ამ მოწინავე მოაზროვნე ახალგაზრდობაში ნიკოლოზ I-ის სასტიკმა რეაქციამ ვერ ჩაჰკლა გარდაუვალი ნდომა დამოუკიდებელი აზროვნებისა, წინმსვლელობისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილი, საღი გზის გამონახვისა. ამ მოწინავე მოაზროვნე ახალგაზრდობამ მწვავედ შეიგნო რუსეთის ინტელიგენციის გათიშვა რუსი ხალხის მასებიდან, მწვავედ განიცადა ის უფსკრული, რომელიც მასსა და რუს ხალხს შორის არსებობდა, და მტკივნეულად წამოაყენა საკითხი: რა გზით უნდა განვითარდეს რუსეთი, რომ ხალხი ბედნიერი იყოს?

ნიკოლოზ I-ის მეფობის მძიმე უღრობის ხანაში, როდესაც ყოველი თავისუფალი აზრი ძირშივე ნადგურდებოდა, ხოლო თავისუფალი, გაბედული მოაზროვნე ციხე-ციმბირში ან სარჩობელაზე იღუპებოდა, მალოდ ლიტერატურას, ისიც მხატვრულ ლიტერატურას, შეეძლო ცოცხალი სიტყვა, აღმზრდელობითი საზრდო მიეცა მკითხველისათვის.

მოწინავე რუსული ლიტერატურა, როგორც მხატვრული ისე პუ-

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: თბილისის სასტუმრო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXVII, 1949.

ბლიცისტურ-კრიტიკული, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ამ მიმართულებით წავიდა, გაბედულად ააფრიალა უკეთესი მომავლის მოპოვებას დროშა, ზედ დააწერა „უმცროსი ძმის“ — ხალხის მასების ბედნიერებაზე ფიქრი და ზრუნვა, თუნდაც დიდი მსხვერპლის გაღებით.

ამ შესანიშნავი თაობის ერთი საუკეთესო, ბრწყინვალე წარმომადგენელია გენიოსური ნიჭის შარავეანდელით მოსილი ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკი.

ეს „მძინვარე ბესარიონი“ («ненстовый Виссарион»), როგორც მას თანამედროვენი ეძახდნენ, შეგნებულად იწოდა (და უდროოდ დაიფერფლა კიდეც) ხალხის ბედნიერების სამსხვერპლოზე. მიუხედავად მძიმე, უაღამიანო პირობებისა, ის გაბედულად და მოურიდებლად ამქლავებდა თავის აზრს როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით და თავის ცხოველმყოფელ სიტყვას უხვად აბნევდა მსმენელსა და მკითხველზე.

ბელინსკის შემოქმედება მეტად მდიდარია და მრავალფეროვანი. ის ცნობილია როგორც გენიოსი კრიტიკოსი, მაგრამ ის აგრეთვე ცნობილია როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი, როგორც პედაგოგი, როგორც მწერალი, როგორც მრავალფეროვანი ბიბლიოგრაფი — რეცენზენტი, და აგრეთვე როგორც უბადლო თეატრალური რეცენზენტი.

წინამდებარე წერილში ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ბელინსკიზე, როგორც თეატრალურ რეცენზენტზე.

ისეთი გააფთრებული რეაქციის ხანაში, როგორიც იყო ნიკოლოზ I-ის ეპოქა, მხატვრული შემოქმედება და თეატრი, თუ ერთადერთი არა, საუკეთესო საშუალება იყო ცხოველმყოფელი აზრისა და სიტყვის მასებში გასატანად. ეს ერთგვარი ნილაბი იყო, რომ ქარაგმებით შეეპარებინათ სიმართლისა და ჭეშმარიტების თესლი. ამითაც უნდა აიხსნებოდეს 30—40-იან წლებში მრავალი რუსი ინტელიგენტის თეატრით გატაცება. მაგალითად, რუსეთის ამ ეპოქის საზოგადო აზროვნების ერთი საუკეთესო წარმომადგენელი სტანკევიჩი აი რასა სწერს ნევეროვის 1833 წ. 20 მაისს: „თეატრი ჩემთვის ატმოსფეროდ ხდება... გრძნობებს ვერავის ვუზიარებ, — იქ, ხელოვნების ტაძარში, როგორღაც თავისუფლად სუნთქავს სული, მრავალი ხალხი მას არა ზღუდავს, რადგანაც მრავალს თავს რაღაცა აზრი დასტრიალებს, ის ჩემგან ჰფარავს უღირსთ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Н. Станкевич, Переписка, стр. 27.

ბ. ბელინსკი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე თეატრს არა-ჩვეულებრივი გულისხმიერებით თვალყურს ადევნებდა არა მარტო როგორც ხელოვნების ქურუმი, არამედ აგრეთვე როგორც საზოგადო მოღვაწე, ტრიბუნი, რომელსაც, თანადროულობის გარდაქმნის აუცილებლობით შებოჭილს, ყველაფერი უნდა გამოიყენოს ამ მიზნის განსახორციელებლად და თეატრიც პირველ რიგში ამ მიმართულებით აინტერესებს.

თავის ცნობილ წერილში «Литературные мечтания» ბელინსკი სხვა საჭირობოროტო საკითხების გარკვევას მისთვის დამახასიათებელი გატაცებით ჩაურთავს თეატრის საზოგადოებრივი მნიშვნელობის განმარტებასაც. მისი შეხედულებით, შეუძლებელია კაცს თეატრი ცხოვრებაში ყველაზე მეტად, გარდა „მადლისა და ჭეშმარიტებისა“, არ უყვარდეს. მისი გაგებით, თეატრი თვითმპყრობელური მბრძანებელია გრძნობებისა, არც ერთს ხელოვნებას არა აქვს ისეთი მძლავრი საშუალებები ადამიანის სული დაიმორჩილოს შთაბეჭდილებებით და ათამაშოს ის თავისებურად, როგორც თეატრს.

რითაა გამოწვეული ბელინსკის ასეთი წარმოდგენა თეატრზე? ამის პასუხს გენიოსი კრიტიკოსი ხსენებულ წერილში მკაფიოდ იძლევა: „მე უპირატესად დრამა მიყვარს... დრამის საგანი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი და მისი ცხოვრებაა... ადამიანი ყოველთვის იყო და იქნება ყველაზე საყურადღებო მოვლენა ადამიანისათვის, ხოლო დრამა ამ ადამიანს წარმოადგენს მის მარადიულ ბრძოლაში თავის თავთან და თავის დანიშნულებასთან, მის მარადიულ საქმიანობაში, რომლის წყაროცაა რაღაც ბუნდოვანი ბედნიერების იდეალისაკენ მისწრაფება, რომელსაც ის იშვიათად ჰხვდება და უფრო იშვიათად აღწევს“<sup>1</sup>. აი სწორედ კაცობის და მისი ცხოვრება, რომელთა არსის გამოუმქდავენება, თვალსაჩინოება თეატრის დანიშნულებაა, არის მიზეზი ბელინსკისა და მისი თანამოაზრეების თეატრით გატაცებისა.

ადამიანისათვის ბედნიერი ცხოვრების მოპოვება იყო იმთავითვე ბელინსკის მოღვაწეობის წამყვანი ამოცანა. მტკივნეული წინააღმდეგობები, რომლებშიც ბელინსკი ხანდახან ჩავარდებოდა ხოლმე, სწორედ ადამიანისათვის ბედნიერების მოპოვების საიდუმლოების ამოხსნის დიადი სურვილით აიხსნება. იქ, თეატრში, ბელინსკის ვაკვებითა და განცდით, მკითხველის თვალწინ იშლებოდა ადამიანის ვნებათა და მდგომარეობათა უსაზღვრო ქვეყანა, „თქვენ აქ, — წერს ბელინსკი, — ცხოვრობთ არა თქვენი სიცოცხლით, იტანჯებით“

<sup>1</sup> В. Белинский, Литературные мечтания. Собрание соч., т. I, стр. 370. Изд. под ред. С. А. Венгерова.



არა თქვენი მწუხარებით, ლხინობთ არა თქვენი ნეტარებით, ძრწით არა თქვენი განსაცდელით; აქ თქვენი ცივი „მე“ ინთქმება სიყვარულის ანთებულ ეთერში. თუ თქვენ გაწუხებთ მტანჯველი აზრი თქვენი ცხოვრების მიიმე ღვაწლისა და სისუსტე თქვენი ძალებისა, — თქვენ აქ ის დაგავიწყდებათ; თუ თქვენ სულს ოდესმე სწყუროდა სიყვარული და მოხიბლულობა; თუ თქვენს წარმოსახვაში ოდესმე კრთოდა რაიმე დამატყვევებელი სახე, დიდი ზანია თქვენგნით დავიწყებული, როგორც განუხორციელებელი ოცნება, — აქ ეს წყურვილი თქვენში აფეთქდება ახლად, დაუწყნარებელი ძალით, აქ ეს სახე ახლად წარმოგიდგებათ და თქვენ დინახავთ მის თვალებს... დათვრებით მისი მომხიბვლელი ხილვით, ათრთოლდებით მისი ხელის ცეცხლოვანი შეხებით“...<sup>1</sup>.

ბელინსკი ანიჭებს თეატრს ასეთს დიდს აღმზრდელობით მნიშვნელობას და დაუძლეველი სურვილით ნატრობს შეიქმნას ხ ა ლ ხ უ რ ი რ უ ს უ ლ ი თ ე ა ტ რ ი (მანამდე რუსულ სცენაზე უმეტეს შემთხვევაში იდგებოდა უცხო ენებიდან ნათარგმნი პიესები, ოპერაც, რა თქმა უნდა, უცხოური იყო), სადაც შესაძლებელი იქნებოდა მთელი რუსეთის დანახვა თავისი „სიკეთითა და ბოროტებით, თავისი მაღალი და დაბალი და სასაცილო მხარეებით, მისი ცხოვრების მაჯისცემით“.

თეატრს, თეატრალურ მოღვაწეობას ბელინსკი სამართლიანად სთვლის ხელოვნების ერთ-ერთ დარგად და მეტად რთულ დარგადაც, სადაც „თავს იყრის ყველა გრძნობა, ყველა მომხიბვლელობა. ყველა ხელოვნების ცთუნება“. ამიტომ, მისი აზრით, და, რა თქმა უნდა, სამართლიანი აზრითაც, თეატრალური ხელოვნება, როგორც ხელოვნება, არ შეიძლება იყოს აღმაფრენის, ზეშთაგონების გარეშე. მაგრამ ბელინსკის, როგორც ჭეშმარიტ ხელოვანს კარგად ესმის, რომ მარტო აღმაფრენით, ზეშთაგონებით არ შეიძლება ნიჭიერი, თვით გენიოსი მსახიობიც კი შეიქმნას ნამდვილ ხელოვანად, ხელოვნების ნამდვილ ქურუმად. ამ თვისებებთან ერთად საჭიროა ხელოვანი მუშაობდეს თავგამოდებით, ვინაიდან სწორედ თავის თავზე დაუდალავად სისტემატური მუშაობა ააცდენს ხელოვანს რუტინას და მის ნიჭს მისცემს ჭეშმარიტი გამოვლინების საშუალებასა და შესაძლებლობას.

აი რას ასწავლიდა გენიოსი კრიტიკოსი-მხატვარი ხელოვნების მსახურთ „...მარტო აღმაფრენა, მარტო უშუალო გრძნობა ბედნიერი საჩუქარი ბუნებისა, მდიდარი შემკვიდრეობა უშრომოდ და დაუმსა-

<sup>1</sup> В. Белинский, Литературные мечтания. Собрание соч., т. 1. стр. 370, Изд. под. ред. С. А. Венгерова.

ხურებლად მიღებული; მხოლოდ შესწავლა, მეცნიერება, შრომა ჰქმნის ადამიანს ღირსეულ და კანონიერ მფლობელად ამ ხშირად შემთხვევითი შემკვიდრებისას — ისინივ ადასტურებენ მის სინამდვილეს. უიმათოდ ეს შემკვიდრება კიდევ იკარგება და კიდევ იფლანგება. აქედან აშკარაა, რომ მხოლოდ ამ წინააღმდეგობათ შეერთებისაგან იქმნება ჭეშმარიტი მხატვარი, როგორც რუსულ თეატრს ჰყავს შჩეპკინის სახით<sup>1</sup>.

ბელინსკიმ თანამედროვე მათემატიკურებსა და თვით რუსულ სცენაზე მოქმედ მსახიობსა და რომ დაუმტყიცოს თავისი აზრის ჭეშმარიტება. რომ სცენიურ ხელოვნებაში ცალმხრივობა არ არის საკმარისი, რომ ზესთაგონებითი ნიჭის მოქმედებისა და შრომა-მეცადინეობის შეერთებული გამთლიანებული ამოქმედება მთლიანი მხატვრული განცდისათვის აუცილებელია, იმავე რეცენზიაში ორი თანამედროვე რუსი მსახიობის მოჩალოვისა და კარატიგინის თამაშის კონკრეტულ მაგალითზე მშვენიერ თვალსაჩინო დასაბუთებას იძლევა. „რა სიხარულია ჩემთვის ვნახო ჭკვიანი, მკაფიო, მაგრამ ცივი შესრულება ოტელოს როლისა, რომელშიც შეიძლება აპატიოთ უსწორმასწორობა, გაუფრთხილებლობა, მარცხი, მაგრამ სამაგიეროდ არ აპატიოთ განმანადგურებელი ვნებიანობის ნაკლებობა აფრიკული ვეფხისა და დიდი კაცისა ერთად?...<sup>2</sup>. მეორე მხრით, რა სიხარულია ჩემთვის პათეტიკურ სცენაში ვნახო ღირი ქალიშვილთან, ჭეშმარიტად შეურაცხყოფილი მამა — მეფე, ვნახო ვილაც მეშჩანინი, რომელიც ცდილობს დაგარწმუნოთ, თითქოს ის მეფე არ არის...“<sup>3</sup>.

მაგრამ ბელინსკი იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რუსული თეატრი და მისი მოღვაწენი მხოლოდ განვითარების დასაწყისში არიან, რომ ჯერ კიდევ არ შექმნილა ნამდვილი რუსული, სახალხო თეატრი, აღნიშნავს რა ამ ნაკლს და მისი გამოსწორების აუცილებლობას, — მსახიობთა გასამხნეველად და ობიექტური დაფასების შეგნებით იმედინად ასკვნის: „ხელოვნების ისტორიის განვითარებაში ცალმხრივობასაცა აქვს თავისი მნიშვნელობა და ამიტომ ვისურვოთ, რომ მოსკოველმა მოჩალოვმა თავი არ დაანებოს, როგორც ვესტალკამ, თავის ხელოვნების არსის ღვთაებრივი ცეცხლის შენახვას, ურომლისოდაც არ არის ხელოვნება, არამედ მხოლოდ ცოდნაა. დეე, პეტერბურგელი კარატიგინიც თავს ნუ დაანე-

<sup>1</sup> В. Б е л и н с к и й, Александринский театр («Велизарий»). Сочинения г. IV, стр. 396.

<sup>2</sup> ბელინსკის აქ მხედველობაში ჰყავს პეტერბურგის თეატრის მსახიობი კარატიგინი.

<sup>3</sup> ბელინსკის აქ მხედველობაში ჰყავს მოსკოვის თეატრის მსახიობი მოჩალოვი.

ბებს ჩვენებას, რა არის ფორმის მხატვრულობა, ურომლისოდაც უნდა შემართო ხელოვნება არასაკმაოა და არასრული<sup>1</sup>.

## 2

ბელინსკის შეხედულებით, სცენიური გენიის, სცენიური ხელოვნების გამარჯვება მდგომარეობს მსახიობის პოეტთან სრულყოფილ კარმონიაში. ბელინსკი, მისთვის დამახასიათებელი გენიალური ჩაწვდომით, ახასიათებს თუ არკვევს სცენიური ხელოვნებისა და მსახიობის შემოქმედებათა შორის ურთიერთობას. ბელინსკის შეხედულება ამ ურთიერთობის შესახებ დღესაც სახელმძღვანელოდ უნდა ჩაითვალოს.

სცენიური ხელოვნება, ბელინსკის სამართლიანი გაგებით, როგორც ყოველი ხელოვნება, შემოქმედებითაა. მსახიობის ნიჭი და ძალაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან განახორციელოს პოეტის — ავტორის მიერ შექმნილი ხასიათი. სწორედ ამ „განხორციელებაში“ მდგომარეობს მსახიობის შემოქმედებაც. ეს მდგომარეობა მკითხველისა და მაყურებლისათვის თვალსაჩინოდ რომ გაეხადა, ბელინსკი კონკრეტული მაგალითით აჩვენებდა, რაც მის შეხედულებას უფრო მეტ დამაჯერებლობას აძლევდა. „შექსპირის ყოველი დრამატული პირი კონკრეტულია და ცოცხალი, როგორც თავისუფლად და რეალურად მოქმედი პირი, მაგრამ თავისი შემოქმედების საშუალებით; თქვენ ყველგან ჰხედავთ მის ყოფნას, მაგრამ მას თვითონ ვერა ჰხედავთ; თქვენ კითხულობთ მის სიტყვებს, მაგრამ არ გესმით მისი ხმა, და ამ ნაკლს თქვენ ავსებთ თქვენი საკუთარი ფანტაზიით, რომელიც სრულიად დამოკიდებულია რა ავტორისაგან, მასთან ერთად თავისუფალიცაა მისგან. დრამატული პოეზია არ არის სრული სცენიური ხელოვნების გარეშე: რომ სისრულით გავიგოთ მოქმედი პირი, საკმარისი არ არის ვიცოდეთ, ის როგორ მოქმედებს, ლაპარაკობს, გრძნობს — საჭიროა დავინახოთ და გავიგონოთ, თუ ის როგორ მოქმედებს, ლაპარაკობს, გრძნობს“<sup>2</sup>.

სწორედ ეს მეორე მხარე მოქმედი პირის გაგებისა, ბელინსკის სამართლიანი შეხედულებით, ხორციელდება მსახიობის საშუალებით. მოქმედი პირის სწორედ ამ მეორე მხარის განხორციელებაშია მსახიობის ნიჭიც, უნარიც, ცოდნაც და სცენიური ხელოვნების დიდი მნიშვნელობაც და დანიშნულებაც.

ეს დებულება რომ უფრო გაამახვილოს და მსახიობის შემოქმე-

<sup>1</sup> В. Белинский, Сочинения, т. IV, стр. 397.

<sup>2</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета, Соч., т. III, стр. 242.

დებათი ნიჭის ძალა მკითხველსა და მაყურებელს და თვით მსახიობსაც უფრო მკვეთრად აგრძნობინოს, გააგებინოს და აღზარდოს კიდეც, ბელინსკი თავის აზრს იქვე ასე ავითარებს: „ორი მსახიობი, ერთნაირად დიდი, ერთნაირად გენიალური თამაშობს ჰამლეტის როლს — ყოველი მათგანის თამაშში გამოჩნდება ჰამლეტი, შექსპირის ჰამლეტი; მაგრამ მასთან ერთად ეს იქნება ორი განსხვავებული ჰამლეტი, ე. ი. ყოველ მათგანს... ექნება თავისი საკუთარი ფიზიონომია, რომლის შექმნა სცენიურ ხელოვნებას ეკუთვნის“<sup>1</sup>.

ბელინსკის აზრით, მსახიობი მართლა თავისუფალი მხატვარია, ხელოვანია, მაგრამ ამასთან ერთად, ის მჭიდროდაა დაკავშირებული დრამატულ მწერალთან. ეს თავისუფლება და დამოკიდებულება, გაანუყრელად შეკავშირებულნი, არა მარტო ბუნებრივია, არამედ აუცილებელიცაა. სწორედ ამ ორი უკიდურესობის გავრუიანებაში მსახიობი შეიძლება შეიქმნეს დიდი, ზემოქმედი.

ამასთან, როგორც ყოველი თავისუფალი ხელოვანი, მსახიობი ჰქმნის აღმაფრენით. აღმაფრენა კი, ბელინსკის ნიჭიერი გაგებით ჰქმნის ჰამარიტების განჭვრეტა. ამიტომაც მსახიობის აღმაფრენა და მისი ძალა მჭიდროდაა დამოკიდებული დრამატული შემოქმედებისაგან. „რამდენადაც მაღალია პოეტი, — განმარტავს ბელინსკი, — იმდენად ზეშთაგონებული უნდა იყოს მსახიობი, რომელიც მისგან შექმნილ როლს თამაშობს, რადგანაც რამდენადაც ღრმია ჰქმნარიტება, მით უფრო ღრმა უნდა იყოს მასში ჩაწვდომა და, მაშასადამე, აღმაფრენაც“<sup>2</sup>.

დრამატული ნაწარმოების ასეთი მნიშვნელობა რომ მკითხველთა და მაყურებელთათვის თვალსაჩინო გახადოს, ბელინსკი მოჩალოვის თამაშის მაგალითს იღებს და აანალიზებს. ბელინსკი მიუთითებს მკითხველთ და მაყურებელთ, რომ მოჩალოვის დიდი არტისტიკული ნიჭი და უნარი გამახვილებულად გამომჟღავნდა ჰამლეტის როლში და არა მჟღავნებოდა მანამდე სხვა მეორეხარისხოვანი დრამატურგების პიესებში. ამ გარემოებას ბელინსკი ხსნის იმით, რომ მსოფლიოში შექსპირი უდიდესი დრამატული პოეტია და მხოლოდ იმისი პიესები მსახიობს აძლევენ შესაფერ შესაძლებლობას, მხოლოდ მის მიერ შექმნილ როლებში დიდს მსახიობს შეუძლია გამოვლინდეს დიდ მსახიობად.

ავტორისა და მსახიობის ურთიერთობის ახსნა-განმარტების შემდეგ ბელინსკი არკვევს, თუ როგორი უნდა იყოს მსახიობის ბუნებრივი მონაცემები, მისი ნიჭის თავისებუ-

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 242.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 244.

რეზოლუცია და უნარიანობის რაობა, ე. ი. რა მოეთხოვება მსახიობს, რომ მან მაყურებელი დააკმაყოფილოს, მაღალი, ქეშმარიტი ესთეტიკური გრძნობის განცდა მისცეს მას.

ბელინსკი თავის მოვალეობას — თეატრალური რეცენზენტის მოვალეობას, უყურებს საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ამ რეცენზენტების საშუალებით ის ცდილობს არა მარტო თეატრის რეპერტუარი გაწმინდოს უსარგებლო, უიდეო პიესებისაგან, გააჯანსაღოს ის, არა მარტო ხელი შეუწყოს თეატრალური წარმოდგენების გაუმჯობესებას და მაყურებლებში სერიოზული დამოკიდებულების გამომუშავებას, არამედ აგრეთვე ხელი შეუწყოს თვით ავტორების — დრამატურგებისა და მსახიობთა ზრდას, განვითარებას, მათი ჯანსაღი კადრების შექმნას. ამიტომაც ცნობილ ისტორიულ რეცენზიაში ბელინსკი ამ საკითხს თავისი პირუთვნელი, ბობოქარი კალმით ეხმაურება, ის ერთგვარი მორიდებითა და თავმდაბლობით აცხადებს, რომ შიშს განიცდის, როდესაც სცენიური ხელოვნებისა და კერძოდ ამ ხელოვნების მსახიობის მოჩალოვის თამაშის შეფასებას გადასცემს მკითხველს, რადგანაც მას, სცენიური ხელოვნების უბრალო მოყვარულს, არ ძალუძს ამის გადმოცემა განსაკუთრებით „ქალღმერთ მკვდარი ასოთი“.

მსახიობობა, ბელინსკის სამართლიანი გაგებით, რთული შემოქმედებაა. მსახიობი დაჯილდოვებული უნდა იყოს, გარდა აუცილებელი ბუნებრივი მონაცემებისა (როგორცია: მოხდენილი, წარმოსადეგი შეხედულება, მოქნილი და მძლავრი ხმა), ხელოვანის ნიჭით, უნარიითა და ალღოთი; ის, როგორც ბელინსკი განმარტავს, უნდა იყოს „ეცხლოვანი ორგანიზაცია, გამლიზიანებელი, წაშე აალებადი, მოძრავი სახე — ქეშმარიტი სარკე ყველა გრძნობებისა, სიყვარულისა და ტანჯვის გადმოცემაში ღრმა და უსაზღვრო ნიჭი“<sup>1</sup>.

ყველა აღნიშნული თვისება მსახიობისათვის აუცილებელია და, რაც უფრო გამახვილებულად ექნება მსახიობს ეს მონაცემები, მით უფრო ღირსეულად შესძლებს ის იმ აუცილებელი მოთხოვნების დაძლევისა და შესრულებას, რასაც გარდაქმნის უნარი ეწოდება, რაც მსახიობისათვის აუცილებელია, რის გამომქლავება-განსახიერებაც თვით მსახიობს უმაღლეს დაკმაყოფილებას ანიჭებს, ხოლო მაყურებელს ხიბლავს და დიდი სიამოვნების განცდას აძლევს.

აი როგორი ზედმიწევნითი სისწორით ახასიათებს ბელინსკი მსახიობის გარდაქმნის უნარს: „მსახიობი ცხოვრობს იმ პირის სიცოცხლით, რომელსაც ის ასახავს. მისთვის დრამის მთლიანი იდეა კი არ არსებობს, არამედ ერთი პირის იდეა. და გაიგო რა მან ამ პირის იდეა

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета, Соч., т. III, стр. 243.

ობიექტურად, ის მას ასრულებს სუბიექტურად. ის უკვე არა ცხოვრობს თავისი სიცოცხლით, არამედ იმისი სიცოცხლით, ვისაც ის გვისახავს, ის იტანჯება მისი მწუხარებით, იხარის მისი სიხარულით, უყვარს მისი სიყვარულით“<sup>1</sup>.

ბელინსკის კარგად ესმის, რომ ასეთი თამაში, ნიჭის ასეთი გამოვლინება მსახიობის მიერ უნდა თავისუფლად ხდებოდეს. თავისუფლების გარეშე მსახიობის თამაში ხელოვნება კი არ იქნებოდა, არამედ ხელოსნობა. ხელოსნობა კაცმა შეიძლება შეისწავლოს, მაგრამ ხელოვნება, გარდა ცოდნისა, თხოულობს აგრეთვე ამა თუ იმ ხელოვნებისათვის შესაფერ მარკვეულ სპეციფიკურ მიდრეკილებას. ბელინსკის გაგებით, არტისტიული გარდაქმნის უნარი, რომელიც მსახიობს უქვევლად უნდა ახასიათებდეს, მსახიობის სუბიექტურობაში კი არა მდგომარეობს, არამედ მისი ნიჭის ძალაში და ამ ნიჭის განვითარების ხარისხში. ამიტომ ბელინსკი აუცილებელ პირობად თვლის მსახიობმა თავის თავზე ბეჯითად იმუშაოს.

თავის მეტად საგულისხმო რეცენზიაში «Мочалов в роли Гамлета» ბელინსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც მას ამ რეცენზიაში აქვს ნათქვამი, მართო მოჩალოვს კი არ ეხება, არამედ ყველა მსახიობს.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი დადებითი შედეგი მოაქვს მსახიობის მუშაობას თავის თავზე, ბელინსკი ერთ-ერთ თავის რეცენზიაში ახასიათებს იმ დროის გამოჩენილი მსახიობის შჩეპკინის მუშაობას თავის თავზე. „შჩეპკინი მხატვარია, ამიტომაც მისთვის როლის შესწავლა არა ნიშნავს ერთხელ მოემზადოს მისთვის და შემდეგ გაიმეოროს: მისთვის ყოველი ახალი წარმოდგენა ახალი შესწავლაა. ის ყოველთვის წარჩინებით თამაშობდა გოროდნიჩის როლს (გოგოლის „რევიზორის“ მოქმედ პირს — მ. ზ.), მაგრამ ახლა ის ამ როლში ბატონია და თანდათან უფრო მეტი და მეტი თავისუფლებით თამაშობს მას. მისი თამაში შემოქმედებაა გენიალური. ის ავტორის თანაშემწე კი არ არის, არამედ მოცილეა როლის შექმნაში“<sup>2</sup>.

ამ შეხედულების დასამტკიცებლად გენიალურ კრიტიკოს-რეცენზენტს თვით მოჩალოვის თამაშიც მშვენიერ ნიმუშს აძლევდა. „პროვინციალისათვის, — წერს ბელინსკი, — რომელსაც მოჩალოვი ნანახი ჰყავდა მხოლოდ ჰამლეტის როლში, მას რომ იგი ოტელოს როლში ენახა, ძნელად დასაჯერებელი იქნებოდა, რომ იგივე მოჩა-

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета, Соч., т. III, стр. 243.

<sup>2</sup> В. Белинский. Петровский театр. Соч., т. III, стр. 470.

ლოვია და არა სრულიად სხვა მსახიობი; ასე იცვლის ხოლმე ის თავის გარეგნობასაც, სახესაც, ხმასაც, ქცევასაც, იმ როლის ბუნების მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელსაც ის თამაშობს“<sup>1</sup>.

ბელინსკი აღნიშნავს, რომ ამგვარი დამატყვევებელი გარდაქმნის უნარი მოჩალოვმა გამოამჟღავნა ჰამლეტისა და ოტელოს როლების განსახიერებაში, მაშინ როდესაც მოჩალოვს მაყურებლები უკეიფებდნენ სუბიექტურობასა და ერთფეროვნებას, რომლითაც ის ყველა როლს თამაშობდა. ბელინსკი უთანხმება მაყურებელთა ამ აზრს, მაგრამ თანაც აღნიშნავს, რომ ეს ბრალდება მოჩალოვისადმი სამართლიანი იყო მხოლოდ მანამდე, სანამ მოჩალოვი შექსპირის მიერ შექმნილი როლების შესრულებას დაიწყებდა.

ამ მოვლენის ხაზის გასმა ბელინსკის სკირდება არა მარტო იმისათვის, რომ მაღალი შეფასება მისცეს შექსპირს, როგორც დრამატურგს, მის უნარს დიადი ბუნებრივი ხასიათების შექმნაში, არამედ უფრო იმისათვის, რომ მიუთითოს დრამატურგებს ისწავლონ ნამდვილი ცხოვრების, სიცოცხლის მოვლენების ბუნებრივი გადმოცემა და ცოცხალი სახეების მოცემა, ხოლო მსახიობებს — ჩასწვდნენ შექსპირის ამ საიდუმლოებას და თავიანთ თამაშში განასახიერონ.

რა არის ეს საიდუმლოება შექსპირის შემოქმედებისა, რაც ასე იზიდავს გენიალურ კრიტიკოსს? ამის პასუხსაც გარკვეულად და ხაზგასმით იძლევა ბელინსკი: „...შექსპირის ყველა დრამაში არის ერთი გმირი, რომლის სახელსაც არ აღნიშნავს მოქმედ პირთა რიცხვში, მაგრამ რომლის ყოფნასა და პირველობას მაყურებელი გაიგებს ფარდის დაშვების შემდეგ. ეს გმირია — ცხოვრება... სწორედ ამ უჩინრად დამსწრე გმირს და ყველა თავის დრამების მთავარ პირს უნდა უმაღლოდეს შექსპირი თავის მარად უტკნობ დიდებას, ვინაიდან მასში მდგომარეობს მისი აბსოლუტურობა“<sup>2</sup>.

ბელინსკის ღრმა რწმენით, სწორედ ეს სინამდვილე, ცხოვრება, უნდა იყოს საფუძველი, საგანი საერთოდ ყოველგვარი ხელოვნებისათვის და კერძოდ სცენური ხელოვნებისათვისაც. კულტიცხოვრებისა — სინამდვილისა, რეალიზმისა უნდა ავსებდეს ყოველივე ხელოვნებასა და კერძოდ, თეატრალურ ხელოვნებას და მის მუშაობა შემოქმედებას. ბუნებრივ ასახვაში არ არის არსი და მნიშვნელობა ხელოვნების ყველა დარგისა, კერძოდ თეატრალურისა.

მაყურებელს, ავტორს, მსახიობსა და მკითხველს რომ აჩვენოს ასახვის ბუნებრიობის დიადი ძალა, ბელინსკი ისევ შექსპირის შემო-

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 271.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 237.

ქმედებას იშველიებს. „მთელი ეს სცენა (ლაერტის მიერ ჰამლეტის ხმალი გამოწვევა — მ. ზ.), — წერს ბელინსკი, — ზედმიწევნით მშვენიერია: მასში არაფერია მოგონილი, ნაძალადევი ან კვანძის გახსნისათვის გამოძებნილი ძალდატანება, ბუნებრივის უქონლობის გამო, როგორც ხშირად ეს ჩვეულებრივ ტალანტებს აქვთ. შექსპირთან, პარიჭით, კვანძის გახსნა აუცილებლობით გამომდინარეობს მოქმედების არსიდან და ხასიათის ინდივიდუალობიდან და ყველაფერი ეს სადაა, ჩვეულებრივი და ბუნებრივი“<sup>1</sup>.

ცოცხალი სინამდვილის სადა ბუნებრივობით ასახვა, განსახიერება და ჩვენება — აი არსი ყოველგვარი ხელოვნებისა და კერძოდ თეატრისა და მსახიობისა. ეს ლოზუნგი მეტი გარკვევით წამოაყენა ბელინსკიმ და თავგამოდებითაც იცავდა მას მთელი მოღვაწეობის მანძილზე და ამ შეხედულების განმტკიცების მიზნით ყოველგვარ საშუალებას იყენებდა.

ბელინსკი კარგად გრძნობდა, თუ რამდენად გასაგები, ადვილად მისაღები იქნება მისი შეხედულებები სცენური ხელოვნების შესახებ, თუ ის მათ თვალსაჩინოდ განუმარტავს, აჩვენებს მკითხველს, მაყურებელს, ავტორს და თვით მსახიობსაც. ამ მიზნით აქვს მას დაწერილი უქკნობი რეცენზია: «Мочалов в роли Гамлета».

მაგრამ, როგორც თვითონვე სამართლიანად აღნიშნავს, სცენური ხელოვნება მეტად უმადური ხელოვნებაა, „რადგანაც ის ცოცხლობს მხოლოდ აწმყოში, შემოქმედებისა და ძალუმი მოქმედების მომენტში ადამიანის სულზე, ხოლო წარსულში უჩინარია. როგორც მოგონება, მსახიობის თამაში ცოცხალია მისთვის, ვინც შეძრწუნებული იყო იმით, და არა მისთვის, ვისაც ის მოისურვებდა გადაეცა თავისი მასზე წარმოდგენა“<sup>2</sup>.

აქაც ბელინსკი სამართლიანია. მართლაც, ზოგიერთი მოღვაწეობის ასპარეზი უმადურია: საწყენია, როდესაც ითვალისწინებთ ბედს ნიჭიერი ო რ ა ტ ო რ ი ს ა ს, რომლის ცეცხლიანი სიტყვა აღაგზნებს და აღაფრთოვანებს მსმენელთა მასებს; ნიჭიერი პ ე დ ა გ ო გ ი ს ა ს, რომლის ცეცხლიანი გაკვეთილი თუ ლექცია სიხარულით ავსებს, ზრდის, ამაღლებს და ამხნევეს ნორჩი მსმენელების გულსა და გონებას; ნიჭიერი მ ს ა ხ ი ო ბ ი ს ა ს, რომლის ჩაწვდომითი მგზნებარე თამაში მაყურებელს უმადლესი სიამოვნების განცდას აძლევს — მათი დაფასება და მათდამი დიადი სიყვარული და პატივისცემა მხოლოდ მათშია, ვინც მათი უშუალო გავლენა განიცადა. სტო-

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета, Соч., т. III, гл. 221.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 239.



ვებენ მოღვაწეობის ასპარეზს ეს კეთილშობილი, ნიჭიერი მოღვაწე-  
ნი და, როცა მათი უშუალო გავლენის განმცდელნიც მოიხსნებიან  
ცხოვრების ასპარეზიდან, ეს მძლავრი შემოქმედებითი ნიჭით აღჭუ-  
რვილნი, ადამიანისადმი სიყვარულის კერაზე უანგაროდ, ხშირად  
უდროოდ დაფერფლილნი, იკარგებიან, მათ წარსულის წყვდიადი  
ნთქამს. მემუარული განცდა წერილობით თუ ვინმემ შეინახა, ის მა-  
რთლაც წვეთია ზღვაში.

აი, რატომ ასე მძიმედ მიაჩნია ბელინსკის თეატრალური რეცენ-  
ზენტის მოვალეობა. ამ მოვალეობის სიძნელე განსაკუთრებით მტკი-  
ვნეულია ხელოვნების ძალისა და მნიშვნელობის ისეთი განმცდელი-  
სათვის, როგორც იყო თვით ბელინსკი.

ბელინსკის კარგად ესმოდა, რომ მისი მოვალეობა, როგორც  
თეატრალური რეცენზენტისა, მარტო იმაში კი არა მდგომარეობს,  
რომ მან პიესის, წარმოდგენისა და მსახიობის მიერ როლის განსახი-  
ერების შესახებ გამოსთქვას თავისი აზრი, რომელიც მკითხველს შეუ-  
ძლია მოიწონოს ან დაიწუნოს, მიიღოს ან უარყოს, არამედ აგრეთვე  
რთული ესთეტიკური განცდა ისე უნდა გადასცეს მას, რომ არც მისი  
განცდა და არც მაყურებელ-დამსწრის და დაკვირვებული მკითხვე-  
ლის შთაბეჭდილება შებღალოს.

აი როგორ განიცდის თეატრალური რეცენზენტის მოვალეობის  
სიძნელესა და სიძნელეს ბელინსკი: „ჩვენ ისინი (მკითხველები —  
მ. ზ.) უნდა ვაიძულოთ უცილობლად დაგვერწმუნონ, ამისათვის კი  
ჩვენ მათ გულში უნდა აღვიძროთ ყველა ის შეძრწუნება — შეერთე-  
ბულად მტანჯველიცა და სასიამოვნოცა, შეუმჩნეველიცა და ნამდვი-  
ლიც, რომლითაც გვაფრთოვანებდა და გვტანჯავდა ჩვენ თავის ნე-  
ბისამებრ დიდი მსახიობი; ისინი უნდა ჩავაყენოთ ადამიანის ისეთს  
სულიერ განწყობილებაში, როდესაც ის, ჯადოსნური ძალით გატაცე-  
ბულია, სუსტია თავი დაიცვას მისი მძლავრი მომხიბვლელობისაგან;  
მას თავდავიწყებამდე ეძლევა, მას უყვარს სხვისი სიყვარულით, იტა-  
ნჯება მისი ტანჯვით, თავს გრძნობს მხოლოდ ერთს უსასრულო დატ-  
კობის გრძნობაში, ხოლო უკვე არა სხვისაში, არამედ თავის საყუ-  
თარში“<sup>1</sup>.

ბელინსკის შეხედულებით თეატრალური რეცენზენტის მოვალეო-  
ბა ნიჭიერი ხელოვანი-მსახიობის მოვალეობას ეფარდება. მისი გა-  
გებით, თეატრალური რეცენზენტი ერთგვარი მოცილეა დიდი მხატ-  
ვარი მსახიობისა, რომლის შესახებაც ის თავის რეცენზიაში ლაპარა-  
კობს. ამ დებულების გარკვევასთან ერთად ის მოხდენილად ახერხებს

<sup>1</sup> В. Б е л и н с к и й, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 239.

მოჩალოვის მიერ ჰამლეტის როლის თამაშის შესახებ რომ სათანადო რეცენზია დაიწეროს, ბელინსკის გაგებით, ეს იმას ნიშნავს, რომ რეცენზენტმა იგივე გააკეთოს მკითხველისათვის, რაც მოჩალოვმა მაყურებელათვის. მოჩალოვის მიერ ჰამლეტის როლის თამაშზე რეცენზიის წერა, ბელინსკის მკვეთრი გაგებითა და თქმით, ნიშნავს შეჯიბრებას დიდ მხატვართან, რომლის გენიამაც გაინაწილა შექსპირის დიდება ჰამლეტის შექმნაში.

ვალაპარაკოთ თვითონ გულთამხილავი რეცენზენტი: „შეჯიბრება მასთან!.. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ყოველი ჩვენი გამოთქმა იყოს ცოცხალი პოეტური სახე; საჭიროა, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა თრთოდეს სიცოცხლით, რომ ყოველ ჩვენ სიტყვაში ისმოდეს ხან გააფთრებული ხითხითი უგუნური სასოწარკვეთილები—სა, ხან გესლიანი და მწარე დაცივნა ბედისგანაც, ადამიანისაგანაც; და თავის თავისაგანაც შეურაცხყოფილი სულისა, ხან სევდიანად მომღურავი ჩივილი თავის თავისაგან დაქანცული უღონობისა, ხან ჰარმონიული ტიტინი სიყვარულისა, ხან სულის საზეიმო სევდიანი თავისთან შერიგებული ხმა... დიად, საჭიროა, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა გამსჭვალული იყოს სისხლით, ნაღველით, ცრემლით, კენესით და რომ ჩვენი ცოცხალი და პოეტური სახეების იქით მკითხველთა თვალწინ გამოკრთოდეს რაღაც უმშვენიერესი მელანქოლიური სახე და ისმოდეს ხმა, სავსე სევდით, გაცოფებით, სიყვარულით, ტანჯვით, და ყველა იმაში ყოველთვის ჰარმონიული, ყოველთვის მოქნილი, ყოველთვის სულში ჩამწვდომი და შემადრწუნებელი მისი საიდუმლოებრივი სიმები“...!

მხოლოდ ასეთი ნიჭითა და უნარით დაჯილდოვებულ რეცენზენტს შეუძლია მიზანს სისრულით მიაღწიოს და შესძლოს მკითხველს მისცეს ის, რასაც დიდი მსახიობი აძლევს მაყურებელს. ამისათვის საჭიროა რეცენზენტი პოეტად იქცეს და დიდ პოეტადაც. რეცენზენტსაც უნდა ახასიათებდეს ვულკანისებური ვნებიანი სული; რომელსაც შეუძლია არა მარტო დიდი სიმძლავრით განიცადოს ტანჯვა და სიყვარული, არამედ აგრეთვე შეუძლია სხვასაც გადასდოს თავისი ტანჯვა, თავისი სიყვარული.

ამის შემდეგ, მკითხველს რომ მისცეს სწორი გაგება შექსპირის

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 239—240.

ერთ-ერთი უკვდავი გმირის ჰამლეტისა და აგრეთვე შექსპირის დიდი დრამატული ნიჭის დაფასება, ერთის მხრით, ხოლო ამასთან ერთად ამ ავტორისა და გენიოსი მსახიობის მოჩალოვის გაერთიანება უკანასკნელის მიერ ჰამლეტის როლის თამაშში, მეორე მხრით, ბელინსკი ტრაგედიისა და გენიალური მსახიობის თამაშის ყოველი ღირსშესანიშნავი მომენტის გამახვილებულ ანალიზს იძლევა. ეს რეცენზია ხელისხელ საგოგმანები მარგალიტია გენიოსი კრიტიკოსისაგან დატოვებული. ეს ტრაგედიის ღრმა კრიტიკული განხილვაა ავტორის შეფასებით, მოჩალოვის სცენური გენიის ღირსეული ჩვენებაა და რუსული თეატრის ღირსება-ნაკლის აღნიშვნაცაა.

ამ რეცენზიაში ბელინსკი მძლავრად გამოვლინებულია არა მარტო როგორც კრიტიკოსი, რეცენზენტი, არა მარტო როგორც პუბლიცისტი, არამედ აგრეთვე როგორც პოეტიც და დიდი ვნებიანი გულისა და ვულკანისებური გონებისა და გრძნობის მქონე პოეტიც. არაჩვეულებრივი გულთამხილაობითაა ბელინსკის მიერ ნაჩვენები ჰამლეტის გულის ყოველი იდუმალი მოძრაობაც კი, მოჩალოვის თამაშში გამოვლინებული. ამ რეცენზიას რომ კითხულობს კაცი, არ იცის, რომელ ადგილზე შეჩერდეს; მოჩალოვის ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა თუ სახის გამომეტყველება დამატყვევებელია თავისი სწორი და ჭეშმარიტი გამოხატვით. მართლაც, გენიოსის დაჭიმული ნერვების წვენშია მისი კალამი ამოვლებული. დიდი გულითაა ყოველი მისი სიტყვა გამთბარი, ანთებული გრძნობისა და გონების აღშია ყოველი მისი სიტყვა გააყებული.

ძნელია რომელიმე მათგანის ამორჩევა, რომელიმე მათგანზე შეჩერება, ერთი თქმა თითქოს მეორეს ეჯიბრებოდეს მსახიობი მოჩალოვის უნარიანობის დახატვაში. ნიმუშისათვის მაინც ერთ-ორ ადგილს მოვიყვანთ.

ჰამლეტის ხასიათი მის მძიმე განცდასთან ერთად თანდათან იშლება. მეორე მოქმედებაში ჰამლეტი იწყებს საუბარს პოლონიუსთან, შემდეგ კი გილდენსტერნთან და როზენკრანცთან. მათთან საუბარში ჰამლეტი მწარე, შხამიანი სარკაზმით გამოსთქვამს თავის ავადმყოფურ, მტანჯველ მდგომარეობას, თავისი დარღვევის სიღრმეს, ის თავისი ეჭვის, გაუბედაობისა და სისუსტის ტკივილებს მეტად თავისებურად, მეტად რთულად ამჟღავნებს. და აი სწორედ აქ მოჩალოვმა, ბელინსკის გადმოცემით, მაყურებელთ დაანახა ჰამლეტის სულის სწორედ ასეთი მდგომარეობა. „უნდა გენახათ, — გადმოგცემს ბელინსკი — როგორი სახით შეხვდა ის (ჰამლეტი — მოჩალოვი) პოლონიუსს. მის სახეზე მოჩანდა შესულილობის ნიშანი, გამოხატვა რაღაც ცბიერებისა, ზიზლისაც პოლონიუსისადმი, ღრმა

სევდაც და ტანჯვაც თავის მწუხარებაში დაფლეთილი და უთვისო გულისა. და ის ხმა, რომლითაც ის პოლონიუსის კითხვაზე — „როგორ ბრძანდებით, ხელმწიფის შვილო?“ — უპასუხებდა: „მადლობა, ღმერთს, კარგად ვახლავართ“, ან როგორითაც მის მეორე კითხვაზე — „მე ველარა მცნობთ, ხელმწიფის-შვილო?“ — უპასუხებდა: „ძალიან კარგად გცნობ, შენ თევზის ვაჭარი ხარ“... ოჰ ასეთი ხმა! ქალაქებზე არ გადმოიციემა, და თვითნებურობით ორჯერ არ მეორდება იმისაგანაც კი, ვისაც ის ეკუთვნის. „რას კითხულობთ, ხელმწიფის-შვილო?“ — ეკითხება ჰამლეტს პოლონიუსი; „სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს!“ — უპასუხებს მას ჰამლეტი და როგორ უპასუხებს!... ჩვენ კიდეც შეგვიძლია. — განაგრძობს მოჩადოებულ ბელინსკი, — გადმოვკეთ წარმოთქმის ხერხი და მოძრაობა, რომელიც მას თან სდევდა, მაგრამ სახე, მაგრამ ხმა... ეს შეუძლებელია, თუმცა სწორედ მათში მდგომარეობდა ყველაფერი“...<sup>1</sup>. რეცენზენტი თავის თავს უძღურად სთვლის მოჩალოვის ხმისა და სახის გამოხატულების სიმდიდრე და ძალა გადმოსცეს, რაც ერთგვარი მძლავრი საშუალებაა მკითხველის წარმოსახვის ძალაში ამოქმედებისათვის. ჰუმანიტი მხატვრის თამაშით დატყვევებული ბელინსკი იმის თქმას მაინც ასწრებს რომ „პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდე ეს ხმა (მოჩალოვისა) შეუწყვეტლივ იცვლებოდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაუკარგავს მას თავისი შეშლილის, ცბიერისა და ავადმყოფის გამოხატვა“<sup>2</sup>.

ტრაგედია ჰამლეტისა თანდათან ღრმავდება, მისი მრავალწახანგოვანი ნიჭი და ბუნება ამ მიმე განცდის გარშემო მრავალმხრივად ამოქმედებული და მრავალფეროვნად გამოკრთის. მოჩალოვიც, ბელინსკის გადმოცემით, ბუნებრივად ეუფლება ამ ხასიათის განსახიერებას და თანდათან აღის მალა მწვერვალზე.

ეჭვის გარკვევის მიზნით ჰამლეტის მითითებით წარმოდგენა მიმდინარეობს სასახლეში. ჰამლეტს სურს ბიძის საშინელი ბოროტმოქმედება გამოამჟღავნოს. დაკომული ყურადღებით ადევნებს თვალს თავის ბიძას — მეფეს, სანახაობით შეძრწუნებული მეფე ადგება, მიდის. პოლონიუსი ყვირის: „ცეცხლი. — ცეცხლი“. ბრბო სცენიდან გადის. ჰამლეტი გაურკვეველი გამომეტყველებით მას უცქერის. რჩებიან მხოლოდ ჰორაციო და პატარა სკამზე მჯდომი ჰამლეტი იმ კაცის მდგომარეობაში, რომლის გრძნობა, გოლიათური ნებისყოფის ძალით შეძრწუნებული და შებოროცილი, მზადაა ამოძრავდეს საშინელ ქართველიად.

აი, როგორ აგვიწერს ბელინსკი მოჩალოვის გარდაქმნის ამ მო-

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 252.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 259.

მენტს: „უცბად მოჩალოვი, ლომისებური ერთი ნახტომით, როგორც ელვა, გადაფრინდება პატარა სკამიდან სცენის შუა გულში და ფეხების ტკეპნითა და ხელების ქნევით, აფეთქებული თეატრს ჯოჯობეთური ხითხითით გააყრუებს... არა! მოცემული ნიშნით ათასი მკერდიდან ერთ მკერდში გაერთიანებულიდან რომ ამომხდარიყო ერთსულოვანი ხითხითი — ისიც კი ბავშვის სუსტ სიცილად გეჩვენებოდათ, შედარებით იმ მძვინვარე, მქუხარე, გამრინდებელ ხითხითთან. იმიტომ, რომ ამ გვარი ხითხითისათვის საჭიროა არა მაგარი მკერდი რკინის ნერვებით, არამედ ბუმბერაზი სული, თავზარდაცემული დაუსრულებელი ვნებიანობით... და ეს ფეხების ტკეპნა, ხელების ქნევა ხითხითთან შეერთებული?“<sup>1</sup>.

მოჩალოვის მძლავრი არტისტული ვნებიანობით ბელინსკი ისეა დატყვევებული, აღელვებული, რომ აღფრთოვანებული ამოძახილებითაა აგრძნობინებს მკითხველს თავისი მოჯადოებული განცდის ძალას; დამთვრალი ამ უდიდესი და უმაღლესი სიამოვნების განცდით, ასე გადმოგვეცემს, თუ რას პხედავდა ამ მომენტში სცენაზე მისი თვლები. „ოჰ, ეს იყო მკედართა ფუნდრუკი განწირულობისა, რომელიც მხიარულებდა თავისი ტანჯვით, თვრებოდა თავისი მწვავე წვალებით... ამ წამებაში განქრა მისი (მოჩალოვის — მ. ზ.) ჩვეულებრივი სხეული: ჩვენ თვალწინ ვხედავთ რაღაც საშინელ მოვლენას, რომელიც, თეატრალური განათების ფანტასტიკურ კაშკაშში, სცილდებოდა მიწას, იზრდებოდა და იატაკსა და სცენის ჭერს შორის მთელ სივრცეში იჭიმებოდა და მასზე როგორც ავის მომასწავებელი მოჩვენება ირხეოდა“...<sup>2</sup>.

არანაკლები მომაჯადოებელი, წარმტაცი, შეუდარებლად სრულქმნილია ჰამლეტი (მოჩალოვი), როცა მას უნდა გილდენსტერნი დაიყოლიოს ფლეიტაზე დაუკრას და ის კი უარს ეუბნება, რადგანაც ამ საქმეში დახელოვნებული არ არის. ეს მომენტი მართლაც ერთ მძიმე, დაუძლეველ მომენტთაგანია. აქ ჰამლეტში ერთდროულად მუდავნდება: შეურაცხყოფაც, შურისძიებაც, ზიზლიც, დაცინვაც, თავისი უპირატესობის შეგნებაც, გაბოროტებაც.

დეე, თვითონ მოჩალოვის თამაშით აღფრთოვანებაში მოყვანილმა ბელინსკიმ რქვას: „...ის ამას აკეთებდა მშვიდად, გულგრილად, წყნარი ხმით, მაგრამ ყველა ამაში გამოსჭვიოდა რაღაც განზრახვა, რაც მაყურებელს აიძულებდა რაღაც უმშვენიერესის მოლოდინში ყოფილიყო — და მიიღო კიდევ: ჰამლეტმა (მოჩალოვმა) მოიშორა რა თვალთმაქცური და ირონიული ღირსების შესახედაობა, მტკიცე

<sup>1</sup> В. Беллинский, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 259.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 259—260.

და ღრმა გულისყურიანი ტონით ამბობს: „ეხლა ხომ ხედავთ, რო-  
გორი უღირსი და არადნასაგდები გგონივართ. თქვენ გინდათ, რომ  
მე თქვენი საკრივო ვიყო, ჩემი ხელში დაჭერა ადვილად მივაჩნიათ;  
გინდათ ჩემს საიდუმლოს გული ამოაცალოთ და ჩემის სულის სიმებს  
სათითოოდ ხმა ამოაღებინოთ... და ამ მცირე მუსიკის საკრავს კი, რო-  
პელიც წყაროა ჰარმონიისა, ამბობთ, ხმას ვერ ამოვალეზინებთო. რო-  
გორ? თქვენ გგონიათ, მე ამ პატარა სალამურზე უფრო ადვილი და-  
საკრავი ვიყო! მიწოდეთ მე რა საკრავის სახელიც გინდათ, მაგრამ  
ესეც იცოდეთ, რომ შეგიძლიათ განმაწვალოთ, რამდენიცა გასურთ,  
და ჩემზე დაკვრას კი ვერ მოახერხებთ“. რალაც სიდიადე იყო მთელ  
მის წარმოსადგობაში, ყველა მის მოქცევაში, როცა ის ამ სიტყვებს ამ-  
ბობდა და უკანასკნელ სიტყვასთან ფლელიტა იატაკს დაანარცხა და  
ტაშის ზრიალიც შეუერთდა მის დაცემას“<sup>1</sup>.

მოჩალოვის გარდაქმნის ნიჭით, მისი წარმატაცი, მომხიბლავი ბუ-  
ნებრივი თამაშით ექსტაზში მოყვანილი ბელინსკი განცვიფრებით  
აღნიშნავს ჰამლეტის (მოჩალოვის) დედასთან შეხვედრის სცენას.  
მსახიობის დაუღალავ და ამოუწურავ ენერგიას, მის ბუნებრივად  
ცვალებად ქცევას, ხმასა და კილოს.

ჰამლეტის (მოჩალოვის) დედისადმი მიმართულ სიტყვებში —

„ეგეთი საქმე ჩირქსა სცხებს თვით უმანკობას,  
უსპობს მორცხვობის სიწითლესა, შევენებას უსპობს;  
ფარისევლობის სახელსა სდებს სათნობასა,  
უბიწო ტრფობას ყვაილისა ჰკლფეს მშვენიერს შუბლზედ  
და იმის ნაცვლად აჩენს იგი წყლულს და იარას...“

ეს სიტყვები, ბელინსკის განცდითა და გადმოცემით, „მის გულიდან  
ამოხდა, როგორც გულისწყრომის გოდება მთელი თავისი ძალით  
მძიმე და ავადმყოფური ქენჯნისა, თქვა რა უკანასკნელი სიტყვები, ის  
შეჩერდა და დაშინებული და შიშატანილი თვალის გადავლებით მი-  
მოიხედა გარშემო, ზევით აიხედა და რალაცა მელოდიური ქვეთინის  
ხმით თქვა:

„ოჰ, მაგ-გვარ საქმით ზეცის სახე რისხვით ელვარებს,  
და ესე მყარი დედამიწაც შექმუხვნილია  
და ნაღვლიანი, თითქო იყოს დღე განკითხვისა“.

ჰამლეტის (მოჩალოვის) დედასთან შეხვედრის სცენიდან რამდენიმე  
ასეთი მძლავრი მომენტის ჩვენების შემდეგ, მოჩალოვის ჯადოსნური  
თამაშით მოხიბლული ბელინსკი მაღალი სიამოვნების განცდით წა-  
მოიძახებს: „რა წუთია და რა ცოტაა ცხოვრებაში ასეთი წუთი“.

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета, Соч., т. III, стр. 261.

ქება და დიდება დიდ მხატვარს, რომლის ძლიერი და ღრმა ბუნება ამოუწურავი საგანძურია ასეთი წუთებისა, მადლიერება მას“<sup>1</sup>!

მოჩალოვის მიერ ჰამლეტის როლის განსახიერებაში ბელინსკი მკითხველს აჩვენებს მრავალ მომხიბლავ შემოქმედ მომენტს, რომელნიც შუქს ჰფენენ ჰამლეტის საიდუმლოებრივ რთულ ხასიათს და სრული კმაყოფილების განცდით მიუთითებს მკითხველთ: „ოჰ, მოჩალოვმა იცის ახსნა, და ვისაც უნდა შექსპირის ჰამლეტი გაიგოს, მან ის შეისწავლოს არა წიგნებში, არა აუდიტორიებში, არამედ პეტრეს თეატრში (Петровского театра)“...<sup>2</sup>.

მაგრამ მოჩალოვი მარტო შექსპირის ჰამლეტის ხასიათს; არა სძლევდა ასეთი საიდუმლოებრივი გულთამხილაობით. გენიოსი დრამატურგის შექსპირის რთული ხასიათების ნიჭიერი, ხშირად გაუმეორებელი განსახიერება, მისი გასხივოსნებული ამბლუა იყო.

ბელინსკი თავის მნიშვნელოვან რეცენზიაში გადმოგვცემს, თუ მოჩალოვი რაოდენი ჩაწვდომით სძლევდა, მაგალითად, შექსპირის ოტელოს როლსაც. „ყოველივე ძალა, — წერს ბელინსკი, — ამოიქნებოდა გადმოგვეცა მისი (ოტელოს — მ. ზ.) ემილიასთან დავა დესდემონას უმანკობაზე... როდესაც ოტელოსთვის საშინელი ჰემარიტების სხივი იწყებდა ხანგამოშვებით ბრწყინვას, ის სდუმდა, მაგრამ მისი სახის მკრუნჩხავი მოძრაობა, მისი პირქუში გამონახატვის მიმჭრალი და ამგზნები ცეცხლი ბევრს ამბობდა, ბევრს, და ეს იყო ყველაზე უფრო მიმზიდველი უსიტყვო დრამა“...<sup>3</sup>.

ბელინსკის გადმოცემით, გამოუთქმელი მომხიბვლელობით იყო მოჩალოვის მიერ შესრულებული აგრეთვე ოტელოს უკანასკნელი მონოლოგი, რომელშიც მსახიობი მთელი თავისი დიადი ბუნებით არაჩვეულებრივი სიმკვეთრით გამომჟღავნდა. აქ ოტელოსთვის ირაკვევა, რომ მისი დაშლილობიდან ერთადერთი გამოსავალია — მოკვდეს სასოწარკვეთილებას მიუცემლად, დამშვიდებით. ეს მომენტი, ბელინსკის შეფასებით, უკანასკნელი სიმაღლე იყო ხელოვნებისა, რამაც ანაზღეული შუქი მოჰფინა მთელ პიესას: „განსაკუთრებით გასამტერებელი და მოულოდნელი იყო უკანასკნელი სიტყვები: „ეს ყველაფერი აცნობეთ მათ და დაუმატეთ,

„რომ როცა ერთხელ ალეპოში ოსმალი ვინმე,  
თავს რიდე-დგმული, სიამაყით გულზედ მოსული,  
ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას“.

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 263—264.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 271.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 282.

უშვერის სიტყვით ავინებდა — მიეწვდი მე ყელში,  
იმ ქოფაკ ძალსა წინდაცვეთილს და დავკალ ასე“.

ხანჯალი ათრთოლდა ხელის დაუხმარებელი მის გამიშვლებულ და შავ მკერდზე. და რადგანაც მოჩალოვი მაყურებელთა გამოწვევაზე დიდი ხანი არ გამოდიოდა, ბევრს ეშინოდა, რომ თვითმკვლელობის სცენა ზედმეტი ბუნებრიობით არ ყოფილიყო შესრულებული<sup>1</sup>.

ასეთია დამატყვევებელი ძალა ჭეშმარიტი მსახიობის შემოქმედებისა, ავტორისა და მსახიობის სწორედ ასეთს ურთიერთობაში, ხასიათის ასეთი ძალუმი ნიჭიერებით გაშლაში ხდება სცენიური ხელოვნების ძლევამოსილება მსახიობის სახით..

ბელინსკის შეხედულებანი თეატრზე, სცენიურ ხელოვნებაზე და მსახიობის მოვალეობა-დანიშნულებაზე ასე მკვეთრად და ნიჭიერად გამოთქმული მის თეატრალურ რეცენზიებში, არა მარტო თავის დროისათვის იყვნენ საგულისხმო, სახელმძღვანელო და აღჭურვილნი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობით როგორც მკითხველისა და ავტორთათვის, ისე მსახიობთა და თეატრალურ მუშაკთათვის, არამედ ისინი დღესაც უშრეტ ცოცხალ წყაროს წარმოადგენენ.

კერძოდ, რეცენზია „მოჩალოვი ჰამლეტის როლში“ არა მარტო სახელმძღვანელოა ყველა თეატრის გარშემო მომუშავეისათვის, არამედ ის ცოცხალი ძეგლია და მასთან ერთად უკვდავი ძეგლი დიდი თეატრალური გენიის მქონე მსახიობის — მოჩალოვისა, რომელიც მაყურებელს დიადი განცდებით ავსებდა, აღვლევდა და ყოველი მაღალისა და ფაქიზისადმი ამოძრავებდა. ჩვენ გვინდა ბელინსკის შეუზღუბრუნოთ მისი სიტყვები მოჩალოვის მიმართ თქმული: ქება და დიდება გულთამხილავ კრიტიკოს-რეცენზენტს, რომელმაც ასეთი სიციხადითა და სიციხოველით დასძლია აღებეჭდა ჯადოქარი მსახიობის გაუმეორებელი თამაში და მკითხველს აი ასი წლის და უფრო მეტის მანძილზე აძლევს ჭეშმარიტი მაღალი დატკბობის წუთებს.

---

<sup>1</sup> В. Белинский, Мочалов в роли Гамлета. Соч., т. III, стр. 282.



## ბაბრიელ სუნდუკიანცი და ქართული ღრამატურბია<sup>1</sup>

გაბრ. სუნდუკიანცი მიეკუთვნება სომეხთა იმ შთამომავლობას, რომელიც საქართველოს მიწა-წყალმა, ქართველმა ხალხმა ძველიდანვე მიიღო არა როგორც გერი, არამედ როგორც ღვიძლი შვილი. ძველიდანვე სომეხთა ეს შთამომავლობა დასახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი ქ. თბილისში, ადვილად და მტკიცედ შეეთვისა ქართველ ხალხს და ქართულ კულტურას; სიყვარულითა, პატივისცემითა და ერთგულებით ჩაება თავისი მეორე სამშობლოს ჳირსა და ლხინში. ამ გარემოებამ მჭიდროდ დაახლოვა და დააკავშირა ეს ორი ძველიდანვე მეზობელი, მჭიდრო ისტორიული და კულტურული ურთიერთობის მქონე ერი.

ასეთმა შეგუებამ საქართველოში დასახლებული მრავალი სომეხი ჳერ კიდევ XVIII საუკუნიდან ამოქმედა ქართული კულტურისა და ლიტერატურის სარბიელზე. შეიქმნა მთელი პლეადა, ე. წ. აშული პოეტი-მომღერლებისა, რომლებიც დიდი უნარით, ინტერესით და წარმატებითაც მოღვაწეობდნენ. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ ნიჭიერი და პოპულარული აშული-პოეტი ს ა ხ ა თ ნ ო ვ ა, რომელმაც არა უმნიშვნელო კვალი დასტოვა ქართულ ლიტერატურაში და რომელიც „არამცთუ სთხზავდა და მღეროდა ქართულად ლექსებს, სომხურ ლექსებსაც ქართული ასოებით წერდა და ქართული შენიშვნებითა და ქართული ჳრონიკონით ამკობდა ხოლმე“<sup>2</sup>. ცნობილია, რომ სახატნოვა საქართველოს სთვლიდა თავის სამშობლოდ, ხოლო ქართულ ენას მშობლიურ ენად, როგორც სომხურ ენას. და ეს განწყობილება საერთო იყო საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის, რაც მჭიდროდ აკავშირებდა მათ ქართველობასთან.

XIX საუკუნეშიც, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, ქართ-

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მიხ. ზანდუკელი, ლიტერატურული ნარკვევები, 1, 1957, თბილისი.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 678 — 679.

ველთა და სომეხთა მოწინავე ნაწილში არამცთუ არ შენელდა ამ ორ ხალხთა შორის დამყარებული მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საჭიროების სურვილი, არამედ კიდევაც გაძლიერდა.

ამგვარ განწყობილებასა და მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა XIX საუკუნის მანძილზე, როდესაც მეფის რუსეთის მკაცრ, შემავიწროვებელ პირობებში მოსახლეობა და განსაკუთრებით კი, ე. წ. „ინოროდები“ უწყალოდ ითანგებოდნენ.

ასეთმა მძიმე დაწოლამ ქართველთა და სომეხთა საუკეთესო ნაწილს დაანახვა ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობის, ძალთა გაერთიანების, კულტურული მოღვაწეობის მტკიცე ფრონტის შექმნის აუცილებლობა.

ქართველთა და სომეხთა და ამიერკავკასიის სხვა ერთა დაახლოების საჭიროება უფრო საგრძნობი ხდება ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების გართულების გამო 60-იანი წლებიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან, ე. წ. თერგდალეულნი — ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვანი და საგრძნობი სიცხოველით შლიან ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ფრონტს.

სწორედ მაშინ მოღვაწეობდა საქართველოში მცხოვრები ჩომხების მოწინავე ნაწილიც, რომელთა შორის ვაბრ. სუნდუკიანცს საპატიო ადგილი უჭირავს.

ვაბრ. სუნდუკიანცის მთელი მოღვაწეობა, პრაქტიკული იქნება, თუ ლიტერატურული, მძლავრი შთამავგონებელი იყო როგორც სომეხთა, ისე ქართველთათვის მათ შორის მკიდრო დაახლოებისა და თანამშრომლობის აუცილებლობისა ძმობა-ერთობის საფუძველზე.

ვაბრ. სუნდუკიანცის მიერ რაფ. ერისთავის საიუბილეო ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვები: „მოგახსენებთ ჩვენი გვარის მაგიერათ, რომ ჩვენ საქართველოში აღზრდილი სომხები ქართული მიწითა ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჰიროსა და ლხინის მუდამ თანამოზიარენი ვყოფილვართ და ვიქნებითო“<sup>1</sup>. ან „პეპოს“ პირველი დადგმიდან 30 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე, რომელიც ფაქტიურად თვით სუნდუკიანცის იუბილედ გადაიქცა, მისი პასუხი: „მე ამ ქვეყნის (საქართველოს. — მ. ზ.) შვილი ვარ და საქართველო მიყვარს, როგორც ჩემი სამშობლო, ქართველები — როგორც ჩემი ძმები და შვილები“ — გაისმოდა ხოლმე, როგორც სამახარობლო ზარის რეკა ამ ერთა შორის მტკიცე კავშირის, მტკიცე თანამშრომლობის შექმნისა და მისი გამარჯვებისა.

მართლაც, თვალის ერთი გადარბენითაც რომ გადავხედოთ ვაბრ.

<sup>1</sup> საერო დღესასწაული, 1899, გვ. 37.

სუნდუკიანცის ცხოვრებას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ის მთელი თავისი დიდი ენერგიით, ნიჭითა და სიყვარულით შეგნებულად იღვწოდა და ემსახურებოდა როგორც სომეხთა, ისე ქართველთა საზოგადოების გამოფხიზლებას, განსაკუთრებით მათი კულტურული კერის — თეატრების აღორძინების გზით.

• • •

გაბრ. სუნდუკიანცი მთელი თავისი ცხოვრებით მჭიდროდ დაკავშირებული იყო საქართველოსა და ქართველ ხალხთან. ის მამა-პაპით თბილისელი იყო, თბილისში დაბადებული, თბილისშივე აღზრდილი. აქვე გაატარა მან, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი ცხოვრება (გამონაკლისს შეადგენს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი 1846 — 1850 წწ. და შემდეგ დერბენდში სამსახური მოკლე ხნით — 1853 — 1858 წწ.). გაბრ. სუნდუკიანცი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თბილისის ალტყინებული მოტრფიალეა, მისი „ეშხით ამოქმედებული, მისი მგოსანია“.

• • •

გაბრ. სუნდუკიანცის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება მის მიერ უმაღლესი სწავლის მიღების შემდეგ, როცა იგი 1850 წელს დაბრუნდა თბილისში.

ამ დროს ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება საგრძნობლად ფერცვლილია. საქართველოს ცხოვრებაში ხდება ეკონომიური და კულტურული ძვრები. ძველი ფეოდალური ყოფა სისწრაფით ირღვევა, თბილისის ბაზარი შესამჩნევად აფუსფუსებულია, ვაჭრობა ამოქმედებულია; ხდება სოციალური გადაჯგუფება; ისტორიული ცხოვრების სარბიელზე გამოდის ვაჭარი, შეიძლება ჯერ ჩარჩის სახით; ფულის ძალა იჩენს თავს; ბაზრის გარშემო იქმნება აქტიური სოციალური ფენა — ფეხზე ვაჭარი, წვრილი მოხელე, წვრილი მესაკუთრე — იქმნება წვრილი ბურჟუაზია.

ეს ფენა ახალი ცხოვრების ყურადღების ცენტრშია. იწყება ჰიდილი ძველსა და ახალს შორის — ფულიანი, ახლად ფეხადგმული ბურჟუა ლამობს და კიდევაც ახერხებს დარღვეული ფეოდალური კლასის დაქიანებულ მხრებზე იოლად შექმნას თავისი პირადი კეთილდღეობა. ვაჭარი, ფულის მოგების შეუბოროკავი სურვილით გატაცებული, თუ გამუდმებით არა, ძალიან ხშირად მაინც ყოველივე მორალურ-ადამიანურ მოთხოვნილებებს არღვევს, ვინაიდან მის გამდიდრების მადას საზღვარი ძნელად ედებოდა.

სწორედ ამ გარდამავალ პერიოდში და ამ სოციალური ცხოვრების ნაპრალებზე გაიშალა გ. ერისთავის დრამატურგიული მოღვაწეობა 40—50-იან წლებში. ამ საფუძველზე შეიქმნა გ. ერისთავის რეალისტური ლიტერატურული მიმართულება, მისი საყოფაცხოვრებო კომედიებიც — „გაყრა“, „დავა“, „შეშლილი“, „ქუნწი“ და სხვა, რომლებიც თანადროულობის ცოცხალ სურათს იძლეოდნენ.

ამავე პერიოდის ცხოვრების მოთხოვნილებებმა მისცეს გარკვეული საყოფაცხოვრებო ხასიათი და მიმართულება გ. ერისთავის არა მარტო კომედიებს, არამედ მის მიერვე 1850 წლის 2 იანვრიდან აღორძინებულს ქართულ პროფესიულ მუდმივ თეატრს, რომელიც ქართული ცხოვრების მტკივნეულ მოვლენებს გამუდმებით ცხოვლად ეხმაურებოდა და რომელსაც ასეთი ხასიათი შერჩა მთელი XIX საუკუნის მანძილზე.

ცნობილია, გ. ერისთავის მიერ დროზე და ნიჭიერად დაწყებულმა დრამატურგიულმა და თეატრულმა მოღვაწეობამ, მისმა უდავოდ დიდმა უნარიანობამ ააღორძინა, აამოქმედა ქართული დრამატურგია და მასაც გარკვეული საყოფაცხოვრებო მიმართულება მისცა. გ. ერისთავის დრამატურგიამ აადგმევინა ფეხი და გააშლევინა ნიჭი არტისტ-დრამატურგთა მთელ პლეადას: მეიფარიანს, გ. დვანაძეს, ჯაფარიძეს, ივ. კერესელიძეს და მათ შორის ზურაბ ანტონოვს, რომლის საყოფაცხოვრებო კომედიები: „მზის დაბნელება საქართველოში“, „მე მინდა კნეინა გავხედ“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ და სხვა გამუდმებით იდგმებოდა 50-იან წლებშივე ქართულ სცენაზე.

გ. ერისთავისა და მისი მიმდევრების პიესებმა და ქართულმა თეატრმა აამოძრავა ქართული აზროვნებაც, იმდროინდელი პრესაც.

გაბრ. სუნდუკიანცი, ყოველ ეჭვს გარეშეა, ახლო იყო გ. ერისთავის თეატრთან, კარგად იცნობდა მას და მისი თანამედროვე მიმდევარი დრამატურგების პიესებს. ყოველ ეჭვს გარეშეა, როგორც 1850 — 1856 წწ. მოქმედმა ქართულმა თეატრმა, ისე გ. ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის პიესებმაც სათანადო გავლენა მოახდინეს გაბრ. სუნდუკიანცზე, სათანადო ბიძგი მისცეს მის დრამატიულ ნიჭს, რომელმაც ბრწყინვალედ და ნაყოფიერად დაიწყო გამოვლინება ცოტა მოგვიანებით 1863 წლიდან — პიესით „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“.

გაბრ. სუნდუკიანციც იმავე რეალისტური მიმართულების მწერლად შეიქმნა, როგორისაც გ. ერისთავი და ზურაბ ანტონოვი. მისი პიესებიც ისევე საყოფაცხოვრებო კომედიის უნარისაა, იმავე ქართულის — თბილისის ცხოვრების ამსახველია; იმავე ეპოქაში წამოჭრილ მწვავე და აქტუალურ საკითხებს — ფულის ძალას, მის საფუძველზე აღძრულ

ანგარაზობას, უკუღმართობას, ამორალობას, ახლად ფეხადგმულ ბუჩქუაზიულ ყოფას რომ ახასიათებდა, — მკვეთრად ეხმაურებოდა. გაბრ. სუნდუქიანცსაც ისეთივე შემოქმედებითი მეთოდი ახასიათებს — უშუალოდ ცხოვრების მოვლენათა შესწავლა, მათი ზედმიწევნითი ცოდნა, როგორც ეს დამახასიათებელია გ. ერისთავისა და მისი სკოლის დრამატურგებისათვის.

გაბრ. სუნდუქიანცის პიესების: „ხ ა თ ა ბ ა ლ ა“, „კ ი დ ე ვ ე რ თ ი მ ს ს ვ ე რ პ ლ ი“, „ს ა ლ ა მ ო ს . ე რ თ ი ც ხ ვ ი რ ი ხ ე ი რ ი ა“, „პ ე პ ო“ გმირების — ზიმზიმოვის, ზამზახოვის, ოსკანის, მართასი, მიხეილის, ანანის და სხვათა პ რ ო ტ ო ტ ი პ ე ბ ს ვ ხ ვ დ ე ბ ი თ გ. ერისთავის პიესებში — მიკირტუმ გასპარიჩის, კარაპეტ დაბალოვის, თათელას, ივანეს, არჩილის, ხამფერასა და სხვათა სახით და აგრეთვე ზურაბ ანტონოვის პიესებშიც — მინას პეტრუზიჩის, ბარბარე თულუხჩოვის, კეკელას, ილიკო გურგენიძის, გეურქ კარაპეტოვის, მარენის, ჩიმიშკოვის და სხვათა სახით.

და ეს ბუნებრივიც არის, მათ ერთი არე ჰქონდათ საკვლევი, სამოღვაწეო და გამოსაჩენი.

გაბრ. სუნდუქიანცია ყველა პიესაც ხომ თბილისის სინამდვილის ქარგაზეა გაშლილი. მისი პიესების მოქმედი პირებიც ხომ ერთობ თბილისის ღვიძლი შვილებია. თბილისი რომ მართლაც, გაბრ. სუნდუქიანცის შემოქმედების მდიდარი და ამოუწურავი წყარო იყო, ამას პირველ რიგში ადასტურებენ თვით მისი პიესებისა და მათი მოქმედი პირების არაჩვეულებრივი კოლორიტული სიცხოველე, ყოველი მოქმედი პირი, თითოეული მათგანის ქცევა, ყოველი თქმა ძველი თბილისის სურნელების თავისებურებას ძალუმაღ გაგრძნობინებთ. გაბრ. სუნდუქიანცის ყოველი პიესის შესახებ შეიძლება ითქვას „აქ თბილისის სულია, აქედან თბილისის სუნი მოდის“.

როდესაც ეცნობით გაბრ. სუნდუქიანცის პიესებს, არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ცნობილ მწერალს ილ. ზურაბიშვილს, რომ „გაბრ. სუნდუქიანცის გმირებიც თბილისში დაბადებულან, თბილისში მოუჭრიათ ჭიპი, თბილისში აღზრდილან, აქ უნდა დალიონ მათ სული“<sup>1</sup>. სამართლიანად აღნიშნავს ი. ვარიშაშვილი: „სუნდუქიანცის პიესები ჯავსეა ქართული ანდაზებით, ქართული გამოთქმებით, სავსეა გრ. ორბელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებით, რომლებსაც, სხვათა შორის, ქართულად მღერიან სუნდუქიანცის სომხურ პიესებში“<sup>2</sup>. ამიტომაც გაბრ. სუნდუქიანცის პიესების მთელი თავისი მდიდარი ნიუანსებით სისწორით გაგება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც თბილისის ცის ქვეშ

<sup>1</sup> „მნათობი“, 1937, № 6—7.

<sup>2</sup> ი. ვ ა რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 234.

უცხოვრია, ვისაც ძველი თბილისის თავისებურება განუცდია. ამიტომ იყო, რომ გაბრ. სუნდუკიანცის საუკეთესო პიესა „პეპო“, რომელიც არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც არ დაუკარგავს მიმზიდველობა ქართულსა და სომხურ თეატრებში, როგორც ი. გრიშაშვილი წერს, — „თარგმნა სცადეს სომხურიდან სომხურად, ვინაიდან სუნდუკიანცის ქალაქური დიალექტი ყველა სომეხს არ ესმისო!“<sup>1</sup>.

ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული გაბრ. სუნდუკიანცი თბილისთან, მის მოსახლეობასთან, მის კულტურასთან, ამითვე აიხსნება, რომ მისი პიესები დაწერისთანავე ერთდროულად იდგმებოდა ქართულსა და სომხურ სცენებზე.

\* \* \*

გაბრ. სუნდუკიანცის პიესების დიდ პოპულარობას ხელს უწყობდა, გარდა მათი სცენიური მხატვრული ღირებულებისა, აგრეთვე ის, რომ ისინი მკვეთრი გამომხატველნი იყვნენ ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანი მამოძრავებელი მოვლენებისა.

გ. სუნდუკიანცი ფხიზელი გულისყურით აკვირდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. მას კარგად ესმოდა თავისი ეპოქის ტკივილები; კარგად გრძნობდა ადამიანისათვის ახლად გაშლილი ბურჟუაზიული ყოფის, ფულის ტრიალის საბედისწერო ძალას, როგორც ცხოვრებას, ისე მასში შექმნილ სახეებს ის ნიჟიერად აყალიბებდა თავის პიესებში.

ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი სარქისას მედიდური, ყველაფრის შემძლებელი კილოთი რომ ეტყვის: „ხომ იცი, რასაც მოვიწადინებ, ავისრულებ კიდევ“ („კიდევ ერთი მსხვერპლი“) — ეპოქალური მწვავე თქმაა, რომელსაც მტკივნეულად განიცდის ავტორიც. მართლაც, ფულის საშუალებით ფულიანი ყველაფერს ახერხებდა, ყოველ კანონს არღვევდა თვითონ და არღვევინებდა სხვასაც, ყოველ უმართებულობას პფარავდა და აფარვინებდა.

ბრილიანტოვი ფულის შემწეობით იყიდის ს უ რ ა თ ო ვ ი ს გონიერ, პატიოსან, ნასწავლ, ლამაზ ქალს ა ნ ა ნ ი ს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ღარიბია და მას დედა აიძულებს წაჰყვეს მდიდრის შვილს, რომელთანაც ანანის არავითარი საერთო არა აქვს. არც შეიძლება ჰქონდეს და ეზიზღება კიდევ. აი ამ წრეში ასეთი შემადრწუნებელი ვაჭრობაა გამართული ადამიანის სულზედაც კი!

განა ასევე არა ფიქრობს ფულის ძალით გათავხედებული ვაჭარი ზ ა მ ბ ა ხ ო ვ ი („ხათაბალა“) თავისი ულამაზო ქალი მ ა რ გ ა ლ ი ტ ა

<sup>1</sup> გ. სუნდუკიანცი, პიესები, 1950, გვ. VIII.

მოტყუებით მიათხოვოს გიორგი მასისიანცს! მიზნის მიღწევისათვის ზამბახოვი არ ერიდება არავითარ საშუალებას — არც ცბიერებას, არც მუქარას, არც ძალადობას, არც თავისი მახინჯი ქალის მაგიერ სხვა ქალის — ნატალიას ჩვენებას.

სუნდუქიანცის გაგებით, ფულია რომ ქმნის ადამიანთა შორის უკუღმართ ურთიერთობას. ეს უკუღმართობაა, რომ ასე აღელვებს ჰუმანისტ დრამატურგს. ამიტომ ის ყველა საშუალებას ხმარობს ამ ფულიანი ხალხის მგლური მადააშლილობა გააშიშვლოს, მზის სინათლეზე გამოიტანოს; აბსურდამდე დაყვანილი მათი მახინჯი ბუნების ლტოლვილებანი სინამდვილით დაასურათხატოს. განა აბსურდამდე არ არის დაყვანილი სარქისას მიერ („კიდევ ერთი მსხვერპლი“) ფულის ძალის შეფასება, როცა ის ყოველნაირად ცდილობს თავისი შეხედულება ფულზე თავის ნასწავლ შვილს — მიხეილსაც მთავრონოს: „სულ ფული, ფული და კიდევ ფული — ჭკუის სწავლების კილოთი დაჟინებით ეუბნება სარქისა შვილს, — უფულო კაცი გროშათ არა ღირს... ფული გაქვს — ქვეყანა შენია... ქაჩალიც და სულელიც რომ იყო, ყველასათვის ყინვარ-შაქარი იქნები, არავის არ მობეზრდები... ცარიელი სინდისი და სწავლაც არ ვარგა!“ (რა ცხოველად ეხმაურება სარქისას შეხედულებას გ. ერისთავის მიკირტუმ გასპარიჩის შეხედულება: „კტუ ნა სვეტე ჩესნა ბუდით, ბუდით ნასით ხლება გუდით“).

გაბრ. სუნდუქიანცმა მკითხველს რომ დაანახვოს სარქისას და მის ძმათა ასეთი შეხედულებისა და მათ მიერ შექმნილი ბურჟუაზიული ყოფის უმსგავსობა, მორალური დაცემულობა, სარქისას დაუპირისპირებს მიხეილს თავისი ჰუმანური და პროგრესული შეხედულებებით. — მიხეილი მამის ფულის მონურ კულტს უპირისპირებს „საკუთარი, პატიოსანი შრომით ცხოვრებას“.

ავტორის აღშფოთება ბრილიანტოვის, ზამბახოვის, ზიმზიმოვის, სარქისას შეხედულებით ფულზე და მით ნაყიდ ცხოვრებაზე ნიჭიერადაა გამოვლინებული მიხეილის შემდეგ აღშფოთებულ თქმაში: „ფულის გულისათვის საკუთარი თავი ავიწყდებათ და ყოველნაირ სისაძაგლეს ჩადიან, რომ სხვის მონაგებს დაეპატრონონ“. მიხეილის (რა თქმა უნდა, ავტორისაც) პოზიციას კომედიაში ამტკიცებს ანანის აღელვებული მიმართვა დედისადმი, რომელიც მას აიძულებს გათხოვდეს ბრილიანტოვის ქარაფშუტა, ზნედაცემულ შვილზე — ივანეზე, ვინაიდან ის მილიონერის შვილია და მათაც გაუწევს დახმარებას: „მერწმუნე, ჩემი შრომით ბევრს გამოგადგებით, ვიდრე ბრილიანტოვის

1) გ. სუნდუქიანცი, პიესები, 1950, გვ. 221.

დოკლათი... ყველა მდიდარი თავისთვისაა, არც ერთი მდიდარი თავის ქონებას ღარიბებს არ დაუბრუნებს“.

ჰუმანისტ ავტორს სურს მიხეილისა და ანანის სამართლიანი აღმოფოთება და მათი სწორი, საჭირო აზრები შთაუწერგოს მკითხველს თუ მაყურებელს.

გაბრ. სუნდუკიანცი გარკვეული მიზანდასახულობით მშვენიერად აჩვენებს, რომ ზიმიზიშოვების, ზამბახოვების, ბრილიანტოვების ძალმომრეობით, უადამიანო ანგარიანი გზებით მოპოვებული მდიდრული ცხოვრება ფუჭია, უაზროა, უსარგებლოა. ზიმიზიშოვის ავკაცობა, მატყუარა, მგლური, ხარბი ბუნება საბოლოოდ, მისთვის სამარცხვინოდ, ვამოაშკარავდება, პეპოს მამისადმი მიცემულ თამასუქს გიქო რომ წარუდგენს. ასევე ზამბახოვიც საქვეყნოდ „ხათაბალაში“ გაეხვევა, ფუჭად ჩაუვლის მახინჯი ქალიშვილის გასაღება: შერცხვენილი, პირში ხალაგამოვლებული დარჩება. არანაკლებ სამარცხვინოა და უნიადაგო ბრილიანტოვის მდგომარეობა. ნიჭიერად და დამახასიათებელ ხაზებშია მოცემული მისი ვაჟიშვილის — ეანის გადაგვარება, უტვინობა, უაზრო-ფუქსავატი ცხოვრება და მამის მიერ ძარცვა-გლეჯით მოხვეჭილი ფულის უანგარიშო-უზნეო ფანტვა.

ეპოქის პერსპექტივების დიდი და სწორი გაგებით გაბრ. სუნდუკიანცი ათქმევენებს ბრილიანტოვს, როცა ის თავისი შვილის ქცევას დააკვირდება — „მართალი თქმაა, მდიდარი კაცის შვილი კარგი არ გამოვაო“. ეს მორალური გაკოტრებაა ბრილიანტოვისა, ე. ი. ბურჟუაზიული ცხოვრებისა, რომლის უარყოფითი მხარეების ნიჭიერი ჩვენებით სუნდუკიანცი მკითხველსაც და მაყურებელსაც მკაფიოდ ეუბნებოდა: ცხოვრებასა და ადამიანთა შორის ურთიერთობის საღი დასაბამი ფული კი არ არის, არამედ პატიოსანი შრომა; სხვისი დაჩაგვრა კი არა, არამედ დახმარება; კმაყოფილი, მთლიანი, საღი პიროვნება სიმდიდრეში კი არ იქმნება, გვაჩვენებს სუნდუკიანცი, არამედ „პალალ“ შრომაში.

აქ გაბრიელ სუნდუკიანცი მკვეთრად ეხმაურება თავის ეპოქას. — 60—70-იანი წლების როგორც რუსი, ისე ქართველი განმანათლებლების მოთხოვნილებებს — პატიოსანი შრომა, საზოგადოებრივი სასარგებლო მოქმედება, გაჭირვებულის დახმარება.

სწორედ ასეთი შეხედულება დრამატურგმა გამოხატა აგრეთვე თავის შესანიშნავ კომედიაში „პეპო“.

\* \* \*

კომედია „პეპო“ დაწერილია სცენის ხელოვნების იშვიათი ცოდნით. მკითხველსაც და მაყურებელსაც ძალუმაღ იპყრობს მოქმედების ბუნებრივი და დინამიური განვითარება, ხასიათების ცოცხალი ჩვენება: აქ ყველა ტიპიურია, ყოველი მათგანი იშვიათი ოსტატობითაა გა-



მოქანდაკებული. მკითხველის თუ მასუბრებლის თვალწინ ცოცხლად, მკაფიოდ ირევიან — მრუდე გზით, სიყალბით, სხვათა დაჩაგვრით და უნამუსოდ „პაშას გაკეთებით“ გამდიდრებული ზომიერებები; ვუშინ ქონში მცხოვრები, გაჭირვება-ხელმომჭირნეობაში გამოზრდილი, ახლა შემთხვევით მდიდარ კაცზე გათხოვილი — ეფემიები, რომელთა უაზრო, მათთვის შეუფერებელ მოთხოვნებებსა და უინიანობას საზღვარი არა აქვს და სასაცილოდ გამოიყურებიან; აქვეა პატიოსანი, გულმართალი, მშრომელი, მეოჯახე, დაქვრივებაში შევიწროვებული მომადინი შეშანეები; აგრეთვე შინ, ძველი თბილისის ყაიდაზე გაზრდილი სათნო, მშრომელი, მაგრამ დაჩაგრულნი, რადგანაც მზითვეი არა აქვთ — კეკელები; პატიოსანი, სინილისის კაცი, ძველი ყარაჩოლელი გოჭოები; აქვეა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსენი, საღი გრძნობებისა და გონების პატრონი, შრომის უნარითა და პატიოსნებით დაჯილდოებულნი, გაბედულნი და თავმოყვარე თბილისის დარდიმანდნი პეპოები, კაკულები.

„პეპოში“ მოცემულია მთელი ცოცხალი გალერეა ძველი თბილისის მცხოვრებთა, რომელთა მოქმედება ძველი თბილისის მეტად თავისებურ ეგნოტიკურ გარემოშია ნიჭიერად და მიმზიდველად დასურათებული. „პეპოს“ მკითხველი თუ მასუბრებელი, რომელსაც კი უნახავს და ოდნავ მაინც განუცდია ძველი თბილისი, იგრძნობს თითქოს საღლაც და ხშირადაც უნახავს ეს სახეები, გაუგონია მათი მეღერი ხმაც. მათი მარლიანი სიტყვაც, ულაპარაკნია კიდევ მათთან, მაგრამ ისინი მის მესხიერება-შეგნებაში მხოლოდ ახლა, სუნდუქიანცის პიესის გაცნობით იბეჭდებიან მკვეთრად.

სრულიად სამართლიანი და გულწრფელი იყო ქართული თეატრის დიდი მოამაგის, ნიჭიერი არტისტის კ. ყიფიანის სიტყვები გაბრ. სუნდუქიანცისადმი, მის იუბილეზე თქმული: „ტიანებს, რომელნიც თქვენ მიერ არიან გამოყვანილნი. ჩვენ ყველანი ვხვდებით ჩვენი ცხოვრების გზაზე... მაგრამ არც ერთი ჩვენთაგანი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, სანამ თქვენ არ გაასხეულეთ ისინი თქვენს დრამებსა და კომედიებში და სანამ ამით თვალი არ გაგვიხილეთ ჩვენს გარემოზე... არა ყველა მომაცდევს ეძლევა ზეცით ასეთი შემოქმედებითი ნიჭი... დიან, თქვენ პოეტი ხართ, რამდენადაც ჩვენი ყოველდღიური უფერული ცხოვრებიდან წამოაყენეთ ისეთი ტიპები, რომლებიც არასოდეს არ განაქვრიბიან ჩვენში, რომლებიც თქვენ უკდავ ჰქმენით“.

გაბრ. სუნდუქიანცის პიესების დიდი ღირსება ხასიათდება ავტორის, მართლაც, მაღალი პოეტური შემოქმედებითი ოსტატობით; მოვლენებისა და გმირთა განცდისა და სწორი გაგების შეფასებისა და ზუსტი ტიპიურობის განსახიერების გარდა, ავტორი უდავო გონიერე-

ბით, მაღალი ჰუმანური განწყობილებით, დაუღალავი შრომით, დაუშრეტელი სიყვარულით ცხოვრებისა და თავისი გმირებისადმი, უშუალო გარემო ცხოვრებიდან რომ იღებდა და ყველა ეს თვისება ავტორისა ყველაზე ნიჭიერად გამოვლინებულა კომედიასი „პეპო“.

თვითონ გაბრ. სუნდუქიანცისაც თავის პიესებიდან ყველაზე მეტად „პეპო“ უყვარდა და გმირებშიც — პეპო. ფრიად დამახასიათებელია სუნდუქიანცისათვის ასეთი დამოკიდებულება არა მარტო მის შემოქმედებით ლაბორატორიაში შექმნილი პოეტური პეპოსადმი, არამედ ცოცხალი პეპოებისადმიც, რომელთაც ის ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებოდა, ეძებდა, რომლებთანაც ურთიერთობა მას დიდ სიამოვნებას გააცდევინებდა ხოლმე.

აი რა საგულისხმო მოგონებას იძლევა გაბრ. სუნდუქიანცის მეგობარი ექიმი ბაგ. ნავასარდიანი: „ერთხელ ამ ორმოცის წლის წინათ მე და გაბრიელი ფეხით მივიდიოდით მეტეხის ციხის ახლოს ბაყალხანაში. ამ დროს მან დაინახა ერთი ბაყლის საეაჭროს წინ მდგომი კოხტა, ყარაჩოღელის ტანისამოსში გამოწყობილი ახოვანი, ლამაზი ვაჟკაცი. მის დანახვაზე გაბრიელს მხიარულად გადაეშალა სახე და ღიმილით მითხრა: ბაგრატ, აი ხელავ ამ კაცს, ეგ არის ჩემი „პეპო“. მე ეგა მყავს გამოყვანილი“. ეს კაცი, — განაგრძობს ნავასარდიანი, — იყო მეთევზე, რომელიც სუნდუქიანცს ძალიან უყვარდა, ასე რომ ამ კაცს ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი მოანათვლინა. ამასთანავე ხანდახან სახლშიც მიიპატოუებდა ხოლმე“<sup>1</sup>.

გაბრ. სუნდუქიანცის მხურვალე დამოკიდებულება პეპოსადმი აღბეჭდილია მის მართლაც „მშვენიერ პოემა“ — ანდერძში, რომელშიც ის შეილებს და ალბათ, პატივისცემვლებსაც, სხვათა შორის, შემდეგსაც ავალებს: „თუ გულით გსურთ ჩემზე ძეგლის დადგმა და ამის ღირსი ვარ, ეს ძეგლი ჩემს შავიერ „პეპოს“ დაუდგით, სადაც მოსახდენი იქნება. მთელი სხეულით იდგეს კვარცხლბეკზე თავის ტანთსაცმელით, ქუდ-დახურული, ერთ ხელში არუთინას ბარათი ეჭიროს, მეორე ხელით ბარათზე დაწერილს უჩვენებდეს, არუთინა კი ქუდმონხილი და სერთუკით პირშავად გვერდით იდგეს. ქვეშ წარწერილი იყოს მხოლოდ ეს სიტყვები: პეპო — ეს მაგ მოსატეხ ხელით არ დავიწერია?“<sup>2</sup>

გაბრ. სუნდუქიანცმა მეთევზე პეპოს სახით ნიჭიერად განასახიერა არა მარტო ეთნიკური ტიპი, ძველი თბილისის გარდამავალ ხანაში შექმნილი ყარაჩოღელი — კინტო, არამედ აგრეთვე პეპო, როგორც ძველი თბილისის სოციალური ცხოვრების რღვევის პერიოდში ამოქმედ-

<sup>1</sup> „დროშა“, 1932, № 6.

<sup>2</sup> გ. სუნდუქიანცი, პიესები, 1950, გვ. XXVI.

ბული — უბრალო მოკვდავი, შრომის შეილი, პატიოსანი შრომით ალა-  
ლი ლუკმის მკამელი, მაგრამ ფულით გაბატონებულისაგან უსინდისოდ  
შევიწროებული.

სუნდუქიანცმა პეპოს ახალი ადამიანის სულიც შთაბერა-  
პეპო სალი გონების, აზრის, გრძნობის, უნარის კაცია. მას აქვს მოვა-  
ლცობის სალი შეგნება; ის თავმოყვარეა. მას უსამართლობა, უპატიოს-  
ნება აღელვებს; მან არ იცის მორალური კომპრომისი. კომედიაში მშვე-  
ნივრადაა ნაჩვენები პეპოს სიმწარე, ბოლმა რომ აღრჩობს, ზიმზიმო-  
ვის სიყალბით, გაურჩეველი ანგარიანობითა და უსინდისობით გამოწ-  
ვეული.

ზიმზიმოვი პეპოს „პაშას“ ეუბნება ასი თუმნის ვალზე, რადგანაც  
ის დარწმუნებულია, რომ მისი ხელწერილი დაკარგულია. პეპოს  
მუდარა — ნუ დაღუპავს, რადგან ამ ას თუმანზეა დამოკიდებული მი-  
სი დის კეკეს ბედნიერებაც და უბედურებაც, ზიმზიმოვზე არავითარ  
შთაბეჭდილებას არ ახდენს. მოთმინებადაკარგული, ბრაზმორეული  
პეპო მოურიდებლად და სიმართლით ამხელს ზიმზიმოვის გამდიდრე-  
ბის მრუდე გზას; „ეს არის შენი კაცობა?! ათასი ჩემისთანა გაგიცარ-  
ცვავს განა! ...ქეიშა და კირი ჩვენის სისხლით აგირევიან განა?! ყველა-  
სათვის თვალეზი აგიბამს და ეხლა მძიმეთ და უზრუნველათ გამოქი-  
მული შენთვის ქეიფობ რაღა?!.. მაგრამ კარგად იცოდე, ბატონო არუ-  
თინ, რომ ეს საქციელი შენ არ შეგარჩება“<sup>1</sup>.

ასეთი ლაპარაკისა და მუქარისათვის ფულით ყველაფრის შემძლე-  
ბელი ზიმზიმოვი პეპოს მოსამსახურეებს სახლიდან გააგდებინებს და  
მის ციხეში გამომწყვდევისადაც გადაწყვეტს. მაგრამ ზიმზიმოვის თამა-  
სუქი აღმოჩნდება და იგივე მედიდური ზიმზიმოვი ქედმოხრილი მიდ-  
ის პეპოსთან; მზადაა ვალი გადაუხადოს, ას თუმანს ზედმეტად ორმო-  
ცდაათი თუმანიც დაადოს, ოღონდ პეპო საქვეყნოდ ნუ გახდის ზიმ-  
ზიმოვის ვერაგულ საქციელსა და ბუნებას, რომ მას სახელი არ გაუ-  
ტყდეს.

პეპოს არც ზედმეტი ფული მოხიბლავს, არც ციხე შეაშინებს. ის  
თამამად შესძახებს ზიმზიმოვს: „არა უშავს რა, წავალ ციხეში, ჩაეჯ-  
დები... იქ ხომ არ მოვკვდები! ... ერთხელ ხომ განვთავისუფლდები!  
...ვადა შორს. არ არის! ...ბევრი მოგიტყუებია ასე და მე პეპო არ ვიქ-  
ნები, თუ ყველას ჯავრს არ ამოვიყრი! ... მთელს ქვეყანაში პირზედ  
მურს წაგისვამ!“<sup>2</sup>

აი ამ განწყობილებაში, ამ ხასიათის სიმტკიცეში, ამ გაბედულება-  
შია მიმზიდველი ძალა პეპოსი, რაც ასე ატყვევებდა ავტორსაც და მა-  
ყურებელსაც.

<sup>1</sup> გ. სუნდუქიანცი, პიესები, 1950, გვ. 39—40.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 63.

მაგრამ გაბრ. სუნდუქიანცი მხოლოდ ჰუმანისტია, ის არ არის რევოლუციონერი, ის თავისი წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოზიციებიდან იცქირება. მისი პეპოც ბოლშის გადმონთხევაში ფრთებშეკვეცილია.

პეპო კარგად ხედავს ზიმიზიმოვისა და მისთანების უადამიანობას, მათ მიუღებელ მორალური ცხოვრების გზას, მაგრამ ხედავს, რომ ცხოვრება და კანონი ზიმიზიმოვების — შეძლებულთა ხელშია და ბოლშემაორეული, შხამნარევი დამშვიდებით ასე ელაპარაკება თავის თავს: „წადი, პეპო, მიწა გალოკე, ხალხს მუხლები დაუკოცნე, იმათი ფეხების მტკერი ალოკე!.. ვინ ხარ შენ? რა ხარ შენ? რა კაცების ანგარიშში ხარ შენ? რა სახელი გაქვს შენა?.. როდესაც უნდათ, ფეხქვეშ ჩაგიგდებენ, ზედ შეგდგებიან, მიწასთან გაგასწორებენ... ჭიანჭველაზედ რითი ხარ მეტი?!. შენ ხომ კაცი არა ხარ, შენ სხვების საქმელათ გაუჩენიხარ ღმერთსა... ღამე იტანჯე, დღე იტანჯე, ცისქვეშ გაათენე, წვიმას და ქარს ებრძოლე, ზამთარში ყინვისაგან ითრთოლე, ზაფხულში მზის პაპანაქებაში დაიწვი და დაიხრუე... წადი, ამ ნაირად ლუქმა-პური იშოვნე და იმ ლუქმა-პურით დაი და დედა არჩინე!.. ეს რა, რა კაცობაა?... ამ ნაირათ ხომ ძაღლიც შოულობს ერთს ლუქმას, რომელიც სახლს ყარაულობს... ვითომც შენც ძაღლი ხარ“...<sup>1</sup>

პეპოს ეს მონოლოგი ბევრის მოქმელია. პეპო აქ დიდ ტიპიურ სიმადლეზეა აყვანილი. ეს და სხვა ამგვარი გულის სიღრმიდან ასეთი სიმკვეთრით, დიდი ბუნებრიობით და ემოციურობით ამოხეთქილი ბოლშეანი სიტყვები პეპოს მეტად თავისებურ კოლორიტულ მეტყველებაში ასახული, კომედიას, მარაჟაც, სუნდუქიანცის შემოქმედების შედეგად ხდის.

ამასთან ერთად პეპოს დაპირისპირებაში ზიმიზიმოვთან გაბრ. სუნდუქიანცმა საგრძნობი სიმკვეთრით ასახა ის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც 70-იან წლებში საქართველოს სინამდვილეში იკვანძებოდა მდიდარსა და ღარიბს, ძლიერსა და სუსტს შორის, როდესაც მებრძოლნი ჯერ კიდევ ერთეულები იყვნენ, არ იყვნენ დარაზმულნი, არ ჰქონდათ ბრძოლის საშუალებანი გარკვეული.

პეპოს ტკივილი, მისი გულისწყრომა თვით ავტორის — სუნდუქიანცის კეთილშობილური ტკივილი და გულისწყრომაა, არსებული სოციალური ცხოვრების უსამართლო წყობილებით გამოწვეული. აქაა მკვეთრად გამოვლინებული დამახასიათებელი სტილური ნიშანი გაბრ. სუნდუქიანცის მთლიანი შემოქმედებისა, რომელშიც ნიჭიერადაა ჩაქსოვილი ავტორის მიერ ეპოქის პროგრესულ-დემოკრატიული მისწრაფებანიც.

<sup>1</sup> გ. სუნდუქიანცი, პიესები, 1950, გვ. 23.

გაბრ. სუნდუკიანცის დროზე შექმნილმა ცხოველმა პიესებმა თამამად და სწრაფად გაიკაფეს გზა როგორც სომხური, ისე ქართული სცენისაკენ. გაბრ. სუნდუკიანცის პიესებმა მძლავრად შეუწყეს ხელი სომხური და ქართული თეატრებისა და დრამატურგიის აყვავებას.

გაბრ. სუნდუკიანცს ქართველ დრამატურგთა შორის სულ მალე გაუჩნდნენ თანამოკალმენიც, რომელნიც ჩვენი ცხოვრების სინამდვილის ნიჭიერ და ცხოველ სურათებს იძლეოდნენ თავიანთ საყოფაცხოვრებო პიესებში. მაგალ., ანტ. ფურცელაძის „ავაზაკნი“, რომელიც სუნდუკიანცის „პეპოს“ თითქმის ერთდროულად დაიწერა და დაიბეჭდა კიდევ, თავის განწყობილებით, სოციალურ მოვლენათა გაგებით და გმირთა სახეების მოცემით სუნდუკიანცის პიესებს, განსაკუთრებით „პეპოს“, ძალიან ემსგავსება. განა ანტ. ფურცელაძის „ავაზაკნის“ გმირები — ძალად გაყაჩაღებულები: ტოტოლა, ჯირკია, ფარსა, დარჩო, კაკო და სხვანი, პეპოს არ ენათესავენბიან, განა ისინიც პეპოს შევიწროებული ბუდიდან არ გამოიყურებიან, პეპოს, ძმები არ არიან? ან განა ანტ. ფურცელაძის ვაჭრები — ჰავაქა დილანიანი, მინას ივანიჩი არ ენათესავენბიან გაბრ. სუნდუკიანცის ზიმზიმოვს, ზამბახოვს და სხვათა? რა თქმა უნდა, ენათესავენბიან და ძალიანაც.

გაბრ. სუნდუკიანცის მადლიანი ნიჭითაცაა გამთბარი და ამოქმედებული აგრეთვე გ. ერისთავის სკოლის მიმდევარი ქართველი დრამატურგების — აექს. ცაგარლის, ვასო აბაშიძის, ტრ. რამიშვილის, აზიანის და სხვათა დრამატიული შემოქმედებაც.

1879 წლიდან, როდესაც ქართულმა თეატრმა მოიპოვა მუდმივი ბინა, შექმნა მუდმივი დრამატიული დასი, რომლის რიგებსაც ამშვენებდნენ მაღალი ნიჭითა და ხელოვნებით დაჯილდოებული არტისტები — ნატო გაბუნია-ცაგარლისა, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი, კ. მესხი და სხვანი, გაბრ. სუნდუკიანცი თავისი პიესებით ამ დასის განუყრელი წევრი იყო.

გაბრ. სუნდუკიანცის მონდენილმა პიესებმა, რომელნიც მათი დაწერის უმალ ქართულად ითარგმნებოდნენ („პეპო“ კი თვით ავტორმა თარგმნა ქართულად რაფ. ერისთავის დახმარებით), არა მარტო შეავსეს და გაამდიდრეს ქართული თეატრის რეპერტუარი, რამაც ფართო მაყურებელი მიიზიდა, არამედ აგრეთვე მძლავრი და ნაყოფიერი გასაქანი მისცეს ქართველი არტისტების ნიჭის მხატვრულ გამოვლინებასა და ზრდას. ამის მჭევრმეტყველური დადასტურებაა ქართული თეატრის დასის აღრესი გაბრ. სუნდუკიანცისადმი 1901 წელს „პეპოს“ პირველი დადგმიდან 30 წლის თავის აღსანიშნავ იუბილეზე.

აი რას გამოსთქვამენ გაბრ. სუნდუკიანცისადმი მადლიერი ქართველი არტისტები:

„ყოველად პატივცემულო გაბრიელ! ჩერ კიდევ მუდმივი ქართული დასი არსად იყო, რომ ქართულმა სცენამ თქვენი უკვდავი „პეპო“ იხილა ამ ოცდაათი წლის წინათ, სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენილი. ნიჭი და ხელოვნება, რაც ისე თვალსაჩინოდ იყო აღბეჭდილი ამ საყვარელის გმირის ქმნილებაზე, გაბედვით ვიტყვით, არა უკანასკნელა თავდები შეიქნა ქართული სამუდამო სცენის დაარსებისა და სულ ოთხ წელიწადსაც არ გაუვლია მას აქეთ, ქართველთა მეღბომენის ტაძარს თქვენებრ ღირსეულ ქურუმთაგან ნაკურთხსა, მრავლად აღუჩნდნენ მსახურნი და მათ შორის ჩვენც გახლავართ და თავიც მოგვწონს, რომ ბედმა გვარგუნა თქვენის გმირების მსახიობად ყოფნა ჩვენს დედაქალაქში. რომლის ცხოვრების დასურათებით უმეტესი ერთობა აგრძობინეთ მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავებულს ორ საზოგადოებას“<sup>1</sup>.

გაბრ. სუნდუკიანცის პიესები ხშირად იდგმებოდა და დიდი წარმატებითაც ქართულ სცენაზე. მათ სდგამდნენ არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქშიც. მაგალ., „პეპოს“ ქართულ სცენაზედ ხშირად დადგმას კარგად ადასტურებს ყურნ. „თეატრის“ რეცენზიაში აღნიშნული ცნობაც: „პეპო“ იმდენჯერ არის ნათამაშევი, რომ ქართულ თეატრში მოსიარულეთ ზომზომოვის მონოლოგებიც კი სულ ზეპირათ დაისწავლესო“<sup>2</sup>.

გაბრ. სუნდუკიანცის პიესებს დიდი ხალისითა და უნარიანობით თამაშობდნენ ქართველი არტისტები. მათ მიერ ამ პიესების გმირების ჩაწვდომით განსახიერებას არა ერთხელ მოუყვანია აღელვებაში და ალტაცებაში როგორც თეატრის ფართო მაყურებელი საზოგადოება, ისე თვით ავტორიც. განსაკუთრებით კი გამოირჩეოდნენ — მაკო საფაროვა-აბაშიძისა (ეფემია, ნატალია), ნატო გაბუნია-ცაგარლისა (შუშანა. მარო), ვასო აბაშიძე (ისაია. გიგომოზე), კოტე ყიფიანი (გიქო, ზამბახოვი). მაკო საფაროვა-აბაშიძის ოსტატური თამაშობით აღელვებულ სუნდუკიანცს არაერთხელ მიუმართავს მისთვის ალტაცებული სიტყვებით: „აბა, რა გითხრა, შვილო, დუშკაჯან, სანამ შენ ცოცხალი ხარ. ჩემი ნატალია და ეფემიაც იცოცხლებენ“<sup>3</sup>.

გაბრ. სუნდუკიანცის პიესებითა და მათი ნიჭიერი წარმოდგენებით ქართულ სცენაზე ფართო საზოგადოების ცხოველ ბნტერესსა და დიდ კმაყოფილებას მიუღგომლდა და სისტემატურად აღნიშნავდნენ ქართული პერიოდული გამოცემანი: „დროება“, „ივერია“, „თეატრი“ და სხვ.

გაბრ. სუნდუკიანცის პიესებმა ისე დააახლოვეს ქართული და სომხური თეატრები, რომ ხშირად სუნდუკიანცის პიესების დადგმაში ქარ-

<sup>1</sup> „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 3.

<sup>2</sup> „თეატრი“, 1888, № 38 — 39.

<sup>3</sup> „კომუნისტი“, 1926, № 9.

თველი არტისტები (ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ნიკო გოცირიძე) ეხმარებოდნენ სომეხ არტისტებს და, პირიქით, სომეხი არტისტები (გევორქ ჩიმიშვიანი, მიჰრდათ ამერიკიანი, ქეთევან არამიანი, სათენიკ აბრამიანი) — ქართველ არტისტებს.

\* \* \*

გაბრ. სუნდუკიანცმა თავისი პიესებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით (როგორც ხაზგასმით და სისტემატურად აღნიშნავდნენ ქართული პერიოდული გამოცემანი) არა მარტო მკიდროდ დააკავშირა და მეგობრული ურთიერთობა შექმნა ქართულსა და სომხურ თეატრებს შორის, არამედ შესამჩნევად შეუწყო ხელი ქართველთა და სომეხთა დაახლოების, დამეგობრებისა და მათ შორის საერთო ინტერესისა და მისწრაფებათა გაღვივების საქმეს. ამას გაბრ. სუნდუკიანცი იჩენდა არა მარტო თავისი პიესების რეპეტიციებზე დასწრებით და არტისტებისადმი კეთილმეგობრული რჩევა-დარიგების მიცემით, არამედ აგრეთვე ფართო საზოგადოებრივი გულისხმიერი მუშაობითაც. აი რასა წერს მაღლიერი გრძნობით მარიამ საფაროვა-აბაშიძისა: გ. სუნდუკიანცს „დიდად უყვარდა, აფასებდა ქართველ ხალხს, მუდამ ცდილობდა ორ ერს შორის მეგობრული განწყობილება შექმნა და განემტკიცებინა. მთელი მისი მოღვაწეობა და თუნდაც ქართული თეატრისადმი დამოკიდებულება, ამისი უტყუარი საბუთია“.

ქართველი საზოგადოების აზროვნების მესვეურნი ყოველი შემთხვევით სარგებლობდნენ, რათა ხაზგასმით და დიდი კმაყოფილებით აღენიშნათ გაბრ. სუნდუკიანცის მოღვაწეობა, როგორც მეზობელ ერთა და, კერძოდ, ქართველთა და სომეხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების დიდი და საჭირო ძალა, — იქნებოდა ეს გაბრ. სუნდუკიანცის პიესების ქართულად თარგმნა, მათი დაბეჭდვა<sup>1</sup>, სცენაზე დადგმა და ღირსეული შეფასება პერიოდულ გამოცემებში აღფრთოვანებული რეცენზიების სახით, თუ გაბრ. სუნდუკიანცის მოღვაწეობის საიუბილეო დატების აღნიშვნა.

გაბრ. სუნდუკიანცი ქართველმა დრამატულმა საზოგადოებამ აქვს. ცაგარელთან ერთად ერთხმად აირჩია თავის საპატიო წევრად.

სუნდუკიანცის მოღვაწეობის დადებითმა შეფასებამ ნათელი განსახიერება ჰპოვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც ლექსების სახით. მარტო აკაკი წერეთელმა, რომლის მეგობრული ურთიერთობა გაბრ. სუნდუკიანცთან ქართველთა და სომეხთა მეგობრობის ერთგვარ სიმბოლოსავე იხატებოდა, სუნდუკიანცს სხვადასხვა დროს სამი ლექსი უძღვნა, მოვიტანთ ერთს:

<sup>1</sup> გაბრ. სუნდუკიანცის პიესა „პეპო“ ილ. ქაქავაძემ დაბეჭდა თავის ჟურნ. „ივერიაში“ 1880 წ.

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,  
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;  
ორივე შეილი ერთი მიწა-წყლის;  
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!

კავკაზმა დიდმა და ქედმაღალმა  
გააღიარა შენი ბუნება,  
და ამ მიდამომ, ყვავილოვანმა  
ავიფერადა საამოდ ვნება.

ღერად-ფერადი ვნებათა დღევა  
შენს თხზულებაში უხვად ჩაჰქსოვე,  
და უკვდავება სამეილიშვილო  
აეისისაღხორცე და მოაპოვე!

ამ ურიცხვ ხალხის გრძნობას და სურვილს  
მე შეეუერთებ ამ ჩემ გულის თქმას,  
და თაყვანსა გცემ, დიდო მოღვაწე,  
როგორც უმცროსი თავის უფროსს ძმას.“<sup>1</sup>

ასეთი ძმობა-ერთობის დამყარება გაბრ. სუნდუკიანცსაც და მის-  
თანამოაზრე-თანამედროვე მოღვაწეთაც — ილ. ქავჭავაძეს, აკ. წერე-  
თელს, გ. წერეთელს, ს. მესხს, ანტ. ფურცელაძეს და სხვათაც კარგად  
ესმოდათ, რომ მეფის რუსეთის ჯალათურ პირობებში შეუძლებელი  
იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა და მრავალი დაბრკოლებისა, მათ ღრმად  
სწამდათ, რომ ხალხთა ასეთი კავშირი მაინც უნდა განმტკიცებულიყო  
და განმტკიცდება კიდევ. ამიტომაც გაუტეხელადა და მძაფრად გაჰკიო-  
და მათი „ბუკი და ნალარა“ და თანაზიარით ძალუმაღ იზიდავდა ხალხთა  
მეგობრული კავშირის ფრონტის განსამტკიცებლად.

მათი ამ სანუკველი ოცნების განხორციელება შესაძლებელი შეიქ-  
მნა მხოლოდ ჩვენს დიად დროში, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

<sup>1</sup> ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებულის შვიდ ტომად, ტ. 1, 1940, გვ. 822.



## სიმონ ხუნდაძე როზორც ქართული ლიბერატურის მკვლევარი<sup>1</sup>

სიმონ ირაკლის ძე ხუნდაძე დაიბადა და აღიზარდა XIX და XX საუკუნეთა უღელტეხილზე — მეტად ქარიშხლიან, მეტად მჩქეფარე ეპოქაში, დიდი საზოგადოებრივი აღმავლობის პერიოდში.

სიმ. ხუნდაძემ საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. სადაც ამ დროს ცნობილი ნიჭიერი პედაგოგის იოსებ ოცხელის ზემოქმედებით თავმოყრილი იყო საზოგადოებრივ-პედაგოგიური ძალები, რომლებიც: გარდა სასწავლებელში პედაგოგიური მოღვაწეობისა, ეწეოდნენ დიდ, ფართო საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ესენი იყვნენ: იოს. ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ ნათაძე, გიორგი ახვლედიანი და სხვანი.

სასწავლებელში შექმნილი იყო საზოგადოებრივი პროგრესული-ოპოზიციონური განწყობილება შემავიწროებელი რეაქციული წყობილების წინააღმდეგ. ამ სასწავლებლის მოწაფე-მასწავლებელნი ერთი საერთო მიზნისათვის — საზოგადოებრივი, სასარგებლო მოღვაწეობისათვის მებრძოლ კოლექტივად იყო გადაქცეულა.

ამ სასწავლებელში გვლისხმიერ მასწავლებელთა მზრუნველობით სიმონ ხუნდაძემ გაატარა 12 წელი. სწავლის მთელ მანძილზე სიმ. ხუნდაძე ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. მოწაფეთა წრეებსა და პაექრობაში მას საკმარისად ცნობილი ახალგაზრდის სახელი ჰქონდა მოპოებული.

სიმ. ხუნდაძემ ქუთაისის ქართული გიმნაზია 1914 წ. დაასრულა. იმავე წელს სიმონი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ მისი დასრულება ვერ მოასწრო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, სადაც ის პოლიტიკურსა და ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. თანამშრომლობდა გაზ. „ტრიბუნაში“, შემდეგ გაზ. „კომუნისტში“.

1923 წელს სიმონი ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილი იქნა მოსკოვს — წითელ პროფესორთა ინსტიტუტში, რომელიც მან წარმატებით 1926 წელს დაამთავრა. ამ წლიდან ის საქართველოში დაბრუნდა და პედაგოგიურ და საკვლევო-სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა საკვდილამდე — 1934 წ. 21 აგვისტომდე.

ხანმოკლე იყო სიმონ ხუნდაძის ცხოვრება. ხანმოკლე იყო მისი მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე. მიუხედავად ამისა, განსვენებულმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა და მწერლობის საგანძურში.

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მის. ზ ა ნ - დ უ კ ე ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, 1, 1957, თბილისი.

სიმონ ხუნდაძემ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, 1927 წლიდან თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა საგრძნობი სირთულით, სიმახვილით და სიღრმით განაავითარა.

მისი მუშაობა ამ მოკლე პერიოდის მანძილზე დიდი ნაყოფიერებითა და მრავალმხრივ გაიშალა. თემა და ასპარეზი მისი მოღვაწეობისა ერთია — ქართული კულტურის კერის, ქართველი ხალხის საზოგადოებრიობის შესწავლა და გამომზეურება.

კარგადაა ცნობილი, რომ ქართული კულტურისა და საზოგადოებრიობის შესწავლის ისტორია ჯერ კიდევ გაუხსნელ ყამირს წარმოადგენს. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ქართული კულტურული ცხოვრების ამა თუ იმ მხარის შემსწავლელი ხშირად იძულებულია ყოველი დარგის შესწავლას წაატანოს ხელი, რათა აღებული საკითხის ფარკვევისათვის გზა გაიკაფოს. ის იძულებულია ისტორიკოსიც იყოს, არქეოლოგიც, საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარიც, ლიტერატურის მოვლენების შემსწავლელიც და კიდევ ბევრი სხვაც.

ასეთია დღემდის ზვედრი ქართველოლოგიის სარბიელზე მომუშავისა და ამისი მკვეთრი ნიმუში იყო განსვენებული სიმონ ხუნდაძეც. მას მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მრავალგზით მოუხდა მუშაობის წარმოება. ის თითქმის ერთდროულად მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის საკითხების გარკვევაში, საქართველოს ისტორიაში, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, ქართული ლიტერატურის საკითხებში და სხვა.

განსვენებულის საგანგებო ყურადღებას იპყრობდა საქართველოს ისტორია და განსაკუთრებით ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. სიმ. ხუნდაძის ამ მიმართულებით მუშაობის შედეგი იყო ცნობილი მისი შრომები: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ — ორ ნაწილად, „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“.

ამ მუშაობაში თანდათანობით სიღრმეში შესვლამ სიმ. ხუნდაძის ინტერესიც გააღრმავა და ის მჭიდროდ დაუახლოვა ქართული ლიტერატურის საკითხებს. ზემოდასახელებულ შრომებში განსვენებულს არა ერთხელ უხდება მიმართოს მხატვრულ შემოქმედებას საზოგადოებრივი მოვლენების ნათელსაყოფად. მაგალითად:

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთის მმართველობის საქართველოში დამკვიდრების პროცესში რუსეთის ბიუროკრატიულ მმართველობასა და ქართველ ფეოდალურ წოდებას შორის გამართული ჭიდილისა და წინააღმდეგობისა, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, მეტად ადვილად, რუსეთის ბიუროკრატიის წინაშე ქართველი თავად-ზნაურობის ქედის მოხრის გამოსარკვევად სიმ. ხუნდაძე სამართლიანად და ხერხიანად იყენებს მხატვრულ ლიტერატურასაც. განსვენე-

ბულს კარგად ესმოდა ლიტერატურის კლასობრივი ბუნება. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ლიტერატურა, როგორც ასეთი, კლასის ყოფის მკვეთრი ამსახველია და ამიტომ საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესწავლაში ლიტერატურა, როგორც უსაქიროესი დამხმარე დისციპლინა უსათუოდ დიდმნიშვნელოვანია.

საგულისხმოა ქართველი თავადაზნაურობის „საქმიანობა“ 30-იანი წლების დასაწყისში — 1832 წლის შეთქმულებისათვის მზადება. ეს, უდავოდ, ქართველ თავადაზნაურთა უკანასკნელ ძალთა მობილიზაციაა რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. მაგრამ უძლური და უნიადაგო გამოდგა ამ საქმეში დარღვეული პოლიტიკურად და ეკონომიურად ქართველი თავადაზნაურობა. რუსეთის მთავრობამ ხსენებული შეთქმულების გაგების უმაღლეს რუხიად აღვილად შესძლო შეთქმულთათვის გულწრფელად მოენანიებია თავიანთი ცოდვები და მათი უმრავლესობა რუსეთის ტახტის ერთგულ მსახურად გაეხადა. ამის დასამტკიცებლად სიმ. ხუნდაძეს სამართლიანად სხვა ფაქტებთან ერთად მოჰყავს გრ. ორბელიანის ცნობილი „სადღევრძელოდან“ ცნობილი ხოტბა რუსეთის მეფის ნიკოლოზ I-სადმი.

„ხელმწიფე ჩვენო,  
ძლიერო ბრძენო.  
ნიკოლოზ დიდო ჭულგრძელებითა.

გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ შესაწირავად,  
ტაძარი შენი ჰსდგას გულსა ჩვენსა, მოვედ შეიდობის ჩვენდა საკმევად,

ძველი ივერი,  
შენი ივერი,  
შენდა მოგმართავს თვალსა და გულსა...

თამარის დღენი,  
დიდების დღენი  
შენ მოუვლინე შენსა ივერსა... და სხვ.

ამ ხოტბას სიმ. ხუნდაძე ასეთ განმარტებას აძლევს: „ეს ლექსი საუცხოოდ ახასიათებს ქართველი ინტელიგენციის (მხედველობაში აქვს ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენცია. — მ. ზ.) სულიერ განწყობილებას და პოლიტიკურ მრწამსს 1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ. აქ გრ. ორბელიანის ლექსში ერთად არის შეზავებული უღრმესი ზიკვარული სამშობლოსადმი (საქართველოსადმი) და ღრმა პატივისცემა რუსეთის ტახტისადმი. ტახტი და სამშობლო, რუსეთის მეფე და საქართველო, ეს ორპირიანი ერთიანი სიმბოლო იყო გრ. ორბელიანისა და მთელი მისი მიმყოლი ქართველი ინტელიგენციისათვის. თავადაზნაურობის წოდებამ და თავადაზნაურული ინტელიგენციის უმრავლესობამ ქედი მოიხარეს რუსეთის ტახტის წინაშე და

შას ეროვნულ შინაყმად გადაიქცნენ. საქართველოში ფეოდალური ინტელიგენცია თავისი რეაქციონური სოციალ-პოლიტიკური მიმართულებით ერთად-ერთ ხსნასა და ბედნიერებას საქართველოსათვის რუსეთის ტახტის გაძლიერებაში ხედავდა“.<sup>1</sup>

ამავე დებულების დასამტკიცებლად სიმ. ხუნდაძე სარგებლობს ამავე პერიოდის მხატვრული ლიტერატურის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენლის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებით („ბედი ქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“), განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს უკანასკნელ ლექსს და ხაზს უსვამს ამ ლექსის უკანასკნელ სტრიქონებს:

აწ მიხვდა ქართლი შენსა ძველსა ანდერძნამაგსა  
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს ცრემლით აღნაგსა.

სიმ. ხუნდაძე ბარათაშვილის ამ ლექსს ასეთ განმარტებას აძლევს: „ეს ლექსი არ არის მარტო მხატვრული შემოქმედება, იგი პოლიტიკური პლატფორმაც არის, თუ გნებავთ, აქ გამოთქმული არის ის პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც სარჩულად ედგვა თავადანაურულ ინტელიგენციის მოღვაწეობას შემდეგ პერიოდში. 1917 წლის რევოლუციამდე“.<sup>2</sup>

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების 60-იან წლებში „მამათა“ და „შვილთა“ შორის ამტყდარი ბრძოლის გაგებისათვის სიმ. ხუნდაძე ასევე იმარჯვებს მხატვრული ლიტერატურის მონაცემებს. გრ. ორბელიანის ცნობილ „პასუხი შვილთა“-ში სიმ. ხუნდაძე სამართლიანად ხედავს პოლიტიკური ხასიათის სატირას, „სადაც რეაქციონური წოდების წარმომადგენელი (გრ. ორბელიანი. — მ. ზ.) თავგამოდებით იცავს ძველ ჩვეულებებს და სოციალურ პირობებს“ (იქვე).

სიმ. ხუნდაძე სამართლიანად ხედავს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის, მისი ძირითადი მოტივების — ძველი საქართველოს იდეალიზაციისა და თანამედროვე საქართველოს მდგომარეობით გამოწვეული წუწუნის (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ეახ. ორბელიანი), ღვინისა და ქალის კულტის (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი), ნ. ბარათაშვილის კაეშნიანი პანგის — სოციალურ საფუძვლებს ქართველი თავადანაურობის დეკადანსში. მართლაც, მთელი XIX საუკუნის მანძილზე ქართული ლიტერატურა მკვეთარი ამსახველია ფეოდალური წოდების დაშლისა, გადაგვარებისა და მისი მოწინააღმდეგე ფენების წამოწევისა.

ამგვარმა მუშაობამ სიმ. ხუნდაძე პირისპირ დააყენა ქართული

<sup>1</sup> ს. ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, 1927, გვ. 41 — 42.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 44.

ლიტერატურის მიუღწევლობა და იმანაც სიცოცხლის უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი ხალისით, სიყვარულით, შეგნებითა და ნაყოფიერებით აწარმოა ამ პიმატულებით მუშაობა.

1928 წელს ეურნალ „ქართული მწერლობის“ IV ნომერში სიმ. ხუნდაძე „მოსული“ ფსევდონიმით ათავსებს მოწინავე წერილს და შემდეგ წერს: „ჩვენი მწერლობის უკანასკნელმა ყრილობამ, სრულიად საფუძვლიანად წამოაყენა მორიგ ამოცანად კულტურული რევოლუციის ფრონტი: კულტურის ძირეულ საკითხებთან მწერლობას უახლოესი დამოკიდებულება აქვს, და ამიტომ ამ ფრონტის გაძლიერების საქმეში მან თავისი შესაფერისი როლი უნდა ითამაშოს... დღევანდელი კულტურული ორიენტაციის პირობებში ქართული მწერლობის წინაშე შემდეგი ამოცანა დგას: მან უნდა ნათლად შეიგნოს, რომ არ არის საკმარისი საბჭოთა წყობილების მარტო ორიენტაციაზე დგომა და მისი სოციალ-ეკონომიური და კულტურული აღორძინების ფაქტის აღნიშვნა; საჭიროა მწერლობამ ნათლად და გარკვევით შეიგნოს ამ სოციალ-კულტურული აღორძინების ძირითადი სოციალური სახე და მისი არსებითი მიზნები, რომ თანამედროვე გარდამავალი პერიოდის პირობებში ხდება, ერთის მხრივ, ძველი კაპიტალისტური წყობის სოციალ-ეკონომიური და კულტურული ფორმების დაშლა და გადაშენება, ხოლო, მეორის მხრივ, საფუძვლები ეყრება სოციალისტურ საზოგადოებას. ამ ღრმა მნიშვნელობის სოციალ-კულტურული ტრანსფორმაციის პროცესში მწერლობას, შეიარაღებულს ახალი იდეებითა და მისწრაფებებით, უდიდესი მოვალეობის შესრულება შეუძლია; იგი არ უნდა გახდეს — და არც გახდება — ბრმა მწყურებელი ამ დიდი შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც სწარმოებს დღეს საბჭოთა ქვეყნებში, თუ მას არა სურს ისტორიის მიერ გარიყული დარჩენა“.

სამართლიანად და დროულად ასეთ აქტუალურ მნიშვნელობასა და დანიშნულებას უსახავს სიმ. ხუნდაძე მხატვრულ ლიტერატურასა და მის შესვეურთ — მწერლებს. ასეთსავე ამოცანას უსახავს განსვენებული სიმ. ხუნდაძე ეურნალ „ქართულ მწერლობას“, რომლის ხელმძღვანელობა მას, როგორც პასუხისმგებელ რედაქტორს, დავალებული ჰქონდა.

„ეურნალი „ქართული მწერლობა“, — წერს ხსენებულ წერილში სიმ. ხუნდაძე, — შეძლებისდაგვარად ამ მთავარი ამოცანის განაღდებას შეუდგება; იგი შეეცდება ქართველ მწერლებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს იმ დიდი, კარდინალური კითხვის გადაწყვეტაში, რომელიც ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ვითარებამ წამოაყენა მორიგ ფრონტად: კულტურული რევოლუციისა და ახალი კულტურული მშენებლობის მიზანშეწონილად დაგვირგვინების საქმეში“.

ს.მ. ხუნდაძე, აღკურვილი მარქსისტული მსოფლმხედველობით, ცდილობდა კულტურის ყველა საკითხის და, კერძოდ, ლიტერატურული პოველებს გარკვევა-გაგება მარქსისტული კვლევა-ძიების სიმაღლეზე აეყვანა.

ქართული ლიტერატურის მარქსისტული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან განხილვა-შეფასება ახალი, საჭირო და ძნელი საქმე იყო. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მუშაობის ისედაც მძიმე პირობებს უფრო ართულებდა. მაგრამ სიმ. ხუნდაძე დიდი ენთუზიაზმით ჩაება ამ რთული და გადაუღებელი ამოცანის შესრულების საქმიანობაში. და, უნდა გადაჭრით ითქვას, ამ მიმართულებით მისმა მუშაობამ თვალსაჩინო კვალი დააჩნია ჩვენს კულტურულ ცხოვრებას.

სიმ. ხუნდაძე მუშაობის თანდათან გაღრმავებასთან ერთად, დარწმუნდა, რომ არც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია და არც ქართული ლიტერატურის ისტორია არ შეიძლება დაიწეროს. სანამდის ცალკეული მწერლობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების შესახებ სათანადო ნედლი მასალა არ იქნება შეკრებილი, შესწავლილი და სისტემაში მოყვანილი. განსვენებული მალე დარწმუნდა, რომ აღნიშნული დისციპლინების, მთლიან სისტემატურ-მეცნიერულ დამუშავებას წინ უნდა უძლოდეს ცალკეული მწერლებისა და მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების სერიოზული შესწავლა და მათი მონოგრაფიის სახით გამოქვეყნება.

განსვენებულმაც თავისი მუშაობა ამ მიმართულებით წარმართა. ამ მიზნით სიმ. ხუნდაძე ჩაუჯდა ჩვენ ხელნაწერთა არქივებსა და მუზეუმებს. ხანგრძლივ და სისტემატურად იმუშავა მან საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში სხვადასხვა ხელნაწერებზე, მრავალი საგულისხმო ცნობა დააგროვა მან 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული საკითხებისა და ზოგიერთი ცენტრალური მოქმედი პირის შესახებ.

ამ მუშაობაში, გარდა 1832 წლის შეთქმულებისა, სიმ. ხუნდაძე დაინტერესდა გრ. ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, სოლომონ რაზმაძის და სხვათა მოღვაწეობა-შემოქმედებით.

აღძრული საკითხებისა და მოღვაწეთა შესახებ ცენტრარქივში არსებული ხელნაწერები განსვენებულს აღარ აკმაყოფილებს. ის გადადის თბილისის სხვა ხელნაწერ მუზეუმებში მასალების შევსების მიზნით: მან ამ მიზნით გაიცნო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, უნივერსიტეტის (ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების) ხელნაწერთა ფონდი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერები და სხვ. სიმ. ხუნდაძე გზადაგზა პერიოდულ გამოცემებში ათავსებს წერილებს ამ საკითხებისა და მასალების შესახებ.

მუშაობა ფართოვდებოდა. განსვენებულის აღძრულ ინტერესს და მოთხოვნილებებს თბილისის მუზეუმების და არქივის ხელნაწერები ვედარ აკმაყოფილებს. ხშირად აღძრული საკითხების სერიოზული შესწავლა თხოვლობდა მეტი მასალის დაგროვებას. მწერლის, მოვლენის, ეპოქის ფართო შესწავლის მიზნით სიმ. ხუნდაძე ხშირად მიდის ქუთაისში, იქ მუზეუმის ხელნაწერებს, განსაკუთრებით კირილე ლორთქიფანიძის მდიდარ არქივს გულისხმეობით სწავლობს, ქუთაისიდან არა ერთხელ ზუგდიდშიც გადადის. იქ მას იზიდავდა ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერები, განსაკუთრებით კი იონა მეუნარგიას საინტერესო არქივი.

ამ მუშაობაში სიმ. ხუნდაძემ ბევრი საგულისხმო დეტალი აღმოაჩინა როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, ისე ქართული ლიტერატურის შესწავლისათვის, მაგალ., სოლომონ დოდაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ცნობები-წერილები, დიპ. ყიფიანის „მემუარები“; კ. ლორთქიფანიძის მიერ ყუარნ. „ცისკარში“ 1862 წლის აპრილის ნომერში „თერგდალეული“-ს ფსევდონიმით მოთავსებული წერილის ავტოგრაფი; მდიდარი მიწერ-მოწერა ილია ჭავჭავაძესა და კირილე ლორთქიფანიძეს შორის ქართული პერიოდული გამოცემებისა და პოეტურ შემოქმედებათა დაბეჭდვა-გამოცემის შესახებ და სხვ.

ამ მუშაობის შედეგად სიმ. ხუნდაძეს საღი და სწორი შეხედულებანი შეუქმუწავდა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ. რის გამოქვეყნება, სამწუხაროდ, განსვენებულმა ვერ მოასწრო.

სიმ. ხუნდაძის მუშაობის ხასიათი თანდათან ღრმავდებოდა. საჭირო და აუცილებელი ხდება მისთვის ეპოქის ცხოვრების მაჯისცემის გაცნობა-განცდა, შესწავლა. ცნობილია, რომ ქართველი კლასიკოსების შემოქმედების გამოცემა, მით უმეტეს მეორე და მესამე ხარისხოვანი მწერლებისა, ხოლო განსაკუთრებით კი პუბლიცისტებისა და კრიტიკოსებისა, ახლაც კი ძალიან მოიკოჭლებს. უარესი მდგომარეობა იყო ამ 20 — 25 წლის წინათ.

ქართულ პერიოდულ გამოცემათა შესწავლა-გაცნობის აუცილებლობაც წამოიჭრა სიმ. ხუნდაძის წინაშე. კარგადაა ცნობილი ის სამწუხარო ამბავი, რომ ქართული პერიოდული გამოცემების ასე თუ ისე მთლიანი კომპლექტი არც ერთ ჩვენს დაწესებულებაში არ მოიპოვებოდა. პირდაპირ წარმოუდგენელია ის შევიწროება, დროისა და ენერჯიის სარჯვა, რომელიც სჭირდება მკვლევარს მათი სისტემატური გაცნობისათვის.

სიმ. ხუნდაძემ აქაც განსაკუთრებული სიყვარული, გატაცება გამოიჩინა. არც დრო, არც მატერიალური სახსრები არ დაზოგა მათი

შექენისა და გაცნობისათვის. ამგვარმა მუშაობამ განსვენებული მტკიცედ ჩააყენა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების კურსში. მან შეისწავლა ჩვენი პერიოდული გამოცემანი: „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „გუთნის დედა“, „კრებული“, „ივერია“, „მნათობი“, „კვალი“, „ნობათი“ და სხვა; გაიცნო ამ ორგანოებთან შემოკრებილ მოღვაწეთა წრეები, მათი შემოქმედება. ამ მუშაობის შედეგად სხვათა შორის მან გაასწავლა მრავალი ფსევდონიმიც.

სამწუხაროდ, განსვენებულს ბევრი მიღებული ცნობა გამოუქვეყნებული დარჩა. ის მასალის დაგროვების პროცესში იყო, ის სწავლობდა, ეცნობოდა, ცნობებს კრებდა. ვხადავხა ზოგიერთი საკითხების თუ მწერლების შესახებ ურნალ-გაზეთებშიც მოათავსა წერილები, მაგალ.: „ნარკვევები ქართული აზროვნების ისტორიიდან“ (ეურნ. „პროლეტარული მწერლობა“), „ჩერნიშევსკი და ნო-იანი წლების „ქართველი ინტელიგენცია““ (ეურნ. „ქართული მწერლობა“). (ამ წერილში განსვენებული ხაზგასმით აღნიშნავს რუსთა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობასა და რუსი განმანათლებლების: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და სხვათა დიდ დადებით გავლენას ჩვენ თერგ-დალეულებზე). „ეგ. ნინოშვილი და ანტ. ფურცელაძე“ (ეურნ. „ქართული მწერლობა“), „აკაკი წერეთელი“ (ეურნ. „მნათობი“) და სხვ.

აღნიშნულის გარდა, სიმ. ხუნდაძემ კარგად გაითვალისწინა, რომ მრავალი საგულისხმო მასალა საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიისათვის თვით საზოგადოებაშია გაფანტული. მრავალი საზოგადო მოღვაწე მოწმეა და მონაწილეც ისტორიული ფაქტებისა და უშუალო მცნობი მწერალთა და მოღვაწეთა საქმიანობისა. ყველა ამ მასალის ცოდნა მეტად სასარგებლოა და ხშირად აუცილებელიც, საზოგადო მოღვაწის თუ მწერლის ნააზრევის სწორი ათვისება-შეფასებისათვის.

ამ მიზნით სიმ. ხუნდაძე, მისთვის დამახასიათებელი ენერჯით, იწყებს კერძო პირებისაგან მასალების შეკრებას — იქნებოდა ეს მოგონების დაწერის სახით, თუ მიწერ-მოწერის შეკრებით. მაგალ., როცა ის ეგნ. ნინოშვილის შემოქმედების გამოცემაზე მუშაობდა, მას დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული ეგნ. ნინოშვილის ნათესავნაცნობებთან, რაც მიზანშეწონილად გამოყენებული აქვს ეგნ. ნინოშვილის გამოცემაში რედაქტორის შენიშვნების სახით.

ამ მიმართულებით შეკრებილი მასალა განსვენებულს ბევრი გაუფორმებელი დარჩა. მხოლოდ ნაწილი გამოაქვეყნა ურნალ-გაზეთებში და კლასიკოსთა გამოცემებში. მაგალ.: ეგ. ნინოშვილის, გ. წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა შესახებ.

საქართველოს სახელგამს ხელშეკრულება დაადებინა ცნობილ სა-



ზოგადო მოღვაწე-პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძესთან, რომ უკანასკნელს თავისი მოგონება დაეწერა, რის ნაწილიც 60-იანი წლების შესახებ გამოქვეყნდა.

ამასთან ერთად სიმ. ხუნდაძე, როგორც მოქალაქე თანამედროვე აზვირთებული საზოგადოებრიობისა, საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის ეპოქისა, მხატვრულ ლიტერატურას და კრიტიკას უყურებდა როგორც ერთ-ერთ მძლავრ იარაღს ამ საერთო დიდი ამოცანის განხორციელებაში. ამიტომ ერთ-ერთ თავის გადაუდებელ ვალდებულებად თვლიდა თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების გაჯანსაღებაში მიეღო აქტიური მონაწილეობა, განსვენებული დიდი გულისსმირებებით უპასუხებდა ლიტერატურის მტკივნეულ საკითხებს. მარქსისტული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან იძლეოდა თანამედროვე მწერლების შეფასებას — მიხ. ჯავახიშვილის, გლ. ტაბიძის, ა. შანშიაშვილისა და სხვათა.

სიმ. ხუნდაძის განსაკუთრებითი ყურადღება მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელმა“ მიიპყრო. ეს უკანასკნელი განსვენებულს რამდენიმე მიმართულებით აინტერესებდა: 1) რომანი „არსენა მარაბდელი“ მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ერთგვარ გარდატეხას ამჟღავნებდა — სახელდობრ მწერლის უფრო დაახლოებას თანამედროვე ცხოვრებასა და მკითხველის მოთხოვნილებებთან. 2) ამ რომანის სახით მწერალი და ქართული მწერლობა ადიოდა განვითარების ახალ საფეხურზე — ნარკვევების მაგიერ იწერება უკვე რომანი ფართო სოციალური ურთიერთობის გაშლით და 3) იწერება ისტორიული რომანი, რომელიც შედეგია მასალის ხანგრძლივი შესწავლისა — შრომისა.

სიმ. ხუნდაძე ცდილობს ამ ახალ საგულისხმო მოვლენას ჩვენს ლიტერატურაში აქტიურად შეხედეს. ცდილობს ამ რომანს პოპულარიზაცია გაუკეთოს, რათა ხელი შეუწყოს ფართო მასებს მის კრიტიკულად და შეგნებულად ათვისებაში, ხოლო თვით მწერალსაც დაეხმაროს ამ უანრის სრულ დაუფლებაში.

ამ მიზნით განსვენებული სიმ. ხუნდაძე კითხულობს „არსენა მარაბდელის“ შესახებ (თბილისში, ქუთაისში) რამდენჯერმე მოხსენებას, აწყობს ფართო დისპუტს, ათავსებს „ლიტერატურულ გაზეთში“ „არსენა მარაბდელის“ ფართო განხილვას.

„არსენა მარაბდელი“, — წერს სიმ. ხუნდაძე, — მეტად საინტერესო ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს და ინტერესი ამ რომანისადმი დღითი-დღე ცხოველდება. ეს გარემოება აიხსნება არა მარტო მით, რომ ამ ნაწარმოების ავტორია სახელმოხვეჭილი მწერალი, არამედ მითაც, რომ ექვსასგვერდიან რომანის მანძილზე გამოცდილი კალმის ავტორმა ჩვენი ისტორიის ისეთი შესანიშნავი ეპოქა აგვისახა,

დესაც ჩვენში გამძაფრებული კლასიური ბრძოლები ხდებოდა. „არ-  
ნა პარაბდელი“, — განაგრძობს განსვენებული, — გარკვეულ ის-  
ტორიულ ფონზე არის აგებული; მასში აწერილია ისტორიული ფაქტე-  
ბი, გამოყვანილია ათეული ისტორიული პირები, დახასიათებულია გარკ-  
ვეული ეპოქის ტიპები, მოცემულია ამავე ეპოქის საზოგადოებრივ-  
კულტურული ცხოვრება. ამ ეპოქის შესწავლაზე და რომანისათვის ის-  
ტორიული მასალების დაგროვებაზე ავტორი რამდენიმე წლის განმა-  
ვლობაში მუშაობდა. ავტორმა არა მარტო არქივის მტვერიდან ამოკ-  
რიბა ისტორიული ფაქტები, არა მარტო ხელნაწერები და ბეჭდვითი  
ძეგლები შეისწავლა, არამედ ადგილობრივი კოლორიტის შესასწავლად  
მან მოიარა ყველა ის გეოგრაფიული რაიონი, რომლებიც არსენას  
მოქმედო ასპარეზს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ ავტორმა ენერგიუ-  
ლად გამოიყენა ის გზა ისტორიული რომანის შექმნისა. რომელიც გან-  
მტკიცდა ევროპასა და რუსეთში“<sup>1</sup>.

„არსენა პარაბდელის“ ღირსებად სიმ. ხუნდაძე სამართლიანად  
ხატავს იმ გარემოებას, რომ რომანის ავტორს „საერთოდ ესმის და  
შეგნებული აქვს ამ ეპოქის სოციოლოგიური შინაარსი, მისი დინამი-  
კა“. მაგრამ ამასთან ერთად სიმ. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ავტორს,  
შაბ. ჭავჭავიძეს, „ზოგიერთ ტიპის ხასიათსა და სამოქმედო გეგმებში  
ისეთი ელემენტები შეაქვს, რომელიც არ არის დამახასიათებელი და  
ტიპიური მაშინდელი ეპოქისათვის. ზოგიერთი ისტორიული მოვლენ-  
ა, — აღნიშნავს განსვენებული, — ისეთს ასპექტში არის ასახული,  
რომელიც არ იძლევა ამ მოვლენის და მოძრაობის სწორ ისტორიულ გა-  
გებას“<sup>2</sup>.

სიმ. ხუნდაძე, უდავოდ, საფუძველს არაა მოკლებული, როდესაც  
აღნიშნავს, რომ მის. ჭავჭავიძელმა არსენაში მაშინდელი გლეხური მოძ-  
რაობის ტიპი ვერ მოგვცა, რომ არსენა რომანში მოცემული ბურჟუა-  
ზიულ-დემოკრატიული პროგრამით ვერ ჩაეტევა 20—30-იანი წლების  
ისტორიულ ჩარჩოებში. სიმ. ხუნდაძის შეხედულებით, არსენა „არ  
არის ამ ეპოქის გლეხთა მოძრაობის ტიპიური წარმომადგენელი. არ-  
ენა 1905 წლის გამობრძმედილ წითელ რაზმელს უფრო გვაგონებს,  
იდრე 1830-იანი წლების არსენა ოძელაშვილს“<sup>3</sup>.

სიმ. ხუნდაძეს არაბუნებრივად მიაჩნია გლეხის ბუნტარი ბუნებო-  
ათვის არსენას უსისხლო რევოლუციის თეორია. „აბუნტებულ გლეხ-  
ა და მის მეთაურს, — განმარტავს სიმ. ხუნდაძე, — ეს ლმობიერა

<sup>1</sup> „სალიტერატურო გაზეთი“, 1930, № 11.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ფილოსოფია სრულიად არ ესმის. აქ თვით ავტორი ამეტყველებულია არსენას პირითო“<sup>1</sup>.

სიმ. ხუნდაძის გაგებით, „ასეთს შემთხვევებში „არსენა მარაბდელში“ არა ისტორიული სინამდვილე მეტყველებს, არამედ თვით ავტორის სუბიექტური მორალურ-ესთეტიკური იდეები“. ეს გარემოება კი, სიმ. ხუნდაძის შეხედულებით, აიხსნება იმით, რომ მიხ. ჭავჭავიძე იქ „ვერ შესძლო საესეებით დაუფლება ნამდვილი რეალიზმის მეთოდისა“. გარდა ამისა, სიმ. ხუნდაძე მიხ. ჭავჭავიძელის „არსენა მარაბდელში“ აღნიშნავს ზოგიერთ ფაქტიური ხასიათის შეცდომასაც.

მიუხედავად აღნიშნული დეფექტებისა, სიმ. ხუნდაძემ აწორად განსჯერბიტა „არსენა მარაბდელის“ დიდი მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარებაში. „მიხ. ჭავჭავიძე იქ, — წერს სიმ. ხუნდაძე, — „არსენა მარაბდელის“ სახით მეტად საინტერესო და აქტუალურ თემას მოჰკიდა ხელი; ავტორმა შესძლო ამ საინტერესო თემის ისეთ მხატვრულ ფერადებში გაშლა და ისეთს ტილოზე გადატანა, რომ მკითხველის ინტერესი მთელი რომანის მანძილზე არ ეცემა (გამონაკლისს გარდა). ამაში გამოიხატება ავტორის მხატვრული ხერხების დადებითი მხარე და რომანის დიდი ემოციონალური ზეგავლენა მკითხველებზე, რომლის ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ დაყენებით, იწვევს მასში გარკვეულ გრძნობებს, განცდს და მიმართავს მას გარკვეულ ფონისაკენ, მკითხველის დამორჩილებს და მისი გრძნობების, ინტერესის გარკვეული მიმართულებით განვითარება — ამაში გამოიხატება „არსენა მარაბდელის“ ემოციონალური მომენტის გამარჯვება“.



ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის კვლევის მიმართულებით სიმ. ხუნდაძეს მეტად თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ქართველი კლასიკოსების გამოცემის საქმეში.

დღეს ჩვენთვის უდავოა, რომ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა და განსაკუთრებით კი ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის მთავარი გამოსავალი საფუძველი თვით ლიტერატურული ნაწარმოებია — მწერლობითი ძეგლი. ამიტომ მკვლევარისათვის პირველ რიგში აუცილებელია ხელთა ჰქონდეს ყოველმხრივ შემოწმებული ნაწარმოების დადგენილი ტექსტი იმ სახით, როგორითაც ეს მწერლის ხელიდან გამოვიდა. დღეს ეს საქმე უკვე უდავო და გადაუდებელი ამოცანაა კვლევა-ძიების რაციონალური წარმოებისათვის.

ჩვენში ეს საქმე, სამწუხაროდ, არამცთუ არა კეთდებოდა, არამედ

<sup>1</sup> „სალიტერატურო გაზეთი“, 1930, № 11.

საკაობიც არ იყო გარკვევილი და მთელი სიმძიმით დასმული. ამ გარემოებას მხოლოდ ამ ბოლო ხანებში ექცევა ყურადღება.

სიმ. ხუნდაძე თუ პირველი არა, ერთი პირველთაგანი მაინც იყო, რომელმაც წამოაყენა ამ მიმართულებით მუშაობის დიდი მნიშვნელობა: „ღღეს, — წერს სიმ. ხუნდაძე, — როდესაც გაცხოველდა ინტერესი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლისადმი, როდესაც ქართველი კლასიკოსების შესწავლა წმინდა მარქსისტულ სოციოლოგიის თვალსაზრისით მორიგ ამოცანად გადაიქცა ჩვენი კულტურული ბრძოლის ფრონტზე — ბუნებრივად დაიბადა ჩვენში ინტერესი გიორგი წერეთლის ნაწერების და მისი მოღვაწეობის შესწავლისა“<sup>1</sup>.

განსვენებული იქვე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით ქართველი კლასიკოსების აკადემიურ გამოცემაზე ფიქრი ნაადრევი იქნება; კიდევ კარგა დიდხანს დაგვჭირდება შავი მუშაობის წარმოება, მხოლოდ აუცილებელია აქედანვე ამ ამოცანის გადაუდებელ მიზნად დასახვა.

სიმ. ხუნდაძე სამართლიანად ამბობს, რომ ამ ამოცანის განხორციელებისათვის ძირეულად უნდა მივიჩნიოთ ნაწარმოების ტექსტი. „ჩვენის აზრით, — წერს ის, — ყოველი კლასიკოსი-მწერალი საზოგადოებამ იმ სახით უნდა გაიცნოს, როგორც იგი ისტორიულად იყო მოცემული“<sup>2</sup>.

ამ ამოცანის სათანადო შესრულება კი თხოულობს არსებული დაბეჭდილი ნაწარმოების ტექსტის პირველ წყაროსთან — ავტორის ხელნაწერთან შედარებას, ხოლო, თუ ხელნაწერი — ავტოგრაფი არ არსებობს, ნაწარმოების პირებისა და ნაბეჭდის შედარება-შესწავლას და ამ გზით ნამდვილი ტექსტის დადგენას.

ტექსტის ამგვარი შესწავლა მეტად რთულია და დიდ, შავ მუშაობას თხოულობს. სიმ. ხუნდაძეც დაუღალავი ენერგიითა და გატაცებით ჩაება ამ მუშაობაში. მან დიდის სიყვარულით, მოწადინებით შეამზადა და ნაწილობრივ გამოსცა კიდევ: ეგნ. ნინოშვილი, I და II ტომი, გ. წერეთელი — I ტომი; ნ. ნიკოლაძე — I და II ტომი, დიპ. ყიფიანი — „მემუარები“, მრავალიც დარჩა დაუმთავრებელი. ამ მიმართულებით განსვენებულს მოქმედების ფართო გეგმა ჰქონდა დასახული და დიდი წინასწარი მუშაობა ჩატარებული.

ნაწარმოების ტექსტის დადგენა, მართალია, ძირითადია, მაგრამ მაინც არ ამოწურავს გამომცემელ-რედაქტორის მუშაობის ამოცანას.

რედაქტორის მიზანია მკვლევარს ხელი შეუწყოს მუშაობაში,

<sup>1</sup> გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 12.

კვლევა გაუადვილოს (თავიდან ააცდინოს წერილმანი სამუშაო, წინასწარ გათვალისწინოს ტექსტის შესწავლის მხარეები, მაგალ., ნაწარმოების დაწერის დრო, ადგილი, გარემოება, გამომწვევი მიზეზები, მოქმედ პირთა პროტოტიპები და სხვა ამგვარი ფაქტიური ცნობები) და ამ საშუალებებით მკვლევარს მწერლისა თუ ეპოქის სწორი გაგება და შესწავლა დააძლევინოს.

ამ მიმართულებით განსვენებული სიმ. ხუნდაძის რედაქტორული ალლო ენერგიულად იყო ამუშავებული. და, უნდა ითქვას, სწორი გზა-ცა აქვს მას ნაპოვნი.

მკვლევარისათვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების დაწერის თარიღის ცოდნას. ხშირად ნაწარმოები ქვეყნდებოდა არა მაშინ, როცა ის იქმნებოდა, არამედ, სხვადასხვა ობიექტური პირობების გამო, გაცილებით გვიან. მკვლევარისათვის მეტად სასარგებლოა იცოდეს ნაწარმოების როგორც გამოქვეყნება-ბეჭდვის, ისე აგრეთვე დაწერის თარიღი.

ნაწარმოებთა დაწერის დროის ცოდნა მასალას მოგვცემს მწერლის შემოქმედების ევოლუციის გარკვევისათვის. ნაწარმოების შექმნის თარიღის ცოდნა მრავალ შემთხვევაში მკვლევარს გასაღებს მისცემს გაიგოს ის ობიექტური პირობები, რომლებმაც ეს ნაწარმოები გამოიწვია და აგრეთვე რომლებმაც მისი გამოქვეყნება შეაფერხა.

ამასთან ერთად საჭიროა ტექსტს დაერთოს სათანადო კომენტარები, რომლებიც მკვლევარს დაეხმარება ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის გამოაშკარავებაში.

რედაქტორის მიერ ამგვარი ხასიათის მუშაობა მდიდარ მასალას მისცემს როგორც სერიოზულ მკითხველს, ისე ლიტერატურისა თუ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიკოსს.

სიმონ ხუნდაძე სწორედ ამ გზით მიდის. ის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ნაწარმოებთა დაწერისა და დაბეჭდვის თარიღების გამორკვევას, ნაწარმოების გარშემო აღნიშნული საჭირო ცნობების შეკრებას, მათ სისტემაში მოყვანას. სიმ. ხუნდაძე სამართლიანად უარყოფს გამოცემებში ნაწარმოებთა თემატურ დალაგებას, რაც ჩვენში გავრცელებული იყო. „რედაქტორის მიერ, — წერს ის, — უარყოფილია პრინციპი ტომების თემატურად დალაგებისა. ამ შემთხვევაში იგი ფიქრობდა, რომ „უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა ქრონოლოგიური წესი; ეს წესი, ერთის მხრივ, საშუალებას აძლევს მკითხველს ნათლად უჩვენოს თვით მწერლის თანდათან ზრდა, მისი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ევოლუცია, მეორის მხრივ, გააცნოს ისტორიუ-

ლი თანრიგობის მიხედვით ის საკითხები, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში წამოიჭრებოდა<sup>1</sup>.

ამგვარი მიმართულებით ამუშავებდა სიმ. ხუნდაძე როგორც მხატვრული შემოქმედების ტექსტს, ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურსა და აგრეთვე მემუარულს.

ასეთი მუშაობაა მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საძირკველი და განსვენებულმა სიმ. ხუნდაძემაც მტკიცე და პატიოსანი ხელით დაიწყო საძირკველის ამოყვანა იმ დიდი და საჭირო შენობისა, რომელსაც ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაჰქვია.

მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა მას არ აცალა. მოულოდნელად შესწყვიტა მისი აზრიანი და ნაყოფიერი სიცოცხლე. შესწყვიტა ასეთი გატაცებით დაწყებული დიდი კულტურული საქმე, რომელიც დაჟინებით ელის და თხოულობს სიმ. ხუნდაძისებურ მოსიყვარულე და მზრუნველი ოსტატის ხელს<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1931, გვ. IX.

<sup>2</sup> მოხსენება წაკითხულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1953 წ. 4 დეკემბერს ფილოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო პროფ. სიმონ ხუნდაძის დაბადებრიდან 60 წლისა და გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი.

პირთა სპიჯებელი

- აბაშიძე გრ. დ. 190  
 აბაშიძე ვ. 220, 267, 268, 417—419  
 აბაშიძე კ. 4, 65, 136  
 აბრამიანი სათენიკ 419  
 აბრამიშვილი მ. 249  
 აბრამიძე 259  
 ავალიშვილი გ. 248—252  
 აზიანი 268, 217  
 ალექსანდრე III 65, 105  
 ალექსი-მესხიშვილი ვლ. 267  
 ალიხანოვ-ავარსკი 80  
 ამერიკიანი მიპრდათ 419  
 ამილახვარი ალ. 248—252  
 ამირიძე იოსებ 250  
 ანანოვი 259  
 ანდრონიკაშვილი თამაზ 250  
 ანტონ კათალიკოზი 249  
 ანტონოვი ზ. 259, 263, 264, 264, 408, 409  
 არაგვის ერისთავი ზურაბ 234, 236  
 არაგვისპირელი შიო (დედაბრიშვილი შ.) 3—245  
 არამიანი ქეთევან 419  
 არონიშვიძე დ. 11  
 არჩილი 246  
 ასათიანი მის. 8, 9, 190  
 აქსაკოვი 292, 293  
 ალა-შაჰმად-ხანი 253  
 ახალშენიშვილი ივ. 15  
 ახვლედიანი გ. 421  
  
 ბაგრატიონი 248, 253  
 ბაირონი 283  
 ბარათაშვილი ნ. 71, 72, 145, 185, 233, 279, 280, 424  
 ბარნოვი ვ. 7, 10  
 ბაქრაძე დ. 310—312  
  
 ბებუთოვი 266  
 ბელინსკი ბ. 5, 155, 156, 349—372, 374—383, 386—404, 428  
 ბლანკი 302  
 ბოგდანოვი 266  
 ბოკაჩიო 154  
 ბოტკინი ვ. 358, 367—369, 371, 381  
 ბრავე 253  
 ბულგარინი 367  
  
 ბაბაშვილი ეკ. 159, 163, 232  
 გაბრიელ შიორი 249, 250, 253  
 გაბუნია-ცაგარლისა ნ. 267, 417—419  
 გაიოზ რექტორი 249  
 გარსევანიშვილი ალ. 421  
 გელაზერაშვილი ანტ. 15  
 გერცენი ა. 275, 300  
 გიორგი XII 251  
 გლადკოვი 160  
 გოგებაშვილი ი. 114, 232, 295, 296, 406  
 გოგიჩაიშვილი ფ. 296  
 გოგოლი ნ. 190, 355, 356, 359—366, 382, 394  
 გომართელი ივ. 4, 294  
 გორკი მ. 155  
 გოცირიძე ნიკო 419  
 გრეჩი 367  
 გრიზნოვი 80, 148, 188  
 გრიგოროვიჩი 282  
 გრიშაშვილი ი. 409, 410  
 გულისაშვილი ზაქ. 8, 232  
 კენია ვალ. 268  
 გურამიშვილი დ. 234  
 გურიელი მამია (ფაზელი) 190, 279  
  
 დავით ბატონიშვილი 248, 250  
 დავით რექტორი 247, 249, 250  
 დედაბრიშვილი ზაქარია 6<sup>1</sup>

<sup>1</sup> შეადგინა ა. კაჭარავამ

დედაბრძოლი ნუნუ 23, 25  
დედაბრძოლი შიო იხ. არავეისპირელი  
შიო

დეკანოზიშვილი ა. 27, 159  
დეკანაძე გ. 259, 263, 264, 409  
დობროლიუბოვი 281, 300, 372, 428  
დოდაშვილი სოლ. 426, 427  
დოსტოევსკი 363

მგნატაშვილი ს. 248

ეზოპე 172, 190

ეკალაძე ია 8—10, 152, 159

ელეფთერიძე ილ. 27

ელაოზიშვილი 259

ერეკლე II 247, 248, 250—252, 338,  
339

ერისთავი ალ. 254

ერისთავი გ. 246, 251, 253, 258—268, 408,  
409, 411, 417

ერისთავი დ. 4, 268, 315

ერისთავი რაფ. 406, 417

ერისთავი ს. 272

მეია-ფშაველა 5, 295, 321, 325—327,  
329—336, 338—348

ვახტანგ VI 247

ვახუშტი 246

ვიაჯემსკი 352

ვინუა 301

ვოლტერი 253

ვორონცოვი მ. ს. 255—257, 259, 266

ზაიციევი 372

ზანდუქელები 248

ზანდუქელი მ. 3, 405, 421

ზანდუქელი ნიკოლოზ 248

ზანდუქელი სილოვან 248

ზენკლოვი 259

ზოლა ე. 179

ზუბალაშვილი 253

ზურაბიშვილი ივ. 27, 159

ზურაბიშვილი. ილ. 409

შარხან-მოურავი გ. 310, 312

თეიმურაზი (მეფე) 234, 235

თეიმურაზ ბატონიშვილი 253

თეკლა ბატონიშვილი 249

თუთაევი ალალო 268

თუმანიშვილი მ. ს. 253, 254, 263—265

თურქესტანიშვილი ე. 248

იაგელსკაია 13

ივანენკო ვ. 256

ივანიძე 259

ინგოროყვა პ. 272, 317

იოსელიანი პლატონ 263

ძაჯაბაძე ივ. 245

კარტიგინი 390

კეკელიძე კ. 249, 405

კერესელიძე ივ. 264, 266, 408

კლდიაშვილი დ. 4, 160, 225, 268

კორნელი 253

კოროლენკო ვ. 155

კორძია 259

ლაფერაშვილი 259

ლევან ბატონიშვილი 247

ლექიშვილი ს. 245

ლემანი მ. 155

ლენინი ე. ი. 207

ლეონიძე გ. 249

ლერმონტოვი მ. 179, 181, 279

ლომოური ნ. 9, 232

ლორთქიფანიძე კ. 270, 272, 427

ლუარსაბი (მეფე) 234, 235

მარიამ ბატონიშვილი 249

მარკოვიჩი 282

მარკ ტვენის 155

მარქსი კ. 200

მარჯანიშვილი კოტე 246, 247

მალალაშვილი ლუარსაბ 272

მაჩაბელი 253

მახარაძე ფილიპე 15

მგალობლიშვილი სოფრ. 9, 159, 153,  
190, 232

მელანია 4

მელიქიშვილი ნიკო 15

მესხი ს. 270, 272, 277, 278, 310, 312,  
376, 406, 417, 420



მესტიისი ლ. 253, 272, 417  
მეუნარგია იონა 427  
მელვინეთუხუცესი დიმიტრი 254  
მირიან. შილი შიხ. 14—16, 24, 143  
მირიან ბატონიშვილი 248, 253  
მიქაბერიძე ალ. 12—15, 113, 143, 144  
მიქაძე სერაპიონ 15  
მოპასანი გი-ღე 155  
მოჩალოვი 390, 392—395, 398, 404  
მრეველიშვილი გ. 11  
მურავიოვი 267

ნავარიელი მარგარიტა 154  
ნავასარდიანი ბ. 414  
ნათაძე გრ. 421  
ნათაძე რ. 323—325, 337, 345  
ნათიშვილი 258, 259  
ნაკაშიძე ი. 4  
ნევეროვი 387  
ნეკრასოვი ნ. 190, 372  
ნიკოლაძე ნ. 144, 232, 270—297, 300,  
312, 313, 372, 375, 406, 428, 432,  
434  
ნიკოლოზ I, 349, 350, 359, 367, 368,  
386, 387, 423  
ნიკოლსკი ა. 312  
ნინოშვილი ე. 4, 225, 232—234 428,  
432

ოგარევი ნ. 275  
ორბელიანი ალ. 249, 253  
ორბელიანი გრ. 409, 423, 424, 426  
ორბელიანი ვახ. 424  
ორბელიანი იოანე 248, 250  
ორბელიანი მანანა 256  
ორბელიანი სულხან-საბა 26, 154, 234  
ოსტროვსკი ა. ნ. 159  
ოტხელი ი. 421

პაპერნი ზ. 206, 207  
პეტრაშევსკი 363  
პეტრიაშვილი ე. 312  
პეტროვსკი მ. ა. 156  
პისარევი დ. 300, 372  
პისევსკი 282  
პოლ. გივიზე 155

პოტტო 234  
პუშკინი ა. 118, 189, 355, 363, 367

შორღანია ნოე 14, 294

რაზიკაშვილი თედო 295  
რაზმაძე სოლ. 426  
რამიშვილი ტრ. 417  
რასინი 253  
რუსთაველი 234, 246  
რუსო ე. ე. 73  
რუხაძე ტრ. 246, 249, 250  
რჩეულიშვილი 259

საკაძე გ. 234—236, 258  
საიათნოვა 405  
სალტიკოვ-შჩედრინი 155, 190  
საფაროვა-აბაშიძე მ. 267, 417—419  
სახოკია თ. 12, 143, 148, 220  
სოლოვიოვი ნ. ი. 159  
სტანკევიჩი ნ. 387  
სუმაროკოვი 250, 253  
სუბათაშვილი ალ. 243  
სუნდუკიანცი გ. 268, 405—420

ტაბიძე გ. 429  
ტატიშვილი 258, 259  
ტიერი 305, 306, 308, 309  
ტოლსტოი ლ. 179, 181  
ტურგენევი 282

უზნაძე დ. 259, 322, 324—326, 421  
უმიაშვილი პ. 272, 295, 296

ფაზელი იხ. გურიელი მ.  
ფანჩულიძე 248  
ფირალიშვილი გოდერძი 251, 252  
ფლობერი გ. 179  
ფრანსი ა. 179  
ფურცელაძე ანტ. 285, 310, 311, 318—  
320, 417, 420, 428  
ფურცელაძე დ. 253

ძემაძე პ. 253

ლოლობერიძე ნიკო 272

შახბეგი ა. 5  
ყაზბეგი გ. 272  
ყოფიანი დიმ. 426, 427, 432  
ყოფიანი ელისაბედ (ვეტა) 17, 18, 22,  
23, 62  
ყოფიანი კ. 267, 413, 417, 418

შადინოვი ივ. 267  
შალიკაშვილი 248  
შანშიაშვილი ა. 429  
შაკ-აბაზი 233—238  
შეგირევი 352  
შენგელია ნიკო 15  
შექსპირი 321, 391, 392, 395, 396, 398,  
399, 403

შილერი 283, 369  
შიშკოვი 292, 293  
შოლოხოვი 160  
შჩეპკინი 390, 394

ჩერნიშევსკი ნ. გ. 27, 190, 275, 281, 300,  
372, 428  
ჩეხოვი ა. 26, 155  
ჩილინდრიშვილი სოფიო ნ  
ჩიმიშკიანი გეგორჟ 416  
ჩოლოყაშვილი დავით 248, 251, 252

ცაგარელი აქს. 268, 417, 419  
ცაგარელი ალ. 251

წერეთელი აკ. 3, 114, 118, 160, 190,  
232—234, 236, 270, 272, 274, 279,  
281, 286—288, 295, 300, 372, 375,  
406, 419, 420, 428

წერეთელი გ. 225, 270, 272, 281, 372,  
375, 406, 420, 428, 432.  
წერეთელი ოქროპირ 254  
წინამძღვარიშვილი ილ. 50  
წულუქიძე ა. 4

ჭავჭავაძე ალ. 190, 253, 409, 424  
ჭავჭავაძე ი. 3, 38, 50, 71, 72, 114,  
145, 158, 160, 179, 181, 185, 190,  
225, 232—234, 270—299, 314—  
318, 320, 349, 372—385, 406,  
419, 420, 427  
კილაია ს. 65, 220, 221  
კიკინაძე ზ. 249, 250, 252

ხანანაშვილი ალ. 249  
ხახუტაშვილი ანა 15  
ხელთუბნიშვილი მის. 14  
ხერხეულიძე-ავალიშვილისა ბ. 267  
ხიზანიშვილი ნ. 9, 232, 295  
ხომელი რ. 271, 272  
ხუნდაძე ს. 421—434  
ხუსკივაძე თ. 27, 159  
ხუციშვილი ს. 254, 259, 264

ჯაეახიშვილი მის. 429—431  
ჯანაშვილი მოსე 7, 234  
ჯანელიძე დ. 246, 254  
ჯაფარიძე გ. 259, 263, 264, 408  
ჯორჯაძე ა. 294  
ჯორჯაძე ბ. 268  
ჯორჯიაშვილი ა. 148, 149, 188

ჰეგელი 358, 367, 369

## შ ი ნ ა ა რ ს ი

„შიო ზაქარიას ძე არაგვისპირელი (დედაბრიშვილი)	3
ქართული თეატრი და გიორგი ერისთავი	246
ილია ჭავჭავაძე ნიკო ნიკოლაძის კრიტიკის შუქზე .	270
პარიზის კომუნის გამოძახილი ქართულ მწერლობაში	298
სიზმარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში . . . . .	319
ბესარიონ ბელინსკი როგორც პუბლიცისტი და მისი კვალი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში . . . . .	347
ბესარიონ ბელინსკი — თეატრალური რეცენზენტი . . . . .	384
გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული დრამატურგია . . . . .	403
სიმონ ხუნდაძე როგორც ქართული ლიტერატურის მკვლევარი .	419
პირთა საძიებელი . . . . .	433

გამომცემლობის რედაქტორები: მ. ინასარიძე, ნ. მუსაშვილი  
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე  
კორექტორი ი. ვახტანგიშვილი

სბ 1250

გადაეცა წარმოებას 15.12.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.05.89.  
საბეჭდი ქაღალდი 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 27,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 25,45.  
ტირაჟი 5000 შეკვეთის № 201.  
ფასი 2 მან. 20 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.